

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

ქველი ქართული მწერლობის მკვლევარნი

თბილისი 1986

ე ქ ღ ვ ნ ე ბ ა
ძველი ქართული მწერლობის უდიდესი
კერძის გელათის აკადემიის 880
წლისთავს.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის
მიერ მომზადებული კრებული „ძველი ქართული მწერლო-
ბის შევლევარნი“ წარმოაჩენს იმ წელიწადსა და დამსახურებას,
რომელიც გამოჩენილ მოღვაწეებს მიუძღვით მრავალსაუკუ-
ნოვანი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის შესწავლაში.
კრებული განუთენილია ფილოლოგებისა და მკითხველთა
ფართო წრისათვის.

რედაქტორები: ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე
ლ. მ ე ნ ა ბ დ ე

ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლა თეიმურაზ ბაგრატიონმა (1782—1846) და აკადემიკოსმა მარი ბროსემ (1802—1880) წამოიწყეს. მ. ბროსემ ქართული ენა შეისწავლა და ქართველოლოგიური შრომების ბეჭდვა დაიწყო ჯერ კიდევ საფრანგეთში, 1828 წლიდან. 1830 წელს მან კონტაქტი დაამყარა პეტერბურგში მცხოვრებ თეიმურაზთან. ამ დროიდან დაიწყო მათი მეგობრობა, რაც მხოლოდ რეიმურაზის სიკვდილმა შეწყვიტა. თეიმურაზი ეხმარებოდა მ. ბროსეს რჩევა-დარიგებით, კონსულტაციით, ამარაგებდა მას საჭირო ლიტერატურით: 1836 წელს მ. ბროსე აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ადიუნქტად. მომდევნო წელს იგი საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ პეტერბურგში გადმოსახლდა. ამის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა მათი მეგობრობა. მ. ბროსე თეიმურაზს თვლიდა თავის მასწავლებლად, თავის თავს აღიარებდა თეიმურაზის მადლიერ მოწაფედ.

მ. ბროსემ ცხოველი საქმიანი ურთიერთობა დაამყარა პეტერბურგელ ქართველებთან (თ. ბაგრატიონთან, პ. ქებაძესთან, დ. ჩუბინაშვილთან, ზ. ფალავანდიშვილთან...), თუ საქართველოში მოღვაწე სწავლულ პირებთან (პ. იოსელიანთან, დ. ბაქრაძესთან, დ. შეღვინეთუხუცესიშვილთან...). დ. ჩუბინაშვილსა და ზ. ფალავანდიშვილთან ერთად მ. ბროსემ 1841 წელს პეტერბურგში გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ შესავალი წერილით (ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ბეჭდური გამოცემა. ამ გამოცემის სულისჩამდგმელი უნდა ყოფილიყო თ. ბაგრატიონი). მ. ბროსეს უყურადღებოდ არ დარჩენია დ. ჩუბინაშვილის წარმატებანი ქართველოლოგიის დარგში და, ვფიქრობ, მისი რეკომენდაციით დ. ჩუბინაშვილი 1844 წელს მიიწვიეს პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის ლექტორად. ამგვარად, XIX საუკუნის ორმოციანი წლებიდან მ. ბროსე განაგრძობს ფრიად ნაყოფიერ მოღვაწეობას მეცნიერებათა აკადემიაში, ხოლო დ. ჩუბინაშვილი ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას უნივერსიტეტში, აქვეყნებს ლექსიკონებს, ქართული მწერლობის ქრესტომათიებს, მეცნიერულ ნარკვევებს.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრაზე დ. ჩუბინაშვილი 1872 წელს შეცვალა ა. ცაგარელმა (1844—1929), მეცნიერებათა აკადემიაში კი მ. ბროსეს გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი კარგა ხანს იყო ვაკანტური, ვიდრე იგი არ დაიკავა ნ. მარმა (1909 წელს ნ. მარი აირჩიეს აკადემიის ადიუნქტად, 1912 წელს — ნამდვილ წევრად).

ა. ცაგარელი მუშაობდა ქართველოლოგიის ყველა სფეროში. ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის განსაკუთრებით ფასეულია მისი სამტომიანი «Сведения о памятниках грузинской письменности» (I, 1886; II, 1889; III, 1894) და «Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае» (1888). 1873 წელს ა. ცაგარელი წერდა, რომ ქართული მწერლობის შესწავლა ახლა იმყოფება იმ საფეხურზე, როცა შეუძლებელიაო რამდენადმე მაინც მეცნიერული იერის მქონე (განმაზოგადებელი) ნარკვევის შედგენა ქართული ლიტერატურის ისტორიაზე. მკვლევარი იმედს გამოთქვამდა, რომ მომავალში გახდებოდა შესაძლებელი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესაფერისი მიმოხილვის დაწერა. 1889 წელსაც ა. ცაგარელი იმეორებდა თავის წინანდელ მოსაზრებას: „ქართული ლიტერატურის ისტორიის დამუშავება ახლა იმყოფება, ასე ვთქვათ, ბიბლიოგრაფიულს ანუ სტატისტიკურ პერიოდში, ლიტერატურული მასალის ბეჭითი შეკრების, დამუშავებისა და კლასიფიკაციის ფაზაში; მხოლოდ მომავალში თუ მოხერხდება ქართული მწერლობისა და ლიტერატურის ძეგლთა მთლიანი, მწყობრი და სისტემური მიმოხილვა“. თითქოს ა. ცაგარლის საპასუხოდ მოსკოველმა სწავლულმა ა. ხახანაშვილმა (1864—1912), რომელიც ლაზარაანთ სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მოღვაწეობდა¹ და პრივატული წესით ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს კითხულობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, 1895—1907 წლებში გამოაქვეყნა ოთხტომიანი «Очерки по истории грузинской словесности». რუსული კურსის საფუძველზე ა. ხახანაშვილმა დაამუშავა და გამოსცა ორ ტომად მისი ქართული ვარიანტი—„ქართული სიტყვიერების ისტორია“. ა. ხახანაშვილის „ნარკვევებმა“ თავის დროზე დიდი როლი შეასრულა და დიდი სამსახურიც გაუწია მოსწავლე ახალგაზრდობას, მაგრამ მათ ბევრი რამ აკლდა სისრულისა და სისტემურობის თვალსაზრისით. „ნარკვევებში“ მოიპოვებოდა მძიმე ფაქტობრივი შეცდომებიც, რომ არაფერი ვთქვათ მეთოდოლოგიის მხრივ ჩამორჩენილობაზე. მაინც, ვიმეორებთ, ა. ხახანაშვილის „ნარკვევებმა“ და ამავე ავტორის მრავალრიცხოვანმა წერილებმა, რომლებიც იბეჭდებოდა ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე, მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ქართული ლიტერატურის პროპაგანდის საქმეს რუსეთსა და უცხოეთში.

ქართველოლოგია საზოგადოდ, კერძოდ კი მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის შესწავლა, მაღალმეცნიერულ საფეხურზე აიყვანა ქართველოლოგთა პეტერბურგის სკოლის საყოველთაოდ აღიარებულმა მეთაურმა აკადემიკოსმა ნ. მარმა (1864—1934). ი. ჭავჭავიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თავისი სამაგალითო ენერგიით, დაუ-

¹ ა. ხახანაშვილი ლაზარაანთ ინსტიტუტში ქართულ ფილოლოგიას მეთაურობდა ილ. ოქრომჭედლიშვილის (1838—1898) შემდეგ.

ღალავე შრომის უნარითა და აღფრთოვანებული მუშაობის სიტუაქიზით, პროფ. ნ. მარტმა ქართული და სომხური ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმალღემღე აიყვანა, რომელზედაც დასავღეთ ევროპის თანამღედროვე ფილოლოგი აა². ი. ჭავახიშვილი შემთხვევით კი არ ასახღეღბდა ერთად ქართულ და სომხურ ფილოლოგიას. ნ. მარის ღრმა რწმენით, ქართული ლიტერატურა საუკუნეღების მანძიღზე ვითარღებოღა მღზობელ კულტურულ ხალღებთან (ბიზანტიეღებთან, სირიეღებთან, არაბებთან, სპარსეღებთან, სომღებთან, აღბანეღებთან) მჭიდრო ურთიერთობის ვითარეღბაში. ამიტომაც ქართული კულტურის ისტორიის საკითხებს იგი ამ ხალღების კულტურასთან ერთად იკღღეღვღა. ნ. მარი იყო ფართო პროფილისა და ფართო დიპაზონის მეცნიერი. ქართული ლიტერატურის ისტორიის თეღლსაზრისით განსაკუთრებთ ფასეულაა ნ. მარის ის ნაშრომეღი, რომღებეღც ძველი ქართული ლიტერატურის პრობღემეღებს განეკუთვენეღა. არ დარჩენიღა ძველი ქართული ლიტერატურის არც ერთი საკვანღძო ან ცოტად თუ ბევერად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ნ. მარს არ შეეღსწავღლა და არ გამოეკღღლია. დიღზე დიღია ის ღვაწლი, რაც ნ. მარმა გაღსწია ქართული ლიტერატურის პირვეღხარისღხოვან ძეღღღა შესწავღლისა და მეცნიერული პუბღიკაციის მხრივ. ნ. მარის სამართღიანი მოსაზრებთ, ქართული მეცნიერული ფილოლოგიის ფუღემღღებელი მ. ბროსე უფრო ემპირიული, აღწერილობითი ხასიათის მუშაობას ეწეოღა და გაურბოღა განზოგადეღბას („მ. ბროსეს გონეღბის მიმართულეღბა არ იყო სინთეტიკური ხასიათისა“). თვითონ ნ. მარის გონეღბის მიმართულეღბას კი, პირიქით, სწორედ სინთეტიკურობა ახასიათეღბდა: დიღი ანალიტიკური ჭკუის პატრონი განზოგადეღბის პრინციპული მოსარჩღღე იყო, ყოვეღ ცალკეულ წვერიღმან მონაპოვარსაც ჩვეულეღბრივ განზოგადეღბისა და ზოგადი თეორიული დასკვნეღბის მისაღებაღ იყენეღბდა (სხვა საქმეა, რამღღენად სწორი იყო ეს დასკვნეღბი). ამასთან ისიც დაუფარავად უნდა ითქვას, რომ ნ. მარი იმთავითვე სერიოზულ შეეცღღომებს უშვეღბდა არა მარტო საკუთრივ ენათმეცნიერეღბის სფეროში. იგი დიღხანს მეტისმეტად დიღ როღს ანიჭეღბდა უცხოური შემოქმეღეღბითი ძაღღების მნიშვნეღობას, ე. წ. ვაღღენეღბსა და სეღსეღბას ეროვნულ-ხალღურ საწყისეღბთან შეღდარეღბთ. თავის აღრინღღელ საკღღღეღვაძიებო მეთოღს ნ. მარი უწოღღებდა „რეღღღურ-ისტორიული კრიტიკის“ მეთოღს. ეს მეთოღი კი ხშირად უბრღღო ბურჟუაზიული ობიექტივიზმის ხასიათს ღღებულღბდა. გვიანღღელ ნაშრომეღბში ნ. მარი უპირატეღსად ვულღარული მატე-

² ი. ჭავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენეღბის თავდაპირველი ბუღება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 10.

რიალიზმისა და ვულგარული სოციოლოგიზმის პრინციპებით ხელმძღვანელობდა.

თუ მ. ბროსე ძირითადად საქმიანობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში, ხოლო დ. ჩუბინაშვილი და ა. ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტში მუშაობდნენ, ნ. მარის ნაყოფიერად მოღვაწეობდა აკადემიაშიც და უნივერსიტეტშიც, როგორც საკვლევადიებო, ისე სასწავლო-პედაგოგიურ და სამეცნიერო-ადმინისტრაციულ სარბიელზე.

დიდა ნ. მარის დამსახურება მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრების მომზადების მხრივაც. მისი უშუალო მოწაფეები არიან ქართველთმცოდნეობის გამოჩენილი წარმომადგენლები: ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, კ. და ვ. დონდუები და სხვ. თუმცა პეტერბურგში არ უსწავლია, მაგრამ თავის თავს ნ. მარის მოწაფედ თვლიდა კ. კეკელიძეც. ნ. მარის დიდ გავლენას განიცდიდა მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში ნ. მარისავე სკოლის ამხანაგი და ბოლომდის ერთგული მეგობარი ე. თაყაიშვილი. ნ. მარის მოწაფეებმა ჩაუყარეს საფუძველი ახალი ქართული მეცნიერებისა და ეროვნული კულტურის იმ დიდებულ კერას, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტი ეწოდება.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ნ. მარის დროიდან იწყება სპეციალიზაცია ქართველთმცოდნეობის შიგნით. თუმცა ნ. მარმა მოამზადა ფართო პროფილის ფილოლოგები, თითოეულ თავის მოწაფეს გარკვეული, უფრო ვიწრო სპეციალობა მიუჩინა (ი. ჯავახიშვილი — ისტორიკოსი, ი. ყიფშიძე და ა. შანიძე — ენათმეცნიერები, ი. აბულაძე — ლიტერატურათმცოდნე ირანისტი და ა. შ.).

ცალკეული პატრიოტი ენთუზიასტები სხვა საზოგადოებრივ-ეროვნულ საქმიანობასთან ერთად საკმაო ინტენსიურობით სწავლობდნენ და იკვლევდნენ ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებს რევოლუციამდელ საქართველოშიც. ამ რიგის მოღვაწეთა შორის უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ს. დოდაშვილი (1804—1836), პ. იოსელიანი (1809—1875), დ. ყიფიანი (1814—1887), დ. ბაქრაძე (1827—1890), პ. უმიკაშვილი (1838—1904), თ. ჟორდანიანი (1854—1916), ზ. ჭიჭინაძე (1854—1933), მ. ჯანაშვილი (1855—1934), დ. კარიჭაშვილი (1862—1927), ს. გორგაძე (1876—1927). ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეს დიდი დამსახური გაუწიეს ჩვენმა მწერლებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავგამოდებულმა მოღვაწეებმა — ი. ჭავჭავაძემ (1837—1907), ა. წერეთელმა (1840—1915), ი. გოგებაშვილმა (1840—1912), გ. წერეთელმა (1842—1900), ნ. ნიკოლაძემ (1843—1928), ი. მაჩაბელმა (1854—1898), ვაჟა-ფშაველამ (1861—1915) და სხვ.

ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელობაზე და მისი შესწავ-

ლის საჭიროებაზე ხმა ამოიღო ჯერ კიდევ პირველმა ქართველმა „რაზ-
ნოჩინელმა“ და ეურნალისტმა ს. დოდაშვილმა, რომელმაც სოლიდური
განათლება მიიღო პეტერბურგში. ს. დოდაშვილმა ერთმა პირველთა-
განმა მოგვცა თავისი დროისათვის საკმაოდ კვალიფიციური მიმოხილვა
ქართული მწერლობის ისტორიისა — „მოკლე განხილვა ქართულისა
ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ („სალიტერატურონი ნაწილნი
ტფილისის უწყებათანი“, 1832, № 1, 2). ქართული ლიტერატურის
ისტორიის პერიოდიზაციის სქემა, რომელიც შეიმუშავა ს. დოდაშვილ-
მა, არსებითად გაიზიარეს ა. ცაგარელმა, ა. ხახანაშვილმა და კ. კეკე-
ლიძემ.

სანამ წერილობითი ძეგლების შესწავლა დაიწყებოდა, ჯერ საჭირო
იყო ამ ძეგლების შეკრება, მოვლა-პატრონობა, საიმედოდ დაცვა, აღ-
რიცხვა, სახელდახელოდ მანუც წესრიგში მოყვანა. ამ კეთილშობილურ
საქმეს ემსახურებოდა საეკლესიო მუზეუმი, ქართველთა შორის წერა-
კითხვის გამავრცელებელი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოე-
ბანი (საეკლესიო მუზეუმი დაარსდა 1889 წ., წ. კ. გ. საზოგადოება —
1879 წ., ს. ს. საზოგადოება — 1907 წ.). 1921 წლიდან მდიდარი ხელ-
ნაწერი ფონდები გადაეცა თბილისის უნივერსიტეტს, რამაც სათავე
დაუდო „უნივერსიტეტის სიძველთსაცავს“. შემდეგ ამ ფონდებს თავი
მოუყარეს საქართველოს მუზეუმში. დასასრულ, საბოლოო ბინა მათ
მოიპოვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის
სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავებში. ძველ ფონდებს
თანდათანობით ახალი კოლექციები ემატებოდა: ქართული ხელნა-
წერი ფონდების შევსება დღემდე გრძელდება. ყოფილი საეკლე-
სიო მუზეუმის ხელნაწერთა პირველი აღწერილობანი შეადგინეს
თ. უორდანიამ (1902—1903 წწ.) და მ. ჯანაშვილმა (1908 წ.). ქართ-
ველთა შორის წ. კ. გ. ს. ხელნაწერების კატალოგის ავტორია დ. კა-
რიჭაშვილი (1905, 1911 წწ.). ამ კოლექციის დიდი ნაწილის ვრცელი
მეცნიერული აღწერილობა მოგვცა ე. თაყაიშვილმა (1902—1912 წწ.).
ამჟამად თავისი უმდიდრესი კოლექციების სისტემურ აღწერილობას
თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის საფუძველზე ეწევა
ხელნაწერთა ინსტიტუტი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბეჭდურად გამოქვეყნდა ძველი
ქართული მწერლობის რიგი მნიშვნელოვანი ძეგლი. მაგალითად, „სა-
ქართველოს სამოთხე“ (ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა დიდი
კრებული, გამოცემა მ. საბინინისა), „კალმასობა“, მოგზაურობანი სულ-
ხან-საბა ორბელიანისა, ტ. გაბაშვილისა და ი. გედევანიშვილისა, შავ-
თელისა და ჩახრუხაძის ოდები, „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“,
„დავითიანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, შემოკლებული თხზულებანი თეი-
მურაზ პირველისა, არჩილისა, ბესიკისა... განმეორდა ბაქარისეული
ბიბლიის გამოცემა.

რამდენიმეჯერ დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთათვის რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ იყო ისეთი სწორუბოვარი მხატვრული ძეგლი, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა კაცობრიობისათვის ქართველი ერის კულტურული მოწიფულობა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში და ცხადი გაეხადა ყველასთვის, რომ ასეთ განათლებულ ერს შეუძლია იცხოვროს თავისი საკუთარი ცხოვრებით, მოიპოვოს ეროვნული და სოციალური თავისუფლება. შემთხვევითი არ არის, რომ XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ სამაგალითო გამოცემის განხორციელებაში. შედგა პოემის ტექსტის დამდგენი კომისია, რომელშიც შედიოდნენ გ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, რ. ერისთავი, პ. უმიკაშვილი, ი. მეუნარგია, ი. მაჩაბელი და სხვ. კომისიას ჯერ გ. ორბელიანი თავმჯდომარეობდა, შემდეგ ი. ჭავჭავაძე. გამოცემის დასასურათებლად მოიწიეს გამოჩენილი უნგრელი მხატვარი მ. ზიჩი (1827—1906). თავსამკაულების გაკეთება მიანდევს ცნობილ ქართველ გრაფიორს გ. ტატიშვილს (1838—1911), დამზადდა საგანგებო შრიფტი, ყდა. გამოცემის მთელი ხარჯი იკისრა ქართველმა ქველმოქმედმა მრეწველმა გ. ქართველიშვილმა (1827—1901). ასე შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ქართველიშვილისეული გამოცემა 1888 წლისა. თავისი დროისათვის ეს იყო ტექსტის საინტერესო კრიტიკული გამოცემა, გარეგნული გაფორმებით კი ქართველიშვილისეული გამოცემა დღემდის პირველ გამოცემად რჩება. „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემა ქართველობის გონებრივი საუნჯისა და პოლიგრაფიული ხელოვნების ნიმუშია. ასეთ ამოცანებს უსახავდნენ მას ამ დიდებული საქმის მესვეურები. მიზანი წარმატებით შესრულდა. ბევრი საერთაშორისო გამოფენა დაამშვენა ქართველიშვილისეულმა „ვეფხისტყაოსანმა“. ამ გამოცემის საგანგებო ყდაში ჩასმული ერთი ცალი ა. ცაგარელმა საჩუქრად მიართვა ორიენტალისტთა VIII საერთაშორისო კონგრესის საპატიო თავმჯდომარეს, შვეციისა და ნორვეგიის მეფეს ოსკარ მეორეს (კონგრესის სხდომები ეწყობოდა სტოკჰოლმსა და ქრისტიანიაში, თანამედროვე ოსლოში).

დიდი წარმატებით მიმდინარეობს ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლა საბჭოთა პერიოდში. თუ ძველად, რევოლუციამდელ ხანაში, ქართული მწერლობის, ისე როგორც საზოგადოდ ქართველოლოგიის საკითხებს, იკვლევ-იძიებდნენ ცალკეული პირები, ახლა ეს სახელმწიფოებრივ საქმედაა მიჩნეული და დაკისრებული აქვს დიდ კოლექტივებს, სპეციალურ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და უმაღლესი სასწავლებლების კათედრებს. კვლევა-ძიება ახლა წარმოებს მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე. მართალია, მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე გადასვლა უმტკივნეულო არ

ყოფილა მკვლევართა ძველი თაობისათვის. მოწინავე მეცნიერულ კრიტიკულ აზრს დიდი ბრძოლა დასჭირდა ანტიმარქსისტული, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთების აღმოსაფხვრელად. რიგ შრომებში თავი იჩინა ვულგარულმა სოციოლოგიზმმა, ნიჰილიზმმა, კოსმოპოლიტიზმმა. მაგრამ ახალი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის საერთო გეზი იყო სწორი და ამან უზრუნველყო მისი ძირითადად ჯანსაღი განვითარება.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოთა პერიოდში ფართოდ დაინერგა სპეციალიზაცია. „ყოვლისმცოდნეობამ“ თავისი დრო მოჰკამა. ამანაც ხელი შეუწყო კვლევა-ძიების სწრაფ წინსვლას.

კ. კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი ძველი საერო მწერლობის შესწავლის საქმე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ“.³ თუ ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში ასეთი დიდი მიღწევებია მოპოვებული, ამას მნიშვნელოვანწილად უნდა ვუმაღლოდეთ თვითონ კ. კეკელიძის სამეცნიერო-შემოქმედებითს მოღვაწეობას. სწორედ ჩვენ დროში, საბჭოთა პერიოდში გაშალა ფრთები კ. კეკელიძის სამეცნიერო-კვლევითმა საქმიანობამ. კ. კეკელიძემ მის გარშემო შემოიკრიბა მკვლევართა ახალი კადრები, აღზარდა, გაწაფა და ყველას თავისი მოწოდებისა და ცოდნის შესაფერისი უბანი მიუჩინა სამუშაოდ. რა თქმა უნდა, შეუწელებელი ენერგიით განაგრძობდნენ მოღვაწეობას ძველი თაობის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლებიც (ი. ჭავჭავაძე, ე. თაყაიშვილი, ს. გორგაძე, ი. აბულაძე, ვ. ბერიძე, ა. შანიძე, პ. ინგოროყვა, ს. კაკაბაძე, თ. ბეგიაშვილი და სხვ.). სამწუხაროდ, უდროოდ გამოგვეცალნენ ხელიდან მომდევნო თაობის რიგი ნიჭიერი და ნაყოფიერი მკვლევარნი — გ. ჯაკობია (1895—1944), ს. იორდანიშვილი (1898—1953), ილ. აბულაძე (1901—1968).

წინამდებარე წიგნი არ არის ძველი ქართული მწერლობის შესწავლის ისტორია, მით უფრო სისტემური კურსი. აქ გარკვეული წესით მოხაზულია ამ დარგის ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო ცალკეული მკვლევარის სამეცნიერო-შემოქმედებითი პორტრეტი. მკითხველი იმასაც შენიშნავს, რომ წიგნი ითვალისწინებს ისეთ მკვლევარებს, რომლებიც უკვე ისტორიას ეკუთვნიან.

წიგნის შედგენაზე მუშაობდა დიდი კოლექტივი. ამან, რა თქმა უნდა, თავისი დალი დაამჩნია მის საერთო ხასიათს, ნამეტნავად მის ენასა და სტილს. მიუხედავად ყოველივე ამისა, ვფიქრობთ, ამ სახითაც ჩვენი წიგნი მკითხველი საზოგადოების გარკვეულ ინტერესსა და ყურადღებას დაიმსახურებს.

³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 21.

ძველმა საქართველომ, ვახუშტის შემდეგ, ახალ ეპოქაში არ იცის თეიმურაზ ბაგრატიონზე უფრო დიდი მეცნიერის სახელი. თეიმურაზ ბაგრატიონი (23. IV. 1782—25. X. 1846) პირველი ქართველი აკადემიკოსი და ჩვენს დროში აღორძინებული ახალი ქართული მეცნიერების ერთ-ერთი დიდი წინამორბედი. თეიმურაზი მეცნიერი-ენციკლოპედისტი: ისტორია, ლიტერატურა, პოეტიკა, რუსთველოლოგია, ლექსიკოგრაფია, ფოლკლორისტიკა, წყაროთმცოდნეობა, გრამატიკა, ნუმისმატიკა, სფრაგისტიკა...— აი, ქართველოლოგიის ის დარგები, რომელთა შემდგომ გაღრმავებულ კვლევა-ძიებასა და მეცნიერულ წინსვლას შესწირა მან მთელი თავისი სიცოცხლე, ნიჭი და ენერჯია. თეიმურაზი, გარდა ამისა, ძველი ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების დაუღალავი შემკრებ-გადამწერი და მეცნიერი-ბიბლიოგრაფი, მოგზაური-გეოგრაფი, პოეტი, დრამატურგი და მთარგმნელი, ამასთან, ქართველოლოგთა ახალი და საუკეთესო თაობის (მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, პ. იოსელიანი...) მასწავლებელი და პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

მ. ბროსემ მოგვცა თეიმურაზ ბაგრატიონის იშვიათი სიზუსტით და გულწრფელობით დახატული პორტრეტი: „მე არ შემიძლია განუცვიფრებლად წარმოვთქვა თეიმურაზ ბატონიშვილის სახელი, რომელშიც მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და ვრცელ მეცნიერებასთან, ... რომლის მიზანი არის თავისი შრომით უკვდავჰყოს ხსენება თავისი ერისა, და რომლის მდაბალ მოწაფედ, სინდისის ქვეშ უნდა ვთქვა, აღვიარებ ჩემს თავს“ და „...თუ როგორმე მოეწონათ ქართველთა ბეჯითობისა ჩემისა მცირედა ნაყოფი, ვალვიარები, მაღლის ხმით ვემოწმები: ამისი მოვალე ვარ ბატონიშვილის თეიმურაზისა სწავლისა“.

თ. ბაგრატიონი გიორგი XII-ის უმცროსი შვილი იყო ქეთევან ან-დრონიკაშვილისაგან, ვისთვისაც სახელოვან პაპას ერეკლე მეორეს თავისი მამის — თეიმურაზის სახელი დაურქმევია და არც მერე დაუკლია დედით დაობლებული პატარა შვილიშვილისთვის სიყვარული და მზრუნველობა: „რამეთუ მზრდიდა მე პაპად ჩემი მეფე ირაკლი და განუშორებლად ვიყოფოდი მის თანა და ფრიადი სიყვარული აქვნდა ჩემი ვინაჲდგან სიჩჩოსავე შობისა ჩემისასა სახელმსდვა მე სახელი მამისა თვისისა და ოდეს იყოფოდა მეფე, ვიდრემე სნეულებასა შინა, ვმსახურებდი მას ძალისამებრ ჩემისა და ასაკისა“.

თეიმურაზ ბატონიშვილის სწავლა-აღზრდას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები და მეცნიერები — თელავის სემინარიის რექტორი დ. ალექსი-მესხიშვილი, დ. ჩოლოყაშვილი, პ. ლარაძე, აგრეთვე, მისი უფროსი უგანათლებულესი ძმები — დავით და იოანე ბაგრატიონები.

1795 წელს თეიმურაზი მომსწრე შეიქნა დიდი ეროვნული ტრაგედია — ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის საშინელი აოხრებისა და განადგურებისა, რომლის სანდო მეცნიერული სურათი მან დოკუმენტურად შემოგვინახა. 13 წლის თეიმურაზი პირადად დასწრებია კრწანისის უთანასწორო ბრძოლას.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, სხვა ქართველ ბატონიშვილებთან ერთად, თეიმურაზმა საბოლოოდ თავისი ცხოვრება მიანც რუსეთს დაუკავშირა: 1811 წლიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე — 1846 წლის 25 ოქტომბრამდე მან მთელი თავისი სიცოცხლე პეტერბურგში გაატარა, იქ გაშალა მთელი ძალით თავისი სამეცნიერო და სამწერლო მოღვაწეობა, იქიდანვე დაუკავშირდა იგი მაშინ ჯერ კიდევ პარიზში მოღვაწე ახალგაზრდა ფრანგ ორიენტალისტს — მ. ბროსეს და ჩააყენა იგი მშობლიური ქართული კულტურის სამსახურში, იქვე მოხდა მისი უმაღლესი მეცნიერული აღიარება — 1837 წელს რუსეთის (პეტერბურგის) მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევა, ხოლო სხვადასხვა დროს პარიზისა და კოპენჰაგენის სამეცნიერო საზოგადოებათა წევრად ჩარიცხვა. ამ მხრივ, თ. ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვან კულტურულ ურთიერთობათა მატრიანის ახალი დირსშესანიშნავი ფურცელია. თეიმურაზი უშუალო მოწმეა რუსეთის ცხოვრებაში მომხდარი ორი დიდმნიშვნელოვანი მოვლენისა: 1812 წლის სამამულო ომისა და დეკაბრისტთა მოძრაობისა, რომლებმაც თავისი ასახვა პოვა ქართველი სწავლულის სულიერ ცხოვრებაში. მის ნაქონ ხელნაწერ წიგნებს შემოუწინაბეთ 1812 წლის დიდი სამამულო ომის გმირთა სახელები (მათ შორის, ქართველებისაც) და ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსი ხალხის გმირული ბრძოლის ეპიზოდები, ხოლო დეკაბრისტების მიმართ თეიმურაზის თანაგრძნობას უფრო ადრინდელი საფუძველიც ჰქონდა: ცნობილია, რომ დეკაბრისტული იდეები (შეუზღუდავი მონარქიის — აბსოლუტიზმის დამხობა და კონსტიტუციური მონარქიის, ან კიდევ, რესპუბლიკის დამყარება) სათავეს საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციიდან და დიდი ფრანგი განმანათლებლებიდან იღებდა. აღსანიშნავია, რომ თ. ბაგრატიონი სულიერი მოწაფე იყო თავისი უფროსი ძმის დავითისა, რომელიც ჩვენში „ვოლტერიანელის“ სახელითაა ცნობილი. დავითს, თეიმურაზის თხოვნით, ჯერ კიდევ 1814 წელს უთარგმნია მონტესკიე, ხოლო ვოლტერის რამდენიმე თხზულების ქართული

თარგმანი თეიმურაზს თავის ბიბლიოთეკაში ჰქონია, მათ შორის „აღათოკლე“ თვითონ თეიმურაზმა თარგმნა. ასე რომ, არაფერია მოულოდნელი, თუ თეიმურაზ ბაგრატიონს დეკაბრისტული იდეებიც გაიტაცებდა. ამის ნათელი დადასტურებაა თეიმურაზისეულ ხელნაწერებში გამოვლენილი კ. რილევისა და ა. ბესტუჟევის სახელთა და გამონათქვამთა კრიპტოგრაფიული (საიდუმლო) ჩანაწერები. თეიმურაზის პროგრესულ შეხედულებებს მოწმობს ის ფაქტიც, რომ იგი თანაუგრძნობდა ცნობილ 1832 წლის შეთქმულებას, რომელიც მიმართული იყო მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამ შეთქმულების ორი აქტიური მონაწილე — ს. დოდაშვილი და ს. რაზმაძე თეიმურაზის აღზრდილები იყვნენ.

საგანგებოდაა აღსანიშნავი ის გარემოება, რომ ა. ჰავჭავაძესა და ს. რაზმაძესთან ერთად, თ. ბაგრატიონია ა. პუშკინის პირველი ქართველი მთარგმნელი: 1830 წელს მას უთარგმნია გენიალური რუსი პოეტის ლექსი „ანგელოზი“, რომელიც მსოფლიოში ამ ლექსის სხვა ენებზე შესრულებულ თარგმანთა შორის პირველ თარგმანს წარმოადგენს. ფრანგულად იგი გადაითარგმნა 1847 წელს, ხოლო ინგლისურად და გერმანულად კი მხოლოდ 1878—79 წწ., რაც თავისთავად თეიმურაზის უტყუარ ლიტერატურულ აღღოს მოასწავებს. შემდეგ ეს ლექსი ქართულად ი. ჰავჭავაძემ და სხვებმაც თარგმნეს. ამას გარდა, თეიმურაზისეულ ალბომებში გვხვდება ჩანაწერები ა. პუშკინის ცხოვრების ეპიზოდებზე, ფანქრით ჩახატული „უცნობი მამაკაცის პორტრეტი“, რომელიც ზოგადი იერით ძლიერ მოგვაგონებს ახალგაზრდა ა. პუშკინს, იქვეა თეიმურაზის ხელით ნასწორები ა. პუშკინის ნაწარმოებთა ს. რაზმაძისეული ქართული თარგმანები („განღვიძება“, „ღიშპანური სიმღერა“...), რაც რუსეთის უპირველეს პოეტთან ქართველი მეცნიერის ახლო ნაცნობობისა და ურთიერთობის მრავლისშეტყველი ფაქტებია.

თ. ბაგრატიონმა დაგვიტოვა მდიდარი და მრავალფეროვანი სამეცნიერო-სამწერლო მემკვიდრეობა, რომელიც თვალსაჩინოდ მოწმობს მის კეთილშობილურ ღვაწლს მშობლიური მეცნიერებისა და კულტურის წინაშე.

თ. ბაგრატიონი საქართველოს ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარია, რასაც მოწმობს თუნდაც მისი „ისტორია ივერიისა“. ამას გარდა, მან ბევრი რამ გააკეთა როგორც ძველი ქართული სასულიერო, ისე საერო მწერლობის საკვანძო საკითხების გადასაწყვეტად, კერძოდ, განსაკუთრებულია მისი წვლილი: რუსთველოლოგიაში („განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“), ფოლკლორისტიკასა (იხილეთ მისი უძველესი ფოლკლორული ჩანაწერები) და პოეტიკაში („გვარნი ანუ საზომნი ქართულისა ენისა სტიხთა“), ლექსიკოგრაფიაში (ახლა თავმოყრილია ერთად და ჩვენს მიერ გამოცემულია „წიგნი ლექსიკონის“ სახით —

თბ., 1980). საყურადღებოა თ. ბაგრატიონის ორიგინალური მხატვრული მემკვიდრეობა და მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მის კალამს ეკუთვნის ქართული ეროვნული დრამატურგიის ერთ-ერთი პირველი ძეგლი „სამსახეობა რაინდისა“, პოემა „ოქროს ვაშლი“ და ლექსები. ამას გარდა, თეიმურაზმა მშობლიური ლიტერატურის საუნჯე გაამდიდრა ევროპული და აღმოსავლური მწერლობის ბევრი პირველხარისხოვანი ძეგლის ქართულ ენაზე გადმოღებით: სხვადასხვა დროს მას უთარგმნია არისტოტელე და ტაციტუსი, ციცერონი და ვოლტერი, ა. პუშკინი და ა. შ.

თ. ბაგრატიონის, როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევარის დასახასიათებლად, ძნელია, მისი საერთოდ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობიდან, რაიმე ერთიანი განმაზოგადებელი შრომის გამოყოფა. ასეთი შრომა მას არც დაუტოვებია. ამიტომ ჩვენ მოგვიხდა თეიმურაზის სხვადასხვა ხასიათის შრომებში გაბნეულ ცნობათა ამოკრება, სისტემურად დალაგება და მათი კომენტირება მეცნიერების თანამედროვე დონის გათვალისწინებით. ირკვევა, რომ არ დარჩენილა ძველი ქართული ლიტერატურის არც ერთი ძირითადი დარგი (სასულიერო მწერლობა — ნათარგმნი და ორიგინალური, საერო მწერლობა, საისტორიო მწერლობა და სხვ.), არც ერთი მისი მეტად თუ ნაკლებად გამოჩენილი წარმომადგენელი, რომელსაც თ. ბაგრატიონი არ შეხებოდეს. და, რაც ყველაზე მთავარია, თეიმურაზის ამ შეხედულებათა ნაწილს დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა.

უცხო ავტორებიდან თეიმურაზი ეხება იოანე დამასკელის, დიონისე არეოპაგელის, ანასტასი სინელის, ანდრია კესარიელის, ათანასე ალექსანდრიელის, ფოტი პატრიარქის, გრიგოლ ნაძიანძელის, მიქაელ სეინკელოსის, ბასილ დიდის, გრიგოლ ნოსელის, იოანე სინელის, იოანე მონაზვნის, ამფილოქე იკონიელის, იოანე ოქროპირის, მაქსიმე აღმსარებლის, კირილე ალექსანდრიელის, ევსუქი იერუსალიმელის, ამბროსი მედიოლანელის, იოანე მმარხველის, თეოდორე აბუჟურას, ილია მინიატის, პროკლე დიადოხოსის, ალაპიტ კონსტანტინოპოლელის, ბასილ იმპერატორის, სამუელ რაბინის, ირინეოს ფსკოველის, პორფირი ფილოსოფოსის, დავით უძღვეველის, კლიმენტი რომაელის, ფიბეოს რომაელის, პლატონ მოსკოველის თხზულებათა ქართულ თარგმანებს, იძლევა საინტერესო და ზოგჯერ, სწორ ცნობებს მათ ქართულ მთარგმნელებზე. თეიმურაზის ეს ცნობები, რომლებიც გვხვდება კერძოდ მის „კატალოგში“¹, კ. კეკელიძის შეფასებით, სა-

¹ კატალოგი წიგნთსაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა, გამოცემა ს. იორდანიშვილისა, თბ., 1948.

ყურადღებოა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად.²

ძველი ქართული ორიგინალური ნასულიერო მწერლობიდან თეიმურაზის საგანგებო ინტერესს იწვევს არსენ II კათალიკოსის, ექვთიმე მთაწმიდელის, არსენ ნინოწმიდელის, იოანე გრძელის ძის, არსენ იყალთოელის, არსენ ბულმაისიმის ძის, გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირის, თეოფილე ხუცესმონაზვნის, ექვთიმე გრძელის, იაკობ დუმბაძის, ანტონ I-ის, გაბრიელ მცირის, გაიოზ რექტორის ბიოგრაფიათა და ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მოღვაწეობის საკითხები.

ვახტანგ მეექვსესთან ერთად, თ. ბაგრატიონი გვევლინება რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერების საფუძვლის ჩამყრელად. თეიმურაზის რუსთველოლოგიური შრომები მოიცავენ თითქმის ყველა ძირითად საკითხს: „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა-მსოფლმხედველობის პრობლემა, პოემის ორიგინალობის დასაბუთება, „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობა და ჩანართ-დანართები, რუსთველის ლექსთწყობა, მისი მხატვრული მეტყველება, ლექსიკა.

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა-მსოფლმხედველობის თაობაზე თ. ბაგრატიონი ავითარებს შემდგენაირ კონცეფციას: პოეტის სამშობლოა ჰერეთის რუსთავი, ზედწოდება — რუსთველი მას ესმის, როგორც რუსთავის მთავარი, მფლობელი, აგრეთვე, პოეტის რუსთავიდან წარმომავლობის მაჩვენებელი. თეიმურაზის ცნობით, რუსთავი თამარის ბოძებულს პოეტის სამფლობელოს წარმოადგენს. ამას გარდა, ნდობით ეკიდება ტრადიციაზე დამყარებულ გადმოცემას, რომ პოემის ავტორი თამარის კარის უპირველესი მინისტრიცაა — მას მეჭურჭლეთუხუცესის (ფინანსთა მინისტრი) თანამდებობა უჭირავს.

ტრადიციულია აგრეთვე, თვალსაზრისი შოთა რუსთველის იერუსალიმში, ქართველთა ჯვრის მონასტერში მოღვაწეობის შესახებ (ხალხური გადმოცემები, ტ. გაბაშვილის „მიმოსლვა“...). მაგრამ ირკვევა, რომ თეიმურაზს ეს ცნობები გაუვრცია და, რაც მთავარია, გადაუკეთებია კიდევ: ზეპირად მიუმატებია ცნობა, თითქოს შოთა რუსთველი-მეჭურჭლეთუხუცესი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, იმ კედელთან, სადაც მისი სახეა გამოხატული, იყოს დამარხული.

თ. ბაგრატიონის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისა და მისი ბიოგრაფიის შესახებ შექმნილ თანმიმდევრულ კონცეფციას მიმდევრები და დამცველებიც (მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, პ. იოსელიანი და პ. ინგოროყვა) კი გამოუჩნდნენ.³

² კ. ექვთიმიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 20.

³ გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა-მსოფლმხედველობის პრობლემა, „მაცნე“, 1966, № 4.

თეიმურაზის მტკიცებით, „ვეფხისტყაოსანი“ შეთხზულია თამარ მეფის დროს. პოემის მთავარი გმირია ტარიელი. სწავლული ბატონი-შვილი დადებითად წყვეტს „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის პრობლემას. აქ იგი ეყრდნობა ვახტანგ VI-ის თვალსაზრისს. მაგრამ თუ ვახტანგთან ის დასაბუთებულია მხოლოდ სიუჟეტის ორიგინალობით („ეს ამბავი სპარსში არ არის...“), თეიმურაზი ხაზს უსვამს პოემის გმირთა და მხატვრული გარემოს ანალიზის აუცილებლობას: „წიგნი ესე ვეფხისტყაოსანი შეიცავს თვისს შორის თუმცა ზღაპარ სიტყვაობასა. მაგრამ ფრიადისა ზელოვნებითა შეწყობილ არს ესე სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაკტერსა ზედა ენისა ჩვენისასა“.⁴

თ. ბაგრატიონმა პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკული შესწავლის საკითხი: „რაც რუსთველს დაუწერია ვეფხისტყაოსნისად ისი კმარა. იმას სხვა დამატებული არა ეჭირება რა“. იგი დიდი ნდობით ეკიდება პოემის ვახტანგისეული გამოცემის (1712 წ.) ტექსტს. მიუხედავად ამისა, არ გამოიციხავს მასში ნამდვილი რუსთველური სტროფების გამორჩენის შესაძლებლობას და გვთავაზობს ოთხ ახალ სტროფს, რომლებიც შემდეგ შევიდა პოემის 1841 წლის გამოცემაში (რიგ, რნა, ფთ, ქბ), ხოლო აქედან სამი — 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში (152, 553, 586 სტროფები). ამას გარდა, თეიმურაზი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის პოემის ინტერპოლატორებზე (მესხი მელექსე, ნანუჩა ციციშვილი, დავით ჩოლოყაშვილი), პოემის ლექსთწყობის, მისი მხატვრული მეტყველებისა და ლექსიკის საკითხებზე.

განსაკუთრებით ფასეულია თეიმურაზის ზოგიერთი ისტორიული-ლიტერატურული ხასიათის ცნობა და კომენტარი ძველი ქართული საერო მწერლობის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლებზე, როგორც არიან მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, ჩახრუხაძე, იოანე შავთელი, თეიმურაზ I, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, საიათნოვა და სხვ. ამათგან საგანგებოდ გვინდა შეეჩერდეთ იოანე შავთელსა და საიათნოვაზე.

დავიწყოთ იოანე შავთელის შესახებ ბიოგრაფიული ცნობებით, რომლებიც თეიმურაზს გადმოცემული აქვს „წერილებში“, „ქატალოგსა“ და „ვეფხისტყაოსნის განმარტებაში“.

1. „შავთელს ერისკაცობაში თითონაც აბღულმესია ჰრქმევია სახელად, ისიც მდივანი ყოფილა თამარ მეფისა და დიდი წარჩინებულთაგანი მისი. აბღულმესია შავთელმან ბოლოს ჟამს დაუტევა სოფელი, ბერად შედგა, მონაზონება შეიმოსა, იოანე უწოდეს სახელად. ქვემო

⁴ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გ. იმედაშვილის გამოცემა, თბ., 1960, გვ. 292—293.

საქართველოში, იმერეთს, გელათის მონასტერში შევიდა, მუნ დაემკვიდრა ლოცვით, მარხვით და დიდის მოღვაწეობით იქცეოდა და მუნვე აღესრულა. ...ხოლო იყო იგი ადგილით სამესხეთით, შავშეთით. შავშეთი არს შავთა და არს ნაწილი ესე სამესხეთოსი (ესე იგი სამცხე-საათაბაგოსი)...“ (წერილი მ. ბროსეს — 1833 წ., ს. ყუბანეი-შვილის გამ., გვ. 33—34); ან კიდევ: „ეს აბდულმესია არს შავთელი, იოანეც სახელს ძეგს ამას“ (წერილები, გვ. 17).

2. „...აბდულმესიას მიერ შავთელისა, რომელიცა იყო მდივანი და ერთი მინისტრთაგანი სახელოვანი ამა დიდებულისა მეფისა (თამარისა)... ბოლოს უამს აბდულმესია ბერად შემდგარა, გელათის მონასტერში შესულა, იოანე უწოდებიათ და იქ აღსრულებულა. ეს პოემა თამარ I-ის მეფისათვის გელათის მონასტრიდან მიუერთმევია“ (კატალოგი, № 176).

3. „აბდულმესია იყო ადგილით შავთით. ესე არს მამული სამცხისა, ახალციხის გარემოები. ესე იყო მდივან-მწიგნობარი დიდისა მეფისა თამარისი... შემდგომად მდივან მწიგნობარი ესე აბდულმესია შემონაზონებულა და იოანე უწოდებიათ სახელად, გელათის მონასტერში შესულა, აქ უცხოვრია და მუნ აღსრულებულა...“ (განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გვ. 289—290).

როგორც ვხედავთ, თ. ბაგრატიონი შავთელის საერისკაცო სახელად აბდულმესიას მიიჩნევს. ეს აბდულმესია შავთელი || შავშეთელი თამარ მეფის მდივან-მწიგნობარი ყოფილა, რომელიც გელათის მონასტერში ბერად აღკვეცილა და უწოდებიათ იოანე. ამ იოანე შავთელს, მონაზვნობაში, გელათის მონასტერში შეუთხზავს თამარის შესხმაპოემა.

როდის და ვისგან ჩაუვარდა ხელთ თეიმურაზს შავთელის პოემა, საიდან ამოკრება მან ასეთი ორიგინალური საბიოგრაფიო ცნობები პოეტის შესახებ?

ამის თაობაზე პირველ ცნობას ვპოულობთ თეიმურაზის მიერ მ. ბროსესადმი 1831 წლის 15 დეკემბერს გაგზავნილ წერილში: „მე

⁵ მაინცდამაინც მტკიცე პოზიცია თეიმურაზს. ამ საკითხში არ უჭირავს. უკვე ა. ბარამიძემ შენიშნა, რომ „თეიმურაზ ბატონიშვილი აბდულმესიას შავთელსაც უწოდებს და შავთელის სახობო თხზულებასაც“ (ნარკვევები, I, გვ. 109). ან კიდევ: „თეიმურაზ ბატონიშვილი ორჯოფობს: ის აბდულმესიას უწოდებს ხან შავთელს და ხან შავთელის თხზულებას“ (იქვე, გვ. 110). თეიმურაზის „ორჯოფობა“ ყველაზე კარგად ჩანს მ. ბროსესადმი მიწერილ წერილში: აქ იგი ერთდროულად ლაპარაკობს „აბდულმესია შავთელზე“ („აბდულმესია შავთელმან ბოლოს უამს დაუტევეა სოფელი...“) და „აბდულმესიანზე“: „აბდულ-მესია, შავთელს უქია, რომელსაც რომ ლექსი უქეს და მოუწონესო“ (წერილები, გვ. 33; 35).

ეპოვენ ჩვენს ენაზედ, დიდი ხანი არ არის, დიახ საკვირველი ლექსე-
ბი... ერთი აბდულმესია შავთელისა (ლექსი მას უქეს რომელსა), რო-
მელიცა შემდგომად შემონაზონებისა იწოლა იოანედ...“ (წერილები,
გვ. 12).

მაინც რომელი ნუსხაა ეს? ი. ლოლაშვილს გამორკვეული აქვს
შავთელის თხზულების თეიმურაზისეული ნუსხები და მათი საერთო
წყარო:

დავით რექტორის მიერ 1822 წელს გადაწერილი ნუსხიდან
(H№ 391) გ. ავალიშვილს 1830-იან წლებში (ყოველ შემთხვევაში,
1831 წლამდე, იხ. წერილები, გვ. 12) დაუმზადებია ორი ხელნაწერი:
ერთი—ნ. ჩუბინაშვილისათვის (S№ 3701), მეორე კი — თ. ბაგრატიონ-
ისთვის (H№ 2324). აი, ეს ხელნაწერი უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი
თეიმურაზს მ. ბროსესადმი 1831 წლის 15 დეკემბერს მიწერილ წე-
რილში. თავის მხრით, თეიმურაზს ამ ნუსხიდან კიდევ ორი ხელნაწერი
დაუმზადებია: პირველად, 1835 წლის ახლო ხანებში, რომელიც და-
ვით დადიანისთვის უჩუქებია (A № 1411), ხოლო მეორე—1837 წელს,
გადაწერილი ს. ტაბიძისაგან და დედანთან შედარებული თვითონ თეი-
მურაზის მიერ (ლენ. M№ 15)⁶.

ახლა უკვე ადვილია, გავვრკვეთ თეიმურაზის მიერ შავთელის შე-
სახებ მოწოდებული საბიოგრაფიო წყაროს საკითხშიაც; იგი პირწმინდა
(თუ არ ჩავთვლით ცნობას, პოეტის შავშეთიდან წარმომავლობის შესა-
ხებ) გამეორებია პირველად 1822 წელს დავით რექტორის მიერ გა-
მოთქმული მოსაზრებებისა. შევეუდაროთ:

„დიდის თამარ მეფას, გიორგი მეფის ასულის, დავითიან პანკრა-
ტოვანისა შესხმა. აბდულმესია შავთელისაგან თქმული (ესე იგი მონა-
ქრისტესი). ამან მოართვა გელათიდან მეფასა თამარს, რომელი იყო
მდივანი მეფის თამარისა და შემდგომად იქმნა მონაზონ და უწოდეს
სახელად იოანე, რომელმან მოიგო ცხოვრება თვისი გელათსა შინა,
რომლისთვის იტყვის რუსთაველი შოთა (აბდულმესია შავთელსა,
ლექსი მას უქეს რომელსა)“⁷.

დავით რექტორის აქ მოწოდებული ცნობების საფუძველზე, გ. ავა-
ლიშვილს თ. ბაგრატიონისთვის გადაწერილ ნუსხაში გაუქმებია
პოემის ვრცელი სათაური, რომელიც ასე მთავრდება: „ქმნილი გელა-
თის მონასტერსა შინა და მუნითვე მორთმეული აბდულმესია შავ-
თელისაგან, პირველ ყოფილისა მდივნად ღირსსახსოვარისა მის
მეფაჲსა და შემდგომად მონაზონების მიღებისა მას მონასტერსა შინა

⁶ ძველი ქართული მეზობტენი, II, იოანე შავთელი, აბდულმესიანი,
ი. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 32—34.

⁷ H№ 391, 1r. პოეტის სამცხე-საათაბაგოდან წარმომავლობის შესახებ ცნობა
გადასულა ამ ჩუბინის 1835 წელს გადაწერილ ხელნაწერში (ცენტრ. არქ. № 186).

იოანნედ წოდებულისა“.⁸ თეიმურაზის ცნობებიც აქედან მომდინარეობს.

საკითხავია, სანდოა თუ არა თეიმურაზის ეს ცნობები, დამოუკიდებლად იმისა, საიდან აიღო მან ისინი. ამაზე დადებითად შეიძლება ვუპასუხოთ.

შავთელი რომ თამარისდროინდელი პოეტია, ეს „ქართლის ცხოვრების დანაა“ („ისტორიანი და აზმანი“) ცნობილი: „მეფე თამარ მოვიდეს ოძრკეს და ეახლნეს (იოვანე) კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული“ (ს. ყაუხჩიშვილის გამ., თბ., 1959, გვ. 92. იხ. აგრეთვე, გვ. 99, 136, 138). თეიმურაზმა და მისმა წინამორბედებმაც, აგრეთვე კარგად იცოდნენ „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი ბიბლიოგრაფიული სტროფის ცნობა: „აბდულმესია შავთელსა ლექსი მას უქქეს რომელსა“; ამას გარდა, ი. ლოლაშვილის სარწმუნო მოსაზრებით, დავით რექტორის (თ. ბაგრატიონის უშუალო პირველწყაროს) „განკარგულებაში უნდა ყოფილიყო აღორძინების ხანის ჩვენამდე არმოდწეული ბიბლიოგრაფიული ცნობები შავთელის ვინაობის შესახებ, რომელთაც აფიქრებინეს დავითს, რომ მას ძეგლის ავტორად იოანე შავთელი მიეჩნია“.

მეორე საკითხი, რომელიც ახლა ჩვენ გვიანტერესებს, გახლავთ თეიმურაზის ხელთ არსებული იოანე შავთელის თხზულების რაობის პრობლემა.

თეიმურაზის ნუსხაში (რომელსაც ტრადიცია დავით რექტორმა შეუქმნა 1822 წელს, თორემ მანამდე იგი „არჩილ მეფის შესხმით“ იყო ცნობილი) თხზულება ასეა დასათაურებული: „პოემა ანუ შუენიერ-სიტყუაობითითა კელოვნებითა შეწყობილნი სტიხნი სამქება-რონი სახელრევანისა და ძლევით განთქმულისა კელმწიფასა მეფაჲსა თამარ პირუელისა, 3 გიორგი მეფის ბაგრატოვანისა ასულისა, სრულიად ზემოჲსა და ქუემოჲსა ივერიისა და სხუათა თვითმპყრობელაჲსა და მტერთა მძლეველაჲსა“... (H№ 2324, 1 r). ამის კვალობაზე, თეიმურაზი იოანე შავთელის თხზულებას უწოდებს „თამარ მეფის ქებას“ (წერილები, გვ. 34), „პოემა... საქებულად დიდებულისა დიდისა მის მეფისა, სრულიად ივერიის მპყრობელისა თამარ I-ისა“ (კატალოგი, № 176), „ლექსნი შესხმანი სამქებრონი თამარ მეფისანი“ (განმარტება, გვ. 290). მაშ, რა არის „აბდულ-მესია“, იგივე „აბდულმესიანი“? თეიმურაზი მას იოანე შავთელის აწ დაკარგულ სულ სხვა თხზულებად მიიჩნევს, რომელიც ერთხანს დაკანონდა კიდევ სამეცნიერო

⁸ H№ 2324, 1r.

ლიტერატურაში, ხოლო უკანასკნელად თეიმურაზის ამ მოსაზრებას ერთგული დამცველი ჰყავდა კ. კეკელიძის სახით.

თეიმურაზი არაერთგან დაბეჭილებით წერდა: „შავთელს დაუწერია ლექსად საკვირველის შეთხზვით მოთხრობა აბდულმესიასი ვისიმე და ასე იტყვიან ჩვენში მომთხრობელნი, რომ იმისთანა საქები ლექსები (ესე იგი სტიხები), არაოდეს ქართულსა ენაზედ არ დაწერილიყოს... ჩვენ უბადრუტ ქართველებს ის საკვირველი სტიხები შავთელისა აბდულმესიას წიგნი დაჰკარგვიათ, პაპას ჩემს მეფეს ერეკლეს, მრავალი უძებნიებია, დიდი სურვილი ჰქონია იმისის ლექსებისა, მაგრამ ის წიგნი ველარ უპოვნიათ“ (წერილები, გვ. 33—34); ან კიდევ: „ამისნი (აბდულმესიას შავთელის) გეჰონან ლექსნი შესხმანი სამქებრონი თამარ მეფისანი, ხოლო გაუკეთებეს ამას სტიხად წიგნი, აბდულმესიას სახელსდებეს წიგნსა მას, რომლისათვისცა იტყვიან, რომელ ფრიადისა მაღალისა კელოვნებითა ყოფილან სტიხნი მისნი შეთხზული“ (განმარტება, გვ. 290).

მაშასადამე, თეიმურაზი იოანე შავთელის ჩვენამდე მოღწეულ „თამარ მეფის ქებას“ სხვა თხზულებად მიიჩნევს და მისივე „აბდულმესიანს“ კიდევ სხვად, რომელიც თურმე დაკარგულა⁹.

ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ძველ საქართველოში „ვეფხისტყაოსნიდან“ საყოველთაოდ იყო გავრცელებული ცნობა იოანე შავთელის „აბდულმესიანის“ შესახებ („...აბდულმესიას შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა...“), იაკობ ღუმბაძემ კი, XVII საუკუნეში, იგი „არჩილ მეფის შესხმად“ გადააკეთა და ამით „აბდულმესიანის“ კვალიც მოსპო. მართალია, 1822 წელს დავით რექტორმა იაკობ ღუმბაძის „არჩილ მეფის შესხმაში“ სრულიად ექვემოტანლად იოანე შავთელის „თამარ მეფის ქება“ ამოიციო, მაგრამ მაინცდამაინც „თამარის ქება“ და არა „აბდულმესიანი“. ამიტომ „აბდულმესიანი“ კვლავ საძიებელი დარჩა, რაც თეიმურაზის შემდეგაც გრძელდებოდა მთელი XIX ს. განმავლობაში (ს. ბარათაშვილი, ა. ნანეიშვილი, მ. ჯანაშვილი...).

მხოლოდ 1902 წელს ნ. მარმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ საძიებელი „აბდულმესიანი“ სწორედ ჩვენ ხელთ არსებული „თამარის ქება“.¹⁰ მაგრამ ნ. მარის ამ აღმოჩენამ საკითხი მეორე მხრივ გააბუნდოვანა: მეცნიერმა უკუაგლო ტრადიციული, ამასთან, თეიმურაზის

⁹ გაუგებრობად მიგვაჩნია ს. ყუბანეიშვილის განმარტება, თითქოს დღეს „აბდულმესიად“ ცნობილი თხზულება (ე. ო. თამარისა და დავითის შესხმა — გ. შ.) თეიმურაზს არ მიაჩნია იოანე შავთელის „თხზულებად“ (წერილები, გვ. 105). სინამდვილეში, თეიმურაზი იმას ამბობს, რომ იოანე შავთელისაა „თამარ მეფის ქებაც“, რომელსაც ჩვენამდე მოუღწევია, და „აბდულმესიანიც“, რომელიც დაკარგულა.

¹⁰ Древнегрузинские одоисцы, ТР, IV, СПб., გვ. 1—2.

შეხედულება იოანე შავთელის ჩვენამდე მოღწეულ თხზულებაში თამარის და (მასთან ერთად, დავით სოსლანის) შექების შესახებ და ქების ობიექტად დავით აღმაშენებელს გამოაცხადა; ამის კვალობაზე, პოეტიც დავით აღმაშენებლის ეპოქას მიაკუთვნა და რუსთველის უფროს თანამედროვედ ცნო.

კ. კეკელიძის აზრით, აქ მართლაც ორი პირია შექებული: თამარ მეფე და დავითი, ოღონდ არა სოსლანი, თამარის მეუღლე, არამედ, დავით აღმაშენებელი¹¹. მაშასადამე, კ. კეკელიძე, სანახევროდ მაინც, წინააღმდეგ ნ. მარისა, მიემხრო ტრადიციულ ე. ი. თეიმურაზის შეხედულებას პოემის ქების საგნის საკითხში, ხოლო მთლიანად გაიზიარა თეიმურაზის ცნობა ე. წ. „აბდულმესიანის“ დაკარგვის თაობაზე: „აბდულმესიანი“ არაა დავით აღმაშენებლის ხოტბა, ის რაღაც სხვა თხზულება ყოფილა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია“.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ავტორები (ა. ბარამიძე, ე. მეტრეველი, ი. ლოლაშვილი) პოემის ქების საგნის საკითხში უფრო ტრადიციულ და, მაშასადამე, თეიმურაზის შეხედულებას იხრებიან: იოანე შავთელი თამარისდროინდელი პოეტიცა, ჩვენამდე მოღწეულ მის თხზულებაში თამარ მეფე და დავით სოსლანია შექებული; ეგვიპტე თხზულება უნდა იყოს ე. წ. „აბდულმესიანიც“ და მისი ძიება, წინააღმდეგ თეიმურაზ ბაგრატიონის ვარაუდისა, ამოა.¹²

ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობებს გარდა, თეიმურაზი გვაძლევს იოანე შავთელის თხზულების პოეტიკურ დახასიათებასაც: „ლექსნი ესე არიან, წოდებისამებრ ქართველთა მესტიხეთა, რვეული-საგვარნი, რომელნიცა თვითოეული მათგანი არს თუმცა ოთხტაეპოვანნი, მაგრამ რვათ არიან დაბოლოებულნი რიფმით და თვითეულს დაბოლოებულს რიფმებს ორი და სამი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვსთ და სხვადასხვა გვარად აიხსნებიან (და ამგვარის რიფმების მექონს სტიხთა ქართველთ მესტიხენი მაჟამას უწოდებენ)“ (კატალოგი, № 176).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ თეიმურაზი იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც სცადა იოანე შავთელის თხზულების საკმაოდ ბუნდოვანი და ძნელი ტექსტის კო-

¹¹ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., II, 1958, გვ. 233—247. ჩვენ აქ უკვე აღარ ვლაპარაკობთ შ. ნუცუბიძის ე. წ. კომბინირებულ თეორიაზე, რომლის მიხედვით, თხზულების პირველ ნაწილში შექებული უნდა იყოს დავით აღმაშენებელი („აბდულმესიანი“), ხოლო მეორე ნაწილში — თამარ მეფე და დავით სოსლანი. ამის კვალობაზე, ჩვენამდე მოღწეული ტექსტი ორი სხვადასხვა თხზულების შერწყმას უნდა წარმოადგენდეს.

¹² ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, გვ. 105—154; ე. მეტრეველი, წიგნში: ქართ. ლიტ. ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 90—115; ი. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, II, 1964.

მენტირება და ტექსტოლოგიური დამუშავება. ამ მხრივ, აღსანიშნავია მისი ხელნაწერი შრომა „შავთელისა“ (ლენ. E№ 156), რომლის შესახებ პირველი ცნობა და ტექსტზე თავიანთი წინასწარი დაკვირვებანი გამოაქვეყნეს მ. გუგუშვილმა და ა. გვახარამ.¹³ „აბდულმესიანის“ ტაბთა. თეიმურაზისეული ზოგი განმარტება გამოყენებული აქვს ი. ლოლაშვილს.¹⁴ „აბდულმესიანის“ თეიმურაზისეული კომენტარების ტექსტი ახლა უკვე გამოქვეყნებულია.¹⁵

თ. ბაგრატიონი საიათნოვას პირველი მეცნიერული ბიოგრაფი და მისი შემოქმედების ერთ-ერთი დამფასებელია. „საადნამა, რომელსა ქართველნი სავათნამას უნმობენ, იყო ჟამსა მეფისა ირაკლი II-სა, მეფის გიორგი XIII-ის ბატონიშვილობაში საკუთრად, საბატონისშვილო ყმა იყო მეფის გიორგისა და იმას ახლდა, მაგრამ ხშირად ერეკლე II-სთან იყო, რადგანაც დიახ კარგი საზანდარი (ე. ი. მესაკრავე) იყო; სხვათა და სხვათა ინსტრუმენტთა (ე. ი. საკრავთა) უკრავდა და იმღეროდა, ლექსსაცა თვითვე სთხზვიდა. იგი იყო სანაიელი, მეფის გიორგი XIII-ის საბატონისშვილოს სოფლისა საქართველოს სომეხთაგანი. სომხურსა და თათრულს სიმღერებსა და ლექსებსა სთხზევდა სხვათა და სხვათ შემთხვევათ ჟამსა. თვითეულის შემთხვეულების შესაბამი სტიხები სიმღერად საკვირველად უთქომს აზრიანი და შესაბამიერი. თუმცა ლიტონი სტიხებია მდაბიურს გვარზედ, მაგრამ დიდად მოსაწონი“ (კატალოგი, გვ. 40).

აქ წარმოდგენილია საიათნოვას ბიოგრაფიის შესახებ უნიკალური ცნობები, რაზედაც დამყარებულია თითქმის ყველა თანამედროვე მეცნიერის (ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ლ. მენაბდე, ბ. არველაძე) გამოკვლევა.

თ. ბაგრატიონს ეკუთვნის სანდო ცნობა მაჩაბელა საზანდარსა და 1795 წელს, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, თბილისში მისი გმირულად დაღუპვის თაობაზე,¹⁶ რის მიხედვითაც გ. ლეონიძემ გააქარწყულა ლეგენდა საიათნოვას მოწამებრივი სიკვდილის შესახებ თბილისის დაცვისას, 1795 წელს.¹⁷

საყოველთაოდ ცნობილია თ. ბაგრატიონის ღვაწლი საიათნოვას მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის საქმეში. მისი დავალებით,

¹³ მ. გუგუშვილი, ა. გვახარია, აბდულმესიანის უცნობი კომენტარები, საქ. მეცნ. აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1960, № 2, გვ. 246—250.

¹⁴ ძველი ქართველი მწიგნობრები, II, 1964.

¹⁵ გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 80—89.

¹⁶ საქართველოს ისტორია, ნაწილი მეორე, პარიზი, 1833; ალა-მაჰმად-ხანის მიერ შეპყრობა ტფილისისა, ქართული ქრისტომატი, I, სპ., 1846, გვ. 179.

¹⁷ გ. ლეონიძე, მგოსანი საათნავა, თბ., 1930, გვ. 38—39. შტრ. ა. ბარამიძე (რედ.), საიათნოვა, თბ., 1963, გვ. 104; მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები, ა. ჰუშინის სახელობის პედაგოგიკური შრომები, VI, თბ., 1949, გვ. 94.

1823 წელს, საიათნოვას შვილმა — ივანე სეიდოვმა ჩაწერა მამის ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ლექსები და თითოეულს საყურადღებო შენიშვნები დაურთო. კრებულს თეიმურაზის ხელით მიწერილი აქვს: „ესე წიგნი საქართველოს მეფის ძის თეიმურაზის არის. საათნამას შვილმა იოანემ დამიწერა თავის მამის საათნამას ლექსები იმის სახსოვრად“.¹⁸

მაგრამ ამაზე ადრე, როგორც ახლა ირკვევა, თვითონ თეიმურაზ ბაგრატიონს ეკუთვნის საიათნოვას ლექსის „ჭაბუა ორბელიანზედ“ პირველი ჩანაწერი და მისთვის წამძღვარებული მრავალმხრივ საინტერესო განმარტება, რომლითაც საფუძველი ეყრება ცნობილი აშუღის პოეტური მემკვიდრეობის ფიქსირებისა და კომენტირების საქმეს.

1819 წელს შედგენილი ერთი თავისი ხელნაწერი კრებულის (ლენ. H№ 23) 108-ე გვერდზე, თეიმურაზის ხელით ჩაწერილია საიათნოვას ცნობილი კალამბური „ჭაბუა ორბელიანზედ“. ტექსტს უძღვის თეიმურაზისეული შენიშვნა: „ჭაბუა დიამბეგს, ყაფლანისშვილს ქორწილი რომ უყვეს მუხრან ბატონიანთ ქალზე და შეიყვანეს მეფედედოფალი დასასხმლად, საათნავა იქ იყო: მეფე გიორგი მაშინ ბატონის შვილი იყო და იმას ახლდა საათნამა. რომ შეხედა ჭაბუა ჩაჩაგვილი, სქელი, კუზიანა, და ბექ-მუცელი ბრუდე და ქალი დიად მალაღლი, მაშინვე საათნამამ სთქვა წყობილი სიმღერით“.

ფიქრობთ, საიათნოვას ეს ლექსი და მის შესახებ შენიშვნა, მსგავსად გელა საგინაშვილის მუნასიბისა, თეიმურაზს მამის—გიორგი XII-ის ნაამბობის საფუძველზე უნდა ჰქონდეს ჩაწერილი: „მეფე გიორგი მაშინ ბატონის შვილი იყო და იმას ახლდა საათნამა“. საიათნოვას ლექსი და შენიშვნა მის გარშემო თეიმურაზის ხელით უკვე 1819 წელს შედგენილ კრებულშია შესული. ამდენად, საიათნოვას ცნობილი კალამბურის „ჭაბუა ორბელიანზედ“ თ. ბაგრატიონისეული ჩანაწერი წარმოადგენს სახელგანთქმული აშუღის პოეტური მემკვიდრეობის ფიქსირებისა და კომენტირების პირველ ცდას, ხოლო თეიმურაზისავე დავალებით, 1823 წელს საიათნოვას ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ლექსების ჩაწერა (სადაც, სხვათა შორის, ეს კალამბური არ შესულა) და კომენტირება პოეტის შვილის ივანე სეიდოვის მიერ, უკვე მეორე ეტაპია თეიმურაზ ბაგრატიონის ზრუნვისა საიათნოვას პოეტური მემკვიდრეობის სრულად გადარჩენისა და მეცნიერული შესწავლისათვის.¹⁹

¹⁸ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერი H№ 21 (GN# 222). შდრ. გ. შაყულაშვილი, საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დავთრის მიხედვით, თბ., 1970, გვ. 57 და შმდ.

¹⁹ შდრ. გ. შაყულაშვილი, დას. ნაშრ., გვ. 8, 55.

საიათნოვას ეს ლექსი დღემდე ერთადერთი, დ. ჩუბინაშვილისეული ნუსხით (S№ 3723) იყო ცნობილი. სწორედ მის მიხედვით გამოაქვეყნა იგი პირველად ე. თაყაიშვილმა. იქვე დაბეჭდილია ის შენიშვნა, რომელიც ამ ლექსს უძღვის წინ და, როგორც ახლა ვაირკვა, თ. ბაგრატიონს ეკუთვნის. საიათნოვას ამ კალამბურს დ. ჩუბინაშვილის ნუსხის მიხედვით იცნობს გ. ლეონიძე (1930 წ.). ე. თაყაიშვილის პუბლიკაციიდან ლექსი გადაბეჭდა ა. ბარამიძემ (1963 წ.).

მაგრამ აქამდე უცნობი იყო, თუ ვის ეკუთვნოდა საიათნოვას ამ ლექსის პირველი ჩანაწერი და, რაც მთავარია, დიდად საყურადღებო კომენტარი. ახლა, როცა დაძებნილია დ. ჩუბინაშვილის ხელნაწერი კრებულის S№ 3723-ის დედანი (ესაა 1819 წელს შედგენილი თ. ბაგრატიონისეული ავტოგრაფული კრებული ლენ. E№ 23), უკვე ძნელი აღარაა იმის მტკიცება, რომ საიათნოვას განთქმული კალამბური „ქაბუა ორბელიანზედ“ პირველად ჩაუწერია და მისთვის კომენტარი წაუმძღვარებია თ. ბაგრატიონს, ხოლო დ. ჩუბინაშვილს უბრალოდ მისგან გადაუწერია იგი.

ამიტომაც, ამიერიდან, „ქაბუა ორბელიანისთვის“ წამძღვარებული კომენტარი უნდა შეემატოს თ. ბაგრატიონის მიერ „კატალოგში“ და-ცულ უნიკალურ ცნობებს საიათნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების უმნიშვნელოვანესი საკითხების გამოსარკვევად.

მაგრამ თეიმურაზი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა, ერთ თავის გვიანდელ ხელნაწერ კრებულში (S№ 3586) თ. ბაგრატიონი კვლავ დაბრუნებია საიათნოვას პოეზიას და შეუტანია მასში 5 ლექსი. გარდა იმისა, რომ თეიმურაზის ნუსხა იძლევა საიათნოვას აღნიშნულ ლექსთა საინტერესო ვარიანტულ წაკითხვებს,²⁰ თითოეულ ლექსს ახლავს სწავლული ბატონიშვილის მითითებანი საიათნოვას ავტორობაზე („საათლამის ნათქვამი მუხანბაზი“, „საათლამასაგან ნათქვამი“ და ა. შ.), რაც ასე: საჭიროა აშუღის პოეტური მემკვიდრეობის დასაზუსტებლად; აგრეთვე, ერთი ფრიად საყურადღებო კომენტარი „შე საწყალო ჩემო თავოს“ გარშემო: „სავათნამასგან ნათქომი მუხანბაზი (სომეხთ ტერტერა იყო პირველ, ხოლო შემდგომად ბერათ რომ შედგა, მაშინ თქო)“ — (S№ 3686, გვ. 46).

ასეთია, ზოგად ხაზებში, თეიმურაზ ბაგრატიონის, როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევრის არასრული პორტრეტი²¹.

²⁰ ამის შესახებ იხ. მ. რაფაეა, საიათნოვას ქართული ლექსები, „მრავალთავი“, I (1971), გვ. 246, 249, 252, 255.

²¹ თეიმურაზ ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწერილებით იხ. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, I—II. თბ., 1972, 1974; მისივე, თეიმურაზ ბაგრატიონი — ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი, თბ., 1974.

მარი ბროსე

ერთ-ერთ თბილისქალაქობაზე ზეიმის მონაწილეთ ზედ ბარათა-შვილის ხიდის თავზე, ფართოფორმატიანი ფოტოსტენდიდან მიეგება სანდომიანი სახე მოხუცისა, რომელიც არც ენითა და მოდგმით, და არც ნერჩით, ყოფილა ქართველი. ძველქართული ფრესკის მზერა ჰქონდა მას, ოდნავ სევდიანი და მოღლილი, მოღლილი ჩვენი ენისა და ერის სიყვარულით, თავყანისცემითაც კი, რამეთუ მან, უგანათლებულესმა ევროპელმა, ადამის თვისტომთა შორის სულიერი და ხორციელი სრულყოფის განსახიერებად ქართველთა მოდგმა იწამა და მისი სიყვარული აქცია საკუთარი სულის უმთავრეს შინაარსად. იგი უნარჩვევისი ინტელექტუალურ-ადამიანური, გნებავთ — ინტერნაციონალური, თანადგომით თანაუდგა არა მხოლოდ ქართველ სწავლულთ, მათ შორის პირველ ქართველ აკადემიკოსს თეიმურაზ ბაგრატიონს, არამედ მთელ ქართველ ხალხს, მის ძირძველ ისტორიას.

ეს განათლებული უცხოელი ფრანგი მარი ბროსე გახლდათ, რომელსაც მოყვრის არდავიწყების რუსთველური სიბრძნით ნასაზრდოებმა ერის თავკაცებმა თბილისქალაქობაზე სრულიად საქართველოს მოქალაქის პატივი მიაგეს და სავსებით კანონზომიერადაც.

ორიოდე სიტყვა „უცხოელი თანამემამულის“ ბიოგრაფიაზე:

მარი ფელსიტე-ქსავიე ბროსე, მოკლედ — მარი ბროსე, დაიბადა 1802 წ. 5 თებერვალს პარიზში. სწავლობდა ორლეანის, პარიზისა და ისის სემინარიებში, გატაცებული იყო რიტორიკით, ფილოსოფიით, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიითა და აღმოსავლური ენებით. 1821 წელს მიიღო პარიზის აკადემიის ლიტერატურული ფაკულტეტის ბაკალავრის წოდება. იყო აშელის სემინარიის მასწავლებელი. იცოდა ბერძნული, ჩინური, მანჭურული, ტიბეტური, ქართული, სომხური, რუსული და სხვ. ენები. 1825 წლის 7 თებერვალს არჩეულ იქნა „პარიზის საზოგადოების“ წევრად, ხოლო 1834 წელს — ამავე საზოგადოების საბჭოს წევრად.

1830 წლიდან წერილობითი ურთიერთობა დაამყარა თეიმურაზ ბატონიშვილთან. 1837 წ. პეტერბურგში გადმოვიდა სამუშაოდ და მიიღო აკადემიკოსის წოდება. 1847-51 წწ. იმოგზაურა საქართველოში.

1880 წელს მ. ბროსე სამშობლოში დაბრუნდა და იმავე წლის 7 სექტემბერს გარდაიცვალა.

მ. ბროსეს შრომების სანიმუშო ბიბლიოგრაფია შეადგინა მისმა შვილმა ლავრენტიმ.

მ. ბროსე პირველია უცხოელთაგან, რომელმაც ევროპულ მეცნიერებაში ქართველი ერის ისტორიითა და კულტურით სამოგზაურო-დილექტანტური გატაცებანი სისტემატური მეცნიერული კვლევის ხიბლს აზიარა და, ამდენად, არსებითად თვითვე დაუღო სათავე საზღვარგარეთულ ქართველოლოგიას. ამ მხრივ მისი ძიებანი გლობალური ხასიათისა იყო და მოიცავდა ჩვენი ხალხის ისტორიულ-კულტურული ყოფის თითქმის ყველა სფეროს: ქართველი ერის ისტორიას და, გარკვეული აზრით, ისტორიულ ფსიქოლოგიას, არქეოლოგიას, ნუმისმატიკას, გრამატიკას, ლექსიკოგრაფიას, ძველ და ახალ ქართულ ლიტერატურას, რასაც ახლდა დაუცხრომელი ზრუნვა ქართული სიტყვაკაზმული და ისტორიოგრაფიული ძეგლების თარგმნასა და გამოცემაზე. ამასთანავე მ. ბროსეს ქართველოლოგიური ძიებანი, თანამედროვეთა შენიშვნით, დამშვენებული იყო „საგნის სიახლითა“ და გადმოცემის მაღალი კულტურით კვლევის ყველა სფეროში; მათ შორის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

მ. ბროსეს ქართველოლოგიური შტუდიები და გამოცემანი დიდი ხანია მკვლევართა (გ. ბუაჩიძე, რ. დოდაშვილი, გ. იმედაშვილი, ი. მეგრელიძე, დ. ფანჩულიძე, გ. შარაძე, შ. ხანთაძე და სხვ.)¹ ყურადღებას იმსახურებს, თუმცა, ეტყობა, მათი მნიშვნელობის სრულყოფილი წარმოჩენა მომავლის საქმეა. ამ მხრივ უწინარესად უნდა დასახელდეს მისი ისტორიულ-ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის ნარკვევი: «Взгляд на историю и литературу Грузии»², რომელიც აჯამებს ავტორის ქართველოლოგიურ ძიებათა ერთ ეტაპს და სახავს კიდევაც მომავალი კვლევის პროგრამასაც. ამ ნაშრომით, რომელსაც, რედაქტორის შენიშვნით, „საგნის სიახლე“ და გადმოცემის მაღალი კულტურა ახასიათებს, მ. ბროსე გვევლინება ძველი ქართული ლიტერატურის ჩინებულ მცოდნედ, რაც მისმა შემდგომმა გამოკვლევებამაც სავსებით დაადასტურეს (ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მის შრომებს ხარვეზები არ ჰქონდა).

მ. ბროსე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას ეროვნული ანბანის წარმოშობის პრობლემასთან კავშირში განიხილავდა. იგი ქართულ ანბანს ძ. წ. II საუკუნეში აღმოცენებულად თვლიდა. მკვლევარი თავის თვალსაზრისს იცავდა პ. კლაპროტთან კამათის დროსაც, როცა ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ქართველები მაინცადამაინც ძირძველი (ბიბლიური) კულტურის ხალხი არაა და უძველესი მწერლო-

¹ ამ საკითხზე ამომწურავი ბიბლიოგრაფია იხ. კრებულში: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, თბ., 1976, გვ. 409—421.

² ЖМНП, 1838, № 8, გვ. 274—335.

ბაც არა აქვთო. მ. ბროსე პირიქით ფიქრობდა, ხოლო ადრინდელ კულტურის ძეგლთა მოუღწევლობის მიზეზებს ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეთა მოუწესრიგებლობით ხსნიდა, რითაც, მისი აზრით, ქართული ლიტერატურა იზიარებდა ეგვიპტური, ჩინური და პერსოპოლისური ლიტერატურების ბედს. რაც შეეხება მოღწეულ არქაულ ძეგლთა საეკლესიო იდეოლოგიას, იმდროისათვის მისი აუცილებლობა და ერთადერთობაც მკვლევარმა იეროპის კულტურისა და ხალხების ლიტერატურათა ტიპოლოგიური ანალიზით დაასაბუთა. მეტიც; მისი დაკვირვებით, აზროვნების ამგვარი სტილით აღბეჭდილი იყო არა მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობა, არამედ ქართული ფილოსოფია, არქიტექტურა, მხატვრობა და ა. შ.

ქართული სასულიერო მწერლობის თავსაწყისად მ. ბროსეს მსოფლიოს „წიგნთა-წიგნის“ — სიბლიის თარგმანები მიაჩნდა. მან არსებითად სწორად განსაზღვრა ქართული ბიბლიის გენეზისი — იგი მომდინარეობს ბერძნული სექტანტიდან — აგრეთვე ბიბლიურ წიგნთა ბექედის ისტორიაც, მაგრამ დაუშვა ქრონოლოგიური ხასიათის ლაფსუსი, როცა ამ წიგნთა ერთ-ერთი მთარგმნელი ექვთიმე ათონელი IV საუკუნის მოღვაწედ მიიჩნია. ბიბლიურ წიგნთა პარალელურად იგი ბერძენ წმინდა მამათა შრომების ქართული თარგმანების არსებობასაც ამტკიცებდა. ბერძნულ კულტურასთან ქართული კულტურის მიმართების საკითხი მ. ბროსეს ამით არ ამოუწურავს; ამ კონტექსტში განიხილა მან პლატონისა და არისტოტელეს სკოლის წარმომადგენელთა ფილოსოფიური შრომების თარგმანები და მათზე დართული კომენტარები, რომელთა ავტორები ქართველი მთარგმნელები იყვნენ.

მ. ბროსე დიდად იყო დაინტერესებული ორიგინალური ქართული სასულიერო მწერლობითაც, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი შრომა მას არ დაუტოვებია. ამიტომაცაა, რომ მისი, როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევრის, სახელი არსებითად საერო ლიტერატურასთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ მ. ბროსეს წარმატების საფუძველი, სხვათა შორის, იმაშიც უნდა ვეძიოთ, რომ იგი მეცნიერულ კონსულტაციებს ღებულობდა სწავლული ბატონიშვილისაგან. აქვე უნდა ითქვას: მ. ბროსემაც მოახდინა კეთილმყოფელი გავლენა თეიმურაზზე, რის გამოც ამ უკანასკნელის ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, განსაკუთრებით რუსთველოლოგიაში, მიზანსწრაფული გახდა და „ევროპელი მეცნიერების მიერ დასახული ქართველოლოგიური მუშაობის საქმიროების შესაბამისად წარიმართა“ (გ. იმედაშვილი).

მ. ბროსეს რუსთველოლოგიური შტუდიების რაობაზე მსჯელობა ქვემოთ მოგვიწევს, აქ კი საჭიროება მოითხოვს წინდაწინ აღინიშნოს: უაღრესად ფასეულია მისი დაკვირვებანი არა მხოლოდ საკუთრივ „გეფხისტყაოსანზე“, არამედ პოემის ლიტერატურულ-კულტურულ

და პოლიტიკურ წანამძღვრებზე, ანუ, სხვა სიტყვებით, — ქართული საერო ლიტერატურის გენეზისზე. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ზუსტად ამ სიტყვებით გამოხატა თუ არა მ. ბროსემ თავისი აზრი, არამედ მნიშვნელოვანია ის, რომ აღრეულ ეპოქებში (უწინარესად დავითის ეპოქაში) რუსთველის ძირების ძიებით ფრანგი მეცნიერი აღგენს ქართული საერო ლიტერატურის ეროვნულ გენეზისს, რის ხელახლა დასაბუთებას ქართველოლოგიამ თითქმის მთელი საუკუნე მოანდომა. კერძოდ, „ვეფხისტყაოსანზე“ მსჯელობა მ. ბროსეს ნააზრევში დაკავშირებულია ქართველთა ყოფის ახალ პოლიტიკურ-კულტურულ სიტუაციასთან, როცა ჩვენი ქვეყანა გარეშე მტრებისაგან თავს დაიხსნის და ძლევამოსილ საერო ხელისუფალთა (უწინარესად დავით აღმაშენებლის) მეთაურობით შეუდგება გრანდიოზულ სახელმწიფოებრივ-კულტურულ აღმშენებლობას, როცა სათავე ედება მძლავრ ინტელექტუალურ მოძრაობას, მეცნიერებით, ხელოვნებით, პოზიტიური თეოლოგიით უსაზღვრო გატაცებას და მათი შეცნობა-გააზრების უზადო უნარს. ამით განებივრებულმა საქართველომ, მ. ბროსეს თქმით, „მოიხსურვა პოეტური გამხდარიყო“ და გახდა კიდევც.

აღმაშენებლიდან თამარ მეფემდე, ანუ, ლიტერატურულ-კულტურული ტერმინოლოგიით — „ვისრამიანიდან“ „ვეფხისტყაოსანამდე“, განვლილი გზის საგანგებო შესწავლის აუცილებლობა მ. ბროსეს იმთავითვე ჰქონდა ნაგრძნობი, რასაც საარქივო მასალები ადასტურებენ. ჩანს, „ვისრამიანი“ მას „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებითაც აინტერესებდა და ცალკედაც. ამის დასტურია, სხვათა შორის, ისიც, რომ ფრანგი მეცნიერი შესდგომია მის თარგმნას, მაგრამ განზრახვა ბოლომდე ვერ მიუყვანია მოუცლელობის გამო.

„ვისრამიანის“ მთარგმნელად მ. ბროსეს სარგის თმოგველი მიაჩნდა (ასე ფიქრობდა მისი მასწავლებელი თეიმურაზ ბატონიშვილი).

ცალკე და საგანგებოდაა წარმოსაჩენი მისი ღვაწლი „ამირანდარეჯანიანის“ შესწავლის საქმეში. მან ამ რომანის არსებობა ჯერ კიდევ 1828 წელს იცოდა, შემდეგ არსებითი ხასიათის ცნობები მის შესახებ თეიმურაზისაგან მიიღო 1834 წელს, ხოლო როცა პეტერბურგს ეწვია, თეიმურაზის ბიბლიოთეკაში უშუალოდ გაეცნო რომანს. ფრანგი მეცნიერი მოიხიბლა დასახელებული თხზულებით, სპეციალური გამოკვლევა უძღვნა მას, რომელიც 1837 წლის 15 სექტემბერს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სხდომას მოახსენა, ხოლო მოგვიანებით (1838 წ.) გამოაქვეყნა „ბიულეტენ საიანტიფიკში“ სათაურით: „ქართული რომანის „ამირანდარეჯანიანის“ განხილვა“.

მან არსებითად პირველმა დაუდო სათავე „ამირანდარეჯანიანის“ ეროვნული წარმოშობის მეცნიერულ თეორიას, რამაც დროთა ვითარებაში დაძლია წინააღმდეგობანი, ერთი შეხედვით დაუძლეველიც კი

(განსაკუთრებით ნ. მარის მხრივ, რომელიც ემყარებოდა ბაგრატ მუხრან-ბატონის ცნობას) და ჩვენს დრომდე მოატანა.

„ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალური წარმომავლობის მტკიცებისას მისთვის ამოსავალი იყო პერსონაჟთა ფსიქოლოგიის თავისებურებების, მათი ხასიათის, ზნე-ჩვეულებების, მოქმედების იმპულსების გათვალისწინება, რასაც წინ უსწრებდა ბროსესეული ცოდნა ქართველი ხალხის ისტორიული ფსიქოლოგიისა. მ. ბროსე ახდენდა იდენტიფიკაციას რომანის პერსონაჟთა ხასიათსა და ქართულ ხასიათს შორის და წარმოუდგენლად მიაჩნდა „ამირანდარეჯანიანის“ უცხოური წარმოშობის დაშვებას. ამ კონტექსტშივე გააანალიზა მან რომანში ასახული პატრონჟიმური ინსტიტუტი და მოახდინა კლასიკური პერიოდის ქართულ სოციალურ ყოფასთან მისი იდენტიფიკაცია. ამ ფაქტს, ცხადია, მისთვის ხელი არ შეუშლია პარალელი ეძებნა ევროპულ რაინდულ ყოფაში, თანაც არა ტიპოლოგიური, არამედ გენეტიკური თვალსაზრისითაც, და საკითხი გადაეჭრა აღმოსავლეთის, უწინარესად ქართული სამყაროს, სასარგებლოდ: აღმოსავლეთიდანაა ევროპაში, მათ შორის საფრანგეთში, რაინდობის კულტი შემოტანილი, თანაც რაინდობა უწინარესად ქართველის მგზნებარე ტემპერამენტის რეალიზებააო, ვიდრე ცივსა და ზომიერ გარემოში აღზრდილი ევროპელისა.

მ. ბროსეს უყურადღებოდ არ დარჩენია „ამირანდარეჯანიანის“ შედგენილობის საკითხიც. ის დიდი მეცნიერის ალლოთი მიხვდა, რომ „ამბავი ჯიმშერ დილარის შვილისა“ და „ჯიმშერის შვილის ჯიმშერ არმოკლასი“ არ ეკუთვნის „ამირანდარეჯანიანის“ ავტორს და რომ არც ეს უკანასკნელია სარგის თმოგველი. აქედან განსაკუთრებით ფასეულია პირველი დებულების მტკიცება, რადგანაც, აკად. კ. კეკელიძის დაკვირვებით, დასახელებული თავების ავტორს „ზედმიწევნით შეთვისებული აქვს სული, სტილი და მანერა „ამირანდარეჯანიანისა“, მასთან იმიტაცია უკიდურესობამდეა დაყვანილი“.³ ერთი სიტყვით, აქ ადგილი აქვს ორიგინალთან თითქმის სრულიად იდენტიფიცირებულ ლიტერატურულ მისტიფიკაციას, რომლის გამოცალკევება ძირითადი ტექსტისაგან დღესაც ჭირს. მით უფრო დასაფასებელია მ. ბროსეს ღვაწლი, რომ მან ეს შეძლო ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, ასე ვთქვათ — ქართველოლოგიის გარიჟრაჟზე.

თანამედროვე მეცნიერებაში გააზრებულა მ. ბროსეს თვალსაზრისი იმის შესახებაც, რომ მოსე ხონელს არ გაუზრძელებია სარგის თმოგველს „დილარიანი“.

არსებითად სწორი იყო მ. ბროსე, როცა მსჯელობდა „ამირანდარეჯა-

³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, ტბ., 1981, გვ. 63.

ნიანის“ მხატვრული სტილის რაფინირებულ ხასიათსა და მისი ენის ხალხურ საწყისებზე.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ქართული სახოტბო პოეზიის, უწინარესად „თამარიანის“ იდეურ-მხატვრულ მხარეთა მისეულ ინტერპრეტაციაზე. მ. ბროსე, თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად, პირველია ქართველოლოგიაში, ვინც შეუმცდრად განსაზღვრა სახოტბო პოეზიის, უწინარესად „თამარიანის“ მაღალი იდეურ-მხატვრული და ესთეტიკური ღირსება. მართალია, ეს თვალსაზრისი საკოჭმანო გახდა გასული საუკუნის II ნახევარში, თანაც უდიდეს ავტორიტეტთა მხრივ, მაგრამ მან მალე (1902 წ.) მიიღწია თავის კლასიკურ სრულყოფას ნ. მარის ნააზრევში, რომელშიც ქართული (და არა მარტო ქართული!) ფილოლოგია, კერძოდ ტექსტოლოგია, ასევე თავის კლასიკურ სრულყოფას ზეიმობს. მაგრამ ნ. მარის ნააზრევის სიდიადით გაოცებამ მკითხველს არ უნდა დააკარგვინოს იმის შეგრძნება, რომ მეხოტბეთა იდეურ-მხატვრული (და არა წმინდა ფილოლოგიური) სამყაროს ამგვარი ინტერპრეტაციის სათავესთან მ. ბროსე დგას.

კლასიკური პერიოდის ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან ყველაზე დიდი ენერგია მ. ბროსემ „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას შეაღია. გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ მისი ძიებანი, ქართული ანბანიდან მოყოლებული „თამარიანამდე“, და თვით აღორძინების ხანის ჩათვლით, ერთ მიზანს ემსახურებოდა—რუსთველის შეცნობას. კარგად შენიშნავს რ. დოდაშვილი: მ. ბროსე „მთელი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე გარს უტრიალებდა საქართველოს ამ უდიდეს განძს, რომელიც თავისი ჰუმანური იდეებითა და კეთილშობილური მისწრაფებებით საუკუნეებით უსწრებდა წინ მ. ბროსეს სამშობლოსთან ერთად მთელი ევროპის რენესანსს“. რუსთველის კვლევა იყო მ. ბროსეს ფილოლოგიურ-ლიტერატურათმცოდნეობითი ძიების უმთავრესი მეცნიერული საზრისი.

მ. ბროსე თავის მრავალრიცხოვან შრომებში შეეხო რუსთველოლოგიის თითქმის ყველა ძირითად პრობლემას, დაწყებული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიით და დამთავრებული პოეტიკით.⁴ იგი რუსთველის გენიის აღიარებამდე ერთბაშად არ მისულა, რაც უწინარესად ქართული ენის სრულყოფილი ცოდნის უქონლობით იყო გამოწვეული. ხოლო როცა ენობრივი ბარიერი დაძლია და „ვეფხისტყაოსანმა“ მის თვალწინ გაიბრწყინა უჩვეულო იდეური სიღრმითა და უხეშთაესი მხატვრული სტრუქტურით, მ. ბროსე დარწმუნდა, რომ პოემა იყო მსოფლიო ლიტერატურის შედევრი.

⁴ მ. ბროსეს რუსთველოლოგიური ძიებანი იხ. კრებულში: რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 37—67.

მ. ბროსემ ჯერ კიდევ 1830 წელს პარიზული ხელნაწერების შეჯერების შემდეგ გამოაქვეყნა პოემის დასაწყისის თარგმანი და ტექსტის მოკლე შინაარსი. აქედან დაიწყო ზრუნვა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტის გამორკვევად. პეტერბურგში შედგა სარედაქციო კოლეგია (მ. ბროსე, ზ. ფალავანდიშვილი, დ. ჩუბინაშვილი). შემუშავდა „პროღრამა“ გამოცემისა.⁵

გამომცემლები, მ. ბროსეს მეთაურობით, ამოსავლად ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანს“ იღებდნენ, მაგრამ აღიარებდნენ მისი „მცირედ განმართვის“ საჭიროებასაც. თანაც ეს „განმართვა“ უნდა წარმართულიყო „სწავლულთა ქართველთა მიერ“ ვახტანგის ტექსტთან ხელნაწერი მემკვიდრეობის შეჯერების გზით. ისინი ფიქრობდნენ, რომ ნამდვილი „ვეფხისტყაოსანი“, განსაკუთრებით ლექსიკური თვალსაზრისით, არ იყო წარმოდგენილი ვახტანგისეულ ტექსტში. ამასთანავე არც თვითონ ჰქონიათ ამ ხარვეზის სრულად დაძლევის პრეტენზია, ოღონდ აღნიშნავდნენ: მომავალ გამოცემაში პოემის ტექსტს „მივაახლებთო ნამდვილს“. განზრახული იყო, რომ გამოცემას დართოდა „აღბეჭდვის ზედამხედველის“ მ. ბროსეს წინასიტყვაობა, აგრეთვე ხელნაწერთა ვარიანტები, რასაც, სხვათა შორის, იწონებდა საერთოდ ქართველი ინტელიგენცია. ამ მხრივ მაგალითს თვითონ მ. ბროსე იძლეოდა: მან დაამუშავა მის ხელთ არსებული ხელნაწერები, ხოლო შემდეგ, საქართველოში დაცულ მანუსკრიპტებზე დაყრდნობით, ამგვარი სამუშაოს შესრულება დაავალა ზ. ფალავანდიშვილს. სამწუხაროდ, ზ. ფალავანდიშვილმა ეს დავალება არ შეასრულა იმ მოტივით, რომ იგი თითქოს არ ყოფილიყო საჭირო. მ. ბროსეს განმეორებითმა და დაჟინებითმა მოთხოვნამ შედეგი ვერ გამოიღო.

კომისიისათვის უმთავრესი იყო პოემის სტროფული შედგენილობის გარკვევა, რომლის მიმართაც ინტერესი მ. ბროსემ ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას გამოავლინა და ამ დარგში ჯეროვანი ცნობები მიიღო კიდევაც, სწავლული ბატონიშვილისაგან. თეიმურაზი ატყობინებდა: „სრული ვეფხისტყაოსანი არის რიცხვით ათასხუთას ოთხმოცდა ცხრა (ოთხტაეპოვანი) სტიხი, როგორათაც ვახტანგ მეფისა დაბეჭდულს ვეფხისტყაოსანში იხილვება, ისინი არიან ნამდვილ შოტთა რუსთველის შეთხზულნი სტიხნი, რომელიც იმ სტიხზე დასრულდება: ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“.⁶ ვახტანგის ტექსტისადმი ამგვარი ნდობის მიუხედავად, თეიმურაზ ბატონიშვილი იმასაც აღნიშნავდა, რომ პოემის პირველგამომცემელს „დაბეჭდვაში დარჩომია

⁵ ი. მეგრელიძე, „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემის პროგრამა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 20. VIII. 1965.

⁶ ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან (XVIII—XIX სს.), თბ., 1966, გვ. 49.

და ველარ ჩაეტანებინა რამდენიმე სტროფი: 1. „თუ ყოფილა იგი მოყმე...“ 2. „მოუკლივარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა...“ 3. „მე დავშვერ ვითარ წესია...“ 4. „შევი, ფიცხლად შევეკაზმე...“. ისინი მას თავისი „ოსტატის დავით ალექსიშვილისაგან გაუგონია“ და აგრეთვე პოემის საკუთარ ხელნაწერშიც უხილავს.

თეიმურაზი თავის შეხედულებას ორგვარი მოსაზრებით ასაბუთებდა: ჭერ ერთი იმით, რომ დასახელებული სტროფები „მსგავსი“ იყო რუსთველის „სტინებისა“, მეორეც, ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანს“ სწორედ იმ ადგილებში ეტყობოდა ტექსტუალურ-შინაარსობრივი ხარვეზები, სადაც ისინი უნდა „ჩაწერილიყო“. რაც შეეხება პოემის ცალკეულ თავებს, რომლებიც ვერ შევიდა ვახტანგის გამოცემაში, მათ შესახებ თეიმურაზს თავისი მოსაზრება აგრეთვე ჭერ კიდევ 1834 წელს ჰქონდა გამოთქმული; ეს თავები მას არ მიაჩნდა რუსთველის კუთვნილებად. ამას გარდა, თეიმურაზმა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ სტროფთა წინაუქმობაზეც მიუთითა, მაგრამ მისი ეს მოსაზრება კომისიამ არ გაიზიარა.

პოემის შედგენილობაზე მსჯელობა თითქოს ამით უნდა ამოწურულიყო, მაგრამ კომისიამ საჭიროდ დაინახა ვახტანგისეული ტექსტი შეედარებინა ვრცელი რედაქციის შემცველ ხელნაწერებთან. ეს არ ყოფილა შემთხვევითი, რადგანაც, „ჩანს, კომისიას პირველად განზრახული ჰქონია დაებეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ყველა სტროფი, ამ მიზნით ინდოხატაელთა და მისი მომდევნო ამბების დაბეჭდვასაც აპირებდნენ, მაგრამ შემდეგში ისინი ზედმეტად მიუჩინვიათ და პირვანდელ გადაწყვეტილებაზე ხელი აუღიათ“, რაშიც, ეტყობა, „გარკვეული როლი ითამაშა თ. ბაგრატიონმა“ (ს. ყუბანეიშვილი). აღნიშნულის მიუხედავად, კომისიას გაუთვალისწინებია „სწავლულთა ქართველთა“ გემოვნება, ხელნაწერთა მონაცემები და ხელისმომწერთა მოთხოვნა და გამოცემაში დამატებით კიდევ 46 სტროფი შეუტანია. თუმცა, მ. ბროსეს გულდია განმარტებით, მას არ სცოდნია, ვისგან არიან დაწერილნი დასახელებული სტროფები, ოღონდ ფრანგი ქართველოლოგი იმაში კი ყოფილა დარწმუნებული, რომ ამ სტროფთა შემცველი ხელნაწერი შესრულებული იყო „10 წელი წინ ვახტანგ მეფის დაბეჭდვილს ვეფხვის-ტყაოსანზე“⁷.

სტროფული შედგენილობის გვერდით, როგორც აღინიშნა, კომისიამ პოემის ლექსიკური სრულყოფისათვის იზრუნა, წმინდა ესთეტიკურ-შემეცნებითი თუ სხვა მოსაზრებით შეეცადა განემართა ტექსტი ყოველივე იმისაგან, რაც, გამომცემელთა ფიქრით, უკარგავენ „ლექსთა შენეურებას“. ვახტანგისეული გამოცემისაგან განსხვავებით, ახალ

⁷ ვეფხვის-ტყაოსანი, სპბ., 1841, გვ. XIII.

გამოცემაში დასმულ იქნა შესაბამისი „ასონი, რომლისაცა შაირნი ანუ ლექსნი არიან პყრობილ“.

ამგვარ სამუშაოთა ჩატარების შემდეგ, 1841 წლის სექტემბერს, დაიბეჭდა პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ტექსტი არსებითად მოკლე რედაქციისაა და შედგება 1637 სტროფისაგან, რასაც ერთვის 11 სტროფი. რომლებიც შეიცავს ნიკოლოზ პირველის ქებას, რუსთველისა და მ. ბროსეს ბიოგრაფიის, აგრეთვე პოემის ახალი გამოცემის შესახებ ცნობებს. გამოცემას ახლავს წინასიტყვაობა და მცირე ლექსიკონი, რომელშიც 500-ზე მეტი სიტყვაა გამოტანილი და განმარტებული. განსაკუთრებით ფასეულია წინასიტყვაობა, შესრულებული მ. ბროსეს მიერ, მისივე სიტყვით, დ. ჩუბინაშვილის თანადგომით, აგრეთვე თეიმურაზის დახმარებითა და კონსულტაციით (გ. შარაძე). აქ წამოჭრილია რამდენიმე პრობლემატური საკითხი: „ვეფხისტყაოსნის“ მიმართება „ილიადასთან“; რუსთველის შაირობის თეორიის მიმართება არისტოტელეს პოეტიკურ ნააზრევთან; ანტონ კათალიკოსის კრიტიკა; ვახტანგის გამოცემისა და თარგმანის შეფასება და ა. შ. ცალკეა გამოსაყოფი წინასიტყვაობის ავტორის თვალსაზრისი პოემის წარმომავლობის შესახებ. მ. ბროსე იცავს თხზულების ორიგინალობის თეორიას და „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევს თამარის დროების მხატვრულ გარდათქმად. რუსთველოლოგიაში მან პირველმა დაუღო სათავე „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური (ფაბულის) შენიღბვის თეორიას და წარმოადგინა იგი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში. საინტერესოა ის, რომ ფრანგი ქართველოლოგი პოემის ორიგინალობას იმითაც ამტკიცებს, რომ პერსონაჟთა „ზნეობა, ყოფაქცევა, გულოვნობა, ძმური მეგობრობა უთუოდ ქართველთ გულს, ზნეობას, ერთი სიტყვით ვსთქვათ, სრულს მათს ხარაკტერს გამოხატავენ“. ხოლო რაც შეეხება რუსთველის მხატვრულ სამყაროს, მ. ბროსეს აზრით, „ვეფხისტყაოსანს“ ახასიათებს ზღაპრის ტურფა-თხზულება, შაირების კეთილშემიანობა, სიტყვა-აღრჩევით ენა-მჭვერობა, ჰაზრების მშვენიერად დაწმასნვა და ქეშმარიტების მაღალ-ფილოსოფიური მხატვრობა“.

1841 წლის გამოცემა იმ მხრივაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მან შეარყია პოემის ვახტანგისეული გამოცემის მოცულობა და დააყენა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ სტროფული შედგენილობის შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

მ. ბროსე სხვა ადრეულ თუ გვიანდელ სპეციალურსა თუ განმაზოგადებელ შრომებში შეხებია „ვეფხისტყაოსნის“ თარიღის, ავტორის, ტექსტის უნიფიცირების, თხზულების ენის, მხატვრული სტილის, დროისა და სივრცის, კომპოზიციის, ფაბულის წყაროს, ალეგორიზმის,

პერსონაჟთა ფსიქოლოგიის, შაირობის, მიჯნურობის, აღმოსავლურ და დასავლურ ლიტერატურებთან პოემის მიმართებისა და სხვა კარდინალურ რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას და თანამედროვე მოთხოვნის დონეზე განუხილავს ისინი. ერთი სიტყვით, მ. ბროსე იყო ქართველთა „ვინაობის სახსოვრის“ (ი. ჯავჭავაძე) — „ვეფხისტყაოსნის“ ნიჭიერი მკვლევარი და დაუღალავი პოპულარიზატორი, რითაც აქტიურად შეუწყო ხელი ევროპელთა დანტერესებას ქართველთა სულიერი კულტურით, საზოგადოდ ქართული ცივილიზაციით.

მ. ბროსეს ყურადღებას იპყრობდა აღორძინების ხანის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი: „როსტომიანი“, „რუსუდანიანი“, „მირიანი“, „არჩილიანი“, „ქილილა და დამანა“, „სიბრძნე, სიცრუსა“ და სხვ. და მათი ავტორების ბიოგრაფიები, მაგრამ გამორჩეული იყო მისი მიმართება „დავითთან“. მისდამი ჩვენი პატივისცემა ორკვადება, როცა ვითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მან „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ ძველი ქართული პოეზიის ეს უღიადესი ძეგლი, ქართველთათვის მაშინ თითქმის შეუცნობი და ზოგისათვის სულაც უცნობი, ერთბაშად ევროპასაც გააცნო. ამდენად, იგი „დავითანის“ კვლევის სათავეებთან დგას.

ამ ფაქტის გადაფასება შეუძლებელია.

მართალია, მ. ბროსე დ. გურამიშვილის პოეზიაზე თითქოს არ ყოფილა მაღალი წარმოდგენისა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში მან არსებითად პირველმა განსაზღვრა „დავითანის“ ადგილი და მნიშვნელობა ქართული ლიტერატურული აზროვნების ისტორიაში. მისი შენიშვნით, „დავითანი“ უნდა განვიხილოთ, როგორც დიადი კრებული, რომელშიც ავტორმა ჩააქსოვა მთელი თავისი გრძნობა და გონება. მკითხველს აქ ხვდება ფილოსოფიური განსჯანი, მორალური დამოძღვრანი, ღვთისმეტყველება, უძველესი ისტორია, პოეტის ავტობიოგრაფია, მხიარული სიმღერები, აკროსტიხები, გამოცანები, კალამბურები. ერთი სიტყვით, — ასკვნის მარი ბროსე, — ესაა ენციკლოპედია, რომელიც კარგად აგრძნობინებს მკითხველს განსწავლულობის მაღალ დონეს პოეტის ქვეყანაში.⁸

მარი ბროსემ, როგორც ისტორიკოსმა და ფილოლოგმა, „დავითანი“ ძირითადად ორ ჭრილში — ისტორიული და პოეტურ-ფილოლოგიური თვალსაზრისით — განიხილა. ფრანგი მეცნიერი, ჩინებული მცოდნე და მკვლევარი საქართველოს ისტორიისა, „დავითანს“ აფასებს უწინარესად როგორც პირველხარისხოვან საისტორიო წყაროს, როგორც „ახალი დროის“ ისტორიულ ძეგლს. მარი ბროსემ დეტალურად და სკრუპულოზურად განიხილა პოეტის ბიოგრაფია XVIII ს. საქარ-

⁸ ЖМНП, 1838, № 8, გვ. 323.

თველას სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან მიმართებაში აქ იგი იმასაც აქცევს ყურადღებას, რომ ქართველი პოეტი თავის ტრაგიკულ თავგადასავალს ზოგჯერ იმგვარად გადმოგვცემს, რომ მკითხველში უნებლიე დიმილს იწვევს. ამის ნიმუშად მკვლევარს დ. გურამიშვილისაგან მდინარეში უკანასკნელი სარჩოს დაკარგვის სცენის აღწერა მიაჩნია, რაც დამშვენებულია ქეშმარიტი პოეტურ-მხატვრული გამომსახველობით. ეს „დავითიანში“ ტრაგიკულისა და კომიკურის თანადგომის მაუწყებელია, რაც ამ ღრმადმორწმუნე ქრისტიანს რამდენადმე აშორებს კიდევაც სასულიერო მწერლობის აკადემიზმით აღბეჭდილ შაბლონთან, რასაც ბოლო ხანებში ლიტერატურული ეტიკეტი ეწოდა.

მარი ბროსე „დავითიანზე“ დაყრდნობით არა მხოლოდ გადმოგვცემს პოეტის ბიოგრაფიის ყოველ დეტალს, არამედ გარკვეულ შემთხვევაში აზუსტებს კიდევაც მათ. ასე, მაგალითად, დ. გურამიშვილის ტყვეობის ქრონოლოგიის გასარკვევად იგი მიმართავდა XVIII ს. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ მოვლენებს. მკვლევარი ყურადღებას აქცევდა იმ ფაქტს, რომ დავითის დატყვევება, „დავითიანისავე“ ჩვენებით, ზედაველას ბრძოლის დროს მომხდარა. ამ ბრძოლას კი ადგილი ჰქონდა 1724 წელს. მარი ბროსე აქ იმასაც აქცევს ყურადღებას, რომ დ. გურამიშვილი ახსენებს ვახტანგ მეექვსის ლაშქრობას დერბენდში, და უმატებს: როცა ქართველებს ვეახელ მოსკოვში, ისინი უკვე ექვსი წელი იქ ცხოვრობდნენო. აქედან გამომდინარე, გარკვეულად დგინდება პოეტის ტყვეობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარიც, თუმცა თვით მარი ბროსე ამას არ აცეთებს. მკვლევარი უყურადღებოდ არ ტოვებს დ. გურამიშვილის განმწესებას ჰუსართა პოლკში, მის მონაწილეობას ხატიანის ალებაში 1739 წელს, ფრიდრიხ ჰავანის გადაწვაში 1742 წელს და პრუსიელებთან ბრძოლაში 1757 წელს, კისტრინთან რუსი ჯარის დამარცხებას და დავითის ტყვედ ჩავარდნას, მის განთავისუფლებას და მირგოროდს დამკვიდრებას.

ამასთანავე მარი ბროსე დ. გურამიშვილის ბიოგრაფიასთან მიმართებაში ცდილობს „დავითიანის“ შექმნის ქრონოლოგიის გარკვევასაც. მკვლევრის ვარაუდით, დ. გურამიშვილი ღრმა სიბერემდე ეწეოდა პოეტურ მოღვაწეობას, თანაც მისი დამოკიდებულება საკუთარი პოეტური მემკვიდრეობისადმი გამორჩეული იყო უაღრესი სისათუთითა და გრძნობიერებით. ამას თავისი მიზნუბები ჰქონდა: ქართველი პოეტი „დავითიანს“ თავის პირმშოდ რაცხდა და სიყვარულიც მის მიმართ მამობრივი ჰქონდა. ამიტომაც, რომ იგი შთამომავლობას უკრძალავს „დავითიანის“ ხელყოფას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნებოდა მისი მშობლიური, მამობრივი გრძნობა-ღირსების შელახვაც.

მარი ბროსეს ისტორიული ექსკურსი უწინარესად „ქართლის ჰიროზეა“ დაფუძნებული. იგი დ. გურამიშვილს აფასებდა როგორც ისტო-

რიკოსს, რომელმაც შესძლო თავისი ქვეყნის ძნელბედობის ხანის რეალისტურად ასახვა, რაც სანაქებო პოეტური ხელოვნებითა და სისადავითაა დამშვენებული. ამიტომაცაა, რომ ფრანგი მეცნიერი ისტორიული თარგმანთა გადმოცემისას არ ერიდება გურამიშვილისეულ წმინდა პოეტურ სახე-ხატთა წარმოჩენასაც. მას თითქმის სიტყვა-სიტყვით თარგმანი მოაქვს პოემის იმ პასაჟისა, რომელშიც ქართლ-კახეთის საძრახი ურთიერთობა და მტრისაგან მათი დამორჩილება შედარებულია გარიალს ადევნებული ორი ქორის ბრძოლასთან, რომელმაც არწივი გამოაღვიძა და წაართვა კუთვნილი ლუკმა. მარი ბროსეს, როგორც ისტორიკოსს, ხიბლავს ის ფაქტი, რომ პოეტი მისაბაძი სიზუსტით აღწერს აგრეთვე სხვა ისტორიულ რეალიებსაც, ბოლოს კი შენიშნავს: ჭანსალი ფილოსოფია, რომლითაც სუნთქავეს მისი პოემა, აგრეთვე ლექსის სისადავე, მის ავტორს საპატიო ადგილს აკუთვნებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.⁹

მარი ბროსე საგანგებოდ ჩერდება „ქაცვია მწყემსზე“ და უწოდებს მას „უბრწყინვალეს პოემას“. მკვლევარს „ქაცვია მწყემსში“ იტაცებს უაღრესად რეალისტური სახე-ხატები, უშუალოდ ცხოვრების ყოფითი სფეროდან აღებული. იგი აღფრთოვანებულია პოემის შესავალი ნაწილით. ის ჩამოჰგავს ფრანგ შემოქმედთა ნაღვაწს, რომელიც მსუბუქია, ჰაეროვანი და გონებამახვილურიც. დ. გურამიშვილის ზომიერი იუმორი, მოწოდებული საკადრისი პოეტური გაფორმებით, მას აგრეთვე აგონებს V საუკუნის ცნობილ ბერძენ მწერალს ლონგუსს, ავტორს თხზულებისა „დაფნისი და ქლოე“. აქვე მარი ბროსე მსჯელობს „ქაცვია მწყემსის“ უსაზღვრო იუმორზეც ზოგიერთ პასაჟში, რომლის მიტანა პატიოსან საზოგადოებამდე გაჭირდებოდა. მშობელთა შესახებ ქაცვია მწყემსისეული თხრობა მასთან განმარტებულია, როგორც თვით დავითის დედ-მამის შესახებ თხრობა, ოღონდ გარდავლით, უცხო სახელდებათა ქვეშ. ბოლოს კი დაატანს, რომ შეუძლებელია ადამიანთა სულიერი მდგომარეობის ასახვა მეტი ფილოსოფიური სიღრმით, გონიერებითა და პოეტური გემოვნებით.

აქვე საგანგებოდაა ხაზგასასმელი, რომ მარი ბროსესათვის არსებითად გაუგებარი დარჩა „ქაცვია მწყემსის“ დასასრული. ამიტომაც ერთგვარი გულისტკივილითაც კი აღნიშნა მან: აქ ქრება პოეტური კომიზმი დავითისა და ეს უაღრესად ორიგინალური პოემა, რომელიც ლონგუსის ბრწყინვალე ფურცლებს გვაგონებს, მთავრდება დამოძღვრასა და მსოფლიო წარღვნაზე ცივი გადასვლით. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ გაურკვევლობა სუფევდა მარი ბროსეს შემდეგაც დიდხანს. მხოლოდ ბოლო ხანებში შეინიშნება სერიოზული ცდა „დავი-

⁹ იქვე, გვ. 329.

თიანის“ სიუჟეტურ-კომპოზიციურ კანონზომიერებათა ძიებისა¹⁰, რამაც შესაძლოა მომავალში დაადასტუროს აზრი, რომ „ქაცვია მწყემსიც“ მთავრდება ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო დ. გურამიშვილის ესთეტიკურ-პოეტიკური კონცეფციით.

მარი ბროსეს არც „დავითიანის“ მხატვრული მხარე რჩება უყურადღებოდ. მისი დაკვირვებით დ. გურამიშვილი, როგორც უნიჭიერესი პოეტი, თავის ძალას სცდიდა ნაციონალური პოეზიის თითქმის ყველა რთულ დარგში. ამასთან დაკავშირებით მას ზედმეტად არ მიაჩნია ევროპული პოეზიის გახსენება, განსაკუთრებით აკროსტიხებისა. ცალკე გამოჰყოფს იგი ანბანთქებას, აღნიშნავს მისი აღქმის სირთულეს. მასთანვეა დაკავშირებული „ზმა“, რომელიც, მისი აზრით, ქართული ენის მონაპოვარია და რომლის ხიბლთან ზიარება მხოლოდ ამ ენის ღრმად მცოდნისათვისაა ხელმისაწვდომი. ფრანგი მეცნიერის განმარტებით, ზმისთვის ზრუნვა ქართულ ენობრივ სამყაროში ამკვიდრებს რთულ პოეტურ საქციელებს. დ. გურამიშვილთან მიმართებაში აქ მას ახსენდება ფრანგი ევგენი პრადელის ბრწყინვალე იმპროვიზატორული ტალანტი. „დავითიანის“ ლიტერატურული ენის დახასიათებისას მარი ბროსე შედარებისათვის მოიხმობს „უდიდეს მწერლებს“ (ბუალოს, რასინს...) და ქართველი ავტორის თავისებურებას იმაში ხედავს, რომ მისთვის საგრძნობლად ამაღლებული სტილი არაა დამახასიათებელი.

„დავითიანის“ განხილვისას მარი ბროსე დ. გურამიშვილის პოეტიკის საკითხებსაც ეხება. შესაძლოა მისი პოეტიკური განსჯანი მთლიანად ვერ შეესაბამებოდეს თანამედროვე მეცნიერული მოთხოვნების დონეს (გ. ფარულავა), მაგრამ თავისი დროისათვის მას უთუოდ ჰქონდა კულტურული ღირებულება. საინტერესოა მისი დაკვირვება, რომ „დავითიანში“ დადასტურებული მეტრთა მრავალფეროვნება განპირობებულია ამ მხრივ ქართულ-რუსულ ხალხურ სიმღერათა მრავალფეროვნებითა და ღათი გადმოცემის აუცილებლობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ დიდი მარი ბროსეს ღვაწლი ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ დარგში მის მეცნიერულ განსჯას არა მხოლოდ ისტორიული, არამედ სადღეისო მნიშვნელობაც აქვს.

ყოველივე ზემოთქმული ღრმა პატივისცემის გრძნობით განგვაწყობს არა მარტო მარი ბროსეს მიმართ, რომლის სიცოცხლე, ინტელექტუალური და გრძნობადიც, ქართველთა სიყვარულში დაიფარა, არამედ მისი მშობელი ფრანგი ხალხის მიმართაც.

¹⁰ რ. ს. რაძე, წერილები, თბ., 1980, გვ. 128—129, 148. შტრ. მისივე, სახისმეტყველება, თბ., 1980, გვ. 228—234.

პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი ჩვენი ქვეყნის წარსულისა და მისი მდიდარი კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარია. ქართველოლოგი, პედაგოგი, პუბლიცისტი, ჩინებული მამულიშვილი წარსულსა და მის კულტურულ მემკვიდრეობას უყურებდა და სწავლობდა არა როგორც სიძველეთა მოყვარული, არამედ როგორც თავისი ქვეყნის აწმყოს მოპირნახულე და მისი მერმისის უკეთესის მოსურნე. მისი აზრით, წარსული მხოლოდ არქეოლოგების საგანი არაა, „წარსულის ცოდნა აუცილებელია, მის გარეშე არ არსებობს აწმყო და მომავალი, არ შეისწავლება არც ერთი და არც მეორე“. მას სწამს, რომ მხოლოდ ისტორიის ღრმა ცოდნით შეიარაღებულ გონებასა და თვალს შეუძლია ჩასწვდეს და დაინახოს წარსული, ასარგებლოს აწმყოს, განჭკვიტოს მომავალი.¹

პ. იოსელიანს ოჯახურმა წრემ და გარემომ კარგი განათლების მიღების შესაძლებლობა მისცა, რამაც ნიჭიერ პიროვნებას გზა გაუყავდა ცხოვრებაში და სამეცნიერო-ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე გამოიყვანა.

პ. იოსელიანი დაიბადა ქ. თბილისში 1809 წლის 18 ნოემბერს. 1816 წელს შიბარეს ითანე ნათლისმცემლის სამრევლო სკოლაში. 1817 წ. მეფის ხელისუფლებამ გააუქმა ეს სასწავლებელი. პ. იოსელიანი თბილისში ახლად გახსნილ სასულიერო სემინარიაში გადავიდა². 1829 წ. დაამთავრა სემინარია და განაგრძო ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს დაწყებული პედაგოგიური მუშაობა. 1830 წ. სამრევლო სკოლების ინსპექტორისა და სემინარიის ბიბლიოთეკარის თანამდებობაზეა. 1831 წელს სწავლის გასაგრძელებლად მოდის პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში³ (პ. იოსელიანი იყო პირველი ქართველი, რომელმაც განათლება მიიღო ამ აკადემიაში). აკადემია დაამთავრა 1835 წ. ლვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით და მის აღმზრდელ სემინარიას დაუბრუნდა. 1836—1842 წლებში ნიიწეის მასწავლებლად თბილისის სომხურ სასულიერო სასწავლე-

¹ П. Иоселиани. Путевые записки от Тифлиса до Мухета, «Кавказ», 1870, № 19.

² ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, პ. იოსელიანის არქივი, № 5.

³ თ. ტაბლიაშვილი, დოკუმენტური მასალები პ. იოსელიანის შესახებ, „საისტორიო მოამბე“, № 27—28 (1973), გვ. 126—127.

ბელსა და სემინარიაში⁴. 1842 წელს ინიშნება თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში ქართული ენის მასწავლებლად. 1842 წლიდან თავს ანებებს სემინარიას და იწყება მისი კარიერა როგორც სახელმწიფო მოხელისა (ჯერ სინოდის კანცელარიის მოხელე 1848 წლამდე, შემდეგ პროკურორი 1856 წლამდე და ბოლოს კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიაში V კლასის საგანგებო დავალებათა მოხელე).⁵ პ. იოსელიანმა მოხელის ეს გზაც კეთილსინდისიერი მუშაყის სახელით განვლო. ამ თანამდებობებს მისთვის ხელი არ შეუშლია ყოფილიყო მხურვალე პატრიოტი და ნაყოფიერად განეგრძო მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. აქაც სათანადო აღიარება მოიპოვა. იგი არჩეული იყო სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად თუ წევრად. 1840 წ. აირჩიეს ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის წევრ-კორესპონდენტად, 1847 წელს — ოდესის ისტორიისა და სიძველეთა საზოგადოების ნამდვილ წევრად, ხოლო 1849 წ. პეტერბურგის არქეოლოგიურ-ნუმისმატიკური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად. მისი სახელი, როგორც სიძველეთა შესანიშნავი მცოდნისა, რუსეთის იმპერიის ფარგლებსაც გასცდა და 1864 წელს არჩეულ იქნა საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად, 1868 წელს — პარიზის აღმოსავლური ენების საზოგადოების წევრად.

პ. იოსელიანი გარდაიცვალა 1875 წლის 15 ნოემბერს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლიტერატურული მოღვაწეობა პ. იოსელიანმა ადრე დაიწყო. პირველი ნაბიჯები ხელნაწერების გადაწერითა და მთარგმნელობით გადადგა⁶. უფრო ნაყოფიერია ამ მხრივ პეტერბურგში სწავლის პერიოდი. სტუდენტობის დროს პ. იოსელიანი იქ მცხოვრებ ქართველ მწიგნობართა წრეში ტრიალებდა. ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სამეფო სახლის (როგორც ქართლ-კახეთის, ისე იმერეთის) წარმომადგენლებთან, სარგებლობდა მათი ბიბლიოთეკებით, სადაც ეცნობოდა ქართულ ხელნაწერებს. სწავლულ ბატონიშვილებთან ურთიერთობა აძლიერებს მასში ლიტერატურული საქმიანობის სურვილს, ეწყება ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობას, თარგმნის ლათინური, რუსული და გერმანული ენებიდან, როგორც ამას მოწმობს

⁴ კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, პ. იოსელიანის არქივი, № 118 (S № 40/84).

⁵ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, პ. იოსელიანის არქივი, № 5.

⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი, H № 2261 (გადაწერილი 1827 წ., დუშეთში), H № 3068 (თარგმნილი 1829 წ.).

ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ხელნაწერი⁷ და თვით პ. იოსელიანის ცნობა.⁸

პ. იოსელიანის როგორც ქართველოლოგის ნაყოფიერი მოღვაწეობის ხანა იწყება საქართველოში დაბრუნების შემდეგ. იგი თბილისის მაღალ საზოგადოებაში თავიდანვე თვალსაჩინო ადგილს იჭერს. პირადი მეგობარია ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის; ნ. ბარათაშვილისა და სხვ. მოწინავე ქართველი საზოგადოების ინტერესებით გამსჭვალული ცდილობს თავისი ცოდნა და განათლება მის ქვეყანას მოახმაროს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან მისი დაკავშირება, რამაც თავიდანვე სწორად წარმართა პ. იოსელიანის მეცნიერული მოღვაწეობა. უფრო ცხოქელი და მიზნობრივი ხდება მისი დაინტერესება ჩვენი ქვეყნის სიძველეებით, კერძოდ ქართული მწიგნობრობით. აკადემიისათვის საქართველოს შესახებ მასალების მიწოდებას პ. იოსელიანი 1836 წლიდან იწყებს. ამას მალე მოჰყვა ურთიერთობა მ. ბროსესთან. პ. იოსელიანს კარგად ესმოდა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მ. ბროსეს მოღვაწეობას ქართული კულტურის მსოფლიო მეცნიერების ფართო ასპარეზზე გასატანად და გულწრფელად ცდილობდა ყოველმხრივ შეეწყო ხელი. პ. იოსელიანი პირველად თვითონ წერს წერილს მ. ბროსეს ფრანგულ ენაზე 1838 წ. თებერვალში და შორიდან ეცნობა მას.⁹ თან უგზავნის მის მიერ გამოცემულ ქართულ ანბანსა და ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობის“ საუკეთესო ხელნაწერს საკუთარი ბიბლიოთეკიდან. ამის შემდეგ მათ შორის მიწერ-მოწერა, უკვე ქართულ ენაზე, და საერთოდ საქმიანი ურთიერთობა დიდხანს არ შეწყვეტილა¹⁰.

პ. იოსელიანი წლების მანძილზე ერთგულად კრებს სხვადასხვა ხასიათის მასალებსა და ცნობებს (ეხება ეს ისტორიას, არქეოლოგიას, ლიტერატურას, ფოლკლორს, ხელოვნებათმცოდნეობას, ეპიგრაფიკას, თუ ნუმისმატიკას), აწერინებს ასლებს სიგელ-გუჯრებიდან და ხელნაწერებიდან, ამზადებინებს პირებს ფრესკებისა და ხელნაწერების მხატვრობიდან და სხვა. ამ მასალების გასაცნობად და შესაკრებად იგი მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ამ მიზნით პირველად არაგვის ხეობას მიმართა, სადაც მოიპოვა 21 ხელნაწერი.

⁷ ლენინგრადის მ. სალტაჟოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა, მ. საბინინის კოლექციის ხელნაწერი, № 7 (1833 წ.); ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები: H № 2317 (1834 წ.), H № 2308 (1835 წ.).

⁸ პ. იოსელიანის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომების კრებული, 1941, გვ. 159.

⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. ბროსეს არქივი, № 72. ეს წერილი გამოქვეყნებული არაა.

¹⁰ პ. იოსელიანის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ბათუმი, 1941.

1841 წ. იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში, მოიარა იმერეთი, გურია, აფხაზეთი, სვანეთი, ლეჩხუმი და მრავალი საინტერესო მასალა შეაგროვა. ადგილებზე გაეცნო და აღწერა ეკლესია-მონასტრებში დაცული ხელნაწერები. ჭერ კიდეც 1839 წ. გაზაფხულზე სვეტიცხოვლის ბიბლიოთეკა გადასინჯა. იქ ნახა ძველი ქართული მწერლობის საყურადღებო ძეგლები: ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავი“, რუის-ურბნისის „ძეგლის წერა“ და ეფრემ მცირის „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისა...“. ისინი გადასაწერად მიუცია მწერლისათვის¹¹. ბევრი წიგნი უნახავს და წაუკითხავს ბოდბელთან, რუსთველთან და სხვებთან, როგორც თვითონ იგონებს შემდეგ¹².

პ. იოსელიანის დამსახურებაა „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის პირველი ხელნაწერების აღმოჩენა¹³, მანვე მიაკვლია ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიას. პ. იოსელიანის სახელს უკავშირდება ძველი „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ერაჯ ჭალაშვილისეული ხელნაწერის მოპოვებაც თავის დროზე.¹⁴

პ. იოსელიანმა პირველმა მიაქცია ყურადღება ეკლესია-მონასტრების სიგელ-გუჯარებს. მათი შეკრება, გარჩევა-აღწერა მეტად საშურ საქმედ ცნო. შეძლო ამ საქმით აკადემიის დაინტერესება და 1838 წ. აკადემიის და სინოდის განკარგულებით მას მიენდო საქართველოს სინოდის კანტორის ძველი საისტორიო დოკუმენტების გარჩევა¹⁵. ამ დოკუმენტების ცნობებს შემდეგ უხვად იყენებდა თავის შრომებში და ბევრი მათგანი ნაწილობრივ გამოაქვეყნა კიდეც. პ. იოსელიანის ამ დეაწლს მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო აკადემიის, არამედ, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნისათვის. ამით საფუძველი ეყრებოდა და ნიადაგი მზადდებოდა საკვლევადიებო მუშაობისათვის საქართველოშიც. პირველი ნაბიჯი აქაც პ. იოსელიანმა გადადგა. მან დაწერა მონოგრაფიული ნაშრომი „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“ რუსულ ენაზე, რომელიც 1839 წ. წარადგინა კიევის აკადემიაში, აქედან განსახილველად გადაეგზავნა სინოდის ობერ-პროკურორსა და მეცნიერებათა აკადემიას პეტერბურგში,¹⁶ სადაც გამოქვეყნდა კიდეც 1843 წ.¹⁷ 1838-41 წლებში სცემს „საქართველოს კალენდარს“, აქვეყნებს პუბლიცისტურ წერილებსა და ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის სტატიებს

¹¹ ი ქ ე ე, გვ. 167.

¹² „ცისკარი“, 1869, № 3, გვ. 5.

¹³ პ. იოსელიანის წერილები მ. ბროსესადმი, გვ. 169—181.

¹⁴ ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, VIII, თბ., 1977, გვ. 374—375;

ქ. გ რ ი გ ო ლ ი ა, რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1971, გვ. 22.

¹⁵ ხელნაწერთა ინსტიტუტი, პ. იოსელიანის არქივი, № 5.

¹⁶ ი ქ ე ე.

¹⁷ გ. შ ა რ ა ძ ე, პ. იოსელიანი — რუსთველოლოგი, თბ., 1980, გვ. 39.

რუსულ ეურხალეებში. ჯერ კიდევ 1839 წ. დაიშსახურა მადლობა მეცნიერული შრომებისათვის კიევის სასულიერო აკადემიის, ხოლო 1840 წ. სინოდის ობერ-პროკურორისაგან.¹⁸

1843 წ. პ. იოსელიანმა „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“ გამამუშავებული და შევისებული სახით გამოსცა პეტერბურგში. იგი წარადგინეს დემიდოვის სახელობის პრემიაზე პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში, მაგრამ უარი ეთქვა როგორც მეორე გამოცემას. პ. იოსელიანი განაწყენებული რჩება, რადგან ამ უმადურობას იგი ხსნიდა საერთოდ ქართული კულტურისა და საქართველოსადმი უყურადღებობით¹⁹. ამ წიგნმა დიდი როლი შეასრულა იმ დროს არა მარტო ქართული ეკლესიის ისტორიის, არამედ საქართველოს ისტორიის, მწერლობისა და საერთოდ ქართული კულტურის ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის გაცნობის საქმეში. მან დაიშსახურა ყურადღება და მაღალი შეფასება დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის ნ. ნეკრასოვისა, რომელმაც ხელმოუწერელი რეცენზია დაბეჭდა 1843 წელს „Литературная газета“-ში. წიგნის ავტორის შეხედულებების მკითხველი საზოგადოებისათვის უკეთ გაცნობის მიზნით ნ. ნეკრასოვი ბეჭდავს პ. იოსელიანის შრომის პირველ თავს, რომელიც შეეხება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ხანას.²⁰ ამ წიგნმა ქართული კულტურის სახელი უფრო შორსაც გაიტანა. 1866 წ. ლონდონში გამოქვეყნდა მისი ინგლისური თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ცნობილ პოლიგლოტს სოლომონ სიზარ მალანს. ინგლისელი ქართველოლოგის დ. ლანგის ცნობით, მთარგმნელმა წიგნს „დაურთო იმდენი სასარგებლო შენიშვნა, რომ იგი დღემდე ძვირფას საცნობარო წიგნად რჩება“.²¹

პ. იოსელიანის, როგორც საზოგადო მოღვაწის, ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის დანიშვნას გაზ. „Закавказский вестник“-ის რედაქტორად²². ხელმძღვანელობდა რა ამ გაზეთს 1845-50 წლების მანძილზე, პ. იოსელიანი იყენებდა მას თავისი წერილებისა და შრომების გამოსაქვეყნებლად. ხშირად ბეჭდავდა წერილებს „Кавказский

¹⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტი, პ. იოსელიანის არქივი, № 5.

¹⁹ პ. იოსელიანის წერილები მ. ბროსესადმი, გვ. 192.

²⁰ ს. ხუციშვილი, ნ. ნეკრასოვი და პ. იოსელიანი, „ლიტერატურული გაზეთი“, 20. V. 1960, № 21.

²¹ დ. ლანგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში, „ცისკარი“, 1957, № 4, გვ. 140.

²² პ. იოსელიანის რედაქტორულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის შესახებ იხ. ნ. მახარაძე, Платон Иоселиани в «Закавказском вестнике», „ეურნალისტიკის ისტორიისა და თეორიის საკითხები“, III (1974), გვ. 366—388; Д. Ватенишвили, Журналистская деятельность П. И. Иоселиани, წიგნში: А. А. Барамидзе, Д. Л. Ватенишвили, П. И. Иоселиани. Очерк жизни и научной-общественной деятельности, Тб., 1978 გვ. 52—115.

კალენდარს“-სა და „Кавказ“-ში. მის წერილებში ნათლად ჩანს ამ არქაისტის სახელით მონათლული სწავლულის თანადროულობისადმი დიდი ინტერესი და განმანათლებლური ღვაწლი. პ. იოსელიანის წერილებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მხატვრული ნარკვევების სახით არის დაწერილი, შეზავებულია მეცნიერ-ისტორიკოსის დიდი ერუდიცია მხატვრულ ნიჭსა და გემოვნებასთან. მათში საყურადღებო ცნობებია მოცემული ჩვენი ისტორიისა და მწერლობის შესახებაც.

დიდი მოვლენა იყო ქართული კულტურის საზღვარგარეთული ცენტრების შესწავლის ისტორიაში პ. იოსელიანის მოგზაურობა ათონის მთასა და კონსტანტინოპოლში. მკვლევრისათვის კარგად იყო ცნობილი ათონის ივერთა მონასტრისა და იერუსალიმის ქართული ხელნაწერების მდიდარი კოლექციების არსებობაც და მნიშვნელობაც. ამ ეროვნული საგანძურის შესასწავლად ზრუნვა მას აღრევე დაუწყია. მისი დავალებით ათონის მონასტრის ბერს ილარიონ ყანჩიშვილს 1836 წ. შეუდგენია ათონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კატალოგი²³. 1837 წლიდან ცდილობს ათონზე გამგზავრებას მეცნიერებათა აკადემიის დახმარებით. ეს განზრახვა მაშინ განუხორციელებელი დარჩა, ამიტომ შემდეგ სხვა გზით მიმართა ენერგიულ ზომებს.²⁴

1849 წლის გაზაფხულზე პ. იოსელიანი კავკასიის მეფისნაცვლისა და სინოდის კანტორის ნებართვითა და დავალებით სამეცნიერო მიზნით გაემგზავრა ათონზე. ათონის გარდა იყო კონსტანტინოპოლსა და საბერძნეთის სხვა ქალაქებში. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ათონის ივერთა მონასტრის და კონსტანტინოპოლის იერუსალიმის საპატრიარქოს მეტოქის ბიბლიოთეკის ხელნაწერების გაცნობის შედეგად მოპოვებული მასალები. პ. იოსელიანს ბევრი ძვირფასი ხელნაწერი უნახავს, გადაუსინჯავს, გადაუკითხავს, ზოგი გადაუწერია და ზოგი დროებით წამოუღია საქართველოში. ამ დიდ ქართველ სწავლულს ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია და ისეთი ნდობა მოუპოვებია, რომ მას ნება დართეს საქართველოში ჩამოეტანა გადასაწერად ათონის ბიბლია, რაზედაც, თავის დროზე, ათონის ბერებმა უარი უთხრეს რუსეთის ბიბლიურ საზოგადოებას. სამწუხაროდ, პ. იოსელიანს ათონის ხელნაწერების სია არ გამოუქვეყნებია, თუმცა დაპირება გამოთქვა.²⁵ ამ მოგზაურობის შედეგებს ჩვენ ვეცნობით მის შემდეგდროინდელ შრომებსა და ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემებში.

²³ ნ. მახათაძე, პ. იოსელიანი და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II (1964), გვ. 194—195.

²⁴ მოხსენებითი ბარათი კავკასიის მეფისნაცვლის მ. ვორონოვისადმი (30.XI. 1848 წ.), ხელნაწერთა ინსტიტუტი, პ. იოსელიანის არქივი, № 23.

²⁵ ტ. გაბაშვილი, მოხილვა, თბ., 1852, გვ. 39.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პ. იოსელიანის ღვაწლი ძველი ქართული მწერლობის ძეგლების ბეჭდურად გამოცემის საქმეში²⁶. პ. იოსელიანი ამ საქმესაც ისეთივე დიდი ენთუზიაზმით შეუდგა, როგორც ხელნაწერების შეკრებას. პირველ ყოვლისა საერო მწერლობის ძეგლები შეარჩია გამოსაქვეყნებლად. 1838 წელს დაბეჭდა ჩანარუხაძისა და შავთელის ოდები. 1851 წელს გამოსცა იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“. ათონსა და საბერძნეთში მოგზაურობის შედეგი უნდა ყოფილიყო სამოგზაურო-მემუარული ჟანრის თხზულებებით დაინტერესება. 1852 წ. გამოაქვეყნა ტ. გაბაშვილის „მოხილუა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთსა ადგილთა“ და ი. გედევანიშვილის „მიმოსულა ანუ მგზაურობა“. წიგნების წინასიტყვაობაში მოცემულია ავტორების მოკლე ბიოგრაფია და ცნობები ხელნაწერების შესახებ. 1853 წ. იბეჭდება ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“, რომელსაც წამძღვარებული აქვს ანტონის ცხოვრება-მოღვაწეობის მიმოხილვა (სამივე წიგნს სქოლიოებში დართული აქვს გამოცემლის ბიბლიოგრაფიული თუ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნა-განმარტებანი, რომლებიც ყოველთვის მისაღები არაა). უკანასკნელად იმავე წელს აქვეყნებს არჩილის „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასების“ ნაწილს სახელწოდებით „ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა“, რომელსაც აქა-იქ ერთვის ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნები. განზრახული ჰქონია „დასტურლამალის“ გამოცემა²⁷, რაც ვეღარ შეუსრულებია და ქართული წიგნების ბეჭდვაც შეუწყვეტია. პ. იოსელიანი უდიდეს ეროვნულ საქმედ თვლიდა საუკუნეების ქართვეხილებს გადარჩენილი ლიტერატურული საუნჯის დროულად გამოშვებებს. პ. იოსელიანს ღრმად სჯეროდა, რომ ამ წიგნებს საჩვენებლობის მოტანა შეეძლო ახალგაზრდობისათვის. ამიტომ ცდილობდა იგი, რომ მშობლიური ლიტერატურის მისეული გამოცემები გაეცრელებინა მოსწავლე ახალგაზრდობაში. მან ამიერკავკასიის სასწავლო უწყებას გადასცა მის მიერ გამოცემული 5 ქართული წიგნი (თითოეული 150 ცალი), გიმნაზიისა და სხვა სასწავლებლების აღსაზრდელებისათვის ყოველწლიურ ჯილდოდ მისაცემად.²⁹

მართალია, პ. იოსელიანის გამოცემები დღევანდელ მეცნიერულ დონეს ვერ აკმაყოფილებენ, მაგრამ თავის დროზე, მათ საშვილიშვილო წვლილი შეიტანეს ძველი ქართული მწერლობის პოპულარიზაციის საქმეში.

²⁶ ლ. გვარამაძე, პლატონ იოსელიანი რედაქტორ-გამომცემელი, „ტექსტოლოგიის საკითხები“, III (1971), გვ. 138—174.

²⁷ პ. იოსელიანის წერილები მ. ბროსესადმი, გვ. 194.

²⁸ „ცისკარა“, 1869, № 3, გვ. 4—5.

²⁹ კ. შარქიძის ხატვლობას საჯარო ბიბლიოთეკა, პ. იოსელიანის არქივი, № 120. (S №: 40/132).

3. იოსელიანის კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობიდან აღსანიშნავია მისი დამსახურება ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის ისტორიაში. მას ძველი ქართული მწერლობის შესახებ საგანგებო გამოკვლევები არ დაუწერია (გამონაკლისს წარმოადგენს მისი „შოთა რუსთველი“). მისი შეხედულებანი ძველი ქართული მწერლობის წარმომადგენლებისა და ძეგლების შესახებ გაბნეულია ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ხასიათის შრომებსა და წერილებში, მის მიერ გამოცემული ძეგლების წინასიტყვაობებსა და შენიშვნებში, საგზაო ჩანაწერებსა და სიძველეთა აღწერილობებში. ზოგიერთი საკითხი და ცნობა, რომელსაც განიხილავს და გვაწვდის მკვლევარი, დღესაც არაა მნიშვნელობას მოკლებული, ზოგი ცნობის ერთადერთ წყაროდ დღესაც პ. იოსელიანია, ბევრს კი ახლა მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ ამა თუ იმ საკითხის ისტორიისათვის.

3. იოსელიანის მოსაზრებანი ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებზე შეიძლება განვიხილოთ შემდეგი თანამიმდევრობით: ქართული დამწერლობის წარმოშობა და დასაწყისი ქართული მწერლობისა, სასულიერო მწერლობის ძეგლები, კლასიკური ხანის ქართული პოეზიის წარმომადგენლები, ალორძინების ხანის ზოგიერთი წარმომადგენელი.

3. იოსელიანის შეხედულებით დამწერლობა და მწერლობაც ქართველებს ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ჰქონიათ³⁰. ხუცური ანბანის შემოღებას, სომეხ ისტორიკოსთა თანახმად, მესროპს მიაწერდა (იმოწმებდა მ. ჩამჩიანის ისტორიას).³¹ პ. იოსელიანს გადაუჭრელად მიაჩნია მხოლოდ საკითხი, თუ პირველი ქრისტიანული წიგნების თარგმანები როგორი დამწერლობით იქნებოდა შესრულებული — მესროპის მიერ შემოღებული, თუ ჯერ კიდევ ფარნაოზის მიერ შექმნილი ანბანით, რომლითაც დაწერილი იყო, მისი რწმენით, „ნებროთის წიგნი“ და რომელზეც დაიწერა, თითქოს, აბიათარისა და სიდონიას მიერ აღწერილი „ნინოს ცხოვრება“. პ. იოსელიანის სამართლიანი შეხედულებით ქართულ ენაზე საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნას ადრევე უნდა შედგომოდნენ. მან პირველმა მიუთითა „ქართლის ცხოვრების“ ცნობაზე არჩილ მეფის დროს ქართულ ენაზე, სახარების თარგმნის შესახებ. იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ქართველები V საუკუნეში დანამდვილებით ქართულ ენაზე ასრულებდნენ ღვთისმსახურებას, პ. იოსელიანმა პირველმა გამოიყენა საბა განწმენდილის ანდერძის ცნობა.³²

³⁰ „ცისკარი“, 1869, № 3, გვ. 1—2.

³¹ П. Иоселиани. Описание древностей города Тифлиса, Т., 1866, 33. 152.

³² იქვე.

ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ძეგლებისა და მათი ავტორების შესახებ თავისი მოსაზრებანი, თუ ცალკეული შენიშვნები პ. იოსელიანს ძირითადად მოცემული აქვს ორ შრომაში: „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“ და „ქართული ეკლესიის წმინდანთა ცხოვრების აღწერა“. ეს უკანასკნელი გამოაქვეყნა ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერების გაცნობის შემდეგ და გამდიდრებულია იქ მოპოვებული მასალებით. ძირითადი წყაროები ავტორისათვის, როგორც თვითონ ასახელებს, არის „ქართველ მამათა ცხოვრება“ (XVII—XVIII სს-ში შედგენილი ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის კრებულები), ანტონის „მარტირიკა“ და დაბეჭდილი წიგნები („ჟამნი“ და „სადღესასწაულო“). წიგნს უხვად აქვს დართული ავტორისეული ისტორიული, გეოგრაფიული, ქრონოლოგიური და ფილოლოგიური შენიშვნები. წიგნში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით საგანგებოდაა განხილული 5 წმინდანის „ცხოვრება-წამება“: ქართველთა განმანათლებლის ნინოს, რაქდენის, შუშანიკის, იოანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელისა, დანარჩენთა შესახებ ავტორის მოსაზრებებს ვეცნობით მხოლოდ შენიშვნებში, რომლებიც დართული აქვს ქართული ეკლესიის წმინდანთა ხსენების დღეების მიხედვით ჩამოთვლილ სახელებს.

ქართული ორიგინალური ლიტერატურის არსებობას, როგორც აღვნიშნეთ, პ. იოსელიანი, თუ უფრო ადრე არა, ქართლის გაქრისტიანების დროიდან მაინც ვარაუდობს. ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფიის და ჰიმნოგრაფიის დასაწყისს უკავშირებს ქართველთა განმანათლებლის ნინოს სახელს. პირველი ძეგლი, რომელსაც მწერლობის ისტორია იცნობს, მკვლევრის აზრით, არის „ნინოს ცხოვრება“. მას უკრიტიკოდ აქვს გაზიარებული მემატიანის ვადმოცემა, რომ ნინოს თავგადასავალი თვით ნინოს მიერ ნაამბობი, ჩაიწერა მაშინვე სალომე უჯარმელის მიერ, ხოლო ნაწილი „ნინოს ცხოვრებისა“ აღიწერა ნინოს თანამედროვეთა, აბიათარისა და სიდონიას, მიერ. ადრინდელ შრომაში სალომე უჯარმელის ნაცვლად ჩამწერად კახეთის დედოფალ სუჯის (რუსულად სოფიოდ თარგმნის) მოიხსენიებს³³. „ნინოს ცხოვრების“ რედაქციებიდან ძირითადად იგი იყენებს მატიანისეულსა და კრებულების მოთხრობას. იცნობს უცნობი ავტორის რედაქციასაც, აგრეთვე „სხუად აღწერილ ნინოს ცხოვრებას“ (იგულისხმება ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი სუეტისა ცხოველისა...“). ეფრემ მცირის შრომას — „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა...“ იმეორებს ნინოს პიროვნებისა და ქართლის მოქცევის საკითხებზე

³³ П. Иоселиани, Краткая история грузинской церкви, СПб., 1843, гл. 16; მისივე, Описание древностей г. Тифлиса, гл. 152, შენ. 3.

მსკელობის დროს.³⁴ გაზიარებული აქვს ეფრემის შეხედულება ნინოს სახელის, ანტიოქიის პატრიარქის ევსტათის საქართველოში მოსვლისა და ქართული ეკლესიის ანტიოქიის პატრიარქზე დამოკიდებულების შესახებ. ეფრემ მცირეს შეცდომით თვლის ათონის მთის IX თუ X საუკუნის³⁵ მოღვაწედ. ნინოს ცხოვრებასთან დაკავშირებით გადმოსცემს ნინოს ვაზის ჯვრის შემდგომ ისტორიასაც, რომელიც სომხურ სენაქსარებშია აღწერილი. პ. იოსელიანის წყარო ამ შემთხვევაში მ. ჩამჩიანის „სომხეთის ისტორია“ (სომხურ ენაზე).³⁶ პ. იოსელიანის არქივში დაცულია მისი ავტოგრაფი „ჯუარისათვის წმიდისა ნინოსსა“, რომელიც წარმოადგენს მ. ჩამჩიანის „ისტორიის“ სათანადო ადგილის თარგმანს.³⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტში არის აგრეთვე მ. ჩამჩიანის ისტორიის ქართული თარგმანის ფრაგმენტები (H № 3107), რომელიც შესრულებულია XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, თარგმნის ინიციატორი უნდა იყოს პ. იოსელიანი.³⁸

პ. იოსელიანი ქრონოლოგიურად შემდეგ ადგილს უთმობს „რადენის წამებას“. ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს მიაკუთვნებს „შუშანიკის წამებასაც“. პ. იოსელიანისა და მ. ბროსეს დამსახურებაა, სომხური წყაროების მოშველიებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში დაშვებული შეცდომის გასწორება შუშანიკის წამების თარიღის განსაზღვრაში. რაც შეეხება „შუშანიკის წამების“ ავტორს, ანტონ კათალიკოსის შემდეგ პ. იოსელიანს პირველად აქვს შემჩნეული, რომ იგი დაუწერია შუშანიკის თანამედროვესა და ყოველივეს თვალით მხილველს, დედოფალთან მყოფ ვინმე ხუცესს. „შუშანიკის წამების“ შინაარსის გადმოცემაში პ. იოსელიანის მონათხრობს ეტყობა ანტონის „მარტირიკის“ გავლენა. თხრობის დასაწყისი „ქართლის ცხოვრებიდან“ არის ამოღებული, იაკობ ხუცესის თხზულების მიხედვით აღწერილია ძირითადი ნაწილი — თვით მოწამის თავგადასავალი. „ქართლის ცხოვრებიდანვე“ აღებული თხრობის დასასრულის პირველი ნაწილი, მეფის მიერ ვარსქენის დასჯა და შუშანიკის ცურტავს დაკრძალვა დიდი პატივით (რაც იაკობის შრომაში არაა), შეცვლილია მხოლოდ მეფის სახელი ბაკური—ვახტანგით. ანტონის „მარტირიკაში“ შუშანიკის შესა-

³⁴ П. Иоселиани. Краткая история грузинской церкви, гл. 18.

³⁵ П. Иоселиани, Жизнеописание святых прославляемых православною грузинскою церковию, Т., 1850, гл. 9.

³⁶ Краткая история грузинской церкви, гл. 9—10; Жизнеописание, гл. 29.

³⁷ ხელნაწერთა ინსტიტუტი, პ. იოსელიანის არქივი, № 39.

³⁸ ლ. მელიქსეთ-ბეგი, შიქელ ჩამჩიანის „სომხეთის ისტორიის“ ქართული თარგმანი, საქ. სახ. მუზეუმის შოამბე, VIII (1935); მისივე, ეპიზოდი პ. იოსელიანის ცხოვრებიდან, „ლიტერატურული გაზეთი“, 1938, № 31.

ხებ მთელი თხრობა ამით მთავრდება. პ. იოსელიანს კი დასასრულს დაუმატებია კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც ეხება შუშანიკის ნეშტის თბილისში გადმოსვენებასა და მეტეხის ტაძარში დაკრძალვას.³⁹

პ. იოსელიანი არის აღმომჩენი ანონიმური ჰაგიოგრაფიული ძეგლისა, „წამება ყრმათა წმიდათა რიცხვთ ცხრათა“. თხზულება შემონახულია X საუკუნის ერთადერთ ხელნაწერში (ათონის მრავალთავი, № 57). ათონის ხელნაწერებში ასეთი ძეგლის არსებობის შესახებ ცნობა პ. იოსელიანს ჯერ კიდევ 1842 წ. ჰქონია ხელთ (ილარიონ ყანჩიშვილის ათონის ხელნაწერების აღწერილობა), ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ პ. იოსელიანმა 1849 წელს ათონზე ყოფნის დროს სწორედ ამ ძეგლს მიაქცია ყურადღება; გადმოიწერა და ჩამოიტანა საქართველოში.⁴⁰ პირველი ცნობა ამ ძეგლის შესახებ (ხელნაწერის გაცნობამდე) მან შეიტანა 1844 წ. გამოქვეყნებულ შრომაში.⁴¹ მასში ქალაქ კოლას აღწერილობასთან დაკავშირებით წერს: „იქ დღემდე არის ეკლესია წამებულთა სამარხებით, რომლებიც ცნობილნი არიან ქართულ წიგნებში ქალაქ კოლაში წამებულთა სახელით“. 1850 წ. ეს შრომა ცალკე წიგნად გამოიცა. ზემოთ მოტანილ ადგილს გაკეთებული აქვს შემდეგი შენიშვნა. „მათი ცხოვრების აღწერა, საქართველოში უცნობი, აღმოჩენილი იქნა ჩემს მიერ ათონის მთის ივერის პორტაიტის მონასტერში და ჩამოტანილი საქართველოში, რათა მოვათავსო ჩემს მიერ შედგენილ წიგნში“⁴². მართლაც, „წმინდანთა ცხოვრების აღწერაში“, რომელიც იმავე წელს გამოქვეყნდა, პ. იოსელიანი გვაწვდის დაწვრილებით ცნობებს ამ ძეგლის შესახებ.⁴³ გადმოცემული აქვს თხზულების შინაარსი, ეხება ავტორის ვინაობასა და დაწერის თარიღს. ავტორის შესახებ წერს: «Сочинителем его считается Арсений, вероятно духовник царя Давида III Возобновителя» — გულისხმობს არსენ იყალთოელს⁴⁴. ამ მცდარი მოსაზრებიდან გამომდინარეობს მეორე შეცდომაც, რომ თითქოს თხზულება დაიწერა XI ს-ში.⁴⁵ რაც შეეხება წამების დროს, თხზულების შინაარსის მიხედვით მომხდარ ამბავს წარმართობის ხანას მიაკუთვნებს. თარიღის

³⁹ ქ. ცხადაძე, „შუშანიკის წამების“ პირველი გამოცემის ისტორიიდან, „შუშანიკის წამება“ (საიუბილეო კრებული), თბ., 1978, გვ. 179—182.

⁴⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი, S № 530. ამ ნუსხიდან გადაუწერია მ. საბინინს (H № 40).

⁴¹ П. Иоселнани, Города, существовавшие и существующие в Грузии, ЖМНП, 1844, № 6.

⁴² П. Иоселнани, Города, существовавшие и существующие в Грузии, т., 1850. შებ. 1.

⁴³ Жизнеописание, გვ. 15, შებ. 16.

⁴⁴ იქვე, გვ. 26, შებ. 28.

⁴⁵ იქვე, გვ. 16, შებ. 4.

დასადგენად თვით ძეგლი არავითარ ცნობას არ იძლევა. ეს შენიშნული აქვს მკვლევარს. ამასთან დაკავშირებით მას ყურადღება მიუქცევია ხელნაწერზე სხვა ხელით მინაწერისათვის, რომელშიაც ნათქვამი ყოფილა, რომ ეს მოხდა „უამსა დორიმეს სამცხეს პატრონისა“. პ. იოსელიანს უძებნია ქართულ წყაროებში ეს სახელი, მაგრამ ვერც ქართულ მატრიანეებში და ვერც სამცხის გუჯრებში ვერ უპოვია იგი.

პ. იოსელიანის ცნობები ამ ძეგლის შესახებ შემდეგი დროის სამეცნიერო ლიტერატურაში არაა გამოყენებული.

ნ. მარმა ეს ძეგლი ხელმეორედ აღმოაჩინა ათონზე 1897 წ. და მეცნიერულად დადგენილი ტექსტი რუსული თარგმანითა და გამოკვლევით გამოაქვეყნა 1903 წელს. ძეგლის პირველი აღმომჩენისა და მკვლევარის დამსახურება ნ. მარისთვისაც შეუჩნეველი დარჩა, ამიტომ ვერც შემდეგი დროის სამეცნიერო ლიტერატურაში პოვა პ. იოსელიანის სახელმა ადგილი ამ ძეგლთან დაკავშირებით.

საბერძნეთში მოპოვებული მასალებიდან მეორე მნიშვნელოვანი ცნობა ეხება გრიგოლ ხანძთელის პიროვნებას. მისი სახელი, როგორც წმინდანისა მოხსენებულია ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობაში“ (სტრ. 428—431). გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრება“ იმ დროს ცნობილი არ იყო. პ. იოსელიანს კონსტანტინოპოლში იერუსალიმის საპატრიარქოს მეტოქის ხელნაწერებში უპოვია გრიგოლის სახელობის საგალობლები⁴⁶. ამ საგალობლებიდან მკვლევარმა შეძლო მხოლოდ იმის გაგება, რომ იგი უნდა იყოს „ჯავახეთისა სამფლობელოსაგან, ქართულთა სამკვიდრებლისა“ და რომ ქართული ეკლესია დღესასწაულობს მის ხსენებას 5 ოქტომბერს. გრიგოლის ვინაობის შესახებ წყაროებში ვერაფერი უპოვია. პ. იოსელიანი ყურადღებას აჩერებს „სომეხთა ისტორიაში“ მოხსენებულ XV საუკუნის დამდეგის სომეხ კათალიკოსზე — გრიგორი ზანზოხათზე, როგორც სომეხთა ეკლესიისაგან დევნილ პიროვნებაზე და გამოთქმული აქვს მცდარი ვარაუდი საგალობლების გრიგოლის მასთან გაიგივების შესახებ.⁴⁷ ხელნაწერის დართარღება არა აქვს მოცემული. თვით საგალობლები არ გადმოუწერია.

პ. იოსელიანი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს კლასიკური პერიოდის პოეზიისადმი. პირველ ყოვლისა, მის ყურადღებას იპყრობენ სახოტბო პოეზიის წარმომადგენლები: ჩახრუხაძე და შავთელი; შემდეგ ცდილობს გაარკვიოს პოეტ ძაგნაკორელის ვინაობა, ხოლო შოთა რუსთაველსა და მის პოემას, საგანგებო შრომასაც უძღვნის.

პ. იოსელიანი თვით გვევლინება ჩახრუხაძისა და შავთელის ნამდვილ

⁴⁶ წყობილსიტყვაობა, თბ., 1853, გვ. 124—125.

⁴⁷ იქვე.

მეხოტბედ, აღფრთოვანებულ სტრიქონებს უძღვნის მათ ნიჰსა და პოეზიას. მისი შეფასებიდან ჩანს, რომ იგი სულიერ სიახლოვეს გრძნობს მათ შემოქმედებასთან, ესთეტიკურ სიანოვნებას ანიჭებს ხოტბების გაზვიადებული ქებათა ქება და ამადლებული სტილი. ამიტომ პ. იოსელიანის შეხედულება მეხოტბეთა შესახებ უფრო საინტერესოა როგორც მათი პოეზიის აღმქმელისა, ვიდრე მათი მეცნიერი მკვლევრისა. შემთხვევითი არ იყო, რომ ახალგაზრდა პ. იოსელიანმა პირველ რიგში ეს ძეგლები შეარჩია გამოსაქვეყნებლად (1838 წ.). გამოცემებს ტექსტოლოგიური ხასიათის განმარტებანი და ლიტერატურული ხასიათის შენიშვნები არ ახლავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოემების იოსელიანისეულ დასათაურებას და იქვე, შენიშვნაში, მოტანილ ხელნაწერების ვრცელ სათაურებს, რომლებშიაც მცირედი ცნობებია ხოტბებისა და მათი ავტორების შესახებ. ეს ცნობები ეხება მეხოტბეთა მოღვაწეობის დროს, მათი შთაგონების წყაროსა და საგანს. ეს არის XII საუკუნის საქართველო და მისი დიდების გვირგვინი თამარი. უკრიტიკოდ არის მის მიერ გაზიარებული ხელნაწერებში მოტანილი პოეტების ბიოგრაფიული ცნობები. გამოქვეყნებული ძეგლების სათაურების მიხედვით ორივე ხოტბა მიძღვნილია თამარისა და მისი მეუღლისადმი (წყარო დავით რექტორის მიერ გადაწერილი ხელნაწერებია).

გამოცემათა სათაურებში მოცემული თარიღების მიხედვით ჩახრუხადის პოემა (1187 წ.) წინ უსწრებს შეათელისას (1192 წ.). პ. იოსელიანი ჩახრუხადის წარმომავლობის შესახებ იზიარებს გადმოცემას: „იყო ადგილთაგან არაგვისა, თემით მოხვეე“. მოგვიანებით გამოქვეყნებულ შრომაში დაბეჭდვით ამბობს: რუსთველის თანამედროვე ჩახრუხაძე დაიბადა ხევში და ამიტომ ეწოდება ხვეელი ანუ მოხვეეო. „თამარიანის“ ლიტერატურულ-მხატვრული ღირსებაც მკვლევრის მიერ ჩახრუხადის მშობლიური მხარის ფონზეა შეფასებული.⁴⁸ ამავე შრომაში ეხება პ. იოსელიანი „შესხმის“ ლექსთწყობასა და იდეურ მხარეს. მკვლევრის დასკვნით პოემა ქრისტიანულ-მორალური ხასიათისაა. ჩახრუხაძეს ქართველ ვერგილიუსსა და ფენელონს უწოდებს. მიუხედავად ყველა ამ ნაკლისა, რაც პ. იოსელიანის გამოცემასა და გამოკვლევას ჰქონდა, მათ მაინც დიდი როლი შეასრულეს თავის დროზე. ყველაფერი ეს გაკეთდა და ითქვა მაშინ, როდესაც ჩახრუხადის პოეზია სამეცნიერო-ლიტერატურულ წრეებში საკმაოდ ათვალწუნებული იყო. თუ აღორძინების პერიოდის მწერლები ჩახრუხაძეს „ლექსის სიტკბოს“ უქებდნენ (არჩილი), „უცხო პიიტიკოსსა და რიტორთმესტიხთ გვირგვინს“ უწოდებდნენ და რუსთველზე მაღლაც აყენებდ-

⁴⁸ П. Иоселиани, Описание города Душета, Т., 1860, стр. 61—65.

ნენ (ანტონ 1), XIX საუკუნის დამდეგიდან საწინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრი დამკვიდრდა. პ. იოსელიანის წამოწყება ნ. მარმა დააგვირგვინა. საბოლოოდ, ნ. მარის მიერ „თამარიანის“ მეცნიერულად აღდგენილმა ტექსტმა და ბრწყინვალე გამოკვლევამ მეხოტბეთა შესახებ ჩახრუხბაძეს დაუბრუნა უმართებულოდ ჩამორთმეული დიდება, ხოლო პ. იოსელიანის ღვაწლი დაფასების ღირსად ცნო.⁴⁹

შავთელისა და მისი თხზულების შესახებ პ. იოსელიანის შეხედულებებს ძეგლის პირველ გამოცემაშივე ვხვდებით. მთავარ საძიებელ საკითხებზე (ხოტბის საგანსა და თხზულების სახელწოდებაზე) პასუხი სათაურშივეა გაცემული: ესაა შესხმა თამარისა და მისი მეუღლის — დავით მეფისა, ხოლო ფსევდორუსთველური სტროფის აბდულმესია ავტორის სახელად არის გაგებული. გამომცემელი ემყარება ხელნაწერების სათაურს.⁵⁰ პ. იოსელიანს გაზიარებული აქვს ხელნაწერების სათაურში მოცემული შემდეგი ბიობიბლიოგრაფიული ცნობებიც: აბდულმესია (მონა ქრისტესი) შავთელი წარმოშობით ყოფილა „ადგილთა საათაბაგოსათა“, თანამდებობით — თამარ მეფის მდივანი; აღიკვეცა ბერად იოანეს სახელით გელათის მონასტერში, საიდანაც მოართვა თამარს ეს შესხმა. ხელნაწერის ცნობები ამით ამოიწურება. პ. იოსელიანი შავთელის სამხრეთ საქართველოდან წარმომავლობას მხარს უჭერს სხვა შრომაშიაც.⁵¹ მაგრამ შემდეგ, როდესაც გაცნობია ბეთანიის მახლობლად მდებარე ნასოფლარ შავთას, აზრი შეუცვლია⁵². ამჯერად პოეტის დაბადების ადგილად მას აცხადებს. ჩანს, ამ სოფლის სახელმა შთააგონა მკვლევრის ფანტაზიას შავთელის ბიოგრაფიის დეტალებიც.

ამავე წერილში პ. იოსელიანი მსჯელობს ჩახრუხბაული ლექსის შესახებ, მალალ შეფასებას აძლევს შავთელის ენას, რომელიც არაჩვეულებრივია თავისი სიტყვათა თამაშითა და პოეტის მალალ აზრებს ბრწყინვალედ გადმოგვცემს. მეხოტბის დიდ ღირსებად თვლის ბერძნული ენისა და ლიტერატურის კარგ ცოდნას. საგულისხმო აზრები აქვს გამოთქმული პოეტური ნაწარმოების თარგმანის შესახებაც. პოეტური ქმნილების ერთი ენიდან მეორეზე გადატანა მეტად ძნელ საქმედ მიაჩნია, ეს ნიშნავს მის მეორედ დაბადებას. სანიმუშოდ მოტანილი აქვს პოეტური პროზით შესრულებული საკუთარი თარგმანი

⁴⁹ ТРА-ГФ, IV, გვ. 53.

⁵⁰ ა. ბარამიძე, ნარკვევები, I, თბ., 1945, გვ. 110.

⁵¹ П. Иоселиани, Различные наименования грузинов, Т., 1846, 83. 7.

⁵² П. Иоселиани, Путевые записки от Тифлиса до Мухета «Кавказ», 1870, № 24.

რუსულ ენაზე შავთელის 63-ე სტროფისა („თვალი ხარ ბრმათა...“) და იმავე სტროფის ს. ბასტამიანის სომხური თარგმანი ⁵³.

3. იოსელიანისათვის ცნობილია პოეტ ძაგნაკორელის სახელიც, რომლის ლიტერატურული მემკვიდრეობა დღეს დაკარგულად ითვლება. მისი სახელი ქართულ ლიტერატურას შემოუნახა ქართული ლექსის ერთ-ერთმა ფორმამ (ძაგნაკორულმა). 3. იოსელიანი მას გაცნობია გ. თუმანიშვილის მიერ შედგენილ „ანთოლოგიაში“, რომელიც გადაწერილი ყოფილა დავით რექტორის ხელით. ასეთი პოეტის არსებობის შესახებ ცნობას პირველად 3. იოსელიანი აქვეყნებს⁵⁴, რომელსაც შემდეგ იმეორებს ზ. ჭიჭინაძე⁵⁵ წყაროს დაუსახელებლად. 3. იოსელიანი არ იცნობს „კალმასობის“ ავტორის გვიანდელ ცნობას პოეტ იასე ხიმშიას ძე ძაგნაკორელის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოიყენებდა მას და მოიხსენიებდა კიდევ. 3. იოსელიანი ი. ბაგრატიონისაგან დამოუკიდებლად ქმნის პოეტის სავარაუდო ბიოგრაფიას.

3. იოსელიანი თავის შრომებში არაერთხელ შეხება რუსთველსა და მის პოემას. მკვლევრის რუსთველოლოგიური შეხედულებანი შეჯამებულია 1870 წ. „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც იმავე წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა: „Шота Руставели (1174—1212)“. ამ, მოცულობით პატარა, შრომაში ავტორი ეხება თითქმის ყველა ძირითად ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხს, რომელიც იმ დროს იპყრობდა „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა და მკითხველი საზოგადოების ყურადღებას. უფრო საყურადღებოა ის შეხედულებანი, რომელთაც პირველად 3. იოსელიანის შრომაში ვხვდებით. ესაა, პირველ ყოვლისა, ცდა „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით განხილვისა,⁵⁶ რუსთველის შედარება მსოფლიო პოეზიის კორიფეებთან, ლიტერატურული პარალელების გავლება მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით და, ამავე დროს, რუსთველის შემოქმედების ფესვების ძიება თვით ქართულ ნიადაგში, ქართულ გარემოში.⁵⁷

3. იოსელიანი ეხება რუსთველის ბიოგრაფიის საკითხებს (სახელი შოთა, ზედწოდება რუსთველი, სადაურობა, აღზრდა-განათლება, სიცოცხლის უკანასკნელი წლები, გარდაცვალების ადგილი და პოეტის საფლავი), ავტორის მსოფლმხედველობას, რელიგიურ-ფილოსოფიურ

⁵³ «Кавказ» 1871, № 48.

⁵⁴ Описание гор. Душета, გვ. 65, შენ. 36; ხელნაწერი შრომა «Живнани» (ხელნაწერთა ინსტიტუტი, 3. იოსელიანის არქივი, № 32, გვ. 42).

⁵⁵ ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XII საუკუნეში, თბ., 1887, გვ. 13.

⁵⁶ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1958, გვ. 72.

⁵⁷ გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 48; ა. მევრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 81.

შეხედულებებს, მოტანილი აქვს ცნობები პოემის ძველი ხელნაწერებისა⁵⁸ და მასთან დაკავშირებით პოემის დასურათებისა და პოეტის პორტრეტის შესახებაც⁵⁹, ეხება პოემის ნამდვილ ტექსტსა და ინტერპოლაციებს „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების (1712 და 1841 წლების) შეფასებასთან დაკავშირებით, პოემის სიუჟეტის წარმოშობას, მხატვრულ მხარეს, მსოფლიო მნიშვნელობას, ხალხურობას, პოემის სხვა ენებზე თარგმანასა და სხვ. რა თქმა უნდა, ეს საკითხები და პრობლემები სისრულითა და სისწორით არაა წარმოდგენილი და განხილული, მაგრამ ბევრი რამ მისი შეხედულებებიდან და ცნობებიდან ანგარიშგასაწევია. ასეთი ხასიათის ნაშრომი „ვეფხისტყაოსანზე“ და მის ავტორზე პირველი იყო. თავის დროზე ხშირად ეყრდნობოდნენ და იმოწმებდნენ მას, როგორც რუსთველის შესახებ ნათქვამ ავტორიტეტულ სიტყვას. პოემის ავტორის სახელი შოთა, პ. იოსელიანის თქმით, არის წარმართობის დროიდან მომდინარე უძველესი სახელი, ხოლო ზედწოდება რუსთველი წარმოდგება იმ ადგილის სახელიდან, სადაც პოეტი დაიბადა, სადაც ცხოვრობდა და უმღეროდა თამარს. შოთას, წარმოშობით მესხს, რუსთველობა უნდა მიეღო არა ახალციხის მხარის მიხედვით, არამედ ძველი ბოსტან-ქალაქისაგან, რომელსაც რუსთავი ეწოდა ვახტანგ გორგასლის დროს მდ. მტკვრიდან გაყვანილი სარწყავი რუს გამო. ვახტანგის დროსვე იქცა იგი საეპისკოპოსო კათედრად. ტრადიციული შეხედულებიდან ასეთი განსხვავებული აზრი პირველად თეიმურაზ ბატონიშვილმა გამოთქვა. პოეტის აღზრდა-განათლების შესახებ პ. იოსელიანი გამოცემებს ემყარება: სწავლობდა ათინაში, იცოდა სპარსული ენა, უთუოდ ეცოდინებოდა არაბულიც. ათინასა და როდოსზე ისწავლიდა ბერძნულ ენასაც. როდოსზე გაეცნობოდა ნეოპლატონურ მიმდინარეობასაც. თანამდებობით რუსთველი მეჭურჭლეთუხუცესი უნდა ყოფილიყო (ეყრდნობოდა ტ. გაბაშვილის ცნობას). საბოლოოდ, რუსთველი, თამარის მომღერალი პოეტი, თავის რელიგიურ განწყობილებებს ჯერის მონასტრის კედლებში მიუყვანია, სადაც გარდაცვლილა და დასაფლავებული უნდა იყოს იმ სვეტის ძირში, რომელზედაც რუსთველის პორტრეტი გამოსახული. ეს ცნობაც (საფლავის შესახებ) მომდინარეობს თეიმურაზ ბატონიშვილიდან, რომელსაც ტ. გაბაშვილის ცნობები თავისებურად გადაუქმთებია.

მკვლევარს უფრო საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული

⁵⁸ ხელნაწერების შესახებ დაწვრილებით იხ. გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 3—86; მისივე, პ. იოსელიანი — რუსთველოლოგი, გვ. 115—139.

⁵⁹ რუსთველის პორტრეტის შესახებ იხ. გ. შარაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. ზახასეული ხელნაწერის გარშემო, წიგნში: არქეოგრაფიული ძიებანი, გვ. 3—40.

პოემის სიუჟეტის წარმომავლობის, მისი ლიტერატურული წყაროებისა და ორიგინალობის შესახებ. პოემის სიუჟეტი პოეტის მიერაა შექმნილი არაბული სარაინდო რომანებისა და მოთხრობების კვალობაზე. რუსთველი არ დასესხებია არც ერთ ბერძენ და რომაელ მწერალს თავისი ეპოპეის სიუჟეტს, არც სტილისა და პოეტური გამოსახვის ხერხებს. სახელწოდება პოემისა სპარსულია, ვეფხვის ტყავით შემოსვა ცნობილი იყო ძველ სპარსეთში („შაჰ-ნამე“). რუსთველი იცნობდა ძველ სპარსელ და ინდოელ პოეტებს, რომლებიც დღეს ჩვენთვის დაკარგულნი არიან. მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება და თვით პოეტის სიტყვები, რომლებითაც ის თავის პოემას სპარსულიდან ნათარგმნად წარმოგვიდგენს, მკვლევრის აზრით, პოემის ორიგინალობაში ოდნავი დაეჭვების შესაძლებლობასაც არ იძლევა.

რუსთველი არავის ბაძავს, ის თვითაა შემქმნელი თავისი შეუღარებელი ლექსებით ნათქვამი სიმღერისა, შემოქმედი სიყვარულისა, გმირობის, რაინდობისა და ადამიანის სიცოცხლის იდეების ამსახველ ეპოპეისა. პ. იოსელიანი ამ მხრივაც ავლებს პარალელს ევროპის დიდ ეპიკოსებთან (დანტე, ტასო, მილტონი). ისინი ერთმანეთის წამბაძველები იყვნენ, მომდევნო მისი წინამორბედისაო. პ. იოსელიანი რუსთველის ენასაც უფრო მაღლა აყენებს. რუსთველის მოთხრობის ძალასაც უღარებს მსოფლიო შედეგებს და აღნიშნავს: რუსთველის მოთხრობა უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე თეოკრიტეს მწყემსური მოთხრობები, მასში მეტი ელეგია და სინაზეა, ვიდრე თიბულში, ხოლო სათავე გადასავლო ამბების თხრობა უფრო საინტერესოა, ვიდრე ამადისისა. რუსთველისათვის უცხო იყო ზნეობრივი მანკიერებაც, ამიტომ, განაგრძობს მკვლევარი, პლატონი, რომელმაც პოეტები განდევნა თავისი უტოპიური სახელმწიფოდან, რუსთველს საპატიო ადგილს დაუთმობდა მასში. „პოეტები იბადებიან“ და რუსთველიც პოეტად დაიბადა, მაგრამ რამ და ვინ წარმოშვა ეს გენია? სვამს კითხვას და უპასუხებს: ეს იყო ხორბლისა და ვაზის ქვეყანა საქართველო, მაღალი ცივილიზაციის მქონე მისი ხალხი და წინა ეპოქების მდიდარი ქრისტიანული ლიტერატურა, რომელიც V საუკუნიდან ანოყიერებდა იმ ნიადაგს, რომელსაც პოეტად დაბადებული რუსთველი უნდა მოეცა. ამ ნიადაგზე წარმოშობილმა, ამ გარემოში აუღერებულმა მისმა ჩანგმა შეძლო ასე ლამაზად, ასე ძლიერად ემღერა ცხოვრების სიმშვენიერისა და ამქვეყნიური ამალღებული იდეალებისათვისო. ყოველივე ეს კი გახდა იმის პირობა, რომ ხალხმა ასე შეიყვარა მისი წიგნები. იგი ერთნაირად ძვირფასი გახდა როგორც მაღალი მწიგნობარი წრეებისათვის, ისე უწიგნურ მღაბიოთათვის. ამ სიყვარულმა გადაარჩინა და შემოგვინახა ეს საგანძური, თუმცა, მეორე მხრივ, ზიანიც მიაყენა.

პ. იოსელიანმა კარგად იცის, რომ ნაკვიანევი ხანის ხელნაწერებით

მოდწეულ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში სხვისი ნაწილიც ურევია. აკრიტიკებს ვახტანგისა და მ. ბროსეს გამოცემებს, რომლებშიაც შეტანილია ისეთი სტროფები, რომლებიც რუსთველის კალამს არ ეკუთვნის. პ. იოსელიანი იმედოვნებს, რომ გაწმენდს პოემას ამ ნარკვისაგან, რითაც გასწორდება პოემის შემსწავლელებისა და გამომცემლების შეცდომები.

პოეტური ნაწარმოების თარგმნის შესახებ პ. იოსელიანი იმეორებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას. უპირატესობას ანიჭებს პოეტური პროზით შესრულებულ ზუსტ თარგმანს და სანიმუშოდ ასახელებს „შაპ-ნამეს“ მოლისეულ თარგმანს. მისი აზრით ცდება ის, ვინც ფიქრობს რუსთველის ლექსის სიმშვენიერის სხვა ენაზე ლექსადვე გადაცემას. საყურადღებოა, რომ პ. იოსელიანს თვითონვე უცდია მოეცა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სტროფის, აფორიზმების პოეტური პროზით მაღალ დონეზე შესრულებული რუსული თარგმანი. ეს თარგმანები შეტანილია 1874 წ. გადაწერილ ხელნაწერ შრომაში «ЖИЗНАНИ»⁶⁰, რომელიც არ გამოქვეყნებულა. პ. იოსელიანის თარგმანები ცალკე შესწავლის ღირსია.

პ. იოსელიანს თავისებურად აქვს ახსნილი ანტონ კათალიკოსის დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსანთან“. ანტონისადმი წაყენებული ბრალდება, ზეპირი გადმოცემებიდან მომდინარე, პირველად სწორედ მის შრომებშია დადასტურებული⁶¹, რაც იმას მოწმობს, რომ პ. იოსელიანს სჯერა იგი. ამიტომ ცდილობს ამ მტკივნეული საკითხის შემდგენიარად მოგვარებას: ანტონს, როგორც პოეტს, არ შეიძლება არ ჰყვარებოდა რუსთველი მისი პოეზიის გამო. ამ მსხვერპლის გაღება საკირო შეიქმნა იმ სარწმუნოებრივ-ზნეობრივი გადაგვარების პერიოდში, როდესაც ყოველგვარი სპარსულით გატაცება დაღუპვას უქადადა ჩვენს ქვეყანას (თითქოს რუსთველის კითხვა სპარსული პოეზიით გატაცებას უწყობდა ხელს). თვით პ. იოსელიანისათვის რუსთველი და მთელი კლასიკური პერიოდის პოეზია დარჩა თავჯანსიემის საგნად. სამართლიანად არის შენიშნული, რომ პ. იოსელიანს ასეთი აღფრთოვანებით არ უწერია არც ერთ ჰაგიოგრაფზე⁶².

პ. იოსელიანის შეცდომებსა და ნაკლებზე, ძველი ქართული მწერლობის კვლევის საქმეში, ბევრია ნათქვამი. ჩვენ შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა მის დამსახურებაზე ამ დარგში და გვეჩვენებინა პ. იოსელიანის პრიორიტეტი ძველი ქართული მწერლობის ამა თუ იმ ძეგლის კვლევასა და შეფასებაში. პ. იოსელიანის ღვაწლი უნდა შეფასდეს არა იმის მიხედვით, რაც მან ვერ გააკეთა, არამედ იმით, რაც გააკეთა.

⁶⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტი, პ. იოსელიანის არქივი, № 32.

⁶¹ მ. გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 31.

⁶² ა. გაწერელია, პლატონ იოსელიანი, „მნათობი“, 1933, № 6—7.

დ. ჩუბინაშვილი მრავალმხრივი და ფრიალ ნაყოფიერი მეცნიერია — დაკვირვებული გრამატიკოსი, გონებადაუნჩებელი ლექსიკოგრაფი, ლექსმოსილი ისტორიკოსი, ძველი ქართული მწერლობის დაუცხრომელი მკვლევარი. იგი დაიბადა 1814 წელს თბილისში, სასულიერო სემინარიის მასწავლებლის — იესე ჩუბინაშვილის ოჯახში. მშობლები მალე გარდაეცვალნენ (1821 წ.) და მომავალი მეცნიერის აღზრდა ბიძამ — ნ. ჩუბინაშვილმა იკისრა. სწორედ ამ გამოჩენილი მწიგნობრის ხელმძღვანელობით შეისწავლა დავითმა წერა-კითხვა, გაიცნო ძველი ქართული სულიერი კულტურის ამსახველი ძეგლები. როდესაც ნ. ჩუბინაშვილი პეტერბურგს გადავიდა, სადაც ის საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტში მიიწვიეს მთარგმნელად, დავითიც წაიყვანა და იქაურ სასწავლებელში მიაბარა. დ. ჩუბინაშვილმა იქ გამოიჩინა დიდი ინტერესი და სიყვარული მშობლიური ენისა და მწერლობისადმი: უკვე გიმნაზიაში სწავლისას ჩაება იგი ბიძამისის მიერ წამოწყებულ ლექსიკოგრაფიულ სამუშაოში.

1835—1839 წწ. დ. ჩუბინაშვილი სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის აღმოსავლურ განყოფილებაზე, შემდეგ მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს სააზიო დეპარტამენტში, ხოლო 1844 წელს ქართული ენისა და სიტყვიერების მასწავლებლად მიიწვიეს პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1848 წელს დაამტკიცეს ადიუნქტად, ხოლო 1854 წელს მიანიჭეს ექსტრაორდინარული პროფესორის წოდება. ამ თანამდებობაზე მუშაობდა იგი პენსიაზე გასვლამდე — 1871 წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო შემდეგ მეცნიერ კონსულტანტად ითვლებოდა და გარდაცვალებამდე (1891 წ.) ენერგიულად ემსახურებოდა ქართული კულტურის შესწავლისა და პროპაგანდის საქმეს.¹

გასული საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც დ. ჩუბინაშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა, ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლა ჯერ არც კი იყო დაწყებული ხეირიანად. მართალია, გამოცემული იყო რამდენიმე ძეგლი, როგორც სასულიერო-საეკლესიო, ისე საერო-მხატვრულიც (მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“, „აბდულმესიანი“...), ასევე გადადგმული იყო ნაბიჯები ძველი ქართული მწერლობის შესწავლის მიზნით, მაგრამ ეს, რასა-

¹ კ. კ. ი. ნ. წ. უ. რ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, დავით ჩუბინაშვილი, თბ., 1970.

კვირველია, საკმარისი არ იყო, ბევრი თხზულება გამოცემას ელოდა, ბევრი საცილობელი საკითხი გარკვევას ითხოვდა.

დ. ჩუბინაშვილი აქტიურად ჩაება პეტერბურგის სამეცნიერო წრეების შემოქმედებით საქმიანობაში და მთელი თავისი ცოდნა და ენერჯია ქართული ენისა და მწერლობის შესწავლას მონაწილეობდა. იგი არ შეუშინდა სიძნელეებს, ამოუდგა გვერდით თ. ბაგრატიონსა და მ. ბროსეს, ღირსეულად დაუმშვენა მათ მხარი და მათთან თანამშრომლობითა და თანამოღვაწეობით უზრუნველყო ძველი ქართული მწერლობის შესწავლის მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნება. მისთვის ცხადი იყო, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართული ხელნაწერების შეკრებასა და შესწავლას, მათში შემონახული ტექსტების პუბლიკაციასა და თარგმნას, ძველი ქართული მწერლობის პრობლემატიკის მეცნიერულად დამუშავებას. დ. ჩუბინაშვილმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ყველა დასახელებულ სფეროს და საზოგადოებას წარუდგა როგორც პუბლიკატორი, მთარგმნელი, მკვლევარი და ბიბლიოფილ-კოლექციონერი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დ. ჩუბინაშვილის საგამომცემლო საქმიანობა. არსებითად მის სახელთანაა დაკავშირებული „ვეფხისტყაოსნის“ სამი გამოცემა.

I. 1841 წელს მ. ბროსემ, ზ. ფალავანიშვილმა და დ. ჩუბინაშვილმა დაბეჭდეს „ვეფხისტყაოსანი“ და „უმდაბლესის პატივისცემის, გულითადის მადლობისა და სამარადისო ერთგულების ნიშნად“ მიუძღვნეს თ. ბაგრატიონს.² აღნიშნული გამოცემის შედგენილობა ასეთია: წინასიტყვაობა, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, მ. ბროსეს სახელით დაბეჭდილი 9-სტროფიანი ლექსი და „მცირე ლექსიკონი“ „უხმართა მდაბიურს ლაპარაკში და ძველთა სიტყვათა, რომელნიც „ვეფხვის-ტყაოსანში“ იპოვებიან“.

რუსთველის სახელით ამ გამოცემაში დაბეჭდილია 1637 სტროფი. წინა, ვახტანგისეულ გამოცემაში 1587 სტროფი იყო. ახალი გამოცემის მესვეურებმა დაუმატეს 50 სტროფი.

კომისიამ კრიტიკულად განიხილა ვახტანგისეული რედაქცია, გამოავლინა და გაასწორა მისი გრამატიკულ-ორთოგრაფიული შეცდომები, დააზუსტა და შეავსო ტექსტი. გამოცემის ხელმძღვანელს — მ. ბროსეს სხვა ქართველი მწიგნობრებიც კი ეხმარებოდნენ (გ. ავალიშვილი, ს. ტაბიძე, პ. ქებაძე...) და, ბუნებრივია, დ. ჩუბინაშვილი მისი მარჯვენა ხელი უნდა ყოფილიყო. მართლაც, მ. ბროსე საგანგე-

² ვეფხვის-ტყაოსანი, რუსულად Барцова кожа, პოემა დაწერილი შოთთა რუსთველის მიერ, ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზ. ფალავანიშვილისა და დ. ჩუბინოვისათა, სპბ., 1841.

ბოდ აღნიშნავდა: „ამ წიგნის დაბეჭდვაზე და საკუთრად წინასიტყვაობის დაწერაზე უფ. დ. ჩუბინოვმა გულითადი შემწეობა მიჩვენაო“. ამ გარემოებაზე მიგვივლითებს აგრეთვე მ. ბროსეს სახელით დაბეჭდილი ლექსი, რომელიც თ. ბაგრატიონის დაწერილია:

ესე წიგნი ღვაწლით ჩემით აწ მეორედ დაიბეჭდა,
პირველ ვახტანგ მეფის ჟამსა, აწ პეტერბურღს კვლავ ვყავ მე ცდა,
ზოგნი ახლად ძველ კვლწერილთ ვპოვე, იგიც ზედ დაჰმეტდა,
მსახურება ქართველთა მსურს, ამას ზედა ვინა მეკვდა.
კვლავ ფალაჲანდოვი ჩემთან და ჩუბინოვიც მღვწელია,
დაბეჭდვით ჩვენის ხარჯითა, განახლდა ესრეთ ძველია,
მესტამბე სვიმონ ტაბიძე ბეჭდვაზედ იყო მცდელია,
საუნჯის ესევითარის დაკარგვა დიად ძნელია.

დასასრულ უნდა დავიმოწმოთ დ. ჩუბინაშვილის ერთი წერილი («О грузинской поэме «Вепхис-ткауосани» или «Барсова кожа»), რომელშიც ავტორი გვაცნობს მის თანამშრომლობას მ. ბროსესთან და იმასაც გვაუწყებს, რომ „მცირე ლექსიკონი“, რომელიც პოემის ტექსტს ერთვის, მისი შედგენილია. ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ დ. ჩუბინაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის ერთ-ერთი მესვეურია.

II. 1846 წელს დ. ჩუბინაშვილმა „ვეფხისტყაოსანი“ დაბეჭდა თავის „ქრისტომატიასში“³. პოემის ტექსტს უძღვის გამოცემლის წინასიტყვაობა და ი. ბარტდინსკის მიერ რუსულად თარგმნილი 142 სტროფი. ბოლოს დაბეჭდილია ლექსები: „თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულის ღუთისმშობელს დროშა და მანიაკი მიართვა, ეს იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღსწერა“, „იამბიკო ესე, თქმული რუსთველის მიერ, ზედა წარწერილ არს ხატსა ზედა ხახულის ღუთისმშობლისასა“. ამჟერად რუსთველს გარკვევით მიეწერება მხოლოდ მეორე იამბიკო.

ამ გამოცემაში პოემის ტექსტი წარმოადგენს 1841 წლის გამოცემის ზუსტ პირს. ეს გარემოება საყოველთაოდ ცნობილია და მრავალგზის აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ ს. ყუბანეიშვილმა კიდევ უფრო ნათლად გაარკვია საკითხი.⁴ დასახელებული გამოცემატების ტექსტების შეჯერებით, სრული იდენტურობის დადგენითა და საარქივო მასალების გამოყენებით მან დაადასტურა, რომ „ქრისტომატიისათვის“ დ. ჩუბინაშვილმა გამოიყენა 1841 წლის გამო-

³ ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილნი ადგილები ქართულთა წერილთაგან დ. ჩუბინოვის მიერ, II, სპ., 1846, გვ. 1—223.

⁴ ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ჩუბინაშვილისეული პირველი გამოცემა, „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II (1964), გვ. 209—212; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 61—65.

ცემის 600 ეგზემპლარი (ამასთანავე, გამოიყენა არა შემონახული ანაწყობი, არამედ ნაბეჭდი ფორმები და მხოლოდ თავ-ბოლო შეუცვალა).

III. გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს „ვეფხისტყაოსნის“ 1860 წლის გამოცემა.⁵ დ. ზუბინაშვილმა უარყო და აღარ გამოაქვეყნა 1841—1846 წლების გამოცემებში დამატებული 44 სტროფი, შეიწყნარა, რუსთველისეულად ცნო და დაბეჭდა დამატების მხოლოდ 6 სტროფი. სახელდობრ, 113, 151, 320, 339, 548, 580 (ამ გამოცემაში სტროფების სათვალავი მოცემულია რიცხვებით).

1860 წლის გამოცემაში 1593 სტროფია. შეცვლილია არა მხოლოდ სტროფების რიცხვი, არამედ თავების სათაურებიც. თუ აღრინდელ გამოცემებში ტექსტი დაყოფილი იყო 57 თავად, ახალ გამოცემაში 48 თავია (გამომცემელმა ზოგიერთი თავი გააერთიანა). მისი დასათაურება მეორდება მრავალ გამოცემაში (1875 წ., 1887 წ., 1891 წ. და სხვ.).

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს მისდევს დ. ზუბინაშვილის მიერ შედგენილი „განმარტება რომელთამე სიტყვათა და ფრაზათა, ხმარებულთა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსთა შინა“ და წინა გამოცემაშიც დაბეჭდილი ორი იამბიკო, რომელთაც გამომცემელი რუსთველს მიაკუთვნებდა. რუსთველის კუთვნილებადაა მიჩნეული სატიტულო ფურცელზე დაბეჭდილი ცნობილი ლექსიც („ფილოსოფოსნი შემოჰკრბენ...“).

ამრიგად, დ. ზუბინაშვილი რუსთველს, — გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, — მიაწერდა სამ ლექსს:

1. ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა...
2. ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან, სძალო...
3. ფილოსოფოსნი შემოჰკრბენ...

დ. ზუბინაშვილს რამე საგანგებო საბუთი არ წარმოუდგენია. ისე კი, — უსაბუთოდ და ერთგვარი დაეჭვებით, — სხვაც მიაკუთვნებდა აღნიშნულ ლექსებს რუსთველს. უკანასკნელ წლებშიც იყო ცდა მესამე ლექსის რუსთველის კუთვნილებად გამოცხადებისა, მაგრამ საკითხი კვლავ დიად რჩება. დამოწმებული ლექსების რუსთველისთვის მიკუთვნება დაუსაბუთებელი და საცილობელია.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, დ. ზუბინაშვილმა დიდი ამაგი დასდო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკულად დადგენისა და მეცნიერულად გამოცემის საქმეს; საყურადღებო წვლილი შეიტანა რუსთველის გენიალური ქმნილების პუბლიკაციაში, რითაც ქართ-

⁵ ვეფხისტყაოსანი, თქმული შოთთა რუსთველისაგან, თმარ მეფის დროს, ახლად დაბეჭდილი დ. ზუბინაშვილისაგან განმარტებითურთ. წიგნი: ქართული ქრისტომატია, ან გამოწერილი სტატიები სხვათადასხვათა ჩინებულთა მწერალთაგან, II, ახლად დაბეჭდილი დ. ზუბინაშვილისაგან, სპბ., 1860, გვ. 1—207.

ველი საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო, მეცნიერული ავტორიტეტი მოიპოვა და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საუკეთესო მკოდნის სახელი დაიმსახურა. რასაკვირველია, „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემას, რომელიც დ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით ან თანამშრომლობით დაიბეჭდა, თუ რუსთველოლოგიის დღევანდელი პოზიციებიდან შევაფასებთ, ყველაფერი რიგზე არ გვეჩვენება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მეცნიერების მაშინდელ დონეს, დ. ჩუბინაშვილის ღვაწლი და დამსახურება თვალნათლივ გამოჩნდება. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ერთი საგულისხმო ფაქტიც.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ქართველმა საზოგადოებრიობამ გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკული დადგენა და გამოცემა. გამოჩენილ მოღვაწეთაგან (გ. ორბელიანი, რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. მაჩაბელი, ი. მეურნარგია და სხვ.) შემდგარი კომისია ენერგიულად შეუდგა საქმიანობას, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ მუშაობას გარკვეულ დაღს აჩენდა პეტერბურგის ქართველი მეცნიერების შორს ყოფნა. ამიტომაც საესებით ბუნებრივი იყო ის სიხარული, რაც გამოიწვია დ. ჩუბინაშვილის ჩამოსვლამ. ის მაშინვე მიიწვიეს კომისიის სხდომაზე.⁶ სამწუხაროდ, ზუსტად არ ვიცით, რა სახის დახმარება აღმოუჩინა მან კომისიას, რა ხასიათის რჩევა-დარიგება მისცა მის წევრებს, მაგრამ, უცილობელია, ვალმოხდილი რუსთველოლოგი თავის გამოცდილებასა და ცოდნას არ დაიშურებდა ამ საშვილიშვილო საქმის წარმატებით დაგვირგვინების უზრუნველსაყოფად.

განსაკუთრებით საყურადღებოა დ. ჩუბინაშვილის „ქართული ქრისტიანობა“, რომელიც ზემოთ რამდენჯერმე დავიმოწმეთ. დასახელებული ორტომიანი კრებული, რომელიც ორჯერ დაიბეჭდა (პირველად 1846 წელს, მეორედ 1860—1863 წწ.), არსებითად ძველი ქართული წერილობითი კულტურის ფასდაუდებელი ნიმუშების დიდებული ანთოლოგიაა. მასში დაბეჭდილია ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისა და საერო-მხატვრული ლიტერატურის მრავალი ნიმუში. ქართველმა მკითხველმა ბეჭდური სახით პირველად მიიღო „ამირანდარეჯანიანის“, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის, „ქილილა და დამანას“, „ყარამანიანისა“ და სხვა ძეგლების ნაწყვეტები; ბეჭდური სახით პირველად გაიცნო არაერთი პაგიოგრაფიული თხზულება („აბოს წამება“, „აბიბოს ნეკრესელის წამება“, „გობრონის წამება“, „ათონელთა ცხოვრება“, ანტონ კათალიკოსის „მარტირიკის“ ცალკეული ნაკვთები და ა. შ.), ლექსი (ბესიკისა, საიათნოვასი, მ. ორბელიანისა, დ. თუმანიშვილისა, ბ. ბარათაშვილისა, ზ. ბარათაშვილისა, ბ. ორბელიანისა...) და პოემა („მიჯნურთ ბადე“, „თაგვებისა და კატის ომი“...).

⁶ „დროება“, 1881, №№ 206, 209.

აღსანიშნავია, რომ „ქრისტომატიის“ მეორე გამოცემა არ წარმოადგენს პირველის მექანიკურ გამეორებას. ახალი გამოცემა შესწორებული, დაზუსტებული და შეესებულება. მაგალითად, დამატებითაა წარმოდგენილი ჰაგიოგრაფიული ძეგლები („წამებანი“ აბოსი, აბიბოსისა და გობრონისა...), სახატბო თხზულებანი („თამარიანი“, „აბდულმესიანი“), ლექსები (დ. გურამიშვილისა, ბ. გაბაშვილისა, საიათნოვასი, დ. ბაგრატიონისა, პ. ლარაძისა, თ. ქობულაშვილისა...), პოემები („ვარდულებულიანი“, „მიჯნურთბადე“, „რუხის ბრძოლა“) და ა. შ. ამასთანავე, ზოგიერთი მათგანი, როგორც აღვნიშნეთ, პირველად დაიბეჭდა. საგულისხმოა, რომ „ქრისტომატიის“ შემდგენელმა პირველ გამოცემაში წარმოდგენილი ძეგლებიდან მოტანილი მასალაც განავრცო. მაგალითად, „ქილილა და დამანადან“ ადრე დაბეჭდილი იყო ერთი იგავ-არაკი, შემდეგ მას 6 დაემატა.

დ. ჩუბინაშვილს, რასაკვირველია, მხოლოდ სასწავლო მიზანი არ ამოქმედებდა. ყველაფერთან ერთად ამას ისიც მოწმობს, რომ ის ზოგჯერ ადრე დაბეჭდილ ტექსტს აღარ იმეორებდა და მის ნაცვლად ახალს, ჯერ გამოუქვეყნებელს აწვდიდა მკითხველ საზოგადოებას. მაგალითად, თავდაპირველად დაბეჭდა „ამირანდარეჯანიანის“ მეათე კარი, ხოლო მეორედ—მეოთხე კარი; ასევე 1846 წელს დაბეჭდა „რუსუდანიანის“ მეორე კარის ნაწილი, ხოლო 1863 წელს — მეცხრე კარის ნაწყვეტი და ა. შ.

ანეთი დიდი კრებული არ შეიძლებოდა უნაკლო ყოფილიყო, არც „ქრისტომატიაა“ დაზღვეული შეცდომებისაგან. რომ არაფერი ვთქვათ ტექსტის გამოცემის ხარისხზე, მასში ზოგჯერ ერთი ავტორის ნაწარმოები მეორის სახელითაა დაბეჭდილი. მაგალითად, ბესიკს მიეწერება მ. ბაგრატიონის („მეფის ირაკლის ქება“, „მოვედით, მოყმენო“), ვ. ბაგრატიონის („მოით, მიჯნურნო“), დ. ორბელიანის („პირზედ გაქვს ხალი“), ე. ერისთავისა („ვამი, ესე დრონი“) და სხვათა ლექსები. ასევე თეიმურაზ პირველს მიეწერება ვახტანგ მეექვსის ლექსი („შეგონება“), ს. ლიონიძეს — ს. მესხიშვილისა („ეტრფის მთიებსა“), პ. ლარაძეს — დ. ბაგრატიონისა („გამიფრინდა სიხარულის ფრინველი“) და სხვ. ზოგიერთი ძეგლი ავტორის დაუსახელებლადაა დაბეჭდილი (მაგალითად, „თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა სანატრელისა და ღვთისადმი განსვენებულისა საქართველოს მეფის ირაკლი მეორისა“). ასეთი შეცდომა თუ უზუსტობა „ქრისტომატიაში“ სხვაგვარად გვხვდება. აღნიშნული გარემოება, რასაკვირველია, რამდენადმე სცემს „ქრისტომატიის“ ხარისხს, მაგრამ ამაში მხოლოდ დ. ჩუბინაშვილს არ მიუძღვის ბრალი, ეს უფრო მეტად ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის დაბალი დონითაა განპირობებული. საგულისხმოა, რომ „ქრისტომატიის“ ზოგიერთი შეცდომა შემდგომად

კარგა ხანს მეორდებოდა (ზ. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, ს. გორგაძე...) და მხოლოდ უკანასკნელ წლებში გასწორდა.

„ქრისტომატიამ“ ზოგიერთი მკითხველის შენიშვნებიც გამოიწვია. მაგალითად, ღვიმელმა გულისწყრომა გამოთქვა იმის გამო, რომ დ. ჩუბინაშვილმა არ გამოაქვეყნა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ლექსები და მკაცრად გააკრიტიკა „ქრისტომატიის“ წარმოდგენილი ძველი მწერლები.⁷ საპასუხო წერილში დ. ჩანაშვილმა გაამართლა „ქრისტომატიის“ შემდგენელი და მაღალი შეფასება მისცა მის ნამუშევარს⁸. მაგრამ ყველაზე მაღალი შეფასება ის გახლდათ, რომ ქართველმა საზოგადოებამ თბილად მიიღო და გულწრფელად შეიყვარა „ქრისტომატია“. ის იქცა იმ წყაროდ, რომელიც უხვად ასაზრდოებდა ქართველ მკითხველებს და ატკობდა მათ ძველი ქართული წერილობითი კულტურის სურნელებით. შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის სახელოვან მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა...) ამ წიგნით გაეცნო და დაეწაფა ძველ ქართულ ნაწარმოებებს. ძველი ქართული თხზულებების დ. ჩუბინაშვილისეულმა პუბლიკაციამ საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. საგულისხმოა, რომ „ქრისტომატიამ“ უცხოელთა აღფრთოვანებაც გამოიწვია, ხოლო შემდგენელმა მათი მადლობა დაიმსახურა.

გდაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, დ. ჩუბინაშვილის მხოლოდ „ქრისტომატია“ რომ შეედგინა და დაებეჭდა, ამითაც იგი, უთუოდ, ფრიად საპატიო ადგილს დაიმკვიდრებდა ქართული კულტურის ისტორიაში.

უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების პუბლიკაცია. დ. ჩუბინაშვილმა სულხან-საბას 23 იგავ-არაკი ჯერ კიდევ 1846 წელს დაბეჭდა „ქრისტომატიაში“, ხოლო 1863 წელს ეს რიცხვი 26-მდე გაზარდა. მაგრამ დ. ჩუბინაშვილის ინტერესი სულხან-საბას კრებულისადმი ამით არ ამოიწურება: მან ცალკე გამოაქვეყნა „წიგნი სიბრძნე სიცრუვისა, ნათქვამი საბა-სულხან ორბელიანი-საგან, ჟამსა სიჭაბუკისა მისისა“ (სპბ., 1859). ასე რომ, დ. ჩუბინაშვილმა მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა არა მხოლოდ ცალკეული იგავ-არაკები სულხან-საბა ორბელიანისა, არამედ მისი სრული კრებულიც. იმ დროისათვის აღნიშნული გამოცემა სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო.

ამრიგად, დ. ჩუბინაშვილმა „ქრისტომატიისა“ თუ ცალკეული წიგ-

⁷ ღვიმელი, ჩენი დროების მწერლები, „ცისკარი“, 1865, № 7, გვ. 71, 76—81. იხ. აგრეთვე ა. ხუციშვილი, ბიბლიოგრაფიული ფურცელი, „ცისკარი“, 1865, № 9, გვ. 23—27.

⁸ დ. ჩანაშვილი, მახე, „ცისკარი“, 1865, № 11, გვ. 6—23.

ნების სახით გამოაქვეყნა ძველი ქართული მწერლობის მრავალი ღირს-
შესანიშნავი ძეგლი, მკითხველ საზოგადოებას ბეჭდური პროდუქციის
სახით, მიაწოდა ძველ ქართველ ავტორთა ნაწერები, რითაც გაუძლიერ-
ა ინტერესი სახელოვანი წინაპრების კულტურულ-ლიტერატურული
მემკვიდრეობისადმი და თავის თანამოღვაწეებთან ერთად საფუძველი
ჩაუყარა ძველი ქართული თხზულებების მეცნიერული პუბლიკაციის
საქმეს.⁹

აქვე ორიოდ სიტყვით უნდა შეეჩერდეთ დ. ჩუბინაშვილის მთარ-
გმნელობით საქმიანობაზე. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ „ქრისტო-
მატიის“ მეორე ტომის პირველ გამოცემაში მან გამოაქვეყნა ი. ბარ-
ტდინსკის მიერ თარგმნილი რუსთველის 142 სტროფი. აღნიშნული
თარგმანი, რომელიც ჯერ კიდევ 1845 წელს დაიბეჭდა, დ. ჩუბინა-
შვილის სიტყვით, შესრულებულია მისი მონაწილეობით. თარგმანის
მომზადებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის აგრეთვე ცნობილ მწიგ-
ნობარს გ. დადიანს.

დ. ჩუბინაშვილმა, როგორც ჩანს, ადრევე მოჰკიდა ხელი „ვეფხის-
ტყაოსნის“ რუსულად თარგმნას. წინა მთარგმნელის (ე. ბოლხოვიტი-
ნოვი) მსგავსად მან რუსთველის პოემის ნაწყვეტები რუსულად თარგმ-
ნა პროზის სახით. სამწუხაროდ, მის მიერ დამზადებული პწყარედი
არ ჩანს და მასზე მსჯელობა შეგვიძლია მხოლოდ იმ ორიოდ ნაწყ-
ვეტით, რომელიც მთარგმნელის რუსთველოლოგიურ შრომებშია შე-
მორჩენილი. ძირითადი ნიშანი, რაც ამ ნაწყვეტებს ახასიათებთ, ესაა
ორიგინალთან სიახლოვე და ავტორის პოეტური სულის შენარჩუნე-
ბის ცდა. მისი პწყარედი გამხდარა საფუძველი ი. ბარტდინსკის პოე-
ტური თარგმანისათვის, მისი თეთრი ლექსისათვის. აღნიშნული თარგ-
მანი, მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებისა, საყურადღებოა რო-
გორც რუსთველის პოემის რუსულად თარგმნის პირველი მნიშვნელო-
ვანი ცდა¹⁰. აღსანიშნავია, რომ დ. ჩუბინაშვილი, ერთი მხრივ, გადა-
ჭარბებით აფასებდა ი. ბარტდინსკის თარგმანს, ხოლო მეორე მხრივ,

⁹ დ. ჩუბინაშვილმა ლექსიკონში გამოიყენა და დაიმოწმა ძველი ქარ-
თული მწერლობის მრავალი ნიმუში. სახელდობრ, „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრა-
მანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“, „აბდულმესიანი“, „რუსულანიანი“, „დიდ-
მოურავიანი“, არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, დ. გურამიშვილის, ანტონ პირ-
ველისა და სხვათა ნაწერები (საუწყე ქართული ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკო-
ნი, ხელახლად შემუშავებული დ. ჩუბინაშვილის აგ ა ნ, სპბ., 1887, გვ. V—VI).

¹⁰ დ. ჩუბინაშვილის ღვაწლზე „ვეფხისტყაოსნის“ რუსულად თარგმნის საქ-
მეში იხ. П. Берков, Шота Руставели в русской литературе, ИАН (Отд. общ. наук), 1938, № 3, გვ. 58—59; ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 324—325; ლ. ანდლულაძე, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული თარგმანი, „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, I (1962), გვ. 201—221; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ რევოლუციამდელი რუსი მთარგმნელები, „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, III (1968), გვ. 127—131.

შეკარად აკრიტიკებდა გასული საუკუნის შუა წლების თბილისელი ჟურნალისტის ი. ევლახოვის თარგმანს.¹¹ სპეციალურ წერილში, რომელიც პეტერბურგიდან გამოუგზავნა «Кавказ»-ის რედაქციას. დ. ჩუბინაშვილმა დამაჯერებლად წარმოაჩინა რუსთველის პოემის უაღრესად დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და მხატვრულ-ლიტერატურული ღირებულება და აუცილებლად მიიჩნია მისი თარგმნის დროს აზრის სიცხოველისა და მხატვრული ელვარების, ბგერისა და ფრაზის ჰარმონიის დაცვა-შენარჩუნება. მისი დასკვნით, ი. ევლახოვმა დაამდაბლა რუსთველის დიდება, უგულვებლყო «ვეფხისტყაოსნის» პოეტური ბრწყინვალება და მხოლოდ შინაარსი გადმოგვცა, ისიც შეცდომით და არაზუსტად.¹²

დ. ჩუბინაშვილი ინტერესს იწვევს არა მხოლოდ როგორც ძველი ტექსტების გამომცემელი ან მთარგმნელი, არამედ როგორც ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი დაკვირვებული მკვლევარიც. მართალია, ის დიდი ნაყოფიერებით არ გამოიჩინა, მაგრამ ის ორიოდ წერილი, რომელიც მან ძველი ქართული მწერლობის საკითხებს უძღვნა, უთუოდ, საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი. აქ, პირველ რიგში, უნდა მოვიხსენიოთ დ. ჩუბინაშვილის ფრიად გახმაურებული წერილი: «О грузинской поэме «Вепхис-ткауანი» или «Барсова кожа», რომელიც რამდენჯერმე დაიბეჭდა¹³ და გერმანულადც ითარგმნა.¹⁴ დ. ჩუბინაშვილმა მოკლედ დაახასიათა თამარის დროის საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობა, საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ამ ხანის ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაზე, განათლების დონის ამაღლებასა და მეცნიერული აზროვნების განვითარებაზე, რუსთველი მიიჩნია ოქროს ხანის (მისი გამოთქმამა!) ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენლად, გადმოგვცა ხალხში გავრცელებული, აგრეთვე ტ. გაბაშვილის მიერ შემონახული ბიოგრაფიული ცნობები ამ გენიალურ შემოქმედზე, შეძლებისდაგვარად განიხილა «ვეფხისტყაოსნის» ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები და ნაწილობრივ სცადა მისი მხატვრული ანალიზიც. ვახტანგ მეექვსისა და მ. ბროსეს მსგავსად დ. ჩუბინაშვილმა კატეგორიულად უარყო პოემის სპარსულიდან მომდი-

¹¹ «Кавказ», 1846, № 15, გვ. 59.

¹² «Кавказ», 1846, № 27, გვ. 106.

¹³ ЖМНП, 1842, XXV, №8, გვ. 112—126 (ჩვენ ხელთ გვქონდა ცალკე ამონაბეჭდი — გვ. 1—15); ქართული ქრისტომატია, II, 1846, გვ. 1—IX; ЗКВ, 1850, № 41, გვ. 162—163; № 42, გვ. 165 (1846—1850 წწ. დაიბეჭდა მცირე ცვლილებით).

¹⁴ „Archiv für wissenschaftliche Kunde von Russland“, 1842, IV, გვ. 659—667.

ნარეობის შესაძლებლობა, ნიადაგი გამოაცალა ასეთ ვარაუდს და დამაჯერებლად დაადასტურა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობა. მან მაღალი შეფასება მისცა პოემის ვახტანგისეულ გამოცემას, მართებულად მიიჩნია ის კრიტიკულ-მეცნიერულ პუბლიკაციად, მაგრამ, ამასთანავე, გააკრიტიკა ვახტანგის კომენტარი, კერძოდ, ცდა „ვეფხისტყაოსნის“ მისტიკურ-ალეგორიულ პოემად გამოცხადებისა. მისი აზრით, სწორედ ორიგინალურმა სიუჟეტმა და სპეციფიკურმა მიზანდასახულობამ, იდეურ სიღრმესა და მხატვრულ ელვარებასთან ერთად, განაპირობა პოემის არნახული პოპულარობა და მისი ავტორის უსაზღვრო გავლენა არა მხოლოდ ლიტერატურის განვითარებაზე, არამედ საერთოდ მშობელი ხალხის ცხოვრებაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ჩუბინაშვილის ცდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებისა. რუსთველოლოგებმა აღრევე სცადეს „ვეფხისტყაოსანში“ საქართველოს ისტორიის კონკრეტული ეპოქის ანარეკლის დაძებნა, მის გმირებში ქართველთათვის დამახასიათებელ თვისებათა გამოვლენა. მაგალითად, თ. ბაგრატიონის ცნობით, „ვეფხისტყაოსანი“ ქართულსა ხარაქტერსა ზედა არს შეწყობილი“; რუსთველის პოემა „შეწყობილ არს ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაქტერსა ზედა ენისა ჩვენისასა“.¹⁵ მ. ბროსემაც შენიშნა რუსთველის „კმასაყოფელი აღწერა ზნეთა და შინაგანთა ცხოვრებათა ქართველთა“¹⁶. მაგრამ ის ამას არ დასჯერდა; მან სცადა ისტორიული ანალოგიების დაძებნა, სახელდობრ, გაავლო პარალელი ხვარაზმშაპის ვაჟის ნესტანის სათხოვად მოსვლასა და თამარის ზელის სათხოვად ხვარაზმშაპის თბილისს მოსვლას შორის. მკვლევარი დასძენდა: „უსაცვილოდ სხვანიცა მოქმედნი პირნი „ვეფხვის-ტყაოსნისა“ თვით ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდართა“.¹⁷ ამით მან არსებითად საფუძველი ჩაუყარა პოემის ისტორიულ-ალეგორიულ ინტერპრეტაციას. პირველი მკვლევარი, რომელმაც განაგრძო, განავითარა და განამტკიცა ეს თვალსაზრი, დ. ჩუბინაშვილი იყო. ამასთანავე, ის არა მარტო პირველი იყო, არამედ მამამთავარიც გახდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ისტორიულ-ალეგორიული თეორიისა. მკვლევარმა ერთბაშად რამდენიმე ისტორიული ანალოგია დაძებნა. მისი აზრით, ნესტან-დარეჯანი, ერთადერთი ასული ფარსადანისა, არის თამარი — ერთადერთი ასული გიორგი მესამისა; ნესტან-დარეჯანს ზრდიდა მამიდა დევიკი ისევე, როგორც თა-

¹⁵ თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკლევითა და საძიებლოთ, თბ., 1960, გვ. 290, 293.

¹⁶ ვეფხისტყაოსანი, სპბ., 1841, გვ. VII.

¹⁷ იქვე, გვ. IX.

მარს მამიდა რუსუდანი; მასთან იზრდებოდა ტარიელი, ხოლო თამარ-
თან დავით სოსლანი; ნესტანსა და ტარიელს ადრევე აღძვრიათ სიყ-
ვარული ერთმანეთის მიმართ, ასევე, ადრევე შეიყვარეს ერთმანეთი
თამარმა და დავითმა; ხვარაზმშაჰის ვაჟი მოვიდა ნესტანის სათხოვად,
ხვარაზმშაჰს სურდა თამარის შერთვა; ინდოეთიკა და საქართველოც
შვიდი სამეფოსაგან შედგებოდა; ქაჯეთის ციხე ახალციხის მხარესაა
და ა. შ.

დ. ჩუბინაშვილის ისტორიულ-ალეგორიული თეორია შეიწყნარეს
და გაიზიარეს, უყოყმანოდ გაიმეორეს თუ სახის შეცვლით განავითა-
რეს ს. ბარათაშვილმა, გ. იოსელიანმა, ნ. გულაკმა, დ. ბაქრაძემ,
ე. სტალინსკიმ, მ. ჯანაშვილმა, ს. ქვარიანმა და სხვ. დ. ჩუბინაშვილის
კონცეფციამ შთამაგონებელი გავლენა მოახდინა ა. წერეთელსა და
ვაჟა-ფშაველაზე. „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ნაციონალური ინ-
ტერპრეტაციის თვალსაზრისს იცავდა და ავითარებდა პ. ინგო-
როყვა.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გარკვეულია, რომ მი-
ნიშნებული ანალოგიებიდან რამდენიმე ისტორიულ სინამდვილეს არ
შეეფერება; მართებულად აცხადებენ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამბისა
და პერსონაჟების მოხმობილი ანალოგიები და პარალელები საქართ-
ველოს ისტორიული სინამდვილიდან ზოგჯერ შემთხვევით ხასიათს
ატარებს და ნებისმიერია, მაგრამ ისიც უცილობელია, რომ „ვეფხის-
ტყაოსნის“ ზოგიერთი ეპიზოდი, დეტალი, გმირი ძალდაუტანებლად
მოგვაგონებს საქართველოს ისტორიის ცნობილ პერიოდსა და კონკ-
რეტულ-ისტორიულ პირებს, რაც საფიქრებელს ხდის, რომ რუსთვე-
ლის პოემაში აირეკლა ჩვენი წარსულის საინტერესო სურათები. რაო-
დენ საკამათო და საცილობელი არ უნდა იყოს დ. ჩუბინაშვილის ზო-
გიერთი დაკვირვება, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ მეცნიერის კონცეფ-
ციამ თავის დროზე უაღრესად დადებითი როლი შეასრულა ქართველ-
თა შორის ეროვნული გრძნობის გაღვივების საქმეში. ნაწილობრივ
მისი გავლენით აიხსნება ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი
მკითხველი და დამფასებელი დაბეჭდვით იცავდა და ამტკიცებდა
პოემის ორიგინალობას, მიიჩნევდა მას ქართული სინამდვილის მხატვ-
რულ გარდასახვად, ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების
ანარეკლად. დ. ჩუბინაშვილის რუსთველოლოგიურ ნააზრევს, რასა-
კვირველია, უმეტესად ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მკვლევ-
რის ზოგიერთი დაკვირვება და დასკვნა ახლაც ანგარიშგასაწევი¹⁸.

¹⁸ რ. ბარამიძე, გამოჩენილი მეცნიერი, „ლიტერატურული საქართველო“,
25. XII. 1964, № 52 (1429); ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970,
გვ. 59—70; ლ. მენაბდე, დ. ჩუბინაშვილი და ძველი ქართული მწერლობა, „ქარ-
თული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1972, № 3, გვ. 58—64.

დ. ჩუბინაშვილის სხვა შრომებიდან ძველი ქართული მწერლობის თვალსაზრისით საყურადღებოა წერილი — «Известия о грузинских книгах из котрых выписки вошли в состав «Хрестоматии», რომელიც უძღვის „ქრისტომატიის“ პირველი ტომის პირველ გამოცემას. საინტერესოა მისი ცნობები ბიბლიის ქართულ ენაზე თარგმნასა და გამოცემაზე, ათონის ლიტერატურული სკოლის ხელმძღვანელებზე,¹⁹ კლასიკური ხანის ქართული ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენლებზე — მოსე ხონელსა და სარგის თმოგველზე, საზღაპრო ეპოსის მნიშვნელოვან ძეგლებზე — „რუსუდანიანზე“, ალორძინების პერიოდის გამოჩენილ მწერლებზე — სულხან-საბა ორბელიანსა და ვახტანგ მეექვსეზე, ანტონ პირველსა და ტ. გაბაშვილზე. მართალია, დ. ჩუბინაშვილის წერილი არაა დაზღვეული შეცდომებისაგან (მაგალითად, არაა სწორი „ვისრამიანის“ მთარგმნელად დილარგეთ სარგის თმოგველის მიჩნევა, ან „რუსუდანიანის“ XIII საუკუნით დათარიღება, სადავოა სულხან-საბა ორბელიანის წიგნის დასათაურება — „სიბრძნე სიცრუვის ზღაპრები“ — «Сказки мудрости и лжи»; სულხან-საბა ეჩენევაში არასოდეს ყოფილა და არც ლექსიკონი შეუდგენია ქაიხოსრო მეფის ბრძანებით), მაგრამ, ამასთანავე, მასში არის მრავალი საინტერესო დაკვირვება და საგულისხმო დასკვნა, რომელიც იმ დროისათვის საყურადღებო იყო და ზოგ მათგანს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მაგალითად, საყურადღებოა მსჯელობა „ვისრამიანის“ მხატვრულ ღირსებაზე, სწორადაა გარკვეული არჩილის როლი ქართული ბიბლიური წიგნების შეკრების, შევსებისა და გამოსაცემად მომზადების საქმეში, მახვილგონიერულადაა შენიშნული „რუსუდანიანის“ სიახლოვე ქართულ სინამდვილესთან, „სიბრძნე სიცრუისა“ მართებულადაა დათარიღებული სულხან-საბას ახალგაზრდობის პერიოდით, „ქილილა და დამანას“ კანონიკური რედაქციის შექმნა-ჩამოყალიბებაში საესეებით სწორადაა წარმოჩენილი სულხან-საბას ღვაწლი და ა. შ.²⁰

დ. ჩუბინაშვილი დაინტერესებული ყოფილა ქართული ვერსიფიკაციის საკითხებითაც. ჭერ კიდევ ადრინდელ რუსთველოლოგიურ წერილში იგი მსჯელობდა ქართული მეტრიკის საკითხებზე, ახასიათებ-

¹⁹ იხ. აგრეთვე ქართლის ცხოვრება, დასაბამითან მეთაქსრამეტე საუკუნემდის, ნაწილი მეორე, ახალი მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე, გამოცემული დ. ჩუბინაშვილის აგან, სპბ., 1854, გვ. XX, XXI, XXIV. სხვათა შორის, დ. ჩუბინაშვილი ყოფილა წევრი იმ დეპუტაციისა, რომელიც ეახლა იმერპროკურორს ათონის მონასტრის ქართველთათვის დაბრუნების საკითხზე („დროება“, 1885, № 172).

²⁰ ძველ ქართულ მწერლებზე მოცემულია ცნობები აგრეთვე დ. ჩუბინაშვილის რუსთველოლოგიურ წერილებსა და იმ ნაკვეთეში, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომს უძღვის. საგულისხმოა, რომ „თამარიაანის“ მკაცრმა შეფასებამ (ქართული ქრისტომატია, II, 1846, გვ. III) გარკვეული გავლენა მოახდინა ი. ჯავახიძესა და ა. წერეთელზე.

და შაირს და ა. შ.. (სამეცნიერო ლიტერატურაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ დ. ჩუბინაშვილი დავალებულია რუსი სწავლულის ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომით²¹.

გარკვეულ ინტერესს იწვევს პოეტიკური ტრაქტატი „საზომი ლექსთა“, რომელიც მკვლევარმა ჯერ რუსულად გამოაქვეყნა,²² ხოლო შემდეგ შეავსო და ქართულად დაბეჭდა.²³ თუ ადრე დ. ჩუბინაშვილი სხვათა მოსაზრებას იწყნარებდა და ქართულ ლექსს ტონურად აცხადებდა, ახლა უარყო ეს შეხედულება და განსხვავებული აზრი განავითარა — ქართული ლექსთწყობა სილაბურად მიიჩნია. მარცვლებისა და ტაეპების მიხედვით მან დაასახელა, გამოყო და სათანადო საილუსტრაციო მასალით წარმოადგინა ქართული ლექსის 9 სახე: წყობილი, ბაიათი, გაფი, მუხამბაზი, თეჯლისი, მუსტაზადი, შაირი, ჩახრუხული ან ფისტიკაური, იამბიკო (საილუსტრაციოდ მოხმობილია შავთელის, ჩახრუხადის, ბესიკის, საიათნოვას, დ. თუმანიშვილისა და სხვათა ლექსები). მართალია, დ. ჩუბინაშვილი შეცდომებისაგან დაზღვეული არაა,²⁴ ამასთანავე, მისი ტრაქტატი თ. ბაგრატიონის ანალოგიური (უფრო სრული და უფრო საფუძვლიანი) შრომითაა დავალებული,²⁵ მაგრამ მაინც საყურადღებოა, როგორც სახელმძღვანელო, რომელშიც მოკლედაა განხილული ძველი ქართული ლექსთწყობის საკითხები.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ დ. ჩუბინაშვილის წვლილი ძველი ქართული ხელნაწერების შეკრებისა და აღწერის საქმეში. მან შესყიდვით, ბატონიშვილთა შეწირულებითა თუ სხვა გზით თავი მოუყარა ძველი ქართული ხელნაწერებისა და წიგნების მდიდარ კოლექციას, რომლის აღწერილობა გამოაქვეყნა ა. ცაგარელმა.²⁶ აღწერილობაში მოცემული ცნობებიდან ნათლად ჩანს, თუ რა ძვირფასი ხელნაწერები შეუტკრებია დ. ჩუბინაშვილს. მისი სურვილის თანახმად, აღნიშნუ-

²¹ ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი (VII—XVIII სს.), თბ., 1953, გვ. 50—51, 60—61.

²² Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, СПб., 1855, гв. 74—76.

²³ ქართული ლრამბატია, ახლად შედგენილი დ. ჩუბინოვისაგან, სპბ., 1887, გვ. XXXVIII—XL (წიგნში: საუნჯე ქართული ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ხელახლად შემუშავებული დ. ჩუბინოვისაგან, სპბ., 1887).

²⁴ А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, ნაკვ. III, СПб., 1894, გვ. 76—77, 94—96, 101; ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 72—75.

²⁵ გ. იმედაშვილი, თეიმურაზ ბაგრატიონის შრომა ქართული ეერსიფიკაციის საკითხებზე, „ლიტერატურული ძიებანი“, IV (1948), გვ. 232—236, 242.

²⁶ А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, ნაკვ. III, გვ. XIV—XVI, 102—149.

ლიკოლექცია გადაეცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ახლა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ინახება. სხვათა შორის, დ. ჩუბინაშვილმა ჯერ კიდევ 1860 წელს პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებს (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ს. აბაშიძე და სხვ.) გადასცა სალომე ბატონიშვილისეული ხელნაწერები²⁷, რითაც, უთუოდ, დიდად შეუწყო ხელი ქართველ ახალგაზრდობაში ძველი ქართული მწერლობისადმი ინტერესის გაღვივებას. მასვე შეუდგენია კატალოგი სააზიო მუზეუმის ქართული ხელნაწერებისა.

ამრიგად, დ. ჩუბინაშვილი წლების მანძილზე ენერგიულად იღვწოდა ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისა და საერო-მხატვრული ლიტერატურის შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის, კერძოდ, ძველი ქართული ხელნაწერების შეკრებისა და აღწერისათვის, მათში შემონახული ძველი ტექსტების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემისათვის, რუსთველოლოგიური თუ სხვა სახის პრობლემათიკის დამუშავებისათვის, ძველი ქართული კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის ღირსების წარმოჩენისათვის.

²⁷ ი ქ ვ ი, 83. 186—187.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ბაირახტრის, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უთვალსაჩინოესი მოღვაწის ი. ჭავჭავაძის შემოქმედება უაღრესად მრავალმხრივია. მისი კულტურულ-ისტორიული და მხატვრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება სრული სახით ძნელი გასათვალისწინებელია. შესანიშნავი მხატვარი და უებრო მოაზროვნე, დაკვირვებული მეცნიერი და პირუთვნელი კრიტიკოსი დიდი გულისყურით სწავლობდა ძველ ქართულ მწერლობას, ინტერესით ეცნობოდა და მიუდგომლად აფასებდა ძველი ქართველი კალმის ოსტატების უკვდავ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. უნივერსალური განათლება, იშვიათი ნიჭი და გამჭრიახობა, დაუშრეტელი ენერგია და გონებრივ ინტერესთა სიფართოვე მხატვრული სიტყვის დიდოსტატს ხელს უწყობდა ძველი ქართული მწერლობის კულტურულ-ისტორიული ღირებულებისა და მხატვრულ-ლიტერატურული მნიშვნელობის სრულად გათვალისწინებაში.

ძველი ქართული მწერლობა იყო ი. ჭავჭავაძის შთაგონების წყარო. დიდი ილია თავდადებით იბრძოდა ძველი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისათვის, ქართველი ხალხის კულტურული მოწიფულობის წარმოჩენისათვის.

ი. ჭავჭავაძე აღიზარდა ლიტერატურული ტრადიციების მატარებელ ოჯახში; იქ გაიცნო და შეისწავლა ქართული წერილობითი კულტურის ნიმუშები, იქვე გაეღვიძა ინტერესი ძველი მწერლობისადმი. უკვე ახალგაზრდობაში ილია დიდი ინტერესით კითხულობდა ძველ ქართულ წიგნებს.

ძველი ქართული მწერლობის გაცნობა და შესწავლა ი. ჭავჭავაძეს შეეძლო გიმნაზიაში სწავლის პერიოდში (1852—1855), კიდევ უფრო მეტად მაშინ, როდესაც პეტერბურგში სწავლობდა (1857—1861), იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად ირიცხებოდა და „თვითონ იკათავდა გონების გახსნის გზას“ (ნ. ნიკოლაძე). საფიქრებელია, ი. ჭავჭავაძემ პეტერბურგში გაიცნო ზოგიერთი ძველი ქართული ძეგლი.

ძველი ქართული მწერლობის შესწავლას ილია განაგრძობდა თბილისშიც, სადაც მას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა. აღსანიშნავია, რომ ი. ჭავჭავაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ძველი ქართული მწერლო-

ბის ცნობილ მკვლევართან: დ. ჩუბინაშვილთან, მ. ჯანაშვილთან, ა. ცაგარელთან, ა. ხახანაშვილთან, ე. თაყაიშვილსა და სხვებთან. ძველი ქართული მწერლობის ამ სახელმძღვანელო სპეციალისტების ნაშრომების გაცნობა და შესწავლა, ზოგიერთ მკვლევართან ახლო ნაცნობობა კიდევ უფრო უზრდიდა ილიას ინტერესსა და სიყვარულს ძველი ქართული წერილობითი კულტურისადმი.

საყურადღებოა ის მუშაობა, რომელსაც ი. ჭავჭავაძე ეწეოდა ძველი ქართული ხელნაწერების შეკრებისა და დაცვისათვის, ხელნაწერებში წარმოდგენილი მასალის შესწავლისა და პუბლიკაციისათვის. ილია იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. საზოგადოების დაარსების დღიდან (1879 წ.) მუშაობდა თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1885 წლიდან სიცოცხლის მიწურულამდე თავმჯდომარედ; იყენებდა რა თავის სახელსა და ავტორიტეტს, აგრეთვე ოფიციალურ მდგომარეობას, აქტიურად იღვწოდა ქართულ ხელნაწერთა შეკრებისათვის, ძველი ქართული ხელნაწერების სისტემაში მოყვანისათვის, ქართული სიძველეთსაცავის დაარსებისათვის.

ი. ჭავჭავაძე არა მარტო ხელნაწერთა შეკრებაზე ზრუნავდა, არამედ ძველი ძეგლების პუბლიკაციის საქმიანაც იყო დაინტერესებული. მართალია, ზოგიერთი ძველი თხზულება გამოქვეყნებული იყო, მაგრამ ეს გაზრდილ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდა. ილია, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრალური ფიგურა, სხვაზე მეტად განიცდიდა ამ ნაკლებობას. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მან აქტიურად დაიწყო მოქმედება. მისი უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა „ვისრამიანი“ (1886 წ.), „ვეფხისტყაოსანი“ (1888 წ.), გამოსაცემად მზადდებოდა „არჩილიანი“ (1887 წ.) და სხვ.

ილიასთვის ცნობილი იყო პოეტური ტრადიციების მქონე ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობა. მას კარგად ესმოდა, რომ ახალ ქართულ მწერლობას შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა ძველ მწერლობასთან, მის იდეურსა და გრძნობით სამყაროსთან, ჰქონდა მასთან თემატიკური და ფორმობრივი შეხვედრებიც. ილიასთვის ნათელი იყო, რომ მისი დროის ლიტერატურული ტრადიციების ფესვები ძველ მწერლობაში იყო საძიებელი და მისი შესწავლა ძველი მწერლობის მდიდარი მემკვიდრეობისაგან მოწყვეტით შეუძლებელი იყო; „დღევანდელს ჩვენს მწერლობას უნდა ჰქონდეს და კიდევაცა აქვს ნათე-

საობა წარსულ მწერლობასთან, საფუძველი, დედააზრი ძველისა და ახლისა ერთი და იგივეა“ (III, 313)¹.

ილიას ინტერესებდა ძველი ქართული მწერლობის ზოგადი პრობლემები თუ მისი ცალკეული საკითხები, რომელთა შესწავლაზე ის დაუღლელად მუშაობდა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის დღიდან იგი თანდთანობით იმუშავებდა და აყალიბებდა თავის ესთეტიკურ-ლიტერატურული პრინციპების სისტემას, ახლებურად აშუქებდა მხატვრული მემკვიდრეობის საკითხებს.

ი. ჭავჭავაძე გულდასმით სწავლობდა და მადლიერების გრძნობით აფასებდა ძველ ქართულ მწერლობას. მრავალმხრივი განსწავლულობა მას შესაძლებლობას აძლევდა სათანადოდ გაეაზრებინა და გაეშუქებინა ძველი ქართული მწერლობის საკითხები და დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნების განზოგადებაც მოეხდინა. ილიას არ დაუწერია სპეციალური ნარკვევი ძველი ქართული მწერლობის შესახებ, მაგრამ მის ნაწერებში გვხვდება საყურადღებო დაკვირვებანი, საინტერესო მოსაზრებანი, საგულისხმო შენიშვნები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსპექტური ჩანაწერი (III, 457), რომელიც ნაწილია დაუმთავრებელი წერილისა — „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“. იგი ეკუთვნის ილიას მოღვაწეობის ადრეულ ხანას და საფიქრებელია „საქართველოს მოამბისათვის“ იყო გამიზნული. ავტორის სურდა მოეცა კრიტიკული ანალიზი მისი დროის ქართული მწერლობისა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა მხოლოდ „ცისკრის“ განხილვით და ქართული მწერლობის განვითარების გზების მიმოხილვაც სცადა. კონსპექტში მოცემული იდეები ილიამ განაეითარა შრომაში — „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ (1892 წ.), მაგრამ, სამწუხაროდ, ძველი მწერლობის საკითხებს აღარ დაბრუნებია და აღარ გაუშლია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული კონსპექტური ჩანაწერი, რომელიც უთუოდ მომავალი წერილის გეგმას წარმოადგენდა, საინტერესო და საყურადღებოა. მასში ავტორი ძირითადად სწორად წარმოგვიდგენს ძველი ქართული მწერლობის (ეერძოდ პოეზიის) განვითარების გზას. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილია გვევლინება ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავ მცოდნედ და პირუთვნელ დამფასებლად. ის მართებულად ახასიათებს ჩვენს ლიტერატურულ მემკვიდრეობას როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმის მხრივ, კარგად ერკვევა ძველი ქართული მწერლობის პრობლემებში. მისი ნაფიქრ-ნააზრევი საგულისხმო

¹ ნარკვევის წერისას ვიყენებდით ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრულ კრებულს, რომელიც პ. ინგოროვის რედაქტორობით გამოაქვეყნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა, I—X, თბ., 1951—1961. დამოწმებისას რომელიც რიცხვით აღნიშნავთ ტომს, არაბულით — გვერდს.

და ანგარიშგასაწევია, დებულებები — ნათელი და თანამიმდევრული. საყურადღებოა მისი დაკვირვებანი ძველ ქართულ მწერლობაში ლირიკის განვითარებისა და წინა პლანზე წამოწევის შესახებ (III, 458—459), ალორძინების ხანის მწერლების მიერ რუსთველის მიბადვის შესახებ (III, 459) და სხვ. ი. ჭავჭავაძე მოგვევლინა ძველი ქართული მწერლობის კლასიფიკატორის როლში. მან შენიშნა და გამოყო (III, 55) რამდენიმე ლიტერატურული მიმართულება: სენტიმენტალური („ვარდბულბულიანი“), რომანტიკული („ვეფხისტყაოსანი“), ცრუკლასიკური (რუსთველის ეპიგონები). მიუხედავად ცალკეული უზუსტობისა, არსებითად ესაა პირველი ცდა ძველ ქართულ მწერლობაში მიმართულებათა დადგენა-გამოყოფისა. აღნიშნული გარკვეობა კიდევ უფრო სარწმუნოდ ხდის ი. ჭავჭავაძის მიჩნევას ქართული მწერლობის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ერთერთ ფუძემდებლად.

ი. ჭავჭავაძე საფუძვლიანად იცნობდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, იმოწმებდა ბიბლიას, იყენებდა ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს — „შუშანიკის მარტილობას“ (III, 74) და „ლუარსაბ ზეთის წამებას“ (IV, 184—188), მსჯელობდა დავით აღმაშენებლის კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობასა (IV, 179—183) და ანტონ კათალიკოსის საქმიანობაზე (III, 31, 48—49, 389), „ივერიაში“ ბეჭდავდა ცნობილ მოღვაწეთა (იაკობ ცურტაველი, იოანე ბოლნელი, ექვთიმე ათონელი, გიორგი მთაწმიდელი, გიორგი მცირე და სხვ.) გამონათქვამებს და ა. შ. ცალკე უნდა გამოეყოთ „განდევლის“ საკითხი. ამ პოემას პირდაპირ თუ არაპირდაპირ გ. ფლობერის „წმინდა ანტონის ცდუნებასა“ და ე. ზოლას „აბატ მურეს შეცოდებას“ უკავშირებდნენ, მაგრამ ამან საკითხს ნათელი ვერ მოჰფინა. „განდევლი“ დასახელებული ძეგლებისგან განსხვავდება როგორც იდეური მიმართულებით, ისე პრობლემის გადაწყვეტით. სიუჟეტურ-ფაბულარულად იგი ახლოს დგას ერთ ჰაგიოგრაფიულ თხზულებასთან („ცხორებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა მარტინიანისი“), მაგრამ მისი ქართული თარგმანი საქართველოში არ მოიპოვებოდა, ხოლო ბერძნული ტექსტი გვიან გამოქვეყნდა (1907 წ.). საფიქრებელია, ილიაძე თქმულება აიღო ხალხური სიტყვიერებიდან, სადაც ის დიდი ხნის წინათ გადასულა სასულიერო-საეკლესიო მწერლობიდან. არაა გამორიცხული, რომ ილია რამდენადმე დავალებული იყოს „ბალავარიანის“ ზოგიერთი ეპიზოდით.

საფუძვლიანად იცნობდა ი. ჭავჭავაძე ძველ ქართულ საერო-მხატვრულ ლიტერატურას. მაღალ შეფასებას აძლევდა „ვისრამიანს“, უწოდებდა მას „ყოველ მხრით შესანიშნავ განძს ქართული ლიტერატურისა“ და „მშვენიერ წიგნს“ (III, 474), იყენებდა მის გამონათქვამებს

(VIII, 194), ესესებოდა ლექსიკას (VI, 185), აქტიურად იღვწოდა მის გამოსაცემად (X, 96—97, 100), უყურადღებოდ არ ტოვებდა ტექსტის პუბლიკაციის არც ერთ მხარეს, თვით მონაწილეობდა კორექტურისა თუ სხვა სახის სამუშაოს შესრულებაში; მანვე შეადგინა წინასიტყვაობის პროექტი, რომელშიც მეცნიერული კეთილსინდისიერებით განიხილა „ვისრამიანის“ წარმომავლობის პრობლემა (III, 474—475). ხშირად იხსენიებდა ილია ჩახრუხადის „თამარიანს“ (III, 10—11, 42, 449), მაგრამ უგულებელყოფდა მის ღრმავანიანარსიანობასა და მალაღმბატურულობას და არასწორ შეხედულებას ავითარებდა კლასიკური ხანის ამ ბრწყინვალე ძეგლზე.

განსაკუთრებით მაღალი წარმოდგენისა იყო ი. ჭავჭავაძე ქართული პოეზიის გვირგვინზე — „ვეფხისტყაოსანზე“. მას სიამაყისა და სიყვარულის გრძნობით აღავსებდა ბრძოლის მგზნებარე პათოსით გამსჭვალული პოემა, მარად აღელვებდა ჩვენი „თავმოსაწონებელი“, „სამართლიანად სახელოვანი“ და „სასიქადულო“ შემოქმედი. მისი განცხადებით, „გულთამხილავი რუსთაველის დიდებული პოემა“ უკვდავია „არა მარტო თავისი ფორმით, არამედ თავისი შინაგან ღირსებებით“. ქართველი ხალხის მოკირნახულე მგოსანს „უკვდავი რუსთაველის უკვდავი“ „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნდა მსოფლიო მასშტაბის პოეტურ შედეგად. მისი მართებული დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი“ ქართველების გულის საუნჯეა. რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა სჯობია-რა“, ისაა „უძირო მორევი, ზღვა აზრისა და გრძნობისა“; „თითქმის წმიდათა-წმიდა, რომელსაც შეიდას-რვაასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შეჰხარის“ ერი, ისაა „დიდებული სახსოვარი, რომელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“. საგულისხმოა, რომ „უკვდავ რუსთაველს“ ილია აღიარებდა ერის სულიერ ზრახვათა ამსახველად, ქართული კულტურის ღირსეულ წარმომადგენლად და არა შემთხვევით გამოჩენილ გენიოსად, მოულოდნელ მოვლენად. ქართული სიტყვის ჯადოქარი მას „თითქმის გენიად“ მიაჩნდა და კარგად ესმოდა „რა განძია ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“; რა ბურჯია იგი ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის“. ილია „რუსთაველის უსწორო, ძლიერ ქნარს“, მის „მშვენიერ აღმაფრენას“ ადამიანის გამაყეთილშობილებლად და გამაფაქიზებლად თვლიდა. შოთას პოემის შთამაგონებელი ძალა ყოველ ნაბიჯზე იჩენდა თავს, გაკვირვებულს ეხმარებოდა, გზას უკაფავდა, ამამაცებდა და აკაეზბდაო.

ი. ჭავჭავაძე შესანიშნავად იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, კარგად ერკვეოდა მის პრობლემებში, სათანადოდ აფასებდა რუსთ-

ველის მნიშვნელობას და წუხდა, ეს უნივერსალური შემოქმედი სათანადოდ რომ არ იყო შესწავლილი და დაფასებული ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის მიერ.

თავის ნაწერებში ილია ზოგჯერ „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებსაც ეხებოდა, თავგამოდებით იცავდა პოემის ორიგინალობას; მანვე მოგვცა პოემის გმირთა დახასიათება, გახაზა მისი იდეურობა და გრძნობათა სიფაქიზე, სათანადოდ გაიაზრა „ვეფხისტყაოსნის“ ზნეობრივად ამამაღლებელი ტიტანური ძალის სიყვარული. რუსთველსა და მის პოემას ილია იხსენიებდა როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ თხზულებებში. პუბლიცისტური და სამეცნიერო წერილებიდან აღსანიშნავია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“, „პასუხი“, „ქართული თეატრი“, „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“, „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“, „ოსმალის საქართველო“, «Новое обозрение»-ს წერილის გამო“, „ქვათა ღალადი“ და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა წერილი: „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ (III, 166—178), რომელიც 1887 წელს გამოქვეყნდა „ივერიაში“. ამ წერილში ილიამ რუსთველის ქმნილება საფუძვლიანად გაარჩია, მოგვცა მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით განხილვის შესანიშნავი ნიმუში და წარმოაჩინა რუსთველის სიდიადე.

ა. წერეთელმა ლექციები წაიკითხა ჯერ ქართულად (1881 წ.), ხოლო შემდეგ რუსულად (1887 წ.). მისი კონცეფცია ასეთი გახლდათ: რუსთველის მთავარ მიზანს მისი სამშობლოს სრული, მთლიანი სურათის მოცემა წარმოადგენდა. ვინაიდან საქართველო სხვადასხვა ტომებითაა დასახლებული, პოეტმა რამდენიმე კუთხის წარმომადგენელი დაგვიხატა: ქართლელი (ტარიელი), იმერელი (ავთანდილი) და შავი ზღვისპირელი (ფრიდონი). მისი დასკვნით, რუსთველის ვაჟები და ქალებიც ნამდვილი ქართველები არიან.

ი. ჭავჭავაძემ აკაკის მიერ ლექციების წაკითხვა და რუსთველის პოემის პოპულარიზაცია საყურადღებო მოვლენად მიიჩნია, მისი მიზანდასახულობა და მოქმედება მოიწონა, მაგრამ კრიტიკული შენიშვნებაც გამოთქვა. მისი დასკვნით, აკაკიმ რუსთველის პოემის მნიშვნელობა „ვიწრო ფარგალში მოამწყვდია“; მისი კონცეფციით, „რუსთველი დიდად სადიდებელი პოეტი კი არ არის, არამედ უბრალო ეთნოგრაფია, ან ამის მსგავსი ერთი ჩურჩუქი რამ არამკითხველ მოამბე“.

ი. ჭავჭავაძე რუსთველის დაუღწევი ქომაგი, თაყვანისმცემელი და შესანიშნავი დამფასებელი იყო. ის მუდამ უსაზღვრო სიყვარულით იყო გამსჭვალული „ვეფხისტყაოსნისადმი“; ამიტომაც ვერ ურიგდებოდა აკაკის აზრს და ვერ იწყნარებდა მის შეხედულებას: „ძნელია

იმისთანა მართლა სახელოვანი პოეტი, როგორც რუსთაველია, კაცმა უბრალო ეთნოგრაფის საჩხირკედლო საქმეზედ ჩამოახდინოს. ეს მეტისმეტი დაქვეითებაა პეგასზედ მჯდომი ცხენოსნისა“.

ილიას დასკვნით, დიდოსტატთა მიერ დახატულ ტიპებს ახასიათებთ არა მხოლოდ ამა თუ იმ ერის სპეციფიკური ნიშან-თვისებანი, არამედ ზოგადსაკაცობრიო, ყველა ხალხისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითად, ფალსტაფს, რომელიც ოსტატურად დახატა შექსპირმა, „ათასი მსგავსი“ დაედებნა საქართველოში. ის მხოლოდ ინგლისელის ტიპს კი არ წარმოადგენს, არამედ საერთო-საყოველთაოს. „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომელის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან“.

რუსთაველის გმირები ილიამ მსოფლიო მასშტაბის გმირებად მიიჩნია და მსოფლიო ლიტერატურის საყოველთაოდ ცნობილი და სახელგანთქმული გმირების გვერდით მოიხსენია: „ფალსტაფი ისეთივე შვილია მთელი კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი, დიდოს შემოქმედობის ძალით შექმნილნი“.

ი. ჭავჭავაძეს სწორად ჰქონდა გაგებული, რომ ზოგადსაკაცობრიო ტიპის დახატვა ყველა მწერალს არ ძალუძდა, ამ ამოცანის დაძლევა მხოლოდ რჩეულთ შეეძლოთ: „რამოდენადაც მწერლის შემოქმედობის ძალი სწვდება ამ ზოგადკაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა“.

ზოგადსაკაცობრიო ტიპის შექმნისას მწერალი არ უგულვებელყოფს ამა თუ იმ ერისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, პირუკუ, ასეთი ტიპის შექმნისას ის იყენებს ეროვნულ მონაცემებს და აზოგადებს მას. „თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას, მაგრამ ეგ მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება“. აი საზომი, რომლითაც, — ილიას აზრით, — უნდა დაეწყოს „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა ა. წერეთელს. მაშინ ის პოემის გმირებს „საერთო-კაცობრიულად“ მიიჩნევდა და არ დააქნინებდა.

რუსთაველის გმირები ილიამ მიიჩნია ზოგადსაკაცობრიო ტიპებად, რომელთა ეროვნულ-ტომობრივ ჩარჩოებში ჩაყენება შეუძლებლად და გაუმართლებლადაც კი გამოაცხადა: „ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი მამაკაცნი და დედაკაცნი „ვეფხისტყაოსნისა“ ყველაზედ უწინარეს ადამიანები არიან და, მაშასადამე, ზოგად ადამიანის

ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი“. ისინი მოქმედებენ არა ავტორის სურვილისა თუ მათი ტომობრივი წარმომავლობის ნიშნების შესაბამისად, არამედ გათვალისწინებით იმ კონკრეტული სიტუაციისა, რომელშიც დგას ესა თუ ის გმირი.

ტარიელი, ილიას დახასიათებით, არის „ახოვანი, ღონიერი, ჯანმრთელი, სულითა და გულით ძლიერი, უშიშარი ვაჟკაცი“. მართალია, ამ დევგმირს „გულისთქმამ ცნობა წაართვა, ცნობის წართმევამ — ღონე და უღონობამ მჩვრად აქცია“, მაგრამ ეს, — ილიას აზრით, — ტარიელის ტომობრივი წარმომავლობით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ იგი აქ „კაცად-კაცადია, გულისთქმის ქარცეცხლში გატარებული თავიდან ბოლომდე“. ის საგანგებოდ იგონებდა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სალაპარაკოდ შეყრის ეპიზოდს და საუბრის გარეშე დაცილებას. ეს ადგილი მას „გენიოსურ კალმის მოსმად“ მიაჩნდა: „აქ, — წერდა ილია, — ერთის კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ეხლანდელი მწერალი მთელს ფურცლებს მოანდომებდა და მაინც ესოდენ ცხოვლად ვერ გამოგვიხატავდა სათქმელსა“. აღნიშნული ადგილი ილიას ჰომეროსის თხზულების ერთი ბრწყინვალე ადგილის ტოლფასოვნად მიაჩნდა. ილია დაბეჭითებით ცდილობდა ტარიელის გამართლებას და მისი მოქმედების გარკვეული სიტუაციით ახსნას: „ტარიელი მჩვრად იქცა იმიტომ კი არა, რომ ზარმაცი ქართლელია, არამედ იმიტომ, რომ მაგისტანა ბუნების კაცი უსათუოდ მჩვრად უნდა იქცეს, რაკი იმ გარემოებაში ჩავარდება და ბედი, თუ ქვეყანა, ისე უმტყუნებს და უღალატებს“. ასევე სურდა მას სათანადოდ საფუძველი გამოენახა ავთანდილის მოქმედებისათვის, რომელიც, მისი დასკვნით, იმ გმირის წარმომავლობით — იმერლობით კი არ აიხსნება. არამედ მისი ბუნებითა და ხასიათით.

ამრიგად, ილიას მტკიცებით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირები „კაცად-კაცი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი“ და მათი დაკნინება არაფრით არაა გამართლებული და დასაბუთებული. „რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჭუჭრუტანიდან სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მართო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდან, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადაეველებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზე“.

თავის მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევში ი. ჰავეშაჰე გვევლინება დაკვირვებულ კრიტიკოსად, რომელიც რიდითა და კრძალვით ეკამათება ა. წერეთელს, არკვევს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, შესანიშნავი კრიტიკული ალლოთი განიხილავს მას, ეძებს ტიპურ მოვლენებს, დამაჯერებლად იძლევა ამომწურავ პასუხს საკამათო საკითხზე.

მიუხედავად მრავალი ღირსებისა, ილიას წერილი არ იყო დაზღვეული ნაკლისაგან. პოლემიკით გატაცებულმა მწერალმა უყურადღებოდ დატოვა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის უგულბელებლობამ რამდენადმე ჩრდილი მიაყენა მის ნარკვევს. მას მხედველობიდან გამოორჩა; რომ ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ისეთი დაცილება, როგორც მის წერილში შეინიშნება, არაა გამართლებული. სწორად შენიშნა ამის გამო ა. წერეთელმა: „რატომ არ შეიძლება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყონ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც?“

ილიას წერილი: „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ უალრესად მნიშვნელოვანი კრიტიკული განხილვაა პოემისა. არსებითად ესაა პირველი სერიოზული ცდა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით გარჩევისა და ტიპაჟის სრულად დახასიათებისა. მასში მოცემული ახსნა იდეური შინაარსისა და გააზრება მხატვრული სახეებისა ორიგინალურია და ზოგ შემთხვევაში დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას. საყურადღებოა ილიას განცხადება, რომლითაც სრულდება განხილული წერილი: „ჩვენ რუსთაველის სახელი მეტისმეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტეონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დაეუთმობთ“ (III, 178). მართლაც, ილია არავის არ უთმობდა რუსთაველის აუგად ხსენებას. გასაგებია, თუ მან აკაკისაც არ აპატია „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილობრივი დაკნინება, როგორ მოექცეოდა ის სხვა პირთ, რომლებიც რუსთაველსა თუ მის პოემას ჯეროვნად არ აფასებდნენ (ი. ჯაბადარი და სხვ.).

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ი. ჰავჭავაძის დიდ დამსახურებაზე „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში. გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილმა გადაწყვიტა რუსთაველის პოემის ტექსტის კრიტიკული დადგენა და მეცნიერული გამოცემა. ამ ფრიად საპატიო და პასუხსაგები საქმის შესასრულებლად ქართველ მოღვაწეთაგან ჩამოყალიბდა ავტორიტეტული კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ჩვენი კულტურის გამოჩენილი მუშაკები (გ. ორბელიანი, რ. ერისთავი, ი. ჰავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ი. მეუნარგია, ი. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი და სხვ.). ქართველ მწერალთა წამოწყებას თანაგრძნობით შეხვდა საზოგადოებრიობა და მალე კომისიის განკარგულებაში აღმოჩნდა საუკეთესო ხელნაწერები. კომისია ენერგიულად შეუდგა მუშაობას. არჩეულ იქნა თავმჯდომარე (გ. ორბელიანი) და მისი ორი თანაშემწე (რ. ერისთავი, ი. ჰავჭავაძე). ილია კომისიის მუდმივი და აქტიური წევრი იყო. მისი მოთხოვნის საფუძველზე დაწყებულ იქნა ტექსტის კითხვა და ყველა ხელნაწერის ჩვენების საფუძვლიანი შესწავლა საცილობელი საკითხების უცდომლად

გადაწყვეტის მიზნით. მუშაობის პროცესში კომისია მრავალ დაბრკოლებას წააწყდა. ზოგჯერ მას სამუშაო პირობებიც არ გააჩნდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფარ-ხმალს არ ჰყრიდა, რადგან კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რა საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა. ეს გარემოება აღაფრთოვანებდა მის თითოეულ წევრს და უათყეცებდა ძალასა და ენერჯის.

კომისიის მუშაობის პროცესს, სამუშაოროდ, კარგად არ ვიცნობთ. ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ მოკლე ჩანაწერები. მათი მიხედვით სურათის მთლიანად აღდგენა არ ხერხდება, მაგრამ მწირი ცნობებიდანაც ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძე ამ საქმეს სრული სერიოზულობით ეკიდებოდა და აქტიურად მონაწილეობდა საკითხების განხილვაში.

კომისიის ენერჯიული და თავდადებული მუშაობის შედეგად „გეფხისტყაოსნის“ ტექსტი მნიშვნელოვნად გაიცხრილა, დაზუსტდა და მდიდრულად გამოიცა 1888 წელს. თავისი დროის კვალობაზე ეს ჩინებული გამოცემა იყო.

ი. ჭავჭავაძე, სათანადოდ იცნობდა აღორძინების ხანის ქართულ მწერლობასაც. იხსენიებდა თეიმურაზ პირველსა და მის თხზულებებს (III, 55, 153), საკმაო ინტერესს იჩენდა არჩილის მიმართ. აღნიშნავდა მისი პოეზიის ღრმააზროვნებასა და მგრძნობელობას. გულისტკივილს გამოთქვამდა მისი „ღირსშესანიშნავი გონებრივი ღვაწლის“ შეუსწავლელობის გამო (III, 153) და იმოწმებდა მის გამონათქვამებს (III, 339; IV, 222, 368; VIII, 131, 331); უსაზღვრო სიყვარულით იყო გამსჭვალული სულხან-საბა ორბელიანის მიმართ, იყენებდა მის იგავ-არაკებს (II, 424; VI, 243), საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას იგავ-არაკთა კრებულის სახელწოდებაზე (III, 406—410) და სავსებით სწორად განმარტავდა მწერლის ჩანაფიქრს. უხვად იმოწმებდა ილია „ქილილა და დამანას“. ძალზე უყვარდა მას „დავითიანი“, ხიბლავდა დ. გურამიშვილის რთული და მრავალფეროვანი ბუნება, აჯადოებდა მისი სულიერი სამყარო. ილია ყოველთვის გატაცებით წერდა ამ ბუმბერაზ მწერალზე, უწოდებდა მას „ბრძენს“ (VIII, 320) და გაბედულად ასკვნიდა: დ. გურამიშვილის პოეზია პირს არ შეირცხვენს, თუნდ ლუკრეცის, ვირგილის და ჰორაციოს დიდაქტიურ პოეზიას დაუყენეთ პირისპირ“ (III, 153). მისი დაკვირვებით, დ. გურამიშვილმა „სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართული ლექსის გამოთქმაში“ (III, 457). ილიას ნაწერებში უხვად გვხვდება დ. გურამიშვილის გამონათქვამები. იცნობდა ილია აგრეთვე თეიმურაზ მეორეს (III, 153), საიათნოვას (VI, 245; VIII, 149), ბესიკს (III, 390), დ. ბაგრატიონს (II, 30; V, 32, 49; VIII, 8; X, 23, 45) და ა. შ.

უქანასკნელად უნდა მოვიგონოთ ილიას „დამაკვირდი“, რომელიც

წლების მანძილზე იბეჭდებოდა „ივერიაში“. მასში გამოქვეყნდა ქართული საერო-მხატვრული ლიტერატურის ბევრი წარმომადგენლის გამონათქვამი. სახელდობრ, დაიბეჭდა თეიმურაზ პირველის, არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ მეექვსისა და სხვათა ნააზრევი. განსაკუთრებით ქარბად ამოკრიფა ილიამ გამონათქვამები „ვეფხისტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანადან“ და „დავითიანიდან“ (ან „გურამიანიდან“, როგორც თვით უწოდებდა). ამ საქმეს ილია დიდ ყურადღებას აქცევდა და ძირითადად თვით ამზადებდა მასალას „ივერიის“ ყოველი მორიგი ნომრისათვის.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე ყოველ მხრივ ცდილობდა ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის წინ წაწევის და საკუთარი მაგალითით სხვებსაც მოუწოდებდა ასეთი საქმიანობისაკენ. მისი დამსახურება ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულად შესწავლასა და კრიტიკულად ათვისებაში ერთობ დიდია.²

² ვრცლად იხ. ლ. შენაბდუ, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1972, გვ. 73—145.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე პეტრე იოსების ძე უმიკაშვილი დაიბადა 1838 წ. ქ. თბილისში. ხუთი წლის ასაკში დაობლებული ერთადერთი შვილის აღზრდა დედამ იკისრა. ხელმოკლეობის მიუხედავად შეძლო მისთვის საშუალო განათლება მიეცა. პირველდაწყებითი სწავლა თბილისის კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში მიიღო. 1865 წ. დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია. მუსიკალური განათლების მისაღებად იტალიაში წასვლა ახალგაზრდობის განუხორციელებელ ოცნებად დარჩა. სწავლას მოწყურებულმა ახალგაზრდამ უსახსრობის გამო ვერც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება შეძლო გიმნაზიის დამთავრებისთანავე. პ. უმიკაშვილი ცდილობს საკუთარი შრომით შეძლოს ამ სურვილის განხორციელება. 1864 წ. ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელად. 1866 წ. წარმატებით აბარებს სპეციალურ გამოცდას ქართული ენის მასწავლებლის მოწმობის მისაღებად და ერთი წლის შემდეგ ბრუნდება სამშობლოში¹. საკმაოდ მომზადებულმა ახალგაზრდამ პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო მეცნიერული წრთობა, იქვე დაეწაფა რუსი განმანათლებლების რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ღრმად შესწავლას, რაც ასე კარგად გამოიყენა შემდეგ მთელ თავის მოღვაწეობაში.

პ. უმიკაშვილის სამოღვაწეო სარბიელი ფართო იყო. იგი იყო ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იმ მოწინავე ქართველი ინტელიგენციისა, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით შეიარაღებული უანგაროდ ემსახურებოდა ქართული კულტურის წინსვლის საქმეს, და როგორც პედაგოგი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მკვლევარი, რედაქტორ-გამომცემელი, ფოლკლორისტი, დრამატურგი და მთარგმნელი 45 წელი დაუღალავად ემსახურა ეროვნულ საქმეს.

პ. უმიკაშვილი გარდაიცვალა 1904 წ. დაკრძალული იყო ქართველ კათოლიკეთა კუჩიის სასაფლაოზე. 1946 წ. მისი ნეშტი გადასვენეს ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

პ. უმიკაშვილი ერთნაირი სიყვარულითა და მონდომებით ახმარ-

¹ ავტობიოგრაფია პეტრე იოსების ძის უმიკაშვილისა, „ივერია“, 1904, № 123.

და თავის ნიჭსა და განათლებას ყველა დარგს. ყოველგვარ საქმეში მისთვის მთავარი იყო არა პირადული, არამედ საზოგადო საქმე, შეერთებული ძალით, შრომით ზრუნვა საქვეყნო საქმისა და ხალხისათვის. შრომა არა სახელისათვის, არამედ საქმისათვის. იგი თავისი მოღვაწეობის მთავარ საგნად თვლიდა ქართული მწერლობის გაცნობასა და შესწავლას.²

ქართული მწერლობის შესწავლაში პ. უმიკაშვილის ღვაწლი ორი ძირითადი სახით წარმოგვიდგება: 1. ქართული მწერლობის ძეგლების გამოქვეყნება და 2. ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და მიმოხილვები ქართული მწერლობის საკითხებზე. ორივე ხასიათის შრომებში ჩვენ ვეცნობით მის შეხედულებებს ლიტერატურის როლისა და დანიშნულების შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი სამოციანელების ესთეტიკური თეორიის საფუძვლებზე დგას და შესანიშნავად ესმის ლიტერატურის აქტიური როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პ. უმიკაშვილს განათლების მთავარ საზომად მიაჩნდა „ლიტერატურის ისტორიის ცოდნა თვით ავტორების გაცნობით“. იმ დროს ქართული მწერლობის ძეგლების გამოქვეყნების საქმე მეტად სავალალო მდგომარეობაში იყო. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა ძველი ქართული საერო მწერლობის გამოცემის მხრივ. იგი შეუწყნარებლად თვლიდა ამ გარემოებას. ქართველმა ხალხმა სახელოვან წარსულში თავისი „მოქალაქეობისა და განათლებისათვის“ შეურყეველი მკვიდრი ძეგლი დადგა მისი მწერლობის სახით.³ ამ მწერლობის მნიშვნელობა, მკვლევრის აზრით, სცილდება საქართველოს ფარგლებს. მას მსოფლიო ისტორიისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. პ. უმიკაშვილი ქართული მწერლობის გავრცელების შემაფერხებელ მიზეზად თვლიდა თანამედროვეთაგან ქართული ლიტერატურის ისტორიულად შესწავლის სარგებლობის უგულვებელყოფას და იმ გარემოებას, რომ მაშინ ჩვენს სკოლებში არ ასწავლიდნენ ქართულ ლიტერატურასა და ისტორიას. ამიტომ ცდილობს იგი ჩაუნერგოს თანამედროვეებს საერთოდ ქართული მწერლობის და კერძოდ ძველი მწერლობის სიყვარული და დაფასება. ამ მწერლობის დღის სინათლეზე და ფართო სარბიელზე გამოტანა იყო საჭირო.⁴

მდიდარი ქართული ლიტერატურის გაცნობა-შესწავლას ძეგლების გამოცემით უნდა ჩაყროდა საფუძველი. პ. უმიკაშვილმა ერთერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა იმ დროს, როცა ამ საქმის მოთავე

² ავტობიოგრაფია, „ივერია“, 1904, № 123.

³ დავითიანი, პ. უმიკაშვილის რედაქციით, თბ., 1881, გვ. 3.

⁴ პ. უ., გადამწერელი ქართულის წიგნებისა — დავით რექტორი, „ივერია“, 1877, № 39, გვ. 9.

არავინ ჩანდა და დაასაბუთა ამის აუცილებლობა. 'საშური საქმე იყო, ამით უნდა „დაგვეცვა დროთა შემუსვრისაგან ჩვენის ისტორიისათვის უძვირფასესი მასალა“, ძველის გამოკვლევაზე კი ახლის წარმატება დაფუძნებულიყო.⁵ პ. უმიკაშვილიც საქმეს ამით იწყებს და პრაქტიკულად ხორცს ასხამს დასახულ მიზანს. იგი გვერდში ამოუდგა ქართული კულტურის სხვა მოპირნახულეთ და თანარედაქტორობით, თუ საკუთრივ ძველი და ახალი მწერლობის ათიოდე მნიშვნელოვანი თხზულება გამოაქვეყნა მეოთხედი საუკუნის მანძილზე (1870—1894 წწ.).

ძველი მწერლობიდან გამოაქვეყნა შემდეგი ძეგლები: 1. დავითიანი თქმული გურამიშვილის დავითისაგან, წიგნი პირველი, 1870, პ. უმიკაშვილის, ნ. ბერძენოვისა და გ. წერეთლის რედაქტორობით. გ. წერეთლის წინასიტყვაობით; 2. წიგნი სიბრძნე სიცრუვისა თქმული სულხან-საბა ორბელიანისაგან. სრული სახით, მეორე გამოცემა პ. უმიკაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, 1871; 3. ვარდბულბულიანი თეიმურაზ პირველისა, არსენ კალანდაძის გამოცემა, 1875, პ. უმიკაშვილის მცირე წინასიტყვაობით. აქ პირველად არის გამოყოფილი ერთმანეთისაგან ორი თეიმურაზის, პირველისა და მეორის, კუთვნილი თხზულებანი (ხელნაწერებში გადამწერთა მიერ არეული)⁶; 4. დავითიანის სრული გამოცემა დ. გურამიშვილის ავტოგრაფულ ხელნაწერიდან, პ. უმიკაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, 1881; 5. ვისრამიანი, 1884, ი. ჭავჭავაძის, ა. სარაჯიშვილისა და პ. უმიკაშვილის რედაქციით, სარედაქციო კოლეგიის წინასიტყვაობით; 6. დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, პ. უმიკაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, 1886.

დიდი მუშაობა ჩაუტარებია პ. უმიკაშვილს იესე ტლაშაძის პოემის „ბაქარიანის“ ტექსტის დალაგებისა და გამართვისათვის, მაგრამ გამოცემა განუხორციელებელი დარჩა. პოემის დღეს არსებული ორი გამოცემის რედაქტორები (ე. თაყაიშვილი და ს. ყუბანეიშვილი) იზიარებენ მეტწილად პ. უმიკაშვილის დალაგებასა და ზოგიერთი ადგილის მისეულ წაკითხვებს.⁷

აღნიშვნის ღირსია პ. უმიკაშვილის მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში, რომელმაც მოამზადა 1888 წ. ქართველიშვილისეული გამოცემა.

XIX საუკუნის მწერლობიდან მას ეკუთვნის ოთხი პოეტის ლექსების

⁵ პ. უმიკაშვილი, ნ. ბერძენოვი, გ. წერეთელი, ძველი წიგნების გამოცემაზე, „დროება“, 1869, № 52.

⁶ პ. უმიკაშვილი, თეიმურაზ მეფის თხზულებათა დაბეჭდვის გამო, „ივერია“, 1886, № 206, გვ. 2.

⁷ ბაქარიანი, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, თბ., 1963, გვ. 4—10.

გამოცემა: 1. გრიგოლ ორბელიანის ლექსები, 1873. 2. ნ. ბარათაშვილის ლექსები, მომზადებული პ. უმიკაშვილის მიერ, 1876. 3. ა. ქავჭავაძის ლექსების პირველი წიგნი, ი. ქავჭავაძისა და გ. თუმანიშვილთან ერთად, 1881. 4. ვახტანგ ორბელიანის ლექსები, 1894. წამძღვარებული აქვს ი. ქავჭავაძის მიერ დაწერილი პოეტის ბიოგრაფია.

მართალია, გამოცემულ წიგნთა რაოდენობა არც ისე დიდია, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის პირობები, რომლებშიც პ. უმიკაშვილს უხდებოდა ამ მძიმე საქმის შესრულება. ამას მეორე გარემოებაც ერთოდა. პ. უმიკაშვილისათვის მთავარი იყო რაოდენობა გამოცემათა ხარისხის ხარჯზე არ განზრდილიყო. „რიცხვის სიმრავლეს სიკეთის სიმრავლე სჯობს“, თავაზიანად უსაყვედურებდა იგი სხვებს და მისთვის ხომ სახელმძღვანელო აზრი იყო.

პ. უმიკაშვილის შრომები ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში ბევრად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ევროპულ და რუსულ მწერლობასა და მის ისტორიას საფუძვლიანად გაცნობილი, იგი კარგად იყენებდა ამ ცოდნას ქართული მწერლობის საკითხების კვლევის დროს. განსაკუთრებით ეს ითქმის ლიტერატურული ძეგლების გამოცემის შესახებ. ამ საქმეში იგი გარკვეული გეგმითა და პრინციპებით ხელმძღვანელობდა. მის მიერ შემუშავებული მეცნიერული მოთხოვნები ასეთი იყო: 1. გამოსაქვეყნებელი მასალის შერჩევა მისი ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულებისა და მნიშვნელობის მიხედვით; 2. ხელნაწერების მეტი რაოდენობით მოპოვება (თუ სრულად და ამომწურავად არა); 3. ტექსტის დადგენა (როგორც თვითონ უწოდებს. „შემუშავება“, „აღდგენა“) არსებული ხელნაწერების საფუძველზე; 4. ლექსიკონის დართვა; 5. წინასიტყვაობის წამძღვარება, რომელშიც მოცემული იქნებოდა ცნობები ხელნაწერების, გამოცემების შესახებ, ბიოგრაფიული ცნობები ავტორის შესახებ და მწერლის შემოქმედების კრიტიკული განხილვა. თვით მის მიერ გამოცემული წიგნები, თავის დროის კვალობაზე, აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს. ამიტომ აძლევდნენ მათ მაღალ შეფასებას მისი თანამედროვენი და ასეთსავე შეფასებას აძლევენ დღესაც ჩვენი დროის მკვლევარნი. „დავითიანის“ 1881 წ. გამოცემის შესახებ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ რეცენზიაში ნათქვამი იყო: „თუ ყველა შესანიშნავი ძველი ქართული თხზულება დაიბეჭდება ასე კეთილსინდისიერად, იმედი უნდა ვიქონიოთ, ძველი დროის შესწავლა გაადვილდება და იქნება აღმოჩნდეს იმისთანა პირი, რომელმაც გაბედოს ახალ გზაზედ დადგომა, ჩვენი წარსულის მეცნიერულად გაცნობა“⁹. „დასტურლამალის“

⁸ პ. უ., ქართული მწიგნობრობა, „ივერია“, 1883, № 7—8.

⁹ „ივერია“, 1881, № 4, გვ. 146—150.

გამოცემის ღირსებით აღფრთოვანებული ისტორიკოსი დ. ბაქრაძე მდღეობის გრძნობით აღსავსე რეცენზიას უძღვნის მას¹⁰. „დავითიანის“ უმიკაშვილისეული გამოცემის დიდ ღირსებას ხაზგასმით აღნიშნავს ა. ბარამიძე.¹¹ იგივე მეცნიერი „ვისრამიანის“ პირველ გამოცემას თავისი დროისათვის სანიმუშოდ შესრულებულს უწოდებს.¹² პ. უმიკაშვილის დიდი დამსახურება ტექსტოლოგიისა და საგამომცემლო საქმეში დღეს უკვე საფუძვლიანად არის შესწავლილი¹³ და ჩვენ აქ ამაზე აღარ შევჩერდებით. პ. უმიკაშვილს დღეს ქართული მეცნიერული ტექსტოლოგიის დამწყებად თვლიან¹⁴.

პ. უმიკაშვილი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მდიდარ ზეპირსიტყვიერ მასალებთან ერთად ეძებდა და კრებდა ხელნაწერებსაც (მის მიერ სათუთად მოვლილი ქართულ ხელნაწერთა კოლექცია მან უანდერძა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და დღეს ე. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული). ტექსტის გამოსაცემად იგი იყენებდა ყველა მნიშვნელოვან ხელნაწერს. ხელნაწერის ღირსებისა და გადამწერთა მიერ მოწოდებულ ცნობებს კრიტიკულად უდგებოდა. საერთოდ, გადამწერლებს საპატიო ადგილს აკუთვნებს ქართული მწიგნობრობის გადარჩენისა და სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში, მაგრამ მათი ცნობების ვარგისიანობა-მართებულობის შესამოწმებლად ფრთხილი მკვლევარი მნიშვნელობას ანიჭებდა გადამწერის ვინაობის გარკვევასაც. გადამწერის ცნობის სიყალბის მაგალითად პეტრე ლარაძის საქმიანობას ასახელებდა. „ვეფხისტყაოსნის“ არტანუჯული ვარიანტის არსებობა. პ. უმიკაშვილმა გადამწერის მოგონილად მიიჩნია¹⁵.

პ. უმიკაშვილი განსაკუთრებით ცდილობდა ქართული წიგნის ხალხში გავრცელებას. ის ყველა შეგნებული ქართველის მოვალეობად თვლიდა ყოფილიყო აქტიური ხელშემწყობი ამ საქმისა. მისი დიდი ამაგი ამ მხრივ კარგად არის ცნობილი. იგი ზრუნავდა ქართული წიგნის საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ, ევროპაში გასატანად. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეშვეობით მიადწია იმას, რომ ევროპის ცენტრალურ ბიბლიოთეკებში ქართული წიგ-

¹⁰ დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ბიბლიოგრაფია, „ივერია“, 1886, № 173.

¹¹ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, თბ., 1928, გვ. XIII.

¹² ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ი. ჭავჭავაძე და „ვისრამიანი“, საიუბილეო კრებული, თბ., 1937, გვ. 223; „ვისრამიანის“ 1938 წ. გამოცემის წინასიტყვაობა, გვ. 2.

¹³ ლ. გ ვ ა რ ა მ ა ძ ე, პეტრე უმიკაშვილი — რედაქტორ-გამომცემელი, „მატენი“, 1971, № 2.

¹⁴ ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ე. თაყაიშვილი, „ტექსტოლოგიის საკითხები“, 2, გვ. 80.

¹⁵ პ. უ., გადამწერელი ქართული წიგნებისა — დავით რექტორი, „ივერია“, 1877, № 39.

ნების გაგზავნა დაეწყოთ. ამით ქართული კულტურის დაუღალავ მოამაგეს სურდა ევროპის ცივილიზებული ქვეყნების მოწინავე ადამიანები გაცნობოდნენ ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან კულტურას, კერძოდ მის მწერლობას. „მწერლობა, მისი აზრით, სარკეა ერის ცხოვრებისა“.¹⁶ მას სურდა ამ სარკეში კარგად ჩაეხედათ ჩვენი ქვეყნის გარეთაც და ღირსეული ადგილი მიეჩინათ ქართული მწერლობისათვის. მან პირველმა სიხარულით გააცნო ჩვენს საზოგადოებას გერმანელი მეცნიერის ა. ჰარნაკის მოხსენების შინაარსი, მისი აღტაცებული სიტყვები ქართული კულტურის შესახებ.¹⁷

პ. უმიკაშვილის, როგორც რედაქტორ-გამომცემლის მუშაობასთან მჭიდრო კავშირშია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების კვლევა. ძველი ქართული მწერლობის ორი ბრწყინვალე წარმომადგენლის შემოქმედების განხილვა მოცემული აქვს იმ წინასიტყვაობებში, რომლებიც პ. უმიკაშვილის გამოცემებს ეწოდის: „სულხან-საბა ორბელიანი და მისი სიბრძნე სიცრუვის წიგნი“ (1871 წ.) და „დავით გურამიშვილი და მისი „დავითიანი“ (1881 წ.).

სულხან-საბას ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ის ვახტანგ მეექვსის მეფობის ხანას მიაკუთვნებს. მართებულად არის შეფასებული ვახტანგისა და მისი თანამოღვაწეების დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. არც ერთ მეფეს, გარდა თამარისა, ამდენი მწერალი და სწავლისმოყვარე კაცი არ ჰყოლია გარს შემოკრებილი. დიდი მათი შეერთებული ღვაწლის მნიშვნელობა: რიგისა და წესის და სამართლის ჩამოგდება საქართველოში („დასტურალა“ და სამართლის წიგნი), ისტორიის მასალების შეკრება („ქართლის ცხოვრება“), მწიგნობრობის საქმისათვის სტამბის გამართვა და ა. შ. ვახტანგის თანამებრძოლ მამულიშვილებს შორის ერთი პირველი ადგილი სულხან-საბა ორბელიანს უჭირავს. გათვალისწინებულია მისი ცხოვრების მთავარი მომენტები. მან ყმაწვილკაცობაშივე იპოვა თავისი ადგილი საზოგადოებაში სწავლისმოყვარეობით. იგი მალე ქვეყნისათვის სასარგებლო კაცი შეიქმნა. უკეთესისა და სასარგებლო საქმის გაკეთების სურვილმა და აზრმა მიიყვანა იგი მონასტერში და იმავე სურვილმა და აზრმა დააბრუნა კვლავ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ სარბიელზე. მკვლევარს ზუსტად ვერ აქვს ახსნილი სულხან-საბა ორბელიანის ბერად შედგომისა და საქვეყნო საქმეებისაკენ მობრუნების მიზეზები. არ არის მართებული აზრი საბას მიერ ანაფორის განდისა და ბერობის დატოვების შესახებ. მკვლევარი სულხან-საბას ევროპაში გაპარვის ორ მთავარ მიზეზს ასახე-

¹⁶ პ. უ., დასაწყისი განახლებისა, „ივერია“, 1890, № 224.

¹⁷ პ. უ., მოხსენება ქართულ მწერლობაზე ბერლინის აკადემიაში, „ცნობის ფურცელი“, 1903, № 2268.

ლებს: 1. ტყვეობაში მყოფი ვახტანგისა და სპარსელთაგან შევიწროებული სამშობლოსათვის დახმარების თხოვა და 2. საბას მიერ „ფრანგობის“ მიღება. ეს უკანასკნელი ნაბიჯი, თითქოს, საბას გადაადგმევინა იმავე სწავლისმოყვარეობამ. ევროპული სწავლა-განათლების მქონე მისიონერებს საბა უნდა დაახლოვებოდა გაპარვამდე რამდენიმე წლით ადრე. მათი გავლენის ქვეშ მოქცეული საბა ხდება ფარული კათოლიკე. ამ გარემოებამ დიდი უსიამოვნება მიაყენა და იძულებული გახდა მიეტოვებინა მშობლიური მიწა-წყალი.

სულხან-საბას ლიტერატურული მემკვიდრეობა პ. უმიკაშვილისათვის მთლიანად არის ცნობილი ხელნაწერებით. მის მიერ საბას თხზულებათა სიაში პირველად არის შეტანილი „სამოთხის კარი“. მანვე პირველად განმარტა, რას წარმოადგენს ეს წიგნი: „ეს წიგნი არის კითხვა-მიგებითის ფორმით დაწერილი კატეხიზმი კათოლიკეთა და არა სხვა თხზულება, როგორც ზოგთა ჰგონიათ“. ეს აზრი დღეს დამტკიცებულია თვით ტექსტის საფუძვლიანი ანალოზითაც.¹⁸

დამოუკიდებელი და ორიგინალურია „სიბრძნე სიცრუის წიგნის“ ლიტერატურული ანალიზი, როგორც ივავ-არაკული ჟანრის ნაწარმოებისა. ნაჩვენებია განსხვავება საბას წიგნსა და ევროპელ მეი-გავეთა (ეზოპეს, ლაფონტენის, ი. კრილოვის) არაკებს შორის. საბას წიგნი მთლიანი მოთხრობაა, უკანასკნელნი კი ცალკეული არაკების კრებულები. განსაზღვრულია ამ არაკების ადგილი მთავარ ამბავში. საბას წყარო ბევრი ხალხში გავონილი არაკია, რომელიც მწერალს ლამაზად გამოუხატავს. სიუჟეტი იშლება 5 მოქმედი პირის საუბარში და არა მოქმედებაში. ნაწარმოების მთავარი ღირსება მისი ხალხურობაა. თვით საბა სახალხო მწერლად მიაჩნია (დაპირისპირებულია ლაფონტენისა და ი. კრილოვის ცრუკლასიკურ კილოსთან). „სიბრძნე სიცრუის წიგნის“ ენა პ. უმიკაშვილს ქართული ენის საუკეთესო ნიმუშად მიაჩნია. მისი აზრით, მან ისეთივე ადგილი უნდა დაიკავოს ქართული ენის სწავლებაში, როგორიც ი. კრილოვს უკირავს რუსული ენის სწავლებაში. ნაწარმოების სახელწოდების შესახებაც თავისებურ აზრს ავითარებს. თუმცა არა მართებულს: „არაკებშია გამოსატული კეთილი ან ავი მხარე ადამიანისა, ჭეშმარიტება ანუ არა ჭეშმარიტება. ერთის სიტყვით, ადამიანის ცხოვრების სიბრძნე ანუ სიცრუე“.

დ. გურამიშვილის შემოქმედებაში მკვლევარი კარგად ხედავს ახალს — ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის შემოჭრას, რომელიც უპირისპირდება ზღაპრულ-ფანტასტიკურ ამბებს. ისტორიული

¹⁸ ი. ლოლაშვილი, სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობიდან (1698—1713), თბ., 1959, გვ. № 104—131.

მოვლენების დამაჯერებელი ასახვა, მისი აზრით, „საკმაოდ დიდი ნაბიჯი იყო ქართულ ლექსთ თხზულებაში იმით, რომ გამოვიდა ძველის ზღაპრულის ლანდებისაგან და დაადგა ცოცხალის, მარტივი კაცის გამოყვანას თვისის ვნებითა და გრძნობითა“.

დ. გურამიშვილი თავის იდეებს საქართველოს აღდგენისა და განახლების შესახებ „ხალხის გასაგონარი ენით“ ქადაგებს. მკვლევარს მწერლის დიდ დამსახურებად მიაჩნია ის, რომ მისმა პოეზიამ „დაუმკვიდრა უფლება სახალხო სასაუბრო ენას“. ასევე კარგად აქვს შემჩნეული ქართული ლექსის ვერსიფიკაციაში პოეტის მიერ სიახლის შეტანა.

კლასიკური პერიოდის მწერლობაზე თავისი შეხედულებანი პ. უმიკაშვილს რეცენზიებსა და ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში აქვს მოცემული. ამთვან განსაკუთრებით საყურადღებოა რუსთველისა და მისი პოემის შესახებ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ერთი სტატია ხელმოწერილი „უ“ ინიციალით¹⁹. სტატია კარგად არის ცნობილი ლიტერატურაში.²⁰ მაგრამ უ. უმიკაშვილის ავტორობა მხოლოდ ახლანან დამტკიცდა²¹.

პ. უმიკაშვილი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა წერილებს ქართული ლიტერატურისა და მისი ცალკეული წარმომადგენლების შესახებ — ცნობილ კალიგრაფსა და მწიგნობარზე (ვადამწერელი ქართული წიგნებისა — დავით რექტორი, „ივერია“, 1877, № 39), ქართველ მწერალ ქალებზე ქეთევან დედოფლიდან დაწყებული თავის თანამედროვეთა ჩათვლით. ქეთევანის „ანბანთქებას“ უწოდებს პირველ ქვას, ქართველი სამწერლო შენობის საძირკველში ჩაგდებულს („ივერია“, 1889, № 69).

პ. უმიკაშვილის უკანასკნელ შრომაში — „ქართული მწერლობა (თვალის გადავლება დასაწყისიდან ჩვენ დრომდე)“²² შექამებული სახით არის მოცემული მისი შეხედულებანი მთელი ქართული მწერლობის შესახებ დასაწყისიდან ავტორის დრომდე. მოკლედ, კონსპექტურად ნიშნობილავს ქართულ მწერლობას პერიოდების მიხედვით. მთელ ქართულ მწერლობას 6 ხანად ყოფს: 1. დასაწყისი მწიგნობრობისა — მწერლობის წარმოშობიდან თამარის ეპოქამდე; 2. აყვავება მწერლობისა — თამარის დროიდან მონგოლების შემოსევამდე; 3. შესუსტების ხანა, რომელშიც XIII—XVII სს. მწერლობას აერთიანებს; 4. გა-

¹⁹ წ. ო პოэзии Руставели (По поводу брошюры г. Гулака), «Кавказ», 1884, № 248.

²⁰ გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბ., 1957, გვ. 91—93.

²¹ თ. ბაქანიძე, ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობიდან, თბ., 1968, გვ. 79

²² საქართველოს კალენდარი, თბ., 1904, გვ. 473—500.

ნახლება მწერლობისა — XVIII ს. დასაწყისიდან (ვახტანგ მეექვსის დროიდან) იმავე საუკუნის დასასრულამდე. ეს ოთხი პერიოდი განეკუთვნება საკუთრივ ძველ მწერლობას. ახალ მწერლობას, რომელშიც გარდამავალი ხანის მწერლებიც შედიან, ორ პერიოდად ყოფს: 5. მეცხრამეტე საუკუნის მწერლობა 1860 წლამდე და 6. ახალი დრო — ბატონყმობის გადავარდნიდან XX საუკუნის დამდეგით დამთავრებული. მწერლობის საკითხებიც ამ თანმიმდევრობითაა დალაგებული: ზეპირსიტყვიერება, ანბანის წარმოშობა და ქართული მწიგნობრობის დასაწყისი. მთარგმნელობა ბერძნული ენიდან, მონასტრების, განსაკუთრებით საზღვარგარეთის, მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის. გამოკვეთილია ექვთიმე და გიორგი ათონელების ღვაწლი. შედარებით ვრცლად ჩერდება საერო მწერლობის წარმოშობის მიზეზებზე. მის ზრდა-განვითარებაზე, ავტორის აზრით, ნაყოფიერ გავლენას ახდენდა სპარსული მწერლობა. პირველი პერიოდიდან, რომელიც დავით აღმაშენებლის ეპოქით მთავრდება, ასახელებს მხოლოდ ერთ საერო მწერლობის ძეგლს — სპარსულიდან ნათარგმნ „ვისრამიანს“.

მეორე პერიოდის მწერლები ასეთი თანრიგით არის ჩამოთვლილი: ჩახრუხაძე, შავთელი, მოსე ხონელი და შოთა რუსთველი. ჩახრუხაძე და შავთელი თამარის მეხოტბენი არიან, „მეფე ქალის ბუნებითმა ღირსებამ აადგმევინა ქება-შესხმის ენა შავთელსა და ჩახრუხაძესო“ (გვ. 478). შემდეგ მოდის „პოეზიის დაუქკნობელი ყვავილი“ „ვეფხისტყაოსანი“. პოემა ასახავს არა თამარის ცხოვრებას, არამედ მთელი ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებას, მისი სულის განწირულობას ურიცხვ მტერთა შემოსევების დროს. მაგრამ იქვეა სიცოცხლის წყურვილით აღძრული მოქმედება, თავის გამოღება უკეთესის ბედის ძიებისათვის.

შესუსტების ხანიდან ასსენებს მხოლოდ თეიმურაზ 1-ის „ქეთევანის წამებას“, — არჩილის მიერ სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის აღწერას (იგულისხმება „თეიმურაზიანი“) და დიდი მოურავის ცხოვრებას.

ყველაზე ხანგრძლივად IV პერიოდის მწერლობაზე ჩერდება, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი, ბაქარი, დ. გურამიშვილი და ანტონ 1 — მწერლები, რომელთა ღვაწლს ქართული მწერლობის დიდ საგანძურში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს. მათ დახასიათებას საგულისხმო სიტყვებით ამთავრებს: „ერთი სიტყვით, გაბედვით უნდა ვთქვათ, რომ მე-18 საუკუნემ მე-19-ს გადმოსცა უმეტესი ნაღვაწი, ვიდრე მას მიეღო წინა საუკუნეებიდან. თუ მწერლობა არის ერის სულისა და პიროვნების გამომსახველი, რამდენადაც, შავ დროთა ბრუნვა ხელს არ უშლიდა, ამ მწერლობამ განამტკიცა თავისებურება

ქართველობისა და გადასცა წარსამატებლად მომავალ თაობას“ (გვ. 481).

შრომის დასასრულს ჩამოთვლის ქართული კულტურის მოამაგეებს—როგორც ქართველ, ისე უცხოელ მოღვაწეებს, რომელთაც თავისი შრომებითა და გამოკვლევებით რაიმე წვლილი შეიტანეს ქართველოლოგიაში, და მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს ყველას. შრომის მნიშვნელობა: იგი წარმოადგენს ქართული ლიტერატურის სისტემაში მოყვანის ცდას, გვითვალისწინებს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის შესწავლის მნიშვნელობას. შრომა მის ავტორს ახასიათებს, როგორც ქართული მწერლობის ღრმა მცოდნესა და ხშირად სწორი ლიტერატურულ-კრიტიკული აზრის მქონე მკვლევარს. საერთოდ პ. უმიკაშვილის ღვაწლი უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რა კვალი დატოვა მან ძველი ქართული ლიტერატურის კვლევის ძნელ გზაზე. მან თავისი შრომებით საფუძველი ჩაუყარა და ნიადაგი მოუმზადა ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერულად შესწავლის საქმეს.

საქართველოს უვიკრეკინო მეფე, მშობელი ერის შესანიშნავი სულიერი მოძღვარი და მისი უსაყვარლესი მგოსანი ა. წერეთელი ჰუმანიტად ბუმბერაზული ფიგურაა. სოციალური ჩაკერის წინააღმდეგ გაბედული მემბოხე, მშრომელი ხალხის მისწრაფებათა მცოდნე, მისი ნაფიქრ-ნააზრევის უცდომლად გამგები და მისი სულიერი ტკივილების დამამებელი მწერალი ქართველი საზოგადოებრიობის ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდისა და მორალური განსპეტაკებისათვის თავგანწირული მებრძოლი და ხალხთა მეგობრობის დაუცხრომელი მომღერალია. განუზომელი და ფასდაუდებელია მისი დამსახურება მშობლიური კულტურის წინაშე, საზოგადოებრივი ცხოვრების წინაშე.

ა. წერეთელი დიდებული ეროვნული მოღვაწეა, მისი კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედება მშობელი ხალხის ყოველდღიური ცხოვრების ნათელი და უტყუარი სარკეა. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართველთა მიერ საკუთარი ღირსების შეცნობა, ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოღვიძება და განვითარება.

ქართული მხატვრული სიტყვის დახელოვნებული ოსტატი მტკიცედ ემყარებოდა ძველ ქართულ მწერლობას. ინტერესით ეცნობოდა და სწავლობდა სახელოვანი წინაპრების თხზულებებს, სასულიეროსავეკლესიო მწერლობის ნიმუშებს, საერო-მხატვრული ლიტერატურის ძეგლებს. ძველი ქართული მწერლობის ტრადიცია არსებითი მნიშვნელობის საფუძველს წარმოადგენდა. მისთვის.

ა. წერეთელი აღიზარდა საკმაოდ განათლებულ ოჯახში, სადაც ადრევე გაიცნო „ვეფხისტყაოსანი“ და დ. ჩუბინაშვილის „ქრისტომატიასში“ შესული ტექსტები — ნაწყვეტები „ვისრამიანიდან“, „სიბრძნე სიცრუისადან“, „ამირანდარეჯანიანიდან“, „რუსულდანიანიდან“, „ქილილა და დამანადან“, აგრეთვე გიორგი მთაწმიდელის, გიორგი მცირის, ტ. გაბაშვილისა და სხვათა ნაწარმოებებიდან. ასე რომ, აკაკის ცოცხალი გონებისა და ლალი ფანტაზიის გაშლა-განვითარებაზე ქართული ხალხური სიტყვიერების მრავალფეროვან საგანძურთან ერთად გავლენა მოახდინა ძველმა ქართულმა მწერლობამ.

ქუთაისში სწავლის პერიოდში (1850—1859) აკაკის ნაკლები დრო ჰქონდა ძველი ქართული წერილობითი კულტურის გასაცნობად. მას სხვა საგნებს ასწავლიდნენ და დამოუკიდებელი მუშაობისათვის მცირე დრო რჩებოდა. სულ სხვა ვითარება იყო პეტერბურგში, სადაც

ა. წერეთელი 1859 წელს ჩავიდა და თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. იქ მას კარგი შესაძლებლობა ჰქონდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გაცნობისა და შესწავლისა, ხელი მიუწვდებოდა ქართული ხელნაწერების მდიდარ კოლექციაზე.

პეტერბურგში აკაკი გულმოდგინედ მეცადინეობდა, სწავლობდა მშობლიურ ლიტერატურას, იმაღლებდა განათლების დონეს. ბეჭითობამ სასურველი შედეგი გამოიღო: მან ბრწყინვალედ ჩააბარა ქართული ლიტერატურა და მაღალი შეფასება დაიმსახურა, ხოლო შემდეგ წარდგენილი შრომით, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ საყურადღებო პრობლემას მიეძღვნა, საკანდიდატო დიპლომის მიღების უფლებაც მოიპოვა. უნივერსიტეტში შექმნილი ცოდნა მან კიდევ უფრო გაიღრმავა მომდევნო ხანაში. მისი თანამედროვენი საგანგებოდ აღნიშნავდნენ, რომ აკაკი ყოველთვის გულდასმით ეცნობოდა ლიტერატურას და ზოგჯერ ღამეებსაც კი ათენებდა კითხვაში.

ა. წერეთელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა დ. ჩუბინაშვილთან, აგრეთვე ძველი ქართული მწერლობის სხვა გამოჩენილ მკვლევარებთან—ა. ხახანაშვილთან, მ. ჯანაშვილთან, ე. თაყაიშვილთან, თ. ჟორდახიასა და სხვებთან.

ძველი ქართული მწერლობის სპეციალისტებთან ახლო ნაცნობობა და მეგობრული ურთიერთობა, შეხვედრები და გულთბილი საუბრები ხელს უწყობდნენ აკაკის დაინტერესებას ძველი ძეგლებით, აღრმავებდნენ მის ცოდნას მშობლიურ მწერლობაში.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ა. წერეთლის ზრუნვა ხელნაწერების შეკრება-დაცვაზე, მათში წარმოდგენილი ძეგლების შესწავლა-პუბლიკაციაზე. ის ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლისას დაეწაფა ძველ ქართულ ხელნაწერებს და მათ ჩვენებს იმოწმებდა ნ. კოსტომაროვისა და ტარას შეეჩენკოსთან საუბრისას (XV, 554)¹. საქართველოში დაბრუნებული მგოსანი იძენდა ხელნაწერებს, ესალმებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის გამდიდრებას, ინტერესს იჩენდა პოლტავის მიდამოებში გაბნეული ქართული ხელნაწერებისადმი (XIII, 519; XV, 115), ეჩმიაძინშიც კი აპირებდა წასვლას იქ დაცული ქართული ხელნაწერების გასაცნობად.

ა. წერეთლის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დიდი შემოქმედი ზო-

¹ ნარკვევის წერისას ვიყენებდით ა. წერეთლის თხზულებათა სრულ კრებულს, რომელიც გამოაქვეყნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა (I—XV, თბ., 1950 — 1963). დამოწმებისას რომაული რიცხვით აღვნიშნავთ ტომს, არაბულით — გვერდს.

გერთ ძველ ქართულ თხზულებას ხელნაწერში გაეცნო; ამასთანავე, იგი ძველი ტექსტების გამოცემის საქმეშიც იყო ჩართული. კერძოდ, მისი მონაწილეობით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ (1888 წ.). აკაკი ინტერესით ეხმაურებოდა ძველი ძეგლების პუბლიკაციასაც (XIII, 437—439; XIV, 129—134).

ა. წერეთელი კარგად იცნობდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, განსაკუთრებით ღრმად — ბიბლიას; ხშირად იხსენიებდა ბიბლიურ გმირებს, პუნქტებს, ეპიზოდებს, იმოწმებდა გამონათქვამებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის არც ერთი ქართველი კლასიკოსი არაა ისე დავალებული საღმრთო წერილით, როგორც ა. წერეთელი.

ა. წერეთელი ასევე კარგად იცნობდა ჰაგიოგრაფიას — როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ძეგლებსაც. მსჯელობდა იგი „შუშანიკის წაშებაზე“ (XI, 216), იყენებდა „ბალავარიანს“ (VIII, 43—46; VII, 71), სიამაყის გრძნობით იხსენიებდა ათონელებს (XIII, 335; XIV, 286, 522). ცალკე უნდა მოვიხსენიოთ აკაკის ნაწარმოებები: „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“ და „წმ. ნინო“, რომლებშიც ავტორი იჩენდა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის საფუძვლიან ცოდნას, საკმაოდ ესესხებოდა ქართველ ჰაგიოგრაფებს და ოსტატურად იყენებდა მათ ცნობებს მაღალმხატვრულ თხზულებათა შესაქმნელად. აკაკი მაღალ შეფასებას აძლევდა დავით აღმაშენებლის ნაწერებს (VII, 147), აქებდა ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელს (XIII, 437—439), ეკამათებოდა ანტონ პირველს (VIII, 222; IX, 109; XI, 17, 65—66, 294; XII, 86; XIII, 51; XIV, 543) და ა. შ.

გაცილებით უკეთ იცნობდა აკაკი ძველ ქართულ საერო-მხატვრულ ლიტერატურას, აქებდა მის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, განიცდიდა ძველი ქართული პოეზიის ცხოველმყოფელ გავლენას, მაგრამ აკრიტიკებდა ძველ ქართულ სახოტბო პოეზიას (XIII, 215—216, 257, 355). აკაკიმ „თამარიანი“ და „აბდულმესიანი“ თერგდალეულების პოზიციებიდან გააშუქა, „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით განიხილა და მკაცრი მსჯავრი გამოუტანა შავთელისა და ჩახრუხაძის პოეტურ ქმნილებებს, უგულვებელყო მეხოტბეთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალები. მას ძალზე აწუხებდა და დაუშვებლად მიაჩნდა, რომ მეხოტბეებს რუსთველის გვერდით აყენებდნენ და რიგ შემთხვევაში უპირატესობასაც ანიჭებდნენ. შავთელისა და ჩახრუხაძის თხზულებები, — სახოტბო პოეზიისათვის დამახასიათებელი ნიშნებით, — აღრე მიუღებელი იყო აკაკისათვის, მაგრამ გვიან ხანაში მან საგრძნობლად შეიტკვალა აზრი და დასახელებული ძეგლები რუსთველის შესაფერის ნაწარმოებებადაც კი მიიჩნია (XIV, 129—134).

ძველი ქართული მწერლობიდან ა. წერეთელი განსაკუთრებით

მაღალ შეფასებას აძლევდა შოთა რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“. ის ყოველთვის დიდი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით იხსენიებდა ქართული პოეტური სიტყვის უბაღლო ოსტატს, უწოდებდა მას „მწერალთ თავადს“, „ბრძენთა-ბრძენს“, „დიდებულსა და უკვდავ შგოსანს“, „გენიოსს“, „სულმნათს“ და ერის მოძღვარს. მას ხიბლავდა და აჯადოებდა „ვეფხისტყაოსნის“, — „დიდებული და საკვირველი განძის“, — წარმტაცი ლიტერატურული ფორმა. აკაკი ყოველთვის სიამაყით წერდა რუსთველის ქნარზე, აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მის „მაღალ პოეტურ ნიჭზე“. მას „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნდა ქართველი საზოგადოებრიობის სულიერ ზრახვათა გამომხატველად, ერის დიდებული წარსულის დამადასტურებელ შესანიშნავ საბუთად, არა ეგულებოდა რა მასზე „საქებ-სადიდებლად“. მისი დასკვნით, ამ პოემამ „ენა და ეროვნება შეგვიანახა“; „წყალი და მეწყერი წაგვიღებდა, რუსთველი რომ არ გეყავდეს“, — შენიშნავდა ის.

აკაკი საფუძვლიანად იცნობდა რუსთველის უკვდავ თხზულებას. უკვე აღვნიშნეთ, რომ პოემის ტექსტი მან ჯერ კიდევ ბავშობაში გაიცნო. თანამედროვეთა მოწმობით, აკაკი თავის ახლობლებსაც უმარტავდა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ ადგილებს: 1897—98 წლებში ჩამოაყალიბა ერთგვარი ლიტერატურული წრე, რომელიც მისი ხელმძღვანელობით ეცნობოდა „ვეფხისტყაოსანს“. ცნობილია ისიც, რომ აკაკი ზოგჯერ ლიტერატურულ საღამოებზეც კითხულობდა ადგილებს რუსთველის პოემიდან.

მხატვრულ ნაწერებსა და სამეცნიერო-კრიტიკულსა თუ პუბლიცისტურ წერილებში აკაკი ხშირად მსჯელობდა რუსთველოლოგიის ცალკეულ საკითხებზე, ხშირად იხსენიებდა პოემას, მის ავტორს, მის გმირებს და ა. შ.

„ვეფხისტყაოსანი“ იყო ა. წერეთლის არა მხოლოდ სულიერი საზრდო და შთაგონების წყარო, არამედ დაუცხრომელი კვლევა-ძიების ობიექტიც. მან რუსთველოლოგიურ პრობლემებს მიუძღვნა სპეციალური წერილები: 1. „Несколько слов в пользу оригинальности „Барсовой кожи““; 2. „სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე““; 3. „რამდენიმე სიტყვა ბატონ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხისტყაოსნის“ გამო“; 4. „თანამედროვე ჰასრები რუსთველისაგან მე-12-ე საუკუნეში ნაწინასწარი“; 5. „ს. კაკაბაძის მოხსენების გამო“.

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ შრომა: „Несколько слов в пользу оригинальности „Барсовой кожи“ (XV, 583—590). კარგა ხანია ცნობილია, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს (1862 წ.) აკაკიმ დაამუშავა საკანდიდატო დისერტაცია, მაგრამ თვით შრომა მხოლოდ უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა ლენინგრადის სახელმწიფო ისტორიულ არქივში. ახლად მიკვლეულმა მასალამ

ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ აკაკი სტუდენტობის წლებში გულმოდგინედ მუშაობდა რუსთველის პოემაზე.

შრომის დასაწყისში ავტორი ყურადღებას ამახვილებდა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობაზე, ქართველი ხალხის მიერ დაფასებასა და აღიარებაზე. აკაკი გულისტკივილით შენიშნავდა, რომ პოემა, რომელიც „ზეპირად იცის თითქმის ყოველმა ქართველმა“, სამეცნიერო კრიტიკის მიერ დავიწყებული იყო. არ იყო დადგენილი ტექსტი, სათანადოდ არ იყო შესწავლილი და გაანალიზებული რუსთველის ნააზრევი. ნიჰილისტურად განწყობილი პირები „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევდნენ „მისტიკურად, აზიურად, ფანტასტიკურად და ბოლოს — თარგმნილადაც კი“. ასეთი შეურაცხყოფელი შეფასება აღელვებდა აკაკის, რის გამოც მან დაბეჯითებით გაილაშქრა პოემის სიდიადისა და ორიგინალობის უარყოფელთა წინააღმდეგ, დაიცვა ის უსამართლო დევნისაგან და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის „დაწერილია ქართული სულისკვეთებით“.

ა. წერეთელმა სპეციალურად თუ გაკვრით განიხილა შემდეგ პრობლემები: ავტორის ვინაობა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, „ვეფხისტყაოსანი“ და მომდევნო ხანის ქართველი საზოგადოებრიობა, პოემის ტექსტოლოგიური საკითხები, ტიპაჟი; ქალთა ემანსიპაცია, პოემა და XII საუკუნის საქართველო, ქართული სინამდვილის ანარქიკი პოემაში, „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობა.

უკვე ამ პირველსავე რუსთველოლოგიურ შრომაში აკაკი იჩენდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საფუძვლიან ცოდნას, დაუფარავად ამქლავებდა დიდ პატივისცემას გენიოსი შემოქმედისადმი და უსაზღვრო სიყვარულს პოემისა, ავლენდა კრიტიკული აზროვნების უნარს, კარგად ერკვეოდა ძირითად რუსთველოლოგიურ პრობლემებში, გაბედულად იმადლებდა ხმას ინტერპოლატორთა და გამგრძელებელთა წინააღმდეგ, ამტკიცებდა მის ორიგინალობას, მიიჩნევდა მას ქართული სინამდვილის მხატვრულ გარდასახვად. ახალგაზრდა აკაკის ნარკვევი ფრიად საინტერესო და საყურადღებოა, მისი ზოგიერთი დებულება დღესაც ძალაში რჩება.

აკაკის ამით არ დაუსრულებია „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობა, ამით არ დაუმთავრებია თავისი რუსთველოლოგიური ძიებანი. მალე მან კიდევ უფრო ღრმად შეისწავლა პოემა და მოამზადა საკმაოდ განმარტებული ნაშრომი — სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“ (XII, 66—112).

ა. წერეთელმა ლექციები „ვეფხისტყაოსანზე“ წაიკითხა 1881 წლის გაზაფხულზე ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ — ქუთაისში, მომდევნო წელს კი გორში. 1887 წელს აკაკი ლექციებით წარდგა რუსი აუდიტორიის წინაშე.

ლექციებში ა. წერეთელმა თავი დააღწია ისტორიულ-ალეგორიულ თეორიას და წარმოადგინა ახალი თვალსაზრისი, რომლითაც სცადა პოემის ორიგინალობის დასაბუთება და მისი ტიპაჟის რაობის გარკვევაც.

ლექციების შესავალში აკაკი მსჯელობდა საქართველოს ისტორიულ წარსულზე, ყურადღებას ამახვილებდა ქართველთა ბრძოლაზე სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, გულისწყრომას გამოთქვამდა საქართველოს ისტორიის შეუსწავლელობის გამო.

აკაკი აღნიშნავდა, რომ საქართველო სხვადასხვა კუთხეებისაგან შედგება, თითოეულ კუთხეს თავისი ბუნება, თავისი ხასიათი, თავისი ზნე-ჩვეულება და თავისი საკუთარი ცხოვრება აქვს, მაგრამ ეს კუთხეები ცალ-ცალკე ძალასა და მნიშვნელობას მოკლებულნი არიან და მხოლოდ შეერთებულ-შეკავშირებულნი შეადგენენ ძლიერსა და ვრცელ საქართველოს. რუსთველმა თავის პოემაში მაღალმატერულად წარმოგვიდგინა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ღირსებები და ნაკლოვანებები. ეს იყო აკაკის ძირითადი დებულება, რომლის დამტკიცებას დაეთმო მომდევნო ლექციები.

თავდაპირველად აკაკიმ სრულად დაახასიათა საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები: ქართლელი, იმერელი, შავი ზღვისპირელი (მეგრელი, გურული), ხოლო შემდეგ სცადა დამტკიცება იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სწორედ დასახელებული ტომების წარმომადგენლები არიან დახატული. ოღონდ ეს საკითხი განიხილა არა იზოლირებულად, არამედ სხვა საკითხებთან კავშირში, კერძოდ, შეჩერდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა ქართველი საზოგადოებრიობის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დაფასება ძველ ხანაში და რამდენადმე უგულებელყოფა XIX საუკუნეში, რუსთველი და მომდევნო ხანის ქართული მწერლობა (არჩილი, ვახტანგ VI, ანტონ I, დ. გურამიშვილი...), „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეური მოტივები და ა. შ.

აკაკი ვრცლად და თითქმის ამომწურავად მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე, გულმოდგინედ ეძებდა და გამოყოფდა მათ დამახასიათებელ თვისებებს, ყურადღებას ამახვილებდა თითოეული მათგანის სპეციფიკურ ხასიათზე, ერთმანეთს უდარებდა და უპირისპირებდა მათ ბუნებას და განსხვავებული ნიშნების მიხედვით ცდილობდა მათ ამა თუ იმ ტომისათვის მიკუთვნებას. მისი დაკვირვებით, ტარიელი გულადი მეომარი, პირდაპირი ვაჟკაცი და გულის ამყოლი რაინდია, ხოლო მეორე გმირი — ავთანდილი გულს არ ემორჩილება, მის მოქმედებას გონიერების ბეჭედი აზის. მართალია, მას დიდი ძალა აქვს, მაგრამ „უპირატესობას სხეულის ძალაში ტარიელს ვაძლევთ ძალაუნებურად და გონებისაში კი ავთანდილს“.

ძალასმინდობილი ტარიელი ყოველთვის ვერ იჩენს სათანადო

გონიერებას, ზოგჯერ წინდაუხედავად მოქმედებს (ბრძოლა ხატაელებთან, ხვარაზმშას ძის მოკვლა და ა. შ.), ზედმეტად ღვრის ცრემლებს, ავთანდილს კი ყოველი ნაბიჯი მოზომილი აქვს. მიჯნურისადმი ტრფიალებლაში ტარიელი უფრო მგრძობიარეა, სწრაფი, პირდაპირი, ავთანდილი — მომთმენი, ხელსაყრელი მომენტის მომლოდინე. ყველგან და ყოველთვის „ტარიელი მოქმედობს გულის აყოლით და ავთანდილი კი თავს ეკითხება“. აკაკი იქვე მსჯელობდა ფრიდონზე და ბოლოს დაასკენიდა: „ტარიელში ინატება ქართულების ხასიათი და ზნე, ავთანდილში იმერლების და ფრიდონში შავი ზღვისპირელების“. ასევე ახასიათებდა აკაკი პოემის გმირ ქალებს და ნესტან-დარეჯანს ამერად მიიჩნევდა, ხოლო თინათინს — იმერად.

რუსთველოლოგიაში ადრეც იყო ცდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებისა. მხედველობაში გვაქვს არა პოემის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაცია (დ. ჩუბინაშვილი), არამედ გმირთა ხასიათებში ქართველთა დამახასიათებელ თვისებათა შენიშვნა (თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე). მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, აკაკის ცდა მაინც საყურადღებოა. რუსთველოლოგთა ადრეული გამონათქვამები უგულვებელყოფილი და დავიწყებული იყო, ისტორიულ-ალეგორიული თეორია სულ ახალ-ახალ მომხრეებს იძენდა. ამ დროს აკაკი მსმენელთა ყურადღებას ამახვილებდა პოემის გმირთა ხასიათებზე. მისი ლექციების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ჩვენება იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დახატული გმირები ქართველები არიან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლები, რომლებიც ხელიხელ ჩაკიდებულნი მოქმედებენ და არას იშურებენ საერთო მიზნის მისაღწევად. ამის ჩვენებით აკაკი არა მარტო პოემის ორიგინალობის დამტკიცებას ლამობდა, არამედ ქართველთა ეროვნული გრძობის გაღვივებასაც ცდილობდა. თავის ლექციებს ის ასე ამთავრებდა: რუსთველის პოემაში „ჩვენ ვხედავთ დიდ წინასწარმეტყველებას ჩვენი სამშობლოს შესახებ: ნესტან-დარეჯანი არის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. იმის გაუმჯობესობა-გამოხსნა მარტო ტარიელს, რაგინდ რომ უცნაური ძალისაც იყოს, არ შეუძლია მისი პირდაპირობით, თუ იმას ავთანდილიც არ მოეხმარა თავის წინდახედული მიხვევ-მოხვეულობით და თუ ფრიდონმაც მსალები და ხელსაწყობები არ მოუმზადა და არ მოეხმარა“.

ჩვენ ხელთ არა გვაქვს აკაკის რუსული ლექციების სრული ტექსტი და არ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, აკაკიმ ლექციები რუსულად სიტყვასიტყვით თარგმნა თუ შეავსო და გადაამუშავა. მოლწეულია მხოლოდ ნაწილი რუსული ლექციებისა (XV, 466—476). ეს ნაწილი გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ აკაკიმ რუსულ ტექსტში ზოგი საკითხი განავრცო და გააღრმავა, შეუფარდა აუდიტო-

რიის განათლებასა და განწყობილებას, უკვე მოხსენიებულს გარდა განიხილა დამატებითი საკითხებიც. კერძოდ, ვრცლად შეჩერდა დ. ჩუბინაშვილის კონცეფციაზე და შესაწყნარებლად მიიჩნია მისი თეორია. მსგავსად თავისი მასწავლებლისა, ისიც ნესტანს თამარ მეფედ მიიჩნევდა, ფრიდონს — გიორგი მესამედ, დეარს — რუსუდანად, ტარიელს — დავით სოსლანად და ა. შ. მისი შენიშვნით, საქართველოში არსებულმა კონკრეტულმა ისტორიულ-პოლიტიკურმა სიტუაციამ მისცა ბიძგი რუსთველს. მაგრამ პოემაში ამ მომენტმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და ძირითადი ადგილი დაიკავა საქართველოს სხვადასხვა ტომთა შეკავშირების იდეამ. იქვე მსჯელობდა ის ლეგენდარულ ცნობებზე რუსთველის თამარისადმი ტრფიალების, შემდეგ ბერად შედგომისა და იერუსალიმში ცხოვრების შესახებ, მაგრამ საბუთების მოუღწევლობის გამო მათი შეწყნარებისაგან თავს იკავებდა.

აკაკის ლექციები, როგორც აღვნიშნეთ, ვრცლად განიხილა, გაანალიზა და გააკრიტიკა ი. ჭავჭავაძემ.

აკაკი „გულწრფელად, სიმდაბლით“ მიეგება ი. ჭავჭავაძის ჩამოსას რუსთველოლოგიურ პაექრობაში, მაგრამ მისი მსჯელობა დამაკმაყოფილებლად არ მიიჩნია (XII, 338—351). მისი დასკვნით, ილიას არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა შინაარსზე, ის თვით არ დასწრებია ლექციებს, ხოლო სხვებს, რომელთაც მოისმინეს ლექციები და მათი შინაარსი გადასცეს ილიას, თავისი მისია კარგად ვერ შეუსრულებიათ, ლექციების დედააზრი მისთვის დამახინჯებული სახით მიუწოდებიათ. არსებული ვითარების ზუსტად წარმოჩენისა და ყოველგვარი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით თავის პასუხში აკაკი ვრცლად იმოწმებდა ცალკეულ ადგილებს ლექციებიდან და დამატებით მასალასაც იშველიებდა თავისი დებულების დასამტკიცებლად.

პასუხში აკაკი ცდილობდა დაესაბუთებინა მისი შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ გმირების საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლებად მიჩნევის შესახებ. მას არ მიაჩნდა, რომ ეს რუსთველის შეურაცხყოფა და მისი გმირების დაკნინება იყო. „რუსთველი და მისი თხზულება განა ზეციდან ჩამოგვივარდა და ქვეყნად ნიადავი არა ჰქონია?“ — კითხულობდა ის. „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული გმირები ნუთუ ნაოცნებარი და ჰაეროვანი არიან და არა ცხოველი, ნამდვილი არსებანი?“ მას აოცებდა ილიას მიერ რუსთველის გმირების განყენებულ საზოგადო ტიპებად მიჩნევა. რატომ არ შეიძლება. — კითხულობდა უკვე იერიშზე გადასული მოპაექრე, — რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყონ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც? მე რომ

სწორედ ასე მგონია, ნუთუ მით რუსთველის შემოქმედების ძალას ვამცირებ და ვკიცხავ მას?“

ა. წერეთელმა სწორი შენიშვნა მისცა ი. ჭავჭავაძეს და დაიცვა თავისი თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ქართული წარმომავლობის შესახებ. ამასთანავე, პოემის გმირებს არ ჩამოაცილა ზოგადსაკაცობრიო ტიპების ნიშნები.

ყურადღებას იმსახურებს აკაკის გვიანდელი ლექცია: „თანამედროვე პაზრები რუსთველისაგან მე-12-ე საუკუნეში ნაწინასწარი“ (XIV, 418—428). ამ ლექციაში აკაკი კვლავ რუსთველის სიდიადეზე, მისი პოემის უკვდავებაზე, მისი ნააზრევის მნიშვნელობაზე მსჯელობდა. იგი გამოყოფდა რამდენიმე საკითხს პოემიდან და ყურადღებას ამახვილებდა რუსთველის იმ იდეებზე, რომელთა განხორციელებას, აკაკის სიტყვით, „მხოლოდ დღეს მოითხოვს კაცობრიობა“. სახელდობრ, ქალთა ემანსიპაციაზე, პატრონჟმურ ურთიერთობაზე და ა. შ.

ამ გვიანდელ ლექციაში, ისევე, როგორც წინა ლექციებშიც, აკაკი ავითარებდა იმ აზრს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ შეფარვით გადმოცემულია წინასწარმეტყველება — საქართველოს გასათავისუფლებლად აუცილებელია თანამოქმეთა შეკავშირება და გაერთიანება. ქვეყნის სიყვარულით გულანთებული მამულიშვილი სახალხოდ აცხადებდა: „ვეფხისტყაოსანი“ პოეტური წინასწარმეტყველებაა! ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ქაჩებისაგან დამონებული და წაყვანილი ნესტან-დარეჯანი საქართველოა და იმისი მაძებარი მისივე შვილები. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ის სამი გმირი ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი წარმომადგენლები არიან მთლიან საქართველოსი. იმათ თუ ძალა ერთმანეთს არ შეუერთეს, ისე ვერას გახდებიან ცალ-ცალკე და ვერ გამოიხსნიან ნესტან-დარეჯანს“. როგორც ციტირებული სიტყვებიდან ჩანს, აკაკიმ ბოლომდე შეინარჩუნა ის აზრი, რომელიც მან ჯერ კიდევ ადრეულ წლებში შეიმუშავა.

უკანასკნელად უნდა განვიხილოთ აკაკის წერილი „ს. კაკაბაძის მოხსენების გამო“ (XIV, 539—541). ს. კაკაბაძემ შოთა რუსთველი გვიანი ხანის მოღვაწედ გამოაცხადა. ამ გარემოებამ აღაშფოთა ქართველი საზოგადოებრიობა. კამათში ჩაება აკაკიც. მან საყურადღებო მოვლენად მიიჩნია რუსთველის პოემის სპეციალური შესწავლა, ჯერ კიდევ გაუშუქებელი საკითხების კვლევა-ძიება, კერძოდ, მისი მოღვაწეობის დროით დაინტერესება. მას არ მიაჩნდა უბედურებად თამარისა და რუსთველის სხვადასხვა დროის მოღვაწეებად გამოცხადება, ასეთ ცდას ის მკრეხელობად არ უთვლიდა მკვლევარს. პირიქით, თვითონაც იმ აზრს ავითარებდა, რომ პოემა თამარის მომდევნო ხანის ქმნილებააო.

„მე თვითონ არ ვარ დარწმუნებული, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარის დროს იყოს შეთხზული!.. ის უნდა იყოს დაწერილი არა ბედნიერების დროს, არამედ როცა უბედურებაში ჩავარდა საქართველო და ქაჯეთში დატყვევებულ ნესტან-დარეჯანის გამოსხნა ტარიელის, ფრიდონის და ავთანდილის შეერთებულის ძალით პროგრამა და წინასწარმეტყველობაა მომავლის!.. და არის მისთანა კაცისაგან დაწერილი, რომელიც თამარ მეფის ბედნიერ დროსაც მოსწრებია სიყმაწვილეში და რუსუდანის შავ ღღებესაც სიბერეში. მე მგონია, რომ რუსთველმა ნებით თუ უნებლიეთად იერუსალიმში ჯვარის მონასტერში და მწყვედეულმა სიბერის დროს დასწერა ეს საარაკო თხზულება“.

სხვათა შორის, ასეთივე აზრია გატარებული მეორე წერილშიც — „სიზმარი“ (XIV, 551—555). მისი კონცეფცია ასეთია: რუსთველი ახალგაზრდობაში მოესწრო თამარის დროს, სახელოვანი ქალის თანამედროვე და თანამოღვაწე, იყო, აქებდა მას ჩაზრუხას სახელით. შემდეგ მოესწრო მისი შეილების უხვირო მმართველობას. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში. იქვე გარდაიცვალა. დაკრძალეს იმ კედელთან, რომელზეც მისი ხელით იყო დახატული ავტობორტრეტი. საგულისხმოა, რომ აქაკიმ რუსთველი ჯვრის მონასტრის მოღვაწედ გამოაცხადა, ხოლო სამეცნიერო ექსპედიციის მიერ უკანასკნელ ხანს მიკვლეული პორტრეტი მგოსნის ავტობორტრეტად აღიარა.

გარდა ზემოდასახელებული წერილებისა, რუსთველოლოგიურ დაკვირვებებს ეხედებით აკაკის სხვა კრიტიკულ-სამეცნიეროსა და პუბლიცისტურ წერილებშიც. მათში დასმულია არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ყურადღებას იქცევს მისი დაკვირვებანი ისეთ საკითხებზე, როგორიცაა რუსთველის ენა, „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა მომდევნო ხანის ქართულ მწერლობაზე და საერთოდ ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვრებაზე და ა. შ.

ასეთია მოკლედ აკაკი წერეთლის რუსთველოლოგიურ შეხედულებათა ევოლუცია. როგორც აღვნიშნეთ, აკაკის ზოგიერთი დაკვირება ახლაც ინტერესს იწვევს და მისი რამდენიმე დებულება ახლაც ძალაშია.

სწორია აკაკის დაკვირება ძველ საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ დიდ პოპულარობაზე. მას კარგად ესმოდა, თუ რა დიდი წონა ჰქონდა ამ პოემას ქართველ საზოგადოებაში და რა გავლენა მოახდინა რუსთველის გენიამ მომდევნო ხანის მწერლობაზე. ამ გაუგონარი გავლენის მიზეზად ის მართებულად მიიჩნევდა რუსთველის სიბრძნეს, „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსობრივ სიმდიდრესა და მხატვრულ ელვარებას.

სწორია მისი მტკიცება, რომ პოემა არ არის თარგმნილი სპარსუ-

ლიდან (სხვათა შორის, საინტერესოა ცდა რუსთველის ცნობილი სიტყვების თავისებური ინტერპრეტაციისა), რომ ის ქართულია, ორიგინალურია.

სწორია მტკიცება, რომ პოემა არ არის მისტიკურ-ფანტასტიკური, რომ ის საქართველოს რეალური ვითარების ორგანული პროდუქტია, რომელშიც ასახულია ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვრება, მოვლენები აღწერილია ქართული სულისკვეთებით.

ასევე სწორი და მოსაწონია აკაკის შენიშვნები ვახტანგ მეექვსის ზოგიერთი კომენტარისა და აგრეთვე სამღვდლოების რეაქციულ-კლერიკალური ფრთის საქმიანობის შესახებ.

პოემის იდეურ-აზრობრივი ანალიზი, გმირთა დახასიათება, მათ ხასიათში ეროვნული და, ამასთანავე, ზოგადსაქაოებრიო ნიშნების დაძებნა ძირითადად სწორია და საყურადღებო. აკაკის პატრიოტული მიზანდასახულობა, — პოემის დეტალური ანალიზით და დედააზრის წინა პლანზე წამოწევით ეროვნული გრძნობის გაღვივება, — კიდევ უფრო წარმოაჩენს ამ თავდადებულ მამულიშვილს.

აკაკის ნააზრევში, რასაკვირველია, გვხვდება ცალკეული შეცდომები, უზუსტობანი, არასწორი მსჯელობის შემთხვევები. მაგალითად, აკაკი აჭარბებდა ქალთა ემანსიპაციაზე მსჯელობისას, შეცდომებს უშვებდა ძველი საქართველოს პატრონymური ურთიერთობის შეფასებაში, ამ ყოფის იდეალიზაციისას „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ადგილების ინტერპრეტაციაში, მკაცრად იხსენიებდა ანტონ კათალიკოსს და მას პოემის ხელნაწერების დაწვასაც კი აბრალებდა, ადვილად იწყნარებდა ლეგენდარულ ცნობებს რუსთველის სწავლა-აღზრდისა და ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის შესახებ, ასევე, ერთი მხრივ, ხელაღებით უარყოფდა პოემის ზოგიერთ სტროფს, ხოლო მეორე მხრივ, ასევე დაუსაბუთებლად მიაწერდა რუსთველს სხვათა ლექსებს და სხვ. მაგრამ ეს არაა არსებითი. უნდა გავიმეოროთ, რომ აკაკის რუსთველოლოგიურ ნააზრევში ბევრი რამ დღესაც ძალაში რჩება.

უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ აკაკის დამსახურება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში. როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნის 80-იან წლებში ქართველმა საზოგადოებრიობამ გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულად დადგენა. შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად შედიოდა აკაკიც. მართალია, ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობას ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ, მაგრამ ი. მეუნარგიას მოკლე ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ აკაკი კომისიის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა.

აკაკი წერეთელი კარგად იცნობდა აღორძინების ხანის ქართულ საერო-მხატვრულ ლიტერატურას. იგი მკაცრად მსჯელობდა თეი-

მურაზ პირველისა (VII, 147—148; VIII, 97; XII, 86) და ბესიკის (XI, 21—22) შესახებ, მაგრამ აღიღებდა და ხოტბას ასხამდა სულხან-საბა ორბელიანსა და დ. გურამიშვილს; სიყვარულით წერდა „გენიოსსა და გამოჩენილ მწერალზე“ (XII, 385; XIV, 227) სულხან-საბაზე, იხსენიებდა მის ლექსიკონს (XIV, 88), იყენებდა მის „სიბრძნე სიკრუის წიგნს“ (VII, 55, 62, 137; VIII, 99; XI, 327; XII, 177; XIV, 227; XV, 417—419 და სხვ.). მან გალექსა სულხან-საბას რამდენიმე არაკი (IV, 21—23, 27—39, 56—58) და სწორი მოსაზრება განავითარა კრებულის დაწერის თარიღზე (XIII, 368—370). აკაკი დიდად აფასებდა დ. გურამიშვილს, ინტერესს იჩენდა მისი ბიოგრაფიისადმი და მის ნაკვალევს უკრაინაში ეძებდა (XIII, 559; XV, 115), ხშირად იყენებდა მის ბრძნულ გამონათქვამებს, სარგებლობდა მისი პოეტური სტრიქონებით. საყურადღებოა მისი დაკვირვება რუსთველისა და დ. გურამიშვილის ურთიერთობაზე. მან იცოდა, რომ დ. გურამიშვილი დიდი თავყანისმცემელი იყო „ვეფხისტყაოსნისა“ და მის ავტორს „სიბრძნის ზღვად“ (XII, 87) მიიჩნევდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ გაჰყვა რუსთველის გატკეპნილ გზას, არ შემოიფარგლა მხოლოდ 16-მარცვლოვანი შაირით და „საკუთარი გზით მოინდომა მსელელობა“ (XII, 87).

აკაკი იცნობდა და იმოწმებდა აგრეთვე ვახტანგ მეექვსეს (VI, 151—152; VIII, 97; XII, 86; XIV, 175, 325, 329), დ. ბაგრატიონს (XI, 230; XIII, 196), ი. ბაგრატიონს (XIII, 177), გ. ფირალიშვილსა (III, 374; V, 282—283, 351) და სხვა ქართველ მწერლებს.²

² ერცლად იბ. ლ. შენაბღე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ლექლი ქართული მწერლობა, თბ., 1972, გვ. 146—217.

ქართველი სამოციანელების თვალსაჩინო წარმომადგენელი გ. წერეთელი მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე იყო. მის ყურადღებას იპყრობდა სამეურნეო-პრაქტიკული საქმეები, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები, კულტურულ-ლიტერატურული საკითხები. მისი კალამი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ეხებოდა. გ. წერეთელი მშობელი ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლი, მაღალი ეროვნული იდეალების მქადაგებელი, ახალი იდეების შემომტანი და დამნერგავი შემოქმედი იყო. მხატვრული სიტყვის სახელმძღვანელო ოსტატმა, განსწავლულმა ისტორიკოსმა, შრომისმოყვარე არქეოლოგმა და დაკვირვებულმა ფილოლოგმა, დაუღლელმა რედაქტორმა და მახვილგონიერმა პუბლიცისტმა მთელი თავისი ენერჯია თანამემამულეთა აწმყოსა და მომავალზე ზრუნვას შეაღია. მას კანონიერი სიამაყის გრძნობით აღავსებდა საქართველოს წარსული, მისი მაღალი მატერიალური და სულიერი კულტურა, მისი ღრმაშინაარსიანი მწერლობა. გ. წერეთელი გულდასმით სწავლობდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობასა და საერო-მხატვრულ ლიტერატურას. ესმოდა რა ძველ ქართველ მწერალთა კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა, ენერგიულად იბრძოდა სახელოვანი წინაპრების ნაწერების დაცვა-შენარჩუნების, შესწავლისა და გამოცემისათვის.

გ. წერეთელმა ოჯახშივე გაიცნო მშობლიური ლიტერატურის ნიმუშები. შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე (საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე) ჩაირიცხა, მაგრამ შერჩეული დარგით არ დაკმაყოფილდა და ლიტერატურა კიდევ უფრო ღრმად შეისწავლა. სამშობლოში დაბრუნებული გ. წერეთელი ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, ეწეოდა სამეურნეო-პრაქტიკულ საქმიანობას, ენერგიულად მონაწილეობდა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. იგი ყოველთვის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და ი. ჭავჭავაძესთან, ა. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესა და სხვა თანამოკალმეებთან ერთად ვაჟკაცური შემართებით იბრძოდა ქართული მწერლობის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ჭეროვნად ესმოდა რა ძველი ქართული მწერლობის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და მხატვრულ-ლიტერატურული ღირებულება, ვათვალისწინებელი ჰქონდა რა მისი მნიშვნელობა ახალი ქართული მწერ-

ლობისათვის, მისი შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის, გ. წერეთელი წლების მანძილზე აქტიურად მუშაობდა ძველი ქართული მწერლობის შესწავლის მიზნით; კრებდა, სწავლობდა და მეცნიერულად აღწერდა ძველ ხელნაწერებს, სტამბური წესით აქვეყნებდა ძველი ქართველი ავტორების ნაწერებს, ოსტატურად იყენებდა მათ ბრძნულ გამონათქვამებს, ხელს უწყობდა მათ პოპულარიზაციას, აღშფოთებით ესხმოდა თავს ნიჰილისტებს, რომელთაც ძველი ქართული მწერლობის შესწავლა უსარგებლოდ და ზედმეტ საქმედ მიაჩნიათ.

ძველი ქართული მწერლობით ახალი თაობის დაუინტერესებლობას გ. წერეთელი იმით ხსნიდა, რომ ძველი ძეგლები ნაკლებად იყო გამოქვეყნებული, ხოლო ხელნაწერები მფლობელებს ჰქონდათ ჩაკეტილი. ამიტომაც იღვწოდა ის თავდადებით როგორც ხელნაწერების დაცვა-შენარჩუნების, ისე ძველი ტექსტების პუბლიკაციისათვის.

გ. წერეთელს კარგად ესმოდა ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლის საჭიროება. მისი რწმენით, ხელნაწერი მემკვიდრეობის ათვისება აუცილებელი წინა პირობა იყო ჩვენი კულტურულ-ისტორიული წარსულის შესწავლისათვის.

ძველ ხელნაწერებში შემონახული ძეგლების გაცნობისა და ათვისების მიზნით მან ადრევე შეისწავლა ხუტურის კითხვა, ხოლო შემდეგ იმდენად გაიწაფა, რომ სპეციალისტების მოწონებაც კი დაიმსახურა. იგი არა მხოლოდ კითხულობდა ძველ ხელნაწერებს, არამედ გულდასმით სწავლობდა მათში შემონახულ ტექსტებს და ხშირად იყენებდა კიდეც მათ. მაგალითად ხელნაწერებში წაიკითხა და გამოიყენა მან „მოქცევაჲ ქართლისაჲ“,¹ „ევსტათი მცხეთელის მარტილობა“,² „ლეილმაჯნუნიანი“,³ „ქილილა და დამანა“⁴ და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ გ. წერეთელი არ კმაყოფილდებოდა, ხელნაწერების კითხვითა და შესწავლით და ძველი ტექსტების პუბლიკაციანაც ზრუნავდა: მისი მონაწილეობით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, მონაწილეობდა ის აგრეთვე „დავითიანის“ გამოცემის მომზადებაში (1870 წ.) და ა. შ.

გ. წერეთელი ერთ-ერთი პირველი ქართველი მწერალი და მკვლევარია, რომელიც დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ძველი ქართული ხელნაწერების მეცნიერული აღწერილობის შედგენისა და გამოქვეყნების საქმეს. ამ მიმართულებით უაღრესად შრომატევადი

¹ გ. წერეთელი, საისტორიო ბაასი, „კვალი“, 1894, № 41, გვ. 12—13; მისივე, წმინდა შუშანიკი, დედოფალი რანისა, „კვალი“, 1894, № 45, გვ. 10.

² გ. წერეთელი, მცირე შენიშვნა, „კვალი“, 1894, № 43, გვ. 6—7.

³ Г. Церетели, Низами и Руставели, «Новое обозрение», 1890, № 2086.

⁴ გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები (ორ ტომად), II, თბ., 1948, გვ. 149, 153, 156—158, 160—162.

სამუშაო ჩაატარა. სახელდობრ, საკმაოდ სრულად და ზუსტად აღწერა რამდენიმე ხელნაწერი.⁵

გ. წერეთელი საფუძველიანად იცნობდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, კერძოდ, ბიბლიასა და ჰაგიოგრაფიას. თავის მხატვრულ ფხვნილებებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში იგი იხსენიებდა ბიბლიურ გმირებს, იყენებდა ბიბლიურ ეპიზოდებს, იმოწმებდა ბიბლიურ გამონათქვამებს.

გ. წერეთელი საკმაოდ ღრმად იცნობდა ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიას. ნათქვამის დასადასტურებლად საკმარისია დავასახელოთ მისი წერილები: „წმინდანი მოწამენი დავით და კონსტანტინე“, „წმინდა მოწამე გობრონ“, „წმინდა მოწამე აბო“, „წმინდა მეფე არჩილი“, „წმინდა ესტატე მცხეთელი“, „წმინდა შუშანიკი, დედოფალი რანისა“, „წმინდა ნინო“.⁶

გ. წერეთელი თავის წერილებში ხშირად იმოწმებდა ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს, იყენებდა სხვა წყაროებსაც („ქართლის ცხოვრება“, ვახუშტი და ა. შ.), მათ საფუძველზე დეტალურად გადმოცემდა დასახელებულ გმირთა თავგადასავალს, აღწერდა მათ მისიონერულ საქმიანობას თუ მოწამებრივ აღსასრულს, განსაკუთრებით წარმოაჩენდა მათ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, მკითხველის ყურადღებას ამახვილებდა მათ სამშობლოსმოყვარეობაზე, გმირობასა და ვაჟკაცობაზე, ვრცლად გვაცნობდა მოღვაწეთა დროინდელი საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივსა და საეკლესიო-სარწმუნოებრივ მდგომარეობას. ხალხური, სასაუბრო ენით, მარტივი თხრობითა და მოღვაწეთა პორტრეტების ბეჭდვით იგი ხელს უწყობდა ქართული ჰაგიოგრაფიის პოპულარიზაციას მკითხველთა ფართო მასებში.

უკეთ იცნობდა გ. წერეთელი ძველ ქართულ საერო-მხატვრულ ლიტერატურას, როგორც კლასიკური ხანის, ისე აღორძინების ხანის მწერლებსა და მათ ნაწარმოებებს.

ძველი ქართველი მწერლებიდან გ. წერეთელი ყველაზე უფრო აფასებდა ქართული სიტყვიერების მწერლობის მშვენიერებას — შოთა რუსთველს, უწოდებდა მას „დიდებულს“, „წარჩინებულსა“ და „დაუვიწყარ“ პოეტს და მიიჩნევდა „თავისი დროის პირველ განათლებულ კაცად“.⁷

⁵ ДВ, ტ. I, ნაკვ. II (1891), გვ. 258—278; МАК, VII (1898), გვ. 82—114.

⁶ „კვალი“, 1893, № 45, გვ. 10—13; № 46, გვ. 6—7; № 47, გვ. 8—9; № 48, გვ. 5—7; № 50, გვ. 8—10; 1894, № 9, გვ. 7—9; № 10, გვ. 7—9; № 11, გვ. 6—8; № 44, გვ. 7—11; № 45, გვ. 8—10; 1895, № 4, გვ. 1—3.

⁷ „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები გ. წერეთელმა ძირითადად დ. გურამიშვილისადმი მიძღვნილ წერილში განიხილა (იხ. მისი დ. გურამიშვილი და იმის წინა დროები. წიგნში: დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, I, თბ., 1870, გვ. I—XXVI).

გ. წერეთელს აჯადოებდა რუსთველის პოეტური ფანტაზია, ზიბლავდა მისი დახვეწილი მხატვრული გემოვნება, აღაფრთოვანებდა მისი „სახელგანთქმული პოემა“, რომელიც „ერს სიბრძნის ჭურჭლად მიაჩნდა, საიდანაც მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა თანასწორად იღებდა თავის მეცნიერებას“, სიამაყის გრძნობით აღავსებდა რუსთველის „დიდი პოეტური ნიჭი, ის ღრმა გრძნობა და ის სიცხოველე, რომელიც ჰბადებს მალალსა და ნამდვილს პოეზიას და რომელიც ასე უხვად გაფენილია მთელ „ვეფხისტყაოსანში“. გ. წერეთელი მადლიერების გრძნობით იხსენიებდა რუსთველსა და მის პოემას, ხშირად მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-თემატიკურ მოტივებზე, პერსონაჟებზე, ენაზე, პოპულარობაზე, ზეპირი გზით გავრცელებაზე და ა. შ. მას კარგად ესმოდა, თუ რა დიდი სახელი ჰქონდა „ვეფხისტყაოსანს“ ქართველ საზოგადოებაში, რა გავლენა მოახდინა რუსთველმა შემდგომი ხანის ქართული მწერლობის განვითარებაზე.

გ. წერეთელს აღელვებდა „ვეფხისტყაოსნის“ ადამიანურობით აღსავსე ბრწყინვალე იდეა, ჰუმანიზმი და სიცოცხლის სიყვარული, აღაფრთოვანებდა „ღრმა გრძნობა, რომელიც თითქმის ყოველს მუხლში მჩქეფარებს, მთიდგან გადმოვარდნილ ნაკადულსავით, ღრმად შესწავლა ცხოვრებისა, რომელიც ანდაზებად დაბნეულია საქართველოში, კეთილშობილური შეხედულება ბუნებაზე და კაცის თვისებაზე, ბოლოს მდიდარი გარეგანი შემკულობა ამ თხზულებისა“.

რუსთველი გ. წერეთელს მიაჩნდა XII-XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ღირსეულ პირმშობლ.

რუსთველის სიდიადის უფრო სრულად და შესამჩნევად წარმოჩენის მიზნით გ. წერეთელმა ყურადღება გაამახვილა ადრეული ხანის მწერლობის თემატიკაზე, ძველ ძეგლებში წარმოდგენილ ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბების უსაფუძვლობასა და არადამაჯერებლობაზე, ძველი ავტორების მიერ დახატულ არარეალურ, სინამდვილეს მოკლებულ სურათებზე. მისი დაკვირვებით, რუსთველის წინააღმდეგობა საგმირო ეპოსმა უარყოფითი როლი შეასრულა ქართველთა ცხოვრებაში, ხელი შეუშალა მეცნიერების წინსვლას, აზროვნების განვითარებას.

აი, ასეთ ვითარებაში გამოვიდა რუსთველი შემოქმედებით სარბიელზე, ასეთ პირობებში დაიწყო მან კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა და თავს იღვაძველი ტრადიციული წესების დარღვევაგადალაზვა, მიზნად დაისახა სინამდვილის რეალისტურად ჩვენება, ბუნების ჩვეულებრივი ფორმით წარმოდგენა და დამტკიცება იმისა, რომ „ბუნებაში საშიში არა არის რა“.

რუსთველმა უდიდესი მისია შეასრულა, თავის მშობელ ხალხს უნაგარო სამსახური გაუწია, ნამდვილი ცხოვრება დაანახვა.

რუსთველის დამსახურებას გ. წერეთელი იმაში ხედავდა, რომ მან საბურველი, შავი ფარდა ჩამოაცალა საზოგადოებას, მწერლობა ზღაპრული სფეროდან გამოიყვანა და რეალურ ცხოვრებას დაუახლოვა; ნაცვლად აღმოსავლური ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბებისა, მან ნამდვილი ამბები გალექსა და ცხოვრებისეული სურათები დახატა, ამქვეყნიური სინამდვილე ასახა.

გ. წერეთელს არ შეეძლო თვალი დაეხუჭა იმაზე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ იხსენიებიან ქაჩები, დევები და ა. შ. მას არც უცდია გვერდის ავლა ამ, ერთი შეხედვით, საჩოთირო საკითხისათვის. იგი სავსებით მართალი იყო, როდესაც წერდა: „თუმცა ალაგ-ალაგ „ვეფხისტყაოსანშიც“ არის მოყვანილი გრძნეული სულიერები, მაგრამ იმათი სურათები არასოდეს არ ეწინააღმდეგებიან ბუნების კანონებსა. ეს გრძნეული პირებიც ისეთი კაცები არიან, ისეთი გულისტმა აქვთ და ისე იტანჯებიან, რდგორც ჩვენ. იმათი გრძნება მხოლოდ ის არის, რომ უსწავლელ კაცზე უფრო მეტი იციან და მეტი მოხერხებაც აქვთ“.

უქანასკნელი წლების კვლევა-ძიებით სავსებით დადასტურდა გ.წერეთლის მოსაზრება.

გ. წერეთელს აღშფოთებდა ის სავალალო გარემოება, რომ რუსთველის ღვაწლი ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ შესწავლილი და გამოვლენილი და მისი ჰუმანისტური მსოფლმხედველობით გამსჭვალული პოემა „გაურჩეველი და დაუფასებელი“ იყო. ის ცდილობდა გაერკვია ზოგიერთი საკითხი. საინტერესოა მისი მსჯელობა პოემის იდეურ-თემატიკური მოტივების შესახებ (მიჯნურობა, მეგობრობა).

საყურადღებოა გ. წერეთლის ცდა „ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჟის რაობის გარკვევისა, მსჯელობა ტარიელისა და აეთანდილის შესახებ. მისი დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირი „თავშეუკავებელი“ მიჯნურია: გაჭირებაში მყოფს ზოგჯერ აგონდება თავისი სატრფო, ის ბედნიერი წამი, როდესაც მის ახლოს იყო, როდესაც ნესტანის „მოელვარე მშვენიერება“ თვალს ჰკრიდა, როდესაც მას, — ვით „ზეციურ მნათობს“, — შესცქეროდა. მოგონება ტკივილს უახლესს, გრძნობას უცხოველებს, გონებას უბნელებს. ამ დროს ის კარგავს წონასწორობას, თავს ველარ იტერს, ნაბიჯს ვერ ზომავეს.

გ. წერეთელმა სიმკაცრე გამოიჩინა ტარიელის დახასიათება-შეფასებაში, მაგრამ მანვე დაძებნა ტარიელას გამამართლებელი მოტივები და შემამსუბუქებელი საბუთების სახით წარმოადგინა: „კაცი კლდის სალი არ არის“, „რაგინდ მძლავრი ბუნება ჰქონდეს, ცუდი გარემოებისაგან შეიძლება ისე დასუსტდეს და დაიჩაგროს, რომ პირუტ-

ყველ მდგომარეობაში ჩაეარდეს. აქ რუსთველის მაღალაზროვანმა გამოხატულებამ გვიჩვენა ნამდვილი კაცი, რომლის ზნეობითი სიდიადე და დამცრობა უმეტეს ნაწილად გარემოებაზე დამყარებულია“.

გ. წერეთელი სულ სხვაგვარად აფასებდა პოემის მეორე გმირს. მისი აზრით, ავთანდილი სრულიად განსხვავებული ბუნებისაა. „ერთია ცეცხლი, მეორე წყალი; ერთი ჰგავს მრისხანე ცას, რომელიც ელვით და გრგვინვით მუსრავს ყოველსავე, რაც იმის გამწყრალ სახეს წინ უდგება დედამიწის ზურგზე; მეორე ჰგავს მოწმენდილს ცას, ბრწყინვალე დღეს, რომელიც ერთს მხიარულად გამოანათებს და, რაც ცის კამარაზე შავი მრისხანე ცეცხლმოქმენივეი ღრუბლებია, სულ ერთიანად გაფანტავს“. ავთანდილი — კეთილშობილი რაინდი და გონიერი სახელმწიფო მოღვაწე — უყოყმანოდ და „უსასყიდლოდ სწირავს საკუთარ ბედნიერებას, სიყვარულსა და სიცოცხლესაც, რომ განსაცდელისაგან დაიხსნას თავისი ღირსი მეგობარი“.

გ. წერეთელი მთელ თავის შემოქმედებით პრაქტიკაში მართლის თქმის პრინციპებით ხელმძღვანელობდა, თანამედროვეთა შორის ცნობილი იყო ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით. ამავე პრინციპებით ხელმძღვანელობდა ის „ვეფხისტყაოსნის“ შეფასებისას, აღიარებდა მის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ ერიდებოდა მისი თვალსაზრისით მიუღებელი ადგილების კრიტიკას, ნაკლის მხილებას, რეალიზმის პრინციპებიდან გადახვევის დაგმობას.

გ. წერეთელი თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამოსშიც კი პოულობდა ნაკლს. მისი სიტყვით, ამ პოემაში „თუმცა გარეგანი ლექსთა თხზვა მუსიკობით ძალიან მაღლა დგას, მაგრამ ალაგ-ალაგ პოეტური სურათები თითქმის ძალდატანებულად გამოყვანილია და თვითონ სიტყვიერებაც მეტად გაბრტყელებულია“.

უთუოდ მკაცრია და უმართებულო მისი მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ადგილის შესახებ, მაგრამ ერთი უდავოა: გ. წერეთელი გულწრფელად წერდა იმას, რასაც გრძნობდა, რასაც განიცდიდა.

აღნიშნულის მიუხედავად, გ. წერეთელს „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნდა ქართული სულიერი კულტურის უბრწყინვალეს ძეგლად და ეროვნული თვითმყოფადობის საბუთად, ამიტომაც თავგამოდებით იცავდა რუსთველსა და მის პოემას ხელმოყველთაგან. აქ საგანგებოდ უნდა მოვიგონოთ მისი გამოსვლა ქართული კულტურის უარყოფელი და „ვეფხისტყაოსნის“ დამაკინებელი ი. ჯაბადარის წინააღმდეგ.⁸

⁸ Г. Церетели, Нишамы и Руставели, «Новое обозрение», 1890, №№ 2084, 2086, 2091.

გ. წერეთელმა თავდაპირველად მკაცრად გააკრიტიკა ქართული კულტურის უგულვებელყოფელი მეცნიერები (ი. სენკოვსკი; კ. პატკანოვი), ცხადყო იმათ მოსაზრებათა უსაფუძვლობა და უნიადაგობა, შემდეგ ამხილა ი. ჯაბაძარის ნიპილისტობა და უვიცობა, ტენდენციურობა და არაობიექტურობა. მას აღშფოთებდა ის გარემოება, რომ დასახვლებულმა პირებმა ხეირიანად არც ქართული ენა იცოდნენ და არც ქართული მწერლობა, ისინი თითქმის სულ არ იცნობდნენ საქართველოს ისტორიულ წარსულს, უგულვებელყოფდნენ საისტორიო წყაროების ჩვენებას, აყალბებდნენ სინამდვილეს. საისტორიო წყაროებისა და მეცნიერული გამოკვლევების საფუძველზე გ. წერეთელმა აღნიშნა ქართული კულტურის სიდიადე, განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება „ვეფხისტყაოსანზე“, დეტალურად განიხილა ი. ჯაბაძარის მოსაზრება „ვეფხისტყაოსნისა“ და „ლეილმაჩუნიაანის“ ურთიერთობაზე. გულდასპითი შედარებითი ანალიზით გ. წერეთელმა ცხადყო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ „ლეილმაჩუნიაანის“ მიბაძვას არ წარმოადგენს. რუსთველს სხვისი მისაბაძი არა ჰქონდა რა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს გმირთა ტიპების შექმნისას არ სჭირდებოდა უცხოეთის დახმარება, მას მასალა სამშობლოშივე შეეძლო მოეპოვებინაო.

გ. წერეთელი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევდა ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებად, არკვევდა მის იდეურ-შემეცნებით მნიშვნელობასა და მხატვრულ-ლიტერატურულ ღირებულებას და გადაჭრით ილაშქრებდა რუსთველის უკვდავი პოემის უცხო ძეგლის მიბაძვად გამოცხადების წინააღმდეგ. მართალია, მისი კვლევა-ძიება არ იყო დაზღვეული შეცდომებისაგან (მაგალითად, თეიმურაზისეული „ლეილმაჩუნიაანი“ მას ნიზამის პოემის თარგმანი ეგონა), მაგრამ მისი დასკვნები ძირითადად მისაღები და ანგარიშგასაწევი.

დასასრულ უნდა მოვიხსენიოთ გ. წერეთლის ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში. როგორც ირკვევა, გ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის მომზადებაში,⁹ მონაწილეობდა იგი აგრეთვე პოემის 1867 წლის გამოცემის მომზადებაშიც.

აღორძინების ხანის ქართული მწერლობიდან გ. წერეთელი რამდენიმე ძეგლსა და ავტორზე ამახვილებდა ყურადღებას. საყურადღებოა მისი დაკვირვება „რუსულდანიანზე“ და მისი ერთი ნაკვეთის სოციალურ ასპექტში განხილვა¹⁰; საინტერესოა მსჯელობა არჩილსა და

⁹ „დროება“, 1880, № 250.

¹⁰ გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები (ორ ტომად), I, თბ., 1947, გვ. 102—104.

ი. სააკაძეზე. მართალია, იგი უგულვებელყოფდა დასახელებული მწერლების თხზულებათა მხატვრულ ღირსებას, მაგრამ შესანიშნავად ჰქონდა გათვალისწინებული მათი როლი მოძალებულ სპარსულ-მაჰმადიანურ კულტურასთან ბრძოლაში, კარგად ესმოდა ქართული საისტორიო ეპოსის მნიშვნელობა ჩვენს საზოგადოებაში ეროვნული გრძნობის გაღვივებისა და მწერლობაში ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის დამკვიდრების საქმეში. მისი სიტყვით, არჩილმა და ი. სააკაძემ „მისცეს პოეზიას ნაციონალური მიმართულება“, შეაქვს სამშობლოსათვის თავდადებული რაინდები, ხოტბა შეასხეს სახელოვან მამულიშვილებს. სპარსულ-მოჭორილი ამბების გადმოცემის ნაცვლად მთრეალური სინამდვილე, კონკრეტულ-ისტორიული ვითარება ასახეს, ფანტასტიკურ-აღმოსავლური სიუჟეტების უარყოფითა და ეროვნული თემატიკის დამკვიდრებით დიდი სამსახური გაუწიეს მშობელ ხალხს.¹¹

გ. წერეთელი კარგად იცნობდა სულხან-საბა ორბელიანსა და მის „სიბრძნე სიცრუის წიგნს“¹², მაღალ შეფასებას აძლევდა და ხშირად იმოწმებდა „ქილილა და დამანას“¹³. განსაკუთრებული სიყვარულით იყო გამსჭვალული დ. გურამიშვილის მიმართ¹⁴. მას აღაფრთოვანებდა ტანჯული მგოსნის „დიდი პოეტური ნიჭი“, მისი „მაღალი გრძნობით გაცხოველებული ნაციონალური პოეზია“, მისი „შესანიშნავი თხზულება“. გ. წერეთელი განსაკუთრებით იმით იყო აღტაცებული, რომ დ. გურამიშვილმა მიუდგომლად ასახა თავისი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, სწორად და მართებულად გვიჩვენა სინამდვილე და მოვლენების გადმოცემისას არ შემოიფარგლა ობიექტური მთხრობელის როლით, არ გამოიჩინა პასიური ობიექტურობა. მან სწორად შენიშნა „დავითიანი“, — როგორც საისტორიო წყაროს, — დიდი მნიშვნელობა და მისი ავტორის რეალისტური ტენდენცია, არსებული ობიექტური რეალობის სრულად და უცდომლად ასახვის უზომო სურვილი და დიდებულად განხორციელებული ცდა. გ. წერეთლის დაკვირვება საესებით ზუსტია.

ამრიგად, გ. წერეთელი თავიდანვე იჩენდა ინტერესს ძველი ქართული წერილობითი კულტურისადმი და სიცოცხლის მიწურულამდე ინარჩუნებდა დიდ სიყვარულს ძველი ქართველი მწიგნობრებისადმი¹⁵.

¹¹ დავითიანი, გვ. XIV—XVI.

¹² გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 40, 129, 140, 149; მისივე, ამ დროის ვითარება, „კრებული“, 1872, № 10—12, გვ. 84—85; მისივე, საისტორიო ბაასი, „კვალი“, 1894, № 41, გვ. 13.

¹³ გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 149, 153, 156—158, 160—162.

¹⁴ გ. წერეთელი, დ. გურამიშვილი და იმის წინა დროები. წიგნი: დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, I, თბ., 1870, გვ. I—XXVI.

¹⁵ ვრცლად იხ. ლ. მენაბდე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1972, გვ. 218—245.

ქართული ლიტერატურის მკვლევარ-ისტორიკოსთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს — XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე მეცნიერს. იგი დაიბადა 1844 წლის 27 ნოემბერს (ძველი სტილით) მღვდლის — ანტონ თომას ძე ცაგარლის ოჯახში. მის აღზრდაში განსაკუთრებული როლი შეასრულა დედამ — სალომე დიმიტრის ასულმა უთნელიშვილმა. მამას შვილი თავის მონაცვლედ უნდოდა, ამიტომაც იგი სასულიერო სემინარიაში შეიყვანა სასწავლებლად, მაგრამ ყრმამ მღვდლობის გზა უარყო და დედის რჩევით ქართული კლასიკური მწერლობის გაცნობა დაიწყო: კითხულობდა რუსთველის, მოსე ხონელის, ბესიკის, ნ. ბარათაშვილის, გ. ორბელიანისა და სხვათა თხზულებებს, მათგან საუკეთესო ნაწყვეტებს იწერდა კიდევ. სემინარიაშივე შეუდგა ის დ. ჭონქაძის ხელმძღვანელობით — ოსური ენის, ხოლო ორი ბერძენი მეგობრის დახმარებით — ბერძნულის შესწავლას. ამავე დროს ის დაეწაფა ფრანგულ და გერმანულ ენებს. სემინარიის დამთავრებისთანავე შევიდა გიმნაზიაში. იქ მან მეცნიერული კვლევისა და კრიტიკული აზროვნების უნარი გამოავლინა, თანაც სამწერლო საქმიანობას მოჰკიდა ხელი. 1865 წელს „ცისკარში“ (№№ 3 და 4) დაბეჭდა პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, რომლებშიც განიხილა ბატონყმობის გაუქმებით გამოწვეული მძიმე მდგომარეობა, ქართველი საზოგადოების გატაცება იტალიური ოპერებით და ქართული თეატრისადმი გულგრილობა, ჟურნალის რედაქტორის რთული და პასუხსაგები მოვალეობა, ნ. არღუთაშვილ-მხარგრძელის ლიტერატურული მოღვაწეობა. ამ წერილებით მან ქართველ მწერალთა და მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო: ჭაბუკი ა. ცაგარელი გაიცნო და შეაქო ი. ჭავჭავაძემ, ხოლო, როცა მან გაიგო, რომ

¹ ა. ცაგარლის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ გამოქვეყნებულია ვ. ბერიძის („კომუნისტი“, 1922, № 231), გ. ლეონიძის („ბახტრიონი“, 1922, № 17), ა. შანიძის („ლომისი“, 1922, № 10; თუ შოაბზე, X (1930), გვ. VII—XII), ვ. თოფურაის („კომუნისტი“, 1944, 26. XII), შ. ძიძიგურის („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, 26. I), ა. ბარამიძის (ნარკვევები, V, 1971, გვ. 289—295) წერილები, თ. ჭყონიას ნარკვევი — „ა. ცაგარელი და ძველი ქართული ლიტერატურა“ („ლიტერატურული ძიებანი“, IV (1948), გვ. 425—437) და კ. კინწურაშვილის წიგნები — „ჩვენი წარსულის მემკვიდრე“ („ნაკადული“, 1965) და „ალექსანდრე ცაგარელი“ („განათლება“, 1974). წინამდებარე ნარკვევში გათვალისწინებულია აღნიშნული ლიტერატურა და ზოგიერთი საარქივო მასალა.

იგი პეტერბურგში სასწავლებლად მიემგზავრებოდა, უთხრა: „აბა, შენ იცი, ქართულ პრესას მზრუნველობას თუ არ მოაქვებო“.

1865 წელს ა. ცაგარელმა მოისურვა სწავლის გაგრძელება პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში, ჩააბარა მისაღები გამოცდები, სტუდენტად ჩაირიცხა კიდეც, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ გადავიდა იქვე უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სტუდენტი ა. ცაგარელი დიდი მონდომებით დაეწაფა სწავლას, მაგრამ პეტერბურგის ნესტიანმა ჰავამ მის ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედა, რის გამოც 1867 წლიდან სწავლა გააგრძელა მიუნხენის უნივერსიტეტში, ხოლო ერთი წლის შემდეგ ცოდნის გაღრმავების მიზნით გადავიდა ტიუბინგენის, მერმე — ლაიფციგის, ბოლოს — ვენის უნივერსიტეტებში. ამ უმაღლეს სასწავლებელში იგი ისმენდა გამოჩენილ გერმანელ და ავსტრიელ მეცნიერთა (მათ შორის ფ. ბოპისა და ფ. მიულერის) ლექციებს. 1870 წელს იგი პეტერბურგში დაბრუნდა და აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე საკანდიდატო გამოცდის მზადებას შეუდგა, დაწერა შრომა „ამორძალები ისტორიასა და პოეზიაში“, რომელსაც ფაკულტეტის საბჭომ კარგი შეფასება მისცა. 1871 წელს დ. ჩუბინაშვილის თანამდებობიდან გადადგომასთან დაკავშირებით მან ფაკულტეტის დეკანის წინადადებით პეტერბურგის უნივერსიტეტში ლექტორის თანამდებობა დაიჭირა, რაც ახალგაზრდა მეცნიერის დიდ წარმატებას მეტყველებდა. ეს მიღწევა მას საქართველოდან პირველად დ. ბაქრაძემ მიულოცა, ხოლო „დროებამ“ ქართველ მკითხველებს აცნობა: „ამბავი მოგვივიდა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში დ. ჩუბინაშვილის ნაცვლად ა. ცაგარელი დაუნიშნავთ... შეგვიძლია იმედი ვქონიოთ, რომ იგი სასარგებლო კაცი იქნება თავისი სამშობლო ქვეყნისათვის“.

ეს იმედი მან სავსებით გაამართლა.

სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისში ა. ცაგარელი ენერგიულად შეუდგა ქართული და ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ურთიერთობის შესწავლას. პირველი დისერტაცია, რომელიც მან 1872 წელს დაიცვა, მიეძღვნა კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითს მიმოხილვას, რაც მან იმ დროს მეცნიერების მაღალ დონეზე შეასრულა. 1873 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ქართული ენის გრამატიკული ლიტერატურის გარშემო“ („О грамматической литературе грузинского языка“). მასში განხილულია ქართული და უცხოური საენათმეცნიერო ლიტერატურა — ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები, ნარკვევები და წერილები, რომლებიც ეხება საკუთრივ ქართულ ენას, მის აღნაგობას (ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებს), წარმოშობასა და განვითარებას. 1880 წელს კი მან ორ წიგნად გამოსცა „მეგრული ეტიუდები“ („Мингрельские этюды“).

რომლითაც მოიპოვა დოქტორის ხარისხი. ამ შრომებით ა. ცაგარელმა დიდად წააწია წინ ქართული ენათმეცნიერება. მაგრამ რუსეთსა და საქართველოში ნაციონალისტურ-შოვინისტური მოძრაობის გამო შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა მეცნიერი, რომ საენათმეცნიერო საქმიანობა შეეწყვიტა და მთელი არსებით მისცემოდა ქართულ ხელნაწერთა კოლექციებისა და არქივების შესწავლას, აღწერასა და სისტემატიზაციას, ჩვენი ძველი მწერლობისათვის საჭირო მასალების გამოვლენასა და პუბლიკაციას. ეს ისტორიულ-ლიტერატურული და არქეოგრაფიული კვლევა-ძიება განპირობებული იყო ა. ცაგარლის სამეცნიერო ინტერესებით, რომლებიც აღეწრა მას ჯერ კიდევ 70-იან წლებში, „მეგრული ეტიუდებისათვის“ მასალების შეგროვების დროს. მეცნიერი 1870 წელს წერდა: „გარდა წმინდა გრამატიკული ინტერესისა, რომელიც ვლინდება წინამდებარე ნაშრომში, მხედველობაში მქონდა აგრეთვე ისტორიულ-ლიტერატურული მიზანდასახულობაც. ამჟამად ქართული ლიტერატურის ისტორიის დამუშავება ისეთ მდგომარეობაშია, რომ რამდენადმე მეცნიერული ხასიათის ნარკვევის დაწერა ქართული ლიტერატურის შესახებ ჯერჯერობით თითქმის შეუძლებელია, რადგანაც ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი კრიტიკულად არაა გარჩეული: არაა ნაჩვენები ავტორი, დრო, დაწერის ადგილი და ა. შ., მრავალი ძეგლის მიმართ არც კია გამორკვეული, რომელი მათგანი ორიგინალურია ან უცხო ენებიდან თარგმნილი; ბოლოს მრავალი მათგანი, რომლებიც ითვლება თარგმნილ თხზულებებად, ზუსტად არ არის ცნობილი, როდის ვის მიერ რომელი ენებიდან და საქმის რა ცოდნითაა გადმოღებული. მე მგონია, რომ თუ, თავიდანვე ნაწილ-ნაწილ კრიტიკულად დავამუშავებთ ლიტერატურის თითოეულ დარგს (როგორც ეს გააკეთა, მაგალითად, აკადემიკოსმა მ. ბროსემ საისტორიო ლიტერატურის მიმართ), ასე, მაგალითად, პოეტურს, მხოლოდ რომანები, ცხადია, ჯერ კიდევ ხელნაწერად არსებული, 25-მდე ითვლება, შემდეგ—წმინდანთა „ცხოვრებებს“, რომლებითაც ფრიად მდიდარია ქართული ლიტერატურა, და ა. შ., ვამბობ, ამგვარ კვლევა-ძიებათა საფუძველზე შეიძლება დაიწეროს დაწერილებითი და მეცნიერული ხასიათის ნარკვევი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ“.

ამ მიზნით ა. ცაგარელმა შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც იგი აწარმოებდა ქართულ ხელნაწერთა სისტემატიზაციასა და კატალოგიზაციას. 1882 წელს მან აღმოსავლეთ ქვეყნებში გამგზავრებამდე მართლმადიდებლურ პალესტინურ საზოგადოებას წარუდგინა პროგრამა, რომლის მეორე პუნქტში ნათქვამია შემდეგი: აუცილებელია გამოკვლევულ და აღწერილ იქნეს ყველა აღმოჩენილი ქართული ხელნაწერი: აღინიშნოს მათი გარეგნული მხარე, ფორმატი; ფურცლების, თავებისა და განყოფილებათა რაოდენობა; საწერი მასალა (პაპირუსი, პერ-

გამენტი, ბომბიცინი, ქალადი), მელანი (წითელი—სინგური, შავი), სამკაულები (ინიკიალები, მინიატურები), დამწერლობის ხასიათი (ნუსხური თუ მხედრული); საჭიროა გადმოიწეროს აგრეთვე თხზულების დასაწყისი და ბოლო ფრაზები; მიეთითოს სახელწოდება, გადაწერის ადგილი და დრო, ავტორის ან გადამწერის სახელი; ასევე მოყვანილ იქნეს უმნიშვნელოვანესი ორიგინალური და თარგმნილი ძეგლების მოკლე შინაარსი... გადმოღებულ იქნეს ასლი (თანაც რამდენიმე სტრიქონი) პალეოგრაფიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ქართული დამწერლობის ძეგლებისა; ამასთანავე გადმოწერილ იქნეს ხელნაწერებში არსებულ ჩანაწერ-მინაწერები, ხოლო საკუთრივ სამწერლო-სამონასტრო ცენტრების რაობის გასათვალისწინებლად ყურადღება მიექცეს ამ ცენტრებში დაცული ხელნაწერების აღწერილობათა შედგენას, ქართულ ფრესკულ წარწერათა ასლების გადმოღებას და ქართულ ფრესკულ გამოსახულებათა ფოტოგრაფირებასო.

ა. ცაგარელი ამ გეგმებითა და მიზანდასახულობით მუშაობდა თითქმის თორმეტი წლის განმავლობაში: ეცნობოდა საქართველოს სიძველეებს, ავლენდა უცნობ და იშვიათ ხელნაწერებს, რომლებიც დაცული იყო ქართულ ეკლესია-მონასტრებში, სახელმწიფო ბიბლიოთეკებში ან კერძო პირებთან; იძლეოდა მათს აღწერილობასა და ზოგიერთ მათგანს აქვეყნებდა კიდევ.

1876 — 1878 წლებში მან აღწერა და მეცნიერულად შეისწავლა დ. დადიანის, 1880 წელს — ი. გრუზინსკის კოლექციები; 1882 წელს გაეცნო პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერებსაც. ხოლო 1883 წელს ნახა და აღწერა იერუსალიმის ჯერის მონასტრის, სინის მთისა და ათონის ივერთა მონასტრის ქართული ხელნაწერები. 1886 წელს მკვლევარი წერდა: „ამრიგად, ქართული ხელნაწერები და ძველი ნაბეჭდი წიგნები, რომლებიც უკანასკნელი 7—8 წლის განმავლობაში ვახდა ცნობილი და ხელმისაწვდომი, ნაწილდება შემდეგი წესით: თავად ი. გ. გრუზინსკის კოლექცია შეიცავს 361 ხელნაწერს, 101 ძველ ნაბეჭდ წიგნს, 76 ავტოგრაფს; დ. დადიანისეული — 179 ხელნაწერს, 48 ძველ ნაბეჭდ წიგნს; ათონური — 86 ხელნაწერს, 6 ძველ ნაბეჭდ წიგნს; სტუდენტებისა — 30 ხელნაწერს, 7 ძველ ნაბეჭდ წიგნს; პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკისა — 37 ხელნაწერს, ენფიანჯიანისა — 34 ხელნაწერს, სინური — 93 ხელნაწერს, იერუსალიმური — 136 ხელნაწერს; სულ — 946 ხელნაწერს, 162 ძველ ნაბეჭდ წიგნსა და 76 ავტოგრაფს; მთლიანად — 1194“.

ეს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც ა. ცაგარელმა მოიპოვა დიდი რუდუნებითა და დაუღალავი გამოწვლილივითი ძიების შედეგად საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ არსებულ წიგნსაცავებში, იყო და არის ქართული კულტურის (მწერლობის მეც-

ნიერების, ხელოვნების) და საერთოდ ჩვენი ძველი ისტორიის ფასდაუღებელი დოკუმენტური განძი.

სინის მთაზე, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში და ათონზე დაცული ქართული სიძველეები აღრიდანვე იზიდავდა მრავალ ქართველ მოღვაწეს, მაგრამ ა. ცაგარლამდე ისინი მეცნიერულად არავის შეუსწავლია. 1883 წელს ამ სავანეებში ჩვენი მეცნიერი მუშაობდა ექვსი თვის განმავლობაში. მას სინის მთის ქართული მონასტრის სიძველეთა და წიგნური საგანძურის დათვალიერება და შესწავლა მოუხდა მეტად მძიმე პირობებში.

ა. ცაგარელი წერს: „საკუთრივ ქართული ხელნაწერები დაცულია ორ ადგილას: პაპირუსზე დაწერილი ფსალმუნები და სამი სხვა მდიდრულად გადაწერილი ხელნაწერები ინახება პატარა ბნელ ოთახში, რომელიც არქიებისკოპოსის დარბაზს ემიჯნება, დანარჩენი ნაწილი — სარდაფში. აქედან მომიხდა მე ამომერჩია ისინი ასურული, აბისინიური, არაბული და სომხური ხელნაწერებიდან. პირველად მათ ვეცნობოდი მათი შენახვის ადგილზევე, მაგრამ სიცოცხის, სინესტისა და მოუხერხებლობის გამო უარი ვთქვი იქ მუშაობაზე და ბოლოს ხელნაწერები ჩემთან მოჰქონდათ ოთახში. საერთოდ ზამთარი სინის მთაზე სუსხიანია და მონასტერში საქმიანობისათვის ხელსაყრელ დროდ არ ითვლება. ჩემი იქ ყოფნის დროსაც ციოდა: ეზოსა და ოთახში ტემპერატურა ყოველთვის ნულს ქვევით იყო, რადგან იქ არც შეშა იწოვება და არც ოთახებს აქვს ბუხრები: კარები და ფანჯრები ცუდად იკეტება, იატაკი კი ქვისაა. ამას ერთოდა ისიც, რომ სამი დღის განმავლობაში იღვა ქარბუქი და თოვდა. მონასტერში ყველაფერი ზანზარებდა და იბზარებოდა (სკდებოდა), ქარი დშუოდა, ზარებს ძლიერ აქანავებდა და რეკდა“.

ამგვარ ვითარებაში ა. ცაგარელმა შეძლო ყველა ქართული ხელნაწერის აღწერა და მონასტრის შემოგარენისა და მის ახლო-მახლო მდებარე სიძველეთა დათვალიერებაც. იგი ალექსანდრიაში ხელხვევიანად დაბრუნდა; 20 მარტს უკვე პალესტინაში იყო; აქ 17 მაისამდე დაჰყო, შეისწავლა იერუსალიმური ხელნაწერები, ჯვრის მონასტრის ქრონიკები, ქართველთა კოლონია მალხაში, მონასტრის კედლის მხატვრობა და წარწერები, ხოლო იენის-იელის-ავვისტოში მუშაობდა ათონის ივერთა სავანეში და იქაურ ხელნაწერებს ფურცლავდა; პეტერბურგში დაბრუნდა სექტემბრის დასაწყისში და მაშინვე მოგროვილი მასალის მეცნიერულ დამუშავებასა და დასაბუქდად მომზადებას შეუდგა. ეს სამუშაო ძლიერ გართულდა და გაგრძელდა. ქართველ საზოგადოებას აინტერესებდა ა. ცაგარლის ვრცელი სამეცნიერო ანგარიში. „ივერია“ (1886. 18. I) იუწყებოდა: „უნდა მოვაგონოთ პატივცემულ პროფესორს, რომ ორი წელია მას აქეთ, რაც ის დაბრუნდა პალესტინიდან პეტერბურგში, და, თუ აქამომდე ვერ შეძლო დაებოლოებინა თავი-

სი შრომა, საზოგადო ინტერესი მოითხოვდა, რომ ნაწილ-ნაწილ მაინც გადმოეცა ჩვენი მწერლობისათვის შექმნილი უმთავრესი ფაქტები“. ბოლოს, როგორც იქნა, მკვლევარმა შეძლო მკითხველთა მოლოდინის დაკმაყოფილება. მან პეტერბურგში დაბეჭდა ორი წიგნი: 1886 წელს — „ცნობები ქართული მწერლობის ძეგლთა შესახებ“ («Сведения о памятниках грузинской письменности») და 1888 წელს — „ქართულ სიძველეთა ძეგლები წმინდა მიწასა და სინაზე“ («Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае»).

„ცნობებს“ უძღვის შესავალი, რომელშიც ზოგადად მიმოხილულია დ. დადიანის, ი. გრუზინსკის, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკისა და ათონის ივერთა მონასტრის სიძველეთსაცავები. მას მისდევს ამ სიძველეებში დაცული ქართული ხელნაწერების აღწერილობა: ა. აღწერილია სასულიერო შინაარსის წიგნები (ბიბლიური, ლიტურგიკული, ჰაგიოგრაფიული, დოგმატიკური, საეკლესიო-ისტორიული და წმინდა მამათა სწავლა-მოძღვრებანი); ბ. ათონის ივერთა მონასტრის ქართულ ხელნაწერთა და ძველ ნაბეჭდ წიგნთა კატალოგი, შედგენილი 1883 წლის ივნისის თვეში. წიგნს დამატებით ერთვის: მამა ილარიონის ნუსხა — „ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მღებარეთა მთაწმინდას“, სოლომონის „ქება-ქებათას“ ტექსტი და ძველი ქართული დამწერლობის ნიმუშები (შვიდი ტაბულა), რომელთა შორის წითურადაა დაბეჭდილი ეკჟოიმე მთაწმიდელის ავტოგრაფი.

„ქართულ სიძველეთა ძეგლები“ შეიცავს ვრცელ გამოკვლევას, რომელსაც დამატებებად ერთვის იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობანი. გამოკვლევა შედგება ოთხი თავისაგან ა. გამგზავრება წმინდა მიწასა და სინის მთაზე; ბ. ისტორიული ნარკვევი წმინდა მიწასა და სინასთან საქართველოს ურთიერთობის შესახებ; გ. წმინდა ეკატერინეს მონასტრისა და ჯვრის სავანის აღწერილობა (ნაგებობა, ფრესკული მხატვრობა და კედლის წარწერები); დ. ქართველი კოლონისტები პალესტინაში. გამოკვლევას დამატებად მიჰყვება: იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და სინის მთის ხელნაწერთა კატალოგები, პალესტინური ფრესკული წარწერები, მეფე ერეკლე მეორის წერილი და საძიებლები.

აღნიშნული ნაშრომებით ა. ცაგარელმა გააკეთა დიდი საშვილი-შვილო საქმე: მსოფლიოს გააცნო უძველესი ქართული ხელნაწერები — მათი გარეგნული და შინაარსობრივი მხარე: მანვე დაწერა იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და სინის მთის ქართული სავანის არქეოლოგიური და ისტორიული მიმოხილვა. ქართველების ურთიერთობის შესახებ წმინდა ადგილებში მოღვაწეებთან, სხენებული სავანეების სიძველეთა ანალიზი, მათში დაცული ხელნაწერების აღწერილობანი

და ცხადყო მათი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა, რის შედეგადაც უცხოელ ბიზანტინოლოგებისა და ორიენტალისტებს ნათელი წარმოდგენა შეექმნათ მსოფლიო კულტურის ისტორიაში იმ ადგილსა და როლზე, რომელიც ეკირათ და რომელსაც ასრულებდნენ ქართველები ძველიდანვე ბიზანტიისა და ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებთან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის უამს. თუ 1886 წლისათვის ზოგიერთ უცხოელ მეცნიერს ყალბი წარმოდგენა ჰქონდა ქართული მწერლობის საფუძველსა და მის მნიშვნელობაზე, ა. ცაგარლის ხსენებულმა გამოკვლევებმა გააქარწყლეს ეს წარმოდგენა და ამის შედეგად ქართულ მწერლობაზე საწინააღმდეგო შეხედულება შემუშავდა. აი, რას წერდა 1887 წელს ვ. როზენი პ. ზოტენბერგის საპასუხოდ: ა. ცაგარლის „ცნობები“ შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც „რამდენადმე სცვლიან ჩვეულებრივ წარმოდგენას ქართული ლიტერატურის ბედზე... X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისში ქართულ ენაზე მოიპოვებოდა საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა დამოუკიდებლად ბიბლიის თარგმნისა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ეკლესიის მამების თხზულებანი, სახელდობრ — იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნოსელის, ბასილი დიდისა და კირილე ალექსანდრიელის სიტყვანი და სწავლანი შენახულია 864 წლით დათარიღებულ ხელნაწერში; წმინდა მამების მოძღვრებათა მეორე კრებული დაცულია 925 წლით დათარიღებულ ხელნაწერში“. მასასადამე, მოვალენი ვართ ამ ფაქტებს ჭეროვანი ყურადღება მივაქციოთ, როდესაც მკვლევარი მსჯელობს ქართული მწერლობის ხნოვანებასა და ხასიათზეო.

1889 წელს ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა „ცნობების“ მეორე წიგნი, რომელშიც სამართლიანად შენიშნავდა, რომ: „ამჟამად ქართული ლიტერატურის დამუშავება, ასე ვთქვათ, ბიბლიოგრაფიულ-სტატისტიკურ პერიოდში იმყოფება; მიმდინარეობს ლიტერატურული მასალის ბეჭითად შეგროვება, შესწავლა და კლასიფიკაცია. მხოლოდ მომავალში შეიძლება მოგვეცეს საშუალება ქართული ლიტერატურის სრული მწყობრი და სისტემატური მიმოხილვისათ“. ამიტომაც იგი კვლავინდებურად დაუღალავად სწავლობდა ძველ ქართულ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ მასალებს და დასაბეჭდად ამზადებდა. 1894 წელს მან „ცნობების“ კიდევ ერთი მოზრდილი ტომი მიაწოდა ქართული ლიტერატურით დაინტერესებულ საზოგადოებას. ეს ტომი შეიცავს ნ. დადიანის, იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონების პირად ბიბლიოთეკებში დაცული ხელნაწერებისა და ძველ ნაბეჭდ წიგნთა კატალოგებს, სიგელ-გუჯრებს, პირად წერილებსა და ნიკო და დავით ჩუბინაშვილების მდიდარ საარქივო მასალებს. ამ პუბლიკაციებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა დავით რექტორისა და თეიმურაზ ბაგრატიონის

კატალოგები, რომლებიც ახალ ცნობებს იძლევიან ძველ ქართულ თარგმნილ და ორიგინალურ თხზულებათა შესახებ. აქვე დაბეჭდილია სრული ტექსტი „ფილენიასი“, რომელიც რუსულიდან თარგმნა ერეკლე მეორის მდივანბეგმა დ. ჩოლოყაშვილმა.

ამ ორი წიგნითაც ა. ცაგარელმა, როგორც ერთ-ერთი მისი თანამედროვე რეცენზენტი წერდა 1895 წელს, „დიდი სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებას ბიბლიოთეკებისა და არქივების აღწერით, რაც უეჭველია, ხანგრძლივსა და დაუღალავ შრომას მოითხოვდა“. მან, რა თქმა უნდა, ვერ დაწერა ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. მეცნიერი კარგად გრძნობდა, რომ ისტორიის კურსის შექმნა მომავლის საქმე იყო, მაგრამ რაც მან გააკეთა საერთოდ. განსაკუთრებით კი სირია-პალესტინასა და ათონის ქართულ სავანეებში-დაცული ხელნაწერების გამოვლენის საქმეში, უდიდესი წვლილია დადებული ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ჰიედესტალზე.

ა. ცაგარლის მოღვაწეობა არ შემოიფარგლა მხოლოდ ძველი მწერლობის წყაროებისა და კერების ბიბლიოგრაფიული და სტატისტიკური აღრიცხვით; მკვლევარი გულმოდგინედ ამუშაებდა ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებსაც. ამ მხრივ უპირველესად აღსანიშნავია მოსაზრება ქართული მწერლობის პერიოდებად დაყოფის შესახებ.

ლიტერატურათმცოდნეობაში პერიოდიზაცია (ან ამა თუ იმ ლიტერატურულ მიმდინარეობათა მიჯნების დადგენა) ყოველთვის რთულ პრობლემად ითვლებოდა და დღესაც იგი მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. როგორც ეს ჩვენს მეცნიერებაში აღნიშნულია (კ. კეკელიძე, ჯ. ჭუმბურიძე, ლ. მენაბდე), ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პირველი ცდა მოგვცა ს. დოდაშვილმა ქართული სიტყვიერების „მოკლე მიმოხილვაში“. იგი ძველ ქართულ მწერლობას ოთხ პერიოდად ყოფდა: 1. დასაწყისის, 2. კლასიკურ (ანუ ოქროს), 3. დაცემისა და 4. აღდგინების ეპოქებად. ძირითადად ეს პერიოდიზაცია ა. ცაგარელმა მიიღო. 1886 წელს „ცნობების“ პირველ წიგნში წერდა: „ხსენებული ახალი მასალების საფუძველზე ქართული მწერლობის ბედი V—XVIII საუკუნეების განმავლობაში და მისი არსებობა წარმოგვიდგება შემდეგნაირად: ამ მწერლობის ისტორია იყოფა ორ დიდ ნაწილად: ძველ V-დან XII საუკუნემდე და ახალ XIII-დან XVIII საუკუნემდე. თავის მხრივ პირველი ნაწილი იყოფა მ ო ს ა მ ხ ა დ ე ბ ე ლ —V-დან XI საუკუნემდე და კ ლ ა ს ი კ უ რ —X-დან XII საუკუნემდე პერიოდებად. დროს, XIII საუკუნის პირველი მეოთხედიდან XVII საუკუნის პირველ მეოთხედამდე, როდესაც იწყება ა ლ ო რ ძ ი ნ ე ბ ი ს ხ ა ნ ა, შეიძლება სამართლიანობის თვალსაზრისით ეწოდოს ლიტერატურისა და მხატვრული შემოქმედების დ ა ც ე მ ი ს პ ე რ ი ო-

დ ი... ძნელბედობის ეს ოთხი (XIII—XVI) საუკუნე, რომელთაც ბუნებრივი შედეგით მოჰყვა საქართველოს კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების დაცემა, გამოჰყოფს ქართული ლიტერატურის ძველ, კლასიკურ ხანას ახალი, აღორძინების ხანიდან (XVI—XVII სს.)“.

ეს პერიოდიზაცია, რომელიც შემუშავდა ძველი ქართული მასალების ანალიზის საფუძველზე, ძირითადად ინტუიციურ ხასიათს ატარებს. არ შეიძლება მოსამზადებელი პერიოდი ეწოდოს ძველი მწერლობის იმ მონაკვეთს, რომელმაც დაგვიტოვა შუშანიკისა და აბოს „მარტილობანი“, 864 წლის სინური მრავალთავი, ბიბლიის თარგმანები, ჰომილიები და მდიდარი სასულიერო პოეზია. არც დაცემის ხანა განისაზღვრება ოთხი საუკუნით (XVI საუკუნეში ქართული მწერლობის აღმავლობა უკვე დაწყებულია). მაგრამ ამ უზუსტობათა მიუხედავად, ა. ცაგარლის მოსაზრებამ დიდი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურის მიჯნებისა და სახელწოდებათა დაზუსტების (თუ დადგენის) მხრივ. ტერმინები — „კლასიკური პერიოდი“, „დაცემის ხანა“ და „აღორძინების პერიოდი“ — დღესაც იხმარება. ეს ჭი ა. ცაგარლის დამსახურებაა.

ა. ცაგარელმა დიდი ენერგია მოახმარა ქართული ბიბლიური წიგნების აღწერას, ბერძნულ-სომხურ თარგმანებთან შედარებასა და საერთოდ მათი თარგმნის ისტორიის შესწავლას. ბიბლიოლოგიის დარგში სავსებით ჩამოყალიბებული თვალსაზრისიც წამოაყენა. „ქართულ ენაზე ბიბლიურ წიგნთა თარგმანებისა და რედაქციათა ისტორია ამგვარად წარმოგვიდგებაო“, — წერდა იგი 1886 წელს „ცნობების“ პირველ წიგნში და იქვე დასძენდა: „ქართული ბიბლია, რომელიც ეკუთვნის მეხუთე საუკუნეს, თარგმნილია ბერძნული 70 სეპტანტიდან; ამასთან, „ქება ქებათას“ თარგმნის ანალოგიით, შეიძლება დავუშვათ ისიც, რომ ქართველი მთარგმნელები მას უჩერებდნენ ბიბლიის სომხურ თარგმანს; შემდეგ, უდავოდ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ქართული ბიბლიის თარგმანი, ისევე როგორც საეკლესიო-ღვთისმსახურების წიგნთა ციკლის თარგმანი, დამთავრებული იყო დიდი ხნით ადრე, რელიგიურ-ლიტერატურული მოღვაწეობის ათონურ-ივერიულ პერიოდამდე (X ს.), რადგანაც მწიგნობრული საქმიანობის ცენტრები VI—IX საუკუნეებში იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ — იერუსალიმშიც, ტრაპიზონშიც, კონსტანტინოპოლშიც და ბიზანტიის სხვა ადგილებშიც არსებულ ქართულ მონასტრებში. ასე რომ, მთაწმიდელ-ივერიელ მუშაეებს ისლა დარჩენოდათ, რომ ქართული ეკლესიისა და სასულიერო ლიტერატურის გამდიდრება გაეგრძელებინათ იმ შრომებითა და თარგმანებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ არსებობდნენ ქართულ ენაზე. ისინი, როგორ ჩანს, ამას აკეთებდნენ

კიდევ: თარგმნიდნენ ეკლესიის წმინდა მამათა თხზულებებს, მათსავე წმინდა წერილთა კომენტარებს, თარგმნიდნენ და ადგენდნენ ქართულ და ზოგადქრისტიანულ წმინდანთა „ცხოვრებათა“ კრებულებს, თარგმნიდნენ ახალი აღთქმის ზოგიერთ წიგნსაც ახალი რედაქციით და ა. შ.“ მართალია, ეს მოსაზრება დღეს დაზუსტებასა და ნაწილობრივ შეცვლასაც მოითხოვს, მაგრამ იგი ბიბლიის თარგმანთა ისტორიისათვის უთუოდ ანგარიშგასაწევია.

ცნობილია, რომ XIX საუკუნეში, სანამ „ქართლის ცხოვრების“ მართლმადიდებლური ნუსხა აღმოჩნდებოდა, ქართული წყაროთმცოდნეობის დარგში მუშაობდნენ ვაი-მეცნიერებიც, რომელთაც ძველი ქართული ენა არ იცოდნენ, მაგრამ დიდი რიხით წერდნენ „ქართლის ცხოვრების“ გარშემო და მის ხნოვანებასა და ისტორიულ მნიშვნელობას ამდაბლებდნენ. მათ წინააღმდეგ 1884 წელს ხმა ამოიღო ისტორიკოსმა დ. ბაქრაძემ („პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები“). მას მხარი აუბა ა. ცაგარელმა და „ქართლის ცხოვრების“ „უცბად მხარეკალთა“ საპასუხოდ განაცხადა: „მთავარი, მაგრამ არაერთადერთი კრებული ქართული მატერიალებისა „ქართლის ცხოვრება“, სხვაგვარად ვახტანგისეული მატერიალე, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მეცნიერთა შორის კამათის ობიექტს წარმოადგენს: ერთნი, მათ შორის ქართული ენისა და ლიტერატურის მცოდნეებიც, ამ საისტორიო კრებულის ისტორიულ მნიშვნელობას აღიარებენ, თუმცა არა უდავოდ; მეორენი, რომელთაგან ყველაზე კომპეტენტურთ ძლივს შესწევთ უნარი გაარჩიონ ქართული ასოები, პირიქით, უარყოფენ მის ისტორიულ მნიშვნელობას და ქართულ ენაში ფაქტობრივი შემეცნების უქონლობის მიღმა თავიანთ აზრს ამაგრებენ სხვადასხვაგვარი თითქოსდა ჰყუამახვილური მოსაზრებებითა და მიხედვრებით და ივიწყებენ, რომ საკვლევ საგანში ფაქტობრივი ცოდნის უქონლობა შეუძლებელია შეიცვალოს რაიმე ნაძალადევი სიბრძნით; ხოლო თავისთავად ჰყუამახვილური აზრები ფაქტობრივი საფუძვლების გარეშე არასოდეს ყოფილა არა მარტო სწორი, არამედ—გონივრულიც. თუ ვინმე იფიქრებს, მაგალითად, გარკვიოს თუკიდიდის, ტაციტის ან ნესტორის მატერიალთა ღირსება, ხოლო ძლივძლივობით იცოდეს ბერძნული, ლათინური და სლავური ანბანი, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ ავტორთა (უკიდიურეს შემთხვევაში, პირველი ორის) ყოველნაირი თარგმანები და საგულდაგულო კომენტარები, ამგვარი გაბედული საქციელი არავისში ღიმილის გარდა სხვას არაფერს გამოიწვევს. მაშ, ეს რატომ უნდა ხდებოდეს სხვაგვარად ქართულ საისტორიო კრებულთან დაკავშირებით? — ყოვლად გაუგებარია! ნუთუ რაც უფრო დახლართული და ნაკლებ დამუშავებულია საგანი, მით უფრო ღირებულებაზე მსჯელობა ნაკლებ კომპეტენტურობას მოითხოვს?! ნუთუ ყველა ვი-

გინდარა თავისუფალია, ქართული ძეგლის რაობაზე იქორაოს ისე, როგორც მას მოეპრიანება? საკვირველი ის კი არაა, რომ არიან ადამიანები, რომელნიც დიდი მოუზრდელობით მსჯელობენ მათი კომპეტენტურობის სფეროს გარეთ არსებული საგნებზე (ასეთები ყოველთვის იყვნენ და არიან კიდევც), არამედ ის, რომ არიან ადამიანები, რომელნიც ისეთ შესახედაობას იღებენ, თითქოს ამგვარ კრიტიკოსთა მსჯელობებს რაიმე ფასი ჰქონდეს მეცნიერებისათვის“.

ა. ცაგარელი საგვსებით მართებულად ეკამათებოდა იმ არაქართულ მეცნიერებს, რომელთაც წარმოდგენა არა ჰქონდათ ქართულ მწერლობაზე, ქართულ წყაროთმცოდნეობაზე, ხოლო იმდენი გამბედაობა შერჩენოდათ, შეეფასებინათ ძეგლები, რომელთა ენა და შინაარსი არ ისმოდათ. თუ დ. ბაქრაძეს ზემოსხენებული წიგნი დაიბეჭდა ქართულად და მისი შინაარსი ქართულენოვანი საზოგადოებისათვის იყო გასაგები. ა. ცაგარელმა თავისი პოლემიკისათვის რუსული ენა გამოიყენა, რათა მისი მოსაზრება გასაგები გამხდარიყო იმათთვის, რომლებიც რუსულად წერდნენ ქართული ლიტერატურის საკითხებზე. XIX საუკუნის 80—90-იან წლებში უადრესად მნიშვნელოვანი იყო ქართული მეცნიერების აგრორიტეტის დაცვა და ჩვენი ძველი მდიდარი მემკვიდრეობის გატანა მსოფლიო არენაზე. ეს საპატიო საქმე ა. ცაგარელმა ბრწყინვალედ შეასრულა. საგულისხმოა ისიც, რომ მის პოლემიკას დილეტანტთა წინააღმდეგ დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა. საზღვარგარეთ დღესაც მოღვაწეობენ მეცნიერები, რომელნიც დიდი კომპეტენტურობით წერენ ქართული „ბალავარიანის“ საკითხებზე, „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ ქართული რედაქციის ცნობათა მეცნიერულ ღირებულებაზე, ავრცელებენ ხსენებულ ძეგლთა შესახებ საექვო წარმოდგენებს და, რაც საგულისხმოა, ქართული ერთი სიტყვაც არ იციან, თავი რომ დავანებოთ ძველი ქართული მწერლობის ცოდნას, რაც ესოდენ აუცილებელია „ბალავარიანის“ და „პეტრეს ცხოვრების“ შემსწავლელ მეცნიერთათვის.

ა. ცაგარელი დაინტერესებული იყო აგრეთვე საერო-ფეოდალური მწერლობის საკითხების შესწავლითაც. როგორც ითქვა, იგი დედის რჩევით სემინარიაშივე კითხულობდა ქართული პოეზიის ნიმუშებს და მთელი ცხოვრების მანძილზე მათი ღრმად შესწავლით იყო დაკავებული. იგი 1878 წელს წერდა: „ქართული ლიტერატურა მდიდარია პოეტური ნაწარმოებებით. მათგან ჩვენამდე დიდმა ნაწილმა მოაღწია. ეს ნაწარმოებები ძირითადად ეკუთვნიან XI—XII და XVII—XVIII საუკუნეებს. მათ შორის მოიპოვება აღმოსავლური მუზის საუკეთესო თხზულებების თარგმანებიც, არაიშვიათად მნიშვნელოვანი დამატებებით, როგორც მაგ., „შაჰ-ნამე“, ცნობილი „როსტომიანის“ სახელწოდებით, „ანვარი სოჰაილი“ და სხვა. უმეტეს მათგანს ვიცნობთ მხოლოდ

სათაურებით. სხვათა შორის, მათს ახლო გაცნობას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ მსოფლიო ლიტერატურისათვისაც. მათ გამოკვლევას შეიძლება ხელი შეეწყოს იმ რამდენიმე საკითხის გარკვევისათვის, რომლებიც ახლა ბნელით მოცული და დახლართულია, როგორც მაგ., საკითხი აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეტურ თხზულებათა და გადმოცემათა ურთიერთობისა და კავშირის შესახებ, რომლითაც მეცნიერები უკანასკნელ ხანს ასე ძლიერ არიან დაკავებული“. ამ მხრივ ა. ცაგარელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „ვეფხისტყაოსნის“, „ამირანდარეჯანიანის“, „სიბრძნე სიცრუის წიგნის“, „შაჰ-ნამესა“ და „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების შესწავლას. ამასთან პირველად მან რუსული გზით მსოფლიო არენაზე გაიტანა „სიბრძნე სიცრუისა“ — ჩარჩოიანი ტიპის იგავ-არაკთა კრებული: Книга мудрости и лжи (Грузинские басни и сказки XVII—XVIII стол.) Саввы-Сулхана Орбелиани. Перевод и объяснения А. Цагарели (СПб., 1878, XX + 218 გვ.). აქედან ითარგმნა ეს ძეგლი ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ა. ცაგარლის წიგნი შეიცავს: თხზულების რუსულ თარგმანს; მას უძღვის წინასიტყვაობა, რომელშიც მიმოხილულია სულხან-საბას ლიტერატურული მოღვაწეობა და აღძრულია საკითხები — როდისაა დაწერილი „სიბრძნე სიცრუისა“ და ორიგინალურია იგი თუ ნათარგმნი, ერთვის ფილოლოგიური შენიშვნები, საძიებლები, ლექსიკონი და დამატება.

ა. ცაგარელი ძეგლის ორიგინალობისა და მისი რაობის შესახებ წერდა: „სიბრძნე სიცრუისა“ არ არის თარგმანი, არც მიბაძვაა, არც რომელიმე ანალოგიური თხზულების უცვლელი გადმოკეთება, არამედ იგი თავიდან ბოლომდე ორიგინალური და ქართული წარმოშობის ძეგლია. მისი კომპოზიცია ეკუთვნის თვითონ ავტორს; იგავების, ზღაპრების და ანეგდოტების ერთი ნაწილი ნასესხებია ხალხური სიტყვიერებიდან, ერთი ნაწილიც ხალხშია გადასული სულხან-საბას წიგნიდან. ქართველი ხალხი „სიბრძნე სიცრუის“ იგავებს დღესაც მოგვიტხრობს საქართველოს ყველა კუთხეში“. ეს მოსაზრება ახლაც ძალაშია. მკვლევარი ამ დასკვნამდე მივიდა მას შემდეგ, როდესაც მან სულხან-საბას თხზულება შეუდარა „ქილილა და დამანას“, „პანიატანტრას“, „პიტოპადეშას“ და „ათასერთამიანს“. იგი შეეხო მისი დაწერის თარიღსაც, აღნიშნა, რომ სულხან-საბამ იგავები დაწერა მოხუცებულობაში, ევროპაში მოგზაურობის შემდეგო. მართალია, ამ ვარაუდს ზოგი მკვლევარი ეჭვის თვლით უყურებს, რადგანაც თვით ძეგლს აქვს ზედწარწერილი — „წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისაგან ჟამსა სიჭაბუკისა მისისა“, მაგრამ თხზულება მწერალს მოხუცობის ჟამს უნდა გადაემუშაებინა და ის რეალები, რომლებზეც ყურადღებას ამახვილებს ა. ცაგარელი, მასში ამ გადამუშავების დროს

შეეტანა. ამას ის გარემოება გვაფიქრებს, რომ საბას ზოგი თხზულება (მაგ., „სამოთხის კარი“, „სწავლანი“ და „ქართული ლექსიკონი“) რამდენჯერმეა თვით ავტორის მიერ „გაჩაღებული“ (თუ გადაამუშავებული).

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს, თუ რა დიდი, შრომატევადი და რთული სამეცნიერო-კვლევითი და ბიბლიოგრაფიულ-შემკრებლობითი სამუშაოები აწარმოა ა. ცაგარელმა ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეში. მაგრამ ის, რაც ზევით აღინიშნა, ცხადია, ვერ ამოსწურავს მისი მოღვაწეობის ყოველ მხარეს. მაგ., იგი ქართული ლიტერატურის პროპაგანდას ეწეოდა მისი პოპულარიზაციის მიზნით რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში, კითხულობდა ლექციებს ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, პეტერბურგის უნივერსიტეტში მეთაურობდა ქართველოლოგიურ საქმიანობას, ზრდიდა ქართველ სტუდენტებს და უნერგავდა მათ სამშობლოსა და მეცნიერების სიყვარულს. ის იყო მოძღვარი ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, ი. აბულაძისა და სხვა ცნობილი ქართველოლოგებისა.

1917 წელს ა. ცაგარელი საქართველოში დაბრუნდა. 1920 წლის 8 მაისს აირჩიეს თბილისის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორად. 1922 წელს გადაუხადეს იუბილე სამწერლო მოღვაწეობის 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ამ იუბილეზე მან განაცხადა მოკრძალებით: „მე კარგად ვიცი, რომ ეს პატივისცემა არ შეეხება მარტო ჩემს პიროვნებას, არამედ — იმ საგანსაც, რომელსაც მე დიდხანს ვემსახურებოდი უცხოეთში: როგორც სამშობლო ენას, ისე ქართულ ლიტერატურას, ისტორიას და ქართულ სიძველეთ, რომელნიც უხვად არიან გაფანტულნი როგორც საქართველოში, ისე მთელ საქრისტიანო აღმოსავლეთში: ათონზე, ანტიოქიაში, იერუსალიმში და სინის მთაზე. რა გავაკეთე, რა მოვაგვარე ამ ხნის განმავლობაში? — ის, რაც ჩვენს მეცნიერებას და საქართველოს მდგომარეობას შეეფერებოდა!“

ა. ცაგარელი გარდაიცვალა 1929 წლის 12 ნოემბერს. ის ჩვენგან სამშობლოსა და ქართული მწერლობის წინაშე ვალმოხდილი წავიდა, აქ კი დატოვა მდიდარი მემკვიდრეობა, რომელიც უნიკალური იქნება მარად უამს ქართული ლიტერატურათმცოდნეობისთვის.

ქართული კულტურის გამოჩენილი მოამაგე, მწერალი და კრიტიკოსი ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1851 წ. მამით ადრე დაობლებული ბავშვი თავისი ბიძის, ვასილ გრიგოლის ძე სარაჯიშვილის მიერ მატერიალურად უზრუნველყოფილი, სათანადო აღზრდა-განათლებას იღებს, ბავშვობიდანვე დაეუფლა ოჯახში რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებს (დედა გერმანელი ქალი იყო). 1868 წ. 17 წლის ასაკში დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია. იმავე წელს სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, საიდანაც 1869 წ. ადმინისტრაციის საწინააღმდეგო სტუდენტთა ყრილობაში მონაწილეობისათვის გარიცხეს. 1871 წ. ყაზანის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტია. მალე მოუხდა თავის დანებება ავადმყოფობის გამო. 1871 წ. კიევის უნივერსიტეტში შედის იურიდიულ ფაკულტეტზე. ამ უკანასკნელსაც მალე ტოვებს თავისი ნებით. საბოლოოდ, 1873 წლიდან, ჟენევის უნივერსიტეტში სწავლობს სიტყვიერების ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1876 წ. სოციალურ მეცნიერებათა ლიცენციატის დიპლომით და სამშობლოში ბრუნდება. ლიტერატურულ მუშაობაში შვეიცარიაში ყოფნის დროსვე ჩაება. იქ სტუდენტთა წრეში კითხულობდა მოხსენებებს ფრანგულ ენაზე მშობლიური ლიტერატურის შესახებ.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, როგორც თვალსაჩინო კულტურული ძალა, აქტიურ მონაწილეობას იღებს ყოველგვარ ქართულ საზოგადო საქმეში. აქვეყნებს კრიტიკულ წერილებს „დროებაში“. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების დღიდან, მისი გამგეობის წევრია. 1885—1901 წლებში სხვადასხვა თანამდებობაზე იმყოფება დაღესტნის ოლქსა და განჯაში. 1901 წ. სამსახურს თავს ანებებს და თბილისს უბრუნდება. 1902 წ. ი. ქავჭავაძის მიწვევით „ივერიის“ რედაქტორია, ხოლო 1903—1905 წლებში — ამ გაზეთის გამომცემელი. 1907 წლიდან ა. სარაჯიშვილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების საქმესა და შემდგომ მუშაობაში მხარში ამოუდგა ე. თაყაიშვილს. იგი იყო ამ საზოგადოების ხაზინაძარი და მუზეუმის გამგე, მისი ერთ-ერთი „ბურჯთავანი“.

ა. სარაჯიშვილმა თავისი მოღვაწეობით საზოგადო საქმისათვის თავდადებული ჩუმი გმირის, ღირსეული მამულიშვილის, სპეტაკი ზნეობის, მტკიცე ხასიათის, პატიოსანი ადამიანისა და კაცური კაცის

სახელი დატოვა (ე. თაყაიშვილი)¹. გარდაიცვალა 1914 წ., დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.²

მშობლიური ლიტერატურის სამსახური იყო მისი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მიზანი. ღრმა ცოდნა, ფართო განათლება და საქმისადმი დიდი სიყვარული საშუალებას აძლევდა მას ეზიდა ეს ტვირთი, როგორც საზოგადო საქმის ერთ-ერთ ჯარისკაცს. ამის დამადასტურებელია მისი კრიტიკული წერილები ქართულ ლიტერატურაზე, გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი გამოკვლევები ძველ ქართულ ლიტერატურაზე, მხატვრული ლიტერატურის თარგმანები და ორიგინალური მხატვრული შემოქმედების ნიმუშები. ეს უკანასკნელნი „რიზ-ბაბას“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა. კარგად არის ცნობილი როგორც ქართული „ვისრამიანის“ ერთ-ერთი (ი. ჭავჭავაძესა და პ. უმიკაშვილთან ერთად) გამომცემელი. იგი ზეპირსიტყვიერ მასალებსაც კრებდა.

ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევართა შორის ა. სარაჯიშვილის სახელი იხსენიება პირველ ყოვლისა როგორც რუსთველოლოგისა³. „ვეფხისტყაოსანსა“ და მის ავტორს მიუძღვნა ორი მონოგრაფიული გამოკვლევა: „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები⁴ და „არტანუჯის ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა“⁵ და ერთი საგაზეთო სტატია „გინდ „სამი ალი“ და გინდ „სამალი“⁶. გამოუქვეყნებელი შრომებიდან აღსანიშნავია წერილების სერია «Сходство в идее любви и её изображении у авторов европейских и у Руставели»⁷ და „ვეფხისტყაოსნის“ რუსული პუკარედი თარგმანი (1—623 სტრ. გ. ქართველიშვილის გამოცემის მიხედვით)⁸, რომელსაც სქოლიოებში ახლავს მთარგმნელის განმარტებები.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაწმენდა შემდეგი დროის გადამწერთა, ყალბისმქნელთა ჩანამატებისაგან და მისი დედანთან მიახლოებული ტექსტის აღდგენა იყო მკვლევრის ძირითადი შრომის — „ვე-

¹ ი. ს. ო. ნ. დ. ლ. უ. შ. ვ. ი. ლ. ა. სარაჯიშვილი, „ძველი საქართველო“, IV, 1914—15, გვ. 6; ს. ც. ა. ი. შ. ვ. ი. ლ. ა. სარაჯიშვილი, „კომუნისტი“, 14. VI. 1939.

² ს. ხ. უ. ც. ი. შ. ვ. ი. ლ. ა. სარაჯიშვილი, ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი, თბ., 1961, გვ. 136.

³ საყურადღებოა მისი გამოუქვეყნებელი შრომა „О грузинской литературе XVIII века“ (ე. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H№ 1175).

⁴ იბეჭდებოდა „მოამბეში“ შვიდი წლის მანძილზე (1895—1901 წლებში).

⁵ „ძველი საქართველო“, IV, განყ. 2, გვ. 1—30.

⁶ „ვეფხია“, 1899, № 34.

⁷ ე. კეკელიძის სახელ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი Ros№ 216. ა. სარაჯიშვილს ეს წერილები წაუკითხავს 1910 წ. თბილისში საქარო ლექციების სახით („სახალხო გაზეთი“. 1910, №№ 132, 134, 136).

⁸ ს. ი. ო. რ. დ. ა. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ა. სარაჯიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისათვის, ნარკვევები, თბ., 1958, გვ. 80.

ფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები“ — მიზანი. იგი შრომის შესავალში გამოთქვამს თავის შეხედულებებს, თუ რა პირობებში და რა მიზეზებით უნდა მომხდარიყო ტექსტის შერყვნა ინტერპოლაციებით, ამასთან აყალიბებს პრინციპებს, თუ რა გზით და ხერხით შეიძლება ამ ყალბი ადგილების ამოცნობა. ეს შრომა იყო პოემის 1888 წ. გამოცემის ერთგვარი კრიტიკა⁹. ა. სარაჯიშვილს კომისიის მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიაჩნია ტექსტის წაკითხვების გასწორების თვალსაზრისით.

რაც შეეხება ჩამატებული სტროფებისაგან ტექსტის გაწმენდას, კომისიის მიზანს მთლიანად მიღწეულად არ თვლის. ხელნაწერების მონაცემებზე დაყრდნობა, რომლითაც ხელმძღვანელობდა კომისია ყალბი სტროფების ამოსაცნობად, ა. სარაჯიშვილის აზრით, იმ შემთხვევაში იქნებოდა ერთადერთი მართებული გზა, რომ გაგვაჩნდეს პოემის უძველესი ხელნაწერები. უამისოდ ეს ღონისძიება, მკვლევრის აზრით, მექანიკურია და არაა საკმარისი. ა. სარაჯიშვილმა, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული მეთოდი შეიმუშავა და მით შეუდგა რუსთველის მიერ აგებული „წმინდა ტაძრის გასუფთავებას“. იგი ემყარებოდა პოემის მხატვრულ-შინაარსობრივ პრინციპებს. მეორე მთავარ საზომად პოეტური ღირსება აღიარა. ყალბისმკმნელი არ შეიძლება ნიჭით პოეტის ტოლი იყოს და მისი ქმნილება უსათუოდ ჩამორჩება დედანსო.

ყველაზე დიდი მნიშვნელობის კრიტერიუმში ა. სარაჯიშვილისათვის პოემის სტილია, რომლის პირველი ნიშან-თვისება სიმარტივე და ზომიერებაა. „რუსთველის სტილი ბროლსავით მჭიდრო და ნათელია“. მჭიდროება და სინათლე არის რუსთველის სტილის კანონი. ამ პრინციპებით ახდენს პოემის ტექსტის კრიტიკას და პრაქტიკულად ყალბი ადგილების გამორჩევას. ამ გზით ა. სარაჯიშვილმა ყალბად აღიარა პოემის 150 სტროფი, აქედან 3 პროლოგისა და 4 ეპილოგისა.

ა. სარაჯიშვილის მეთოდი ცალმხრივი აღმოჩნდა: ზოგჯერ თავის მეთოდსაც ვერ მისდევდა ბოლომდე. სტროფების კრიტიკის დროს ხშირად სუბიექტური ალლოთი და გემოვნებით წყვეტდა სტროფის ბედობას. ა. სარაჯიშვილის შრომამ თანამედროვეთა შორის დიდი გამოხმაურება პოვა. მასზე თავიდანვე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ბევრს ავტორიტეტულ სიტყვად მიაჩნდა „ამ სერიოზული გამოკვლევის“ აზრი,¹⁰ რადგან იგი. „ეკუთვნოდა ა. სარაჯიშვილის ნიჭიერ კალამს... მსოფლიო ლიტერატურის მცოდნე გემოგახსნილ კაცს.“¹¹ მას ეყრდ-

⁹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწ. RosN:215.

¹⁰ Г. Кипшидзе, Барсова кожа в новом освещении, «Новое обозрение», 13. V. 1986.

¹¹ ხომელი, ქართული ლიტერატურა, „ახალი გზა“, 1925, № 22, გვ. 8.

ნობოდნენ და მის შეხედულებებს იმოწმებდნენ თანამედროვენი.¹² ა. სარაჯიშვილის შრომამ საბოლოოდ სასურველი შედეგი რომ ვერ გამოიღო, ამის მიზეზი იყო გადაჭარბება. „კრიტიკოსს ზომიერების მნიშვნელობა ხელოვნებასა და ლიტერატურაში აშკარად ესმოდა, მაგრამ საქმით მაინც ვერ დაიცვა ეს ზომიერება“.¹³

მთავარი მსჯავრი ა. სარაჯიშვილის კვლევა-ძიების მეთოდსა და მის შრომას ნ. მარმა გამოუტანა. ნ. მარს ბევრ რამეში მისაღებად მიაჩნია ა. სარაჯიშვილის მოსაზრებანი, მაგრამ საერთოდ მისი შრომა უარყო, რადგანაც ის არ ითვალისწინებდა ქართულ ისტორიულ სინამდვილეს, არ მიჰყვებოდა ისტორიულ-ფილოლოგიური ძიების გზას და ამდენად არამეცნიერული იყო. ა. სარაჯიშვილის ნაშრომი ნ. მარმა უსაზღვროდ სუბიექტურ ნიადაგზე აგებულად ჩათვალა.¹⁴ მართალია, ამ განაჩენით ნ. მარმა შეარყია ა. სარაჯიშვილის შრომის ავტორიტეტი, მაგრამ არაპირდაპირი გზით ისტორიულ-ფილოლოგიურ ძიებაში მაინც შეიქრა ნ. მარის მიერ დადგენილი ა. სარაჯიშვილის მეთოდი¹⁵. საერთოდ შრომამ ღრმა კვალი დააჩნია რუსთველოლოგიას.

ცნობილია, რა დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მკვლევართა შორის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის საკითხში. ა. სარაჯიშვილმა მართებული პოზიცია დაიჭირა, მას პროლოგი პოემის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა. მისი აზრით, პროლოგი „პოემის მოუწყვეტელი ნაწილია, მისი, ახსნა და კლიტე-გასაღები. მათ შორის იგივე ერთობა და კავშირია, რაც მხატვრის იდეასა და მის დახატულ სურათს შორის“ („მთაბე“, 1895, № 11, გვ. 9). ეს შეხედულება დღეს მიღებულია, როგორც იმთავითვე გამოთქმული მართებული აზრი; „ამ დაკვირვებულ რუსთველოლოგს“ კარგად ესმოდა პროლოგის მნიშვნელობა „პოემის ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხთა გადასაწყვეტად და ავტორის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების გამოსარკვევად“.¹⁶

მიუხედავად ამისა, ა. სარაჯიშვილი მაინც ფიქრობს, რომ წინასიტყვაობასაც არ მოუღწევია თავისი პირვანდელი სახით. პროლოგიდან მან ყალბად აღიარა სამი სტროფი (5 — „მიბრძანეს მათდა საქებრად...“, 9 — „ესე ამბავი სპარსული...“ და 24 — „მიჯნურობა არის

¹² ფ. მახარაძე, კრიტიკული განხილვა, „კვალი“, 1896, №№ 20, 22, 25—27; შ. დადიანი, „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობა და პროფ. ნ. მარი, „დროება“, 1909, № 286.

¹³ ხომლედი, დასახ. წერილი, იქვე, № 26, გვ. 13.

¹⁴ ТРА-ГФ, XII, 1910, გვ. 3, შენ. 1.

¹⁵ შ. ადგიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ, „მუშა“, 14. IX. 1936.

¹⁶ ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 22.

ტურფა...“).¹⁷ თერთმეტი სტროფის (11, 14, 15, 19—22, 25, 29—31) რუსთველურობა ექვის ქვეშ დააყენა და ამით დაკმაყოფილდა. არ განუხილავს. მე-5, 9, 24 სტროფების სიყალბეს ამტკიცებს შინაარსის და ლოგიკის მხრივ, კონტექსტის თვალსაზრისით და სტილის სისუსტით. ნ. მარმა არ მიიღო აღნიშნული სტროფების სიყალბე, სამაგიეროდ პროლოგიდან სხვა 9 სტროფი გამოიკცხა (აქედან 5 სტროფი ა. სარაჯიშვილის მიერ საექვოდ მიჩნეული).

„ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი ტექსტის დასადგენად ა. სარაჯიშვილის მეთოდის გამოყენება სცადა ი. აბულაძემ. პოემის 1926 წლის აბულაძისეული გამოცემა წარმოადგენს სწორედ ამ გზით გაჩაღებული კვლევა-ძიების შედეგად მიღებულ შემოკლებულ ტექსტს და შეიცავს მხოლოდ 1426 სტროფს.

ა. სარაჯიშვილის მიერ ყალბად მიღებული ყველა სტროფი 1937 წ. საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენმა კომისიამ ნამდვილად ცნო და შეიტანა ახალ გამოცემაში. ეს იყო საბოლოო განაჩენი. ა. სარაჯიშვილის მარცხის მიზეზები ადვილი ასახსნელია: მან რუსთველი მოწყვიტა თავის ეპოქას, არ გაითვალისწინა ეპოქის ენა, სტილი და თვით რუსთველის პოეტიკური შეხედულებანი. მან მეტად მძიმე ტვირთი იღო თავს. იგი მთელი თაობების ძალ-ღონესაც კი აღიმატებოდა. რუსთველოლოგიის განვითარების იმ ეტაპზე ამის გაკეთება შეუძლებელიც იყო. ყველა ხელნაწერი გამოვლენილიც არ იყო, რაც იყო — ისიც სათანადოდ შეუსწავლელი და დაუმუშავებელი. არ იყო შესწავლილი კლასიკური პერიოდის ენა, სტილი და პოეტიკა. ყოველივე ამის გარეშე კი სასურველი შედეგის მიღებაც არ შეიძლებოდა. „მხოლოდ ვარიანტების შეჯერებისა და ტექსტის იდეურ-შინაარსობრივი განალიზების გზით არის შესაძლებელი პოემის საიმედო რედაქციების დადგენა“.¹⁸ ასეთია თანამედროვე რუსთველოლოგიის მოთხოვნა.

ვახტანგის რედაქციის გამოქვეყნების შემდეგ ძირითადად შეწყდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში დამატებათა შეტანა, მაგრამ არასავსებით. ამის კვალს ვახტანგის გამოცემიდან გადაწერილ ხელნაწერებშიც ვხვდებით. ზოგჯერ მას ვრცელი რედაქციის ხელნაწერებიდან აესებდნენ, ზოგ შემთხვევაში სრულიად ახალ სტროფებსა და ეპიზოდს უმატებდნენ. ამ მხრივ საინტერესოა ხელნაწერი, რომელიც რუსთველოლოგიაში „ვეფხისტყაოსნის“ არტანუჯული ვარიანტის სახელითაა ცნობილი. მას მიუძღვნა ა. სარაჯიშვილმა თავისი შრომა „არტანუჯის ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა“.

იქ, სადაც მკვლევარი ხელნაწერების ღრმად შესწავლას ეყრდნო-

¹⁷ სტროფები დასახელებულია 1937 წ. საიუბილეო გამოცემის მიხედვით.

¹⁸ ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 431.

ბა, მისი მეცნიერული ალღო შეუმცდარია, მსჯელობა სალი და კვლევების შედეგიც დამაჯერებელი და მისაღები. მან პირველმა სრული სინათლე შეიტანა ამ „ვარიანტის“ რაობის გარკვევაში, დაამტკიცა „ვეფხისტყაოსნის“ არტანუჯული დედნის არსებობის სიყალბე და პოემის ინტერპოლატორთა რიგებს ექვემდებარებულად შემატა გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილის სახელი. ა. ბარამიძე შრომას „საფუძვლიან გამოკვლევას“ უწოდებს.¹⁹ ამ გამოკვლევას ეყრდნობა, პირველწყაროების უშუალო შესწავლასთან ერთად, და მის დასკვნებს იზიარებს ს. ცაიშვილი.²⁰ სახელწოდება „არტანუჯული ვარიანტი“ მიეკუთვნა „ვეფხისტყაოსნის“ ამ რედაქციას პ. ლარაძის ცნობის მიხედვით. ამ ვარიანტის 5 ხელნაწერიდან,²¹ რომლებიც ხელთ ჰქონდა ა. სარაჯიშვილს, უძველესი გადაწერილია პ. ლარაძის მიერ 1827 წ. მინაწერის თანახმად, თითქოს, პ. ლარაძეს იგი გადმოუწერია გ. თუმანიშვილის მიერ „კერძოთა არტანუჯისათა“ მოპოვებული „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერიდან. აქედან ცხადია, თუ რა დიდი ინტერესით მოეპყრობოდნენ ამ ხელნაწერს. პირველად ამ ცნობის სიმართლეში ეჭვი შეიტანა პ. უმიკაშვილმა. იქნებ „ავტორიტეტობის გულისათვის დასახელა არტანუჯი, როგორც საქართველოს განათლების პირველი ბინა ადგილიო“.²² ასევე სანდოდ არ მიუღია ეს ცნობა ე. თაყაიშვილს, რომელმაც აღწერა აღნიშნული ხელნაწერები.

ა. სარაჯიშვილისათვის, წინასწარ განჭვრეტელი მართებული აზრის დასადასტურებლად, გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩნდა ახლად მოპოვებული ე. წ. ამილახვრისეული ხელნაწერი (H№ 1079). რუსთველოლოგის დაკვირვებულმა თვალმა ამ ხელნაწერში ამოიცნო „არტანუჯის ვარიანტის“ დედანი. ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა დავით რექტორის მიერ 1823 წ. გ. თუმანიშვილისათვის. ლეგენდა არტანუჯის მხარეში მოპოვებული დედნის შესახებ მან პ. ლარაძის მოგონილად მიიჩნია. მკვლევრის აზრით, გადამწერს გარკვეული მიზანი ამოქმედებდა, ეს გარემოება მის ხელნაწერს დიდ უპირატესობას მიანიჭებდა სხვა ხელნაწერებთან შედარებით. მართლაც იგი საკმაოდ გავრცელებულა. ამჟამად ამ ვარიანტის 13 ხელნაწერია ცნობილი.²³

ა. სარაჯიშვილმა ამილახვრისეული ხელნაწერის შესწავლით დაად-

¹⁹ ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, გვ. 445, შენ. 16.

²⁰ ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957, გვ. 65—74.

²¹ ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერები — S№№ 4732, 1586, 2686, 2781, 305.

²² პ. უმიკაშვილი, გადამწერელი ქართული წიგნებისა — დავით რექტორი, ივერია, 1877, № 39.

²³ ს. ცაიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 65.

გინა გ. თუმანიშვილის წვლილი. იგი ორგვარი ხასიათისაა: 1. მთლიანი ტექსტის სტილისა და მართლწერის გასწორება და 2. სრულიად ახალი სტროფების ჩამატება პოემის სხვადასხვა ადგილას. მან თუმანიშვილისეულად ცნო 17 სტროფი, რომელთაგან 6 პოემის ძირითადი ტექსტის სხვადასხვა ადგილშია ჩართული, ხოლო 11 სტროფი — პოემის დასასრულს, ინდოეთში გადახდილი ქორწილის წინ. ნართაული სტროფები თვით გ. თუმანიშვილის ხელით არის მიწერილი არშიებზე. იქვე ეხება „ინდოხატელთა ამბის“ ნამდვილობასაც. მკვლევარი მასაც ყალბისმკმნელის დანამატად თვლის XVII საუკუნის ხელნაწერებში. ამ უკანასკნელის ავტორად ნანუჩა ციციშვილს აცხადებს. ნანუჩასავე მიაწერს უცხო მოყმის პოემის ამბავში ჩართულ ერთ სტროფს. ნანუჩას ყალბისმკმნელობას იგი, როგორც დამტკიცებულ და აღიარებულ ფაქტს, ისე იმოწმებს. აქ იგი უდავოდ არჩილის ცნობას ემყარება. გ. თუმანიშვილს, ნანუჩასთან შედარებით, უფრო მდარე ხარისხის პოეტად თვლის. ამავე დასკვნამდე მიდის მკვლევარი, როდესაც ამ სტროფებს პოეტურ ღირსებას უსინჯავს. რუსთველის პოეზიასთან გ. თუმანიშვილის ამ ნასაქმს საერთო არაფერი აქვსო.

მთავარი ა. სარაჯიშვილისათვის, როგორც თვითონ აცხადებს, ის არის, „რომ მე-19-ე საუკუნეშიაც შესაძლებელი ყოფილა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შერყვნა და შიგ ყალბი ხანების ჩამატება“ (გვ. 29). აშკარაა, ამ დასკვნით ავტორი თავის ძირითად ნაშრომში — „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები“ — გამოთქმულ მოსაზრებას უმავრებს საფუძველს. საუკუნეების მანძილზე რამდენი გადამწერი და ყალბისმკმნელი შერყენიდა რუსთველის გენიალურ ქმნილებას თავისი შესწორებებითა და უადგილო ჩამატებებით. ამ თვალსაზრისით განხილული ა. სარაჯიშვილის ეს ორი შრომა თავისი შედეგით დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ „არტანუჯის ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა“ შეუმცდარად არკვევს ნამდვილად ყალბ ადგილებს. „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები“ მეტწილად ბრწყინვალე რუსთველურ სტროფებს მიიჩნევს ყალბად.

ა. სარაჯიშვილი ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებსაც ეხება ყალბი ადგილების ძიების პროცესში და მათ თავისებურ გადამწვეტასაც იძლევა. თავისი შეხედულება გამოთქმული აქვს პოემის სიუჟეტის სადაურობასა და ავტორობაზე. პირველის შესახებ მკვლევარი თავის აზრს აყალიბებს, უპირველეს ყოვლისა, პოემის პროლოგის მეშვიდე და მეცხრე სტროფების შედარებითი განხილვის დროს. მეშვიდე სტროფს რუსთველისად თვლის, ხოლო მეცხრეს ყალბად მიიჩნევს. ა. სარაჯიშვილის აზრით, პოემის სიუჟეტის წარმომავლობის თვალსაზრისით ორივე ერთნაირი ღირსებისა და მსგავსი აზრის შემცველია, ორივე ბიბლიოგრაფიულ ცნობებს შეიცავს. ა. სარაჯიშვილის დაკვირ-

ვებით ამ სტროფებიდან ჩანს, რომ „ტარიელის ამბავი რუსთველის წინააღმდეგ იყო და მან გალექსა ეს ამბავი“. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მეორე სტროფი ამ ამბავს სპარსულ ჩამომავლობისად ცნობს. ამრიგად, ა. სარაჯიშვილისათვის მისაღებია ის აზრი, რომ რუსთველს მასზე წინ არსებული ამბავი გაულექსავს. მეცხრე სტროფი პოემის ორიგინალობის საზიანოდ მეტყველებს. მას ეს სტროფი ყალბად მიაჩნია. იგი კატეგორიულად უარყოფს პოემის სპარსულიდან ნათარგმნობას, მაგრამ ვერც ორიგინალობის მტკიცების მყარ ნიჟარს დაუდგინა. მისი აზრით, რუსთველს მანამდე არსებულ ამბად ნათქვამი გაულექსავს და უქცევია „წყობილ მარგალიტად“. მთავარია, როგორ შეითვისა, როგორ შეისისხლხორცა რუსთველმა ეს ამბავი. ა. სარაჯიშვილი ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი, მანამდე ხალხში გავრცელებული, ყოფილა საზოგადო საკუთრება, იგი ყველას ეკუთვნოდა, კერძოდ არავის. მას შემდეგ რაც რუსთველმა მოჰკიდა მას ხელი, „იცნო ამბის გმირში თავისი მოყვასი სული, თავისი ბედის მონაწილე, შეიყვარა და შეითვისა ტარიელი, თვითონ მისი გულისტემის გამომტქმელად გახდა და თავისი სიყვარული ტარიელის პირით გვიამბო... პოეტმა მისცა მას თავისებური რუსთველური ფორმა“. პოეტის საგანი არის თამარის სიყვარულის გამოთქმა და ამის ღონისძიება — ტარიელის მიჯნურობის მბობა პოეტისა და ტარიელის „სულიერი ურთიერთობისაგან დაიბადა თვით პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 19). პოემის სიუჟეტის წარმოშობის საკითხზე ა. სარაჯიშვილი ბოლომდე ამ აზრისა დარჩა. 1908 წელს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე ი. აბულაძის მიერ წაკითხული მოხსენების გამო გამართულ კამათში ა. სარაჯიშვილის აზრი სხდომის ოქმებში ასეა ფიქსირებული: „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი ირანულია, რომელიც რუსთველამდე ხალხში ყოფილა ცნობილი არა მწერლობით, არამედ ზეპირად“²⁴. ამასვე იმეორებს იმავე მკვლევრის მეორე მოხსენების დროსაც: „რუსთველმა ხალხურიდან აიღო პოემის შინაარსი“.²⁵ თვით პოემა, ა. სარაჯიშვილის ურყევი აზრით, რუსთველის შემოქმედებაა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ საკითხთან დაკავშირებით ა. სარაჯიშვილის გამოუქვეყნებელი შრომა «Сходство в идее любви и её изображении у авторов европейских и у Руставели». აქ უფრო საფუძვლიანად ასაბუთებს თავის შეხედულებებს და ასკვნის: «Поэт создавший творение такой могучей силы был гением а не перелагателем в стихотворную форму чьей-то перевода с чьей-то повести».²⁶

²⁴ „ძველი საქართველო“, I (1909), განყ. 6, გვ. 17—20.

²⁵ „ძველი საქართველო“, 3, განყ. 2, გვ. 45—48.

²⁶ Ros№ 216 (რვეული 6, გვ. 127—128).

პოეტის ბიოგრაფიის, ისე როგორც პოემის სიუჟეტის სადაურობის შესახებ, ერთადერთ წყაროდ მას თვითონ პოემა მიაჩნია. „რაგვარი ჰიპოთეზა ანუ საეგებო აზრიც უნდა მოვიგონოთ პოემასა და მის ავტორზე, ჩვენის მოსაზრების მასალად ისევე „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოკითხული ცნობანი იქნება და ჩვენი დასკვნა მხოლოდ ჰკუთმით მიხვდომა“, წერს იგი შრომაში — „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი აღგილები“. პოემის პროლოგ-ეპილოგის სტროფების გაგებაზე აგებს თავის „ჰკუთმისახვდომ“ მოსაზრებას ავტორისა და მისი პოემის შესახებ, ამ შრომის დასაწყისშივე, როდესაც პროლოგს პოემის ავტორის უდავო კუთვნილებად აცხადებს. „ვეფხისტყაოსანი“ არის ხელთუქმნელი ძეგლი რუსთველის მიერ თამარის სადიდებლად დაწერილი, თამარის სიყვარულით შთაგონებული.

პოემის ავტორის ვინაობაზე ა. სარაჯიშვილის აზრი შეგვიძლია ამოვიკითხოთ პოემის ეპილოგის ცნობილი სტროფის განმარტებაში. ეპილოგის პირველი სტროფი („გასრულდა მათი ამბავი...“), მკვლევარს პოეტის ნათქვამად მიაჩნია, სტროფის დასასრული ტაეპის წაკითხვა, როგორც ეს მაშინდელ გამოცემებში იყო მიღებული — „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“, არც ა. სარაჯიშვილში ბადებს ეჭვს. მისი ღრმა რწმენით, პოეტი არის სამხრეთ საქართველოდან, კერძოდ — მესხეთის რუსთავიდან.

ა. სარაჯიშვილმა გარკვეული წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიაში. ამ დამსახურებისათვის მისი სახელი სამართლიანად იხსენება დღეს ცნობილ რუსთველოლოგთა შორის.

ზ. ჭიჭინაძე ქართველ მოღვაწეთა განსაკუთრებული წარმომადგენელია. იგი, როგორც მკვლევარი, კოლექციონერობამ წარმოშვა, მის კოლექციონერობას კი სხვა არაფერი ედო საფუძვლად, თუ არა დიდი სიყვარული ჩვენი სიძველეებისა. იგი გაფაციცებით აღეწებდა თვალს ძველ წიგნებსა და ხელნაწერებს, ჟურნალ-გაზეთებში იუწყებოდა ამა თუ იმ ხელნაწერის პოვნისა თუ უმიზეზოდ დაკარგვის შესახებ, მოუწოდებდა თანამემამულეებს ხელნაწერთა დაცვა-პატრონობისათვის.

ზ. ჭიჭინაძე დიდი მონდომებით აგროვებდა ხელნაწერებს და თავისი ხელით აწერდა „ზ. ჭიჭინაძის ბიბლიოთეკისაო“. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია ამგვარად წარწერილი უამრავი ხელნაწერი, როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობისა. კოლექციონერობამ წარმოშვა ზ. ჭიჭინაძე, როგორც გამომცემელი და, ბოლოს, როგორც მკვლევარი.

როგორც მისი კოლექციონერობა, ასევე საგამომცემლო საქმიანობაც შორს იყო ანგარებისაგან. ქართული მწერლობის პოპულარიზაცია მას დიდად საპატიო საქმედ მიაჩნდა და არც ძალ-ღონეს, არც სახსრებს არ იშურებდა ამ საქმისათვის, თუმცა კი გულნატკენი წერდა: „ქართულს მწიგნობრობაში ქართველი გამომცემლის შრომა არის უნაყოფო, უმაღლო და ყველასათვის დაუნახავი... გამომცემლის შრომას არავინ აფასებს და დაფასების გარდა ბევრი მტრის თვალიც უმზერს, ზოგი ცილსა და ბრალსაცა სდებს, რომ ფულს იგებსო, ზოგი მტრობს კიდევ და სხვაც ვინ იცის რამდენი იჩივლება მმართველის წინაშე... გამომცემელმა მთელი თავისი ძალა, ღონე, ფული, შნო, ენერგია სხვის შრომას უნდა მონადომოს, სხვისი შრომა უნდა გამოსცეს, სხვისი შრომა და სახელი უნდა გამოაჩინოს და გაამშვენოს და ამავე დროს მან მადლობის მაგიერ საყვედური დაიმსახუროს“.

უკეთესი ბედი არ ჰქონია ზ. ჭიჭინაძეს როგორც მკვლევარსაც. რა თქმა უნდა, ის არ იყო მეცნიერი-მკვლევარი, რომელიც ქართული მწერლობის საკითხებს თეორიულ სიმაღლემდე აიყვანდა, მაგრამ მის მიერ დიდი რუდუნებით მოპოვებული, დიდი ინტერესით შეგროვებული მასალები და, მართალია, პრიმიტიული, ხშირად სრულიად დაუსაბუთებელი ცნობები შიგადაშიგ იმდენ საინტერესოს, საყურადღებოსა და საბოლოოდ გამართლებულს შეიცავს, რომ უთუოდ სპეციალური ყურადღების ღირსია ზ. ჭიჭინაძე როგორც მკვლევარი.

რით არის კერძოდ გაპირობებული ეს ინტერესი?

1. ზ. ჭიჭინაძეს საქმე აქვს უშუალოდ პირველწყაროებთან, რიგ შემთხვევაში იგია ამა თუ იმ ძეგლის პირველი აღმოჩენელი.

2. ზ. ჭიჭინაძე კარგად იცნობს ძველი ქართული მწერლობის კატალოგებს, საიდანაც ცალკეულ ცნობებს კრებს.

3. ზ. ჭიჭინაძე იცნობს მის დროინდელი მეცნიერული ქართველოლოგიის მიღწევებს, ეყრდნობა მას და თავის დამოკიდებულებასაც ამუდანებს ცალკეული შეხედულებების მიმართ.

მის ე. წ. „ფანტასტიკურ“ ცნობებსაც გააჩნია რაღაც საფუძველი. მართალია, ეს საფუძველი ხშირად მცდარია, მაგრამ ეს ცნობები ტექსტის თუ სათაურის ამა თუ იმ გაგებაზეა აღმოცენებული.

ზ. ჭიჭინაძის დამსახურებაზე ძველი ქართული მწერლობის შესწავლაში ნაზგასმით მიუთითებენ ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ბარამიძე, ლ. ასათიანი და სხვანი.

ზ. ჭიჭინაძის ინტერესი ძველი ქართული მწერლობის მიმართ მეტად დიდია. მეხოტბენი და რუსთველი, „ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „როსტომიანი“, „დილარიანი“, „ნარგიზოვანი“, დ. ციციშვილი, ი. ხელაშვილი, პ. იოსელიანი და სხვა მრავალი ძეგლი თუ ავტორი ზ. ჭიჭინაძის შეუწელებელი ინტერესის საგანია.

როდესაც ვსწავლობთ ზ. ჭიჭინაძის შეხედულებებს ძველი ქართული მწერლობის საკითხებზე, ბუნებრივია ისმის საკითხი თუ რა წყაროები აქვს ხელთ ზ. ჭიჭინაძეს. როგორც წესი, ზ. ჭიჭინაძე თავის მოსახრებებს ან ცნობებს წყაროს არ უთითებს, ეს კი მის ცნობებს დამაჯერებლობას აკლებს, მანამ, სანამ რომელიმე შემთხვევა არ დაადასტურებს ნათქვამს.

გამოძიებამ გვიჩვენა, რომ სასულიერო მწერლობაზე მსჯელობისას ზ. ჭიჭინაძე ყველაზე მეტად არის დავალებული ანტონ კათალიკოსის „წყობილისიტყვაობით“ და განსაკუთრებით მასზე დართული პ. იოსელიანის კომენტარებით.

ცნობილია, რომ ანტონის ცნობები ამა თუ იმ მწერლის შესახებ ზოგად ხასიათს ატარებს, მასში ძირითადად არც თხზულებებია ჩამოთვლილი მწერლებისა, არც თარიღზეა რაიმე შენიშვნები. ამიტომ თითქმის ყველა ის ცნობა, რომელიც ზ. ჭიჭინაძეს წარმოუდგენია „წყობილისიტყვაობაში“ შესულ მწერლებზე, მას აუღია პ. იოსელიანის კომენტარებიდან. მაგ., ცნობები ეფრემ მცირის შესახებ. ზ. ჭიჭინაძის მიერ ზუსტად გამეორებულია პ. იოსელიანის კომენტარში მოცემული ცნობები ეფრემ მცირის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი თხზულებების შესახებ (ზეცისა იერარხისათვის, ამონიუსის წიგნი, მოქცევა საქართველოსა, ქადაგება თომა მოციქულისა).

ასევე ძირითადად „წყობილისიტყვაობიდან“ იღებს ცნობებს ზ. ჭიჭინაძე არსენ ბულმაისიმისძის შესახებ, ოღონდ არ ეთანხმება პ. იოსე-

ლიანს, როდესაც იგი არსენს XIII საუკუნის მოღვაწედ არ მიიჩნევს. დღესდღეობით დადასტურებულია, რომ არსენი მართლაც XIII საუკუნის მოღვაწეა. კ. კეკელიძე ზ. ჭიჭინაძის ერთ ცნობასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, არსენის დაუწერია კიდევ თითქოს კრება, რომელიც შეიცავს მსოფლიოთა და ადგილობრითა კრებათა ისტორიას, და ბრწყინვალე კვირა. მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი თხზულებანი არ ვიცით არსაიდან, მეორე და უმთავრესი: აღნიშნულ შრომებს სხვა თავის თხზულებებში ზ. ჭიჭინაძე სულ სხვა მწერლებს მიაკუთვნებს: კრებას — მიხეილ კათალიკოსს, ხოლო ბრწყინვალე კვირას — აბრაამ ეპისკოპოსს. ასე რომ, ეს ცნობა ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩინია“¹. ამასთან დაკავშირებით უსათუოდ გასათვალისწინებელია ის, რომ ცნობათა წინააღმდეგობებში ბრალი მიუძღვის არა ზ. ჭიჭინაძეს, არამედ იმ სხვადასხვა წყაროებს, რომელთაც იყენებს იგი და რომელთაგან დღეს ბევრი შემორჩენილიც არ არის. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სასულიერო მწერლებთან დაკავშირებული ზ. ჭიჭინაძის მსჯელობა ზერელეა. ის არ იცნობს იმ ძეგლებს, რომლებზეც მსჯელობს, თუმცა შეიძლება ნანახიც ჰქონდეს. ის იცნობს მხოლოდ კატალოგებს და ცალკეულ ავტორთა შეხედულებებს სასულიერო მწერლებზე. ამით აიხსნება მისი მსჯელობის სქემატურობა. საფიქრებელია, რომ ზ. ჭიჭინაძე ვერ კითხულობდა ხუცურს. სხვა შემთხვევაში მას შესაძლებლობა ექნებოდა ამა თუ იმ მწერლის შესახებ ანდერძებიდანაც ამოეღო გარკვეული ცნობები, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ზ. ჭიჭინაძისათვის არის დავით რექტორის კატალოგი. ავიღოთ ცნობები „ბარამიანის“ შესახებ. დავით რექტორი კატალოგში სამ „ბარამიანს“ ასახელებს. ზ. ჭიჭინაძე, ისევე როგორც დავით რექტორი, „ბარამიანის“ სამ თარგმანს ახსენებს და პირველი რედაქციის შექმნის თარიღად XIII საუკუნეს ასახელებს (ე. თაყაიშვილმა ექვემიუტანლად გაარკვია, რომ ძველ ქართულ ძეგლებში არავითარი მინიშნება არ ვგაქვს იმის შესახებ, რომ XIII საუკუნეში თარგმნილი იყო „ბარამიანი“). მაგრამ ზ. ჭიჭინაძემ არ იცის, რომ დავით რექტორის მოხსენიებული „დიდი ბარამიანი“ არის „შვიდი მთიები“ ნოდარ ციციშვილისა (ანუ „ბარამგურიანი“). ეს მით უფრო საკვირველია, რომ სხვა შემთხვევებში არჩილის ცნობებს იყენებს ზ. ჭიჭინაძე. აქ კი არ ახსენდება არჩილის სიტყვები: „ფარსადანის ძემ ნოდარ თქვა ქება კარგად ბარამგურის“.

ზ. ჭიჭინაძეს აგრეთვე ჰგონია, რომ მეორედ თარგმნილი „ბარამიანი“ (ე. ი. პროზაული) იგივე ნაწარმოებია, რაც ონანას მიერ XVIII საუკუნეში გალექსილი.

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ.

ამრიგად, ზ. ჭიჭინაძე შშრალად იმეორებს დავით რექტორის ცნობებს „ბარამიანის“ რედაქციითა რაოდენობაზე, მაგრამ თვით რედაქციების რაობაში სრულ დაბნეულობას იჩენს.

„ვისრამიანის“ შესახებ დავით რექტორი წერს: „ვისრამიანი, მეფის თამარის დროს კმნილი დილარგეთის ბრძნის თავადი საათაბაგოელისაგან შშვენიერს ენაზედ“. ზ. ჭიჭინაძე არ ეთანხმება იმხანად უკვე გამოცემულ დ. ჩუბინაშვილის „ქრისტომატიას“ და წერს: „დ. ჩუბინაშვილი ცდებდა, როდესაც „ვისრამიანის“ ავტორად სარგის თმოგველს მიიჩნევს“. „ვისრამიანის“ ავტორი, ზ. ჭიჭინაძის აზრით, არის დავით საათაბაგოელი; ამას ამტკიცებს „ერთი ძველი კატალოგი, რომელიც ინახება ჩვენს ხელშიო“,² — წერს ზ. ჭიჭინაძე. ეს „ერთი ძველი კატალოგი“ უნდა იყოს დავით რექტორის კატალოგი (მაგრამ არა დედანი, არამედ პირი, რადგანაც დავით რექტორის კატალოგის დედანში იხსენიება თავადი საათაბაგოელი, ხოლო ზ. ჭიჭინაძის ხელში არსებული დავითის კატალოგის პირი, ისევე როგორც ა. ცაგარლის მიერ გამოქვეყნებული, ახსენებს დავით საათაბაგოელს. ცხადია, რომ ზ. ჭიჭინაძეს პირი აქვს ხელში და არა დედანი).

„ამირან დარეჯანის“ შესახებ დავით რექტორის კატალოგი გვამცნობს: „ამირან დარეჯანის ძის ისტორია მოსე ხონელისაგან გაკეთებული მეფის თამარის მდივნისაგან, 600 წელია“. აქ უკვე ზ. ჭიჭინაძეს, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებს კატალოგის ცნობა და მას დ. ჩუბინაშვილის „ქრისტომატიის“ ცნობებით ავსებს. დ. ჩუბინაშვილთან ნათქვამია, რომ ეს რომანი დაწერილია თამარის მეფობის დროს, მოსე ხონელის მიერ. ავტორი დაბადებულია იმერეთის ერთ პატარა დაბა ხონში. ის იყო რუსთველის თანამედროვე. ეს უკანასკნელი იხსენიებს მოსე ხონელს თავისი პოემის უკანასკნელ სტროფში.

ამრიგად, ზ. ჭიჭინაძე იმეორებს დავით რექტორის ცნობებს, ოღონდ ცნობას დაბა ხონიდან წარმოშობაზე დ. ჩუბინაშვილის წიგნიდან ამატებს.

ცნობილია, რომ აბდულმესიას შავთელის სახელად თვლიდნენ თეიმურაზ ბატონიშვილი და დ. ჩუბინაშვილიც. მათ საფუძველს აძლევდა მთელი რიგი ხელნაწერებისა, რომლებიც აბდულმესიას იხსენიებენ როგორც პოემის ავტორს. ზ. ჭიჭინაძე თავის შეხედულებას „აბდულმესიის“ ავტორის სახელის შესახებ ამყარებს ხელნაწერებზე, თეიმურაზისა და დ. ჩუბინაშვილის ცნობებზე.

ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ, ცხადია, ზ. ჭიჭინაძის ნაწერებში ბევრი რამ გვხვდება ისეთი, რაზედაც არაფერია ნათქვამი ზემოდასახელებულ წყაროებში. რა უნდაჲ ჰქონოდა მას

² ზ. ჭიჭინაძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1884, გვ. 15.

კიდევ ხელთ? საფიქრებელია, რომ მას, როგორც კოლექციონერს, ხელთ ჰქონდა ზოგიერთი ისეთი კატალოგის ნუსხა, რომელიც დღეს შემორჩენილი აღარ არის. მაგ., ზ. ჰიჭინაძე ასახელებდა გამალიელ გამარეკლის მიერ შედგენილ ძველი წიგნების ნუსხას, ტრიფილე არხიმანდრიტის ნუსხას, ისაკ მწიგნობრის ნუსხას და სხვ. მაგრამ, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ზ. ჰიჭინაძის მთელი ცნობები მხოლოდ დოკუმენტურ მასალაზეა აგებული. ბევრი მისი ცნობა დამყარებულია ტექსტის გაუგებრობაზე, ბევრ რამეს ზეპირად იხსენიებს და არა ნაწერის მიხედვით და სხვ. მაგრამ ფაქტი ერთია: ზ. ჰიჭინაძე არასდროს არ ტყუის, ის ცდება ცალკეულ წყაროთა გამოყენების და განსაკუთრებით ინტერპრეტაციის დროს. ასეთ წყაროთა გაუგებრობის საფუძველზეა აღმოცენებული, როგორც კ. კეკელიძემ გაარკვია, მაგალითად ზ. ჰიჭინაძის ცნობა, რომ ქართულად „ლეილმაჯნუნიანი“ უთარგმნია (და არა გადაუწერია) ზ. თუმანიშვილს.

ზ. ჰიჭინაძის ცალკეულ გაუგებრობათა ახსნა მოცემული აქვს ა. ბარამიძესაც. ზ. ჰიჭინაძე წიგნში „ქართული მწერლობა და მწერლები მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში“ იხსენიებს „ნარგიზოვანს“: „არს პოემა „ნარგიზოვანი“, ეს პოემა ჯერეთ დაუბეჭდავია. ამ „ნარგიზოვანს“ პ. იოსელიანიც ასახელებს „დუშეთის აღწერაში“.

როგორც ა. ბარამიძემ გაარკვია, დასახელებულ „დუშეთის აღწერაში“ არავითარი ცნობა არ იპოვება „ნარგიზოვანის“ შესახებ, სამაგიეროდ სხვაგან პ. იოსელიანი მართლაც იმოწმებს „ნარგიზოვანს“ და არჩილზე მითითებით მის ავტორობას მიაწერს XVI ს. მოღვაწე გარსევან ჩოლოყაშვილს³.

ზ. ჰიჭინაძის მუშაობის მთავარი ნაკლი წყაროებისადმი ზერეულ დამოკიდებულებაა. ზ. ჰიჭინაძის ცნობა ზშირად ახლოა სინამდვილესთან, მას რაღაცა ისეთი აქვს ხელში, რომ დაახლოებით სწორია მისი ესა თუ ის მოსაზრება, მაგრამ ან არასწორად ესმის ტექსტი, ან ზერეულედ კითხულობს მას. ავიღოთ ასეთი მაგალითი: ზ. ჰიჭინაძის ბიბლიოთეკის კუთვნილება ყოფილა ხელნაწერი S№ 1091. ეს არის ანბანთქება. ხელნაწერს მითითებული აქვს, რომ ის არის ზ. ჰიჭინაძის კუთვნილება და მისივე ხელით არის წარწერილი სათაურად „ბაქარ ბატონიშვილის ლექსები“. ლექსებში გამოხატულია ერთგვარი სევდა, შიში მოსალოდნელი უბედურების წინაშე, ვედრება ღვთისადმი, რომ განსაცდელს გადაარჩინოს ავტორი და სხვ.

ანბანთქების ბოლოს პოეტი ამბობს:

ამაზედან ანბანთქება დაესრულა ჩემის თქმითა,
უცხონი და ჯერ უთქმელნი პატას მიერ გამოთქმითა.
ნურც შერეთ და ნურც განთვისებთ, ასე სწერეთ ზედმობითა.

³ ა. ბარამიძე, ნარკვევები, თბ., 1940, II, გვ. 475.

ე. ი ანბანთქებაში ავტორი პირდაპირ ასახელებს თავის თავს — პაატას. ეს სწორედ ის პაატა ბატონიშვილია, ვახტანგის უკანონო ვაჟი, რომელიც მსხვერპლად შეეწირა ქართლის სამეფო ტახტისათვის ბრძოლას. პაატასაც და მის ბიოგრაფიასაც, ერეკლესაგან მისი დასჯის ისტორიასაც მშვენივრად იცნობს ზ. ჭიჭინაძე, სხვაგან ვრცლად მოგვითხრობს ამის შესახებ, მაგრამ ანბანთქებას, რომელშიც პაატას როგორც ავტორის სახელიც კი არის მოხსენიებული, მიაწერს არა პაატას. არამედ ბაქარს. აქ, ალბათ, რომელიღაც პირმა, რომელსაც ეს ლექსები ზ. ჭიჭინაძემ წააკითხა (ან ვისგანაც შეიძინა), სწორად მიიჩნია იგი პაატასეულად, მაგრამ ეს შესაძლოა ზეპირად ითქვა, ხოლო დროთა ვითარებაში მეხსიერების ლალატით და არა ტექსტზე დაკვირვებით, ზ. ჭიჭინაძემ პაატას ნაცვლად ავტორად ბაქარი წარმოადგინა.

ბესიკის შესახებ ზ. ჭიჭინაძის მიერ მოცემულ ცნობებს ფართოდ ეწევა ანგარიში ჩვენს მეცნიერებაში. არცერთი მკვლევარი, რომელიც კი შეხებია ბესიკის ბიოგრაფიას თუ შემოქმედებას, გვერდს არ უვლის ზ. ჭიჭინაძის ცნობებს. მართლაც, ზოგი მათგანი ექვს ქვეშ არის დაყენებული, ზოგი სრულიად არ დასტურდება, მაგრამ ზოგიერთი ძალზე საინტერესოა და მომავალ ძიებას მოითხოვს (ასე მაგალითად, ცნობა იმის შესახებ, რომ ბესიკის ზოგი ლექსი საიათნოვას გადაუთარგმნია). სამაგიეროდ ზ. ჭიჭინაძის მთელი რიგი ცნობები ბესიკთან დაკავშირებით დადასტურებულია და მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ.

თუნდაც ის ფაქტი, რომ აღმოჩნდა ზ. ჭიჭინაძის მიერ ბესიკის ლექსებად მიჩნეული რამდენიმე ლექსი და, რაც მთავარია, დადასტურდა ბესიკის საფლავის ეპიტაფია, კვლავ აყენებს საკითხს, თუ რა ჰქონდა ხელთ ზ. ჭიჭინაძეს ბესიკთან დაკავშირებით. დღეს, როდესაც აღმოჩენილია ბესიკის საფლავის ქვა და მისი ტექსტიც რამდენჯერმე გამოქვეყნებული, ვხედავთ, რომ ზ. ჭიჭინაძის მიერ წარმოდგენილი ტექსტი არც თარიღებით და არც შინაარსით არ განსხვავდება ბესიკის ახლად აღმოჩენილი ეპიტაფიისაგან, მაშ ახლავს მხოლოდ მკირეოდენი უზუსტობანი. ვინ უნდა ყოფილიყო ის წამკითხველი ეპიტაფიისა, რომლის გადაწერილი (ან მისგან მომდინარე) ტექსტი ხელთ ჰქონდა ზ. ჭიჭინაძეს? ზ. ჭიჭინაძე ეპიტაფიის ტექსტის მოტანის შემდეგ წერს: „ბესიკის გარდაცვალების გამო იმერეთის მაქსიმე კათალიკოსსაც მიუწერია წერილი იასში და მოუკითხავს მისი ამბები, განსაკუთრებით დასაფლავების გამო“⁴. ხომ არ შეიძლებოდა მაქსიმე კათალიკოსს მიეღო სწორედ ეს ეპიტაფია, ამოკითხული ბესიკის საფლავზე. ეს ინფორმატორი, როგორც ჩანს, ბერძნულის მცოდნე არ უნდა ყოფილიყო, ამით

⁴ ზ. მთაწმინდელი, ბესიკი, თ. ი. ჭავჭავაძე და თ. გ. ორბელიანი, თბ., 1886, გვ. 18.

აიხსნება ის ცნობაც, რომ „საფლავს ბულგარული წარწერაც აქვსო“. ნ. ბერძენიშვილის წოგზაურობის შემდეგ ცსობილი ვახდა, რომ ის არის ბერძნული და არა ბულგარული წარწერა (დღეს იგი ქართული თარგმანით გამოქვეყნებულია ერთხელ გ. ლეონიძის, ხოლო მეორედ ვ. მაჰარაძის მიერ). გ. ლეონიძე წერდა, რომ ბერძნულ ტექსტში „ქვის დამდგმელად იხსენიება იოსები, ბესიკის ძმა (ცნობილი კალიგრაფი — „ოსედ“ წოდებული)“. ეს კი გ. ლეონიძეს აფიქრებინებდა, რომ ოსე გაბაშვილს ამის მატერიალური შესაძლებლობა ექნებოდა გვიან, როდესაც ჯერ ყიზლარში და შემდეგ ბელგოროდში იგი ანა დედოფლის ხარჯით საზრდოობდა.⁵

მაგრამ, რადგანაც ვ. მაჰარაძის მიერ გამოქვეყნებულ ბერძნულ ტექსტში სახელი იოსები არ ჩანს, მაშინ ამ ვარაუდსაც, ჩვენის აზრით, საფუძველი ეცლება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბესიკის საფლავის ქვა, შეეძლოთ დაედოთ იმავე ქართველებს, ვინც იასას მიწას მიაბარა 40 წლის ბესიკი. ისიც საფიქრებელია, რომ იმერეთიდან წარგზავნილი ელჩის ცხედარს უპატრონოდ არ დატოვებდა არც პოტიომკინი, და არც თუნდაც რუსეთის საელჩოს გარუსებული ქართველები ს. ლაშქაროვი ან ს. იგნატოვი. აკი წერს კიდევ ოსე გაბაშვილი ანა დედოფალს „დაამარბვინა დიდმან კნიაზმანო“. ეს სრულიად ლოგიკური უნდა ყოფილიყო. ამიტომ ლოგიკური იქნება, თუ ქვის დადების თარიღს იმ ხანებს დავუკავშირებთ, სანამ იმერეთის ელჩობა იასიდან ჩამოვიდოდა. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ სრულიად ბუნებრივად გაირკვევა, რომ ზ. ჭიჭინაძის ხელში არსებულ რომელიღაც ხელნაწერში ყოფილა ბესიკის ეპიტაფიის ტექსტი. თუ გავიხსენებთ ზ. ჭიჭინაძის ნათქვამს იმის შესახებაც, რომ „იმერეთის მაქსიმე კათალიკოსს მიუწერია წერილი იასში და მოუკითხავს მისი ამბები, განსაკუთრებით დასაფლავების გამო“, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ზ. ჭიჭინაძეს ხელთ ჰქონია მაქსიმე კათალიკოსისათვის იასიდან რომელიმე ქართველის მიერ გამოგზავნილი პასუხი ბესიკის დაკრძალვის შესახებ საფლავის ეპიტაფიითურთ.

რა შესძინა ძველი ქართული მწერლობის ისტორიას ზ. ჭიჭინაძემ? თავი რომ დავანებოთ მის კოლექციონერულ და საგამომცემლო საქმიანობას, რომელსაც თავისი დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დღეს ლიტერატურის ისტორია იზიარებს ზ. ჭიჭინაძის მთელ რიგ ცნობებს იაკობ ღუმბაძეზე, XVII—XVIII სს. ქართულად ყურანის თარგმნის საკითხებზე, „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალობის საკითხზე და სხვ. აღმოჩენილია მთელი რიგი ძეგლები, რომელთა შესახებ

⁵ გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 391.

ზ. ჭიჭინაძე იუწყება მინახავსო. მაგ., დიმიტრი მეფის იამბიკონი (დღევანდელი AN № 342 ხელნ.); დადასტურებულია, რომ ბესიკის არის ის ლექსები, რომელთაც ზ. ჭიჭინაძე ბესიკს მიაკუთვნებდა; აღმოჩნდა და გაიკრვა „ვეფხისტყაოსნის“ იმ ცალის ისტორია და რაობა, რომელსაც იგი პ. იოსელიანის სახელს უკავშირებდა და რომელიც დღეს ზაზასეულის სახელით არის ცნობილი; სიტყვასიტყვით დადასტურდა ზ. ჭიჭინაძის მიერ 1885 წელს წარმოდგენილი ბესიკის საფლავის ეპიტაფია, რომელიც მხოლოდ 1949 წელს იქნა მიგნებული.

ყველაფერი ეს ზ. ჭიჭინაძეს მისცა პირველწყაროებთან, ხელნაწერებთან ახლოს ყოფნამ და დაკვირვებამ.

ზ. ჭიჭინაძე ჩვენს წინაშე, ასე ვთქვათ, ორი ქვეყნის მიჯნაზე დგას. ზ. ჭიჭინაძე ქართული მწერლობის დიდი მოტრფიალეა და გულშემატკივარი და, მეორე მხრივ, ზ. ჭიჭინაძე მუშა ხელოსანთა წრეში სოციალისტური აზრების მხურვალე მქადაგებელი და პროპაგანდისტი. და უნდა ითქვას, რომ ზ. ჭიჭინაძე დაიბნა, ველარ გაერკვა ძველისა და ახლის ამ ურთულეს სიტუაციაში. ცნობილია, რომ იყვნენ მარქსიზმის გამაუბრალოებლები და ეულგარიზატორები. მათ გამო ჩვენს ლიტერატურაში და კრიტიკაში წლების განმავლობაში ვრცელდებოდა არასწორი ეულგარული და ნიჰილისტური შეხედულებები ქართული ლიტერატურის საკითხებზე, განსაკუთრებით ძველი მწერლობის საკითხებზე, მათი გავლენის ქვეშ მოექცა ერთ დროს ზ. ჭიჭინაძეც, რომელმაც 1888 წელს სანდალას სახელით გამოსცა პატარა წიგნაკი „წერილები ქართულ მწერლობაზე“. ამ წერილებში მან გადაათვა ანუ თავდაყირა დააყენა თავისი მთელი ნაღვაწი და განაცხადა: „ნუთუ მე შემეფერებოდ ის, რომ ჩვენთა ძველებურთა მამათა ცხოვრების აღწერას გავყოლოდი, მათგან დატოვებულ წიგნების შეკრებას, სიგელგუჯრების და სხვების. ეს რა ჩემი საქმე იყო, ეს რა ჩემი მოვალეობა უნდა ყოფილიყო; მე უნდა მემუშავნა ჩემი გონების და ცოდნის შესაძენად. მე უნდა შემეძინა ისეთი სწავლანი და ცოდნანი, რაც უფრო გამოსადეგი იქნებოდა, როგორც ჩემთვის, ასევე ჩემიფერისვე ქუჩის მუშა ძმა-ბიჭებისათვის. მაგრამ მე ეს ვერ შევიცანი, მე ვიცანი ჩვენი ძველი ცხოვრება, შევიყვარე ჩვენი ნეტარხსენებული წმიდანი და ტკბილნი ქართველი მამანი, შევიყვარე მონასტრები, მონასტრის კედლები, ციხეები, კოშკები და ამ ძველი წიგნების სიყვარულისაგან მე ისე ვიყავ საღერღელაშლილი, რომ ქართული წარსულის მწერლობისთანა მდიდარ მწერლობად არც ერთი ერის წარსული არ მიმაჩნდა (გვ. 50-51).

ზ. ჭიჭინაძე იგონებს არჩილს, ვახტანგს, თეიმურაზ მეორეს და ასკენის, რომ მთელი მათი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა საკუთარი თავის გადარჩენისკენ იყო მიმართული. „თეიმურაზ პირველი —

წერს ზ. ჭიჭინაძე — ეს უპატიოსნო პირი იმ დროს სწერდა „ვარდ-ბულბულიანებს“ და ასეთებს, როცა მის სამშობლო ერს აყრა და სპარსეთში გადასახლებას უქალდნენ. ეს კი ამ დროს იმას დარდობდა, რომ ვაითუ ბოლოს გასაკიცხი გავხდე და მდღურვა დამიწყოთ, მე საღმთო საგნების ნაცვლად ზღაპრების გალექსვას მივდევიო“ (გვ. 58).

სანდალას წერილებზე სამი წლით ადრე ზ. ჭიჭინაძემ 1885 წ. გამოსცა ბესიკის ლექსები. ამ წიგნში ზ. ჭიჭინაძე უკვე ერთგვარი ეპიკით უყურებდა ძველი ქართული მწერლობის წარმომადგენლებს, მაგრამ ისეთ ნიპილიზმამდე ჭერ კიდევ არ იყო მისული, როგორც სანდალას წერილებში გამოავლინა. ის წერს: „აქ ერთი ჩემი მწუხარება იმას შეიცავს, რომ მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც საქართველო ათასნაირ გასაჭირ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი... რაზედაც ქართველი მეისტორიენი გვარწმუნებენ, ამ დროის პოეტებს კი ამ საგლოველო დროების შესახებ სიტყვაც არ დაუძრავთ და ვარდის, ბულბულიანისა და წითელი ლაწვების გარდა ვერას შეჰხებიან. ...ერი იწოდაო, ერი იდაგებოდაო, ოთხკუთხივ აღმური ასდიოდაო და იმ დროს პოეტებს კი ეს წვა და დაგვა თითქოს აინუნშიც არ მოდიოდათ, არ ესმოდათ და ერთავად მხოლოდ ვარდებს და ბულბულებს დამღერდნენ. ასე რომ, არცერთმა მათგანმა არ დაგვიტოვა ისეთი რამ ხეირიანის მიმართულე-ბით სავეს პოეტური ნაწარმოებნი, გარდა დ. გურამიშვილისა, რომელშიც რიგიანად იყოს გამოხატული მაშინდელი ქართველობის ბედი და მნიშვნელობა. ამის შესახებ ჩვენ სხვაგან მოვილაპარაკებთ“, — წერდა ზ. ჭიჭინაძე.

ეს პირველი წერილია ჩვენის აზრით, სადაც უკვე სხვა თვალსაზრისი აქვს შემუშავებული ზ. ჭიჭინაძეს ძველი ქართული მწერლობის შესახებ. ე. ი. ძველი ქართული მწერლობის მთავარ ნაკლს, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, იგი ხედავს სოციალური მოტივებით და ეროვნულ-ისტორიული თემატიკით დაუინტერესებლობაში. ამ წერილში ზ. ჭიჭინაძე პირველად მთელ მის ნაწერებში ახსენებს დ. გურამიშვილს, მაგრამ ახსენებს მას, როგორც გამონაკლისს, ე. ი. პოეტს, რომელმაც წერის საგნად თავისი ქვეყნის ეროვნული, ისტორიული სინამდვილე აქცია. ასევე 1886 წ. გამოცემულ წიგნში „ბესიკი, თ. ა. ქავჭავაძე და თ. გ. ორბელიანი“, მან დ. გურამიშვილი, როგორც გამონაკლისი, დაუპირისპირა ბესიკს და მთელ XVIII საუკუნის დროინდელ საზოგადოებას.

დ. გურამიშვილის ეს ორად ორი ხსენებაც კი მიუთითებს იმაზე, თუ რა მიაჩნია მას ძველი ქართული მწერლობის ნაკლად. საოცარია, რომ წლების მანძილზე ზ. ჭიჭინაძის უანგარო თავდადება ძველი ქართული მწერლობისადმი, მისი მიდგომა ძველი ქართული მწერლობისადმი ისტორიული თვალსაზრისით და არა იმის მიხედვით, რამდენად

მისაღები იყო ეს მწერლობა XIX საუკუნისათვის, სწორი იყო, 90-იან წლებში კი, როგორც ვთქვით, ზ. ჭიჭინაძის შეხედულებებმა არასწორი გავლენის გზით სულ სხვა სახე მიიღო და სრულ უაზრობამდე მივიდა. სანდალას წერილები, როგორც მოსალოდნელი იყო, მხედველობიდან არ შეიძლებოდა გამორჩენოდა იმდროინდელ ქართულ მოწინავე აზრს, რომელიც „ივერიაში“ პოვებდა თავის გამოსახულებას და იმავე წლის „ივერიაში“ (№ 193) მეთაური წერილების სახით დაიბეჭდა სამი ფელეტონი სანდალას წერილებზე, წერილის ავტორმა ქვა ქვაზე არ დატოვა სანდალას წერილებიდან და უღმობელი სატირით და ილიასებური სიცხადით მკითხველს გააცნო სანდალას წერილების სიმცდარე და უხამსობა.

სანდალას წიგნზე ფელეტონი „ივერიაში“ დაბეჭდილი იყო, როგორც ვთქვით, მეთაური წერილის სახით. ყველაფერიდან ჩანს, რომ მისი ავტორი ი. ჭავჭავაძეა. ამიტომ ილიას თხზულებათა კრებულში მათი არშეტანა არ მიგვაჩნია გამართლებულად. ილიას თხზულებებში შეტანილია წერილი „სანდალას წიგნის გამო“, რომელშიც იგი ერთგვარად აჯამებს „ივერიაში“ გამოთქმულ შეხედულებებს იმავე საკითხზე. „მაგისტანა კაცთა მოვლენა, წერს ილია, როგორც ბ-ნი სანდალა თავისის ნაწერითა, დროთა ნიშანია და ავთა დროთაცა, დაგვიჭვრეთ. რა უკადრისობა, რა ლანძღვა-თრევა, რა უწმაწურობა არ აკადრა ჩვენს საწყალ მამებს, ჩვენს მამა-პაპას, ჩვენს წარსულს, სასიკადულო-საისტორიო კაცებს, ჩვენს თავმოსაწონებელს ძველ თუ ახალს მწერლებს!.. ასე გაუპატიურებული, ასე შეგინებული, ასე უშვერად და ურცხვად ხსენებული ჯერ არავისაგან არ ყოფილან ჩვენი წინაპარნი, ჩვენი წარსული, ჩვენი „წმიდათა-წმიდა“... მთელი წიგნი ერთი თავგამოდებული ჭუჭყია, ერთი რაღაც მურტალი ტალახია, ყოვლად უმეცრების, ყოვლად უვიცობის და უჭკუობის... სანდალა, როგორც ჩანს მის ნაწერისაგან, არაფერზედ უფრო არაფერია. არაფერზედ უფრო არააა, მაგრამ საქმე თვითონ სანდალა არ არის. საქმე იგი ცხოვრებაა, რომელიც შესაძლოდა ჰხდის იმისთანა კაცის გაჩენასა და მოვლენას... ვაი გლეხის შვილობავ, რომ შენი პატიოსანი და ნამუსიანი სახელი სანდალას დაუჩემებია და ასე უსირცხვილოდ ჰლახავს, ათრევს, პირგახეულად სვრის და თავის უწმინდურობით ატურტლიანებს... იქნება, სანდალა მართლა გლეხის შვილიც იყოს, მაგრამ ვერაფერი შვილია, ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო... დიად, ბატონებო, სანდალას ნაწერისთანა მოვლენა სახუმარო მოვლენა არ არის, ეგ ნაწერი, მართალია, ჩვენის ცხოვრების ჩირქია, უკვე მუწუჟიდან გამორწყული, მაგრამ ვინ გვითავედებებს, რომ მაგ მუწუჟს საზრდო და საკვები აღარა აქვს ჩვენში? ვინ გვითავედებებს, რომ რაკი გამოირწყა, მუწუჟიც მოგვირჩა და ჩვენს

ტანს ცხოვრებისას კვლავ ზედ არ აზის ჩვენდა სამარცხვინოდ, ჩვენდა სატივიარად?"⁶

ზ. ჭიჭინაძე მიხვდა მთელ თავის შეცდომებს და ილიას სიტყვების მთელ სიდიადეს, ისიც ენიშნა, ილია რომ მიუხვდა — ეს მხოლოდ სანდალას აზრები არ არისო. ფაქტია, რომ იმავე 1888 წ. იყო გამოსული ზ. ჭიჭინაძის „ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში“. რამდენიმე თვით სანდალას „წერილებზე“ ადრე იყო გამოსული, თუ რამდენიმე თვით გვიან, ეს ფაქტი ორივე შემთხვევაში იმის მაჩვენებელია, რომ სანდალას „წერილები“ რაღაც შემთხვევითობას წარმოადგენდა ზ. ჭიჭინაძის მოღვაწეობაში. და ეს კიდევ გამოჩნდა 1897 წ. ზ. ჭიჭინაძის მიერ დაწერილი წიგნიდან „თ. ილია ქავჭავაძე როგორც ქართველთა ერთობის მლალადებელი“ (1897 წ.).

ზ. ჭიჭინაძე ამ წიგნში წერდა: „ილია ქავჭავაძის ცხოვრების შესახებ წერა ჩემს მდგომარეობაში მყოფ პირისთვის ძლიერ ძნელია, რომ ყველაფერი დაიწეროს და გამოქვეყნდეს, მაგრამ რას ვიზამ. მე ამ წერილში უნდა ვილაპარაკო სულ ჩემით... მე აქ სხვების შემოწმებას და დასაბუთებას არ ვსაჭიროებ, რადგან ჩემი საუბრის კილო მკაცრად იქნება მოცილებული იდეალურს თაღლითობას“⁷. წიგნში ზ. ჭიჭინაძე ეხებოდა ი. ქავჭავაძის მრავალმხრივ მოღვაწეობას და, როგორც სათაურიდანვე ჩანდა, მას ქართველთა ერის მლალადებელს უწოდებდა. ჩვენთვის კი ის არის საყურადღებო, რომ წიგნში ნათქვამი იყო: „იმან (...ი. ქავჭავაძემ) დასწერა რამდენიმე წერილი სანდალას შესახებ... მე ჯეროვანი ყურადღება მივაპყარ მას. რაც სანაქებოდ და ქეშმარიტად ვცან, ის მე მივიღე ჩემს ცხოვრებასა და მოქმედებაში“.

დღეს, რამდენიც არ უნდა დაიწეროს ზ. ჭიჭინაძეზე, მის მოღვაწეობას მაინც ვერავინ შეაფასებს ისე სხარტად, როგორც თვითონ მან შეძლო: „მე ბევრ რამეში შეიძლება გასაკიცხი და საგმობიც ვიყო, მაგრამ გავბედავ და იმასაც ვიტყვი, რომ ბევრს გმობასა და კიცხვასთან ის მაინც უნდა იყოს საყურადღებო, რომ ვბეჭდავ ზოგიერთ ისეთ ხელნაწერებს, რომელთა აღდგენა კი არა და მოპოვებაც ძნელია. ამგვარი იშვიათი წიგნები ოღონდ დაიბეჭდონ, ოღონდ დედანი გაჩნდეს და მერე მის სინამდვილით აღდგენა ისე ძნელი აღარ იქნება სხვათათვის მომავალში, როგორც ეს დღეს არის“. ამაში მართალი იყო ზ. ჭიჭინაძე.

⁶ ი. ქავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, IV, თბ., 1955, გვ. 195—

199.

⁷ ზ. ჭიჭინაძე, თ. ი. ქავჭავაძე, როგორც ქართველთა ერთობის მლალადებელი, თბ., 1897, გვ. 3—4.

თედო (თევდორე) დავითის ძე ჟორდანია იყო სახელოვანი ისტორიკოსი-არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ქართული ენის გრამატიკის ერთ-ერთი პირველი შემდგენელი და ცნობილი პედაგოგი. იგი მიეკუთვნება ქართველ საზოგადო მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელსაც დიდ პატივს სცემდა ი. ჭავჭავაძე. ერთი მკვლევრის შენიშვნით, დიდ ილიას „ესმოდა მისი გულის ძგერა, იცოდა მისი ფასი და მნიშვნელობა“¹.

თ. ჟორდიანის ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი მომენტები ასეთია: დაიბადა 1854 წელს, სამურზაყანოში (სოფ. მოქვი), მღვდლის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება სასოფლო სკოლაში მიიღო. 1868 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი და სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1875 წ. სახელმწიფოს ხარჯზე სასწავლებლად იგზავნება მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, სადაც იჩენს დიდ შრომისმოყვარეობას, ეწაფება ცოდნას და დროის დიდ ნაწილს აკადემიის მდიდარ წიგნსაცავში ატარებს. მალე აქვეყნებს პირველ მეცნიერულ შრომას².

მოსკოვის სასულიერო აკადემიაში იგი ისმენდა ცნობილი ისტორიკოსის ვ. კლიუჩევსკის ლექციებს, იგი ამ გამოჩენილი მეცნიერის საყვარელ სტუდენტად ითვლებოდა და მისი განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა.

აკადემიაში სწავლის დამთავრების შემდეგ თ. ჟორდიანისათვის ვ. კლიუჩევსკის ურჩევია კიდევ დარჩენილიყო მოსკოვში საპროფესოროდ მოსამზადებლად. „ბევრი ვუშაღე, — ამბობდა თურმე იგი, — აქედან (მოსკოვიდან) არ წასულიყო, მაგრამ არაფერი გამოვიდა“³

1879 წ. თ. ჟორდიანიამ დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია. დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო პედაგოგად თბილისის სასულიერო სასწავლებელში. მალე იგი სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად გადაიყვანეს.

1880 წ. თ. ჟორდანი აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად. იგი ასრულებდა საკატალოგო კომისიის წევრის მოვალეობას. სამი წლის შემდეგ თ. ჟორდანი გადაი-

¹ ს. ცაიშვილი, თევდორე ჟორდანი, წიგნში: სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, თბ., 1953, გვ. 230.

² Государственные сановники при вселенских соборах. К вопросу об отношении церкви к государству, М., 1879.

³ თ. სახოკია, ჩემი საუკუნის აღმჩინები, თბ., 1969, გვ. 93.

ყვანეს სასულიერო სემინარიაში, სადაც ასწავლიდა დიდაქტიკას, მსოფლიოსა და რუსეთის ისტორიას. სემინარიაში მუშაობის პერიოდში თ. ჟორდანიას თავდადებით იბრძოდა ქართული ენისა და სიტყვიერების სწავლების დაცვის მიზნით. მას ბრძოლა მოუხდა სემინარიის რექტორთან — დეკანოზ პ. ჩუღუბაძისთან, რომელსაც ზურგს უმაგრებდა საქართველოს ეგზარქოსი პავლე. ორივენი საქართველოსა და ქართველი ხალხის მოძულენი იყვნენ და მათი მცდელობით სემინარიაში ქართული ენის დევნასა და შევიწროებას თანამიმდევრული და სისტემატური ხასიათი ჰქონდა. შტატგარეშე კათედრა, კვირაში მხოლოდ ორი უკანასკნელი საათი — ქართული ენის აბუჩად აგდებას ნიშნავდა. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, თ. ჟორდანიას ენერგიულად ცდილობდა მოსწავლეებისათვის ესწავლებინა და შეეყვარებინა მშობლიური ენა და ლიტერატურა. სემინარიაში მუშაობის დროს დაამთავრა მან „ქართული გრამატიკა“, რომელიც ცალკე წიგნად გამოსცა 1889 წელს.

1888 წლის ივლისიდან თ. ჟორდანიას დანიშნეს საეკლესიო მუზეუმის გამგედ. მომდევნო წლიდან იგი საეკლესიო-საარქეოლოგიო სამუშაოს წევრია. 1889—91 წლებში თ. ჟორდანიას მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ისტორიული მასალების შეკრების მიზნით.

ი. ვართაგავა იგონებს: „სემინარიაში მუშაობის დროს საეგზარქოსოს ხელმძღვანელობა მას უნდობლად უწყურებდა... ანაფორიან მოხელეებს განსაკუთრებით არ მოსწონდათ თედოს ნაყოფიერი და თვალსაჩინო მუშაობა ძველი ქართული ისტორიული მასალების შესწავლა-გამოკვლევის და გამოცემის საქმეში. მათ კარგად გაეგებოდათ, რომ თედოს ამ ხასიათის მოღვაწეობა ხელს უწყობდა ქართველ საზოგადოებაში და ახალგაზრდობაში ეროვნული შეგნების განმტკიცებას, საქართველოს წარსულისადმი სიყვარულს. ეს ანაფორიანი მოხელის თვალში პოლიტიკურად დაუშვებელი იყო... ისინი ხედავდნენ, რომ ის დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა თბილისში და უნდობლად თავიდან მოეშორებინათ“.⁴

1896 წელს თ. ჟორდანიას გადაიყვანეს გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების ეპარქიულ მეთვალყურედ. იქ მან დიდი მუშაობა ჩაატარა შერაზმელი დეკანოზის ვ. ვოსტორგოვის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, რომელიც მოითხოვდა საქართველოს სამრევლო სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე ეწარმოებინათ, ხოლო სამეგრელოში კი ეს პოლიტიკა განსაკუთრებული მონდომებით გაეტარებინათ, რადგან ქართულ ენას მეგრელისათვის არამშობლიურ ენად თვლიდნენ.

ასეთივე თავგამოდებით იბრძოდა თ. ჟორდანიას ცნობილი რუსიფი-

⁴ ი. ვართაგავა, მოგონებები, თბ., 1956, გვ. 150.

კატორის ვ. იანოვსკის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვდა საქართველოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუქმებას. მისმა (თ. ჟორდანიას) მონღომებამ შესაძლებელი გახადა ამ პოლიტიკის ჩაშლა.

1899 წ. თ. ჟორდანია დანიშნეს საეკლესიო სიძველეთსაცავის მზრუნველი კომიტეტის წევრად (1901 წელს მან საეკლესიო მუზეუმს შესწირა 100 ხელნაწერი წიგნი). 1904 წ. იგი გადაიყვანეს იმერეთის სამრევლო სკოლების ეპარქიულ მეთვალყურედ. 1907 წ. აირჩიეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრად. ორი წლის შემდეგ თ. ჟორდანია გაემგზავრა მოსკოვსა და პეტერბურგში, სადაც შეხვდა თავის ყოფილ მასწავლებელს ვ. კლიუჩევსკის, ცნობილ მოღვაწეებს ა. ხახანაშვილს, ა. სუმბათაშვილს და სხვ. მალე მან ავადმყოფობის გამო თავი დაანება სამსახურს, დასაბლდა ქ. გორში. თ. ჟორდანია გარდაიცვალა 1916 წ. ქ. კასპში, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

დიდი და მრავალფეროვანია თ. ჟორდანიას მეცნიერული მემკვიდრეობა. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს:

1. „ქრონიკები“, რომელიც გვიანტერესებს როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის ამსახველი მასალების კრებული, ხოლო ამ მასალებისათვის დართული შენიშვნები, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიკოს-მკვლევარის ნააზრევები;

2. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობანი;

3. ორიგინალური ნაშრომები;

თ. ჟორდანიას დიდი მეცნიერული მემკვიდრეობიდან ყველაზე მნიშვნელოვანია „ქრონიკები“⁵. ავტორის სიცოცხლეში გამოვიდა „ქრონიკების“ ორი წიგნი. მას მასალების შეგროვება გასული საუკუნის 80-იან წლებში დაუწყია.

პირველ წიგნში მოცემულია მასალები უძველესი დროიდან 1213 წლამდე, ხოლო მეორე წიგნში — 1213 წლიდან 1699 წლამდე (აქვეა მოცემული დამატებების სახით XI, XII და XIII საუკუნის დამდეგის ისტორიული მასალებიც. ავტორს განზრახული ჰქონია გამოეცა „ქრონიკების“ მესამე წიგნიც, რომელშიც შევიდოდა მასალები 1700 წლიდან. სამწუხაროდ, თ. ჟორდანიას გარდაცვალების გამო ეს საქმე თავის დროზე არ განხორციელებულა. მხოლოდ 1967 წელს გამოიცა „ქრონიკების“ მესამე წიგნი გ. ჟორდანიასა და შ. ხანთაძის რედაქციით. გამოცემლებმა ფაქტიურად დაასრულეს ეს უზარმაზარი შრომა. მათ

⁵ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, I, თბ., 1892; II, თბ., 1897; III, თბ., 1967.

მოუხდათ თ. ჟორდანიას მიერ გამოყენებული ისტორიული წყაროების გადასინჯვა და შემოწმება. ისინი შეეცადნენ „ქრონიკების“ მესამე წიგნისათვის მიეცათ ისეთი სახე, რომელიც შეესაბამებოდა თ. ჟორდანიას განზრახვას. მათ დააზუსტეს და შეაჯერეს „ქრონიკების“ ტექსტი ისტორიულ წყაროებთან, შეძლებისდაგვარად დაადგინეს ამა თუ იმ წყაროს დღევანდელი ადგილსამყოფელი.

საინტერესოა „ქრონიკებზე“ მუშაობის პროცესი. თ. ჟორდანიას მის მიერ მოპოვებული მასალა შექმონდა „უბის წიგნებში“ და შემდეგ გადაქმონდა „ქრონიკებში“ ქრონოლოგიურად დალაგებული და გაანალიზებული. მრავალფეროვანი და საინტერესოა ავტორის მიერ გამოყენებული წყაროები: სხვადასხვა ისტორიული საბუთები, ხელნაწერი და გამოცემული წიგნები, ხელნაწერთა ანდერძები და მინაწერები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხატებისა და სხვა საკულტო საგნების წარწერები, საფლავთა წარწერები. მთავარია მათ შორის წიგნები და ხელნაწერები, რომელნიც მან შეისწავლა საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტერში, კერძო პირთა ოჯახებში და ხელნაწერთა საცავების კოლექციებში.

თ. ჟორდანიას მიერ მიკვლეულ და შესწავლილ საბუთთა და ხელნაწერთა დიდი ნაწილი ვადარჩენილია, მაგრამ მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ მოაღწია ჩვენამდე. მათი ვათვალისწინება დღეს მხოლოდ თ. ჟორდანიას ჩანაწერების საშუალებით ხდება. თუ იმასაც ვავითვალისწინებთ, რომ იგი ყოველთვის ცდილობს დაათარილოს მის მიერ მოპოვებული ძეგლები და გაარკვიოს მათი ღირსება, ადვილი წარმოსადგენია მისი ჩანაწერების მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისა და ისტორიისათვის, რადგანაც „ეს ჩანაწერები ეკუთვნის მეტად დაკვირვებულ, მახვილი თვალისა და დიდი ერუდიციის მქონე მკვლევარს, რომლის მეცნიერული პატიოსნება და სურვილი ჭეშმარიტების მსახურებისა ყოველ ეჭვს გარეშეა დაყენებული“⁶. მართებულად შენიშნავს ლ. ძოწენიძე, რომ თ. ჟორდანიას არ დაუწერია სისტემატური კურსი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, მაგრამ მან გაარკვია ზოგი ბნელით მოცული საკითხი, წარმოადგინა მთელი რიგი ახალი დებულებანი და თავისი სიტყვა თქვა ძველი ქართული მწერლობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე⁷. მართალია, ზოგი რამ მისი ფილოლოგიური ნაზრებიდან თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ შეწყყნარებული არაა, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრება დღესაც გასაზიარებელია.

⁶ შ. ხანთაძე, თ. ჟორდანია, წიგნში: თ. ჟორდანია, ქრონიკები, 111, გვ. 06.

⁷ ლ. ძოწენიძე, თ. ჟორდანია და ძველი ქართული მწერლობა, „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, I (1962), გვ. 161.

„ქრონიკების“ მეორე წიგნსა და შრომაში „მთავარეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე XVIII საუკუნეში“⁸ თ. ჟორდანიას გამოთქვამს მოსაზრებებს ქართული ბიბლიის საკითხებზე. მისი განცხადებით, დაბადების წიგნები ქართველებს V საუკუნეზე ადრე უნდა ჰქონოდათ, ისინი გადმოქართულდებულნი უნდა ყოფილიყვნენ ასურული ან ქალდეური ენიდან. იგი პირველ მთარგმნელებსაც კი ასახელებდა — სტეფანესა და დავითს. გიორგი მთაწმიდელი მას ბიბლიის მთარგმნელად მიაჩნდა, ხოლო მის მიერ ხმარებულ ტერმინს „ხანმეტს“ გეოგრაფიულ ტერმინად თვლიდა. მისი აზრით, ბაქარის ბიბლია (1743 წ.) გასწორებულია არა მართო-სლავური დედნით, არამედ სხვა დედნების მიხედვითაც.

ქართულ ენაზე V საუკუნეზე ადრე ბიბლიური წიგნების არსებობის შესახებ ლაპარაკი მხოლოდ ჰიპოთეზაა და დამამტკიცებელი საბუთები არ არსებობს, ხოლო იმის გარკვევა, თუ რომელი ენიდან ითარგმნა ქართული ბიბლია, ჭერ კიდევ დიდ მუშაობას მოითხოვს, თუმცა „გამორიცხული არ არის თარგმნის პროცესში სირიული დედნის გამოყენებაც“ (კ. კეკელიძე)⁹.

„ხანმეტის“ გეოგრაფიულ ტერმინად გაგების საკითხი კარგა ხანია მოხსნილია სამეცნიერო ლიტერატურაში და გარკვეულია, რომ გიორგი თავის ანდერძში გულისხმობს ხ-ანით ზედმეტად შემკულ ტექსტებს. საინტერესოა თ. ჟორდანიას აზრი, რომელსაც ის გამოთქვამს სახარების გიორგი მთაწმინდელისეულ რედაქციაზე. მისი აზრით, გიორგი მთაწმიდელმა ახლად კი არ თარგმნა სახარება, არამედ შეასწორა მხოლოდ. ამ აზრს კ. კეკელიძეც იზიარებს.

თ. ჟორდანიას დამსახურებას „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში თავის დროზე ი. ჭავჭავაძისეული აღნიშნავდა¹⁰. მკვლევარი ცდილობდა აეხსნა „ქართლის ცხოვრების“ „დაკვანძული ადგილები“ და შეეცა „ქრონოლოგიური ნაკლი მატთანისა“. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობასა და ავტორებს. მიუხედავად დიდი მცდელობისა, მკვლევარმა ვერ შეძლო „ქართლის ცხოვრების“ მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა. მის მოსაზრებათა საერთო ნაკლი ის არის, რომ მას ყველა მემატიანე თვითმხილველად მიაჩნდა. თ. ჟორდანიას მსჯელობაში გვხვდება ტრადიციული შეცდომა ე. წ. ნებროთის წიგნის შესახებ. ამ წიგნს მკვლევარი

⁸ ქრონიკები, II, გვ. 37, 40, 207, 209; „ივერია“, 1884, № 2—3. ვრცლად ამ საკითხზე იხ. ლ. ძოწენიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163—166.

⁹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 423.

¹⁰ ი. ჭავჭავაძისეული, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 300.

„ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ წყაროდ თვლიდა. ამჟამად ცნობილია, რომ ძველ ქართულ მწერლობაში არავითარი ნებროთის წიგნი არ ყოფილა¹¹.

შუშანიკის, ევსტათის, აბოს, არჩილის და დავითისა და კონსტანტინეს „მარტვილობათა“ უბრალო ჩამოთვლაც კი ცხადყოფს, რომ თ. უორდანიას ქართული ორიგინალური მარტვილოლოგიის მრავალ ნიმუშს აქცევდა ყურადღებას. განსაკუთრებით სცადა მან ამ თხზულებათა ქრონოლოგიის გარკვევა. მიუხედავად რიგი დაკვირვებებისა, მის მიერ მიღებული შედეგები ყოველთვის სწორი არ არის. ასე მაგ., შუშანიკის წამების თარიღად მას მიაჩნია 552 წელი და არა 475, როგორც ძეგლის მონაცემებით მტკიცდება. ასეა სხვა შემთხვევებშიც. მაგრამ სწორია აბოს მარტვილობის თარიღის გამოანგარიშება (786 წ.). თ. უორდანიამ გააკრიტიკა დ. ბაქრაძე და სამართლიანად მიუთითა, რომ მურვან ყრუ და კიქუმი სხვადასხვა პირნი არიან, მაგრამ არჩილისა და დავითის და კონსტანტინეს „მარტვილობათა“ მიმოხილვისას თარიღები ზუსტად მაინც ვერ დაადგინა.

თავისებური შენიშვნები აქვს გამოთქმული თ. უორდანიას „წმინდანინოს ცხოვრების“ შესახებ. იგი ფიქრობდა, რომ ამ თხზულების შატბერდის კრებულში დაცული ტექსტი მათიანია და არა საკითხავი. საკითხავად იგი თვლიდა ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრებას“. ლეონტი მროველი მისთვის უბრალო გადამწერი იყო, ხოლო „საკითხავის“ ავტორი არსენ კათალიკოსი, მისი აზრით, ავტორი „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“¹².

სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად დამკვიდრებული შეხედულებით „ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ქელიშური რედაქცია შექმნილია IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და იგი მიჩნეულია „საისტორიო პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად“¹³. ხოლო ლეონტი მროველს გამოყენებული აქვს „ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ქელიშური რედაქცია და თავისებურად აქვს გადმოცემული იგი. ლეონტი მროველი უბრალო გადამწერი როდია, იგი მემამტიანია.

თ. უორდანიას ქართული კულტურისა და ლიტერატურის მრავალ მოღვაწეს შეეხო. დაინტერესებული მკითხველი მის შრომებში მრავალ საინტერესო ცნობას იპოვის ისეთ პირებზე, როგორცაა: ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, არსენ ტარიპის ძე, თეოფილე ხუცესმონაზონი, ათონის მთის სახელოვანი მოღვაწენი და სხვ.

¹¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 437.

¹² ქრონიკები, I, გვ. 313.

¹³ კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 91.

განუსაზღვრელია თ. ჟორდანიას ღვაწლი ქართულ ხელნაწერთა აღწერის საქმეში, იგი შესანიშნავად იცნობდა საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერებს, რამაც საშუალება მისცა გამოეცა ამ ფონდის 800 ხელნაწერის აღწერილობა ორ ნაწილად 1902 და 1903 წლებში¹⁴. ამ წიგნებში „მართალია, არასრული მეცნიერული სიზუსტით, მაგრამ სახელმძღვანელოდ აღწერილია №№ 800 საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერებისა“ (კ. კეკელიძე).

ხშირ შემთხვევაში თ. ჟორდანიას მიერ აღწერილი ძეგლები ერთადერთი წყაროა საქართველოს ეკონომიკური თუ პოლიტიკური ისტორიისათვის. ეს კიდევ უფრო ზრდის თ. ჟორდანიას როგორც შესანიშნავი წყაროთმცოდნის სახელს. მაგ., აღწერილია საბერძნეთიდან, ათონის ქართველთა მონასტრის ბიბლიოთეკიდან შემოტანილი ხელნაწერები, გადაწერილი X—XI სს. მიჯნაზე. ხელნაწერთა მრავალრიცხოვანი მინაწერები გვაწვდიან ცნობებს საქართველოს ერთ-ერთი დიდი კულტურული ცენტრის—ათონის სავანის შექმნასა და მისი ლიტერატურული სკოლის ჩამოყალიბების პროცესზე. ანდერძ-მინაწერებში გვხვდება იოანე, იოანე-თორნიკე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებისა და ათონის სკოლის სხვა ცნობილ მოღვაწეთა სახელები. გადამწერთა, მკანმავ-მმოსველთა და სხვათა მინაწერების საშუალებით შესაძლებელი ხდება ათონელ ქართველთა მოღვაწეობის შესწავლა.

არის მოსაზრება, რომ თ. ჟორდანიას შედგენილი უნდა ჰქონოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა წიგნსაცავის აღწერილობაც¹⁵.

თ. ჟორდანიას ფართო ლიტერატურულ ინტერესებს მისი „ქრონიკები“ და „აღწერილობანი“ როდი ამოწურავს. სხვადასხვა დროს იგი შეხებიდა აღორძინების ხანის მწერლებს: მამუკა თავაქალაშვილს, იოსებ თბილელს, თეიმურაზ პირველს, არჩილს და სხვ. მას მოეპოვება სპეციალური წერილები ქართული სტამბის შესახებ¹⁶. საყურადღებოა მისი წერილები: „რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს ძველ მწერლობას“¹⁷, „სოლომონ დოდაშვილის და იოანე ხელაშვილის ღვაწლი“¹⁸, „რა წყარო ჰქონდა რუსთაველს, როცა ვეფხისტყაოსანი უწერია“¹⁹

¹⁴ Описание рукописей Тифлисского церковного музея карталино-кахетинского духовенства составленное Ф. Д. Жордания, I, Т., 1903; II, Т., 1902.

¹⁵ ქრონიკები, III, გვ. 0334.

¹⁶ „ივერია“, 1884, №№ 1—3; 1885, № 104.

¹⁷ „ივერია“, 1891, №№ 229—233.

¹⁸ „ივერია“, 1887, № 227.

¹⁹ „ივერია“, 1892, № 60.

და სხვ. მნიშვნელოვანია მისი მონოგრაფია „დავით გურამიშვილი და მისი დრო“²⁰ და ვრცელი გამოკვლევა ანტონ კათალიკოსზე²¹. ორივე ნაშრომში ავტორი ადგას მეთოდოლოგიურად სწორ ხაზს და გვაძლევს ამ ორი მოღვაწის ცხოვრება-შემოქმედების სრულ სურათს ეპოქის პოლიტიკურ-ისტორიულ ვითარებასთან კავშირში²².

²⁰ „ივერია“, 1880, №№ 1, 2; 1882, №№1,2.

²¹ «Духовный вестник грузинского экзархата», 1891, №№ 1, 2, 4, 6, 8; 1892, №№ 10—11, 14—16, 19; 1893, №№ 1, 2, 4, 6.

²² გარდა დასახელებული ლიტერატურისა თ. ჟორდანიაზე იხ. აგრეთვე ს. ცაი-შვილი, თედო ჟორდანი, „სახალხო განათლება“, 1946, № 53; ა. კიკვაძე, თედო ჟორდანი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946, № 46; შ. ხანთაძე, თედო ჟორდანი როგორც ისტორიკოსი, თსუ ასპირანტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I (1950); შ. ხანთაძე, შ. ბადრიძე, საქართველოს წარსულის შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1964, № 2; დ. ცინცაძე, თედო ჟორდანი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1964, № 2.

მოსე ჯანაშვილის სახელის მოგონებასთან დაკავშირებით ზედმეტი არაა განმეორება ძველი დროის ერთ-ერთი მოაზროვნის სიტყვებისა: „მოიხსენებით წინამძღუარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ მეცნიერებისათა, და ხედვიდით აღსასრულსა მას ცხოვრებისა მათისასა და ჰბაძევდით შრომასა მათსა“ (ებრ. XIII, 7). ამ სიტყვებში გამოიხატება ჩვენი კრძალულება და პატივისცემა მათდამი, რომელნიც გვიკაფავდნენ ეკლიან გზას ჩვენი მომავალი მუშაობისათვის.

მ. ჯანაშვილი ეკუთვნის ჩვენი კულტურის მოღვაწეების იმ თაობას, რომელიც თავის უანგარო, კეთილსინდისიერი, ენერგიული და თავდადებული შრომით ნიადაგს უმზადებდა იმ სამეცნიერო საქმიანობას, რომელმაც ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ასე მძლავრად გაიდგა ფესვები და გაშალა ტოტები ჩვენში. თითქმის სამოცი წლის განმავლობაში (1876—1934) მ. ჯანაშვილი სანთელივით იწვოდა მეცნიერების შანდალზე, ის ხედავდა და შეხაროდა იმ დღის მოახლოებას, როდესაც ჩვენში დაინთებოდა უმაღლესი ცოდნის ლამპარი. ის მოესწრო კიდეც იმ მომენტს, როდესაც ჩვენში შეიქმნა უნივერსიტეტი, რომელმაც ის თავის წევრად და თანამშრომლად გამოაცხადა მისთვის პროფესორის წოდების მინიჭებით. მოსე არამც თუ მეცნიერებას ემსახურებოდა გატაცებით, ასეთივე გატაცებით ევლებოდა თავს იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მეცნიერული მუშაობის ინტერესს იჩენდნენ, ყოველნაირად ეხმარებოდა მათ თავისი ცოდნით და გამოცდილებით, ტკბილი სიტყვით ამხნევებდა მათ და შრომას უადვილებდა.

მ. ჯანაშვილს მუშაობა უხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, იმ დროს, როდესაც ჩვენი მეცნიერული აზრი დიფუზიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც მან არ იცოდა დიფერენციატია მეცნიერული მუშაობისა და სპეციალიზაცია. ამით აიხსნება, რომ ის თავის ნაშრომებში გვევლინება როგორც ისტორიკოსი, — საეკლესიო და სამოქალაქო, — ისე ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელი, როგორც არქეოლოგი, ისე ეთნოგრაფი, როგორც ლინგვისტი. ისე პალეოგრაფი და ა. შ. ამ წერილში გვინდა მოკლედ გავითვალისწინოთ ის მხარე მ. ჯანაშვილის მუშაობისა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ქართული ლიტერატურა და მისი ისტორია.

მ. ჯანაშვილის კვლევა-ძიების ობიექტს შეადგენდა უმთავრესად ძველი ქართული ლიტერატურა. ახალი ქართული ლიტერატურიდან

მისი საგანგებო კვლევითი ყურადღება მიიპყრო მხოლოდ ი. ჭავჭავაძემ, რომელსაც, მისი ტრაგიკული გარდაცვალების გამო, 1907 წელს მან მიუძღვნა ვრცელი წერილი (ნაშრომი, II, გვ. 3—27). ამ წერილში მოხდენილად და დახასიათებული ილიას ლიტერატურული მოღვაწეობა და, ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივი მდგომარეობა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა. სამაგიეროდ, ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეში მას უთუოდ საპატიო ადგილი უკავია. თავის უამრავ ნარკვევში მკვლევარს დაუგროვებია მეტად მნიშვნელოვანი მასალა ძველი ლიტერატურის ისტორიისათვის. ეს ნარკვევები გაფანტულია სხვადასხვა ღრობის ქართულსა და რუსულ პერიოდულ გამოცემებში, დაწყებული ოთხმოციანი წლებიდან, ამიტომ ადვილი არაა დღეს გათვალისწინება და კლასიფიკაცია მისი მეცნიერული მემკვიდრეობისა. მაგრამ რამდენადაც ძნელია ეს საქმე, იმდენად აუცილებელი და საჭიროა არა მარტო მეცნიერის სახელისათვის, არამედ ქართული ფილოლოგიის ინტერესებისათვისაც.

რა გააკეთა მ. ჯანაშვილმა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის?

ჩვენი ძველი მწერლობის სისტემატური შესწავლა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენში მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებს, სადაც თავს უყრიდნენ ხელნაწერებს და ამით მათ, ერთი მხრივ, იცავდნენ მოსპობა-განადგურებისაგან, მეორე მხრივ კი ხელმისაწვდომს ხდიდნენ დაინტერესებულ პირთათვის. მ. ჯანაშვილი ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი იყო ამ საქმისათვის. მას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ისეთი მსხვილი კოლექციების შექმნისა და ორგანიზაციის საქმეში, როგორც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნსაცავისა და „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ კოლექციები. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია მისი დედაწლი „საეკლესიო მუზეუმის“ დაარსებისა და მისი ზრდა-განვითარების საქმეში. 1888 წლის 15 ივლისიდან, როდესაც ფაქტიურად გაიხსნა მუზეუმი, ათი წლის განმავლობაში ის ახლოს დგას მუზეუმთან, ჯერ როგორც თანამგრძობი მისი საქმიანობისა, 1897 წლიდან როგორც წევრი სამუზეუმო კომიტეტისა, ხოლო 1898 წლის 10 აპრილიდან ის ხდება გამგე მუზეუმისა; ამის შემდეგ ის მუზეუმში რჩება თითქმის გარდაცვალებამდე. მის ხელში, მის თვალწინ ყალიბდებოდა, მდიდრდებოდა და იზრდებოდა მუზეუმი, მისი მზრუნველობით მოიპოვა მან პოპულარობა და ცნობილი გახდა სამეცნიერო წრეებში. მუზეუმი იყო ნამდვილი მისი შვილი, მისი სისხლი და ხორცი; მისი რუღუნებით შექმნილია უდიდესი ნაწილი ამ უდიდესი კოლექციისა, მის ხელში გაუვლია ყველა იქ თავმოყრილ ხელნაწერს, მის მიერაა გადაფურცლილი თითოეული მათგანი, გადანომრილი და

პავინირებული; ის შეხაროდა ამ დაწესებულების წარმატებას, მასგული შესტკიოდა მისთვის და საკუთარ ოჯახზე უფრო ევლებოდა მას თავს. იქ თავმოყრილ საგანძურს ის სამართლიანად „ქართველთა მილიონებს“ უწოდებდა.

მუზეუმში თავმოყრილი ხელნაწერები მკვდარ და მეცნიერებისათვის გამოუდევარ მასალად დარჩებოდა, თუ მათ ცნობაში არ მოიყვანდნენ. ამ საქმის მთავარი სიმძიმე მ. ჭანაშვილსავე აწვა კისერზე. მან შეადგინა პირველი, წინასწარი კატალოგი მუზეუმის ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრებისა, რომელშიც მოკლედ აღწერილია 484 ხელნაწერი და 994 სიგელ-გუჯარი¹. ის ლეზულობდა საქმიანს, მაგრამ ჩუმ მონაწილეობას იმ აღწერილობაში, რომელიც 1902 წელს ორ ტომად გამოვიდა თ. ჟორდანიას სახელით და შემდეგი სათაურით: «Описание рукописей Тифлисского церковного музея карталино-кахетинского духовенства». რადგანაც ეს აღწერილობა შედგენილი იყო თ. ჟორდანიას მიერ სხვადასხვა დროს და ის უიმისოდ იბეჭდებოდა, მ. ჭანაშვილს უხდებოდა არა მარტო სისტემაში მოყვანა აღწერილობისა და მისი კორექტურის წარმოება, არამედ საკირო შემთხვევაში აღწერილობის თვით ხელნაწერებთან შედარებაც. თ. ჟორდანიას „აღწერილობაში“, რომელსაც მიუხედავად მისი დეფექტებისა, დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა, შევიდა 800 ხელნაწერი. 1908 წელს გამოვიდა მესამე ტომი ამ „აღწერილობისა“, რომელიც მთლიანად ეკუთვნის მ. ჭანაშვილს. ამ ტომში აღწერილია 240 ხელნაწერი (801—1040) და ის თავისი მოცულობითაც (372 გვერდი) უჩვენებს, რომ თ. ჟორდანიას „აღწერილობასთან“ შედარებით, ნაბიჯს წარმოადგენს წინ. იმაში დამაკმაყოფილებელია თითქმის ყველა მთავარი მოთხოვნილება მეცნიერული აღწერილობისა, ყოველ შემთხვევაში, ის საკმაოდ სრულ წარმოდგენას იძლევა ამა თუ იმ ძეგლის შესახებ. დღეს ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულიც ვართ ვიოცნებოთ უფრო სრულყოფილ აღწერილობაზე, მაგრამ თავისი დროისათვის ის უქველად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მოსესვე ეკუთვნის გაგრძელება ამ აღწერილობისა. ჯერ მის მიერ აღწერილია მოკლედ 1041—1109 ხელნაწერები², ხოლო იგივე ხელნაწერები და სხვებიც (რიცხვით 674), რომლებიც მუზეუმში შემოვიდნენ 1908 წლის შემდეგ იმ მომენტამდე, როდესაც ისინი „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის“ შემადგენელ ნაწილად იქცნენ (1930 წელს), აღწერილია მის მიერ დაწერილებით 1921—1923 წლებში: ეს აღწერილობა ხელნაწერის სახით

¹ იხ. მისი Тифлиское церковное древнехранилище, Т., 1898, გვ. 31—100 და Каталог церковного музея грузинского экзархата, Т., 1899, გვ. 3—14.

² Каталог предметов церковного музея грузинского духовенства, Т., 1914.

ინახება და დიდ სამსახურს უწევს ყველა მეცნიერ მუშაკს, სასურველია მისი გამოცემა. მას აუწერია, შედარებით მოკლედ, მაგრამ მაინც, მთელი კოლექცია „წერა-კითხვის საზოგადოების“ მუზეუმისა. ისიც ხელნაწერადაა დარჩენილი.

გარდა ამისა, მ. ჯანაშვილს ხელნაწერთა შესახებ აღწერილობითი საინფორმაციო ცნობები მოთავსებული აქვს სხვადასხვა პერიოდულს გამოცემაში სხვადასხვა დროს, იმისდა მიხედვით, თუ როდის შევიდა ესა თუ ის ხელნაწერი მუზეუმში. ამ გზით ის აცნობდა საზოგადოებას მუზეუმის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ხელნაწერს, ამ მიზნისათვის ყველაზე მეტად იყენებდა ი. ჭავჭავაძის „ივერიას“.

მ. ჯანაშვილი იძლეოდა არა მარტო ხელნაწერთა აღწერილობას, არამედ ბეჭდავდა კიდევ ძველ ტექსტებს. ჯერ კიდევ ხელნაწერთა აღწერილობაში შეუტანია მას მეტად ვრცელი ამონაწერები ამა თუ იმ თხზულებიდან. საკმარისია, მაგალითად, გადაათვალიეროთ მის მიერ შედგენილი მესამე ტომი მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობისა, რომ ეს ნათელი გახდეს; აქ მოცემულია: „ცხოვრება აბიბოს ნეკრესელისა“ (გვ. 25—28), ექსცერპტები „ბალავარიანიდან“ (28—44), გიორგი მეფის დემნა ბატონიშვილთან ბრძოლის ისტორია (94—100), „წამება რაჟდენისა“ (152—156), კორიდეთის ოთხთავის მინაწერები (238—250), ერთ-ერთი თარგმნილი გეოგრაფიის ეპილოგი: (261—265), იოანე ანჩელის საგალობელი (308—312), ლექსი ჭვებთახევის მონასტრისა (179—200), წმ. გიორგისა (303—305) და სხვ. უფრო საყურადღებოა, რასაკვირველია, მისი ისეთი გამოცემები, რომლებშიც შესულია მთლიანი სახით რიგი როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ლიტერატურული ძეგლებისა.

ნათარგმნი ძეგლთაგან მას გამოუცია: 1) ცალკეული თავები ე. წ. შატბერდული კრებულისა, სახელდობრ: ეპიფანე კვიპრელის „თულთათხს“³ და „საზომთათხს და საწყაულთა“⁴, აგრეთვე „სიტყუაჲ მკურნალთაგან“ უცნობი ავტორისა⁵; 2) გიორგი პისიდას (VII ს.) „თბრობაჲ კონსტანტინოპოლის მოციქისა სპარსთა და ბარბაროთაგან“⁶; 3) გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „სვინაქსარიდან“ ამოკრეფილი ცნობები ქართველთა მეზობელ ხალხებში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ⁷; 4) ამოკრიფული „ცხოვრება იოანე ღვთისმეტყვე-

³ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, XXIV (1898).

⁴ „აღვადგინე“, თბ., 1891, გვ. 118—134.

⁵ მწერლობა IX—X საუკუნისა, თბ., 1891.

⁶ Сборник матер. для описания, XV VII. აქ დაბეჭდილია ნაწილი მოთხრობისა; მოტივანდ ის გამოსცა პ. კარბელაშვილმა (1903 წ.).

⁷ И: вестия груз. летописей и историков о Херсонесе, Готфии, Осетии, Хазарии, Дидоэтии и России (Сборник материалов, XXII).

ლისა“, ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი⁸; 5) ანდრია მოციქულის მიმოსვლა⁹; 6) ორი ფსევდოეპიგრაფიკული „საკითხავი“ წმ. ნინოსი¹⁰.

ორიგინალურ ქართულ ძეგლთაგან მის მიერ გამოცემულია:

1) „ცხოვრება იოანე და ექვთიმე ათონელისა“ (ათონის კრებულნი, გვ. 1—18) მათი სახელობის საგალობლებითურთ (გვ. 109—110, 187—215); 2) „ცხოვრება ილარიონ ქართველისა“ და საგალობლები მისი (გვ. 69—108, 117—186); 3) ალაპები ათონის ივერთა მონასტრისა (გვ. 216—214); 4) „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა“ საგალობლებითურთ (გვ. 279—358); 5) „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“ (ქართული მწერლობა, II, გვ. 1—48); 6) იოანე ბოლნელის ქადაგებანი (1911 წ.); 7) „აბდულმესიანი“ იოანე შავთელისა, ორჯერ (1915, 1920 წწ.); 8) „აღლუზიანი“ იოანე იაღლუზიძისა.

როგორ გამოიყურებიან ეს გამოცემანი, შეგვიძლია თუ არა მივიჩნიოთ ისინი კრიტიკულ გამოცემად? ამისათვის ჯერ საჭიროა გაიკვეს ზოგადად, როგორი უნდა იყოს კრიტიკული გამოცემა ამა თუ იმ ძეგლისა. კრიტიკულია, ჩვენი გაგებით, ის გამოცემა, რომელიც ისტორიულ-ლიტერატურული ხაზით იძლევა ძეგლის სწორ გაგებას და ინტერპრეტაციას, ხოლო ლინგვისტურით — ავტორის თუ მთარგმნელის ეპოქაში გაბატონებული ენობრივი ნორმების მიხედვით დადგენილ ტექსტს. შეეძლო თუ არა დაეკმაყოფილებინა მ. ჭანაშვილს ეს პირობები თავის გამოცემებში? არ შეეძლო, რადგანაც იმ დროს, რომელსაც ეკუთვნის მისი ზემოჩამოთვლილი გამოცემები, ჯერ კიდევ არ არსებობდა ასტორიული გრამატიკა ქართული ენისა, თუგინდ იმ სახით და გაგებით, რომელიც ჩვენ დღეს მოგვეპოვება, თან არც ისტორიულ-ლიტერატურული ცოდნის დონე იყო ჩვენში მაშინ ისეთი, რომ ამომწურავი და ზუსტი ცნობა ყოფილიყო მოსალოდნელი ამა თუ იმ ძეგლის შესახებ, განსაკუთრებით თუ ეს ძეგლი ნათარგმნი იყო. სამაგიეროდ, რისი გაკეთებაც კი შეეძლო იმ დროს მკვლევარს, გარკვეულია მის მიერ საერთოდ დამაკმაყოფილებლად. სახელდობრ, ის იწერდა ტექსტებს ზუსტად და უცვლელად, უჩვენებდა მის ვარიანტებს, თუ ასეთები მოიპოვებოდა, ურთავდა მას საჭირო შემთხვევაში ლექსიკური ხასიათის განმარტებებს. ამ თვალსაზრისით მისი გამოცემები არც ისე დასაგმობია, როგორც მათ გმობდა თავის რეცენზიებში ნ. მარი. თუ რამე ესაყვედურებოდა მას ამ შემთხვევაში, მხოლოდ ის, რომ ყოველთვის საუკეთესო ნუსხებს არ მიმართავდა გამოცემის დროს. ასე, მაგალითად, „გიორგი ათონელის ცხოვრება“ მან გამოსცა 1733 წლის (A № 70) ნუსხიდან, როდესაც წერა-კითხვის საზოგადოების კოლექ-

⁸ ათონის ივერიის 1074 წლის ხელნაწერი ალაპებით, თბ., 1901, გვ. 111—175.

⁹ ქართული მწერლობა, II, თბ., 1909, გვ. 49—53.

¹⁰ История грузинской церкви, I, Т., 1898, გვ. 80—93.

ციაში მას შეეძლო ეპოვნა უძველესი, თვით XI საუკუნისა და მომდევნო ხანის ნუსხები.

მ. ჯანაშვილს, რომელმაც დაგვიტოვა „ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე“ (1900 წ.), „ქართული მწერლობა IX—X საუკუნისა“ (1891 წ.), „ქართული მწერლობა XII საუკუნემდე“ („ივერია“, 1899, №№: 98—103, 158—162), ორი წიგნი „ქართული მწერლობისა“ (1900 და 1909 წწ.) და ორი „ნაშრომისა“ (1907, 1910 წწ.), არ უცდია ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანი მიმოხილვა და არ დაუწერია მისი სისტემატური კურსი, თუგინდ იმ სახისა და ღირებულების, როგორცაა მისი „საქართველოს ისტორია“ (1906 წ.) და „История грузинской церкви“ (1898 წ.). მართალია, მის თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „Царица Тамара“ (1900 წ.), ჩვენ ვპოულობთ თავს — Краткий обзор грузинской истории и литературы до эпохи Тамары (გვ. 1—24), მაგრამ აქ მხოლოდ რამდენსავე გვერდზე (19—22) ავტორს გაკვირით აღუნიშნავს ზოგიერთი თხზულება და მნიშვნელოვანი ხელნაწერი თამარის წინა დროისა, აგრეთვე საგანმანათლებლო ცენტრები საქართველოში და საზღვარგარეთ, რომელთა შესახებ უფრო ერცლად ის ლაპარაკობს თავის სხვა ნაშრომში — „Грузинские обитали вне Грузии“. ზემოდასახელებულს თამარის ისტორიაში, მეათე თავში (გვ. 73—93), მას თითქოს განუზრახავს ქართული მწერლობის უძველესი პერიოდის მიმოხილვა, მაგრამ, ა. ცაგარლის შრომიდან ამოღებული ორიოდ ცნობის შემდეგ, შეჩერებულა საგანგებოდ რუსთველზე და მთელი რვა გვერდი დაუთმია პ. იოსელიანის ზოგადი, ცნობილი მსჯელობისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ღირსების შესახებ.

მკვლევარს აინტერესებდა ძველი მწერლობის ცალკეული პრობლემები და დარგები, რომლებზედაც ჩვენ შევჩერდებით. ჩვენს მიმოხილვაში არ შევლენ საისტორიო მწერლობის პრობლემები და ძეგლები, რომელთაც, განსაკუთრებით მატიანებმა, შთანთქქეს დიდი წილი მ. ჯანაშვილის შემოქმედებითი ენერჯისა.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც მკვლევარს საგანგებო ყურადღებას იპყრობდა, იყო საკითხი ქართული ბიბლიისა და მისი გადმოთარგმნის შესახებ. მ. ჯანაშვილს აინტერესებდა როგორც ცალკეული ბიბლიური წიგნები, ისე მთელი ბიბლია. ცალკეული წიგნებიდან მას განუხილავს „დავითნი“ („ივერია“, 1899, № 27) და სახარებანი: მეტეხის სახარება 1049 წლისა („ივერია“, 1892, №№ 76, 79, 80; „Кавказ“, 1892, № 88). განსაკუთრებით კი ე. წ. ურბნისის სახარება („ივერია“, 1904, № 21; ნაშრომი, II). ინტერესი ამ სახარებისადმი გამოწვეული იყო მისი თარიღით ხრი, რომელიც, როგორც ახლა ირკვევა, შემდეგაა მიწერილი და უჩვენებს 602 (ბერძნულით), 506 (ქართულით) წელს. მკვლევარმა შეადარა ზოგიერთი ადგილი ამ სახარებისა თანამედროვე

ქართულს, სომხურს და რუსულს, ბერძნულს ტიშენდორფისეულს და ძველი ნუსხებისას (A № 18, S № 405). აღნიშნა მისი მტდარი წაკითხვები, ნაკლულოვანი ადგილები (ნაშრომი, II) და ბოლოს მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოების მინდობილობით თავიდან ბოლომდე გადაწერა ასომთავრული ხელით და გამოსაცემად დაამზადა, თუმცა, არ ვიცი — რა მიზეზით, ის არ გამოსულა. „ჩვენ არ გვსურს“, — ამბობდა მ. ჭანაშვილი, — „სინამდვილეს წინ გავუსწროთ და ბლომა და მტკიცე საბუთების მოუგროვებლად რაიმე გადაჭრილ აზრს დავადგეთ ურბნისის სახარების დედნის შესახებ“ (ნაშრომი, II, გვ. 63), რაც შეეხება მისი გადმოთარგმნის დროს, „ჩვენ ვერ დავიყინებთ“, ამბობს ის, რომ „ურბნისის სახარება იყოს გადაწერილი სწორედ 602 ან 506 წელს“ (გვ. 41), მაგრამ „დაუჭერებელი არაა, რომ ეს IX—X საუკუნის სახარება იყოს პირი 602 წელს ძველის დედნიდამ სიტყვისიტყვით გადაწერილის სახარებისა“ (გვ. 41).

უწერია მ. ჭანაშვილს აგრეთვე გიორგი ათონელის „სამოციქულოს“ შესახებაც („ივერია“, 1909, № 32), მთლიანად ქართულ ბიბლიას მ. ჭანაშვილმა უძღვნა წერილები „ჩვენს დროებაში“ (1912, № 24), „სახალხო გაზეთში“ (1910. №№ 175, 187) და განსაკუთრებით „ნაშრომის“ მესამე წიგნში (გვ. 37—70). ამ უკანასკნელში ის ლაპარაკობს საგანგებოდ მის მიერ აღმოჩენილი ორი ნუსხის შესახებ (A №№ 570 და 646), რომელნიც მეცნიერებაში შევიდნენ „ჭანაშვილისეული“ ვერსიის სახელით. მისი სიტყვით, ამ ვერსიებში, რომელნიც გადმოთარგმნილნი არიან უფრო ადრე, ვიდრე 978 წლის ბიბლია, სახელდობრ — არა უგვიანეს VI საუკუნისა (გვ. 37, 38, 62), შენახულა გაურყვნელად თავდაპირველი ტექსტი ქართული ბიბლიისა (გვ. 62). მეორე საკითხი, რომელსაც მკვლევარი სვამს, ასეთია: რომელი ძველისძველი მსოფლიო ვარიანტიდანაა თარგმნილი ეს თავდაპირველი ტექსტი? მკვლევარი ჩამოთვლის ბიბლიური ტექსტის სხვადასხვა რეცენზიას და ასკენის, ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე, რომ „ქართული დაბადება თითქმის ყველგან 70-თა თარგმანია“ (გვ. 64). ავტორის შრომაში საყურადღებოა, ერთი მხრივ, დასახელებული ვერსიების შედარება ერთიმეორესთან, აგრეთვე მცხეთისა და 978 წლის ბიბლიების ტექსტთან, მეორე მხრივ, იმათგან იველისა და იშვიათად ხმარებული სიტყვების ამოკრება.

ბიბლიოლოგიაში მკვლევრისათვის დიდად მნიშვნელოვანია საკითხი ქართული ბიბლიის თარგმანის ორიგინალის შესახებ. ის დაუნდობლად, თავგამოდებით ებრძვის ნ. მარის საბუთებს თავდაპირველი ქართული ტექსტის სომხურიდან მომდინარეობისას, მკაცრი კილოთი ეკამათება დ. ბაქრაძესაც, რომელმაც ურბნისის სახარების ტექსტში აღნიშნა არმენიზმები და ასკენის: „მეზობლად მცხოვრები ერები ველუ-

რები იქნებოდნენ, რომ ერთმანეთისაგან არა ესესხნათ რა, არა გადმოეღოთ რა. თუ ქართველები თარგმნიდნენ სომხურიდან საქირო წიგნებს, ქებად ჩაეთვლებათ. მაგრამ არ გვჯერა, რომ იერუსალიმიდან მოსულ ნინოს იქ არ გაეცნო, ზედმიწევნით არ შეესწავლა ბერძნული სახარება და ამ სახარების თარგმნისათვის არ ეზრუნა საქართველოს მოქცევის შემდეგ, რომ საბერძნეთიდან ქრისტიანობისა და აგრეთვე სასულიერო იერარქიის მიმღებ ერს სახარებაც ბერძნებიდან არ მიეღო და ეს სახარება თავის ენაზე არ ეთარგმნა ბერძნული საერთაშორისო და სამეცნიერო ენიდან, არამედ სომხურიდან, ენიდან იმ ერისა, რომელსაც ბერძენ-ქართველთა მსოფლიომ ადრიდგანვე დაუწყო ბრძოლა, როგორც „მწველებლობის“ მომხრეს და გამღვიძებელს“ (ნაშრომი, II, გვ. 43—47, განსაკუთრებით 47).

მეორე დარგი უძველესი სასულიერო მწერლობისა, რომელიც ჩვენს მკვლევარს იზიდავდა, არის ჰაგიოგრაფია; ეს დარგი ჭარბადაა წარმოდგენილი მის გამოცემებში, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. კვლევა-ძიების მხრივ ნათარგმნი ჰაგიოგრაფიიდან მისი ყურადღების ცენტრში იყო „დიდი სვინაქსარი“ გიორგი მთაწმიდელისა, რომელშიც მას აინტერესებდა ისტორიული ცნობები როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ერების შესახებ („ივერია“, 1898, № 35) და ანდრია მოციქულის „მიმოსვლა და ქადაგება“, ექვთიმე ათონელის მიერ გადმოთარგმნილი. ამ უკანასკნელი თხზულებით ის დააინტერესა განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძის ცნობილმა გამოკვლევამ ანდრიას ქადაგების შესახებ საქართველოში, რომლის მთავარ დებულებას ის ვერ ურიგდებოდა (ქართული მწერლობა, II, გვ. 49—53, 80—82, 102—108) და იმ ცნობებით არღვევდა, რომელნიც ამ ნათარგმნ თხზულებაში გვაქვს. მ. ჭანაშვილი მხედველობაში არ იღებდა, თუ ამ უკანასკნელში საიდან და როგორ გაჩნდა ეს ცნობები. უფრო მეტი გააკეთა მან ორიგინალური ჰაგიოგრაფიის დარგში. აქ მას აინტერესებდა: 1) „ნინოს ცხოვრება“, რომელსაც მან უძღვნა პოლემიკური ხასიათის ნაშრომი „აღვადგინე“, სადაც გარჩეულია ე. თაყაიშვილის გამოცემა „ნინოს ცხოვრების“ შატბერდული რედაქციისა, შესწორებულია ბევრი ადგილი გამოცემისა და აღდგენილია მისი წარყვნილი ადგილები; 2) „ეესტათი მცხეთელის მარტილობა“. ამ „მარტილობას“ ავტორმა უძღვნა სპეციალური წერილი, რომელშიც ის ცდილობს დაარღვიოს ი. ჭავჭავაძის ისტორიულ-ლიტერატურული შეხედულებანი ამ ძეგლისა და მასთან დაკავშირებით ქართლის მეფობის შესახებ VI—VII საუკუნეებში (ქართული მწერლობა, II, გვ. 108—119); 3) განსაკუთრებით მის მიერ აღმოჩენილი და გამოცემული „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“.

შემდეგი დარგი საეკლესიო მწერლობისა, რომელშიაც მ. ჭანა-

შვილს უწარმოებია კვლევადიებითი მუშაობა, არის ჰიმნოგრაფია ლიტერატურა-ჰომილეტიკითურთ. ქართულ ჰიმნოგრაფიას უძღვნა მან თავისი შრომა „საუნჯე მეთე საუკუნისა“ (1891 წ.). აქ განხილულია მიქაელ მოდრეკილის იადგარი (S. № 425) და მისი შინაარსი, ავტორი ეხება კრებულში მოხსენიებულ ჰიმნოგრაფებს და საგალობლებს, აქ მოცემულ ნოტებსა და ტერმინებს „მეხური“, რომელიც, მისი გაგებით, ნიშნავს „სომხურს“. ლიტერატურის დარგში მას აინტერესებდა იაკობ მოციქულის „ეამისწირვა“, რომლის ტექსტი მას თავისი ხელით გადმოუწერია თავის დროს. ამ საყურადღებო ძეგლს, რომელიც დღეს უკვე გამოცემულია და თარგმნილი რუსულად და ინგლისურად, მან ერთმა პირველთაგანმა მიაქცია ყურადღება და უძღვნა რიგი წერილები („ივერია“, 1897, №№ 258, 261) და წიგნი „ქართული მწერლობა მეთე საუკუნემდე“ (1900 წ.), რომლებშიც ის ცდილობს გაარკვიოს რაობა თხზულებისა, დრო მისი გადმოთარგმნისა და მისი უძველესი ხელნაწერის (A № 86) გადაწერისა. თუ ეს ცდა ცდად დარჩა მხოლოდ, იმიტომ, რომ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა ბერძნული დედნისა და მისი ისტორიის გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იყო. ჰომილეტიკური მწერლობიდან მკვლევარს ყურადღება მიუქცევია იოანე ბოლნელის ქადაგებათათვის, ამოუკრებია ისინი სხვადასხვა ხელნაწერიდან (ათონის ნუსხა ამ ქადაგებებისა მას არ სცოდნია) და აღუდგენია მთლიანი სახე ამ 'მოღვაწისა, როგორც მწერლისა.

არანაკლები შრომა გაუწევია მ. ჯანაშვილს ძველი ქართული საერო ლიტერატურის შესწავლის საქმეში. ამ მწერლობიდან მას კლასიკური ხანა უფრო აინტერესებდა, ვიდრე ე. წ. აღორძინებისა, უკანასკნელზე ის სერიოზულად არც შეჩერებულა. აღორძინების ხანიდან ერთ წერილში ის იძლევა ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას პ. ლარაძის „დილარიანის“ შესახებ („ივერია“, 1905, № 23), მეორე წერილში გადმოგვცემს შინაარსს პოემა „ვახტანგიანისას“ („საქართველო“, 1917, № 63), მესამე წერილში ათავსებს რეცენზიას დ. გურამიშვილის თხზულებათა გამოცემაზე. გარდა ამისა „აღლუზიანის“ ტექსტის გამოცემას მან დაუერთო თავისი დროისათვისაც მიუღებელი და გაუზიარებელი ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი, რომელშიც იგი ამტკიცებს, რომ აღლუზონი ისტორიული პირია, რომელიც მერვე საუკუნის ნახევარში ცხოვრობდა.

კლასიკური პერიოდიდან მ. ჯანაშვილი სწავლობდა სარგის თმოგველის „დილარიანს“, „ამირანდარეჯანიანს“, „ვეფხისტყაოსანსა“ და შეხოტბეებს. სარგის თმოგველის ჩვენამდე მოუღწეველი „დილარიანის“ ნაწილად ის თვლიდა თავდაპირველად ხაზართა მეფეების — ჭიმშირისა და მისი შვილის არმოკლას — ცნობილ ამბებს, რომელიც მან რუსულად თარგმნა და რომელსაც ის პატარა „დილარიანს“ უწოდებდა. მაგ-

რამ მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა პ. ლარაძის „დილარიანა“, რომელიც მან სარგისის ნამდვილ „დილარიანად“ მიიჩნია, დარწმუნდა, რომ შემცდარი იყო (ქართული მწერლობა, II, გვ. 128). გაზეთ „ტრიბუნაში“ (1923, № 506) მოთავსებულ წერილში ის ეკამათება ს. კაკაბაძეს და ამტკიცებს, რომ „დილარიანი“ არის ნაწარმოები არა მეცამეტე საუკუნის ნახევრისა, არამედ თამარის დროისა და მისი ავტორი არის სარგის დმოგველი. გარდა ტრადიციისა, არავითარი საბუთი მას ამისათვის, რასაკვირველია, არ გააჩნია.

„ამირანდარეჯანიანის“ შესახებ მკვლევარი ლაპარაკობს საგანგებო ნარკვევში, რომელიც 1895 წელს გამოვიდა („მოსე ხონელი და მისი „ამირანდარეჯანიანი“). აქ ის ამტკიცებს, რომ რომანი, რომელსაც, თანახმად მის მიერ ნაჩვენები სახეებით დამაჯერებელი პარალელებისა, დიდი გავლენა მოუხდენია „ვეფხისტყაოსანზე“, დაწერილია თამარის დროს, მოსე ხონელის მიერ და ორიგინალური ნაწარმოებია. უკანასკნელი დებულების სასარგებლოდ მას მოჰყავს ისეთი არგუმენტები, რომელნიც ნ. მარმა თავის რეცენზიაში კატეგორიულად უარყო (ЖМНП, 1896, № 10). ამან გამოიწვია საპასუხო წერილი მ. ჯანაშვილისა — „О происхождении грузинских классиков“ (1896 წ.), რომელშიც ის ცდილობს დაარღვიოს ნ. მარის ბრალდებანი და თავის მხრივ იხილავს რა ნ. მარის შეხედულებებს „ამირანდარეჯანიანის“ სპარსული წარმოშობის შესახებ, სამართლიანი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს და არანაკლები კატეგორიულობით უარყოფს მათ. 1904 წელს ი. ჯავახიშვილმა „ცნობის ფურცელში“ (№ 2466) მოათავსა წერილი, რომელშიაც ნ. მარის შეხედულებებს გამოეჭომაგა. საპასუხოდ იმავე წლის იმავე გაზეთში (№№2472, 2473)¹¹ მ. ჯანაშვილმა მოათავსა წერილი, რომელშიაც უფრო აზუსტებს ნ. მარისადმი მიმართულ საპასუხო წერილში გამოთქმულ თავის დებულებებს, ეჭვს გამოთქვამს, რომ „ყისაჲ ჰამზა“ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანს“ გულისხმობდეს და უმატებს: „შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თვით მოსე ხონელმა, მსგავსად „ყისაჲ ჰამზისა“, თვით შეთხზა „ამირანდარეჯანიანი“ და მასში შეიტანა ცნობები შესახებ სხვადასხვა გმირებისა“ (ქართული მწერლობა, II, გვ. 129). ამის შემდეგ ის „ამირანდარეჯანიანის“ საკითხს აღარ დაბრუნებია.

არც ერთ თხზულებას არ მიუქცევია მ. ჯანაშვილის იმდენი ყურადღება, რამდენიც „ვეფხისტყაოსანს“. ამის მიზეზი თავისთავად გასაგებია. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როდესაც გ. ქართველიშვილის სახლში ჩამოყალიბდა „ვეფხისტყაოსნის“ საგამომცემლო კომიტეტი და მ. ჯანაშვილმა იმაში საპატიო ადგილი დაი-

¹¹ გადაბეჭდილია „ქართულ მწერლობაში“ (II, გვ. 133).

კავა, მას გადაუცია კომიტეტისათვის საკუთარი ხელნაწერი პოემისა, რომელიც, მისი ცნობით („ტრიბუნა“, 1923, № 469), გახდა „დედანი“ გ. ქართველიშვილის გამოცემისა. ამიერიდან იწყება საგანგებო დაინტერესება პოემით ჩვენი მკვლევრისა, რომელიც მის შესახებ აქვეყნებს გამოკვლევებს სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში თუ ცალკე წიგნაკებად. 1896 წელს მან გამოსცა ნარკვევი „შოთა რუსთაველი“, რომელშიც შეჯამებულია სხვადასხვა მკვლევრების შეხედულებანი „ვეფხისტყაოსანზე“. 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 3, 47) ათავსებს სტატიას „რუსთაველის განმაქიქებელნი“, რომელშიც მოითხოვს მკვლევართაგან, პირველ ყოვლისა, პოემის ენის საფუძვლიან ცოდნას. 1900 წელს სცემს თხზულებას „Царница Тамара“, რომელშიც, თავისი საკუთარი თუ სხვათა სიტყვებით, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებსაც ეხება. 1904 წელს „მოამბეში“ (№№ 2, 3, 4) ათავსებს წერილებს „თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი“ (ეს წერილები ცალკე წიგნაკად გამოუშვა ავტორმა), რომელშიც პოემა განხილულია როგორც ნამდვილი წყარო თამარის მეფობისა და მისი დროის ისტორიისა. 1910 წელს „ნაშრომის“ მესამე წიგნში მან მოათავსა ვრცელი წერილი „რუსთაველის გარშემო“, რომელიც გაგრძელებაა „ქართულ მწერლობაში“ მოთავსებული შენიშვნებისა. ამ წერილში მოცემულია ახსნა-განმარტება „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვებისა. დასასრულ, 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ მან მოათავსა მთელი სერია წერილებისა „თამარ მეფის მეხოტბენის“ სათაურით, რომელშიაც შეჯამებულია მისი შეხედულებანი ამ პოემის შესახებ.¹² ამის შემდეგ სერიოზულად ის „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებს აღარ დაბრუნებია. მ. ჯანაშვილი მტკიცე და ერთგულ დარაჯად ედგა „ვეფხისტყაოსანს“ იქამდის, რომ ყველას, ვინც მასთან შედარებით სხვაგვარად ფიქრობდა მის შესახებ, პოემის შემრყვენლად მიიჩნევდა და თავგამოდებით ებრძოდა. ეს ერთგულება გადაჭარბებამდეც კი მიდიოდა. მაგალითად, თეიმურაზ პირველის სახით მან აღმოაჩინა საშინელი „შემრყენელი“ პოემისა, რომელიც რუსთაველს ბრალს სდებდა იმაში, რომ მას თითქოს არ სჯეროდა „ქალწულს ქალწულობით ძე ეშოსო“ (ნაშრომი, III, გვ. 3). „განქიქება“ თეიმურაზისა შედეგია იმისა, რომ ვერ არის ჭეროვნად გაგებული რუსთაველის სიტყვები „არჩილიანის“ მეცამეტე პასუხში (სტრ. 139, ტ. I, გამოცემა ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილისა).

მთავარი პრობლემები რუსთაველოლოგიისა, რომელიც მ. ჯანაშვილს საგანგებოდ აინტერესებდა, არის: 1) ავტორი პოემისა; 2) დრო მისი დაწერისა; 3) პოემის ორიგინალობა; 4) პერსონაჟები პოემისა. ამ საკითხების შესახებ ის ყოველთვის ერთი აზრის არ ყოფილა, მისი შე-

¹² №№ 469, 472, 476, 478, 481, 483, 490, 499, 502, 506, 509.

ხედულება მათ შესახებ ევოლუციას განიცდიდა; საბოლოოდ კი მან მიიღო ის სახე, რომელიც წარმოდგენილია „ტრიბუნაში“; სახელდობრ: 1) ავტორი პოემისა არის მესხი შოთა თორელი ართავაჩოს ძე, თანამედროვე თამარისა და დავით სოსლანისა, რომელსაც თავის სიცოცხლეში (1155—1226) „ვეფხისტყაოსნის“ გარდა დაუწერია აგრეთვე „თამარიანი“; 2) პოემა დაწერილია თამარის სიკვდილის წინა წლებში, 1215 წლის მახლობლად; 3) ის უაღრესად ორიგინალური ნაწარმოებია, რადგანაც 4) იმაში მოცემულია ზუსტი ისტორია თამარის დროის საქართველოსი და მაშინდელი მუსულმანური აღმოსავლეთის ქვეყნებისა. მის შეხედულებებში განსაკუთრებით საინტერესოა ისტორიულ-გეოგრაფიული ინტერპრეტაცია პოემისა, რომელიც პირდაპირ უკიდურესობამდე დაყვანილი. ერთხელ, ამბობს მკვლევარი, კინლამ არ გაგვიყოლია რუსთველოლოგების იმ ბანაკმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ნესტან-დარეჯანად პოემაში გამოყვანილია თამარ მეფე, ხოლო ტარიელად დავით სოსლანიო („ტრიბუნა“, 1923, № 469). არა, აცხადებს ის, თამარი და დავით სოსლანი არიან არაბეთის ავთანდილი და თინათინი, ხოლო ინდოეთის ტარიელი და ნესტანი — სპარსეთის უკანასკნელი სელჩუკიანი შაჰი ტოღრილი (= ტარიელი), რომელსაც დახმარებას უწევენ მისი ტანტის (= ნესტანი) მიმტაცებელთა წინააღმდეგ თამარი და სოსლანი (= თინათინი და ავთანდილი). მიუხედავად ასეთი კატეგორიული განცხადებისა, მკვლევრისავე სიტყვებიდანვე ჩვენ ვიგებთ, რომ ტარიელი და ნესტანი, რომელნიც ერთსა და იმავე სამეფო გვარს ეკუთვნიან და ერთადერთი მემკვიდრენი არიან უძეოდ გარდასული ფარსადანისა, წარმოადგენენ ალეგორიას თამარისა და დავით სოსლანისას, რომელნიც ბაგრატიონთა სამეფო გვარს ეკუთვნიან და ერთადერთი მემკვიდრენი არიან უძეოდ დარჩენილი გიორგი მეფისა.

მე აღარ შევჩერდები მ. ჯანაშვილის სხვა შეხედულებებზე, რადგან მათ შესახებ ლაპარაკი მაქვს სხვა ადგილას¹³, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ, როგორც არ უნდა მივუდგეთ დღეს ჩვენ ამ შეხედულებებს, მეცნიერის რუსთველოლოგიურ შტუდიებს თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, ყოველ შემთხვევაში, იმ მხრივ, რომ ისინი აღვიძებდნენ ინტერესს პოემისადმი და სტიმულს იძლეოდნენ საკითხზე ღრმად დაკვირვებისა და კვლევა-ძიების საქმეში ახალი ნაბიჯების გადადგმისა. თუ მისი ისტორიულ-ლიტერატურული მოსაზრებანი რუსთველოლოგიის დარგში, ზოგიერთი რასაკვირველია, მასზე ხანგრძლივნი არ აღმოჩნდნენ, მისი ლექსიკოლოგიური შტუდიები, როგორცაა პოემის

¹³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II², თბ., 1941, გვ. 109—155.

კლარჯულ-ინგილოური გლოსები და არაბიზმები („ტრიბუნა“, 1923, №№ 483, 490, 499) გინა თუ სიტყვათა განმარტებანი (ნაშრომი, III, გვ. 7—36), არასდროს, ყოველ შემთხვევაში, დიდხანს არ დაკარგავენ მნიშვნელობას და ღირებულებას.

კლასიკური პერიოდიდან „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ მ. ჯანაშვილი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ხოტბებს: „აბდულმესიანსა“ და „თამარიანს“. ამ თხზულებებს, „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, ის თვლიდა თამარ მეფის ნამდვილ ისტორიად, ამიტომ მათ დიდი ადგილი დაუთმო თავის თხზულებაში „თამარ მეფე და მისი ისტორიკოსნი“.

„აბდულმესიანის“ შესახებ მას მოუთავსებია წერილები ჯერ 1902 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№№ 160, 162, 167). აქ გამოთქმულ მოსახრებებს ის უფრო აზუსტებს ამ ოდის ორს გამოცემაში (1915 წ. და 1920 წ.), ხოლო საბოლოოდ აჯამებს მათ 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ (№№ 463, 464). ის თავგამოდებით ებრძვის ნ. მარის შეხედულებას. რომ თხზულებაში შექებულია მხოლოდ დავით აღმაშენებელი და ის დაწერილია ამ მეფის თანამედროვის შავთელის მიერ, გულისტყვივლს გამოთქვამს, რომ ასეთ რამეებს სკოლებშიც კი ასწავლიან ბავშვებსო. მისი შეხედულებით, თხზულებაში შექებულია თამარი და დავით სოსლანი, იოანე შავთელი არის თამარის თანამედროვე შავთელი, რომელსაც თავისი ოდა დაუწერია დავითის მოწვევის გასამართლებლად. ოდის გამოცემათა მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის ტექსტუალური შენიშვნა-განმარტებანი და ლექსიკური ხასიათის კომენტარები, რომლითაც ავტორ-გამომცემელს უხვად შეუშვია ეს გამოცემანი.

„თამარიანის“ შესახებ მკვლევარი ლაპარაკობს ჯერ 1902 წელს „ივერიაში“ (№№ 188, 199, 204, 223) და მერე 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ (№ 466). ავტორი არ იზიარებს ნ. მარის მიერ ამ თხზულების ცალკეულ ოდებად დაყოფას, უჩვენებს სტროფების იმ თანმიმდევრობას, რომელიც ახასიათებდა თხზულებას თავდაპირველად, და არკვევს, რომ თხზულება დამთავრებული უნდა იყოს 1212 წელს. ერთ რამეში ის ეთანხმება ნ. მარს, სახელდობრ იმაში, რომ „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ არის ნაწარმოები ერთი ადამიანის — შოთა რუსთველისა, მხოლოდ, თუ ნ. მარს რუსთველის გვარად „ჩახრუხაძე“ მიაჩნდა, მ. ჯანაშვილს „ჩახრუხაძე“ მიაჩნია იოანე შავთელის („აბდულმესიანის“ ავტორის) გვარად. რატომ? იმიტომ, რომ „აბდულმესიანი“ „თამარიანზე“ ადრეა დაწერილი, დაწერილია ის „ჩახრუხაული“ ლექსით, აქედან, მაშასადამე, ჩახრუხაძე, საიდანაც წარმოდგა ტერმინი „ჩახრუხაული“, იყო გვარი შავთელისა.

ასეთია ზოგად ხაზებში ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შრომები და შეხედულებანი მ. ჯანაშვილისა.¹⁴

¹⁴ ვეკლად იხ. კ. ქეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბ., 1962, გვ. 271—286.

ქართული მწერლობის მშვენიება და სიამაყე ვაჟა-ფშაველა კულტურულ-ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ძირითადად — ოთხმოციან წლებში. ამ დროისათვის ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა, მრავალი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი კვლავ ბურუსით იყო მოცული.

ფშავის მშვენიერი სოფლიდან გამოსულმა გენიოსმა გულისყურით დაიწყო ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისა და საერო-მხატვრული ლიტერატურის შესწავლა, ინტერესით გაიცნო თავისი სახელოვანი წინაპრების მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ყველგან, სადაც კი სწავლობდა ვაჟა-ფშაველა, — თელავის სასულიერო სასწავლებელში (1869—1877), თბილისის სამოქალაქო სასწავლებელში (1877—1879), გორის საოსტატო სემინარიაში (1879—1882), თუ პეტერბურგის უნივერსიტეტში (1883—1884), ის გამუდმებით კითხულობდა, ინტენსიურად ეწაფებოდა მწერლობას და სისტემატურად იმალლებდა გონებრივი განვითარების დონეს. ოჯახსა და სასწავლებელში მიღებული ცოდნა მან კიდევ უფრო გაიღრმავა შემდგომ წლებში.

ვაჟა-ფშაველა საფუძვლიანად იცნობდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, განსაკუთრებით — ბიბლიას; ბიბლიური სიუჟეტებისადმი ინტერესი მას ბავშვობაში გაუღვივდა, ხოლო შემდგომ წლებში საფუძვლიანად შეისწავლა საღმრთო წერილი. პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობისას, კერძოდ, დიდი თონეთის სკოლაში მასწავლებლობის პერიოდში, ის საღმრთო რჯულსაც ასწავლიდა. ასე რომ, მას სამსახურებრივი მოვალეობის გამოც უხდებოდა ადრე შეძენილი ცოდნის განმტკიცება და გაღრმავება.

ვაჟა-ფშაველას თხზულებებში ხშირად ვხვდებით ბიბლიურ გმირებს, ფაქტებს, ეპიზოდებს, პუნქტებს. მის ნაწერებში გვხვდება ბიბლიური ციტატებიც.

უფრო საფუძვლიანად იცნობდა ვაჟა ძველ ქართულ საერო-მხატვრულ ლიტერატურას. მაღალ შეფასებას აძლევდა სარგის თმოგველს, პატივისცემითა და სიყვარულით მსჯელობდა მის „დიდებულ

ნიჭზე“ (V, 273),¹ მოწიწებით იხსენიებდა რუსთველის გვერდით (V, 100, 273, 275), როგორც მის ღირსეულ თანამედროვეს და გულისტკივილს გამოთქვამდა მისი „დილარიანის“ დაკარგვისა და ჩვენამდე მოუღწევლობის გამო (V, 275).

კლასიკური ხანის მწერლობიდან, და საერთოდ ძველი ქართული მწერლობიდან, ვაჟა ყველაზე მეტად აფასებდა შოთა რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“. მას სიამაყის გრძნობას ჰგვრიდა „უკვდავ ნაწარმოები უკვდავი ადამიანისა“, მარად აღელვებდა ეს „ღიდებულ-ქმნილება“. ვაჟას „ვეფხისტყაოსანი“ ზოგადსაკაცობრიო თხზულებად მიაჩნდა, ხოლო მისი ავტორი მსოფლიო გენიოსად. მისი განცხადებით, რუსთველი, — „თავის დროის შესაფერად ფრიად განათლებული კაცი, ფრიად დახელოვნებული ყველა მეცნიერებაში“, — „ხალხის შვილია, ხალხიდან გამოსული, ხალხურად მოქმელი“; ის „ერს ეკუთვნის და ერის ღვიძლი შვილია“. ვაჟას დასკვნით, რუსთველი „ღვიძლი შვილია თავის ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიაც მთელ ერს, მის კულტურულ ავლადიდებას, როგორც ფოქუსში, მოუყრია თავი; იგი ამავე დროს სარკეა თავისი ერისა, არა ჩვეულებრივი, არამედ ცოცხალი, მისი ნაწარმოებიც მუდამ ცოცხალია, სადაც იგი თავის თავსა ჰხედავს, თავის „მე“-ს, თავის ვინაობას შესტრფის და შესტრფის იმასაც, ვინც ეს სარკე ისე მოაწყო, რომ ერმა ამ სარკეში ჩახედვით იცნო თავისი თავი. დიად, შოთა რუსთველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“.

ვაჟა საკმაოდ კარგად იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, რუსთველის პოემა მან ჯერ კიდევ ბავშვობაში გაიცნო და შეიყვარა. თანამედროვეთა მოწმობით, ის ხშირად ზეპირად წარმოთქვამდა ცალკეულ სტროფებს და საუბარშიც იმოწმებდა შოთას ბრძნულ გამონათქვამებს. ვაჟქვს მითითება, რომ ვაჟა სხვებსაც აცნობდა „ვეფხისტყაოსანს“ და ახალგაზრდებს უკითხავდა ტექსტის ნაწყვეტებს.

ვაჟა არა მხოლოდ იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, არამედ კარგად ერკვეოდა მის პრობლემებში და აქტიურად მონაწილეობდა რუსთველოლოგიის ცალკეული საკითხების ირგვლივ გამართულ მეცნიერულ კამათში. მის სამეცნიერო-კრიტიკულსა და პუბლიცისტურ წერილებში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის, მისი სიუჟეტის წარმომავლობის, პოემისა და ხალხური „ტარგილიანის“ ურთიერთობის, ტექსტის, ტიპაჟის, ენისა და სხვა საკითხები.

ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ ქართველი საზოგადოებრიობის გამოსე-

¹ ნარკვევის წერისას ვიყენებდით ვაჟა-ფშაველას თხზულებათა კრებულის საიუბილეო გამოცემას (ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, 1—V, თბ., 1961). დამოწმებისას რომელი რიცხვით აღვნიშნავთ ტომს, არაბულით — გვერდს.

ლა ი. ჯაბადარისა და სხვათა წინააღმდეგ, როდესაც თითქმის მთელი მოწინავე ქართველობა აღსდგა „ვეფხისტყაოსნის“ დასაცავად. ბუნებრივია, ასეთ საჭირობოროტო საკითხს არ შეიძლებოდა არ მიექცია ვაჟას ყურადღება. ის ჯერ კიდევ ადრინდელ შრომაში (1890 წ.) ეხებოდა რუსთველის საკამათო სტროფს („ესე ამბავი სპარსული...“) და შენიშნავდა: სპარსულში „ვერაფერს“ მსგავს ამბავს ვერა ვპოულობთ“ (V 98). სხვათა შორის, ვაჟა უკვე იმ დროს წერდა: „კარგად ვიცი, თუ რად დაუძახა შოთამ სპარსული ტარიელის ამბავსო“ (V, 99), მაგრამ შემდგომი კომენტარებისაგან თავს იკავებდა. ამ საკითხს ის სპეციალურად შეეხა 1911 წელს გამოქვეყნებულ წერილში: „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ (V, 268—280. იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 281—290).

აღლევებული ვაჟა წერდა: „საკვირველი მკვლევარნი აღმოუჩნდნენ ამ ბოლო დროს „ვეფხისტყაოსნის“ და საქმე იქამდის მიჰყავთ, ლამის ბედაურზე მჯდომი მისი ავტორი ლამანჩელი აზნაურის ჯაგლაგა როსინანტზე შესვან, საღერღელი „განქექილებისა“ ჩვენ ორიენტალისტებს აუშალა ბ. ნ. მარრმა, რომელმაც ამ ოცის წლის წინათ საჯაროდ აღიარა, თუმცა დღემდე არავითარი დამამტკიცებელი საბუთი მას არ წარმოუდგენია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი თხზულება მას ენახოს ბრიტანიის მუზეუმში. ჩვენი მოლოდინი ნ. მარრმა ვერ გაამართლა, არაფერი მსგავსი „ვეფხისტყაოსნისა“ მან ვერსად ვერაფერი ჰპოვა, მაინც არ იშლის დღესაც და მაინც სჯერა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დედანი ადრე თუ გვიან უსათუოდ აღმოჩნდება სპარსეთშიო“.

ვაჟა მკაცრად აკრიტიკებდა ნ. მარის შეხედულებას. მას დაუშვებლად მიაჩნდა რუსთველის უბრალო მთარგმნელად გამოცხადება. ან ვინ დაიჭერებს, რომ მთარგმნელი ასე შეიყვარა მშობელმა ერმა, ასეთი უკვდავების შარავანდედით შემოსა მისი სახელი, უჭკნობი პოეტური გვირგვინით შეამკო იგი. „ერი რომ აგრე ადვილად აღმერთებდეს უბრალო მთარგმნელს, როგორც შოთა ჰყავს გაღმერთებული ქართულ ერს, სათვალავი არ ექნებოდა, იმდენი გენიოსები და რუსთაველები ეყოლუნოდა კაცობრიობას“. მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის ერი ასე არ განადიდებდა რუსთველს. მისი გონება მახვილური შენიშვნით, „აგრე ადვილი არ გახლავთ ერის სიყვარულის მოხვეჭა, მერე როგორი სიყვარულისა? — დიდად დიდი სიყვარულისა“.

იცავდა რა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობას, ვაჟა დაუნდობლად ამათრახებდა პოემის ვაიკრიტიკოსებს, უყიენებდა ნ. მარის მიმდევრებს საკუთარი აზრის უქონლობას, კვლევის დონის დაქვეითებას, მოჩვენებით ობიექტურობას, ნ. მარის ავტორიტეტისადმი ბრმა მორჩილებასა და მის მცდარ მოსაზრებათა უკრიტიკოდ შეწყყნარებასა და გაზიარებას. მათ ჩაიგდესო ხელში რუსთველის პოემა, „სწე-

წებ აღმა-დაღმა გარდიგარდმო“ და გულმოდგინედ ცდილობენ დაამტკიცონ მისი სპარსულიდან წარმომავლობა. მათთვის ამოსავალი შეიქნა რუსთველის სიტყვები: „ესე ამბავი სპარსული...“ დაიხვიეს ხელზე ეს განცხადება და კატეგორიულად იწყეს მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული დედნის შესახებ. მათ არ სცადეს რუსთველის სიტყვების ახსნა, მისი განმარტება, ისინი „აღარ გასცდნენ დედნის ასობს, — დაუწყეს ღეჭა იმასაც, რაც ამოიკითხეს... აქ გაიყინა იმათი კვლევა-ძიება“.

ვაჟა ირონით შენიშნავდა, რომ კრიტიკოსებმა არ იფიქრეს — თუ ეს ამბავი სპარსულია, თუ ეს არაკი სპარსულ სამყაროში გავრცელებული იყო, როგორ მოხდა, რომ მისი აღმწერი და გამლექსავი სპარსეთში არავინ აღმოჩნდა, მისი მხატვრული სახით გადმოცემა სპარსეთში არავინ ისურვა. „როგორ მოხდა, რომ ქართველმა საქართველოდან იპოვნა ეს ამბავი სპარსეთში, ხოლო სპარსელებმა კი ვეღარ თავის მშობელ ქვეყანა-სპარსეთში?“ ფირდოუსმა მაინც როგორ გაუშვა ხელიდან ეს შესანიშნავი ამბავი, რად არ დაინტერესდა, რად არ გამოიყენა? თუ იყო სპარსეთში ეს ლეგენდა, როგორ გაქრა, როგორ დაიკარგა ასე უკვალოდ? ჩანს, არც არაფერი ყოფილა და არც არაფერი დაკარგულა“.

ვაჟას დაკვირვება ფრიად საგულისხმო და საყურადღებოა. მან სწორად განსჭვრიტა და მართებულად დაასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიმზიდველი და ერთობ საინტერესო სიუჟეტი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო დაუმუშავებლად სპარსეთში, ქვეყანაში, სადაც ერთსა და იმავე სიუჟეტს, — თუ კი ის საინტერესო იყო, — რამდენჯერმე ამუშავებდნენ (მოვიგონოთ, მაგალითად, „ლეილმაცუნნიანი“, „იოსებ-ზილიხანიანი“, „ხოლოვშირინიანი“ და სხვა ძეგლები).

საკითხის ამგვარად დასმით და მისი მახვილგონივრული გადაწყვეტით ვაჟამ ძირი გამოუთხარა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულიდან მომდინარეობის თეორიას და მეცნიერულად დაასაბუთა პოემის ორიგინალობა. თანამედროვე რუსთველოლოგია მთლიანად იზიარებს მის პრინციპულ მოსაზრებასაც და საბუთიანობასაც.

ვაჟამ უყურადღებოდ არ დატოვა რუსთველის სიტყვები: „ესე ამბავი სპარსული...“ და მისი განმარტება. მისი ახსნა, მისი შინაარსის გაგებაც სცადა. ის მართებულად შენიშნავდა, რომ „მკვლევარი და ამხსნელი სწორედ ამისთანა ორმაგად და ორჭოფად ნათქვამს უნდა“.

ვაჟას დაბეჭივებით სწამდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობა, მისი ქართულობა და რუსთველის სიტყვები „ესე ამბავი სპარსული...“ სრულებით არ აღელვებდა და არ აშინებდა. ის „დიდ უმეცრად“ მიიჩნევდა მას, ვისაც პირდაპირ სჯეროდა ამ სიტყვებისა და მათზე დამყარებით პოემას სპარსულიდან თარგმნილად მიიჩნევდა. არც იმის თქმას

თვლიდა „დიდ ვაჟკაცობად, რომ არავითარი სპარულის ამბისა არა ურევია რა შოთას პოემაში“. ის შემდეგნაირად ხსნიდა რუსთველის სიტყვების მნიშვნელობას: ქართველი ფეოდალური საზოგადოებრიობა უცხო მწერლობას ეცნობოდა, უცხო სიუჟეტებს ეტანებოდა. მისი ყურადღების მოსაზიდად, მკითხველთა დასაინტერესებლად რუსთველმა „ნამდვილად მომხდარი ამბავი“ უცხო, სპარსულად გამოაცხადა. ე. ი. შოთამ ხარკი გაიღო ეპოქის მიმართ, საზოგადოების მიმართ, ამბავი სპარსულად გამოაცხადა, მაგრამ სინამდვილეში სპარსული ლიტერატურით არ უსარგებლია, სპარსული თხზულება არ უთარგმნია.

ვაჟას „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ ორიგინალურ ნაწარმოებად მიაჩნდა, არამედ მის ტექსტში თამარის დროის საქართველოს კონკრეტული პოლიტიკურ-ისტორიული ვითარების ანარეკლი ესახებოდა. რუსთველს სურდა თამარის ხანის აღწერა, მაგრამ შენიღბულად, თვალის ახვევით, აღგვარიულად, რათა ყოველივე არ გამოქვადებულყო. მან „საიდუმლოებით მოცული შემთხვევა“ აღწერა და უცხო ამბად გამოაცხადა, რათა „საქართველოში და მეფის კარზე მომხდარი რაიმე ამბავი“ არ მოგონებოდა მკითხველს. ერთგან ვაჟა საგანგებოდ წერდა: „ხვარაზმშას მოკვლა ტარიელისაგან და დეარისა თავის მოკვლა, მიჯნურობა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, უნდა იყოს მიზეზი, რომ რუსთველი თავის პოემის სიუჟეტს სპარსულს უწოდებს“.

ვაჟა საესებით დარწმუნებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობაში, ღრმად სწამდა მისი ქართულობა და გადაჭრით აცხადებდა: „რომ რუსთველი არ გვიხატავდეს თანამედროვე ეპოქას, ოქროს საუკუნეს, რომელიც იალბუზივით ქედმოღერებული დგას მთელ საქართველოს ისტორიაში, არ აძლევდეს პასუხს უმთავრესს იმ საუკუნის კითხვაზე, მაშინაც კი ვერ ვიტყოდით, თუ ტარიელის ამბავი უცხოეთიდან არის შემოტანილი, იმდენად ქართულია „ვეფხისტყაოსანი“, იმდენად ამოღებულია ქართველის გულიდან, იმდენად გამომხატველია მთელის ერის არსებისა“.

„ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური თხზულებაა, ღრმად ეროვნული ნაწარმოებია, „ამიტომ შეიყვარა ქართველობამ ეს პოემა და შეისისხლხორცა“, — ასეთია ვაჟას დასკვნა საცილობელ საკითხზე. მაგრამ ორიგინალურ ნაწარმოებში სიუჟეტი შეიძლება იყოს აღებული როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან, ისე ცხოვრებიდან. რით სარგებლობდა რუსთველი? იყენებდა ის ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს თუ რეალური ცხოვრების კონკრეტულ სურათებს? აი, კითხვები, რომლებიც ერთობ აღელვებდა და აინტერესებდა ვაჟას. ამ საკითხზე მან საესებით ჩამოყალიბებული შეხედულებანი შეიმუშავა.

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ვაჟა „ვეფხისტყაოსნისა“ და „ტარიელიანის“ ურთიერთობის საკითხს. მის პირველ რუსთ-

ველოლოგიურ წერილში სწორედ დასახელებულ ლიტერატურულ და ხალხურ ნაწარმოებთა ურთიერთობაა განხილული. ა. ხახანაშვილის საწინააღმდეგოდ გამოქვეყნებულ წერილში (V, 98—102) ვაჟა დაბეჭი-თებით ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „შინაარსი, ფორმა, მომენტები“ ლიტერატურულია და არა ხალხური. პოემის შექმნისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა „თამარის დიდებულ ეპოქას“.

განსაკუთრებით მწვავედ აკრიტიკებდა პოეტი ა. ხახანაშვილს რუსთველის როლის არასწორად შეფასების გამო. თუ ხალხში არსებობდა ნაწყვეტები, რუსთველმა რაღა გააკეთა? — კითხულობდა ვაჟა. პროფესორის აზრით, შოთას „ხალხური პოემა გაუმშვენებია ფილოსოფიურის მოსაზრებით, მეტყველის ენით, პოეტურის აღმფარვნით“. მაშ, ხალხურს აღარაფერი ჰქონდა, აღარც აზრი, აღარც ფორმა? თუ კი ჰქონდა, მაშინ რუსთველის როლი უმნიშვნელო ყოფილა. „გამოვიდა, რომ რუსთაველს მართო ერთმანეთზე მიუყოფიწებია ეს ლექსი, მოუჭურჩებია ერთად, როგორც ახლა აგროვებენ ბევრნი სახალხო ლექსებს“. თუ ეს ასეა, მაშ თავმომწონედ რაღას მსჯელობს და რატომღა აკრიტიკებს სხვებს (—„მოშაირე არა ჰქვიან“)?

თავის წერილში ვაჟამ სავსებით დამაჯერებლად ცხადყო, რომ „ტარიელიანს“ რუსთველის პოემა დაედო საფუძვლად. მისი მოსაზრება კიდევ უფრო დადასტურდა, შემდგომი კვლევა-ძიებით. დღეს უკვე დადგენილია, რომ „ტარიელიანი“ მხოლოდ მკრთალი ანარეკლია გენიალური „ვეფხისტყაოსნისა“.

„ვეფხისტყაოსნისა“ და „ტარიელიანის“ ურთიერთობის საკითხს ვაჟა სხვა წერილებშიც იხილავდა. მაგალითად, წერილში „მცირე რამ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ (V, 410—411) ის დაბეჭიით ამტკიცებდა პოემის ორიგინალობას, მაგრამ იქვე დასძენდა: „არც ის გარემოება დაამცირებს შოთას დიდებულს პოემას, რომ ის იყოს აგებული რაიმე ზღაპარზე—სპარსულზე, არაბულზე, თუნდა ქართულზე“.

ვაჟას გვიანდელ შეხედულებათა განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: იმ პერიოდში ძალზე მწვავედ იდგა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხი. ზოგიერთი მკვლევარი მის სპარსულიდან წარმომავლობას ამტკიცებდა, ხოლო ზოგი მის ძირებს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ეძებდა. მართალია, ვაჟას გარკვევით ჩამოყალიბებული შეხედულება ჰქონდა როგორც პოემის ორიგინალობის, ისე მისი ხალხურ მასალასთან ურთიერთობის შესახებ, მაგრამ, რადგან ამ საკითხზე გაცხარებული კამათი იყო გაჩაღებული და ზოგიერთი მკვლევარი ამ კამათს ქართველთა საზიანოდ და რუსთველის დასამცირებლად იყენებდა, მან, სხვათა მსგავსად, განაცხადა: თუნდაც დაიძებნოს „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური ან ლიტერატურული საფუძველი, ამით რუსთველის დიდებას არა დააკლდება—რაო. ვაჟა ზოგადად

განიხილავდა პომის შესაძლებელი ხალხური საწყისების საკითხს, მაგრამ მას დაბეჯითებით მიიჩნევდა „ორიგინალურ, ღრმა ეროვნულ ნაწარმოებად“ (V, 271), რომელშიც „დასურათებულია მისი თანამედროვე ეპოქა“ (V, 410), აღწერილია „ნამდვილად მომხდარი ამბავი“ (V, 272). ამ საკითხს განიხილავდა ვაჟა მთელ რიგ სამეცნიერო-კრიტიკულ წერილებში და დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ კონკრეტულ-ისტორიული ვითარებაა ასახული, მაგრამ ყოველივე ამას ავტორი აღწევს აზრისა და ფაქტის შენიღბვის გზით. პომეში საქართველო არც კი იხსენიება, მოქმედება უცხოეთში წარმოებს, მოქმედი პირები უცხოელები არიან, მაგრამ ეს, რასაკვირველია, წინასწარგამიზნული და მოფიქრებულია. „შესაძლებელია განა ესა, თუ მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ალეგორია არ არის? სწორედ რომ ალეგორიაა“, — აცხადებდა ვაჟა (V, 272) და გადაკრით ემხრობოდა იმ მეცნიერებს, რომლებიც რუსთველის პომეში ისტორიულ ალეგორიებს ეძებდნენ. მისი აზრით, რუსთველმა განზრახ, „თვალის ასახვევად“ (V, 287), მიმართა ალეგორიას, „რათა ის ნამდვილად მომხდარი ამბავი დაგვიხატოს, რომლის მოწამეც თავად არის, რაც მეფე თამარს და მის მეუღლეს შეეხება“ (V, 272).

ვაჟა კატეგორიული ტონით აცხადებდა: „არავითარი ეჭვი არ უნდა გექონდეს იმაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არაკი ნამდვილი ამბავია, მომხდარი საქართველოში: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანდარეჯანი, თინათინი და სხვა და სხვა ისტორიული პირები არიან გადასხვაფერებული სახელებით. ჩანს, ამ ამბის გამომჟღავნება არ ესიამოვნებოდა თამარს და მის მეუღლეს“ (V, 273).

ვაჟა სხვა წერილშიც დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ რუსთველი თავისი ეპოქის სურათებს იძლეოდა, თავის თანამედროვე გმირებს ხატავდა, რადგან თანადროულობა პოეტურ აღმაფრენას მატებდა მას. რუსთველი არა მხოლოდ თანამედროვეა მის მიერ აღწერილი მომხდარი ფაქტისა, არამედ „მოწამე და მონაწილეც“. მას მხედველობიდან არ გამოორჩენია ეპოქის საკირბოროტო საკითხები, კერძოდ, ის საკითხი, რომელიც ერთობ აღელვებდა მისი ღრვის ქართველ საზოგადოებრიობას — „მოეწვიათ თუ არა ქართველებს უცხო ტომის კაცი თამარის მეუღლედ“. ამ რთულ კითხვას ისიც აუღელვებია. მისი „გული, როგორც მოწინავე კაცისა, ამ საკითხავით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული. მოწვევა უცხოელისა თამარის მეუღლედ ორნაირად შეურაცხმყოფელი იყო შოთასი: ერთი, რომ ერისა, თავის ქვეყნისათვის სასარგებლოდ არ მიიჩნევდა ამას საღი გონება და, მაშასადამე, იტანჯებოდა მისი ეროვნული გრძნობა, მეორე, ამ მოწვევით პატრონი უჩინდებოდა მის ხელმძღვანელს, მაშასადამე, იტანჯებოდა მისი პირადი გრძნობა სიყვარულისა“ (V, 100). საგულისხმოა, რომ ვაჟას აზრით, თამარი რუსთ-

ველის ტრფობის ობიექტია, მისი ხელმძღვანელია, ხოლო რუსთველი, რომელსაც „ტარიელად თავისი თავი ჰყავს წარმოდგენილი და ან კიდევ თავის მდგომარეობას ამსგავსებს, უერთებს ტარიელისას“ — თამარის მეხოტბე, შემსხმელი და შემამკობელია, მისი ერთგული მადიდებელია.

ვაჟა არ კმაყოფილდება „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულობის ჩვენებით, ამას არ ჯერდებოდა მისი ორიგინალობის სამტკიცებლად და სხვა საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას. კერძოდ, ორიგინალობის საკითხთან დაკავშირებით ეხებოდა ის პოემის ტიპაჟსა და ენას.

„ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჟის შესწავლისა და განხილვისას ვაჟა პირველ რიგში პოემის გმირთა ქართველობის ჩვენებასა და დამტკიცებას ცდილობდა. მისი მოსაზრებით, მართალია, რუსთველმა თავისი ამბავი უცხოურად გამოაცხადა, მოქმედება უცხოეთში გადაიტანა და, შესაბამისად, გმირებადაც უცხოელები გამოიყვანა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ ჩაიდინა, რომ „პარმონია არ დარღვეულიყო“. სინამდვილეში „ასპარეზი შოთას გმირების მოქმედებისა და მათი სამშობლო საქართველოა“ (V, 290).¹

სავსებით დარწმუნებული იყო რა პოემის გმირთა ქართველობაში, ვაჟა ხაზგასმით აღნიშნავდა: „რო წაიკითხოს ქართველმა კაცმა „ვეფხისტყაოსანი“, შიგ ისეთი სუნი ტრიალებს, ერთ მოქმედ პირზედაც ვერ იტყვი, ქართველი არ არისო“ (V, 277).

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე მსჯელობისას ვაჟა არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ზემოთქმულით, არ შემოიფარგლა გმირთა ქართველობის ჩვენებით, მან კარგად გაიგო და გაიაზრა რუსთველის გმირთა არა მხოლოდ ქართული სპეციფიკური თვისებანი, არამედ სწორად განსჭვრიტა მათი ზოგადსაკაცობრიო ნიშნებიც, კერძოდ, კარგად გაიგო ტარიელის „დიდბუნებოვანობა“, ნესტანის ხასიათის სიმტკიცე, ავთანდილისა და ფრიდონის ერთგულება მეგობრობისადმი და სხვ.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ვაჟას მსჯელობა რუსთველის ენის შესახებ. მართალია, მას არც პოემის ენობრივი ნორმები შეუსწავლია სპეციალურად და არც მისი მხატვრული ენის სპეციფიკურობა, მაგრამ მისი ნაზრევი ყურადღებას იმსახურებს იმდენად, რამდენადაც ვაჟა რუსთველის ენას „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის კვლევის სფეროში ათავსებდა.

ვაჟას რწმენით, ყველა მწერალმა. — და, მით უმეტეს, დიდმა მწერალმა, — მშობლიურ ენაზე უნდა წეროს, მშობლიური ენით უნდა გადმოცეს თავისი ნაზრევი, რათა ის მშობელი ხალხისათვის ადვილად გასაგები და შესაცნობი იყოს. ერთ წეროლში ის ასე მსჯელობდა: „როგორ შეიძლებოდა რუსთაველს მონგოლურად ან არაბულად ეფიქრა, ეგრძნო და ისე დაეწერა „ვეფხისტყაოსანი“! ან დიდი მცოდნეც

რომ ყიფილიყო მონგოლურის და არაბულის ენებისა და იმათ ენაზე დაეწერა თავისი უკვდავი ნაწარმოები, ის იქნებოდა, რასაც დღეს ვხედავთ? არც მესამელი!“ (V, 261).

სხვათა შორის, ვაჟას აზრით, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ ქეშმა-რიტად ეროვნული ნაწარმოებია, — ერის სულისკვებების გამომხატვე-ლი და მისი აზრის გადმოძეცი, — მის არსს ყველაზე მეტად ქართ-ველი შეიგრძნობს (V, 213—214).

საყურადღებოა ვაჟას დაკვირვებანი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტო-ლოგიურ საკითხებზე. ის განიხილავდა როგორც პროლოგ-ეპილოგის, ისე საკუთრივ ძირითადი ტექსტის საკითხებსაც და აკრიტიკებდა იმ მკვლევარს, რომელმაც უარყო პოემის „წინა და უკანასიტიყვაობა“ (V, 269). მან მოგვცა პროლოგის მართებული ანალიზი (კარგად გაიაზრა რუსთველის თეორია), სწორად განჭვრიტა მისი შინაარსობრივ-სტრუქ-ტურული ხასიათი და დაასაბუთა მისი რუსთველისადმი კუთვნილება.

ვაჟას გულისწყრომას იმსახურებდნენ პოემის ის „გამქიქებელი, ყალბი ადგილების აღმომჩენნი, რომელთაც მართლაც და ყალბ ადგი-ლებს წიხლითა და ქისტის ცემით ნამდვილი პოეტის გონების და გრძნობის ნაყურიც ზედ მიაყოლეს“ (V, 281). ვაჟამ მკაცრად გააკრი-ტიკა ა. სარაჯიშვილი, რადგან მან „მართალია, პოემაში ყალბი ადგილე-ბი აღმოაჩინა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ყალბ ადგილებს ნამდვილი რუსთაველის დაწერილი ტაეპებიც ზედ მიაყოლა“ (V, 269). როგორც ჩანს, ვაჟა პრინციპულად არ უარყოფდა „ვეფხისტყაოსანში“ ცალკეუ-ლი ყალბი ადგილების, ჩანართების, ინტერპოლაციების არსებობას, მაგრამ მათ მიკვლევასა და დადგენაში აუცილებლობად მიიჩნევდა მეცნიერულ სიფრთხილეს, დაკვირვებასა და აუქჩარებლობას. მას აღ-შფოთებდა ის გარემოება, რომ ყალბი სტროფების ძიებისას, ზოგჯერ, შესანიშნავი, უცილობლად რუსთველისეული სტროფებიც ინტერ-პოლაციებად ცხადდებოდა.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველა „ვეფხისტყაოსნის“ არა მხოლოდ დიდი მცოდნე და დამფასებელია, არამედ მისი ენერგიული მკვლევარიც. მის რუსთველოლოგიურ შეხედულებათაგან ბევრს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ხოლო ზოგიერთი კიდევ უფრო დადასტურდა შემდგო-მი კვლევა-ძიებით.

აღორძინების ხანის ქართული მწერლობიდან ვაჟას განსაკუთრე-ბით მოსწონდა დ. გურამიშვილი, ალაფრთოვანებდა „დავითანის“ მგზნებარება და იდეური სიღრმე. დ. გურამიშვილის პოეტური სული-თაა გამსჭვალული ვაჟას მთელი რიგი თხზულებანი, რომლებშიც შეი-გრძნობა დ. გურამიშვილის ლექსის ჟღერადობა, მისი მელიოდირობა, რიტმი, სახეები და სიტუაციები. ძველი ქართული პოეზიის ამ ბრწყინ-ვალე წარმომადგენელთან ვაჟას ანათესავენ არა მხოლოდ თემატიკა

(სამშობლოს თავგადასავლის აღწერილობა, მშრომელი გლეხობის, კერძოდ, მწყემსების ცხოვრების ასახვა და სხვ.), მამულის სიყვარულის უფაქიზესი განცდა და პატრიოტული გრძნობის სიცხოველე, ზეპირსიტყვიერებასთან მჭიდრო კავშირი და ხალხური პოეზიის ნაკადით ქარბად სარგებლობა, არამედ ბუნების სიმშვენიერის წვდომა, ბუნების ესთეტიკური ჰერეტიკის ობიექტად მიჩნევა, მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მსგავსება და ერთიანობა.

ვაჟა იცნობდა და იყენებდა ბესიკის (V, 131), ი. ბაგრატიონისა (V, 283) და სხვათა ნაწერებსაც.²

² ვრცლად იხ. ლ. მენაბდე, XIX საუკუნის ქართული კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1972, გვ. 297—332.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მკვლევარი დავით გიორგის ძე კარიჭაშვილი დაიბადა 1862 წ. სოფ. ხიდისთავში. დავითის მამას ახლო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი ერისთავის ოჯახთან.¹ ამ ოჯახის კულტურულმა ტრადიციებმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა დავითის აღზრდაზე. მას ბავშვობიდანვე ჩაენერგა მშობლიური ქვეყნის ისტორიის, მწიგნობრობის და საერთოდ ქართული კულტურის დიდი სიყვარული. შემდგომ სათანადო განათლების მიღებამ კი იგი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო სარბიელზე გამოიყვანა.

დ. კარიჭაშვილმა საშუალო განათლება გორის სასულიერო სასწავლებელსა (1869—1876 წწ.) და თბილისის სასულიერო სემინარიაში (1876—1880 წწ.) მიიღო. სემინარიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1883—1884 წლებში სწავლას აგრძელებს ჯერ უენევის, შემდეგ — პარიზის სორბონის უნივერსიტეტში. 1886 წ. ბრუნდება სამშობლოში.

საქართველოში მისი პრაქტიკული საქმიანობა დაკავშირებულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თავდადებით ემსახურა ამ დიდ ეროვნულ-კულტურულ საქმეს, რომელსაც ეს საზოგადოება ეწეოდა. საზოგადოების მუშაობაში იგი ჩაება, პირველ ყოვლისა, როგორც პედაგოგი. ასწავლიდა ფრანგულსა და ქართულ ენებს, შემდეგ — ისტორიასაც. 1891 წლიდან იგი საზოგადოების ერთ-ერთი წამყვანი მუშაკია. საზოგადოების მდივანი, გამგეობის წევრი, თავმჯდომარის ამხანაგი, თავმჯდომარე, საპატიო თავმჯდომარე, არქივ-ბიბლიოთეკის გამგე — აი, ის თანამდებობანი, რომელნიც მას ოფიციალურად ეჭირა საზოგადოების ლიკვიდაციამდე. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, როდესაც საზოგადოების ხელნაწერების საცავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა, დ. კარიჭაშვილი უნივერსიტეტის ასისტენტად დაინიშნა. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად მისთვის ღვიძლ საქმედ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება რჩება, რომელსაც „მთელი თავისი ზნეობრივი და ფიზიკური ენერგია შესწირა“².

¹ ს. ცაიშვილი, დავით კარიჭაშვილი, „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და მასწავლებლები“, 2 (1955).

² ს. ჯანაშია, დ. კარიჭაშვილი, „ქართული ისტორიოგრაფია“, 2 (1971), გვ.

დ. კარიჭაშვილი გარდაიცვალა თბილისში 1927 წ., დაკრძალულია დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

სამწერლო მოღვაწეობა დ. კარიჭაშვილმა სტუდენტობის დროს დაიწყო. 1885 წ. „დროებაში“ დაიბეჭდა პარიზიდან გამოგზავნილი მისი ორი წერილი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი კულტურული და გონებრივი ცხოვრების ცენტრში მოექცა. სისტემატურად თანამშრომლობდა იმ დროის თითქმის ყველა გზეთსა და ჟურნალში. თავისი ძალა პირველ ყოვლისა მხატვრულ ლიტერატურაში სცადა.

დ. კარიჭაშვილი პირუთვნელი რეცენზიებით ეხმაურება საქართველოს ისტორიის და ქართული ლიტერატურის შესახებ გამოქვეყნებულ მეცნიერულ წიგნებს, შრომებსა და პუბლიკაციებს. საყურადღებო ბიბლიოგრაფიული შენიშვნები მიუძღვნა ა. ცაგარლის (Сведения о памятниках грузинской письменности, I, 1886)³, მ. პლოხინსკის (Поселение грузин в Малороссии в XVIII в., 1893)⁴, ე. თაყაიშვილის (Сигель грузинского царя Баграта IV, 1894)⁵, ა. ფრონელის (მთიულეთი 1804 წელს, 1896)⁶, ს. ბურნაშოვის (Картина Грузии и описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, 1896)⁷, ნ. მარისა (Древнегрузинские описания)⁸ და თ. ჟორდანიას (ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, 1903)⁹ წიგნებს. ეს წერილები დ. კარიჭაშვილს ახასიათებენ როგორც ჩვენი ხალხის წარსულით დაინტერესებულ, მის ისტორიასა და ლიტერატურაში ღრმად ჩახედულ და დაკვირვებულ მკვლევარს.

თავისი შეხედულებანი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ძეგლებზე დ. კარიჭაშვილს გამოთქმული აქვს როგორც სპეციალურ ნარკვევებში, ისე რეცენზიებში, ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილებში, ხელნაწერთა აღწერილობებში, მრავალრიცხოვან პოპულარული ხასიათის საისტორიო შრომებსა და რამდენიმე მეცნიერულ გამოკვლევაში.

დ. კარიჭაშვილს კარგად ესმოდა, რომ ქართული მწერლობის ისტორიის შესაქმნელად საჭირო იყო მდიდარი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოვლენა და შესწავლა. „უმთავრესი საზრუნავი

³ „თეატრი“, 1888, № 30.

⁴ „მოამბე“, 1895, № 1.

⁵ იქვე.

⁶ „მოამბე“, 1896, № 8.

⁷ „მოამბე“, 1896, № 2.

⁸ „ივერია“, 1902, № 97.

⁹ „მოამბე“, 1904, № 3.

ის იყო, რომ ჭიასა და ნესტს გამოვაცალოთ მწერლობის სახსოვრები და მოვათავსოთ კარგად შენახულს საცავებში“. ამ სახსოვრების სახელებისა და შინაარსის გაგება პირველი ფეხის გადადგმა იქნება მწერლობის ისტორიისაკენო, — წერდა იგი ა. ცაგარლის წიგნის გამოსვლის გამო დაწერილ ბიბლიოგრაფიაში. ამ ჯერ თითქმის ხელშეუხებელი და გაუსინჯავი განძის ღირსებისა და მნიშვნელობის გაგება გვიმტკიცებს, თუ რა დიდი ყურადღების ღირსია ქართული მწერლობაო. ქართული მწერლობის კვლევისა და შესწავლის საქმეში ა. ცაგარლის ღვაწლს, ისე როგორც მისი წინამორბედების — მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილისას, იგი დიდად აფასებდა. ასევე აღფრთოვანებით წერდა დ. კარიჭაშვილი ნ. მარის დიდ დამსახურებაზე ქართული ფილოლოგიის წარმატების საქმეში და მალალ შეფასებას აძლევდა მეხოტბეთა თხზულებების ნ. მარისეულ პუბლიკაციას.

დ. კარიჭაშვილმა, ისე როგორც იმ დროის მკვლევართა უმრავლესობამ, გაიზიარა ნ. მარის შეხედულება შავთელის თხზულების ქების საგნისა და „თამარიანის“ შედგენილობის შესახებ. დ. კარიჭაშვილს ნ. მარის განსაკუთრებულ დამსახურებად მიაჩნდა მეხოტბეთა ცალკეული გაუგებარი სიტყვების ახსნა-განმარტება და ტექსტების კრიტიკული დადგენა. რეცენზენტის ღრმა რწმენით, ქართული ლიტერატურის კვლევისათვის საჭიროა სწორედ ისეთი ერუდიციის მკვლევარი, როგორც ნ. მარი იყო. მართალია, შრომა შეცდომებისაგან არ არის დაზღვეულიო, მაგრამ ამ გამოკვლევით ნ. მარმა ისეთი შუქი მოჰფინა ჩვენს ძველ მწერლობას, რომ „როგორც არ უნდა იყოს და რამდენიც არ უნდა იყოს მისი შეცდომა“, მის მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის ვერ დაჩრდილავსო. დ. კარიჭაშვილი სანიმუშოდ უსახავს მკვლევარებს ჩვენი წარსულის შესასწავლად ნ. მარის მიერ აღებულ ერთადერთ სწორ გზას, რომლის სახელია „შრომა, ცოდნა და მიუღდგომლობა“. ამ სიტყვებით მკვლევარმა მოგვცა ნ. მარის მთელი მოღვაწეობის მეტად ლაკონიური და მართლაც მიუღდგომელი დახასიათება. დ. კარიჭაშვილს ასევე მისაბამ მაგალითად მიაჩნდა ქართული ისტორიოგრაფიის „სულისჩამდგმელის“ მ. ბროსეს უანგარო მოღვაწეობა. „ვინატრებდით, რომ ჩვენი ქვეყნის ახლანდელ მკვლევართ ჰქონდეთ ბროსეს ენერგია, საქმის სიყვარული და ერთგულებაო“, წერდა იგი.¹⁰

ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი დ. კარიჭაშვილის საისტორიო შრომები, რომლებიც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისითაც არ არიან ინტერესს მოკლებულნი. 1891—1905 წლების მანძილზე იგი სისტემატურად აწვდის მოსწავლე

¹⁰ მარი ბროსე და მისი მოღვაწეობა, „ცნობის ფურცელი“, 24. I. 1902.

ახალგაზრდობასა და ფართო მკითხველ საზოგადოებას სადა, გასაგები ენით დაწერილ პოპულარული ხასიათის მონოგრაფიებსა და წერილებს ჩვენი წარსულის მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ მოღვაწეებზე. ისტორიული წყაროებიდან შერჩეული მასალებით შეუფერადებლად და დალაგებით მოგვითხრობს იგი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების შესახებ უძველესი დროიდან XVI საუკუნემდე. გადაუჭარბებელი პატრიოტული სულისკვეთებითა და ღრმა ცოდნით დაწერილი ეს წერილები იბეჭდებოდა უმთავრესად საყმაწვილო ჟურნალებში, ნაწილობრივ კი პატარა წიგნაკების სახით ქვეყნდებოდა. ისინი ხელს უწყობდნენ ხალხში ცოდნის შეტანას, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებასა და პატრიოტული განწყობილების გაღვივებას თვითმპყრობელობის დროს. ამ შრომებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება დღესაც არ არის მეცნიერულ ღირებულებას მოკლებული. ამ ხასიათის ოციოდე წერილიდან სანიმუშოდ დავასახელებთ ერთს,¹¹ რომელშიაც ავტორი ეხება საქართველოში არაბთა მფლობელობის შედეგებს პოლიტიკური, სარწმუნოებრივი, კულტურული და ეროვნული თვალსაზრისით. იმ დროს პოლიტიკურად დაცემულსა და სახელმწიფოებრივად დანაწილებულ „საქართველოს აერთებდა ერთი სარწმუნოება, ერთი ენა და ერთი მწერლობა“. გიორგი მერჩულის სიტყვების გამოძახილი ისმის მკვლევრის სიტყვებში: იმ დროს „ქართველი ხედავდა საქართველოს ყველგან, სადაც კი ქართული ლაპარაკი და წირვა-ლოცვა ისმოდა“. ეს ეროვნული აღორძინება დაედო საფუძვლად საქართველოს გაერთიანებასა და გაძლიერებას.

ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთი საკითხის გაშუქებისათვის მეტი მნიშვნელობა აქვს დ. კარიჭაშვილის გამოკვლევებს სპეციალურ საკითხებზე. ესენია: „ვინ იყო მობიდან ეპისკოპოსი“¹², „ქართლის მატიანის წარმართი ღმერთები“¹³, „ქართული ანბანის წარმოშობა და განვითარება“¹⁴, „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“ (დაიბეჭდა მისი გარდაცვალების შემდეგ — 1929 წ.).

ვ. ბოლოტოვის მიერ 1896 წელს გამოთქმული მოსაზრების თანახმად დ. კარიჭაშვილმა ქართულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით დაასაბუთა, რომ „ქართლის ცხოვრების“ მობიდანნი არის საზოგადო და არა საკუთარი სახელი, რაც მიღებული მოსაზრებაა დღეს (ი. ჭავჭავაძის მიხედვით, კ. კეკელიძე). ავტორის აზრით, იგი უნდა ყოფილიყო არა ქრისტიანი ეპისკოპოსი, როგორც ეს შეცდომით „ქართლის ცხოვრებაშია“ ნათქვამი, არამედ ცეცხლთაყვანისმცემელთა მსახურთუფროსი

¹¹ საქართველო არაბთა მფლობელობის დროს, „ნაკადული“, 1905, № 8.

¹² „მომამბე“, 1901, № 3.

¹³ „თემი“, 1912, № 66.

¹⁴ დ. კარიჭაშვილი, ხუტური ანბანი, თბ., 1914.

ახუ მოზიდახი. ამავე დროს მკვლევარი მას აიგივებს „ქართლის მოქცევის“ გლონოქორთან (ეპისკოპოსთა სიაში მოხსენიებული პირი) და მიაჩნია, რომ იგი არის ვახტანგ გორგასლის ისტორიაში დასახელებული მაზდეანების ეპისკოპოსის ბინქარის (შინქარანის) პირდაპირი მოადგილე მცხეთაში. კ. კეკელიძეს კი გლონოქორი და ბინქარ (შინქარან) მიაჩნია ერთსა და იმავე პიროვნებად.¹⁵

ასევე საყურადღებო ვარაუდები აქვს გამოთქმული ქართული წარმართული პანთეონის 7 ღვთაების — არმაზი, ზადენი, ვაცი, ვამი, აანინა, დანინა და აფროდიტას — სახელების წარმოშობის შესახებ. მისი აზრით, არც ერთი მათგანი ეროვნული ღვთაება არ ყოფილა. ისინი შეთვისებული აქვთ ქართველებს მეზობელი ქვეყნებიდან. პირველი 4 ღვთაების სახელი მაზდეანური სპარსეთიდან მომდინარეობს, აანინა და დანინა ასურეთ-ბაბილონის მნათობთა თაყვანისცემის დროინდელ ღვთაებათა სახელებისაგან წარმოდგება, ხოლო უკანასკნელის ბერძნული წარმოშობა კი მტკიცებასაც არ საჭიროებს.

რამდენიმე გამოუქვეყნებელი ნაშრომი დაცულია მის არქივში (საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი). განსაკუთრებით საინტერესოა გიორგი სააკაძის შესახებ რუსულ ენაზე დაწერილი შრომა¹⁶, რომლის ბოლო დაკარგულია. მასში კრიტიკულად არის განხილული როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკვლევართა მიერ გ. სააკაძისადმი წაყენებული ბრალდებანი. ვახუშტის, ანტონ I, პ. იოსელიანის, ყ. შარდენის, ფრანგი მწერლის პეისონელის, მ. ბროსესა და ს. ლოლობერიძის შეცდომების წყაროდ ამ საკითხში მიაჩნია XVII ს. სომეხი ისტორიკოსის არაქელის (არაქელ თავრიზელი) „სომხეთის ისტორია“.

დ. კარიჭაშვილის საფუძვლიანი გამოკვლევა „კალმასობის“ ავტორის შესახებ¹⁷ საუკეთესო წვლილია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ხელნაწერების შესანიშნავმა ცოდნამ, ტექსტოლოგიის უტყუარმა აღლომ დ. კარიჭაშვილს შესაძლებლობა მისცა საბოლოოდ გაერკვია ის გაუგებრობა, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ შეიქმნა გასული. საუკუნის ბოლოს¹⁸. იოანე ბატონიშვილის ავტორობაზე პირველად ეჭვი გამოუთქვამს თ. ჟორდანიას. ეს მოსაზრება გაიზიარა და გადაჭრით ამ თხზულების ავტორად იოანე ხელაშვილი აღიარა კ. კეკელიძემ 1923 წ. გამოცემულ „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“.

დ. კარიჭაშვილმა სრული საბუთიანობით დაადგინა, რომ „კალმა-

¹⁵ კ. კეკელიძე, ვინ არის „მოქცევა ქართლისაჲს“ გლონოქორ? ეტიუდები, 111, თბ., 1955, გვ. 37—39.

¹⁶ Критика. Клевета на Саакадзе, ლიტერატურული მუზეუმის დ. კარიჭაშვილის არქივი, № 4236—6.

¹⁷ ვინ არის კალმასობის ანუ ხუმარსწავლად წოდებული ქართული ენციკლოპედიის ავტორი, „საქართველოს არქივი“, 2 (1927).

¹⁸ ე. შარაშენიძე, დავით კარიჭაშვილი, „ტექსტოლოგიის საკითხები“, 11 (1971), გვ. 153—154.

სობის“ ავტორი არის იოანე ბატონიშვილი. რთული ფილოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარების შემდეგ მკვლევარმა მიაგნო იონა ხელაშვილის ერთ წერილს (S № 1532), რომელშიც დადასტურებული იყო დ. კარიჭაშვილის მიერ დადგენილი სიმართლე. ამ გამოკვლევის მნიშვნელობა მართო ამით არ ამოიწურება. აქვე გაირკვა ერთი ეპიკრიტიკული ფაქტი, რომელიც იონა ხელაშვილის ლექსიკონს ეხება. იგი აქამდე დაკარგულად ითვლებოდა. ამის მიზეზი შემდეგი იყო: კატალოგის შედგენის დროს თვით დ. კარიჭაშვილს და მასზე დაყრდნობით ე. თაყაიშვილს თავის აღწერილობაში ეს ლექსიკონი (S № 22) შეცდომით ს. დოდაშვილისათვის მიუკუთვნებიათ. ხელნაწერის იონასეული მინაწერის გაშიფვრით დ. კარიჭაშვილმა დაადგინა, რომ ი. ხელაშვილის ლექსიკონი არც დაკარგულია და არც არავის მიუთვისებია.

დ. კარიჭაშვილმა გარკვეული წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ისტორიაში. რუსთველოლოგიაში მისი სახელი შედის, პირველ ყოვლისა, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ორგზის გამომცემლისა¹⁹. თავისი შეხედულებანი პოემისა და მისი ავტორის შესახებ მოცემული აქვს გამომცემებზე დართულ წინასიტყვაობებში, შენიშვნებსა და ლექსიკონში. რუსთველოლოგიის საკითხებს ეხება აგრეთვე შიო დავითაშვილის რეცენზიის საპასუხოდ დაწერილ წერილში²⁰. ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობა“²¹ შეჯამებული სახით არის წარმოდგენილი ავტორის რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მის მიერ შედგენილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის კატალოგსა (1904 წ.) და მის დამატებაში (1914 წ.) იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ბიბლიოგრაფიას.

ძირითადი პრობლემა, რომელსაც დ. კარიჭაშვილი იკვლევს აღნიშნულ შრომებში, არის „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობა, ე. ი. პოემის ნამდვილი ტექსტისა და ინტერპოლაციების საკითხი. ამასთან დაკავშირებით განიხილავს ვახტანგის რედაქციის რაობას. ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებიდან ეხება პოემის სიუჟეტის სადაურობასა და ავტორობას. იქვე ვხვდებით პოემის შეფასებას ლიტერატურული თვალსაზრისით.

წ.-კ. გამ. საზოგადოების გამგეობამ დ. კარიჭაშვილს მიანდო „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული (1888 წ.) გამომცემის მიხედვით სახალხო გამომცემის მომზადება და ლექსიკონის შედგენა. მან პირნათლად შეასრულა ეს დავალება და ტექსტის შედგენილობისათ-

¹⁹ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი 4 პორტრეტით და 21 სურათით, მე-19 გამოც., თბ., 1903; შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, საზოგადოების მეორე გამოცემა, თბ., 1920.

²⁰ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის რეცენზიის გამო, „მოამბე“, 1904, №№ 3, 4; „ივერია“, 1903, №№ 225, 226.

²¹ „განათლება“, 1913, VI.

გის ხელი არ უხლია; პოემა დაიბეჭდა იმავე სტროფული მოცულობით (1576 სტრ.), როგორც ეს გ. ქართველიშვილის გამოცემაში იყო. მიუხედავად ამისა, რედაქტორს მაინც შეუტანია ზოგიერთი ცვლილება, მოუცია ზოგიერთი სიტყვის სხვაგვარი წაკითხვა აშკარად წარყვნილი ადგილების გასწორების მიზნით, მეტწილად ორთოგრაფიული ხასიათისა. მცდარი ფორმების შეცვლის შემთხვევებში რედაქტორს უხელმძღვანელია არა მარტო საკუთარი მოსაზრებებით, არამედ ხელნაწერებისა და წინა გამოცემების წაკითხვებით. როგორც ირკვევა, უსარგებლია ნ. მარის კონსულტაციებითაც²². ყველა შესწორების შესახებ, გარდა სასვენი ნიშნებით გამართვისა, აღნიშნულია წიგნზე დართულ შენიშვნებში და ახსნილია სხვაგვარი წაკითხვების საფუძველი. შენიშვნებშივეა განმარტებული ზოგიერთი ძნელად გასაგები ფრაზა. გასწორებულია გ. ქართველიშვილის გამოცემის დიდი ნაკლი — სტროფების ნუმერაციის უქონლობა. კარიკაშვილისეულ გამოცემებს დართული აქვთ პოემის შინაარსის თხრობა (პირველში მოკლე, მეორეში ვრცელი), რაც სახალხო გამოცემისათვის მეტად საჭირო იყო. თავის გამოცემას იგი უწოდებს ქართველიშვილისეული გამოცემის პირს. მართლაც, საკუთარი შეხედულებანი, როგორც რედაქტორს, პოემის ტექსტისათვის არ მოუხვევია.

„ვეფხისტყაოსნის“ შემადგენელი სამი უსწორმასწორო ნაწილი, მკვლევრის ღრმა რწმენით, ერთი ავტორისა არ არის. რუსთველისად თელის მხოლოდ თვით პოემა-რომანს, ხოლო წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა სხვადასხვა პირების მიერ სხვადასხვა დროს დაწერილად მიაჩნია. მთავარი არგუმენტი, რომლის ძალითაც პროლოგ-ეპილოგის ავტორობა ასე ხელაღებით წაართვა რუსთველს, თითქოს, ის სრული წინააღმდეგობაა, რომელიც სუფევს პოემის ამ ნაწილებსა და თვით პროლოგის სტროფებს შორის. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგისადმი ასეთი სკეპტიკური თვალსაზრისის წარმოშობას ხელს უწყობდა პროლოგის ტექსტის დაუდგენლობა. ეს გარემოება შეიძლება მართლაც ყოფილიყო წყარო ამა თუ იმ სტროფის ყალბად აღიარებისა. მისი მთლიანად უარყოფის საფუძველი უნდა ვეძიოთ მკვლევრის მიერ იმ ტრადიციული პრინციპების გაუთვალისწინებლობაში, რომლის მიხედვითაც იწერებოდა თხზულების პროლოგი იმ დროს.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს საცხებით გარკვეულია „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მნიშვნელობა, მისი ადგილი და კავშირი პოემის ძირითად ნაწილთან და იგი აღიარებულია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის უდავო კუთვნილებად. უნდა აღინიშნოს, რომ დ. კარიკაშვილის შეხედულებამ გავლენა მოახდინა შემდგომი დროის მკვლევრებზე და

²² ი. მეგრელიძე, დავით კარიკაშვილი. რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ.

მისი მეთოდის მომარჯვებით არაერთი აცხადებდა პროლოგის ამა თუ იმ სტროფს ყალბად, ზოგიერთი — მთლიანად მთელ პროლოგს.

1913 წ. გამოქვეყნებულ ნარკვევში დ. კარიჭაშვილი უფრო საფუძვლიანად შეეხო „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციების საკითხს. ავტორი მართებულად მსჯელობს იმ მიზეზების შესახებ, რომელიც იწვევდა უსტამბობის დროს ლიტერატურულ ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას. ეს ბედი „ვეფხისტყაოსანმაც“ გაიზიარა. პირვანდელი სახის აღსადგენად მკვლევარი ტექსტის კრიტიკულ განხილვას მოითხოვს. ხელნაწერების ჯეროვანი შესწავლის საფუძველზე მკვლევარმა ხელნაწერის უფლება მიანიჭა ვახტანგის გამოცემას. მისი აზრით, იგი არის არა კრიტიკული („დამახინჯებული და შემოკლებული“) გამოცემა, არამედ ვახტანგის მიერ საუკეთესოდ მიჩნეული რომელიღაც ხელნაწერის პირი. ვახტანგმა უპირატესობა მისცა მოკლე რედაქციის შემცველ ხელნაწერებს და მისი გამოცემის საგულვეტელი დედანიც, თითქოს, ამათგან აირჩია²³. მიიღო რა ასეთი დებულება, „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობასაც ამ „დენის“ მიხედვით იხილავს და შემდეგი დასკვნები გამოაქვს: 1. „ვეფხისტყაოსნის“ „პირვანდელი სხეული“ შენახულია ვახტანგის გამოცემაში (უკეთ მის დედანში), რომელიც იწყება როსტევან არაბთა მეფის ამბით და მთავრდება ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთში გამეფებით; 2. შემდეგ მას დართვია წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა ნაწილ-ნაწილად; 3. ამ პირვანდელ სხეულს, რომელსაც ჩვენამდე ვახტანგის გამოცემის სახით მოუღწევია, განუტდია ცვლილება (სიტყვების შეცვლა, ტაეპების ჩამატება და გამოკლება). სტროფების გამოკლების მაგალითად ასახელებს იმ ხარვეზებს, რომლებიც მოკლე რედაქციაში არის იქ, სადაც მოთხრობილია ტარიელ-ნესტანის გამგზავრება ინდოეთში (გულისხმობს „ინდოხატელთა ამბიდან“ ვახტანგის რედაქციაში ამოღებულ სტროფებს). აქედან იწყება დამატებანი, რომელსაც დ. კარიჭაშვილი შვიდ სხვადასხვა მწიგნობარს მიაწერს (გვ. 422—424). ტექსტში ხარვეზების წარმოშობის მიზეზების ახსნას მკვლევარი არ იძლევა, ხოლო რა გზით უნდა გაჩენილიყო ინტერპოლაციები, ამას თავისი შრომის შესავალშივე არკვევს. იმ მცდარ შეხედულებებთან, რომელიც პროლოგისა და ვახტანგის გამოცემის რაობის²⁴ გარკვევის შესახებ აქვს ამოთქმული, „ვეფხისტყაოსნის“ დამატებათა საკითხი ძირითადად სწორად აქვს გადაწყვეტილი.

დ. კარიჭაშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულ-

²³ „განათლება“, 1913, VI, გვ. 416.

²⁴ ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა, თბ., 1957; ა. ბარამიძე, ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ (გამოცემის 250 წლისთავის გამო), ნარკვევები, IV, თბ., 1964, გვ. 3—37.

ლად დაუდგენლობა არის მიზეზი რუსთველოლოგიის სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გაურკვევლობისაც, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სადაურობა და ავტორის ვინაობა. მისთვის ცნობილია ყველა ის მოსაზრება, რომელიც გამოთქმული იყო იმ დროს პოემის ორიგინალობის შესახებ. მართალია, მკვლევარს პოემის პროლოგ-ეპილოგი რუსთველისეულად არ მიაჩნია, მაგრამ მათში მოცემულ ცნობებს პოემის ორიგინალობის თაობაზე მნიშვნელობას მოკლებულად არ თვლის. ის გარემოება, რომ პოემის თავნართისა და ბოლონართის სტროფებს პოემის ორიგინალობისა თუ ნათარგმნობის შესახებ სხვადასხვაგვარად განმარტავენ, დ. კარიჭაშვილის აზრით, იმას უნდა მოწმობდეს, რომ წინათაც მწიგნობარნი, რომელთაც ეს სტროფები დაუწერიათ, სხვადასხვა აზრისანი ყოფილან. ამდენად, პოემის ორიგინალობის შესახებ მის დროს არსებული თეორიები ავტორს ძველთაგან მომდინარედ მიაჩნდა. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი იმ აზრს ავითარებს, რომ ზღაპარი, რომელიც ქართველ პოეტს გამოუყენებია თავისი რომანის შინაარსად, სპარსეთიდან უნდა იყოს შემოტანილი. მეორე გამოცემაში მკვლევრის პოზიცია აღარ ჩანს, მხოლოდ სხვადასხვა მოსაზრებებს გადმოგვცემს მოკლედ და საკითხს არ იხილავს.

ასევე სადავოდ და გაურკვევლად მიაჩნდა ავტორის ვინაობის საკითხიც იმავე მიზეზის გამო. პროლოგ-ეპილოგის ცნობები და გადმოცემები, აი, მთელი ის წყაროები, რომლებიც პოემის ავტორის შესახებ მოგვეპოვებაო. პოემის ავტორის რუსთველობის შესახებ ცნობა დ. კარიჭაშვილს თვით ავტორისეულად არ მიაჩნდა. ესეც ძველთაგან გადმოცემით მომდინარე ცნობაა შემდეგდროინდელ მწიგნობართაგან პროლოგ-ეპილოგში მოწოდებულიო. მოტანილი აქვს რუსთველის მოკლე ბიოგრაფია შედგენილი გადმოცემების თანახმად.

დ. კარიჭაშვილის შრომები დღესაც იმსახურებენ რუსთველოლოგების ყურადღებას. ამ დაუღალავი მკვლევრის ზოგი მოსაზრება რუსთველოლოგიის განვითარების თანამედროვე დონეზედაც ანგარიშგასაწევია.

დ. კარიჭაშვილმა გარკვეული კვალი დატოვა ძველი ქართული ლიტერატურის რიგი საკითხების გაშუქებაში. მკვლევრის ვარაუდები და დასკვნები ზოგჯერ მისაღები არ არის, მაგრამ „ხედვისა და ჩხრეკის“ უნარი (მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ) ფართო განათლებასა და მეცნიერულ კეთილსინდისიერებასთან ერთად მას ბევრი რამის სწორად დანახვისა და გამოძიების შესაძლებლობას აძლევდა. მისი შესანიშნავი ქართული ნაწერი შრომები დღესაც სასიამოვნო საკითხავია. ყველაფერი ეს დ. კარიჭაშვილს ქართული ლიტერატურის მკვლევრებს შორის გარკვეულ ადგილს უთმობს.

ეჭვთიმი თაყაიშვილი იყო ძველი ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების დაუცხრომელი შემკრები და მკვლევარი უწინარეს ყოვლისა, შემკრები, წესრიგში მომყვანი და აღმწერელი. ის თვითონ შესანიშნავად გვიამბობს თავის მიზანდასახულობასა და ფანტიკურ გატაცებაზე: „სულ იმას ვშიშობდი ყოველ ნაბიჯზე, აი ეს არ დაიკარგოს, აი, ის არ წახდეს მეთქი! ვცდილობდი ყველაფერი ამეწერა, გადმომელო, ჩამეხატა. რაც შეიძლებოდა, მეტი გამომეცა, შემეძინა, შემომემატებინა და, საბოლოოდ, მუზეუმი შემექმნა, რომ ის ყოველივე საიმედოდ ყოფილიყო შიგ შენახული. ასე მიმდინარეობდა ჩემი მუშაობა ათეული წლების მანძილზე“¹.

დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და დაუცხრომელი შემკრებლობითი მუშაობის გამო ე. თაყაიშვილს დრო აღარ რჩებოდა მოპოვებული ძვირფასი მასალების დაწვრილებით შესასწავლად, მონოგრაფიული გამოკვლევების მოსამზადებლად და განმარტავდებელი დასკვნების გამოსატანად. თვითონ მშვენივრად განმარტავს საქმის ამ მხარეს: „ძალ-ღონის ასეთი დაძაბვისა და ამგვარ მუშაობაში თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში დღე-ღამე ჩაფლულობის გამო, რა თქმა უნდა, აღარც დრო და აღარც საშუალება აღარა მრჩებოდა იმისათვის, რომ ჩავჯდომოდი მოზღვავებულ მასალას და დინჯად მეწერა ნამდვილი გამოკვლევები. ჩემი, როგორც მკვლევრის, ნააზრევი მხოლოდ ამა თუ იმ ძეგლის გამოცემისას დართულ შესავალსა და კომენტარში მქდავდებოდა უმთავრესად“².

ამ განმარტების შემდეგ ავტორი დიდი თავმდაბლობით განაგრძობს: „ნამდვილი თეორიული ნაშრომი თითქმის არც ერთი არ დამიწერია, ვეღარ ვიცლიდი საამისოდ“. გატაცებულ მამულიშვილს ის აიშლებოდა, რომ: „მერე გამოგვიჩნდებოდნენ მკვლევარები, რომლებიც დარგობლივ, გულდაგულ დაადგებოდნენ მათ და გამართული, შეესებულები ისტორიისა თუ მონოგრაფიული გამოკვლევების შესაქმნელად გამოიყენებდნენ“³. „ბოლოს ხომ ეს მოლოდინიც გამიმართლდაო“, — სიხარულით ასკვნის სახელოვანი მეცნიერი.

ხანგრძლივი საზოგადოებრივ-მეცნიერული მოღვაწეობის თაყაი-

¹ ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1968, გვ. 380 (შდრ. ავრეთე გვ. 310).

² იქვე, გვ. 380.

³ იქვე, გვ. 381.

შვილისეული თვითდახასიათება საერთოდ სწორია, თუმცა მკვლევარი მეტისმეტად მოკრძალებას იჩენს. მართალია, თავისი დროის უმეტესი ნაწილი ე. თაყაიშვილმა უძვირფასესი ეროვნული განძის შეკრება-თავმოყრას, დაცვასა და მოვლა-პატრონობას მოანდომა, მან მაინც მოახერხა რიგი მნიშვნელოვანი ძეგლის გამოცემა და არაერთი გამოკვლევის გამოქვეყნება. ე. თაყაიშვილის ნაფიქრ-ნააზრევი ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან გაბნეულია მის „აღწერილობებში“ თუ სხვა ნაშრომებში. მას მოეპოვება რიგი საყურადღებო დამოუკიდებელი გამოკვლევა, რომლებიც დართული აქვს ტექსტების მისეულ პუბლიკაციებს, ანდა გამოქვეყნებულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. ჩვენ შეძლებისდაგვარად თავი მოვუყარეთ ე. თაყაიშვილის ასე თუ ისე განმარტავადებული ხასიათის ნარკვევებს თუ ცალკეულ შენიშვნებს ძველი ქართული მწერლობის საკითხებზე და „მასალების“ სახით შევიტანეთ მისი „რჩეული ნაშრომების“ პირველ ტომში.

როგორც ვთქვით, დაუფასებელია ე. თაყაიშვილის ღვაწლი ქართული სულიერი კულტურის ძეგლების შეკრების, დაცვისა და მეცნიერულად აღწერის მხრივ. საყოველთაოდ ცნობილია მისი მონუმენტური ორტომიანი «Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения» (I, 1902—1904; II, 1906—1912). აღმწერელი სამართლიანად ამბობდა, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდს მაშინ პირველი ადგილი ეჭირა ქართულ ხელნაწერთა ფონდებს შორის. ე. თაყაიშვილი თავდაპირველად აპირებდა ხელნაწერების სისტემურ აღწერას კატალოგური ჩანაწერი რიგის მიხედვით. ასეა აღწერილი პირველი ოცდაათი ხელნაწერი. ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის მითითებათა კვალობაზე ოცდამეთერთმეტე ნომრიდან ე. თაყაიშვილი შეუდგა თემატური პრინციპით შერჩეული ხელნაწერი ჯგუფების აღწერას. ამით ავტორს საშუალება ეძლეოდა ცალკეული ხელნაწერების აღწერასთან ერთად მოეცა ხელნაწერთა ჯგუფების საერთო დახასიათება, გამოეყო საუკეთესო ნუსხები და იქიდან ამოეღო მისთვის საჭირო ტექსტები. აღწერილობათა შედგენა ე. თაყაიშვილმა პირველად ქართულად დაიწყო, საბოლოოდ კი რუსულზე გადავიდა, მასალები რომ „აღმოსავლეთისმცოდნეთა უფრო მეტი წრეებისათვის ყოფილიყო ხელისმისაწვდომი“⁴. აღწერილობათა რუსულად შედგენას, ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ მათი პუბლიკაცია იკისრა ცნობილმა ორგანომ СМОНПК.

აღწერილობათა უქონლობის გამო ძველი ქართული მწერლობის ძეგლები ჩვეულებრივ იბეჭდებოდა შემთხვევითი და უვარგისი დედნე-

⁴ Вместо предисловия, Описание, I, гл. II.

ბის მიხედვით, მაშინ როდესაც იმავე ტექსტების შემცველი საუკეთესო ნუსხები უყურადღებოდ ეწყო სიძველეთსაცავებში. ასეთ პირობებში გასაკვირი არ იყო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის გაუგებრობანი და კუროზული შეცდომები⁵. ე. თაყაიშვილის წამოწყებას ბოლო უნდა მოედო ყოველივე ამისათვის. სამწუხაროდ, ე. თაყაიშვილმა ვერ შეძლო წ. კ. გ. საზოგადოების ხელნაწერთა მთელი ფონდის აღწერა. აღწერილობა მეორე ტომზე შეწყდა⁶.

ე. თაყაიშვილის „აღწერილობათა“ ორტომეული სანიმუშო იყო თავის დროისათვის და შესანიშნავია დღევანდელი პირობებისათვისაც კი. ე. თაყაიშვილის ნაშრომი არ არის აღწერილობა ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. აღმწერი ითვალისწინებდა აღსაწერი მასალის როგორც გარეგნულ მხარეს, ისე, და განსაკუთრებით, მის შინაარსს. „აღწერილობებში“ საერთოდ მთლიანად არის მოყვანილი ხელნაწერთა ყველა ანდერძი, მინაწერი-ჩანაწერი, შენიშვნები, ვრცელი ამონაწერები ტექსტების შესავლიდან და დასასრულიდან, უხვი ცნობები, რასაც კი მნიშვნელობა აქვს ძეგლის ავტორის, გადამწერის, ხელნაწერის თარიღის, ამკინძავის, შემკვეთის, რესტავრატორისა და მისთანათა შესახებ. აღმწერი ხშირ შემთხვევაში გვაძლევს თხზულების შინაარსს, კარგების დასათაურებას, ილუსტრაციების ნუსხას (როცა ხელნაწერი დასურათებულია). «Словом,—შენიშნავს აღმწერი,—мы старались исчерпать весь историко-литературный материал, которых может дать описываемая рукопись без полного издания ее текста». „ჩვენს პროგრამაში, რასაკვირველია, არ შედიოდა ყოველი აღსაწერი ძეგლის ყოველმხრივი გამოკვლევაო“, განაგრძობს ე. თაყაიშვილი, მაგრამ ხელნაწერთა ახლოს გაცნობა ცვლიდა ამა თუ იმ საკითხზე მანამდის არსებულ შეხედულებას და ჩვენ საჭიროდ ვთვლით მათ აღნიშვნასო. „მაგრამ,—ასკვნიდა აღმწერი,—თუ ჩვენი აღწერილობა წინ წასწევს ქართული მწერლობის ძეგლების შესწავლის საქმეს და საკმაო მასალას მისცემს სპეციალისტებს, ჩვენი მიზანი სავსებით მიღწეული იქნება“.

ე. თაყაიშვილის „აღწერილობამ“ თავისი მიზანი შეასრულა და შეასრულა დიდი წარმატებით. აღფრთოვანებით შეხვდნენ „აღწერილობათა“ პირველი ნაკვეთების გამოქვეყნებას ნ. მარი და ი. ჭავჭავაძის შვილი. პირველი ნაკვეთის გამოსვლის გამო ნ. მარი წერდა: «Большую, давно желанную, новость представляет настоящий труд. Пока описаны 24 номера, но о содержательности работы достаточно говорят посвященные им 202 страницы. Автор описания главное внимание обращает на содержание, а не на установившийся в

⁵ იქვე, გვ. III—IV.

⁶ ე. თაყაიშვილის „აღწერილობას“ ა. შანიძესთან ერთად შევედგინეთ სიძველელი (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 2, 1939).

последнее время шаблон внешнего описания... Что касается выполнения, то имя Е. С. Такайшвили, автора Описания, представляет достаточную гарантию тщательности воспроизведения текстов и вообще аккуратности работы»⁷. ი. ჯავახიშვილის სიტყვით ე. თაყაიშვილის «Описание составлено прекрасно; тщательно, подробно и дает массу совершенно новых сведений... В описании мы имеем много ценных данных, дающих неопровержимые выводы в области исторических и историко-литературных интересов»⁸. თვითონ ე. თაყაიშვილი იგონებს ნ. მარის განცხადებას მისი „აღწერილობის“ გამო: «Какое же это описание, настоящее исследование»⁹.

როგორც თავისი, ისე ი. ჯავახიშვილის რეცენზიის საფუძველზე ნ. მარმა შეადგინა ვრცელი «Отзыв о сочинении Е. С. Такайшвили «Описание рукописей»... და დასაჯილდოებლად წარუდგინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას. აქ ხაზგასმულია „აღწერილობის“ დიდი მეცნიერული მნიშვნელობა, ამასთან ერთად დაწერილებით არის აღწესხული შრომის ნაკლოვანი მხარეებიც. საერთოდ და მთლიანად ნ. მარის აზრით, ე. თაყაიშვილის „აღწერილობა“ დიდი მოვლენაა («крупное явление») ქართველოლოგიის დარგში, იგი არისო «первый по времени и прекрасный по выполнению опыт подробного описания грузинских рукописей большого собрания». არ შეიძლება შრომა არ მივიჩნიოთ, როგორც «редкий и ценный вклад в русскую ориенталистическую науку».¹⁰ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ე. თაყაიშვილის „აღწერილობა“ დააჯილდოვა ოქროს მედლით.

ე. თაყაიშვილის „აღწერილობა“ ნამდვილად სცილდება აღწერილობათა ჩვეულებრივ ფარგლებს. ზოგიერთი „აღწერილობა“ სწორედ რომ დამოუკიდებელ სამეცნიერო გამოკვლევას წარმოადგენს, მთლიანად კი იგი ნამდვილი მეგზური და წინამძღვარია ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებული ყველა პირისათვის. ე. თაყაიშვილის „აღწერილობის“ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ძველი ქართული მწერლობის სამეცნიერო კურსის შექმნა, რასაც აღნიშნავს კიდევაც კ. კეკელიძე¹¹.

ჩვენ აქ შევეხებით ე. თაყაიშვილის ზოგიერთ აღწერილობა-გამოკვლევას, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების გასარკვევად.

კლასიკური პერიოდის მწერლობიდან ე. თაყაიშვილის აღწერილი და მიმოხილული აქვს „ვეფხისტყაოსანი“, „აბღულმესიანი“, „თამარია-

⁷ ЗВОРАО, XV (1904), გვ. 161.

⁸ «Византистский временник», XI (1904), გვ. 347.

⁹ ე. თაყაიშვილი, მოგონებანი, „მნათობი“, 1959, № 2, გვ. 172.

¹⁰ СПб., 1908, გვ. 29 (ცალკე ამონაბეჭდი).

¹¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1924, გვ. 27.

ნი“ და „ამირანდარეჯანიანი“. მკვლევარმა შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ მაშინ ცნობილი ყველა ხელნაწერი, მათ შორის სხვა ფონდებში დაცული თუ კერძო პირთა მფლობელობაში მყოფი (II, 554—592; პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი. პარიზი, 1933, გვ. 43—45; ელენე თარხან-მოურავისეული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“. „მნათობი“, 1962, № 3, გვ. 139—142).

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა აღწერილობის დასკვნით ნაწილში (II, 580—582) მოცემულია ხელნაწერთა კლასიფიკაცია თარიღებისა და რედაქციების მიხედვით. ე. თაყაიშვილმა პირველად დაადგინა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენს დრომდის მოღწეული არც ერთი ხელნაწერი არ არის XVII საუკუნის პირველ ნახევარზე უფრო ძველი და რომ ყველა ძველ ხელნაწერს აქვს ჩანართები და დანართები (II, 57), რომ ინტერპოლაციების ჩართვა რუსთველის პოემაში ადრე დაწყებულა, შემდეგ კი იგი განუგრძია XVII საუკუნეში ვილაც ნანუჩა ციციშვილს (იქვე). ე. თაყაიშვილი იმოწმებს პოემის ძირითად გამოცემებს და არკვევს იმათ ურთიერთმიმართებას. საგანგებოდ ჩერდება პირველ ბეჭდურ გამოცემასა და ვახტანგ VI ღვაწლზე. დიდძალი მასალის შეჯერების საფუძველზე ე. თაყაიშვილი საბუთიანად ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია კრიტიკული გამოცემაა, რომ „ქართული მეცნიერებისა და კულტურის სარბიელზე ამ შესანიშნავმა მოღვაწემ შეძლო გაეწმინდა „ვეფხისტყაოსანი“ იმ დანართებისაგან, რომლებიც შეიქმნა XVII საუკუნეში“. მკვლევარი იმასაც ასკვნის, რომ თვითონ ვახტანგის გამოცემაშიც ჩარჩენილია ინტერპოლაციები, ოღონდ ისინი „არცთუ მრავალრიცხოვანია და, საფიქრებელია, XVII საუკუნეზე უფრო ძველია“. ე. თაყაიშვილის ვარაუდით, „ვეფხისტყაოსნის“ შეთავებზე, რასაკვირველია, მუშაობდა არა მარტო ნანუჩა ციციშვილი. შემთავებელი იყო ბევრიო. დასასრულ მკვლევარი იუწყება, რომ ის აპირებს განხილული ხელნაწერების მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას ი. პოლტორაკის რუსული თარგმანითურთ. სამწუხაროდ, ეს განზრახვა მან ვერ განახორციელა.

1917 წელს ე. თაყაიშვილმა გაზეთ „საქართველოში“ (№ 22) დაბეჭდა წერილი¹² სათაურით „ერთი ყალბი დოკუმენტის გამო“. ამ წერილით მკვლევარი ამხილებს თანამედროვე უცნობ ყალბისმქმნელს, რომელსაც გერგეტის სამების „სულთა მატიაწეში“ ჩაურთავს ვითომცდა შოთა რუსთველის საბიოგრაფიო ცნობები.

ე. თაყაიშვილმა აღწერა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა გაგრძელება, პოემა „ომიანიანი“ (I, 563—580), გადმოსცა მისი დაწერილები-

¹² წერილი გამოქვეყნდა პ. ინგოროყვას თანაავტორობით.

თი შინაარსი (574—580) და გამოთქვა მოსაზრებანი ავტორის ვინაობის თაობაზე (563—564).

XII საუკუნის ქართველ მეხოტბეთა ტექსტები მართლაც ძალზე შერყვნილია. «Путаницы в текстах, пропуски, перестановки слов и поздние вставки делали эти произведения малопонятными» — ამბობს ე. თაყაიშვილი (II, 57). ბევრი რამ გაირკვა ნ. მარის ცნობილი შრომის შედეგად, თუმცა „ბევრი რამ (კვლავ) გაურკვეველი რჩება“ (იქვე). აღმწერს უკომენტაროდ მოჰყავს ნ. მარის ძირითადი დებულებანი „თამარიანის“ თაობაზე (I, 530—531). რაც შეეხება „აბდულმესიანს“, ნ. მარის გამოკვლევის თანახმად ამ ძეგლის ქების საგნად დავით აღმაშენებელი უნდა იქნეს მიჩნეული (II, 168). თავის მოგონებებში ე. თაყაიშვილი ნ. მარის წიგნს მეხოტბეებზე (Древнегрузинские одописцы, ТР, IV, 1902) უწოდებს „მშვენიერ“ ნაშრომს („მნათობი“, 1958, № 4, გვ. 186).

ჯერ კიდევ 1900 წელს გამოქვეყნდა ე. თაყაიშვილის საყურადღებო ნარკვევი „მართლა მოაღწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტმა თუ არა?“ („მოამბე“, № 2, გვ. 41—56). „ამირანდარეჯანიანის“ ხელნაწერების განხილვის საფუძველზე ე. თაყაიშვილმა დაამტკიცა, რომ ე. წ. „დილარიანს“ არაფერი საერთო არა აქვს კლასიკური პერიოდიდან ჩვენ დრომდის არმოღწეულ „დილარიანთან“, რომ ის წარმოადგენს „ამირანდარეჯანიანის“ გაგრძელებას, შეთხზულია არა უადრეს XVII საუკუნისა, ვიღაც უცნობი ქრცხინვალელი კაცის მიერ. ახალი „დილარიანი“ კი პეტრე ლარაძის ლალი ფანტაზიის ნაყოფია თავიდან ბოლომდის და ძველ „დილარიანს“ მხოლოდ სახელით უკავშირდება. პ. ლარაძის „დილარიანი“ დაიბეჭდა თბილისში 1903 წელს ხალხოსანი მწერლის ზ. გულისაშვილის თაოსნობით. „მე მოვუწყე ეს საქმე“, შენიშნავს ე. თაყაიშვილი მოგონებებში („მნათობი“, 1959, № 9, გვ. 172). სამართლიანი ჩანს ე. თაყაიშვილის გულისწყრომა პ. ლარაძის განცხადების გამო, თითქო მისი „დილარიანის“ თავდაპირველი რედაქცია იოანე ბატონიშვილმა მიითვისა, პ. ლარაძე ტყუისო (იქვე). თავის წერილში „საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი“ დ. ლამბაშიძის პუბლიკაციის გამო („ივერია“, 1899, № 12—13) ე. თაყაიშვილი არკვევს, რომ გამოქვეყნებული ტექსტი ნაწილია პ. ლარაძის საისტორიო პოემისა. წერილში გადმოცემულია პ. ლარაძის ცხოვრების საკმაოდ დაწვრილებითი ისტორია. ამ წერილსაც დღემდის არ დაუქარგავს თავისი სამეცნიერო მნიშვნელობა.

დიდად საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ე. თაყაიშვილს XIII—XV საუკუნეების ლიტერატურულ-შემოქმედებითს ცხოვრებაზე ჩვენს ქვეყანაში (II, 54—57). ეს მოსაზრებები მიღებულია

საისტორიო წყაროებისა და ხელნაწერი მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლისა და გაანალიზების შედეგად.

ე. თაყაიშვილმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო თავის „აღწერილობაში“ „როსტომიანისა“ და იმისი ციკლის ტექსტებს (I, 347—390; II, 544—545). „აღწერილობაში“ ამომწურავი სისრულითაა მოყვანილი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ყველა ცნობა, რაც კი „როსტომიანის“ შესახებ მოიპოვება, როგორც ამ ძეგლის შემცველ ხელნაწერებში, აგრეთვე სხვა თხზულებებში („შაჰნავაზიანი“, „ომიანიანი“, „არჩილიანი“). თუმცა ავტორი მოკრძალებით შენიშნავს, ნ. მარის წერილის შემდეგ („ივერია“, 1891, №№ 132, 133, 135) „როსტომიანის“ ქართული ვერსიების თაობაზე «ничего нового не прибавлено» (I, 350, შენ. I). მან მოიპოვა და გამოაქვეყნა რიგი სრულიად ახალი ცნობები, რომლებიც ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას „როსტომიანის“ თაობაზე. ე. თაყაიშვილმა პირველად გაგვაცნო „ზაქიანიანი“ და „საამიანის“ ტექსტები, მანვე სცადა გაერკვია ამ ძეგლების გამლექსავების — მამუკა მდივნისა და ბარძიმ ვაჩნაძის ვინაობა (I, 365—367).

ე. თაყაიშვილმა გამოავლინა ე. წ. აღორძინების პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნათარგმნი ძეგლი „იოსებზილიხანიანი“. მან აღწერა ამ ძეგლის შემცველი უნიკალური ხელნაწერი S № 1283 (II, 267—274), დაასაბუთა, რომ ხელნაწერი ეკუთვნის XVI საუკუნეს და პომეს ტექსტი არსებითად განსხვავდება თეიმურაზ პირველის სახელით ცნობილი ანალოგიური პომესაგან; ერთი სიტყვით, ე. თაყაიშვილმა მოიპოვა „იოსებზილიხანიანის“ ახალი რედაქციის ტექსტი და სავსებით დამარწმუნებლად გაარკვია მისი აღრინდებლობა თეიმურაზისეულ ვერსიასთან შედარებით.

„რუსუდანიანის“ ხელნაწერებისა და შესაფერისი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ (I, 400—418) ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართული ლიტერატურის ეს დიდად მნიშვნელოვანი ძეგლი ღირსია უფრო დაწვრილებითი და ყოველმხრივი შესწავლისა“ (I, 405). ე. თაყაიშვილს სწორად აქვს გაგებული „რუსუდანიანის“ იდეური ტენდენციები, ახალი აზრი აქვს გამოთქმული ძეგლის თარიღის თაობაზე. მისი სიტყვით, „არაფერი გვიშლის ხელს ძეგლი მივაკუთვნოთ XVI საუკუნეს, ე. ი. ქართული ლიტერატურის აღორძინების ეპოქის დასაწყისს“ (I, 405).

განსაკუთრებით დიდი დვაწლი მიუძღვის ე. თაყაიშვილს „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების შესწავლის საქმეში. როგორც ცნობილია, „ქილილა და დამანას“ აქვს მეტისმეტად რთული და დახლართული ლიტერატურული ისტორია. ამ რთული და დახლართული საკითხების გარკვევისათვის ე. თაყაიშვილმა შეასრულა საპატიო როლი.

„ქილილა და დამანას“ საკითხს „აღწერილობაში“ დათმობილი აქვს რამდენიმე ათეული გვერდი (I, 285—347). ნ. მარის სიტყვით, ესაა «сжатая, но содержательная» монография о грузинских переводах «Калили и Димны» (Отзыв, გვ. 182).

ე. თაყაიშვილმა მოიპოვა და საუცხოოდ აღწერა „ქილილა და დამანას“ ქართული თარგმანის ერთი უცნობი ვერსია S № 3177. მან ეკვიპიტანლად დაამტკიცა, რომ ამ ვერსიის ტექსტის პირველი ნაწილი გადმოუთარგმნია კახეთის მეფე დავითს (გარდაიცვალა 1602 წელს), თეიმურაზ პირველის მამას, ხოლო თარგმნა დაუსრულებია ვახტანგ VI-ის დავალებით ორ უცნობ პირს. თვითონ ვახტანგს ტექსტი ნაწილობრივ შეუსწორებია, შეუესია და გაულექსავს. ე. თაყაიშვილმა ადვილად გაარკვია, რომ ა. ხახანაშვილის მიერ ადრე გამოქვეყნებული ფრაგმენტი სწორედ ახლადმოპოვებული ვერსიის ტექსტს შეიცავდა და კლასიკური ეპოქისა მას არაფერი ეცხო (ა. ხახანაშვილმა შეცდომაში შეიყვანა სახელმძღვანელო ორიენტალისტი ა. კრიმსკი). სხვა არა იყოს რა, ხახანაშვილისეული ტექსტი (როგორც ახლადმოპოვებული ვერსიის ფრაგმენტი) „ქილილა და დამანას“ „ანვარი სოჰაილის“ რედაქციიდან ყოფილა წარმომდინარე, ხოლო „ანვარი სოჰაილის“ რედაქცია შეიქმნა XV საუკუნის მიწურულში (მისი ავტორი, ვაიზ ჭაშიფი, გარდაიცვალა 1505 წელს). მართალია, აწინდელი კვლევა-ძიებით არ დადასტურდა ე. თაყაიშვილის თამამი დებულება, თითქო „ქილილა და დამანას“ ბექდური გზით გავრცელებული ვერსია სულხან-საბა ორბელიანის დამოუკიდებელი თარგმანის ტექსტს წარმოადგენს, მაგრამ „ქილილა და დამანას“ შემდგომი ლიტერატურული ისტორიის გახსნა შესაძლებელი გახადა სწორედ ე. თაყაიშვილის შესანიშნავმა გამოკვლევამ¹³.

ე. თაყაიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა და განიხილა „ბარამიანის“ ქართული ვერსიები (I, 521—562; II, 524—548; პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, 45—47). მან დაადგინა, რომ ქართულ ენაზე მოიპოვება „ბარამიანის“ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი სამი ვერსია. პირველია უფრო ძველი და უფრო საყურადღებოც თავისი ლიტერატურული მნიშვნელობით, გალექსილი „ბარამგურიანი“, მეორეა პროზაული „ბარამიანი“ ანუ „ბარამგულანდამიანი“, მესამე — გალექსილი „ბარამგულიჯანიანი“. ე. თაყაიშვილს შეუკრებია ყველაფერი, რაც კი სხვადასხვა წყაროებში მოიპოვება „ბარამგურიანის“ ქართული ვერსიის ავტორის ნოდარ ფარსადანის ძე ციციშვილის შესახებ. მკვლევარი მკითხველებს აწვდის

¹³ დაწერილებით ამის თაობაზე იხ. ა. ბარამიძე, ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1945, გვ. 237—372.

საჭირო ცნობებს „ბარამგურიანის“ უცხოელი ავტორების, კერძოდ, ნიზამი განჯელის თაობაზე (II, 528—531).

ე. თაყაიშვილს ერთმანეთისათვის შეუდარებია „ბარამგულანდამიანი“ და „ბარამგულიჯანიანი“. მისი სამართლიანი დასკვნით, პროზაული „ბარამიანი“ („ბარამგულანდამიანი“) და გალექსილი „ბარამგულიჯანიანი“ სულ სხვადასხვა ნაწარმოებებია და „ტყუილად ურევენ მათ ერთმანეთში“ (I, 552). „ბარამგულიჯანიანის“ გამლექსავს ონანა მდივანს ხელთ ჰქონია არა ჩვენი „გულანდამიანი“, არამედ დღემდის უცნობი სხვა წყარო (I, 558). ე. თაყაიშვილი ონანა მდივანს არ თვლის დიდი ღირსების მქონე პოეტად — „მის ლექსებს პოეტური ცეცხლი აკლიათ“. ონანა უხეშად ბაძავსო რუსთველსა და თეიმურაზს, განსაკუთრებით რუსთველსო. „რუსთველის უკვდავი პოემის მიმბაძველობა საერთოდ დამახასიათებელი ნიშანია ქართული ლიტერატურის აღორძინების ეპოქისაო,“ — ამბობს მკვლევარი, მაგრამ მიმბაძველობას უკიდურესი ფორმა აქვს მიღებული ონანა მდივანის გალექსილ თხზულებაშიო.

დიდი გულმოდგინებით, სისრულით და სიზუსტით აქვს ე. თაყაიშვილს აღწერილი „არჩილიანის“ ხელნაწერები (II, 133—137), ვახტანგ მეექვსის თხზულებანი (II, 406—410) და ბევრი სხვა. ის საგანგებო ყურადღებას აქცევდა ისეთ ავტორებს და ისეთ ძეგლებს, რომლებიც უფრო ნაკლებ იყო ცნობილი და შესწავლილი. ამიტომაც ე. თაყაიშვილი სპეციალურად აღარ შეჩერებულა დ. გურამიშვილსა და მის ნაწერებზე (II, 471).

დაუფასებელია ის ცნობები, რომლებიც ე. თაყაიშვილის „აღწერილობაში“ მოიპოვება მრავალრიცხოვან პოეტ-მელექსეთა, მწიგნობართა და მწერლობის გულშემატკივართა, აგრეთვე ნაკლებ ცნობილ (თუ უცნობ) ძეგლთა, ფრაგმენტთა, ჩანაწერ-მინაწერთა შესახებ. ამ მხრივ „აღწერილობა“ ამოუწურავ წყაროსა და დიდებულ საუნჯეს წარმოადგენს.

მის მიერვე გამოვლენილი და აღწერილი საუკეთესო ნუსხების მიხედვით ე. თაყაიშვილმა გამოსცა ქართული მწერლობის რიგი მნიშვნელოვანი ძეგლი. ასეთებია „სიბრძნე ბალავარისა“ (თბილისი, 1895), „კათალიკოზ-ბაქარიანი“ (თბილისი, 1895), „მელის წიგნი“ (თბილისი, 1899), „თიმსარიანი“ (თბილისი, 1903). მართალია, ეს გამოცემები არ არის მეცნიერულ-კრიტიკული, მაგრამ, როგორც ვთქვით, ისინი ემყარება საუკეთესო ხელნაწერებს, შესრულებულია დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით და თავისი დროისათვის სანიმუშონია.

თავისი გამოცემებით ე. თაყაიშვილი უპასუხებდა დროის მოთხოვნილებებს, მეცნიერებაში აღძრულ საჭირობორტო საკითხებს. ცნობილად, მაგალითად, რა დიდი რეზონანსი ჰქონდა რუსულ აღმოსავლეთ-

მკოდნეობაში „ბალავარიანის“ პრობლემებს. აკადემიკოსმა ე. კრაჩკოვსკიმ შემოიღო სპეციალური ტერმინი კი — «варлаамовский период русского востоковедения»¹⁴. „ბალავარიანის“ გამოქვეყნებით ე. თაყაიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული პრობლემის შესწავლაში (ე. თაყაიშვილის პუბლიკაციის მიხედვით „სიბრძნე ბალავარიანის“ რუსულად გადათარგმნა ი. ჯავახიშვილმა). „მელის წიგნის“ გამოცემა ებმურებოდა ნ. მარის განთქმულ სამაგისტრო შრომას «Сборники притч Вардана». „თიმსარიანისადმი“ ინტერესი ე. თაყაიშვილს გაუმახვილა ს. ოლდენბურგის ნარკვევმა «О персидской прозаической версии книги Синдбада»¹⁵. კათალიკოზ-ბაქარიანის“ კი ე. თაყაიშვილის ყურადღებას იქცევდა, უწინარეს ყოვლისა, როგორც საისტორიო წყარო.

„მელის წიგნის“, „თიმსარიანისა“ და „კათალიკოზ-ბაქარიანის“ პუბლიკაციებს უძღვის (ან ერთვის) ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მოკლე, საქმიანი მიმოხილვანი. ე. თაყაიშვილმა პირველად გაარკვია „კათალიკოზ-ბაქარიანის“ ავტორის, იესე ტლაშაძის ვინაობა და ძეგლის რაობა. „თიმსარიანის“ წყაროდ ე. თაყაიშვილმა საბუთიანად მიიჩნია სპარსული სინდბადის წიგნი. მთარგმნელის საკითხის გამო მკვლევარი ერთგვარად ყოყმანობდა („ნამდვილად არ ვიცი, რომელ თეიმურაზ მეფეს ეკუთვნის თარგმანი, პირველს თუ მეორეს“), მაგრამ უფრო თეიმურაზ მეორის სასარგებლოდ იხრებოდა.

ე. კელენჯერიძემ გამოაქვეყნა „უორდროპისეული ქართული ხელნაწერების აღწერილობა“ შესრულებული ე. თაყაიშვილის მიერ (Рукописи Оксфордской библиотеки, приобретенные в Тифлисе Оливером Вардропом, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III (1961), გვ. 189—216). ამ აღწერილობაში, სხვათა შორის, გვაქვს ზუსტი ცნობები „ყისაი ჰამზას“ გვიანდელ ქართულ თარგმანზე (ისტორია ანუ მოთხრობა სააბყარანამარამზასი და ბაბაა ამარისი, გვ. 199—201)¹⁶.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი და გამოცემული „ხელმწიფის კარის გარიგებით“ ცნობილი ვანდა, რომ არსენ იყალთოელს ჰკუთვნებია ძველი შაირი „ვინ ნაჰარმაგევს მეფენი“. ესაა რუსთველამდელი შაირის პირველი სრულყოფილი ნიმუში. მას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც შაირის ლექსის ისტორიისათვის საერთოდ, ისე, და განსაკუთრებით, არსენ იყალთოელის ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, კერძოდ.

¹⁴ Повесть о Варлааме и Иосафе. Перевод с арабского академика В. Р. Розена, под редакцией и с введением И. Ю. Крачковского, М.-Л., 1947, гл. 16, ш. 2.

¹⁵ Сборник статей учеников профессора В. Р. Розена, СПб., 1897.

¹⁶ შდრ. ა. ხარამიძე, ამირანდარეჯანიანის გარშემო, საქ. მეცნ. აკადემიის სპეც. მოამბე, 1960, № 1, გვ. 260—268.

ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი დაიბადა 1864 წლის 3 იანვარს გორში. დაწყებითი განათლება მან გორში მიიღო, ხოლო შემდეგ სწავლას განაგრძობს თბილისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში, რომელსაც 1883 წელს ამთავრებს ოქროს მედლით. იმავე წელს იგი ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1887 წ. კანდიდატის ხარისხით დაამთავრა უნივერსიტეტის კურსი და მომდევნო 1888 წ. მიიწვიეს მოსკოვის აღმოსავლურ ენათა (ლაზარაანთ) ინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე. აქედან მოკიდებული იგი განაგებდა ამ კათედრას. 1901 წ. მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული ენისა და სიტყვიერების კურსის კითხვა მიენდო. 1911 წ. მოსკოვში ა. ხახანაშვილის ინიციატივითა და მატერიალური დახმარებით შეიქმნა „ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება“. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სიკვდილამდე მეცნიერი ისტორიკოსებისა თუ ორიენტალისტების საერთაშორისო კონგრესების მუდმივი მონაწილეა, კითხულობს მოხსენებებს ქართული კულტურის ისტორიიდან. 1911 წლის 25 ივლისს ა. ხახანაშვილი გარდაიცვალა. 5 აგვისტოს მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში მიაბარეს მიწას.

ა. ხახანაშვილის ეპიზოდური დაკვირვებანი ქართული სიტყვიერების სხვადასხვა ძეგლებზე 90-იანი წლების შუა ხანებიდან შეცვალა სისტემურმა კვლევამ, გამიზნულმა ჩვენი ერის სიტყვიერი კულტურის განვითარების მთლიანი სურათის აღსადგენად. ასე აღმოცენდა ოთხტომიანი ნაშრომი რუსულ ენაზე — „ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან“, რომელშიც შეჯამდა მეცნიერის მონაპოვართა ძირითადი ნაწილი. „ნარკვევების“ პირველი ნაკვეთი ა. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა 1895 წ. (31 წლისამ). მეორე ნაკვეთი გამოვიდა 1897 წ., მესამე — 1901 წ., მეოთხე, რომელიც XIX ს. ქართულ მწერლობას მოიცავს, — 1907 წ. ეს ოთხტომეული საფუძვლად დაედო „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ ორ ტომს, რომლებიც ქართულად გამოვიდა, პირველი, ძველი ქართული მწერლობის მომკველი, — 1904 წ., ხოლო მეორე, რომელიც XIX ს. ეხებოდა, — 1917 წ. ამ ორტომეულით ქართველი ახალგაზრდობა კარგა ხანს სწავლობდა მშობლიურ ლიტერატურას. თავის ნაშრომს ა. ხახანაშვილი უწოდებდა „პირველ ცდას“ ქართული სიტყვიერების ისტორიის წარმოდგენისა, და როგორც ცდა, გამოირჩევა უსრულობითა და დასმული საკითხების სუსტი გაანალიზებით.

„ნარკვევების“ პირველი ნაკვეთის ძირითადი ნაწილი ხალხურ ზეპირსიტყვიერებას მოიცავდა, მაგრამ აქვე იყო საუბარი ქართული მწიგნობრობის დასაწყისი ეტაპის შესახებ, რომელიც, მეცნიერის აზრით, ჩვენი ქრისტიანობის შემოსვლას ემთხვეოდა, და უძველეს ლიტერატურულ ნიმუშებად მიჩნეული იყო ბიბლიური წიგნები. კონკრეტულად ლიტერატურული ძეგლების ანალიზს წინ უსწრებდა ამ წიგნების გადმოქართულების მოკლე ისტორია და ძველი ქართული სამწერლობო და სწავლა-განათლების კერების ზოგადი დახასიათება. ჩვენი მწიგნობრობის აკვნად მიჩნეულ იყო საბაწმიდის ლავრა იერუსალიმის ახლოს, რომელიც მკვლევარს პეტრე იბერის აგებული ეგონა. თუმცა ძველ ქართულ სავანეთა დახასიათებისას დაშვებულია მთელი რიგი ისტორიული უზუსტობანი (გასაგები მიზეზის გამო), მაგრამ ჩვენი ერის კულტურული წინსვლის საქმეში ბევრი მათგანის პრინციპული წვლილი (მაგალითად, სინის მთის, ჯვრის მონასტრისა) ისე კარგადაა განსაზღვრული, რომ შემდგომი ხანის მეცნიერული შტუდიები მნიშვნელოვანწილად ემყარება და იზიარებს მას. ა. ხახანაშვილმა პირველთაგანმა ჰეშმარიტებით განსაზღვრა მონასტრებისა და, საერთოდ, ქრისტიანობის როლი ჩვენი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში. ძველი ქართული სავანეები, ამბობს მეცნიერი, „იღვწოდნენ ხალხის მასებში ქრისტიანული რელიგიისადმი სიყვარულის გასაღვივებლად. და ამ სიყვარულმა, ხალხის გაგებაში სამშობლოს სიყვარულთან შერწყმულმა, იხსნა საქართველო მუსულმან ხალხთა მიერ შთანთქმისაგან“.

დარგი, რომელსაც ძველი ქართული სასულიერო მწერლობიდან საგანგებოდ გამოყოფს და სისტემატურად განიხილავს ა. ხახანაშვილი, არის აპოკრიფული ლიტერატურა. ამ დარგში მეცნიერის ღვაწლი, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ მან რუსულ ენაზე გადაიღო და თავისი „ნარკვევების“ პირველ წიგნში დაბეჭდა ტექსტები ქართული აპოკრიფების მნიშვნელოვანი ნაწილისა. იქვე წმინდა აპოკრიფული ტექსტების გარდა დაბეჭდილია ლეგენდები, მითოლოგიური და ხალხური თქმულებანი, რომელთა კომპოზიციაში აპოკრიფული ელემენტებიც შედის. ლაზარაანთ ინსტიტუტის შრომებში კი ა. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა ქართული თარგმანი ჰაგიოგრაფიულ-აპოკრიფული თხზულებისა „ცხოვრება წმინდისა ბაგრატისი, ტავრომენიელ ქალაქისა მდღელთ-მოდღურისა“. ამით საერთო ევროპული კვლევაძიების ორბიტაში ჩაირთო ძველ ქართული მწერლობის ეს მდიდარი უბანი. მკვლევარი უფრო შორსაც წავიდა. აპოკრიფების ქართული თარგმანები შედარებულია მათს ბერძნულ, ლათინურ, სირიულ, ებრაულ, არაბულ, სლავურ-რუსულ, სომხურ ვარიანტებთან, აღნუსხულია შეხვედრები და განსხვავებანი და უმეტესად სწორადაა დადგენილი ქართული ტექსტების წარმომავლობა.

გაზიარებულია ა. ხახანაშვილის აზრი, რომ სომხურიდან მომდინარეობს ძველი და ახალი აღთქმის რიგის აპოკრიფები: კაენის მიერ აბელის მოკვლა, სეითის შობა, ნოეს კიდობნის აშენება და სხვა. ა. ხახანაშვილმა თავის დროზე ზუსტად მიუთითა, რომ ასტროლოგიური ხასიათის სტატია — „კალანდა, თქმული ეზრა წინააღმარებელისა“, X ს: ძველი, თარგმნილია ბერძნული ენიდან.

თავისი „ნარკვევების“ მეორე წიგნის ბოლოს ა. ხახანაშვილმა შეიტანა ქართული აპოკრიფული მწერლობის სამი ნაწარმოების რუსული თარგმანი. ესენია — „სიყრმე უფლისა“, „წერილი, რომელიც დაწერა იოსებ არიმათელმან, მოწაფემან უფლისა ჩუენისა ესოვ ქრისტესმან...“ და XVII—XVIII სს. აპოკრიფი — პილატეს დადგენილება მხსნელის სიკვდილით დასჯის შესახებ.

ქართული აპოკრიფული ტექსტები დამატების სახით ერთვის „ნარკვევების“ მესამე წიგნსაც (შობა მარიამისა, უწყებულება მარიამისა გაბრიელისაგან, მარიამის გამგზავრება ელისაბედთან და სხვა).

„ნარკვევების“ მეორე წიგნში ცალკე თავადაა გამოყოფილი „ჰაგიოზოგრაფიული თხზულებანი“. ემყარებოდა რა რამდენიმე ძირითად ისტორიულ მონაცემს, მიუთითებს მკვლევარი, ჰაგიოგრაფს, რომელიც ზოგჯერ ასწლელულობით იყო დაშორებული თავისი გმირის ეპოქას, „უნდა მიემართა საერთო ტიპური ნიშნებისათვის“. ა. ხახანაშვილმა, ქართველ ძველიერთაგან პირველმა, გახაზა სპეციფიკა ჰაგიოგრაფიული დარგისა: თავისი ხასიათით „ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები წარმოადგენენ უფრო ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ვიდრე საკუთრივ ისტორიულს.

...ისტორიოგრაფიული ელემენტები წმინდანთა ცხოვრებაში სრულიადაც არ დგას პირველ პლანზე, უთმობს რა თავის ადგილს, უმთავრესად, ელემენტებს ლიტერატურულს“. ჭეშმარიტი ლიტერატურული ალლო იმისა, ვინც ამ თვალსაზრისს ავითარებდა გასული საუკუნის ბოლოს, განსაკუთრებით ცხადია დღეს.

შემდგომ მკვლევარი კონკრეტულად ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს ეხება. მკითხველს აცნობს „აბოს წამების“, „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“, „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“, „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებისა“ და ქართული „ბალავარიანის“ დაწვრილებით შინაარსს (ნაწილობრივ თარგმანი, ნაწილობრივ პერიფრაზი). გადმოცემულია „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ მოკლე შინაარსი და ისტორიული ფონი თხზულებისა. ჩამოთვლილ თხზულებათა ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებსაც ეხება მკვლევარი. საკმაოდ ახლოს ჭეშმარიტებასთან განსაზღვრულია თარიღი აბოს მარტვილობისა და დრო ნაწარმოების შექმნისა. ა. ხახანაშვილი ვრცლად მსჯელობს „ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჰელიოზური რედაქციის შესახებ. „მოქცევაჲ ქართ-

ლისაად“ მას შატბერულ-ჰელიშური რედაქციის დასაწყისი, ისტორიული ნაწილი მიაჩნია და ეს უკანასკნელი, მისი აზრით, „წყაროდ გამოუყენებია, შეუფარდებია და შეუვსია“ საკუთრივ „ნინოს ცხოვრების“ ავტორს. შემდგომ აღნუსხულია უმთავრესი იმ გარემოებათაგან, რაც ნინოს მოღვაწეობისა და ქართველთა მოქცევის შესახებ მოებოვება შატბერულ-ჰელიშურ მოთხრობას, ერთი მხრივ, და „ქართლის ცხოვრებისა“ და „საქართველოს სამოთხის“ სათანადო მონაცეულებს, მეორე მხრივ. ხოლო შემდგომ ქართული მასალები იმავე საკითხზე შედარებულია ბერძნულ (რუფინოზი, სოკრატე, სოზომენე, თეოდორიტე კვირელი) და სომხურ (მოსე ხორენაცი) წყაროებთან. შატბერულ-ჰელიშური მოთხრობის პირველი ნაწილისა (საკუთრივ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ქრონიკა) და „ქართლის ცხოვრების“ მონაცემების შედარებით მკვლევარი მიდის მართებულ დასკვნამდე, რომ მეორის დაწვრილებითი ჩვენებანი წარმოადგენენ პირველის შეკუმშული აზრის განვითარებას.

საგანგებო ყურადღებით განიხილა ა. ხახანაშვილმა „სიბრძნე ბალავარისი“, რომლის ტექსტს თვით მან მიაკვლია (1888 წ.). ნ. მართან ერთად მან პირველთაგანმა შეუდარა სულთმარგებელი რომანის ქართული, ბერძნული და არაბული რედაქციები ერთმანეთს, გამოავლინა მათი რიგი თავისებურებანი. მაშინ 6-ოდე წლის გამოსული იყო პ. ზოტენბერგის ცნობილი შრომა „ბალავარიანის“ შესახებ, რომლის ავტორიც გადაჭრით უარყოფდა აზრს რომანის ბერძნული რედაქციის ქართული წარმომავლობის შესახებ. პ. ზოტენბერგს ხმა დააწია კ. კრუმბახერმა. ამ ვითარებაში ა. ხახანაშვილს, ქართველ მეცნიერთაგან ერთ პირველთაგანს, მოუხდა გამოსვლა და მტკიცება იმისა, რომ X ს. მეორე ნახევრისათვის ქართული ენა, როგორც ლიტერატურული ენა, სრულიად არ იყო „დაუმუშავებელი“, მას ორიგინალურ და მთარგმნელობით შემოქმედებითს სარბიელზე მიმოხრის სოლიდური ტრადიციები გააჩნდა. მითითებული იყო, რომ ექვთიმეს ეს წვლილი ბიზანტიურ მწერლობაში დამოწმებულია ქართულ წყაროშიც (გიორგი მთაწმიდელი).

საეკლესიო ძეგლების შემდგომ ა. ხახანაშვილი „ქართლის ცხოვრების“ ჩამოყალიბებას, შედგენილობას და წყაროებს ეხება. დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქათა ზოგად დახასიათებას მოსდევს მიმოხილვა „ამირანდარეჯანიანისა“, რომლის ტექსტი „ნარკვევების“ პირველ წიგნს დაერთო. მკვლევარი გახაზავს, რომ „ამირანდარეჯანიანი“ წარმოადგენს კრებულს გმირული მოთხრობებისა, ამირანის პიროვნების ირგვლივ ხელოვნურად გაერთიანებული ხალხური თქმულებებისა. მაშინ სრულიად ახალი გამოქვეყნებული (1895 წ.) იყო ნ. მარის სპეციალური ნაშრომი, სადაც „ამირანდარეჯანიანი“ სპარსულიდან

ნათარგმნ თხზულებად იყო გამოცხადებული. ა. ხახანაშვილი ნამდვილად ანგარიშგასაწევი საბუთებით დაუპირისპირდა ამ თვალსაზრისს. პერსონაჟთა სახელების სპარსული წარმომავლობა იყო ნ. მარისათვის ერთი მთავარი საბუთი თხზულების სპარსულობის მტკიცებისა. ასეთი მსჯელობით, შენიშნავდა ა. ხახანაშვილი, არაერთი ნამდვილად ქართული ძეგლი, რომელთა გმირები სპარსულ, ბერძნულ და სომხურ სახელს ატარებენ, არაქართულად გამოცხადდება. აქ მკვლევარი აკეთებს ფრიად საყურადღებო შენიშვნას: ქართული რომანის გმირები ნამდვილად ატარებენ სპარსულ სახელებს, მაგრამ ეს უკანასკნელი ადრე შევიდნენ ქართულ კალენდარში. ეს აზრი უდევს საფუძვლად ისეთ აზრს, როგორსაც უძებნიან დღეს ქართული იდეალებისა და სპარსული ტენდენციების შერწყმას, გმირთა მსგავს გაგებას ქართულ რომანში.

ა. ხახანაშვილმა დიდი დაკვირვებით შეისწავლა ხალხური „ამირანის“ ციკლი და მის ფორმირებაში ორი ფენა გამოჰყო: უძველესი, მითოლოგიური პლანი ღმერთთან მებრძოლი გმირისა, და უფრო გვიანდელი, კეთილის მთესველ რაინდს რომ წარმოგვიჩენს, რომელსაც უკავშირდება წარმოდგენა ეროვნულ გმირზე. ამ უკანასკნელი მონახაზით წარმოგვიდგება, ამბობს იგი, ამირანი მსხვერპლის ნახელავში. ეს დაკვირვებაც ნაყოფიერი შეიქნა თხზულების დღევანდელი კვლევისა და ინტერპრეტაციისათვის.

„ამირანდარეჯანიანს“ მოსდევს განხილვა კლასიკური ხანის ნათარგმნი ძეგლისა „ვისრამიანის“. ჯერ მკვლევარი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ეს რომანი ნათარგმნია პირდაპირ ფალაური ტექსტიდან და თან იმდენად თავისუფლად, რომ ქართული ვერსია წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელს რედაქციას; ხოლო შემდეგ ქართული მიიჩნია სპარსულიდან მომდინარედ, მაგრამ არა პოეტ გურგანის თხზულებიდან, არამედ, სხვა, ჯერ უცნობი პროზაული სპარსული ტექსტის თავისებურ გადმოკეთებად. მაგრამ ეს მოსაზრებანი ვერ იქნა დასაბუთებული.

ა. ხახანაშვილს ეკუთვნის „ვისრამიანის“ ქართული და სპარსული რედაქციების შედარების პირველი ცდა. იგი ემყარებოდა სპარსული ტექსტის შემოკლებულ გერმანულ თარგმანს და შტაკელბერგის ნაშრომებს. მითითებულ იქნა, რომ არის განსხვავებანი გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, ზოგჯერ თხრობის რიგსა და სისრულეში, ზოგან ქართული ტექსტი უფრო ლაკონიურია. მკვლევარი ასკვნია, რომ თმოგველის ნამუშევარი არ არის სიტყვისიტყვითი თარგმანი.

მკვლევარმა ერთობ მკაცრი შეფასება მისცა „ვისრამიანის“ იდეურ შინაარსს, გვაოცებს რომანის გმირების „ზნეობათა ველური უხეშობაო“. მითითებულ იქნა, რომ „ვისრამიანში“ მუსლიმანურ კოლორიტს აჭარბებს ფარსულ-ზოროასტრული შეხედულებანი და განწყობილებანი.

„შპ-ნამე“, ამბობს ა. ხახანაშვილი, გვაცნობს ჩვენ ძველი სპარსეთის ცხოვრებას თითქმის მარტო გარეგნულის მხრივ, „ვისრამიან-ში“ მცირე ადგილი უჭირავს ომსა და პოლიტიკას, იქ იდილიური ელემენტი და ლირიზმი, აღამიანთა შინაგანი ყოფის დახასიათება სპარსობს.

შავთელის ვინაობა ამ ნარკვევებში ტრადიციული ცნობების შესაბამისადაა წარმოდგენილი. ქების საგნად მიჩნეულია ძირითადად თამარ მეფე, თუმცა „პოეტი შესხმას მოახსენებს თამართან ერთად მის მეუღლესაც“. თხზულება განხილულია შინაარსობრივად, თამარისა და მისი ეპოქის შავთელისეულ დახასიათებას პარალელები ეძებნება ქართული საისტორიო მწერლობის სათანადო მონაცემებთან.

ა. ხახანაშვილი საფუძვლიანად შეეკამათა ნ. მარს, რომელიც უარყოფდა თამარს, როგორც შავთელის ქების საგანს. მან ყურადღება გაამახვილა მ. ჯანაშვილის მიერ „აბდულმესიანის“ ტექსტიდან წარმოჩენილ სამ უმნიშვნელოვანეს მონაცემზე, რაც „მხოლოდ თამარ მეფეზედ შეეძლო პოეტს ეთქვა“: ა) „ქრისტეს სძლობა“; ბ) „გვირგის მართვისებრ მეუღლეობა“; გ) „დაპყრობა ლიმონის კიდისა“. სწორედ ეს რეალები გახდა მთავარი დასაყრდენი შემდგომ ქების საგნის სწორად განსაზღვრისათვის.

რაც შეეხება „თამარიანს“, მას ა. ხახანაშვილი თვლიდა „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომ დაწერილად იმ სტროფის შინაარსის საფუძველზე, რომლის გვიანდელი წარმომავლობა მაშინ არ იყო ცნობილი („მოხვევს ძესა ჩაჩრუხაძესა...“). მკვლევარი იმეორებს ტრადიციულ ცნობებს ჩახრუხაძის შესახებ და იძლევა ტექსტის შინაარსობრივ ინტერპრეტაციას.

ა. ხახანაშვილს რამდენიმე წერილი თუ უმნიშვნელო ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე. ისინი შეჯამებულია „ნარკვევების“ მეორე წიგნსა და „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“. მკვლევარი ეხება პოემის ფაბულის წყაროს საკითხს. იგი ფიქრობდა, რომ „ტარიელის და ნესტან-დარეჯანის არაკი, დარჩენილი ახლა ჩვენს ხალხში და პოეტის დროს „ამბად ნათქვამი“, გარდაიქმნა „წყობილ მარგალიტად“ რუსთველის ხელში. ეს ამბავი ეგებ აღმოსავლეთიდან შემოვიდაო. თუმცა არაა დავიწყებული, რომ რუსთველს, თავის მხრივ, გავლენა მოუქდენია ხალხის ფანტაზიაზე.

შემდგომ ა. ხახანაშვილი ემხრობა და ავითარებს იმ აზრს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა და სიტუაციათა სფეროში შეფარულია და უნდა დავინახოთ გიორგი მესამე, თამარი, რუსუდანი, დემნა ბატონიშვილი და მათთან დაკავშირებული ისტორიული ამბები.

ვრცლად ახასიათებს ა. ხახანაშვილი პოემის პერსონაჟებს. „ზოგადი ადამიანის ტიპის შექმნა, — ამბობს მეცნიერი, — რუსთველმა

შეძლო ჩვენი ერის სხვადასხვა ნაწილის შესწავლის წყალობით“. სხვაგვარად იგი თავს ვერ დააღწევდა განყენებულ, უსიცოცხლო სქემას. რუსთველის თითოეული გმირი კი ინდივიდია.

„გეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთა მოდელში ა. ხახანაშვილს უკვე აქვს გამოყოფილი ის კომპონენტები; რაც დაკვირვების ობიექტი შეიქნა მერე, როცა ამ გმირთა სრულყოფილობა და ადამიანობის რუსთველისეული რენესანსული იდეალი გახდა საგანგებო შესწავლის საგანი. „ჩველი გული და მტკიცე სული, — ამბობს ავტორი ნესტანის შესახებ, — შეადგენს იმ ძვირფას შინაგან სილამაზეს, რაიც სრულიად ჰარმონირებს მის ბრწყინვალე გარეგნობასთან“. იქვე მითითებულია, რომ რუსთველის გმირები ამაღლებულნი არიან პირადულზე, კერძოზე.

ა. ხახანაშვილის მიხედვით, რუსთველი არის არა მხოლოდ „ქარგად განათლებული პოეტი, არამედ იგი ფილოსოფოსი-ქრისტიანია“. ამის საილუსტრაციოდ მოხმობილია ისეთი „წმინდა ქრისტიანული გამო-ნათქვამები“ პოემიდან, რომლებიც ასეთადვე დასახა შემდგომმა რუსთველოლოგიურმა კვლევამ.

შემდგომ მკვლევარი კლასიკური ხანის საეკლესიო მწერლობას მიმოიხილავს ძალიან ზოგადად. მოტანილია მოკლე ტრადიციული ცნობები (ძირითადად ანტონის „წყობილსიტყვაობის“ საფუძველზე) იოანე პეტრიწონელის, იოანე ტარიჭისძის, საბა სვინგელოზის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელისა და სხვათა შესახებ. ვრცელადაა განხილული ნათარგმნი ძეგლი — „ფიზიოლოგი“, აღნუსხულია ბერძნულ-სლავურ ტექსტებთან ქართულის სხვაობანი. გათვალისწინებულია სომხური და სირიული რედაქციებიც ამ თხზულებისა და გამოტანილია დასკვნა, რომ ქართული წარმოდგენს განსაკუთრებულს რედაქციას, რომლის პროტოტიპი ბერძნულშია საძიებელი.

„ნარკვევების“ მეორე წიგნის ბოლოს დახასიათებულია კლასიკური ხანის ქართული ლიტურგიკული მწერლობის ორი უმთავრესი ძეგლი — დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმის ლავრისადმი და „განგება ვაჰანის ქუაბთა“. გადმოცემულია მათი შინაარსი და განმარტებულია ზოგი რეალია.

„ნარკვევების“ მესამე წიგნი XVII—XVIII სს. ლიტერატურის სულ სხვადასხვა ჟანრს და მიმართულებას მოიცავს.

ამ წიგნის პირველი ნარკვევი ეძღვნება „რუსუდანაიანს“. საქმე ისაა, რომ მკვლევარი ამ ნაწარმოებს XIII ს. დასაწყისს მიაკუთვნებს, ვინაიდან მთავარი გმირის სახელი და ზოგიერთი ფაქტი ნაწარმოებიდან თამარის ასულის — რუსუდანის ეპოქას მიგვანიშნებენო. ფაბულის აღგორიულ გაგებას თან მოსდევს ნაციონალური ტენდენციის აღიარება თხზულებაში. ა. ხახანაშვილს „რუსუდანაიანში“ შემავალი

ზღაპრების უმრავლესობა ხალხიდან ჩაწერილად და გადამუშავებულად ესახება.

შემდგომ ა. ხახანაშვილი ეხება გარდამავალი ხანის პოემას „ალ-ლუზიანს“, რადგან იზიარებს ვ. მილერის აზრს, რომ ეს ნაწარმოები დაწერილია XV ს-ში; თუმცა ყურადღებას ამახვილებს პოემის ერთ რეალიზაც. რაც მას ეჭვს აღუძრავს, შეიძლება თხზულება XVIII ს. შემდგომი ხანისაა. ა. ხახანაშვილი გარკვევით უთითებს, რომ „სირინოზიანში“, ისევე როგორც „შაჰ-ნამეში“, წარმოდგენილია ბრძოლა ირანსა და თურანს შორის და თხზულება ნაკვებია უძველესი სპარსული ლეგენდებით, რომლებიც ლიტერატურულად პირველად გადაამუშავა დაყიყიმ, რომლის თხზულების ნაწყვეტები შემოგვინახა „შაჰ-ნამეში“. მკვლევარს მოაქვს „სირინოზიანის“ შესატყვისი მონაკვეთი „შაჰ-ნამედან“ და „ისფანდიარ-ნამედან“. აღნუსხულია მონათქსავე მოთხრობათა უმთავრესი სხვაობანი. შენიშნულია, რომ „სირინოზიანში“ იგრძნობა ანტისპარსული ტენდენცია. მაინც ა. ხახანაშვილი ამ ძეგლს თარგმნილად თვლის თხზულების სპარსიზმების გამო.

აღორძინების ხანის მწერლობის მიმოხილვა იწყება თეიმურაზის შემოქმედებით. ყველაზე საყურადღებოა აქ დაკვირვება „ლეილ-მაჯნუნიანის“ (რომლის ქართული თარგმანი მეცნიერს ნიზამისეული ვერსიიდან მომდინარე ჰგონია) პერსონაჟების, უფრო ლეილის, ფსიქოლოგიურ ბუნებაზე და მათი შედარება „ვეფხისტყაოსნის“ გმირთან. ლეილი, ეს აღმოსავლეთის ჯულიეტა, ამბობს ა. ხახანაშვილი, მოკლებული თავისთავად ენერგიას პირადი თავისუფლების დაცვისას, უსიტყვო მონაა აღძრული სიყვარულისა და მაჰმადიანური ზნეობრივი შეხედულებებისა. აქ რუსთველს არაფერი ჰქონდა მისაბამი და სანიმუშო. რუსთველს თვალწინ ედგა თავის საკუთარ ქვეყანაში დიდი მხედართმთავრებისა და თამარის თანამედროვე დიდებული ქალების გმირობათა მაგალითები (ეს აზრი ილუსტრირებულია ისტორიული ფაქტებით). რუსთველის მსოფლგანცდის ორიგინალური, ეროვნული ძირების ამ ასპექტს პირველთაგანმა გაუსვა ხაზი სწორედ ა. ხახანაშვილმა.

თეიმურაზის შემდეგ მკვლევარი ეხება არჩილ მეფეს, ალაგებს მისი უმთავრესი თხზულებების შინაარსს.

განსაკუთრებულია ა. ხახანაშვილის დავწლი ქართული „ალექსანდრიანის“ შესწავლის საქმეში. ამ თხზულების როგორც აღმოჩენა, ისე უმთავრესი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გარკვევად აღდგენა სწორედ მისი დამსახურებაა. განსვენებულმა მეცნიერმა საგანგებოდ შეუდარა „ალექსანდრიანის“ ქართული პროზაული რედაქცია ბერძნულსა და სერბიულ ვერსიებს და ცხადყო, რომ იგი მომდინარეობს სერბიულიდან (შესაძლებელია რუსული გზით). ა. ხახანა-

შვილმავე დაადგინა, რომ პროზაული „ალექსანდრიანის“ გადმოძღვბია არჩილ მეფე. აღნუსხულ იქნა ზოგიერთი ლაფსუსი ქართული ტექსტისა. არჩილის თარგმანისა და ქართული გალექსილი ვერსიის შეჭერების საფუძველზე მკვლევარმა ნათლად დაადგინა, რომ მეორე პირველისგან მომდინარეობს, მაგრამ მას ახალი ელემენტებიც აქვს.

მოკლედ მიმოიხილავს ა. ხახანაშვილი „როსტომიანის“ ქართულ ვერსიებს და საკმაოდ ზუსტად მიუთითებს, თუ რა მონაკვეთები უთარგმნიათ საბაშვილსა და თურმანიძეს, რა უნდა გაეკეთებინა ფარსადან გორგიჯანიძეს.

ა. ხახანაშვილმა გაარკვია, რომ ქართული „თემსარიანი“ თარგმნილია სპარსული „დიდი სინდბადიდან“.

„ბარამიანის“ („ბარამგულიჯანიანის“) შინაარსის გადმოცემის შემდგომ ა. ხახანაშვილი ეხება „ქილილა და დამანას“. დიდი ადგილი ეთმობა ამ თხზულების წარმოშობისა და გავრცელების ისტორიას, აღნიშნულია მისი შეხვედრები „პანჩატანტრასთან“, მითითებულია, რომ ქართული თარგმანი ანვარი სოჰაილისეული რედაქციიდან მომდინარეობს. მკვლევარი აღნუსხავს დავით კახთა მეფის, ვახტან VI და სულხან-საბას დეაწლის ყველაზე უმთავრეს მომენტებს ამ თხზულების გადმოქართულების საქმეში. ა. ხახანაშვილს ეკუთვნის პატივი „ქილილა და დამანას“ უძველესი თარგმანის აღმოჩენისა.

XVIII ს. მწერლობის მიმოიხილვა იწყება ვახტანგ მეექვსით. პოეტი აქ ვრცლად გადმოსცემს ვახტანგის ცხოვრებას და მოკლედ განიხილავს მისი ლირიკის ძირითად მოტივებს. ვახტანგის, როგორც ისტორიკოსის, საქმიანობას ა. ხახანაშვილი შეეხება „ნარკვევების“ მეორე წიგნში, ხოლო მეფის იურიდიულსა და სასტამბო ღვაწლს მესამე წიგნის სათანადო თავები ეძღვნება.

უსრულია თეიმურაზ მეორის შემოქმედების ხახანაშვილისეული დახასიათება. ამ პოეტის ნამდვილ თხზულებათაგან მკვლევარი ასახელებს მარტო „რუსთველთან გაბაასებას“, სამაგიეროდ მცდარად მიაწერს მას რამდენიმე ნაწარმოებს.

შემდგომ მკვლევარი ეხება საზღაპრო ეპოსს, გადმოცემულია „ჩარდავრიშაიანის“ და „მირიანის“ ვრცელი შინაარსი, მთლიანად თარგმნილია რუსულად „სპილენძისქალაქიანი“, მითითებულია, რომ პირველი და მეორე თხზულება „ათას ერთი ღამის“ გავლენას განიცდის.

ა. ხახანაშვილმა მიაკვლია და „ნარკვევების“ მესამე წიგნში დაბეჭდა შინაარსი თხზულებისა „სწავლანი ახიკარ ბრძნისანი“.

„ყამარდიანი“ („სამარდიანი“) ა. ხახანაშვილს სპარსულიდან XVIII ს. გადმოღებულ თხზულებად მიაჩნდა, ხოლო „ყარამანიანთან“ და „სეილანიანთან“ დაკავშირებით მითითებული იყო დავით ორბელიანისა და იოანე ბატონიშვილის ღვაწლზე ამ თხზულებათა გადმოქართულების საქმეში.

ცალკე აქვს განხილული ა. ხახანაშვილის XVII—XVIII სს-ის თხზულებები, რომლებიც ლექსის ფორმით არიან შესრულებულნი. პირველად „დიდმოურავიანს“ ვეცნობით. იოსებ სააკაძე მკვლევარს გიორგი სააკაძის შვილიშვილად წარმოუდგენია.

ვრცლად მიმოიხილავს მკვლევარი დ. გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ძირითადად სწორადაა წარმოდგენილი დ. გურამიშვილის ცხოვრების გრძელი გზა. განხილულია „ქართლის კირის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. დ. გურამიშვილის ამოძახილი — „რად მშვა დედამან“, მკვლევარს აგონებს კალდერონის სიტყვებს: „ადამიანის უდიდესი დანაშაული ისაა, რომ იგი დაიბადა“. ა. ხახანაშვილი აკვირდება დ. გურამიშვილის პოეზიის რელიგიურ სარჩულს და განმარტავს, რომ რელიგიური ტონი არ ანიჭებს მის ნაწარმოებებს ბერულ-ასკეტურ ხასიათს, ისინი ცხოვრებასთან არიან დაკავშირებული ყველა ფესვით. პოეტის ექსტატიური ლოცვები ეროვნული ვითარებითაა ნაკვები. მხატვრული ფორმის სფეროში დ. გურამიშვილის მიერ დანერგილი სიახლენი მკვლევარს მიაჩნია პოეზიაში იმ რეფორმის ანალოგიურად, რაც პროზაში მოახდინა სულხან-საბამ.

ა. ხახანაშვილი მოგვითხრობს საიათნოვასა და ბესიკის ცხოვრებათა ძირითად პერიპეტიებს, უხვად შეზავებულს ლეგენდური გადმოცემებით, აღწესსხავს ბესიკის მთავარ თხზულებებს. ამას მოსდევს „ჰაშნიკის“ ძირითად დებულებათა გადმოცემა. სულხან-საბამს ბიოგრაფიის შემდეგ მეცნიერი არკვევს მისივე ლექსიკონის რაობას, გვაძლევს მოკლე შინაარსს „ევროპაში მოგზაურობისა“ და ფაბულას წიგნისას „სიბრძნე სიცრუისა“. ძირითადი მოტივებითა და გეგმით „სიბრძნე სიცრუისა“ მეცნიერს „ანვარი სოჰაილისა“ და „თიმსარიანის“ მსგავსად ესახება. კრებულში თავმოყრილ იგავ-არაკთა ერთი ნაწილი, მისი აზრით, აღმოსავლეთიდანაა შემოსული, ერთი ნაწილი კი ხალხიდანაა შეთვისებული, მაგრამ მთელი ნაწარმოების გეგმა თვით სულხან-საბამსაა.

„ნარკვევების“ მესამე წიგნში ყველაზე ვრცლად ა. ხახანაშვილი ეხება კათალიკოს ანტონ პირველის მოღვაწეობას. მკვლევარი აღადგენს ანტონის რთული, მრავალმხრივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის თითქმის ყველა დეტალს. ეს არის უფრო ესსე, ვიდრე აკადემიური ნარკვევი, რომლის ავტორს მიზნად დაუსახავს ჩვენს წარმოდგენაში გააცოცხლოს „მქადაგებელი თუ დიპლომატი, განყენებული მოაზროვნე და პრაქტიკული საქმოსანი, ფილოსოფიური და ფილოლოგიური ტრაქტატების ავტორი, მართლმადიდებლობისათვის მებრძოლი კათოლიკური გადახრებით, საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების მეთაური და დევნილი, რუსეთში თავშეფარებული“. გაუშვა რა ხელი-

დან სამეფო სკიპტრა, ანტონმა სრული თავდაპერილობით აიღო ხელთ საეკლესიო, კულტურული, იდეოლოგიური, მეცნიერული სადავეები. ასე, ერთმანეთთან სისხლხორცეულად გადახლართულად წარმოგვიდგება ეპოქა და ადამიანი ა. ხახანაშვილის ინტერპრეტაციით. მკვლევარი ცხადყოფს, რომ ანტონის დაახლოება კათოლიკებთან მოხდა მეცნიერულ ნიადაგზე და სკოლის განახლების მიზნით. შემდგომ აღნუსხულია და დახასიათებულია ანტონის ნაშრომები, განსაკუთრებით ფართოდ — „მზამეტყველება“. ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება უფრო შთამბეჭდავი ლიტერატურული პორტრეტი ანტონ პირველისა, ვიდრე ა. ხახანაშვილის ნარკვევი, რომელსაც არც ისტორიკოსის ობიექტურობა აკლია და არც შინაგანი პათოსი ლიტერატორისა.

ზაქარია გაბაშვილისად მიჩნეული „კატისა და თავგების ომის“ შინაარსის გადმოცემის შემდგომ მკვლევარი გაიოზ რექტორს ეხება. აქ მოტანილი ზოგიერთი ბიოგრაფიული დეტალი მცდარია, როგორც ეს შემდგომ (ნ. პალმოვის შრომით) გაირკვა. ცალკეა აღნუსხული ვახუშტის, იოანე, დავით, ბაგრატ და თეიმურაზ ბატონიშვილების, სენნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ფარსადან გორგიჯანიძის, ომან ხერხეულიძის და სხვათა ისტორიული ნაშრომები.

ერთადაა გაანალიზებული XVIII ს. სამოგზაურო, მემუარული და ავტობიოგრაფიული ნაშრომებები. გადმოცემულია ბიოგრაფია ტიმოთე გაბაშვილისა და „მოხილვის“ მოკლე შინაარსი. ტიმოთეს სხვა თხზულებას მკვლევარი არ ასახელებს. ამას მოყვება იონა გედევანიშვილისა და რაფიელ დანიბეგაშვილის „მიმოსვლათა“, იესე ოსეშვილის ანდერძის, გაბრიელ გელოვანის მოგონებების (ვახტანგ VI შესახებ) და გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის ავტობიოგრაფიის შინაარსთა მოკლედ გადმოცემა.

საერო ძეგლების ძირითადი ნაწილის დახასიათების შემდეგ მკვლევარი უკან იხევს და სასულიერო ლიტერატურის მიმოხილვას იწყებს XIII საუკუნიდან. ეს მიმოხილვა შეეხება არსენ ბულმაისნიძისძეს, ნიკოლოზ-ქართველთა მნათობს, ევდემონ ჩხეტიძეს, ექვთიმე საყვარელიძეს, ბაგრატ ბატონიშვილს, იაკობ შემოქმედელს, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილს, გრიგოლ დოდორქელს, ნიკოლოზ რუსთველს, პეტრე ჩხატარაშვილს, ნიკოლოზ თბილელს, ანტონ მეორეს, რომანოზ მიტროპოლიტს, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს, დომენტი კათალიკოსს და სხვებს. მეცნიერი უთითებს დროს მათი მოღვაწეობისა და ერთ-ორ ნაშრომს. უფრო ფართოდ ეხება იგი XVIII ს. ორ მქადაგებელს — ანტონ ცაგერელ-ჰყონდიდელს და ამბროსი ნეკრესელს. მოთხრობილია ანტონის თავგადასავალი, დახასიათებულია მეთოდი, რომლითაც თავის ქადაგებებს აგებდა ამბროსი ნეკრესელი.

ა. ხახანაშვილი კვლავ XVIII ს. დასასრულის საერო ლიტერატურას

უბრუნდება და ცალკე გამოყოფს სამეფო ოჯახის წევრთა ლიტერატურულ საქმიანობას. ბაქარის საგამომცემლო ღვაწლის აღნიშვნას მოსდევს დავით ბატონიშვილის ცხოვრების, მთარგმნელობითი საქმიანობის დახასიათება. მოთხრობილია დავითის ორიგინალური თხზულების — „ახალი შინის“ შინაარსი, მითითებულია, რომ ეს ნაწარმოები თავისი სანტიმენტალური ხასიათით ხარკს უხდის იმ დროისათვის დიდად პოპულარულ „საწყალო ლიზას“ ნ. კარამზინისა. იოანე ბატონიშვილის ბიოგრაფიასთან ერთად დალაგებულია უმთავრესი ამბები „კალმასობისა“, აღნიშნულია, რომ იგი არის XVIII ს. „საქართველოს ენციკლოპედია“. მკვლევარი თავიდანვე იმ აზრს მიემხრო, რომ „კალმასობა“ იოანესია. აღნუსხულია სხვა ბატონიშვილებისა და გარდამავალი ხანის მწერლების თხზულებანი, ორიგინალური თუ ნათარგმნი, სახელმძღვანელოები, იურიდიული ძეგლები. მესამე ნაკვეთის უკანასკნელი თავები ეძღვნება თეატრსა და სასტამბო საქმიანობას, სხვადასხვა მეცნიერთა აზრებს ქართული ბიბლიის ვარიანტების, თარგმანის დროისა და იმის შესახებ, თუ რომელი ენიდან გადმოიღეს ესა თუ ის წიგნი.

რა შეიძლება ითქვას „ნარკვევებში“ ლიტერატურული ძეგლების დალაგებისა და განხილვის რიგის შესახებ. სამივე წიგნში მასალა განლაგებულია საკმაოდ თავისუფლად, პერიოდიზაციისათვის მყარი ისტორიული თუ ისტორიულ-კულტურული მოტივების დაუდგენლად. მკვლევარს ერთ მონაკვეთად ჰქონდა წარმოდგენილი IV—XII სს. ქართული მწერლობა, ხოლო მეორე მონაკვეთად—XIII—XVIII საუკუნეებისა. ძველი ქართული ლიტერატურის განხილვას იგი იწყებდა აპოკრიფებით, რადგან ამ რიგის ნაწარმოებები, მეცნიერის აზრით, ამჟღავნებენ ნათესაობას სულიერი კულტურის უძველეს დარგთან — ხალხურ ეპოსთან. პერიოდის შიგნით ა. ხახანაშვილი თხზულებებს ალაგებდა ოთხ ძირითად ჯგუფად: 1. ჰაგიოგრაფიული; 2. ისტორიული; 3. საკუთრივ ლიტერატურული; 4. სამეცნიერო, ღვთისმეტყველური, იურიდიული. ასეთი მიდგომით კი ვეღარ გამოიკვეთა ლიტერატურული ეპოქები, როცა ერთ რკალში ექცევა მრავალფეროვანი მხატვრული მოვლენები, ისტორიის ამა თუ იმ ეტაპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ტენდენციებით ნაკვებნი. მდგომარეობას ერთგვარად ამსუბუქებდა ის ვარემოება, რომ სამივე ნაკვეთი „ნარკვევების“ სახელით გამოვიდა.

როცა ა. ხახანაშვილის „ნარკვევებს“ ვაფასებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რა დონეზე იდგა მაშინ ქართველთმეტყველება. გასული საუკუნის დასასრულისათვის არა მხოლოდ ძალიან მცირე იყო რიცხვი ძველი ქართული მწერლობის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევებისა, არამედ გამოუვლინებელი იყო ბევრი ძეგლიც, ბევრის შესახებ კი ბუნდოვანი ცნობები არსებობდა. ამიტომაც, რომ ძველი ქარ-

თული ლიტერატურის ისტორიის საკითხები ამ წიგნებში არც სისრულეთაა დამუშავებული და არც მრავალმხრივ და ამომწურავად. მკვლევრისვე მიზანდასახულობით, ეს იყო „პირველი ცდა“ ჩვენი სიტყვიერი კულტურის სისტემატიზირებისა და საერთო ლიტერატურულ ინტერესთა და საკითხთა ორბიტაში მოქცევისა. ეს მიზანი კი წარმატებით დაგვირგვინდა. კ. კეკელიძე წერდა: „...ეს იყო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემაში მოყვანილი პირველი ცდა, ცდა, რომელსაც თავისი დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონია არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმათთვისაც, ვინც ქართული არ იცოდა“.

„ნარკვევების“ სამი ტომით სრულიად არ ამოიწურება ა. ხახანაშვილის, როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლევრის დამსახურება. საგანგებო ყურადღების ღირსია მისი გამოცემანი ტექსტებისა ამ დაზგში. 1910 წ. მოსკოვში ა. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა—«Материалы по грузинской агнологии» (Труды по востоковедению, XXXI). ამ გამოცემით პირველად დაისტამბა ათონის მთიდან თვით მკვლევრის მიერ ჩამოტანილი ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის ძეგლები: ცხოვრება თეოდორე სტრატოტისა, წამება წმიდათა მოწამეთა მესუკაველთა, წამება წმიდისა რომანოზ ახლისა, აღსრულება საპაკისი პართევისა, წამება წმიდისა შუშანიკისა (მოკლე რედაქცია), წამება წმიდისა იზიდობოზიდისი, წამება დედოფლისა საგდუხტისი, სიტყუანნი წამებისათვის წმიდისა ოსკისი და მოყვასთა მისთა, წამება მთავარეპისკოპოსთა, წამება ვარდანისი და ძმათა მისთა, წამება დავით და ტირიჭანისი. გამოცემას წინ უძღვის მეცნიერის მოკლე ისტორიული ლიტერატურული ნარკვევი.

1902 წ. ა. ხახანაშვილმა დაბეჭდა ნაწყვეტები „ბალავარიანისა“, მასვე ეკუთვნის მ. ბარათაშვილის „ქაშნიკის“ პირველი გამოცემა („მოამბე“, 1900, XII).

საგანგებო ყურადღებით ეყიდებოდა განსვენებული მეცნიერი საეკლესიო სამართლის ძეგლებს. მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორ ნ. ზაოზერსკისთან თანამშრომლობით 1902 წ. დაბეჭდა ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი კანონიკური თხზულება სათანადო გამოკვლევითურთ — «Номоканон Иоанна Постника в его редакциях грузинской, греческой и славянской». გაირკვა, რომ ქართული ტექსტი მნიშვნელოვნად სხვაობს ბერძნულ-სლავურთან და ამ თავისებურებით საყურადღებოა კანონიკისათვის (თუმცა ისიც შენიშნულია, რომ ქართულ ტექსტში ბეჭდვისას ბევრი შეცდომა და დამახინჯება მოხდა). ერთი წლის შემდეგ ა. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა ექვთიმესავე თარგმნილი „მცირე რჩულისკანონი მეექუსისა კრებისა“ — «Павила VI вселенского собора» («Древности восточные», II,

3, 1903). სათანადო გამოკვლევებში მეცნიერმა დაადგინა, რომ ექვთიმეს თავისებურად დაულაგებია მეექვსე კრების კანონები და ისეთი მასალა შეუტანია შიგ, რაც ბერძნულ ვერსიაში არ არის.

1891 წ. ა. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა ქართული სიგელ-გუჯრები („გუჯრები“, ქუთაისი). აქ დაბეჭდილ ტექსტებს დიდი მნიშვნელობა აქვს საეკლესიო სამართლის ისტორიისათვის, ვინაიდან ისინი ხშირად ეხება ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებას, საეკლესიო მფლობელობისა და ბატონპატრონობის ნორმებს (სანიმუშოა ამ მხრივ, მაგალითად, ბიჭვინთის გუჯარი).

ა. ხახანაშვილი იყო დიდად დამაშვრალი ქართული ხელნაწერების შეკრებისა და სისტემაში მოყვანის საქმეში. ბევრი ხელნაწერი, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, მან მოიპოვა და აღწერა პირველმა. დღესაც არ დაუქარგავთ მნიშვნელობა მის ნაშრომებს: „პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები“ („მოამბე“, 1898, I), „მოსკოვის სინოდის ტიპოგრაფიის ქართული ხელნაწერები“ (1900).

ა. ხახანაშვილი ბევრს მოგზაურობდა ქართულ სიძველეთა ადგილზე შესასწავლად. ასეთ ძიებათა შედეგები თავმოყრილია წიგნში — „ექსპედიციები კავკასიაში 1892, 1893 და 1895 წწ.“ ამ გამოცემაში შესულია ძვირფასი ცნობები ძველი ქართული ხელნაწერების თაობაზე, სწავლა-განათლების ცენტრების — გრემის, შუამთის, ალავერდის, სამთავისის, ლარგვისისა და სხვათა შესახებ.

დაახლოებით ასე წარმოგვიდგება ა. ხახანაშვილის წვლილი ძველი ქართული მწერლობის კვლევის საქმეში. მისი, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსის, ინტერესების სფერო უაღრესად ფართოა. ხელნაწერების ძებნა, აღნუსხვა-აღწერა, ტექსტების დადგენა და პუბლიკაცია, მწერლის ბიოგრაფია და ეპოქა, თხზულების წყაროები და რედაქციები, ძეგლების შედარება სხვა ერთა მსგავს ლიტერატურულ ქმნილებებთან, ლიტერატურული გავლენები და ურთიერთობანი, პერსონაჟთა ბუნება-ფსიქოლოგია, პოეტური ტექნიკის არსენალი, — აი, იმ საკითხთა არასრული ნუსხა, რომელთაც აყენებს მეცნიერი თავის შრომებში. და ახლა ძნელია იმის განსაზღვრა, სად უფრო ძლიერია იგი, როგორც მკვლევარი. ინტერესები უსამართლოდ მივიწყებული ქართული კულტურისა მოითხოვდა ამ საგანძურის ყოველმხრივ წარმოჩენას. ეს ინტერესები კი ის იყო აქ ხახანაშვილისთვის, რასაც ყველაფერი უყოყმანოდ უნდა შესწირვოდა. ამ კეშმარტებას ერთნაირად ადასტურებენ მისი ნაშრომებიც და პირადი ცხოვრებაც.

ნიკო მარმა, როგორც გამოჩენილმა მეცნიერმა, სახელი მოიხვეჭა რევოლუციამდელ პერიოდში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ნ. მარმა გააფართოვა სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზი და საბჭოთა მეცნიერების მოწინავე რიგებში ჩადგა.

ძნელია ნ. მარის ვიწრო სპეციალობის ზუსტად განსაზღვრა. საზოგადოდ იგი იყო ორიენტალისტი, ფართო მასშტაბის ფილოლოგი, უპირატესად ენათმეცნიერი, ამასთან დახელოვნებული ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი.

მოღვაწეობის პირველ პერიოდში ნ. მარი ინტერესითა და გატაცებით იკვლევდა როგორც ენათმეცნიერულ, ისე ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს. შემდეგ კი უფრო საენათმეცნიერო პრობლემატიკას დაეწაფა, ამ დროს უკავშირდება მარისეული ე. წ. ახალი მოძღვრება ენის შესახებ.

ჩვენთვის, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსისათვის, ნ. მარი განსაკუთრებით შვირფასია როგორც ძველი ქართული სულიერი კულტურის, ძველი ქართული მწერლობის დაუცხრომელი მკვლევარი. არ დარჩენილა ძველი ქართული მწერლობის არც ერთი საკვანძო, ან ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც არ ყოფილიყო ნ. მარის სპეციალური მეცნიერული შესწავლის ობიექტი. დაუფასებელია ის ღვაწლი, რაც ნ. მარმა გასწია ძველი ქართული კულტურის შესწავლის, გამომზეურებისა და მისი საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვებისათვის.

ამასთან, ისიც უნდა დაუფარავად ითქვას, რომ ნ. მარი იმთავითვე სერიოზულ შეცდომებს უშვებდა ენათმეცნიერებაში და არა მარტო ენათმეცნიერებაში. თავის საკვლევადიებო მეთოდს ნ. მარი „რეალურ-ისტორიული კრიტიკის“ მეთოდს უწოდებდა. ეს მეთოდი კი ზოგჯერ უბრალო ზურჯუფაშიული ობიექტივიზმის ხასიათს ღებულობდა. გვიანდელი ნაშრომებით ნ. მარი ავითარებდა ვულგარული მატერიალიზმისა და ვულგარული სოციოლოგიზმის პრინციპებს.

ნ. მარი მეტისმეტად აზუაღებდა უცხოური შემოქმედებითი ძალების მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის, იგი ხშირად ავითარებდა ერთიმეორისათვის შეუთავსებელსა და ერთიმეორის განომარცხებელ მოსაზრებებს. ზოგჯერ მას წამოუყენებია სრულიად მოულოდნელი, მეცნიერულად უნიადაგო, მისივე ნააზრვეისათვის მიუსადაგებ-

ლი ახირებული ჰიპოთეზები და თეორიები. ნ. მარისათვის უცხო არ ყოფილა აკვირებული ვარაუდები, დაეინება-შეუპოვრობა, თუმცა ადვილად ელვოდა და ცვლიდა პრინციპულ მოსაზრებებსა და კონცეფციებს, რომ არაფერი ვთქვათ ცალკეული შეხედულებების დაუნდობელ „მსხვრევაზე“ (როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე).

აღნიშნულის მიუხედავად, დიდა, და, ვიმეორებთ, დაუფასებელი ნ. მარის ღვაწლი ძველი ქართული კულტურის შესწავლისა და ამ კულტურის ღირსებათა საერთაშორისო მასშტაბით პროპაგანდის საქმეში. ნ. მარის შესანიშნავმა ნაშრომმა — „Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым, и в Иерусалиме в поездку 1902 года“¹ ბერლინის უნივერსიტეტის სახელმძღვანელო პროფესორ ა. ჰარნაკს ათქმევინა: „უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომელნიც შეძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან და გავგაცნონ ახლოს მისი საუნჯე“. ნ. მარს მოპოვებული ჰქონდა უფლება, რომ კვალიფიციურად ეპაექრა ნიპოლისტ ჰ. ზოტენბერგთან თუ დასავლური მეცნიერების ისეთ აღიარებულ ავტორიტეტთან, როგორც იყო კ. კრუმპახერი.

ნიკო იაკობის ძე მარი დაიბადა 1864 წლის 25 დეკემბერს (ძვ. სტ.). მისი მამა იაკობი იყო თავისი დროისათვის განათლებული აგრონომი, ეროვნებით შოტლანდიელი; დედა — გურული ქალი — აღაი მადულარია. ნიკო დაიბადა მამის ღრმა მოხუცებულობის დროს და მალე დაობლდა. ობლის აღზრდის მთელი სიმძიმე დააწვა მის ახალგაზრდა დედას. ბავშვობა ნიკომ გაატარა თავის მშობლიურ სოფელ დაბლაციხეში (ჩოხატაურის მახლობლად). წარჩინებით სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1884 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში.

ნ. მარი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებზე იზრდებოდა მოწაფეობის დროს. შემთხვევითი არ ყოფილა მისი არჩევანი — პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. მას გადაწყვეტილი ჰქონდა საფუძვლიანად შეესწავლა თავისი ქვეყნის ენა, ისტორია და ლიტერატურა, რათა შექმნილი ცოდნა გამოეყენებინა სამშობლოს თავისუფლებისათვის საბრძოლველად. ნ. მარმა წარმატებით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი 1888 წელს. მისი სადიპლომო შრომა ძლიერ მოიწონეს ფაკულტეტის ხელმძღვანელმა სამეცნი-

¹ СППО, ტ. XIV, ნაწ. II, № 1 (1903), გვ. 1—51.

ერო წრეებმა. თვითონ გვაუწყებს: „კათედრაზე სრულიადაც არ მეჭირა თვალი, მე ვოცნებობდი სამშობლოში მუშაობაზე“. ბოლოს საქმე ისე მოეწყო, რომ ნ. მარი დათანხმდა დარჩენილიყო უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად. სპეციალობა იმავეთვე გარკვეული ჰქონდა—ქართულთმცოდნეობა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო იძულებული გახდა ფორმალურად მაინც გამოეცვალა სპეციალობა. ერთ თავის ნაცნობს ნ. მარი იმ ხანებში სწერდა: „უნივერსიტეტი გავათავე. დიდი სურვილი მქონდა ქართული ენის კათედრა დამეკავებინა, მაგრამ ეს განზრახვა... ჩამეშალა. იძულებული დავრჩი სომხური ენის კათედრაზე დავმდგარიყავი... ვეცდები რომ ქართული ისტორიასა და მწერლობასაც მივწვდე, რადგან დიდად მოყვარს და ვემსახურები მას“.²

მართლაც, მიუხედავად ოფიციალური მდგომარეობისა, ნ. მარი არ ანელებდა ყურადღებასა და ინტერესს ქართული ენისა და ქართული მწერლობისადმი. საგულისხმოა, რომ სამაგისტრო დისერტაციის თემა მას აღებული ჰქონდა ქართული ლიტერატურის ისტორიიდან („სიბრძნე ბალავარისა“), რისი განხორციელება აგრეთვე მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო არ მოუხერხდა.

ნ. მარი იყო ღრმად განათლებული პირი, დიდი ნიჭითა და განმაცვიფრებელი ენერჯით დაჯილდოებული, ფართო თვალთახედვის მქონე მოაზროვნე-მკვლევარი, მაძიებელი სულის პატრონი მეცნიერი. იგი დაუნდობელი იყო და უკომპრომისო თავის თავისადმიც და სხვებისადმიც.

ნ. მარი გაურბოდა კაბინეტურ კარჩაყეტილობას, თვითონვე გვიამბობს ენათმეცნიერულ ძიებათა თაობაზე: „ჩემი შემოქმედებითი ენათმეცნიერული აზრები კაბინეტში მუშაობის შედეგი როდია, — ისინი იბადებოდა და ყალიბდებოდა ადამიანებსა და ბუნებასთან ურთიერთობაში, ქუჩებსა და სავაჭრო მოედნებზე, უდაბნოსა და ზღვებზე, მთებსა და ტრამალებში, მდინარეებსა და წყაროებთან, მხოლოდ არა კაბინეტში“.

იგივე ითქმის ნ. მარის ნაფიქრ-ნააზრევზე ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. ფაქტების დიდი მცოდნე მეცნიერი ყოველ წვრილმანსაც კი ახალგაზრდობიდანვე განზოგადებისათვის იყენებდა. მ. ბროსეს დიდი პატივისმცემელი და დამფასებელი ნ. მარი არ მალავდა პირველი ევროპელი ქართველოლოგის სუსტ მხარეს („მ. ბროსეს გონების მიმართულება არ იყო სინთეტიკური ხასიათისა... ის გაურბოდა განზოგადებას“). თვითონ ნ. მარის გონებას კი სწორედ სინთეტი-

² ზაქარია ჭიჭინაძე, თბ., 1922, გვ. 43 (დაყოფა ჩემია—ა. ბ.).

კური ხასიათი ჰქონდა. იგი იყო განზოგადების პრინციპული მაძიებელი.

6. მარი საუცხოოდ უთავსებდა ერთმანეთს თეორიასა და პრაქტიკას, თავის ნაფიქრ-ნააზრევს ყოველთვის ადამიანებთან, მსმენელებთან, უწინარეს ყოვლისა, სტუდენტებთან ამოწმებდა. თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში ყოველმხრივ გამზადებული ნაშრომის დაბეჭდვას არ ჩქარობდა, უკვირდებოდა, სინჯავდა. ამითაც აიხსნება, რომ მას ბევრი გამოუქვეყნებელი ნაშრომი დარჩა.

როგორც აღვნიშნეთ, ნ. მარი იყო ფართო ინტერესებისა და კულტურის მეცნიერი-მკვლევარი, თეორეტიკოსი-მოაზროვნე, მკვეთრი პოლემისტი-პუბლიცისტი, ახალგაზრდობაში აგრეთვე მგზნებარე პოლიტიკური განწყობილებების პატრიოტი პოეტი.

ძველი ქართული მწერლობის კვლევის მხრივ ნ. მარს არსებითად უხდებოდა ყამირის გატეხა და პირველი ხნულის გავლება. ნ. მარი ერთდროულად შავ სამუშაოსაც ეწეოდა, სწავლობდა და იკვლევდა სხვადასხვა ხელნაწერ ფონდებს, ადგენდა ინდექსებს, კატალოგებს, სპეციალურ მეცნიერულ აღწერილობებს; ბეჭდავდა ქართული მწერლობის მეცნიერულ-კრიტიკულად დამუშავებულ ტექსტებს რთული ფილოლოგიური აპარატით; ადგენდა თეორეტიკულ დასკვნებს ძველი ქართული მწერლობის საკვანძო პრობლემებზე, აყალიბებდა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მეცნიერულ კურსს.

მეცნიერულ-კრიტიკულად დამუშავებულ ძველქართულ ტექსტებს, როგორც წესი, რუსული თარგმანით, გამოკვლევებითა და ამომწურავი ფილოლოგიური აპარატებით ნ. მარი სისტემატურად აქვეყნებდა მის მიერვე დაარსებულ სერიებში („Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, „Христианский Восток“), თუ სხვა სპეციალურ სამეცნიერო ორგანოებში („Записки Восточного отделения русского археологического Общества“ და სხვა). ნ. მარი უპირატესად იძიებდა და სწავლობდა ისეთ ლიტერატურულ ძეგლებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ქართული, ისე მახლობელი აღმოსავლეთის (სირიული, სომხური, არაბული) და ბიზანტიის სულიერი კულტურას ისტორიისათვის.

ნ. მარის მიერ გამოცემულ ქართულ ტექსტებს ჩვეულებრივ ახლავს მათი სრული თარგმანებიც (უცხოურიდან მომდინარეს — ორიგინალის ტექსტები, თუკი ასეთი ცნობილია). თარგმნ-სას ნ. მარი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა არა ფორმალურ სიტყვა-იტყვითს შესატყვისობას, არამედ აზრობრივ სისწორესა და სინათლეს.

ი. ჯავახიშვილი ასე ახასიათებს ნ. მარის მიერ ძველი ქართული ტექსტების შესწავლისა და გამოცემის მხრივ გაწეულ მეცნიერულ ღვაწლს: „პროფ. ნ. მარის დიდ ღვაწლს სწორედ ის შეადგენს, რომ,

ქართული და სომხური ტექსტების გამოცემის დროს, პირველად მან შემოიღო გამოსაცემი ძეგლების, როგორც ხელნაწერების, ისევე თვით ტექსტის წინასწარი კრიტიკული ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური მეთოდი, რომელიც ბერძნული და ლათინური ძეგლების გამოცემის დროს დასავლეთ ევროპის ფილოლოგიურმა მეცნიერებამ შეჰქმნა და დააკანონა. თავის სამაგალითო ენერგიით, დაუღალავი შრომის უნარიტა და აღფრთოვანებული მუშაობის სიფაქიზით, პროფ. ნ. მარმა ქართული და სომხური ფილოლოგიის დონე იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა³.

ნ. მარი, როგორც მეცნიერ-მკვლევარი, აღიზარდა, გაიწაფა და დაუნჯდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეთა წრეში, რომელსაც მეთაურობდა ვ. როზენი. ვ. როზენმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ნ. მარის მეცნიერული ინდივიდუალობის ჩამოყალიბებაზე. ამავე წრემ განსაზღვრა პირველ ხანებში ნ. მარის სამეცნიერო ინტერესები. ნ. მარი სტუდენტობის პერიოდშივე გატაცებით დაეწაფა აღმოსავლეთის კულტურული ხალხების (სირიელების, ებრაელების, არაბების, სპარსელების, სომხების), აგრეთვე ბერძნების ენისა და ლიტერატურის შესწავლას. პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლა თითოეული დასახელებული ხალხის კულტურას სწავლობდა და იხილავდა არა დამოუკიდებლად, იზოლირებულად, არამედ ერთერთთან კავშირში, საურთიერთო ვითარებაში. ასეთივე ინტერესები აღეძრა ნ. მარს ქართულის მიმართაც. სულ მალე ის გახდა სამეცნიერო დისციპლინის — სომხურ-ქართული ფილოლოგიის ფაქტობრივი შემქმნელი და წარმმართველი.⁴

ნ. მარი იმთავითვე დაბეჯითებითა და გატაცებით იკვლევდა სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემას. ამის საფუძველზე მან შეიმუშავა ძველი ქართული საერო მწერლობის აღმოცენებისა და განვითარების თეორია, რომლის დასაბუთების ცდა მოცემულია მის ნარკვევში: „Возникновение и расцвет древнегрузинской светской литературы“ (ЖМНП, 1899, XII, გვ. 223—252). სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები დასახელებულ ნაშრომში განხილულია ცალმხრივი კუთხით, ძველი ქართული საერო მწერლობის წარმოშობასა და მის შემდგომ აყვავებას ნ. მარი მაშინ მხოლოდ და მხოლოდ სპარსული პოეზიის წამლეკავი გავლენით ხსნიდა. ამ გავლენის პირობები თითქოს უნდა შეექმნა

³ ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 10.

⁴ ამ სამეცნიერო დისციპლინის ფუძემდებლად თვითონ ნ. მარი თვლიდა მ. ბროსეს.

სპარსულ-ქართულ მკვიდრო პოლიტიკურ ურთიერთობას. ქართული საერო მწერლობის წარმოშობის დროდ მიჩნეული იყო XI საუკუნის ბოლო, ან, უკიდურეს შემთხვევაში, XII საუკუნის დასაწყისი. ახალი თეორია გამორიცხავდა ქართული საერო მწერლობის წარმოშობაში ეროვნულ-შემოქმედებითს საწყისებს. ამ თეორიის ასპექტით წყდებოდა ქართული ეროვნული კულტურის სიამაყის „ვეფხისტყაოსნის“ ბედიც.⁵

5. მარის მცდარ თეორიას, რომელიც შემდგომ თვითონ გადაჭრით დაგმო, მოჰყვა, ან, უკეთ, მის პარალელურად შემუშავდა თეორია ძველი ქართული საღვთისმსახურო ლიტერატურის წარმოშობის თაობაზე. წინააღმდეგ ტრადიციული აზრისა, ნ. მარმა წამოაყენა და მთელი რიგ შრომებში განავითარა თვალსაზრისი, რომლის თანახმად ძველი ქართული ბიბლიური ტექსტები, ნაწილობრივ აგრეთვე ჰაგიოგრაფიული თუ სხვა ლიტერატურა, ნათარგმნი უნდა ყოფილიყო არა ბერძნული დედნებიდან, არამედ სირიულიდან *via armeniaca* ან იქნებ *persica*.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ საფეხურზე ლიტერატურულ-შემოქმედებითს პროცესში გავლენის მომენტს ნ. მარი ანიჭებდა გადამწყვეტ მნიშვნელობას. მართალია, ის ერთმანეთისაგან ასხვავებდა პასიურსა და აქტიურს, დამოუკიდებელ შემოქმედებითს ინტერესებთან დაკავშირებულ გავლენას. „გავლენაში აქტიური როლი ეკუთვნის არა გავლენის მომხდენ მხარეს, არამედ მის ამთვისებელს“, — ამბობდა ნ. მარი („ლიტერატურული ძიებანი“, III (1946), გვ. 332—333). ამასთან როგორც სომხეთში, ისე საქართველოში უცხოური მასალების „მეძიებელი და ამთვისებელი სული იყო ნაციონალური“.

5. მარის აზროვნებაში მალე მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა. ამ გარდატეხას ხელი შეუწყო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილ წარმომადგენელთა მხრივ ნ. მარის პოზიციების მკაცრმა კრიტიკამ, ცხრაასიანი წლების რევოლუციურმა აღმავლობამ და, საზოგადოდ უამთა ახალმა, განმათავისუფლებელმა ქროლამ. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ აღნიშნულ წლებში აქვეყნებს ნ. მარი მგზნებარე პუბლიცისტურ წერილებს, რომლებითაც, სრულ თანაგრძნობას უცხადებს სახალხო სოციალურ მოძრაობას, ესალმება ქართული ჯანსაღი ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას და თავგამოდებით იბრძვის რუსეთის თვითმპყრობელობის შავრაზმულ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში, საზოგადოდ, და, კერძოდ, საქართველოში. 1906 წელს ცალკე წიგნად გამო-

⁵ ნ. მარის, წერილი „ვეფხისტყაოსნის“ გამო, „თეატრი“, 1890, № 12.

ქვეყნდა ნ. მარის ბრწყინვალე მეცნიერულ-პუბლიცისტური ნაშრომი „История Грузии (Культурно-исторический набросок). По поводу слова прот. И. Восторгова о грузинском народе“ (СПб., 1906). ამ ნაშრომში ნ. მარი ამხილებდა ი. ვოსტორგოვის ტიპის შავრაზ-მულ-გამარუსებელ და ხალხთა გამთიშავ საქმიანობას. იგი აღნიშნავს, რომ ქართველობას მოსდგამს დიდი ეროვნული კულტურა ჯერ კიდევ წარმართობის ხანიდან. ქართველობამ, ქართველთა ყველა ტომმა, ერთობლივი დაძაბული შემოქმედებითი შრომით შექმნაო მის წმინდა-თაწმინდა ქართულ ენაზე დიადი მატერიალური და სულიერი კულტურა, თუმცა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, დიდმპყრობელური სახელმწიფოების ტირანული წყობილება ბოჭავდაო მის შემოქმედებითს ძალეზს. ძველი ქართული კულტურის აქა-იქ გადარჩენილი ძეგლები უტყუარად ღაღადებენო, „на что был способен гений маленького грузинского народа, когда он обеспечивал себе урывками мирное, но свободное развитие своих культурных сил“.

ნ. მარი შემდეგ შენიშნავს, რომ ქართველობა არასოდეს, უკიდურესი განსაცდელის დროსაც კი, არ უხრიდა ქედს უცხოელ დამპყრობლებს, სასოწარკვეთილებასაც არ ეძლეოდა, არ ღაღატობდა თავის რჯულსა და ეროვნებას, არ ივიწყებდა თავის ღირსებას, როგორც კაცობრიობის წევრი, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნულ-კულტურული ერთეული. ქართველობას სწამდაო ნათელი მომავალი.

ეს წილსვლა იმისათვის დამჭირდა, რომ მეჩვენებინა ნ. მარის მეცნიერულ-თეორიული აზროვნების ძვრების საზოგადოებრივ-პოლიტიკური საფუძვლები. ნ. მარის ახალი ეროვნულ-პოლიტიკური პოზიციების გამო შეუძლებელი იყო ძველი ისტორიულ-კულტურული კონცეფციების ნიადაგზე დგომა. გარდატეხა, ვიმეორებ, ადრე იწყება. პირველი მერცხალი იყო ნ. მარის კლასიკური ნაშრომი „Древнегрузинские описцы“, რომელიც 1902 წელს გამოქვეყნდა.

1917 წელს ნ. მარმა მოძველებულად გამოაცხადა ძველი ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარების მისეული თეორია. შემდეგაც იგი ბეჯითად განაგრძობდა გავლენებისა და სესხების აღრინდელი თვალსაზრისის კრიტიკას.

ნ. მარი არ მალავდა, რომ ძველმა გატაცებამ იგი მიიყვანა „დოგმატიკურ-მეცნიერული ირანიზმის უფსკრულამდის“.⁶ 1920 წელს ნ. მარი ამბობდა, რომ ახალმა მეცნიერულმა მონაცემებმა „დაამხო ჩვენი საერთოდ მიღებული წარმოდგენები საგარეო კულტურულ-ისტორიული ფაქტორების გავლენისა კავკასიის ცხოვრებაზე“.⁷ ხოლო

⁶ В. Миханкова, Н. Я. Марр. Очерк его жизни и научной деятельности, М.-Л., 1948, გვ. 237—238, შეგ.

⁷ Н. Марр, Избранные работы, I, გვ. 86.

1927—1928 წლებში პარიზს წაკითხული ქართული ენის კურსის შესავალ ლექციაში ნ. მარმა საჯაროდ გამოაცხადა: „ეს თეორია სესხებისა და გარეშე შემოქმედებითი ძალებისა ჩავარდაო“ (ან დაირღვაო, s'écroula, провалилась)⁸. მკვლევარი გამოტეხილად აღიარებდა ამის მიზეზს. იგი შენიშნავდა: „ჩვენ ძლიერ ვგრძნობთ უცხოურ სამყაროთა ცივილიზაციის უწყვილეს მოძრაობას, ქართულ კულტურაზე რომ გავლენა მოუხდენია. ჩვენ აღვრიცხავთ ხოლმე მათი ენების ყველა შემონატანს; მაგრამ ჩვენ არ ვიცით ის ძალები, რომლებიც თვითონ ქართული ნიადაგიდან მოდის. ჩვენ არ ვიცნობთ ცოდნის უმთავრეს წყაროს ყველა გენეტიკური საკითხის თაობაზე სოციალური მოვლენების გარშემო. ჩვენ არ ვიცით ქართული ენა თავისი დამოუკიდებელი ფორმირებით. ეს ცოდნა ჩვენ გვაიძულებდა გადაგვესინჯა სესხების საკითხი, ვინაიდან ნასესხებად მიჩნეული ბევრი სიტყვა ასეთად აღარ ჩაითვლება ენის (პალეონტოლოგიური) შესწავლის სარწმუნო შუქზე“ (ი ქ ვ ე, გვ. 14—15, 36—37).

1929 წელს გამოქვეყნდა ნ. მარის წერილი „ქართული ენა“ გერმანულ ენაზე (Die georgische Sprache).⁹ აქ მკვლევარი გაკვირვებით შეეხებო ძველი ქართული საერო ლიტერატურის წარმოშობის პრობლემას და ის მოსაზრება გამოთქვა, რომ ქართული საერო ლიტერატურის სათავეები უნდა ვეძიოთ ქართულსავე ეროვნულ სინამდვილეში, კერძოდ, ქართულ წარმართულ პოეზიაში. კლასიკურ ეპოქაში ხდებოდა იმ სალიტერატურო ინტერესების აღორძინება, რაც ახასიათებდაო წარმართულ პოეზიას საქართველოში.¹⁰ ნ. მარს აქ საგანგებოდ არ განუხილავს საკითხი იმის თაობაზე, ეს წარმართული პოეზია წერილობითი იყო თუ ზეპირი. სხვა დროს კი არაერთგზის გამოუთქვამს აზრი პრეჰისტორიული, წარმართული სამწიგნობრო ლიტერატურის არსებობის შესახებ. ძველქართულ მხედრულ დამწერლობას ნ. მარი პრეჰისტორიული ქართული დამწერლობის თავისებურ გადმონაშთად

⁸ La langue Géorgienne, Paris, 1928, გვ. 13. იგივე რუსულად Грузинский язык (Язык и история. Сборник, I, 1936, გვ. 36).

⁹ „Das Neue Russland“, 1929, № 5—6, გვ. 35—54. იგივე ნარკვევი რუსულად Грузинский язык, 1949, გვ. 67.

¹⁰ დასახელებული ნაშრომი, გვ. 47 (გერმ.), 42—43 (რუს.). საგულისხმოა, რომ სამეცნიერო მოღვაწეობის ბოლო ხანებში ნ. მარი მეორე უკიდურესობაში გადავარდა და საერთოდ გადაკრით ილაშქრებდა ყოველგვარი სესხებისა და ლიტერატურული გავლენის შესაძლებლობების წინააღმდეგ (ამ მხრივ უფრო შორს წავიდნენ მისი სკოლის ახალი თაობის წარმომადგენლები).

თვლიდა¹¹. აღსანიშნავი ისიცაა, რომ ნ. მარის აზრით, ძველი ქართული წარმართული ლიტერატურა ვითარდებოდა ქრისტიანული მწიგნობრობის პარალელურად, ამასთან საქრისტიანო მწიგნობრობა წარმართულის გავლენას განიცდიდაო. წარმართული ლიტერატურის არსებობას ნ. მარი ვარაუდობდა ყოველ შემთხვევაში X საუკუნემდე. ის აღნიშნავდა: „მეათე საუკუნეშიც ჯერ კიდევ სრულებით გამქრალი და ძირამდე მოსპობილი არ ყოფილა ძველ ქრისტიანობაზე დასწრებული, ქართული ეროვნული¹² კულტურა, და მასთან შეკავშირებული, საგულისხმოა, კერპთმსახურება ან კერპთმსახურული სარწმუნოებრივი აზროვნება“ (ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით, „მნათობი“, 1925, № 4, გვ. 207). აღნიშნულის კვალობაზე ძველი ქართული საერო ლიტერატურა არსებითად განიხილებოდა როგორც წარმართული ლიტერატურის გაგრძელება.

ნ. მარის ლიტერატურათმცოდნეობითი აზროვნების ევოლუცია საბოლოოდ ბუნებრივად მივიდა თავის ლოგიკურ დასასრულამდის, მან უარყო უცხოური შემოქმედებითი ძალების მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის და აღიარა ქართული სულიერი კულტურის თავისთავადობა, მიუთითა ამ კულტურის უძველეს ეროვნულ-ხალხურ ფესვებზე.

ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ორი ძველი იწყვედა ნ. მარის განსაკუთრებულ ინტერესს — „სიბრძნე ბალავარისა“ და „ვეფხისტყაოსანი“.

ნ. მარი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც გამოქვეყნდა მისი მასწავლებლის ვ. როზენის ცნობილი რეცენზია პ. ზოტენბერგის შრომაზე „ვარლაამ და იოასაფის“ შესახებ. პ. ზოტენბერგმა ქედმაღლურად და უმეცრულად ხელაღებით უარყო ბერძნული წყაროების მოწმობა „ვარლაამ და იოასაფის“ ექვთიმე ათონელის მიერ ქართულიდან ბერძნულად თარგმნის თაობაზე. პ. ზოტენბერგი იმას ემყარებოდა, რომ ვითომც ქართული მწერლობა X საუკუნის ნახევრიდან იწყება და როგორ შეიძლებაო, კითხვობდა იგი, ამ ჯერ კიდევ უქულტურო ენიდან ეთარგმნათ „ვარლაამისა და იოასაფის“ მსგავსი, ფორმითა და შინაარსით სრულყოფილი ნაწარმოებთ. ვ. როზენმა დაარღვია პ. ზოტენბერგის ყველა არგუმენტი, მიუთითა ქართული მწერლობის ძველ ტრადიციაზე, მის დიდ განვითარებაზე X საუკუნისათვის. ვ. როზენმა დაიმოწმა გიორგი ათონელის ცნობაც „ბალავარია-

¹¹ მხედრული ანბანი ნ. მარს მიაჩნდა წარმართული („საკერპთმსახურო“) საზოგადოებრიობის კუთვნილებად, ხოლო ხუცურს საეკლესიო-საქრისტიანო დანიშნულების დაწერილობად ავლიდა.

¹² ეროვნულში ნ. მარი უნდა გულისხმობდეს ხალხურს.

ნის“ ქართულიდან ბერძნულად თარგმნის შესახებ, გამოთქვა მოსაზრება „ბალავარიანის“ ძველი ქართული ტექსტის არსებობის შესაძლებლობაზე (მაშინ „ბალავარიანის“ ქართული ტექსტი ცნობილი არ იყო) და ფრთხილად, მაგრამ ენერგიულად და ავტორიტეტულად ორი გარკვეული დებულება წამოაყენა: 1) „Роман наш мог существовать на грузинском языке раньше чем на греческом“; 2) „Евфимий мог перевести его на греческий.“ ამასთან ვ. როზენი მოუწოდებდა სათანადო სპეციალისტებს, გადაესინჯათ საკითხი ახალი მონაცემების საფუძველზე და სურვილს გამოთქვამდა, უფრო საფუძვლიანად ყოფილიყო შესწავლილი ექვთიმე ათონელის ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა.

ვ. როზენის მოწოდებას პირველი გამოეხმაურა ნ. მარი. მან კიდევაც იპოვა „ბალავარიანის“ ძველი ქართული ტექსტი, აპირებდა იმის გამოქვეყნებას და. სამაგისტრო დისერტაციადაც განიზრახა, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა მისგან დამოუკიდებელმა გარემოებამ ხელი შეუშალა განხორციელებინა ეს მშვენიერი განზრახვა. ამისდა მიუხედავად, ნ. მარმა 1889 წელს დაბეჭდა თავისი პირველი წერილი „ბალავარიანის“ შესახებ (Мудрость Балавара. Грузинская версия „Душеполезной истории о Варлааме и Иоасафе“, ЗВОРАО, III, გვ. 223—260). ამ ნარკვევში ნ. მარს არ გამოუთქვამს პრინციპულად ახალი მოსაზრებანი „ბალავარიანის“ თაობაზე, მან მხოლოდ დაადასტურა და გაამაგრა ვ. როზენის თვალსაზრისი. ნარკვევში ბლომად არის მოყვანილი „ბალავარიანის“ ქართულ-ბერძნული პარალელური საილუსტრაციო ტექსტები. შემდეგ ნ. მარი არაერთგზის დაუბრუნდა „ბალავარიანის“ პრობლემას.

ნ. მარი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „ბალავარიანის“ ყველა ენაზე არსებული ვერსია იშვიათი მხატვრული თვისებებით ხასიათდება, რაც გამოიხატება „თხრობის მხატვრულ სიმართლეში“ და დასძენდა: „განსაკუთრებით მკაფიოდ მოჩანს ის (მხატვრული სიმართლე) ქართულ რედაქციაში“.

პ. ზოტენბერგს აღმოუჩინდნენ მიმდევრები, რომლებიც შეეცადნენ გაებათილებინათ ბერძნული წყაროების ცნობები ექვთიმეს მთარგმნელობაზე და გიორგი ათონელის სათანადო მოწმობაც საეჭვოდ გამოაცხადეს. ნ. მარმა მათ ვრცელი დასაბუთებული პასუხი გასცა.¹³ ოპონენტების საყურადღებოდ ნ. მარი დამარწმუნებლად ამტკიცებდა, რომ „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ როდი ეკუთვნის შაბლონურ-დამრიგებლობითი ჰაგიოგრაფიის რიგს“, რომ ეს ცხოვრება პირდაპირ „პროტოკოლური უშუალობით გამოხატავს რეალურ სინამდვილეს“. ასეთი

¹³ Н. М а р р, Армяно-грузинские материалы для истории душеполезной повести о Варлааме и Иоасафе, ЗВОРАО, т. XI, №3. I—IV (1899), გვ. 49—78.

ძეგლის მოწმობა კი სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს მკვლევართა მხრით. ნ. მარის აზრით, გიორგი ათონელის — როგორც დამოუკიდებელი წყაროს — ცნობა ამაგრებს ბერძნული ხელნაწერების მოწმობას ექვთიმეს მთარგმნელობაზე. ფ. კონიბერის ვარაუდით, ქართველი ბერები ხშირად გამოდიოდნენ ბერძნული ხელნაწერების გადაწერათა როლში და მათ ამ გზით შეეძლოთ ბერძნულში ექვთიმეს მთარგმნელობის შესახები ცნობის შეტანა. ნ. მარის სიტყვით კი, ფ. კონიბერის მიერ მოხმობილი საბუთი კიდევ უფრო ადასტურებს ბერძნული „ბალავარიანის“ ქართულიდან თარგმნის ფაქტს. ქართველ ბერებს ბერძნულიც კარგად სცოდნიათ და ბერძნული მწერლობისადმი ინტერესიც ჰქონიათ.

ქუთაისში 1911 წელს წაკითხულ ლექციაში (ქართული ენათმეცნიერება, თსუ შრომები, VI, 1938), ნ. მარი აღნიშნავდა ქართველობის დიდ ღვაწლს საკაცობრიო კულტურის მიმართ. ქართველებმაო, ამბობდა დიდი მეცნიერი, „აღმოსავლეთის კულტურულ ჭირნახულთ დასავლეთისადმი გადაცემაში წილი მიიღეს... (აღმოსავლეთის) კულტურულ ტალღებს დასავლეთისაკენ მისამდინარებელი ახალი კალაპოტი გაუჩინეს; თავისი საკუთარი ხელით უთარგმნეს აღმოსავლეთის ზოგი უჩინებულესი საამბო მოთხრობები ბერძნებს, რომლებსგანაც გადაეცა ევროპას და მის ყველა ერებს“ (გვ. 303). იმ „უჩინებულეს“ მოთხრობებში, რომლებიც ქართველებმა „საკუთარი ხელით უთარგმნეს“ ბერძნებს, ნ. მარი, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა გულისხმობდა „ბალავარიანს“. სხვაგან ნ. მარს უფრო გარკვევით უწერია „ზოგ დარგში ღარიბი ბერძნული მწერლობა მდიდრდება ექვთიმე ქართველის წყალობით პირდაპირ მისი შრომით, ქართულიდან ნათარგმნი აღმოსავლეთის შესამჩნევი სამწერლო ძეგლებით. სიტყვა „აბუკურაზე“ და „ვარლამ და იოასაფის“ მოთხრობაზეა, ქართულად რომ „სიბრძნე ბალავარიანს“ ჰქვია“ (ქართველი ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით, „მნათობი“, 1925, № 4, გვ. 206). ნ. მარი განაგრძობდა: „ქართველ მწერალზე მთელი საშუალო საუკუნეების ევროპული საზოგადოებამ დავალებულია: მისგან ბერძნულად შედგენილ თავისებურ თარგმანზეა დაფუძნებული თითქმის ყველა, განსაკუთრებით ხალხშიც გავრცელებული ევროპულ ენებზე ნათარგმნი „ვარლამისა და იოასაფის“ ამბავი“ (გვ. 207). სახელოვანი მკვლევარი იმასაც აღნიშნავს, რომ ექვთიმემ ბერძნულად შემუშავებული „ვარლამ და იოასაფის“ წყალობით კაცობრიობას გადაუჩინა „გამოჩენილი აპოლოგეტი არისტიდეს“ დაკარგული თხზულების ნაწყვეტი. პარიზის საზოგადოების წინაშეც ქ. მარი იგონებდა ჰ. ზოტენბერგის ისტორიას და ამბობდა, რომ ვ. როზენის აზრი „ვარლამ და იოასაფის“ ქართული ორიგინალის თაობაზე „საუცხოოდ იყო დასა-

ბუთებული“. თვითონ ქართული „ბალავარიანის“ წყაროდ ნ. მარი მიიჩნევდა სირიულ ვერსიას, ან არაბულს, ან სირიულს—არაბულის გზით. ქართულ დედანს იგი დაკარგულად თვლიდა. ამასთან ნ. მარი „ბალავარიანის“ ძველ ქართულ ტექსტს უწოდებდა „ქართულ მოთხრობას“ (გვ. 426) და თითქოს წარმოშობითაც ქართულ ნაწარმოებად აღიარებდა.

დასასრულ, ნ. მარის მოსაზრებით, კავკასიელი ხალხების პოეზიას, უწინარეს ყოვლისა, ქართული პოეზიის უძველეს ტრადიციებს გავლენა მოუხდენია ძველ ბერძნულ პოეზიაზე და აგრეთვე კავკასიაში გვიან ჩამოსახლებული თურქების პოეზიაზე.¹⁴

ერთი სიტყვით, ნ. მარმა წარმატებით დაამტკიცა ქართული ლიტერატურის მსოფლიო ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა.

საყოველთაოდ ცნობილია ნ. მარის დიდი სიყვარული შოთა რუსთველისა და მისი პოემისა. ნ. მარმა ოთხი სპეციალური გამოკვლევა უძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემას. ესენია:

1. წერილი „ვეფხისტყაოსნის“ გამო („თეატრი“, 1890, № 12).

2. Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава (ТР, XII, 1910).

3. Грузинская поэма Витязь в барсовой шкуре Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема (ИАН, 1917, გვ. 415—446, 475—506).

4. K. Rusthaveliana (პ. ინგოროყვას მონოგრაფიის გამო), ИАН, 1927, გვ. 361—368.

ამას გარდა შენიშვნები „ვეფხისტყაოსანზე“, ზოგჯერ ვრცელი პასაჟები, მოიპოვება ნ. მარის უამრავ ლინგვისტურსა თუ სხვა ხასიათის ნარკვევში. დიდძალი რუსთველოლოგიური ნაშრომი ნ. მარს გამოუქვეყნებელი დარჩა. გამოუქვეყნებელი ნაშრომების ერთი ნაწილი ასე თუ ისე დამთავრებულია, დასრულებული სახის მქონეა. დიდი ნაწილი კი შავად დაზღვნილი, დაუმთავრებელი ფრაგმენტებია.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. მარი, როგორც რუსთველოლოგი, არ იყო თანამიმდევარი მკვლევარი, მას მოსდიოდა მძიმე შეცდომები, ავითარებდა ერთიმეორის გამომრიცხავ შეხედულებებს, ზოგჯერ „ვეფხისტყაოსნის“ საკითხი მსხვერპლად ეწირებოდა ნ. მარის სხვადასხვა კონიუნქტურულ კონცეფციურ შთანაფიქრებს. მაინც ნ. მარმა ბევრი გააკეთა „ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსის გასარკვევად, პოემის ეროვნულ-სოციალური საფუძვლებისა და მხატვ-

¹⁴ H. M a r r, Кавказская поэзия и ее технические основы в освещении лингвистической палеонтологии (по яфетической теории), „ლიტერატურული ძიებანი“, III (1946), გვ. 320, 333, 342—343.

რული რაობის ნათელსაყოფად, „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო-საკაცობრიო მნიშვნელობის დასასაბუთებლად.

• თავისი პირველი წერილი „ვეფხისტყაოსანზე“ ნ. მარმა ქართულად გამოაქვეყნა. მაშინ სრულიად ახალგაზრდა მკვლევარი სამართლიანად უარყოფდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ფოლკლორულ წარმოშობას, მაგრამ ნაჩქარევად ასკვნიდა: „ჯერ ვინ დაგვიმტკიცა, რომ რუსთველი ცრუობს და ვეფხისტყაოსანი სპარსულიდგან არ არის გადმოთარგმნილი? რამდენად სპარსული ენის და მწერლობის გაცნობა საბუთს მაძლევს, მე სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია რუსთველისვე სიტყვები, რომ მას სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი უნდა გაეღეჭსოს. რამდენად შეჰკვალა დედანი პოეტმა, გაავრცელა, ან შეამოკლა, ამაზედ სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ კიდევ არ ვკარგავ“. ავტორი განაგრძობდა: „თუ რა საბუთები მაძლევენ ნებას, რუსთველის ცნობა მისვე თხზულებაზე სიმართლედ ვაღიარო, უკეთუ სპარსული დედნის აღმოჩენა დაგვიანდა, მათ მაშინ მოვიხსენიებ, ჯერ კი ველი ცნობებს ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ბრიტანულ მუზეუმში ინახება ლონდონში და იქნებ თვით ვეფხისტყაოსნის დედანია, რადგან ხელნაწერი შეიცავს, როგორც კატალოგიდან სჩანს, „შაჰრიარნამეს“, ესე იგი წიგნს შარიერზე (ტარიელზე), რომლის ამბავი ინდოეთში მომხდარა“. ყოველ შემთხვევისათვის ნ. მარი ცდილობდა თავის დაზღვევას, რის გამოც საგანგებოდ შენიშნავდა: „ბრიტანული მუზეუმის „შაჰრიარნამე“ რომ სხვა რაიმე აღმოჩნდეს და არა ქართული „ვეფხისტყაოსანი“, სხვა „შაჰრიარნამეთა“ მოპოვება და გასინჯვა იქნება რუსთველის ნაწერთა მკვლევარის პირველი ვალდებულება“.

ნ. მარის ვარაუდი არ გამართლდა, ბრიტანეთის მუზეუმის „შაჰრიარნამე“ არ გამოდგა „ტარიელის წიგნი“ („ვეფხისტყაოსანი“), მკვლევარმა მაინც არ დაიხია უკან. იგი ბეჯითად განაგრძობდა „ვეფხისტყაოსნის“ წყაროების ძებნას სპარსულ მწერლობაში, თუმცა ვერავითარ ნაკვალევს ვერ მიაგნო.

• ნ. მარის დაყენებამ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის თაობაზე მოწინავე ქართველი ინტელიგენციის გულისწყრომა გამოიწვია. მის წინააღმდეგ ხმა აღიმალღეს ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, ევა-ფშაველამ და სხვ. თავის ოპონენტებს ნ. მარი გაგულიანებით უპასუხებდა.

მაგრამ დრონა იცვალნენ... ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, როგორი გარდატეხა მოხდა ნ. მარის აზროვნებაში. თვალსაჩინო ევოლუცია განიცადა ნ. მარის რუსთველოლოგურმა შესვლადლებამაც. უწინარე ყოვლისა მკვლევარმა აღიარა „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო ენისა და ლექსის უზადლობა. მან მხარი დაუჭირა „ვეფხისტყაოსნის“

ილიასეულ შეფასებას. მკვლევრის სიტყვით, ძნელია რუსთველის მნიშვნელობის შეფასება ქართული კულტურის ისტორიაში. ქართველობა „ვეფხისტყაოსანში“ სამართლიანად ხედავს „თავისი გენიის უმაღლეს გამოხატულებას“, ქართველობა „ვეფხისტყაოსანს“ უყურებს „როგორც ეროვნულ სიამაყეს“, „მშობლიური ისტორიული ცხოვრების წმინდათაწმინდა რელიქვიას“, „სახალხო სიწმინდეს“.

ამიერიდან ნ. მარი მიზნად ისახავს „იმ ძაფების გარკვევას, რომლებიც „ვეფხისტყაოსანს“ აკავშირებს მშობლიური ქართული წრის მოვლენებთან“ (ТР, XII, გვ. VI). ამან მეცნიერი დაარწმუნა, რომ „რუსთველის შემოქმედების კავშირი ქართულ კულტურულ ნიადაგთან არა მარტო ფორმალურია, ენობრივია, არამედ იდეური“ (ИАН, 1917, გვ. 427).

ნ. მარმა ერთგვარად გაიზიარა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაციის თვალსაზრისი. 1902 წელს იგი წერდა: „ადვილად შესაძლებელია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გულდასმითი შესწავლა გამოაჩენს ამ ლექსად გადამუშავებულ რომანში ქართველი ავტორისათვის ნაცნობი ტიპებისა და მოვლენების პოეტურ მინიშნებად შეგნებულ დასურათხატებას, რაც განსაკუთრებით ნათელი იქნებოდა თანამედროვეთათვის. ეს მინიშნების პოეზია (поэзия намеков) რამდენადმე ახლაც იგრძნობაო“. ნ. მარი უკვე დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ორგანულად არის შეზრდილი ქართველი საზოგადოების ყოფიერებასთან“ (ИАН 1917, გვ. 426).

1910 წელს გამოქვეყნდა ნ. მარის. შესანიშნავი გამოკვლევა „Вступительные и заключительные строфы“, რომელსაც ახლავს სპეციალური ნარკვევი „Культ женщины и рыцарство в поэме“. „ვეფხისტყაოსნის“ დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე ნ. მარი ასკვნის, რომ პოემას ორი ძირითადი იდეა, თუ მოტივი ასულდგმულებს: ქალის კულტი და ძმადნაფიცობა. ორივეს ნიადაგი ნ. მარს ქართულ ეროვნულ-სოციალურ სინამდვილეში ეგულებოდა. ძმადნაფიცობას იგი გარკვეულ უპირატესობასაც კი ანიჭებდა ქალის კულტსა და სიყვარულის მოტივთან შედარებით. მოყმეობა, ძმადნაფიცობა კი ქართული ეროვნული ინსტიტუტია და არა უცხოეთიდან შემოხიზნული რამ, „ადგილობრივი ცხოვრების პროდუქტია, ღვიძლი ინსტიტუტი და არა გარედან შემოტანილი კულტურულ-სოციალური განყენებული ცნება“. იგი ძველთაძველია, ხალხური დამახასიათებელი ქართველურ-იაფეტური მოდგმის ხალხებისა და ტომებისათვისო: „ყმის ანუ მოყმის ინსტიტუტს ფესვები აღმოაჩნდა ქართველი ხალხისა და საერთოდ იაფეტური ხალხების ძმადნაფიცობაში“. ამიტომაც, ასკვნიდა ნ. მარი: ქართველ პოეტს (შოთა რუსთველს — ა. ბ.) ძმობის წყაროდ გა-

მოპყავს არა ისლამი, საერთოდ არა რელიგია, არამედ ქართული ხალხური ენსტიტუტი — ძმადნაფიცობა. ნ. მარის სხვაგანაც აღნიშნავდა: „შოთა... თავის პოემას აგებს ქართულ ხალხურ საფუძველზე, ძმადნაფიცობის პრეისტორიულ ჩვეულებაზე“ (ქართული ენა, 39).

ქართულ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული, ნ. მარის აზრით, ქალის კულტიც. მით უმეტეს, რომ „ქალის კულტის... ჩვენ ვერ ვპოულობთ მუსლიმანურ ლიტერატურაში“. საქართველოში ძველთაგანვე იქმნებოდა სახალხო თქმულებები არა მარტო გმირობაზე, არამედ სიყვარულზეცო. ნ. მარის სვამს კითხვას: „იმათ ხომ არ იქონიეს გავლენა ქართულ განათლებულ საზოგადოებაში ქალის კულტის განვითარებაზე“. ყოველ შემთხვევაში, საგულისხმოა გრძელი გზა, ამბობდა ნ. მარი, ვიდრე თამარის ეპოქაში ქალის კულტი და ქალისადმი თავისუფალი სიყვარული საყოველთაო აღიარებას მიაღწევდაო. საჭირო იყო, განაგრძობდა მკვლევარი, „გარდატეხა ზნეობრივ შეხედულებებში. გარდატეხისა და შინაგანი მოუძნადებლობის გარეშე... ძველი ქართველი საზოგადოება... ვერც გამოიმუშავებდა, ვერც შეითვისებდა ქალის თაყვანისცემასო“. ნ. მარს თავის ნარკვევაში მიმოხილული აქვს ქართველი ფეოდალური საზოგადოების ზნეობრივ შეხედულებათა გარდატეხისა და შინაგანი ფსიქოლოგიური მომწიფების ეს „გრძელი გზა“.

ერთი სიტყვით, ნ. მარი, სრულიად დამარწმუნებლად ცხადყოფს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ იდეები, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სახეები, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები გამოხატავენ XII საუკუნის საქართველოს რეალურ სოციალურსა და ეროვნულ სინამდვილეს.

ნ. მარი „ვეფხისტყაოსანში“ ხედავდა არა მარტო ეროვნულ-სოციალურს, არამედ „ხალხურ საწყისებს“. „სულ უფრო და უფრო ირკვევა იმის აუცილებლობა, რომ შოთას ნაწარმოებში საჭიროა უფრო რეალურად გავუწიოთ ანგარიში ხალხური წარმოშობის წვლილსო“, — წერდა დიდი მეცნიერი (ΙΑნ, 1917, გვ. 427). იგი აღრევეც აღნიშნავდა, რომ შოთა რუსთველი „იყო გამსჭვალული სახალხო მომღერლების ტრადიციებით“ (საქართველოს ისტორია, გვ. 35). ხალხურად თვლიდა ნ. მარი, უწინარეს ყოვლისა, პოემის სალექსო საზომს (იქვე, გვ. 34), აგრეთვე ენას, სტილებრივ ნიშნებს, ზოგიერთ მხატვრულ ფიგურალობასაც კი (ΙΑნ, 1917, გვ. 442, 482—483). რუსთველისათვის „შთამავონებელ წყაროს წარმოადგენდა მშობლიური მხარის იდელები და ხალხური პოეზიის მხატვრული ფორმები. ნ. მარი არაერთგზის აღნიშნავდა რუსთველის შემოქმედებითს თავისუფლებას, ოღონდ ურთავდა: „არა მარტო თავისუფალია მისი შემოქმედება, არამედ, ხალხურია“.

ნ. მარის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი როგორც პოეტი და

მოაზროვნე, „უდაოდ მსოფლიო მნიშვნელობისაა“, „მსოფლიო საერთო-საკაცობრიო ინტერესებით, რომელშიც არ არის არც ერთი ბეწვი აკვიატებული ან პირადი, ან ნაციონალური ტენდენციისა“. პოემა მიძღვნილია ძმობის იდეისადმი საერთო-საკაცობრიო იდეალების სასამსახუროდ, განურჩევლად ეროვნების; და ეს იდეური შინაარსი ახასიათებს „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელს, როგორც საზოგადოებრივად მოაზროვნესა და პოეტს“ (ი ქ ვ ე, გვ. 424). რუსთველი არც რელიგიური აზროვნების არტახებით იზღუდებოდა, არც ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებში ემწყვდებოდა, ის ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული მსოფლიო ღირებულების დიდი ხელოვანია, „მსოფლიო ღირებულების შემქმნელი ადგილობრივ, კუთხურ (ნაციონალურ) ჩარჩოში“.

ასეთი თვალსაზრისი ნ. მარს განვითარებული აქვს ქართულად დაწერილ ნაშრომებშიც: „ძველ საქართველოში უკვე მსოფლიო მხედველობის სიმაღლეზე იყო მიწევნული როგორც ეროვნული აზრი, აგრეთვე ენა. შოთა რუსთველი და მისი ქმნილება ამის უტყუარი მოწამე ბრძანდება. მისი ენა არა თუ ადგილობრივი არ არის, როგორც არ არის იგი ეკლესიური, იგი გადადის ყოველ ვიწრო თემურ, თვით ეროვნულ მხედველობის საზღვარსაც. თავისი თვისებებით იგი უკვე მსოფლიო ენა არის, როგორც შემქმნელი მსოფლიო კაცობრივი სამუდამივო პოეტი და არა ვიწრო-ეროვნული საშინაურ, სადღესღღეო მოაზრე“ (ქართულ ენათმეცნიერებაში, გვ. 316).

მოკლედ უნდა შევჩერდეთ ნ. მარის კიდევ ორ ნაშრომზე:

1. ძველი ქართველი მეხოტბენი (1902 წ.).

2. გიორგი მერჩულის „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ (1911 წ.).

ძველ ქართველ მეხოტბეთა ტექსტების მარისეული გამოცემა ფილოლოგიური ხელოვნების გვირგვინია, ხოლო ამ გამოცემათა შესავალი წერილები მეცნიერული კვლევის კლასიკური ნიმუშებია. შეიძლება ბევრ რამეში, ზოგჯერ ძალიან არსებითშიც, აქ ნ. მარს არ დაეთანხმოს, მაგრამ გიხბლავთ მისი ცოდნის ნიდრემ, ფილოლოგიურ-მხატვრული ანალიზის სინატიფე, მიხვედრილობის ალლო, მახვილგონივრულ მოსაზრებათა სიუხვე. ნ. მარის ბრწყინვალე მეცნიერულ-კრიტიკული ნიჭი, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მკაფიოდ მეხოტბეებისადმი მიძღვნილ ნაშრომში გამომჟღავნდა: ნ. მარი ჭეშმარიტად ჩაწვდა მეხოტბეთა შემოქმედებითს სულს, მშრალ, ხელოვნურ-ენაწყლიან და ბუნდოვან სახოტბო სიტყვიერ გროვაში მან ამოიკითხა XII საუკუნის საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა და კულტურული ცოფის დიდი ამბავი. ნ. მარმა მნიშვნელოვნად გაწმინდა მეხოტბეების უაღრესობამდე წარყვნილი ტექსტი, თითქმის ოდნუდელი სიტყვებისა და მხატვრულ-ესთეტიკური შემოქმედების ძალა და

უბრუნა სახოტბო ლექსებს. ნ. მარმა უცილობლად დაამტკიცა, რომ მენობტბეთა დახვეწილი, რაფინირებული ლექსი როდია მაჩვენებელი მარტოოდენ პოეტკური ტექნიკის სრულყოფისა. მენობტბეებს, კერძოდ, მახვილი მამულიშვილურ-სახელმწიფოებრივი ინტერესები ამოძრავებთ, ისინი გამომხატველი არიან XII საუკუნის განათლებული ქართველი საზოგადოების ფაქიზი მხატვრული გემოვნებისა და განვითარებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მსოფლმხედველობისა.

წინააღმდეგ ტრადიციული აზრისა, ნ. მარი ამტკიცებს, რომ ე. წ. „აბდულმესიანის“ ქების საგანი თითქოს უნდა იყოს ერთი პირი, სახელოვანი მეფე მამაკაცი, ყოველი ნიშნით — დავით აღმაშენებელი, მენობტბეც იოანე შავთელი დავით აღმაშენებლის კარის პოეტია და, მაშასადამე, XII საუკუნის პირველი მეოთხედის მოღვაწეო. უფრო რთულ სურათს იძლეოდა „თამარიანი“.

ტექსტის ღრმა შესწავლისას და იმის სულის გაგების ნიადაგზე ნ. მარმა სრულიად დამარწმუნებლად დაამტკიცა, რომ „თამარიანი“ ერთი ვრცელი სახოტბო პოემა კი არ არის (მსგავსად „აბდულმესიანისა“), არამედ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით შეთხზული სახოტბო ლირიკული ლექსების კრებულია. თითოეულ სახოტბო ცალკეულ ლექსს აქვს დამოუკიდებელი, საკუთარი შინაარსი, საკუთარი კომპოზიციური აღნაგობა და საკუთარი სალექსო რითმაც კი. მაგრამ ყველა ერთად, ისე როგორც თითოეული ცალკე, ერთ მიზანს ემსახურება, ყველას თემა ძირითადად ერთი და იგივეა — თამარის ქება — ამდენადვე კომპოზიციურადაც და იდეურადაც „თამარიანი“ ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი მხატვრული ნაწარმოებია. „თამარიანის“ შემადგენლობაშია 11 ოდა, ერთი ელეგია (აქ მოთხრობილია ფანტასტიკური თავგადასავალი ვიღაც მოგზაური პოეტისა) და ერთიც ლექსი, რომელიც ელეგიური მონათხრობის საპასუხო ინტერპრეტაციას წარმოადგენსო. „თამარიანის“ მხატვრული სრულყოფილება, იდეური სიღრმე, სტილებრივი სიახლოვე „ვეფხისტყაოსანთან“ და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ზოგიერთი მონაცემი ნ. მარს აფიქრებინებდა, რომ ორივე თხზულება — „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ — ერთსა და იმავე ავტორს შოთა რუსთველ-ჩახრუხაძეს უნდა ჰკუთვნებოდა.

ნ. მარმა ქართულ კულტურას შესძინა უმშვენიერესი ძეგლი X საუკუნისა „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. ძეგლი ნაპოვნია 1902 წლის შემოდგომაზე იერუსალიმში. 1904 წლის ზაფხულში ნ. მარმა იმოგზაურა შავშეთ-კლარჯეთში, რათა საფუძვლიანად შეესწავლა „ქართული სინის“ აწინდელი ვითარება და ადგილობრივ შეემოწმებინა გაორგი მერჩულის მიერ დიდი სრულყოფით და დაწვრილებით მონათხრობი ამ მხარის შესახებ, საკუთარი თვალთ ენახა და გამოეკე-

ლია ხანძთა, შატბერდი და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლები, რომელთა მშენებლობა გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების სახელთან იყო დაკავშირებული. ნ. მარი დიდხანს სწავლობდა მერჩულის ქმნილებას და მხოლოდ 1911 წელს გამოაქვეყნა ტექსტი რუსული თარგმანით, გამოკვლევით და შეფეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურებით.¹⁵

შედარებით მოკლე შესავალ წერილში ნ. მარს მკაფიოდ აქვს გარკვეული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მნიშვნელობა ქართული კულტურის, კერძოდ ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. აქ მოვიყვანთ ცხოვრებისა და მისი ავტორის დახასიათების ერთ ნაწყვეტს: „განცვიფრებას იწვევს არა იმდენად მწიგნობრული ენის სრულყოფილობა, რაც საუკუნეებით ადრე იყო მიღწეული, არამედ ქართული მეტყველების ცხოველმყოფელი თავისუფლება, სტილის სიმსუბუქე, ხალხურ ცოცხალ კილოებთან დაახლოების ტენდენცია, ე. ი. ის ღირსებანი, რომლებიც — როგორც წინათ გვეჩვენებოდა — პირველად ორი საუკუნის შემდეგ იყო შემოტანილი ქართულ ლიტერატურაში მთლიანად საერო მწერლობის მიერ. აქვე შევნიშნავ, რომ სტილის ეს სიმსუბუქე, მისი წმინდა ქართული კოლორიტი, ძალიან აძნელებს რუსულ ენაზე თარგმნას, რადგანაც რუსული ენის სინტაქსი ძირიან-ფესვიანად განსხვავდება ქართულისაგან“. ქვევითაც ნ. მარი განაგრძობს: „ცხოვრების ავტორს აქვს უფრო არსებითი ლიტერატურული ღირსებანიც, შინაგანი: ესაა ფართო თვალთახედვა და თავისთავადი ინტერესი გარე სამყაროს მიმართ, უშუალო, სიყვარულით აღსავსე დამოკიდებულება მატერიალური ცხოვრებისა და მისი ყოველგვარი წვრილმანის გამოვლინებისადმი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ტრადიციული ფორმებისა და შაბლონების გარეშე“.

ეხება რა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ საუცხოო ენობრივსა და ლიტერატურულ ღირსებებს, ნ. მარი ირონიულად შენიშნავს: „შეიძლება ახლა ზედმეტი იყოს დამსახურებული საყვედურით აღვადგინოთ მეხსიერებაში პ. ზოტენბერგის სიტყვები ქართული ენის შესახებ, თითქო XI საუკუნემდის ის წარმოადგენდა „დაუმუშავებელ კილოს“.

ნ. მარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მერჩულის „ცხოვრება“ თავისი რეალურობით იშვიათი მოვლენაა და არა მარტო ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში. განსაკუთრებით ისაა საყურადღებო, რომ მერჩულე „ხშირად გვაყენებს VIII—IX საუკუნეების საქართ-

¹⁵ Георгий Мерчул. Жизнь Григория Хандзтийского. Грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра, с дневником поездки в Шавшню и Кларджию (ТРАГФ, VII, 1911).

ველოს ცხოვრების ინტიმური მხარის პირისპირა“. ნ. მარი სპეციალურად ეხება ძველში აღბეჭდილი „ქართული ფეოდალური ცხოვრების რომანულ ელემენტს“, ჩერდება სიყვარულის იმ ორ ფორმაზე, დროები: ზე და ხანიერზე, რასაც მერჩულე ხატავს. ნ. მარი ამბობს, რომ „ჭაგოგრაფიის მიზანი, ცხადია, საეკლესიო, ან უკეთ რომ ვთქვათ, სამონაზვნო-სამოძღვრებოა: ის ნათლად გეიხატავს გრიგოლ ხანძთელის ზნეობრივ სიმკაცრეს და მის კეთილნაყოფიერ გავლენას თავნება ფეოდალების აღვირახსნილ ზნეობაზე“. ეპიზოდების გადმოცემისასო, განაგრძობს ნ. მარი, „მერჩულეს ეტყობა მიდრეკილება სიუჟეტის დრამატულად დამუშავებისადმი, რომანული სიუჟეტების ნატიფ დამუშავების ამ ცდებში მოსჩანს იდეური ტიპების დასურათხატებაცო“. ნ. მარს თავისი სიტყვით აქვს გადმოცემული ადარწერსეს რომანული ისტორია და ბოლოს დასძენს: „ადარწერსეს მამის, აშოტის, რომანული შემთხვევების ამბავი დამუშავებულია ისე სრულად და დრამატულად, რომ ვერ ვბედავ ჩემი მონათხრობით წავახდინო შთაბეჭდილებაო“.

შაეშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები შეიცავს უამრავ მასალას არქეოლოგიიდან, ლინგვისტიკიდან, ხალხური სიტყვიერებიდან და ა. შ. ნ. მარს წრფელი სიყვარულითა და გულისხმიერებით აქვს აღწერილი უკვე ნანგრევებად ქცეული ძველი ქართული კულტურის შესანიშნავი კერები. დიდი მეცნიერის მიერ ადგილზე ნახული და განცდილი უტყუარად ღალადებს ძველ ქართველთა სამაგალითო კულტურულ-შემოქმედებითს ღვაწლზე.

ნ. მარის მეგზურს, გულუბრყვილო ამბარზუმს, თურმე აოცებდა ნახულის სიდიადე, მას ვერ წარმოედგინა, რომ მისი შემქმნელი იყვნენ ქართველები. მას აოცებდა — ჩაუნიშნავს ნ. მარს დღიურში — სიმტკიცე სასარგებლო ნაგებობათა, საწნახლებისა, სარდაფებისა, ხიდებისა, გრანდიოზულობა შენობათა; საბერძონაზვნო სადგომებისა და დარბაზებისა. „ნუთუ ამას აგებდნენ ქართველები, არა ერთხელ იკითხა ამბარზუმმა ოპიზაში“.

მაგრამ გრანდიოზულ სანახაობას მაინც გავერანებისა და გაპარტახების წარუხოცელი დალი ჰქონდა დასმული. თურქ დამპყრობლებს ცდა არ დაუკლიათ, რათა უმადლესი კულტურის მქონე მხარე კვლავ პირველყოფილ ველურ მდგომარეობამდის მიეყვანათ. სწავლული მკვლევარი აღუშფოთებია იმ გარემოებას, რომ შატბერდის შესანიშნავი სამწერლობო სავანე სანაგვე კუთხედ ქცეულიყო. ნ. მარს გული მოუკლა ძველი ქართული კულტურული მხარის გადაშენების, გადაგვარებისა და გადარჩულების აწინდელმა შემადრწუნებელმა სურათმა.

6. მარის დღიურები მკითხველს უასკეცებს პატრიოტულ გრძნობებს და უძლიერებს სანეტარო ოცნებას — დაუბრუნდეს დედა-სამშობლოს ძალადობით მიტაცებული მისი მამაპაპეული მიწა-წყალი, ჩვენი წინაპრების ოფლით და სისხლით მორწყული ტაო-კლარჯეთი, ძველი „ქართული სინა“.¹⁶

¹⁶ ვრცლად იხ. ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1971, გვ. 239—288.

ქართულ-სპარსულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიის კვლევა, ირანული ფილოლოგია ჩვენში ნ. მარის შემდეგ პროფესორ ი. აბულაძის სახელთანაა დაკავშირებული.

იუსტიინე ირაკლის ძე აბულაძე წარმოშობით ბაღდათის (აწ მაიაკოვსკის) რაიონიდან იყო. დაიბადა ის 1874 წლის 5 აპრილს (ძვ. სტ.) სოფელ როკითში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1896 წ.) ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ქართულ-სპარსულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. მისი პროფესორები იყვნენ რუსული ორიენტალისტური სკოლის დიდებული წარმომადგენლები: ვ. როზენი, კ. ზალემანი, ვ. ჟუკოვსკი, ი. სპირნოვი, ნ. მარი, ა. ცაგარელი და სხვ.

უნივერსიტეტი ი. აბულაძემ პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა (1900 წ.). ნ. მარის, ა. ცაგარლისა და ვ. ჟუკოვსკის რეკომენდაციით მას უნივერსიტეტში ტოვებდნენ სამუშაოდ, მაგრამ ჯანმრთელობამ ხელი შეუშალა და საქართველოსაკენ გამოეშურა. 1901 წელს იწყებს ქართულ-სომხურ-სპარსულ ფილოლოგიაში მუშაობას, ბეჭდავს სამეცნიერო-საეურნალო სტატიებს, 1902 წელს ერთ თვეს დაჰყოფს თავრიზსა და შუა აზიის კულტურის უძველეს ცენტრებში (ტაშკენტს, ბუხარას, სამარყანდს), ხოლო 1903 წელს ეცნობა ვენის, ბერლინისა და პარიზის სამუზეუმო ცენტრებსა და ბიბლიოთეკებს.

1901 წლიდან ი. აბულაძე თბილისის გიმნაზიაში, სახელოსნო და კომერციულ, აგრეთვე სპარსულ სკოლაში (შეიხ-ულ ისლამის დარბაზი), ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას (სპარსულ სკოლაში, რა თქმა უნდა, სპარსულს). 1918—1921 წლებში, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში კითხულობდა სპარსული ენისა და ლიტერატურის კურსს, არ ჩამოშორებია საშუალო სკოლას.

ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში უმაღლესი სკოლა არ ყოფილა და, შეიძლება ითქვას, მის მაგივრობას ასრულებდნენ სამეცნიერო საზოგადოებანი, კერძოდ კი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებანი. ი. აბულაძე ითვლებოდა ამ საზოგადოებათა წევრად, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გამგედ (1916—1919 წწ.).

1927 წელს ი. აბულაძეს მიენიჭა დოცენტის წოდება, 1932 წელს კი — პროფესორისა; 1938 წელს, როგორც მნიშვნელოვანი შრომე-

ზის ავტორს, დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. საბჭოთა მთავრობამ მას შიანიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1943 წ.). ი. აბულაძე იყო თბილისის უნივერსიტეტთან არსებული რუსთველის ინსტიტუტის ფირდოუსის, შემდეგ რუსთველის სექციის გამგე (1939—1940 წწ.). 1939 წელს უნივერსიტეტში დაარსდა სპარსული ფილოლოგიის კათედრა, მის პირველ გამგედ დაინიშნა ი. აბულაძე.

ი. აბულაძე გარდაიცვალა 88 წლის ასაკში (1962 წ.), დაკრძალულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ი. აბულაძეს გამოქვეყნებული აქვს 86 ნაშრომი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ „ვეფხისტყაოსნის“ ორ გამოცემას (1914, 1926 წწ.), ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ვეებერთელა ტომს (1916 წ.), მათზე დართულ გამოკვლევებს და დაუბეჭდავ წერილებს, რომელთა ბიბლიოგრაფია თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაშია დაცული, ი. აბულაძის ნაშრომების საერთო რაოდენობა სულ ცოტა ასს გადააჭარბებს.

თბილისის უნივერსიტეტის რამდენიმე თაობას, მათ შორის ამ სტრუქტურის ავტორს, მოსმენილი აქვს ი. აბულაძის სპარსული ლიტერატურის ისტორიის კურსი. დასაანანია, რომ ეს კურსი არ დაბეჭდილა. ამ კურსის მთავარი ღირსება ის იყო, რომ იგი კვალდაკვალ მიჰყვებოდა სპარსული და ქართული მწერლობის ურთიერთობის ისტორიას.

ი. აბულაძე იყო ირანისტი, არმენისტი, რუსთველოლოგი, საეკლესიო და საერო ქართული ძეგლების გამომცემელი და მკვლევარი-კომენტატორი, ირანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ჩინებული მამიებელი და სპარსული რუბაიების მთარგმნელი.

ი. აბულაძის პირველი ნაბეჭდი ნაშრომი ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობისადრია მიძღვნილი — „ქართული მატიანის ძველი სომხური თარგმანი ანუ „მცირედი მოთხრობა ქართლისათვის“, რომელსაც მ. ბროსე „სომხურ ქრონიკას“ უწოდებდა.

სომხური ენა და ლიტერატურა, როგორც საზოგადოდ ყოველი ორიენტალისტიისათვის, ი. აბულაძისათვისაც მუდამ იყო ქართული ძეგლებისა და მათი ლექსიკის კვლევის დასაყრდენი. ამას ჩვენ შეგვიძლია თვალი ვადევნოთ „ვეფხისტყაოსნის“ იმ ლექსიკონებში, რომლებიც დართული აქვს პოემის 1914, 1926 და 1937 წლების გამოცემებს.

ჩვენ უნდა მივიღოთ აზრი იმის თაობაზე, „რომ ი. აბულაძე იყო ვახტანგ მეექვსის შემდეგ პირველი მკვლევარი, რომელმაც „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული ლექსიკონის შედგენას მოჰკიდა ხელი“. ჩვენის მხრივ უნდა დავუმატოთ: ი. აბულაძის მიერ შედგენილი — ქართულ კლასიკურ ძეგლებზე დართული და ცალკე გამოცემული ლექ-

სიკონები — ცალკე ტომებში რომ მოგვექცია, სულ ცოტა სამ ტომს შეადგენდა და საკმარისი იქნებოდა ერთი მეცნიერის მოღვაწეობისათვის. მან ლექსიკონი შეუდგინა, როგორც ვთქვით, „ვეფხისტყაოსანს“ (1914, 1926, 1937 წწ.), „ვისრამიანს“ (1938 წ.) და „ქართული კარბადინის“ სამ ტომს (1936, 1938, 1940 წწ.), რომლებიც ლ. კოტეტიშვილმა გამოსცა. 1928 წელს დაბეჭდა რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ტიპის ლექსიკონი. ზოგი გამონაკლისის გარდა, ლექსიკონებს ახლავს სიტყვათა და სახელთა სპარსული, სომხური, არაბული, თურქული პარალელები.

ვისაც სურს „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“ და „შაჰ-ნამე“ კარგად გაიგოს, მან პირველად ამ ტექსტის კითხვისას აღნიშნულ ტექსტთა გამოცემებზე დართული ი. აბულაძის ლექსიკონები და სახელთა საძიებლები უნდა წაიკითხოს და შემდეგ გაიგებს ამ თხზულებათა რეალურ შინაარსს.

ქართული ფილოლოგიისა და ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი დარგი, რომელსაც ი. აბულაძემ 40-ზე მეტი ნაშრომი უძღვნა, რუსთველოლოგიაა. მისი პირველი ნაშრომი რუსთველზე — „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის გამო“ („ცნობის ფურცელი“, №№ 2292, 2293) 1903 წელს დაიბეჭდა. ამის შემდეგ არ გასულა წელი, რომ ი. აბულაძეს არ ემუშავა ან არ დაებეჭდა „ვეფხისტყაოსანზე“ რამე.

ი. აბულაძის პირველი წერილი შოთა რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე“ დაწერილია გამომწვევი ტონით. ყველას, ვინც კი ცდილობდა ალევორიული მეთოდით დაემტკიცებინა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობა, ის უწოდებდა „ცრუ პატრიოტებს“. ი. აბულაძე პირდაპირ უჯერებს პოემის პროლოგის ცნობას („ესე ამბავი სპარსული...“) და ახლა მთავარი ვეძიოთ, რამდენად შეძლო რუსთველმა გადმოექართულებინა ეს უცხო სიუჟეტი. აქ პირველადაა გატარებული აზრი, რომ ავთანდილი ძალიან ჰგავს შოთა რუსთველს. თითქმის ცალკე წიგნად შევიდა „ძველ საქართველოში“ (I, 1909 წ.) მისივე „მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ცოტა შეესებულებული სახით მეორეჯერ გამოიცა 1923 წელს.

გარდა სრული ლინგვისტურ-ლექსიკური აპარატისა, „ვეფხისტყაოსნის“ 1914 და 1926 წლების გამოცემებს ი. აბულაძემ დაურთო ხელნაწერებისა და ვარიანტების ჩვენება და ცნობილი წყაროები რუსთველის ბიოგრაფიის აღსადგენად.

ი. აბულაძე წერდა რუსთველის მსოფლმხედველობაზე ან უკეთ მსოფლმხედველობრივ წყაროებზე. მას ეკუთვნის ცალკე შრომა ვახტანგ VI-ის გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციაზე. მას შემ-

დევ, რაც ა. შანიძემ ზედმიწევნითი სიზუსტით გაარკვია, რომ ვახტანგ მეექვსეს გამოუცია (1912 წ.) „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტი, კამათი ვახტანგის გამოცემის თაობაზე უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ ი. აბულაძე მაინც თავის ძველ შეხედულებაზე დარჩა („საბჭოთა ხელოვნება“, 1937, № 6).

ი. აბულაძე ძალიან ხშირად უბრუნდება შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის საკითხებს და ვერ ვიტყვით, რომ რაიმე თანამიმდევრული აზრი ჰქონდა ამ საკითხის გარშემო. თავდაპირველად ის იზიარებდა ნ. მარის აზრს, რომლითაც დიდი პოეტი ნეოპლატონიკოსია. ი. აბულაძე ერთი პირველი გამოედავა პ. ინგოროყვას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თითქოს რუსთველი მანის მიმდევარია.

გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილ წერილში მეცნიერი სწორად მსჯელობდა მაღალ შაირსა და დაბალ შაირზე, ალიტერაციაზე. წერილში „პოემის ენის ხალხურობა“, რომელიც ი. აბულაძემ „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემას დაურთო (1926, გვ. 321—340), მკვლევარი საოცარ ალღოს იჩენდა „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივ-მხატვრული მხარის გარჩევისას.

ი. აბულაძე „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემის ერთ-ერთ თავში, რომელსაც ჰქვია დამახასიათებელი სახელი — „რით არის ძლიერი „ვეფხისტყაოსანი“ და რით გვხიბლავს იგი?“ ამბობს: რუსთველი მზეა და „ჩვენ არ ვიცით როგორია ეს მზე, რომელსაც თვალით ვხედავთ“.

შეუძლებელია არ გავიხსენოთ მისივე სიტყვები: რუსთველი გვხიზლავს იმით, რომ „მისი შემოქმედების საწყისია ის ნიშანდობლივი თვისება, რომელიც საგრძნობლად განასხვავებს მას აღმოსავლური პოეზიის ყველა წარმომადგენლისაგან“ და შემდეგ: „ვეფხისტყაოსანში“ ქრისტიანის და არა მაჰმადიანის შემოქმედებასთან გვაქვს საქმე“.

სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსს ფირდოუსს და მის „შაჰ-ნამეს“ ანუ „მეფეთა წიგნს“ რომ ყველაზე უწინარეს საქართველოში გამოეხმაურნენ და რომ საბჭოთა კავშირში ყველაზე მეტად დააფასეს სპარსული ეპოსის ავტორი, ვიდრე სხვებმა, ამას თვით სპარსეთში აღიარებენ. უკვე ნ. მარმა და მ. ჯანაშვილმა აღნიშნეს ეს, შემდეგაც ბევრი დაიწერა ფირდოუსზე, მაგრამ ი. აბულაძის „შაჰ-ნამეს“ ანუ „მეფეთა წიგნის“ ქართულ ვერსიების“ პირველ ტომს (1916 წ.) ვერც ერთი სხვა გამოკვლევა და გამოცემა ვერ შეედრება. მას წვლილი აქვს „შაჰ-ნამეს“ მეორე ტომის მომზადებასა და გამოცემაში (1934 წ.) სხვა ავტორებთან ერთად (კ. კეკელიძე: ა. შანიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა). მასვე ეკუთვნის ორივე ტომის ლექსიკონი.

დ. კობიძე წერდა, რომ ი. აბულაძემ იმთავითვე სწორად გაიგო „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების ლიტერატურული რაობა და ხასი-

ათი. მას გამოკვლეული აქვს, რომ ქართულად დამოწმებულ ამ დიდებულ ეპოსში შედის „ზააქიანი“, „საამიანი“ და „როსტომიანი“.

კლასიკური ხანის ქართული მხატვრული მწერლობის ერთ-ერთი უდიდესი ქმნილება, რომელსაც ი. აბულაძემ რამდენიმე შრომა უძღვნა, ესაა „ვისრამიანის“ ქართული ვერსია. შეიძლება ეს უბრალოდ იმითაც აიხსნას, რომ იგი ენის მიხედვით ყველაზე ახლოს დგას „ვეფხისტყაოსანთან“.

ყველაზე მთავარი საკითხი აქაც ქართული ტექსტის დადგენა და მისი ლექსიკური რეალიების შეჭერებაა სპარსულ ორიგინალთან. ნ. მარის შემდეგ ი. აბულაძეს ამოხსნილი აქვს „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის ბევრი დამახინჯებული სიტყვა, რაც გაიზიარეს ამ კლასიკური რომანის 1938 და 1962 წლების გამომცემლებმა. ი. აბულაძეს თვითონ ჰქონია დადგენილი „ვისრამიანის“ ქართული ტექსტი, მაგრამ ასეთი ნაშრომი სამწუხაროდ არ ჩანს. „ვისრამიანის“ გამოცემას (1938 წ.) დართული აქვს ი. აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

ეროვნული კულტურის ძეგლთა შეკრებისა და სისტემატიზაციის პერიოდში, როცა საფუძველი ეყრებოდა ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულ შესწავლასაც, ბუნებრივია, რომ მკვლევრის პროფილი ერთი რომელიმე სპეციალობით არ განისაზღვრებოდა. ცნობილი ქართველოლოგი სერგი გორგაძეც მსგავსად თანამოღვაწეებისა და ინტერესებული იყო როგორც ლიტერატურათმცოდნეობის, ისე საქართველოს ისტორიისა თუ ენათმეცნიერების საკითხებით, მაგრამ განსაკუთრებით დასაფასებელია ის ღვაწლი, რომელიც ს. გორგაძეს მიუძღვის ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში.

ს. გორგაძე დაიბადა 1876 წ. ზემო იმერეთს, სოფელ ილემში. ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1897 წ. ჩაირიცხა ყაზანის სასულიერო აკადემიაში ისტორიის ფაკულტეტზე. 1901 წ. მოიპოვა კანდიდატის ხარისხი ღვთისმეტყველებაში ნაშრომისათვის: „ეკლესია და სახელმწიფო ძველ საქართველოში“. ამავე წელს იგი ბრუნდება სამშობლოში და იწყებს პედაგოგობას ჯერ ახალსენაკში, ხოლო 1903 წლიდან — თბილისის სასწავლებლებში, სადაც უძღვება ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის კურსებს. ბოლო დროს იგი უმაღლეს სასწავლებლებშიც კითხულობდა ლექციებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ს. გორგაძე აგრძელებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, რაც შერწყმულია მისსავე სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობასთან. ს. გორგაძე იყო დამფუძნებელი წევრი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, რომლის მუდმივი საბჭოს წევრი და მდივანი იყო წლიდან მისი დაარსებისა 1925 წლამდე. 1919 წლიდან სიკვდილამდე განაგებდა ამ საზოგადოების მიერ შექმნილ სიძველეთსაცავს, საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს. ს. გორგაძე იყო აგრეთვე დამფუძნებელი წევრი ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებისა. არაერთხელ ყოფილა წევრი როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა, ისე სხვა ქართული კულტურული ორგანიზაციებისა. ს. გორგაძე გარდაიცვალა 1929 წელს 53 წლის ასაკში, როცა ქართული საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ ბევრს მოელოდა მისგან. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

ს. გორგაძის მოღვაწეობა ძველი ქართული მწერლობის კვლევის

საქმეში ძირითადად ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ძეგლთა შესწავლისაკენ წარიმართა. 1901 წ. „მოამბეში“ გამოქვეყნდა ს. გორგაძის ნაშრომი: „ფილოსოფია და მისი პროგრესი“, სადაც დასახულია მკვლევრის შემდგომი მუშაობის ერთგვარი გეგმა. ს. გორგაძის მოსაზრებით, შეუძლებელია მეცნიერული წინსვლა წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ათვისების გარეშე, შეუძლებელია სამეცნიერო ენის განახლება, თუ არ შევისწავლით ძველ ქართულ სამეცნიერო და ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას.

უწინარეს ყოვლისა ს. გორგაძე შეუდგა ძველი ქართული ფილოსოფიური მწერლობის ძეგლთა აღწერილობების შედგენას. წლების მანძილზე გაწეული შრომის შედეგად, მას 1916 წლისათვის ხელნაწერის სახით მზად ჰქონდა ვრცელი გამოკვლევა: „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში (მასალები ძველი ქართული საფილოსოფიო ლიტერატურის ისტორიისათვის)“, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი წარმოადგენს ხელნაწერთა და ნაბეჭდ გამოცემათა სრულ აღწერილობას, ხოლო მეორე — ნაწარმოებთა შინაარსობრივ ანალიზს. ამ შრომის ერთი თავი ს. გორგაძეს ცალკე მოხსენებადაც წაუკითხავს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე 1919 წ. ჟურნალში „ჩვენი მეცნიერება“ 1924 წელს ქვეყნდება ს. გორგაძის დასახელებული გამოკვლევა, რომელშიც მოცემულია ნაშრომის მთავარი დებულებები და დასკვნები ნაწარმოებთა და ავტორ-მთარგმნელთა დასახელებით. აქვეა მითითებული ის ხელნაწერი კრებულები, რომლებშიც ეს ძეგლებია შემონახული. თხზულებათა განხილვისას დატულია ქრონოლოგიური პრინციპი, ე. ი. თანამიმდევრობა, როგორცაც ეს ძეგლები შემოვიდნენ ქართულ მწერლობაში. ავტორს გამოუვლენია და ძვირფასი ცნობებით შეუესია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ფილოსოფიური ნაწარმოები, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი, რომელიც კი არსებობდა ხელნაწერისა თუ გამოცემის სახით XI საუკუნის დასასრულიდან XIX საუკუნის I მეოთხედის ჩათვლით. ნიშანდობლივია, რომ ამ ნაშრომის დასრულებისას რუსეთიდან ჩამოუტანიათ 300-ზე მეტი ქართული ხელნაწერი, რომელთაგან ს. გორგაძეს გამოუჩვენია ფილოსოფიური ენარის ნაწარმოებები და შემუშავებული წესით დაურთავს თავისი ნაშრომისათვის.

ს. გორგაძე ქართულ ფილოსოფიურ მწერლობას ოთხ დარგად ყოფს. ეს დარგებია: ლოგიკა, ფილოსოფია და მეტაფიზიკა, საყოფაქვეო ფილოსოფია და ესთეტიკა. ჩვენამდე მოღწეულ თხზულებათაგან დიდი უმრავლესობა ნათარგმნია. ორიგინალობა ქართველებს გამოუჩენიათ უმთავრესად ამ შრომათა კომენტარებაში. ეს კომენტარები კი ასახსნელ ტექსტზე ზოგჯერ ერთიორად მეტია. X—XI საუკუნეებში ქართ-

ველებს ფილოსოფიური თხზულებანი უთარგმნიათ ბერძნულიდან, XVIII—XIX საუკუნეებში კი — როგორც ბერძნულიდან, ისე ლათინურიდან, სომხურიდან და რუსულიდან. ს. გორგაძე ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ მდიდარ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაზე, რომელიც ამ ძეგლებში გვხვდება.

ს. გორგაძის დამსახურება ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური მწერლობის შესწავლის საქმეში მხოლოდ ძეგლთა სისტემატიზაციითა და ბიბლიოგრაფიული აღწერით არ განისაზღვრება. 20—30-იან წლებში ჩვენი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდება ს. გორგაძის წერილები, სადაც იგი ეხება ქართული ფილოსოფიური მწერლობის ისტორიისა თუ თეორიის რიგ მნიშვნელოვან საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ ს. გორგაძემ უკვე ზემოხსენებულ გამოკვლევაში წამოჭრა საკითხი ქართული ფილოსოფიური მწერლობის დასაწყისის შესახებ. საკითხის ნათელსაყოფად მან ერთმანეთისაგან გამიჯნა საკუთრივ ფილოსოფიური და ფილოსოფიანარევი საღვთისმეტყველო (ს. გორგაძის ტერმინია) ნაწარმოებები. მკვლევარი საფუძვლიანად იცნობს ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთამსა“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათჳს“ ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიას, იმ ფაქტს, რომ X საუკუნეში მაინც ქართველებს უკვე ჰქონდათ დასახელებულ თხზულებათა ქართული თარგმანები, მაგრამ იგი ამ ძეგლებს არ მიიჩნევს საკუთრივ ფილოსოფიურ ნაწარმოებებად და საქართველოში ფილოსოფიური მწერლობის დასაწყისად აღნიშნულ საუკუნეს არ თვლის. სხვათა შორის, ს. გორგაძე ფილოსოფიური მწერლობის მიმოხილვისას ამავე მიზეზით არ ჩერდება დიონისე არეოპაგელის თხზულებებზეც. ს. გორგაძე კარგად იცნობს აგრეთვე ექვთიმე ათონელის „წინამძღუარს“ ანუ „სარწმუნოებისათჳს“, რომელიც არის შემოკლებული რედაქცია, ერთგვარი Compendium-ი, იოანე დამასკელის „გარდამოცემისა“ (ქ. კეკელიძე მას პირველ ქართულ ფილოსოფიურ თხზულებად ასახელებს¹). მაგრამ ს. გორგაძის მართებული მოსაზრების თანახმად, „გარდამოცემა“ ფილოსოფიანარევი საღვთისმეტყველო ნაწარმოებია და არა საკუთრივ ფილოსოფიური. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „წინამძღუარში“ შესულია ორი თავი „დიალექტიკიდანაც“.

ს. გორგაძეს სამართლიანად გაუმახვილებია ყურადღება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ იმ ნაწილზე, სადაც უთუოდ ჩანს ფილოსოფიისაკენ სწრაფვის ტენდენციები ქართულ სინამდვილეში. მხედველო-

¹ ქ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V—XVIII სს.), თბ., 1969, გვ. 158.

ზამთა თხზულების შემდეგი ადგილი: გრიგოლმა „სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად, და რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის“. მართლაც, ეს საყურადღებო ფაქტი მოწმობს, რომ საქართველოში უკვე VIII საუკუნეში გამოკვეთილა ფილოსოფიისადმი ერთგვარი ინტერესი, რომელსაც განსაზღვრავდა შეგნება იმისა, რომ ჭეშმარიტებას შეიძლება შეიცავდეს საერო მწერლობაც, რაზეც საგანგებოდ მიუთითებდა ბასილი დიდი თავის ცნობილ ტრაქტატებში. შემდეგ ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ კიდევ უფრო ღრმა საფუძველი მოუძებნა „გარეშე“ ფილოსოფიით დაინტერესებას. იოანე პეტრიწი ქრისტიანობის სხვა აპოლოგეტთა მსგავსად ასაბუთებდა, რომ ერთია ის ჭეშმარიტება, რომელსაც ლაღადებს მოსე წინასწარმეტყველი, ქალდეველთა ასტროლოგია თუ ელინური სიბრძნე.

ქართული ფილოსოფიური მწერლობის დასაწყისი ს. გორგაძის აზრით, დაკავშირებულია იოანე დამასკელის „ღიალექტიკის“ გადმოღებასთან, რასაც მხარს უჭერს ეფრემ მცირის მოწმობა იმის შესახებ, რომ „ღიალექტიკის“ გადმოღებამდე „სხუაჲ არაჲ ოდეს თარგმნილა საფილოსოფოთა წიგნთაგანიო“. „ცხადია, — შენიშნავს ს. გორგაძე, — მთარგმნელი საკუთრივ ფილოსოფიური შინაარსის თხზულებებს გულისხმობს და არა ფილოსოფიანარევ საღვთისმეტყველო ნაწარმოებთ, რომელთა არსებობა ქართულ ენაზე მას, როგორც დიდი ერუდიციის მქონესა და ქართულ-ბერძნული მწერლობის საუკეთესო მცოდნეს, არ შეეძლო არ სცოდნოდა“.²

აღნიშნული დასკვნა, მიუხედავად იმისა, რომ კ. კეკელიძემ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გარდა ყურადღება გაამახვილა VI საუკუნის ძეგლში („ევესტათი მცხეთელის მარტილობა“) არისტიდეს აპოლოგიის გამოყენების ფაქტზეც, ძალაში დარჩა და ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ხაზგასმითაა მითითებული: „მიუხედავად გარკვეული ტრადიციისა, ნამდვილი ფილოსოფიური მწერლობა, კონკრეტული შრომებით წარმოდგენილი, ჩვენში იწყება II პერიოდთან“.³

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ს. გორგაძის დამსახურება იოანე დამასკელის განთქმული ნაწარმოების „წყარო ცოდნისაჲს“ ქართული თარგმანების შესწავლის საქმეში. აღნიშნულ ძეგლს მკვლევარი პირველად ფილოსოფიური მწერლობის დარგების მიმოხილვისას შეეხო, მაგრამ შემდეგ სპეციალური წერილიც უძღვნა მას.

² ს. გორგაძე, ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში, „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 2—3, გვ. 140.

³ კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, დასახ. წიგნი, გვ. 155.

ს. გორგაძემ ქართულ მკითხველს გააცნო იოანე დამასკელის თხზულების შედგენილობა, მისი წყაროები, მიზანი და დანიშნულება. გამოკვლევასთან ერთად მან გამოაქვეყნა ეფრემ მცირის მიერ შედგენილი ზანდუკი და შესავალი „წყარო ცოდნისაჲსა“, კოზმასადმი ეპიტოლეს ეფრემისეული და არსენისეული თარგმანებითურთ.⁴ მანვე გამოსაცემად მოამზადა „დიალექტიკის“ ორივე თარგმანი და ეფრემის მიერ თარგმნილი „გარდამოცემის“ ერთი თავი. სამწუხაროდ, ს. გორგაძეს მათი გამოქვეყნება არ დასცალდა.⁵

ს. გორგაძეს მეტად სერიოზული შრომა გაუწევია „წყარო ცოდნისაჲს“ ერთი ნაწილის, კერძოდ, „დიალექტიკის“ შესწავლისათვის. მას, ერთი მხრივ, ერთმანეთისათვის შეუჭრებია ქართული თარგმანები, ხოლო, მეორე მხრივ, ბერძნული ორიგინალისათვის (Migne-ის Patrologia Graeca-ს მიხედვით) შეუდარებია ისინი.

რა დასკვნებამდე მისულა მკვლევარი?

1. ორივე თარგმანს საფუძვლად უდევს არა ვრცელი, არამედ მოკლე ბერძნული რედაქცია; 2. ქართულ თარგმანთა ბერძნული დედნები ერთმანეთისაგან სხვაობენ; 3. განსხვავებას ავლენენ ისინი მინის გამოცემის რედაქციებისაგანაც; 4. ეფრემისეული თარგმანი არსენისაზე ვრცელია; 5. საფიქრებელია, რომ ეფრემს ხელთ ჰქონდა ისეთი რედაქცია, რომელსაც მეცნიერება ჯერ არ იცნობს; 6. არსენს ეფრემის თარგმანითაც უნდა ესარგებლა, რასაც ამტკიცებს არსენის თარგმანის ენა, განსაკუთრებით, ტერმინოლოგია, რომელიც ძალიან ახლოს დგას ეფრემის ტერმინოლოგიასთან.

შევნიშნავთ, რომ „დიალექტიკის“ ქართული თარგმანების შემდგომმა შესწავლამ ძირითადად დაადასტურა ს. გორგაძის დასკვნები.⁶ თუმცა, ცხადია, კვლევის შემდგომ ეტაპზე გამოიკვეთა ისეთი საკითხებიც, რომელთაც ან სულ არ შეხებია ს. გორგაძე, ან საკმაო სისრულით არ შეუსწავლია.

რაც შეეხება „გარდამოცემას“, იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროს“ მეორე ნაწილს, ს. გორგაძეს მისი ორივე ქართული თარგმანი აგრეთვე შეუდარებია ერთმანეთისათვისაც და ბერძნული რედაქციებისათვისაც. მკვლევრის დასკვნით, ორივე თარგმანი დაფუძნებულია დაახლოებით ერთი და იმავე რედაქციის ტექსტზე. ამჟამად გარკვეულია,

⁴ უფრო ადრე ეფრემ მცირისეული ზანდუკი და შესავალი გამოქვეყნებული იყო თ. უორდანიას „ქრონიკების“ I ტომში და ვ. თაყაიშვილის „აღწერილობათა“ I ტომში.

⁵ ამჟამად ეს შრომები ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (Q№ 1185, Q№ 1186).

⁶ იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რ ა თ ა ვ ა მ, თბ., 1976.

რომ ქართველი მთარგმნელები მართლაც სარგებლობდნენ ერთი რედაქციის ტექსტებით. შემთხვევითი არ ყოფილა ს. გორგაძის სიტყვა „დაახლოებით“, რადგან დადგინდა, რომ ბერძნული დედნები ერთი რედაქციის სხვადასხვა წგუფებს, ე. ი. განსხვავებულ ნუსხებს წარმოადგენენ.⁷

საყოველთაოდ ცნობილია დიონისე არეოპაგელის სახელით მოღწეული ფილოსოფიურ-თეოლოგიური თხზულებების როლი კაცობრიობის აზროვნების განვითარების ისტორიაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ შრომებს ქართული სულიერი კულტურის ძირითადი ტენდენციების გასათვალისწინებლადაც. დღეს ბევრისათვის ცნობილი აღარ არის, რომ ს. გორგაძე ქართველ მეცნიერთაგან ერთ-ერთი პირველი დაინტერესდა ფსევდოდონისე არეოპაგელის საკითხით და 1923 წელს ყურნალში „ჩვენი მეცნიერება“ გამოაქვეყნა წერილი: „ნეოპლატონური ფილოსოფიის ერთი უძველესი კვალთაგანი ქართულ მწერლობაში“. ამ წერილში ავტორი ეხება საქართველოში ფილოსოფიის განვითარების ზოგ საკითხს. ს. გორგაძე აღწერს, თუ როგორ ხდებოდა ქართულ მწერლობაში კლასიკური ფილოსოფიისა და ნეოპლატონური იდეების გადმონერგვა. მისი დაკვირვებით, ეს იდეები ჩვენში შემოდოდა ეკლესიის მამათა თხზულებების საშუალებით, სადაც კლასიკური ფილოსოფია გამოყენებული იყო როგორც დიალექტიკური (ლოგიკურ-გნოსეოლოგიური) და მეტაფიზიკური საფუძველი ქრისტიანული მოძღვრებისა, ანდა ისეთი ფილოსოფიური ნაწარმოებების გადმოღებით, რომლებიც თავიდან წმინდა მამათა თხზულებებად მიაჩნდათ და მხოლოდ შემდეგ იქნა გარკვეული მათი ნამდვილი რაობა. ს. გორგაძის თანახმად, ამ ხასიათის თხზულებათა შორისაა ფსევდოდონისე არეოპაგელის შრომებიც.

ს. გორგაძის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან გამოავლინა ამ ძეგლის შემცველი 10-მდე ხელნაწერი და, რაც მთავარია, ყურადღება გაამახვილა უძველეს ხელნაწერებში (AN^o 110, AN^o 684) დაცულ ძვირფას საბიოგრაფიო და საბიბლიოგრაფიო ცნობებზე მთარგმნელის ვინაობისა თუ თარგმანის შესრულების დროის შესახებ. ს. გორგაძემ გამოაქვეყნა პირველად ეფრემ მცირის მრავალმხრივ საინტერესო ანდერძი,⁸ საიდანაც ცხადად ჩანს, რომ არეოპაგელის პირველი მთავარი თხზულება — „საღმრთოთა სახელთათვის“ გადმოღებულია ეფრემ მცირის მიერ.

ფილოსოფიური მწერლობის კვლევის ამ ეტაპზე ს. გორგაძე გა-

⁷ რ. მიმინოვილი, „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბ., 1956.

⁸ ს. გორგაძე, ნეოპლატონური ფილოსოფიის ერთი უძველესი კვალთაგანი ქართულ მწერლობაში, „ჩვენი მეცნიერება“, 1923, № 1, გვ. 65—74.

დაკრით ვერ ამბობს, თუ რამდენად ჰქონდა გაცნობიერებული ეფრემ მცირეს ფსევდოდონისეს თხზულებათა ნეოპლატონური საფუძველი, მაგრამ ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით, რომელიც ს. გორგაძის აზრით XIII—XIV საუკუნეებისა უნდა იყოს, მკვლევარი ასკვნის, რომ ქართველებში აღრევე გაჩენილა რწმენა დიონისეს პლატონური თუ ნეოპლატონური მიმართულების შესახებ. ამ მინაწერში ნათქვამია: „ესე დიონისი პლატონური ფილოსოფოსი იყო“.

ძველი ქართული მწერლობის შესასწავლად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ამ მწერლობის ძეგლთა კრიტიკულ დადგენასა და მეცნიერულ გამოცემას. ს. გორგაძის მიერ დასახული ფართო გეგმა ფილოსოფიურ-თეოლოგიური მწერლობის დარგში მუშაობისა მოიცავდა ძეგლების პუბლიკაციასაც. ჯერ კიდევ 1914 წელს მან გამოსცა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“. ამ გამოცემას, სავსებით სამართლიანად, მაღალი შეფასება მისცა კ. კეკელიძემ.⁹ ს. გორგაძეს დასაბუქლად გაუმზადებია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი „სოფლისათვის და კაცისა“ (იოანე დამასკელის თხზულებიდან „გარდამოცემა“) და X საუკუნის შატბერდულ კრებულში დაცული თარგმანი გრიგოლ ნოსელის თხზულებისა „კაცისა შესაქმისათვის“. გამოცემას უნდა დართვოდა ს. გორგაძის გამოკვლევა „კოსმოლოგია და ანთროპოლოგია ძველ ქართულ მწერლობაში“. დასაინათ, რომ ეს დანაპირები არ განხორციელებულა.

ს. გორგაძემ ნათელი მოჰფინა ქართული ფილოსოფიური მწერლობის ისტორიის არაერთ ბუნდოვან საკითხს. მაგალითად, არისტოტელეს „დიალექტიკის“ თარგმნას, როგორც ამას კ. კეკელიძე აღნიშნავს, დიდხანს მიაწერდნენ იოანე პეტრიწს, მათ შორის ნ. მარიც. ს. გორგაძემ გაარკვია, რომ სინამდვილეში „დიალექტიკა“ ეკუთვნის სვიმეონ ჯულფელს და თარგმნილია სომხურიდან ანტონ კათალიკოსისა და ფილიპე ყათმაზაშვილის მიერ.¹⁰

ს. გორგაძემ გაარკვია აგრეთვე, რომ დღეისათვის ცნობილი თარგმანი პორფირის „შეყუანილობისა“ ეკუთვნის ზურაბ შანშოანს, რომელსაც 1735 წ. ვახტანგ VI ბრძანებით უთარგმნია იგი სომხურიდან.¹¹ ს. გორგაძის აზრით, ამ თარგმანით დაწყებულა ჩვენში ფილოსოფიური მწერლობის აღორძინება XVIII საუკუნის I მეოთხედში. მისივე დაკვირვებით, შანშოანს ძველი თარგმანებითაც უსარგებლია და ამ გზით ერთგვარი კავშირი დამყარებულა კლასიკური ფილოსო-

⁹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 25.

¹⁰ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, ნი მეცნიერება“, 1923, № 2—3, გვ. 146.

¹¹ იქვე.

ფიური მწერლობის ტრადიციებსა და აღორძინების ხანას შორის.

ამ ბოლო დროს გამართლდა ს. გორგაძის ვარაუდი იმის შესახებაც, რომ „მოსაქსენებელი ხუთთა წმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და ამონიოს ერმისის „მოსაქსენებელი ათთა კატილორიათადმი არისტოტელესათა“ თარგმნილია იოანე პეტრიწის მიერ.¹²

ს. გორგაძე ყურადღებით ეკიდებოდა ძველი ქართული მწერლობის სხვა დარგის ნაწარმოებთა კვლევის საქმესაც. ცნობილია, რომ ს. გორგაძე ადგენდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის დარგობრივ საძიებელს¹³. სანიმუშოა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის მის მიერ აღწერილი № 19 ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს სვანეთის ცნობილ მრავალთავს. ს. გორგაძემ გაზეთ „ლომისში“ 1922 წ. დაბეჭდა ანტონ კათალიკოსის ფუნდამენტური ნაშრომის „ღმრთისმეტყველების“ ვრცელი აღწერილობა, სადაც ანტონის შრომას დართული საბიოგრაფიო და საბიბლიოგრაფიო ცნობების საფუძველზე ყურადღება გაამახვილა ანტონის დაბადების თარიღისა თუ კრებულის ქრონოლოგიის საკითხებზეც.

1917 წ. ს. გორგაძემ გამოაქვეყნა ძველი ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი „წამება წმ. შუშანიკისი“. უნდა ითქვას, რომ ეს გამოცემა იმ დროისათვის დამაკმაყოფილებელ დონეზეა შესრულებული. ტექსტი შემკულია მდიდარი სქოლიოებით, შენიშვნებით, განმარტებებით. წიგნს ახლავს საკუთარ სახელთა და შენიშვნებში განმარტებულ სიტყვათა ანბანური საძიებელი. შენიშვნებში ს. გორგაძე ეხება ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებსაც, რომელთა გადაწყვეტაში, მართალია, ზოგჯერ ცდებოდა მკვლევარი, მაგრამ მისმა დაკვირვებებმა გარკვეული როლი შეასრულეს „შუშანიკის წამების“ შემდგომ შესწავლაში.

მნიშვნელოვანია ს. გორგაძის დამსახურება ბ. გაბაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევის საქმეში.

ცნობილია, რომ ქართველი მკითხველი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ბესიკის პოეზიისადმი. ამიტომაც, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებამ ითავა ბესიკის თხზულებათა აკადემიური გამოცემა, რისი განხორციელებაც ს. გორგაძეს ხვდა წილად. მკვლევარი შეეცადა ახალი გამოცემა დაემყარებინა მხოლოდ ხელნაწერებზე, ნაბეჭდისათვის კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიემართა, როცა ხელნაწერი ტექსტი ან არ მოიპოვებოდა, ან რაიმე მსრივ დაეჭვებას იწ-

¹² იოანე პეტრიწი, სათნობათა კიბე, თბ., 1968, ი. ლოლაშვილის შესავალი წერილი, გვ. 34.

¹³ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, თბ., 1946, გვ. 111.

ვევდა. კრებული გამოქვეყნდა 1921 წელს. მას ერთვის ავტორის წინასიტყვაობა, სადაც წარმოდგენილია დიდი ცოდნით შედგენილი ბიოგრაფია ბესიკისა და პოეტის შემოქმედების ძირითადი ტენდენციების მიმოხილვა. მიუხედავად იმისა, რომ ს. გორგაძისეული გამოცემა დაზღვეული არ არის ხარვეზებისაგან, იგი, როგორც ამას ა. ბარამიძე აღნიშნავს, თავისი დროისათვის სანიშნოდ უნდა ჩაითვალოს.¹⁴

ს. გორგაძეს ბესიკის შემოქმედებისა თუ ბიოგრაფიის საკითხების კვლევა შემდგომაც არ შეუწყვეტია. მან 1922 წ. გ. ლეონიძის შითითებით ყურადღება გაამახვილა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთ-ერთი ნუსხის მინაწერზე, რომელიც სპარსეთში ბესიკის მოგზაურობის დღიურები აღმოჩნდა და პოეტის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდზე უმნიშვნელოვანესი ცნობები შეგვძინა. ს. გორგაძემ ეს დღიურები სათანადო კომენტარებით გამოაქვეყნა კიდევ გაზეთ „ბახტრიონში“. ხელნაწერის მნიშვნელობა იმითაც გაიზარდა, რომ მისი სახით ბესიკის ავტოგრაფი მოვიპოვეთ. ს. გორგაძემ მიაკვლია ბესიკის განთქმულ სამგლოვიარო ოდას „სამძიმარი“.¹⁵ მანვე გამოავლინა ბესიკის თხზულებათა ავტოგრაფული კრებული.¹⁶ რომელიც შეიცავდა ბესიკის უცნობ ლექსებსაც.

ს. გორგაძე დაინტერესებული იყო რუსთველოლოგიური პრობლემატიკითაც. 1922 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ინიციატივით მოწვეულ სხდომაზე მან წაიკითხა მოხსენება: „ორიგინალობის საკითხი რუსთაველის შემოქმედებაში“. ეს მოხსენება არ გამოქვეყნებულა, მაგრამ მის ირგვლივ ვრცელი ინფორმაციაა დაბეჭდილი იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში.¹⁷ ს. გორგაძე „ვეფხისტყაოსნის“ ამბავს ორ ციკლად ყოფს: ერთია არაბეთის ციკლი, მეორე — ინდოეთისა. მკვლევრის აზრით, უკანასკნელი ციკლის ამბები ჩვეულებრივი საგმირო ზღაპრების ხასიათს ატარებს, პირველი ციკლი კი ცხოვრებისეულ სინამდვილეს ასახავს. ს. გორგაძე ცდილობს დაასაბუთოს, რომ არაბეთის ციკლი თვით ავტორის საკუთარი შემოქმედების ნაყოფი იყო, ხოლო ინდოეთის ციკლი შეიცავდა იმ ზღაპრულ საგმირო ამბავს, რომელიც ავტორს მზამზარეულად უპოვია და პოეტურად გადაუმუშავებია.

¹⁴ ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული ა. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1931, გვ. 165.

¹⁵ ს. გორგაძე, ბესარიონ გაბაშვილის დღემდე უცნობი სამგლოვიარო ოდა „სამძიმარი“, „მნათობი“, 1924, № 7—8, გვ. 293—308.

¹⁶ ს. გორგაძე, ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) ახლად აღმოჩენილი ლექსები და ავტოგრაფები, „ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 1, გვ. 26—33.

¹⁷ ორიგინალობის საკითხი რუსთველის შემოქმედებაში, „ბახტრიონი“, 1922, № 5; ს. გორგაძის მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, „ტრიბუნა“, 1922, № 258; კამათი ს. გორგაძის მოხსენების გამო, „ბახტრიონი“, 1922, № 7.

ქველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში ს. გორგაძის დამსახურების წარმოსაჩენად ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებებზეც, რომ ღვაწლმოსილი პედაგოგი თავისი ნაყოფიერი შრომითა და მშობლიურ ლიტერატურაში მის მიერვე დიდი გემოვნებით შედგენილი სახელმძღვანელოებით განუწყვეტლად უღვივებდა ახალგაზრდებს ცხოველ ინტერესს ქველი მწერლობისადმი. 1915 წელს პირველად გამოიცა ს. გორგაძის ჭრესტომათია სათაურით „ჩვენი ქველი მწერლობა და ხალხური პოეზია“ და მის სიცოცხლეშივე 1927 წელს წიგნის მეხუთე გადამუშავებული გამოცემა განხორციელდა. აღნიშნული გარემოება ნათელყოფს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამ ჭრესტომათიის მნიშვნელობა ქართული მწერლობის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

მიზანშეწონილად მივიჩნევთ, წინამდებარე ნაშრომი დავასრულოთ ცნობილი ქართველი მეცნიერების გამონათქვამებით: „კრიტიკულობა, სიზუსტე და კეთილსინდისიერება მთავარი დამახასიათებელი თვისება იყო სერგი გორგაძის სამეცნიერო მოღვაწეობისა“ (გ. ჩიტაია). „მრავალმხრივია სერგი გორგაძის ნამუშავევი, მაგრამ ყველაფერში ერთნაირი სიცხადით ჩანს მისი ზნეობრივი პიროვნების თავისებურება: მოვალეობისა და პასუხისმგებლობის უაღრესად განვითარებული გრძნობა, სიფაქიზე, კეთილსინდისიერება, უმწიკვლოა მისი ლიტერატურულ-ეთიკური სახე. მისი წყაროები ყოველთვის ნათელია და მათდამი დამოკიდებულება უანგარო და მკაფიო, ხოლო ავტორისეული მოკრძალება შეუღარებელი“ (ს. ჯანაშია).

დიდი ქართველი მეცნიერი ი. ჯავახიშვილი თავის მრავალმხრივ საქმიანობაში ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ძველ ქართულ მწერლობას. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოავლინა ინტერესი ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისადმი და ეს ინტერესი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. საგულისხმოა, რომ მეცნიერის პირველი ბეჭდური შრომა „ბალაგარიანის“ რუსული თარგმანი იყო, ხოლო უკანასკნელი მოხსენება, რომელზეც შეწყდა მისი გულისცემა, საერო-მხატვრული ლიტერატურის საკითხებს ეხებოდა.

ი. ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წელს ქ. სიღნაღში, მასწავლებლის ოჯახში. ბავშვობაშივე ჩაენერგა ინტერესი და სიყვარული მშობელი ხალხის წარსულისადმი. თავდაპირველი განათლება მიიღო თბილისის გიმნაზიაში, სადაც თავი გამოიჩინა ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით. 1895 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-ირანულ განყოფილებაზე, სადაც გამოჩენილი მეცნიერების — ა. ცაგარლის, ვ. როზენის, ნ. მარსისა და სხვათა ხელმძღვანელობით დასპეციალდა ქართულ-სომხურ ფილოლოგიასა და ისტორიაში.

1899 წელს ი. ჯავახიშვილმა დაამთავრა უნივერსიტეტი. იგი იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად, გულმოდგინე მუშაობით მალე პოვა აღიარება და 1903 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატდოცენტად დაინიშნა და საქართველო-სომხეთის ისტორიის კუბრისსი წაკითხვა მიენდო.

ახალი და უაღრესად ნაყოფიერი ხანა ი. ჯავახიშვილის მეცნიერულ-შემოქმედებით მუშაობაში დაიწყო მას შემდეგ, რაც მისი თაოსნობით დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1918 წ.), სადაც იგი ასრულებდა ჯერ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანის, ხოლო შემდეგ რექტორის მოვალეობას. 1931 წ. დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ კონსულტანტად, ხოლო 1936 წ. ასეთსავე თანამდებობაზე მიიწვიეს კავკასიისმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1937 წლიდან განაგებდა რუსთველის მუზეუმს. 1939 წელს აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. გარდაიცვალა 1940 წელს. დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში.¹

¹ დ. გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1949.

როდესაც ი. ჯავახიშვილი მეცნიერულ-შემოქმედებითს ასპარეზზე გამოვიდა, გარკვეული მუშაობა ძველი ქართული მწერლობის შესწავლის მიზნით უკვე ჩატარებული იყო. საკმარისია მოვიგონოთ ის მრავალმხრივი მოღვაწეობა, რომელსაც ეწეოდნენ მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი, ა. ხახანაშვილი და სხვანი. XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ძველი ქართული სულიერი კულტურის ძეგლების შესწავლა მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ნ. მარმა. პეტერბურგის სამეცნიერო სკოლამ, სადაც აღიზარდა და გაიწაფა ი. ჯავახიშვილი, ერთობ დიდი და უძარესად სერიოზული მოთხოვნები წაუყენა ძველი ქართული მწერლობის მკვლევართ. თანდათან ნათელი გახდა, რომ აუცილებელი იყო ძველი ხელნაწერების კიდევ უფრო მეტი გულისხმიერებით შესწავლა, ძველი ავტორების თხზულებათა ტექსტების კრიტიკულად დადგენა და მეცნიერულად გამოცემა, ქართველოლოგთა მემკვიდრეობის შემოწმება და შემოქმედებითად ათვისება, საცილობელ პრობლემათა დამუშავება. ყოველივე ეს ი. ჯავახიშვილმა საესეებით სწორად გაიგო, გაიაზრა და გაითვალისწინა.

ი. ჯავახიშვილი იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველი ხელნაწერი მემკვიდრეობის გულდასმით გაცნობას, საფუძვლიან შესწავლასა და მეცნიერულ დახასიათებას. ხელნაწერი მემკვიდრეობის, წერილობითი ძეგლების სიყვარული ჩანს მის პირველსავე შრომებში. საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი რეცენზია-ანოტაციები, რომლებშიც შეფასებულია ის მუშაობა, რომელიც გასწიეს ხელნაწერთა მეცნიერული აღწერილობის შედგენის მიზნით ნ. მარმა, თ. ჟორდანიამ, ე. თაყაიშვილმა, ა. ხახანაშვილმა და სხვებმა. მკვლევარი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა ნ. მარისეულ აღწერილობას ხუთი ათონური სელნაწერისას, ძალზე აქებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობას, რომელსაც წლების განმავლობაში აქვეყნებდა ე. თაყაიშვილი, არ ერიდებოდა კრიტიკულ შენიშვნებს თ. ჟორდანიასა და ა. ხახანაშვილის შრომების მიმართ. მისი მართებული დასკვნით, აღწერილობაში ნაჩვენები უნდა ყოფილიყო ხელნაწერის ყველა არსებითი დამახასიათებელი ნიშანი, ზუსტად უნდა გარკვეულიყო მისი შედგენილობა, თხზულებათა ავტორები და ა. შ. სხვათა შორის, ხელნაწერთა აღწერის ის პრინციპები, რომლებიც ი. ჯავახიშვილმა თავის რეცენზია-ანოტაციებში წარმოადგინა, შემდეგ მან კიდევ უფრო სრულყო და დახვეწა და ხელნაწერთა აღწერისათვის საჭირო ინსტრუქციის სახით ჩამოაყალიბა. სწორედ ამ ინსტრუქციით დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებამ (ჯერ კიდევ 1939 წელს) ქართულ ხელნაწერთა აღწერა; ამით დაედო საფუძველი იმ დიდ საქმეს, რომელსაც ახლა წარმატებით განაგრძობს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

რასაკვირველია, ი. ჯავახიშვილი არ იფარგლებოდა მხოლოდ სხვათა მიერ შედგენილი აღწერილობის აკვარვიანობის ჩვენებით, ან ხელნაწერთა აღწერის ინსტრუქციის შედგენით. მან თვით გასწია უაღრესად შრომატევადი სამუშაო და ჩვენი მეცნიერება გაამდიდრა სინის მთის ძვირფასი კოლექციის აღწერილობით.

1902 წელს ი. ჯავახიშვილი თავის მასწავლებელ ნ. მართან ერთად ეწვია სინის მთას (არსებითად სწორედ აქედან იწყება ქართველთა მიერ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმა მეცნიერული შესწავლა). მოგზაურობის აღწერილობა და მოპოვებული მასალების მოკლე დახასიათება საზოგადოებას მიაწოდა ნ. მარმა. მისმა წინასწარმა ანგარიშმა დიდი გამოხმაურება პოვა და უცხოელთაც კი აგრძნობინა ქართული კულტურის სიდიადე და მნიშვნელობა (ა. ჰარნაკი).

ნ. მარმა და ი. ჯავახიშვილმა სინაზე მოიპოვეს და ვრცლად აღწერეს ადრე უცნობი ბევრი ხელნაწერი, დააზუსტეს და შეავსეს არსებული აღწერილობანი, გამოავლინეს არაერთი უცნობი ქართველი მწიგნობარი და ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულება, გამოსაცემად მოამზადეს და შემდეგ გამოაქვეყნეს რამდენიმე დიდებული ძეგლი. სამწუხაროდ, ნ. მარმა გვიან განიზრახა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის გამოცემა, ისე გვიან, რომ აღარ დასცალდა მისი განხორციელება; იგი მხოლოდ 1940 წელს დაიბეჭდა. ი. ჯავახიშვილი, ჩანს, ელოდა მასწავლებლის შრომის პუბლიკაციას. ამის გამო მისი აღწერილობის გამოცემაც დაგვიანდა: მკითხველმა საზოგადოებამ იგი მხოლოდ 1947 წელს მიიღო.

ჩვენ არ შევუდგებით სინის მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ი. ჯავახიშვილისეული აღწერილობის ვრცელ დახასიათებას. ვიტყვი მხოლოდ, რომ ის წარმოადგენს ნიმუშს იმისა, თუ როგორ უნდა დგებოდეს ძველი ხელნაწერების მეცნიერული აღწერილობა. დასახელებულ წიგნში იმდენი ზუსტი და დეტალური ცნობაა თითოეულ ხელნაწერზე, ისე ბრწყინვალეაა ამოკითხული გადამქრქალი ტექსტები, ისე დამაჯერებლადაა გარკვეული ხელნაწერთა შედგენილობა და ისე სრულადაა მოცემული ძველ მწიგნობართა ანდერძ-მინაწერები, რომ მან იმთავითვე დიდი მოწონება დაიმსახურა და საერთო აღიარება პოვა. ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტის ჟ. გარიტის წიგნის გამრქვეყნებამ და სინის მთის ქართული ხელნაწერების მიკროფილმებისა და ფოტოპირების მოპოვებამ სავსებით ნათელყო, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა ი. ჯავახიშვილმა შესანიშნავად გაართვა თავი ურთულეს ამოცანას და შექმნა ჭეშმარიტად შეუცვლელი წიგნი.

აქვე უნდა დავასახელოთ ი. ჯავახიშვილის მოზრდილი ნაშრომი: „Материалы для истории грузинской патристической литературы“

პყ“, რომელიც პირველად 1912 წელს გამოქვეყნდა.² მასში, — ქართული ხელნაწერების კოლექციების არსებულ აღწერილობათა მიხედვით, — მოცემულია ცნობები ქართულ ენაზე შემონახული დოგმატიკური, ეგზეგეტიკური, ასკეტიკური, პომილეტიკური და სხვა ძეგლების შესახებ.

ძველი ქართული მწერლობის ღრმამეცნიერული შესწავლის წინაპირობად ი. ჯავახიშვილს მიაჩნდა ხელნაწერებში შემონახული მასალის მეცნიერული პუბლიკაცია. მას კარგად ესმოდა, რომ ძველი ქართული ძეგლების გამოცემის საქმე არ იყო მოგვარებული. მართალია, არსებობდა რამდენიმე თხზულების ბრწყინვალე გამოცემა (განსაკუთრებით ნ. მარის პუბლიკაციები), მაგრამ საერთოდ ძველი ლიტერატურული მემკვიდრეობის კრიტიკულ-აკადემიური გამოცემის საქმე ერთობ ჩამორჩებოდა. განიცდიდა რა ყოველივე ამას ძალზე მწვავედ, მკვლევარი თავის ნაშრომებში ხშირად ეხებოდა ძველი ტექსტების გამოცემის საქმეს, მსჯელობდა არსებული გამოცემების ავკარგიანობაზე, აღნიშნავდა ცალკეულ ხარვეზებს, საზოგადოების ყურადღებას მიაპყრობდა მეცნიერულ-კრიტიკული პუბლიკაციების არსებობის სავალალო შედეგებზე.

ი. ჯავახიშვილი არა მარტო გულისტკივილს გამოთქვამდა ძველი ქართული ძეგლების მეცნიერული პუბლიკაციების არარსებობის გამო, არამედ ენერგიულად იღვწოდა ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით. ჯერ კიდევ ადრე, სინის მთაზე ყოფნისას, გადმოიწერა და 1914 წელს გამოაქვეყნა „თქმული წმიდა იოანე ოქროპირისაჲ ბადებულისათჳს და წინააღთვე განჩინებულისა კაცსა ზედა ღვთის მიერ კეთილისა და ბოროტისა ვითარმედ არა რაჲ“;³ 1947 წელს „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“ დაიბეჭდა იოანე მინჩხის ჰიმნები, „წამებაჲ წმიდისა ბიკტორისი და სტეფანია ნეტარისა დედაკაცისაჲ“, „წამებაჲ წმიდისა იგნატი ანტიოქელ პატრიარქისაჲ“, „კრებაჲ თთუეთაჲ წელიწდისათაჲ, „მოსაქსენებელი და მატიანე პატროსნისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინისაჲ“, ეფრემ ასურის სწავლანი, ანტონის ეპისტოლე, აპოკრიფები და სხვ. ცალკე უნდა მოეიხსენიოთ „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთუმესი“, რომელიც მეცნიერმა მოამზადა სასტამბოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა (მისი მომზადებული ტექსტი მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა ა. შანიძემ.⁴ ეს მართლაც ჩინებული პუბლიკაციაა). საყოველ-

² XB, ტ. I, ნაკვ. I (1912), გვ. 6—29. მეორედ დაიბეჭდა 1956 წელს: ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 110—129.

³ XB, ტ. II, ნაკვ. III (1914), გვ. 275—280.

⁴ გიორგი მთაწმინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთუმესი, გამოსაცემად მოამზადა ი. ჯავახიშვილმა, თბ., 1946.

თაოდ ცნობილია ი. ჭავჭავიძის კეშმარიტად მეცნიერული გმირობა, რაც ხანმეტი ტექსტების მოპოვებაში, წაკითხვასა და გამოქვეყნებაში გამოიხატა.⁵

ი. ჭავჭავიძის ნათლად ესმოდა, რომ ძველი ქართული წერილობითი კულტურის დიდებული ნიმუშების ისტორიული მნიშვნელობის საერთო აღიარებისათვის საკმარისი არ იყო ამ ძეგლების მხოლოდ ქართულად გამოქვეყნება. საჭირო იყო მათი თარგმნა და უცხოელი მკითხველისათვის მიწოდება. იგი, ერთი მხრივ, დროულად ეხმაურებოდა ქართული ძეგლების თარგმანებს და თავის კომპეტენტურ აზრს გამოთქვამდა მათ ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ⁶, მეორე მხრივ, თვით თარგმნიდა ცალკეულ ძეგლებს. აქ შეგვიძლია დავიმოწმოთ მის მიერ რუსულად თარგმნილი „ბალავარიანი“⁷ და გერმანულად თარგმნილი „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“⁸ გარკვეულ ინტერესს იწვევს მისი ხელმძღვანელობით შესრულებული თარგმანი „აბო თბილელის მარტვილობისა“.⁹

ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ შექმნილი ლიტერატურული საგანძური ი. ჭავჭავიძისათვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან პირველწყაროს ქართველი ერის ისტორიული წარსულის გასათვალისწინებლად და მტკიცე საბუთს ქართველთა კულტურული მოწიფულობის წარმოსაჩენად. თავის კაპიტალურ ნაშრომში — „ქართველი ერის ისტორია“ ი. ჭავჭავიძე თითქმის ყოველ ნაბიჯზე იყენებდა ძველ ქართველ მწერალთა თხზულებებს, ხშირად იმოწმებდა მათ გამონათქვამებს, მათ ჩვენებებს და ამ გზით კიდევ უფრო სრულად გვაცნობდა ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების გზას, სახელმწიფოებრივ მშენებლობასა და პოლიტიკურ მდგომარეობას, საეკლესიო-სარწმუნოებრივ ვითარებას, სოციალურ გარემოს, ეროვნულ ტენდენციებს და ა. შ. რომელი ძველი ავტორი არ გვხვდება „ქართველი ერის ისტორიაში“: იაკობ ცურტაველი და იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე და ბასილ ზარზმელი, ათონელები და ეფრემ მცირე, რუსთველი და მეხოტბენი,

⁵ ი. ჭავჭავიძე, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 274—366.

⁶ ВВ, ტ. XI, ნაკვ. 1—2 (1904), გვ. 323—325, 328.

⁷ Мудрость Балавара, ЗВОРАО, XI (1899), გვ. 1—18; ი. ჭავჭავიძე, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 163—196; Балавариани (Мудрость Балавара). Предисловие и редакция И. В. Абуладзе, Тб., 1962, გვ. 115—196.

⁸ Das Martyrium des heiligen Eustatius von Mzchetha. Sitzungsberichte der königlich preussischen Akademie der Wissenschaften zu Berlin, XXXVIII (1901), გვ. 875—902.

⁹ K. Schultze, Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis. Texte und Untersuchungen, N. Folge XIII, 4, Leipzig, 1905.

არჩილი და სხვა მრავალი. ასევე უხვად იყენებდა ი. ჯავახიშვილი ძველ ავტორთა ნაწერებს, როდესაც სწავლობდა ქართული სამართლის ისტორიასა (იაკობ ცურტაველი, იოანე საბანისძე, გიორგი ათონელი, ეფრემ მცირე...) და საქართველოს ეკონომიკურ ისტორიას (იაკობ ცურტაველი, გიორგი მერჩულე, რუსთველი, დ. გურამიშვილი), ქართული მუსიკის ისტორიასა (გიორგი ათონელი, გიორგი მცირე, იოანე პეტრიწი, რუსთველი, ბესიკი...) და ძველი მშენებლობის ხელოვნებას („ნიონოს ცხოვრება“, „ვისრამიანი“, „შაჰ-ნამე“...), საქართველოს სახელმწიფოებრივ წყობილებასა („კოლაელთა მარტილობა“, გიორგი მერჩულე...) და მეფის უფლების ისტორიას („ევესტათი მცხეთელის მარტილობა“...), საქართველოს საზღვრებსა („გობრონის მარტილობა“) და ქართულ სიგელთმცოდნეობას (გიორგი ათონელი, რუსთველი...) და ა. შ.

ი. ჯავახიშვილს არ დაუწერია ძველი ქართული მწერლობის ისტორიის კურსი ან მოზრდილი ნარკვევი ასეთი ხასიათისა. მართალია, მის კალამს ეკუთვნის ერთ რუსულ ენციკლოპედიაში მოთავსებული წერილი ძველი ქართული მწერლობის შესახებ, რომელშიც იმდროინდელი (1913 წ.) მეცნიერული დონის მიხედვით მოცემულია სურათი ქართული მწერლობის განვითარების ისტორიისა უძველესი თარგმანებიდან გარდაშავალ ხანამდე (ჩათვლით),¹⁰ მაგრამ, რასაკვირველია, ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულ წერილში ი. ჯავახიშვილი ვერ შეძლებდა თავისი ნააზრვის სრულად გადმოცემას; იგი ამ შემაჯამებელი ხასიათის წერილში მხოლოდ ზოგადი ცნობების მოწოდებით დაკმაყოფილდა.

საინტერესოა ი. ჯავახიშვილის ისტორიულ-ლიტერატურული შტუდიები, რომელთაც სშირად ვხვდებით „ქართული ერის ისტორიაში“. ასეთია, მაგალითად, ქვეთავები დუ პარაგრაფები ასურელ მოღვაწეთა „ცხოვრების“ წიგნების შესახებ, მსჯელობა ძველი ქართული მწერლობის კერებზე და განსაკუთრებით ათონის სკოლისა და ათონელი მოღვაწეების ვრცელი დახასიათება, დაკვირვება საერო-მხატვრული ლიტერატურის აღმოცენებასა და სპეციფიკაზე, გაანალიზება მეწობეთა ნააზრვისა და „ვეფხისტყაოსნის“ სილიადის წარმოჩენა, შენიშვნები II და IV პერიოდის ქართულ მწერლობაზე და ა. შ.

ამ შტუდიებში ი. ჯავახიშვილმა გამოამჟღავნა ძველი ქართული მწერლობის ღრმა ცოდნა და დიდი სიყვარული სახელოვანი წინაპრებისა, გამოთქვა არაერთი საინტერესო მოსაზრება დასახელებულ ძეგლებსა თუ ლიტერატურულ ფაქტებზე და დიდად შეუწყო ხელი ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმის დაწინაურებას. მიუხედა-

¹⁰ И. Джавахов, Грузинская литература, 1. Древний период. Энциклопедический словарь (Т-ва бр. Гранат и К°), XVII, 1913, გვ. 238—251.

ვად ამისა, უნდა დავსძინოთ, რომ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ი. ჭავჭავაძის შრომების ორი კრებული: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ და „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები“. პირველში მოცემულია ნარკვევები იაკობ ცურტაველის, „ევსტათი მცხეთელის მარტილობის“ ავტორის, იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულის, ბასილ ზარზმელის, გიორგი ათონელისა და სხვა ქართველ ჰაგიოგრაფთა შესახებ. ნარკვევები ჯერ კიდევ ადრე (1916 წ.) დაიბეჭდა, შემდეგ გადამუშავდა, დაზუსტდა, საგრძნობლად შეივსო დამატებითი თავებით (მაგალითად, „იაკობ ხუცესი“, „ევსტათი მცხეთელის მარტილობა“, „კოლაელთა მარტილობა“) და განმეორებით დაიბეჭდა 1921 წელს. შემდეგ დაიბეჭდა 1945 და 1977 წლებში.

„ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“ განხილული ძეგლები ავტორს მეტწილად აინტერესებდა როგორც წმინდა საისტორიო თხზულებანი, მაგრამ ნარკვევებში იმდენი საინტერესო დაკვირვება, საგულისხმო მსჯელობა და მართებული დასკვნაა, რომ მას გვერდს ვერ აუვლის ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ვერც ერთი მკვლევარი.

განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა მკვლევარი უძველეს ქართულ თხზულებას — „შუშანიკის მარტილობას“. ხშირად იყენებდა მას თავის მრავალრიცხოვან შრომებში. მასვე უძღვნა სოლიდური ნარკვევი „იაკობ ხუცესი“.

ი. ჭავჭავაძელმა გულდასმით შეისწავლა იაკობის ნაწარმოები, შეუდარა იგი სომხურ რედაქციას, გაარკვია მისი ღირსება, წარმოაჩინა ავტორის, — ვითარცა მიუკერძოებელი მთხრობელის, — დამსახურება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სულიერი კულტურის წინაშე.

ი. ჭავჭავაძელმა ამ „უძველესი ქართული საისტორიო თხზულების“ ავტორად მიიჩნია შუშანიკის მოძღვარი იაკობი და უხვად დაძებნა ნაწარმოებში ამ ადრეც გამოთქმული ვარაუდის დამადასტურებელი მასალა. მისი დაკვირვებით, იაკობი მოთხრობილი ამბის თანამედროვე, თვითმხილველი, თანადამხდური და მონაწილე იყო. იგი გაჭირვების უამსაც ახლოს იყო შუშანიკთან და მის მწუხარებას იზიარებდა. იაკობ ხუცესის ნაწარმოებში, როგორც თანამედროვის მიერ დაწერილ თხზულებას შეშვენის, მაშინდელი საქართველოს შინაური თუ საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების შესახებ მრავალი საუცხოო ცნობა მოიპოვება, რომელნიც მთელ მოთხრობაში ისე ბუნებრივად არის ჩაქსოვილი, ისე უშუალოდ თან სდევნენ ამბის მიმდინარეობას, რომ მკითხველს თვალწინ მაშინდელი ცხოვრების ცოცხალი, მხატვრული სურათი ეშლება.

ი. ჭავჭავაძელმა პირველმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება „შუშანიკის მარტილობაში“ შემონახულ ცნობებს V საუკუნის ქართ-

ლის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობის, სარწმუნოებრივი ვითარების, სოციალური სტრუქტურის შესახებ. მანვე პირველმა გახადა მსჯელობის საგნად ის გულწრფელობა, უშუალოება და ბუნებრიობა, რომლითაც იაკობ ხუცესის მოთხრობის კილოა გამსჭვალული თავიდან ბოლომდის, რის წყალობითაც ნაწარმოებში მაშინდელი ყოფაცხოვრება მთელი თავისი ღირსება-ნაკლულევანებით გვეხატება და არც ერთხელ ყალბი და განზრახ თუ უნებლიეთ გაზვიადებული და დაუჭერებელი სულიერი მდგომარეობის აღწერილობა არ გვხვდება.

მართალია, „მუშანიკის წამება“ ი. ჯავახიშვილს პირველ რიგში „ძვირფას და შინაარსიან საისტორიო წყაროდ“ მიაჩნდა; მაგრამ იგი იმასაც დასძენდა, რომ „იაკობ ხუცესის უტყუარი მხატვრული ნიჭი და მშვენიერი ცოცხალი ენა ამ თხზულებას სასიამოვნო საკითხავ ნაწარმოებადაც ხდის“.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ი. ჯავახიშვილმა გერმანულ ენაზე თარგმნა „ექსტათი მცხეთელის მარტილობა“. მან (ა. ჰარნაკთან ერთად) წერილიც გამოაქვეყნა ამ ძეგლზე გერმანულ ჟურნალში, რის გამოც შემდეგ კამათიც მოუხდა მ. ჯანაშვილთან, ხოლო შემდეგ საგანგებო-ნარკვევი შეიტანა „ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში“. მასში ავტორმა ყურადღება გაამახვილა ექსტათის ცხოვრებასა და მოწამებრივ აღსასრულზე, სპარსეთსა და ქართლში ქრისტიანთა მდგომარეობაზე, უცნაური ჰავიოგრაფის მიერ მოწოდებულ პოლიტიკურ-ქრონოლოგიურ ცნობებზე, ნაწარმოებში მოცემულ სარწმუნოებრივ მოძღვრებაზე და ა. შ.

ნარკვევში, რომელიც ი. ჯავახიშვილმა „აბო თბილელის მარტილობას“ უძღვნა, ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებიცაა განხილული და აქა-იქ მის მხატვრულ ფორმაზეცაა საუბარი, მაგრამ ავტორის მსჯელობას ნათლად ეტყობა, რომ მის მთავარ მიზანს იოანე საბანისძის ნაზრევის შეფასება და ქართულ საეკლესიო-საისტორიო მწერლობაში მისი როლისა და ადგილის გარკვევა წარმოადგენს.

ი. ჯავახიშვილის დასკვნით, იოანე საბანისძე ცნობილი მწერალი ყოფილა და მას უთუოდ სხვა თხზულებანიც ექნებოდა დაწერილი. მან გარკვეული მიმართულება შექმნა ცხოვრებასა და მწერლობაში და თავისი თხზულება ჩვეულებრივი მოთხრობის სახით კი არ დაწერა, არამედ ორიგინალურად გაიაზრა, გონივრულად დაგეგმა, თავებად დაყო და თითოეულ თავში განსაზღვრული თვალსაზრისი გაატარა. იოანე საბანისძე ცხოვრებაში ღრმად ჩახედული მწერალია, მას კარგად აქვს შეგნებული სამშობლოში შექმნილი რთული სახელმწიფოებრივ-სარწმუნოებრივი ვითარების საშიშროება, სწორად აქვს გათვალისწინებული ქართველთა ეროვნული გრძნობის შესუსტებისა და არაბთა ძალმომრეობის ზრდის სავალალო შედეგები და სწორედ ამიტომ ყურად-

ლებას ამახვილებს აბოს ტრაგიკულ აღსასრულზე. ი. ჯავახიშვილმა მახვილგონიერულად შენიშნა, რომ იოანე საბანისძემ, — „თავისი დროის მისაბამმა, სამაგალითო ისტორიკოსმა“, — შეძლო ის, რაც ვერ შეძლო, მაგალითად, „ევესტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორმა; „ცხოვრებას კერძო მოვლენაში მან საზოგადო-მნიშვნელოვანი გარემოება დაინახა“, კონკრეტულ-ისტორიული მოვლენა — აბოს წამება — განაზოგადა და ქართველთა სამსჯავროდ გამოიტანა. მისთვის აბოს წამება იყო არა მხოლოდ აბოს ტრაგიკული აღსასრული, არამედ ქართველთა ავბედითი აწმყოს დამადასტურებელი და კიდევ უფრო დანისლული მომავლის მაუწყებელი ფაქტი. ამიტომაც მან საგახგებოდ გამახვილა ქართველთა ყურადღება აბოს წამების მნიშვნელობაზე, თავისი ღრმა მსჯელობითა და „პოეტური სურათებით“ მკითხველი გაიტაცა, დააფიქრა და ეროვნული თვითშეგნების გრძნობა გაუღვივა, თავის თანამოძმეებს დაანახვა და აგრძნობინა არაბ დამპყრობთა ბატონობის სუსხი და სიმწვავე.

როგორც ცნობილია, ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის კარგახნის მანძილზე წარმოებდა სარწმუნოებრივ-დოგმატიკურ საკითხებზე კამათი და ბრძოლა, რაც გავლენას ახდენდა როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ისე საკუთრივ მწერლობაზე. ი. ჯავახიშვილი გულმოდგინედ იკვლევდა საეკლესიო განხეთქილების საკითხებს. ბუნებრივია, მან სათანადო ყურადღება მიაქცია ცნობილ ანტიმონოფიზიტურ ტრაქტატს — „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“, რომლის ავტორად გრიგოლ ხანძთელის (759—861) მოწაფე და თანამოღვაწე არსენ კათალიკოსი (XI ს.) მიიჩნია.

ასევე დიდი გულისყურით ეკიდებოდა ი. ჯავახიშვილი ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას და მის ამსახველ წყაროებს, კერძოდ — „ნინოს ცხოვრებას“.

პეტერბურგის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე 1898 წლის 15 დეკემბერს ი. ჯავახიშვილმა წარადგინა თავისი ნაშრომი: „ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“, რომლითაც დაამტკიცა, რომ ანდრია მოციქული არასდროს არ ყოფილა საქართველოში და ცნობები ნინოს მშობლებისა და აღზრდის შესახებაც მერმინდელი შეთხზულია. ამ შრომამ ნაციონალისტურად განწყობილ ელემენტებსა და სასულიერო წოდების წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან იგი აქარწყლებდა მანამდე არსებულ ზღაპრებს საქართველოს ისტორიის სფეროში. ისინი ვერ გრძნობდნენ, რომ ამ გზით საფუძველი ეყრებოდა აკადემიურ კვლევა-ძიებას. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ ი. ჯავახიშვილი ოქროს მედლით

დააჯილდოვა და მისი შრომის გამოქვეყნება დაადგინა. მალე იგი დაიბეჭდა როგორც ქართულად, ისე რუსულადაც.¹¹

ი. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა „ნინოს ცხოვრების“ უძველეს რედაქციას, რომელიც ე. თაყაიშვილმა ახალი ვარიანტის სახელით გამოაქვეყნა, ხოლო იგი შატბერდისეულს უწოდებდა. მან შეისწავლა ძეგლის შედგენილობა, გაარკვია მისი არქიტექტონიკის ავტორიანობა, ამხილა მისი კომპოზიციური ნაკლოვანებანი და ფსევდოპიგრაფიკულობა (ყალბსათაურიანობა).

ი. ჯავახიშვილმა შეისწავლა „ნინოს ცხოვრების“ ავტორის წერის მეთოდები, წარმოაჩინა მისი ძირითადი მიზანდასახულობა, ნაწარმოები გამოაცხადა ძველ ქართველთა აზროვნებისა და სულიერ მისწრაფებათა გასაცნობად საინტერესო ძეგლად, მაგრამ მისი საისტორიო ხასიათის ცნობების დიდი ნაწილის შეწყნარება შეუძლებლად მიიჩნია.

მოზრდილი ნარკვევები უძღვნა ი. ჯავახიშვილმა ქართული პაგიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს ბასილ ზარზმელსა და გიორგი მერჩულეს.

მაშინ, როდესაც გამოქვეყნდა ი. ჯავახიშვილის შრომა ბასილ ზარზმელზე (1916 წ.), „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ თითქმის სულ არ იყო შესწავლილი: ტექსტი არადაძველყოფილებლად იყო გამოცემული, ხოლო გამომცემლის წინასიტყვაობაში ბევრი საკითხი სუსტად იყო გაშუქებული. ამდენად სწორედ ი. ჯავახიშვილი იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ შესწავლა მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა; სწორედ მან შეაფასა ჯერონად აღნიშნული ძეგლი და გაარკვია მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა.

ი. ჯავახიშვილი იყო პირველი მეცნიერი, ვინც საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ბასილ ზარზმელის თხრობის წესსა და მეთოდებზე, მის წყაროებსა და საისტორიო ცნობათა ღირებულებაზე. კიდევ უფრო მაღალი შეფასება მისცა ი. ჯავახიშვილმა ნ. მარის მიერ „ხელმეორედ“ მოპოვებულსა და „საუცხოოდ“ გამოცემულ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“. მკვლევარმა იგი მიიჩნია „ფრიად საყურადღებო და ძვირფას საისტორიო თხზულებად“ და გაამახვილა ყურადღება მის მხატვრულ ფორმაზე. მისი დაკვირვებით, ნაწარმოების ავტორი კარგად გვაცნობს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პირველი ეტაპის გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებსა და იმ დროის ისტორიულ-კულტურულ ვითარებას. იგი ძირითადად საქართველოში გაბატონებულ,

¹¹ ი. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, „მოამბე“, 1900, V, განყ. 11, გვ. 55—70; VI, განყ. 11, გვ. 1E—50; მისივე, Проповедническая деятельность ап. Андрея и св. Нины в Грузии, ЖМНП, 1901, № 1, გვ. 77—113.

ქრისტიანულ-ოფიციალურ იდეოლოგიას ატარებს, მისი „თხზულება თავიდან ბოლომდის მონაზონური ცხოვრების ალტაცებითა და ამაყი გრძნობით არის გამსჭვალული“, მაგრამ, ამასთანავე, „ალტაცებით შე-
პხაროდა ბუნების ლამაზსა და მომხიბლავ სურათებს“, „დიდი პოე-
ტური ნიჭით იყო დაჯილდოებული, სხვებისავით მარტო საეკლე-
სიო და სამონასტრო ცხოვრებით არა აქვს დახშული მხედველობა“.

ი. ჭავჭავიძეში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ არა მხოლოდ პირველხარისხოვან საისტორიო წყაროდ მიიჩნია და გაარკვია მის ჩვენებათა ღირსება თუ წყაროები, არამედ იგი აღიარა დიდ მხატვრულ ტილოდ, ზომლის ავტორს ეხერხება ბუნების სურათების ხატვა და მოქმედ გმირთა ფსიქოლოგიური განცდების გადმოცემა.

გიორგი ათონელის (1009—1065) მრავალმხრივი მოღვაწეობა, მისი მონაწილეობა ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი ზრუნვა შრომელი ერის სულიერ განსაზღვრებასა და კულტურულ-სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობის დაცვაზე ყოველთვის იქცეოდა ი. ჭავჭავიძეშილის ყურადღებას. მკვლევარმა კარგად წარმოგვიდგინა გიორგი ათონელის შემოქმედებითი საქმიანობა და ნათლად წარმოაჩინა მისი პროგრესული როლი ქართული კულტურის ისტორიაში. ი. ჭავჭავიძეშილის დასკვნით, გიორგი ათონელი არა მხოლოდ „შესანიშნავი მთარგმნელი“ იყო, არამედ „გამოჩენილი ისტორიკოსიც“. მისი ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც იოანე და ექვთიმე ათონელების თავგადასავალს გვაცნობს, უაღრესი ნდობის ღირსია, მრავალმხრივად შინაარსიანია, ღრმა და მაღალი საზოგადოებრივი და ეროვნული აზრებით გამსჭვალულია. საუცხოო ქართულით და მომხიბლავი გულწრფელი კილოთი ნაწერი იგი სამართლიანად ძველი ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო ძეგლად უნდა ჩაითვალოს.

ი. ჭავჭავიძეშილი გიორგი ათონელის განსაკუთრებულ დამსახურებად აღიარა ის გარემოება, რომ მწერალი არ შემოიფარგლა მხოლოდ იოანესა და ექვთიმეს თავგადასავლის გადმოცემით, მან გამოიყენა სათანადო წყაროები და შემოწმებული გადმოცემები, ოსტატურად მოიმარჯვა ნივთიერი საბუთები, ვრცლად ასახა ქართველ-ბერძენთა ურთიერთობა, დაადასტურა ქართველთა უფლებები ათონის მონასტერზე.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ი. ჭავჭავიძეშილის ნარკვევი ეფრემ მცირეზე (XI ს). მკვლევარმა კრიტიკულად გააანალიზა წყაროთა ჩვენებანი ეფრემის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, საფუძვლიანად გააშუქა მისი ორიგინალური ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული ნაწერების კულტურულ-ლიტერატურული მნიშვნელობა, ვრცლად დაახასიათა მთარგმნელობითი პრინციპები და მეთოდები და ბუნებრივად დაასკვნა, რომ „ეფრემ მცირე შესანიშნავი, სწორუპოვარი ქართველი მეცნიერი ფილოლოგოსი და ისტორიკოსი იყო“.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ი. ჯავახიშვილის ნარკვევი: „ნიკოლა-
ოზ კათალიკოზი“. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ი. ჯავახიშვილის მოზრდი-
ლი ნაშრომი: „ადამიანი ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“,
რომელშიც თანამიმდევრობითაა განხილული სამი საკითხი: მოძღვრე-
ბა ადამიანზე, ადამიანის სოციალ-ეთიკური იდეალები, ადამიანი ვი-
თარცა მოღვაწე. ავტორი უხვად იმოწმებდა ძველი მოღვაწეების თხზუ-
ლებებს, — ორიგინალურსა თუ ნათარგმნს, — და მათზე დაყრდნობით
ზუსტსა და სრულ პასუხს იძლეოდა დასმულ საკითხზე.

ასეთივე გულისხმიერებით განიხილა ი. ჯავახიშვილმა „კოლაელთა
მარტილობა“, „კოსტანტის მარტილობა“, „გობრონის მარტილობა“
და სხვა ძეგლები.

„ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხებში“ დაბეჭ-
დილია რამდენიმე წერილი საერო-მხატვრული ლიტერატურის შესა-
ხებ. შედარებით მეტი ადგილი ეთმობა რუსთველსა და მის „ვეფხის-
ტყაოსანს“. ასეთია, მაგალითად, „შოთა რუსთაველის დაბადების 750
წლისთავის ზეიმის გამო“, „Личность и мировоззрение“, „რუსთა-
ველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“,
„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ირგვლივ“, „ვეფხისტყაოსანი“,
„ამირანდარეჯანიანის“ ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“, „შოთა რუსთა-
ველისა და მისი ეპოქის გამოფენა“ და სხვა.

ამ შრომების გაცნობა ნათელყოფს, რომ ი. ჯავახიშვილმა ჭეშმა-
რიტად დიდი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიური პრობლემატიკის
დამუშავებაში. მკვლევარს აინტერესებდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნა-
წერებისა და გამოცემების ღირსება-ნაკლოვანებანი, პოემის ტიპაჟი და
მთავარი იდეურ-თემატიკური მოტივები, ავტორის ვინაობა და მოღვა-
წეობის ხანა, მისი ფილოსოფიურ-რელიგიური მსოფლმხედველობა
და ა. შ.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ი. ჯავახიშვილის წერილი: „შო-
თა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო“, რომე-
ლიც ცხადყოფს, რომ ღვაწლმოსილ მეცნიერს „გული სიხარულითა და
კმაყოფილებით აევსო“, როდესაც გაიცნო საქართველოს კ(ბ) ცენ-
ტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილება რუსთ-
ველის საიუბილეო ღღესასწაულის თაობაზე.

ი. ჯავახიშვილი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ „იმ მოღვაწე-
თა შორის, რომელთა ღვაწლი და შემოქმედება ქართველთათვის სამა-
რადისოდ დაუვიწყარი დარჩება, რომელთა ქმნილებისათვის ვერც
დროთა ცვალებადობასა და ვერც სიგრძეს ვერაფერი დაუკლია, ერთი
პირველი ადგილთაგანი, უეჭველია, შოთა რუსთაველს ეკუთვნის“. ასე-
თი ადამიანი, ასეთი შემოქმედი კი ღირსია იმისა, რომ შთამომავლობა
ყველაფერს აკეთებდეს მისი სიდიადის წარმოსაჩენად; მეცნიერი ერთ-

გვარი უკმაყოფილების გრძნობით აღნიშნავდა, რომ „ქართულ მეცნიერებას თავისი გენიოსი მგოსნის წინაშე ზნეობრივი მოვალეობა მონდილი არა აქვს“. აღნიშნული გარემოების გამო რუსთველისა და ქართველი საზოგადოებრიობის ურთიერთობის საკითხი ი. ჯავახიშვილის საგანგებო მსჯელობის საგანი გახდა. მან სწორად გაითვალისწინა, რომ ძველ საქართველოში „ვეფხისტყაოსანს“ ყველა „ერთნაირი გრძნობითა და აღფრთოვანებით არ შეხვედრია“. თუ, ერთი მხრივ, პოემას გამოუჩნდა ბევრი თავყანისმცემელი და მადიდებელი, მეორე მხრივ, იყვნენ „ძლიერი მოწინააღმდეგენი უმთავრესად კლერიკალური წრეების წარმომადგენელთა შორის“. მოწინააღმდეგეებს რუსთველის „მომხიბლავი ნაწარმოების“ მოსპობა არ შეეძლოთ, მაგრამ „იმდენი ძალა მაინც შესწევდათ, რომ ამ გენიოსი მგოსნის სახელი და ვინაობა და ღვაწლი საუკუნეთა განმავლობაში წყვილიადით ყოფილიყო მოსილი და იმდროინდელი ცხოვრების მომხიბრებლის საისტორიო თხზულებებში მისი ხსენებაც კი არ გამოჩენილიყო“.

ი. ჯავახიშვილმა მკითხველთა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ თამარის ისტორიკოსთა ნაწერებში არსად გვხვდება ხსენება რუსთველისა და მისი პოემისა და ამის ახსნა რუსთველის გარშემო გაჩაღებული ბრძოლით მოიწადინა.

„ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიანი შესწავლის წინაპირობად ი. ჯავახიშვილს პოემის ხელნაწერთა გულდასმით შესწავლასა და მეცნიერულ ანალიზზე დამყარებული კრიტიკული გამოცემა მიაჩნდა. მას ერთგვარად აოცებდა რუსთველოლოგიაში აღმოცენებული თეორიების სიმრავლე არსებულ ვითარებაში, როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკულად დადგენისა და მეცნიერულად გამოცემის საქმეში მიუტყევებელი ჩამორჩენილობა შეინიშნებოდა. ბევრ ხელნაწერში გვხვდება სხვათა მიერ შეთხზული სტროფები. პოემის კეთილისმსურველებსა თუ მტრებს არაერთი სტროფი მიუწერიათ ხელნაწერთა ველზე. შემდეგ გადამწერებმა ყოველივე ეს საკუთრივ ტექსტში შეიტანეს და დღეს ძნელი გასარკვევია, რა ეკუთვნის რუსთველს და რა სხვას. ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს ვახტანგ მეექვსემ, „ქართველ მწერალთა და ინტელიგენტთა წრემ ი. ჰავაძის მეთაურობით“. ა. სარაჯიშვილმა, ნ. მარმა და სხვებმა, მაგრამ ძირითადი ნაკლი ნაკლადვე დარჩაო.

ი. ჯავახიშვილმა მოკლედ, მაგრამ კმაყოფილების გრძნობით დაახასიათა ჩვენში გაჩაღებული რუსთველოლოგიური კვლევა-ძიება, სიხარულით აღნიშნა, რომ „შოთა რუსთაველის დიდებული ქმნილების შესწავლა წარსულთან შედარებით გაცხოველდა, ძალიან დაწინაურდა და უკვე არაერთი ძვირფასი მონაპოვარიცა გვაქვს შეტანილი“, მაგრამ ისიც დასძინა, რომ „მთელი მსჯელობა წინანდებურად პოემის აღუდ-

გენელ ტექსტზეა დამყარებული“. ამიტომაც მას ყველაზე საშურ საქმედ „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის გამოცემა მიაჩნდა.

რუსულად გამოქვეყნებულ წერილში: „Личность и мировоззрение“, რომელიც ინგლისურადაც დაიბეჭდა, ი. ჯავახიშვილმა მოკლედ, ძალზე შეკუმშულად მოგვცა თავისი შეხედულება რუსთველის პიროვნებაზე, განათლებაზე, მოღვაწეობის ხანაზე, არმოდწეულ თხზულებებზე და ა. შ.

მკვლევარმა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი—შოთა რუსთველი დაბეჯითებით მიიჩნია თამარის ხანის მოღვაწედ, საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება მის სოციალურ წარმომავლობასა და მდგომარეობაზე, ნათელყო პოეტის სიმპათიები რაინდული წრეებისადმი, გამოავლინა მისი რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებანი, განიხილა პოემაში პანთეიზმის ელემენტების არსებობის საკითხი, დაახასიათა რუსთველის თვალსაზრისი სიყვარულსა და მეგობრობაზე, გააანალიზა განსაკუთრებული პატივისცემა მანდილოსნისადმი და წარმოაჩინა ძმობა-მეგობრობის ყოვლისშემძლეობა.

მოხსენებაში — „რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ი. ჯავახიშვილმა საბჭოთა მწერლების კავშირის V პლენუმზე წაიკითხა 1937 წლის დეკემბერში, საგანგებოდაა გაამახვილებული ყურადღება „ვეფხისტყაოსნის“ კავშირურთიერთობაზე იმდროინდელი საქართველოს სოციალურ კულტურასთან, მოცემულია მსჯელობა პოემის ტიპაჟზე და ა. შ. ი. ჯავახიშვილის აზრით, „რა თქმა უნდა, გენიალური პოეტის ქმნილება პოლიტიკური ტრაქტატი როდია“, მასში ყველა საკითხის წამოჭრა ავტორს არ შეეძლო, მაგრამ „ქმნიდა რა დიად მხატვრულ პოემას, იგი, თავისი სამშობლოს მწვავე საკითხებით აღელვებული, თავის უკედავ ნაწარმოებში გადმოგვცემდა ყველა თავის აზრს, ყველა თავის მისწრაფებას, ყველა იმ იდეალს, რომელთა სრული გამარჯვებაც მას სურდა ეხილა მაშინდელ საქართველოში“. მკვლევარმა საგანგებოდ აღნიშნა; რომ მატერიალური კულტურის თვალსაზრისით პოემაში გადმოცემულია ზოგიერთი ისეთი პირობა თუ ჩვეულება, რომელიც მაშინდელ საქართველოში იყო გავრცელებული. პოემის გმირები, მართალია, უცხოელები არიან, მაგრამ მათში „ქართველის გული ძვრს“.

თავის წერილებში ი. ჯავახიშვილი ხშირად მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებზე. მაგალითად, რამდენჯერმე შეეხო იგი პოემის ვახტანგისეულ გამოცემას, დაახასიათა გ. ქართველიშვილის გამოცემის ავკარგიაზობა და სხვ. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა მისი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ირგვლივ — გამოხმაურება იმ დისკუსიისა, რომელიც გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის“ 1934 წლის გამოცემამ. მასში ავტორი სპეციალურად განიხილავდა „ვეფხისტყაოს-

ნის“ დაბოლოების საკითხს და ასკვნის: „ვახტანგ მეექვსის გამოცემა ძველს ხელნაწერულს ტრადიციებზე უნდა იყოს დამყარებული და ინდოხატაელთა აზრები და მასზე უწინარესი რამდენიმე ტაეპიც მერმინდელი დანართია“.

ი. ჭავჭავიძის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა რუსთველოლოგიის ისეთი მტკივნეული საკითხი, როგორცაა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმომავლობა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ ძველთაგან როგორ კამათს იწვევდა ეს საკითხი ჩვენს საზოგადოებრიობაში. ამ კამათს ვერც ი. ჭავჭავიძე გადაურჩა. ერთხანს იგი ნ. მარს უჭერდა მხარს და „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს სპარსულიდან მომდინარედ მიიჩნევდა.¹² შემდეგ ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდა სპეციალურ ნარკვევში: „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც პირველად 1956 წელს გამოქვეყნდა.¹³ მასში ი. ჭავჭავიძემ დაწვრილებით განიხილა ნ. მარსის თვალსაზრისი რუსთველის მაჰმადიანობისა და XIV საუკუნეში ცხოვრების შესახებ და კატეგორიულად უარყო მისი შეწყნარების შესაძლებლობა, დაიმოწმა რუსთველის ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ამბის სპარსულობის შესახებ და გააანალიზა სხვადასხვა მკვლევართა შეხედულება ამ საკითხზე, საგანგებოდ შეისწავლა რუსთველის ცნობები სპარსეთის შესახებ და დაასკვნა, რომ ამ ცნობებში „შეუძლებელია აღამიანმა არ შეამჩნიოს ინდოელთა ეროვნული გრძნობისა და ხვარაზმშა-სპარსთადმი ძლიერი სიძულვილის ცხადი გამოხატულება... რაკი „ვეფხისტყაოსანში“ სპარსეთსა და სპარსთა სამეფოს სახლს ასეთი მეორეხარისხოვანი და დამამცირებელი ადგილი აქვს დათმობილი და პოემა სპარსელებისადმი ცხადი პოლიტიკური სიძულვილით არის გამსჭვალული, საექვო და შეუძლებელიც-კია, რომ იქ მოთხრობილი ამბავი სპარსული იყოს. დედააზრითა და პოლიტიკური მრწამსით მას სპარსული არაფერი აქვს“.

ი. ჭავჭავიძის ნააზრევში აქა-იქ გვხვდება ზოგი რამ საკამათო თუ პიპოთეზური, მაგრამ ეს გარემოება, რასაკვირველია, ოდნავადაც არ აყენებს ჩრდილს მის ღვაწლს.

ყოველივე ზემოთქმული უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. დიდი ქართველი მეცნიერი ი. ჭავჭავიძე თავის მრავალმხრივ საქმიანობაში ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ძველ ქართულ მწერლობას. ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ შექმნილი ლიტერატურული საგანძური მისთვის წარმოადგენდა მნიშვნე-

¹² ი. ჭავჭავიძე, მამულიშვილობა და მეცნიერება, თბ., 1904, გვ. 41—42 და შმდ.

¹³ ი. ჭავჭავიძე, ქართული ვნისა და მწერლობის ისტორიის საკითხები,

ლოვან პირველწყაროს ქართველი ერის ისტორიული წარსულის გასათვალისწინებლად და მტკიცე საბუთს ქართველთა კულტურული მოწიფულობის წარმოსაჩენად.

2. ძველი ქართული მწერლობა ადრევე აღმოჩნდა ი. ჯავახიშვილის ინტერესთა სფეროში. მისი პირველი ნაბიჯები მეცნიერულ-შემოქმედებით ასპარეზზე უშუალოდ დაკავშირებულია ძველი ქართული წერილობითი კულტურის ძეგლებთან.

3. ხელნაწერთა აღწერითა და მათში შემონახული ძველ თხზულებათა პუბლიკაციებითა და თარგმანებით და განსაკუთრებით თავისი ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევებით ი. ჯავახიშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულ შესწავლასა და მისი კულტურულ-შემეცნებითი მნიშვნელობის წარმოჩენაში.¹⁴

¹⁴ ვრცლად იხ. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის გამოჩენილი მკვლევარი, „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), 1976, № 3, გვ. 5—26.

„ქართულ ლიტერატურას, მეტი თუ არა, თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია მაინც აქვს, — ლიტერატურული ძეგლები ჩვენ უკვე მებზუთე საუკუნიდან მოგვეპოვება, — ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა. დიდა და განუზომელი ამ ლიტერატურის მნიშვნელობა: იმაში აღბეჭდილია ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების პერიპეტიები; მის ძეგლებში, ორიგინალურსა თუ ნათარგმნში, გამოვლინებულია უდავო ნიშნები ქართველთა შემოქმედებითი პოტენციისა“.¹ ასე ამბობს ჩვენი გამოჩენილი მკვლევარი კორნელი კეკელიძე, რომელიც ექვსი ათეული წელი დაუცხრომლად იღწვოდა ქართველი ერის დიდი, ძველი სულიერი კულტურის შესწავლისა და საუკეთესო ნიმუშების გამოძიებურ-ბისათვის.

ქ. კეკელიძე დაიბადა 1879 წლის 18 (30) აპრილს. წერა-კითხვა ისწავლა მშობლებსაგან. 1886 წელს შეიყვანეს ქუთაისის ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1893 წელს. იმავე წლის სექტემბერში მამამ თბილისში ჩამოიყვანა სემინარიაში მისაბარებლად.

კორნელიმ სემინარიაშიც ბეჯითად და გულმოდგინედ განაგრძო სწავლა და იგი დაამთავრა როგორც კარგად მომზადებულმა და გონებრივად მოწიფულმა ყმაწვილმა კაცმა. მას უკვე აღძროდა სერიოზული ინტერესი მშობლიური ქვეყნის წარსულისადმი, ნამეტნავად მისი მწერლობისადმი. კორნელი ოცნებობდა ესწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, სადაც მაშინ მოღვაწეობდნენ ა. ცაგარელი და ნ. მარი. მაგრამ ხელმოკლეობამ შეუშალა ხელი. სამაგიეროდ სემინარია დაეხმარა მას, როგორც წარჩინებით კურსდამთავრებულს, „სახელმწიფო ხარჯზე“ ესწავლა სასულიერო აკადემიაში. 1900 წლის შემოდგომიდან კორნელი გახდა კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი.

სასულიერო აკადემიებში გასულ საუკუნეში ჩვენს ქვეყანას მისცეს ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები და მეცნიერები, როგორიც იყვნენ პ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, გ. ქიქოძე, თ. ყორღანი, ი. გოგებაშვილი, დ. ფურცელაძე და სხვები. თეოლოგიურ დისციპლინებთან ერ-

¹ ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი, თსუ შრომები, XIX (1941), გვ. 141.

თად აკადემიაში ფართოდ ისწავლებოდა ისტორიულ-ფილოლოგიური საგნები. კ. კეკელიძე ჩაირიცხა აკადემიის სიტყვიერების განყოფილებაზე, მონდომებით დაეწაფა სწავლას და იმთავითვე ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხების ლიტერატურული წარსულის გაცნობამ პატრიოტ სტუდენტს მწვავედ აგრძნობინა მშობლიური მწერლობისადმი არსებული გულგრილობის სიმწარე. ასეთ პირობებში არაჩვეულებრივად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უკვე გარკვეული გუნება-განწყობილების მქონე ყმაწვილკაცზე ნ. მარის გახმაურებულმა შრომამ «Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым и в Иерусалиме в поездку 1902 г.».

კ. კეკელიძემ საბოლოოდ გადაწყვიტა სპეციალობად აერჩია ძველი ქართული მწერლობის შეუსწავლელი დარგი, ე. წ. სასულიერო მწერლობა. ენთუზიასტი სტუდენტის გადაწყვეტილებას ფრთები შეასხა მისი ორი მასწავლებლის, თავისი დროისათვის გამოჩენილი რუსი მეცნიერების ნ. პეტროვისა და ა. დმიტრიევსკის თანაგრძნობამ და მხარდაჭერამ. ნ. პეტროვი აკადემიაში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კურსს კითხულობდა, ა. დმიტრიევსკი კი იყო ბიზანტიური მწერლობის დიდი სპეციალისტი. ორივენი რამდენადმე იცნობდნენ საქართველოს წარსულს, მათ საკმაოდ ჰქონდათ წარმოდგენილი ძველი ქართული სულიერი კულტურის მნიშვნელობა მსოფლიო საქრისტიანო კულტურის ზოგადი ისტორიის თვალსაზრისით.

ა. დმიტრიევსკიმ წინადადება მისცა კ. კეკელიძეს სადიპლომო (საკანდიდატო) დისერტაციის თემა აერჩია ძველი ქართული მწერლობიდან. კორნელი ხალისით მოეცილა ამ წინადადებას, საფუძვლიანად შეისწავლა ქართული სიძველეთსაცავების ფონდები და 1904 წელს წარადგინა ვეებერთელა შრომა «Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение». შრომას დიდი წარმატება ხვდა წილად. აღტაცებული შეფასება მისცეს მას ოფიციალურმა რეცენზენტებმა ა. დმიტრიევსკიმ და ა. გლაგოლევა. სადიპლომო ნაშრომით განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა კ. კეკელიძის ხელმძღვანელი ა. დმიტრიევსკი.

რეცენზენტების წარდგენის შედეგად შრომის ავტორი დააჯილდოვეს ფულადი პრემიით.

სწავლის დიდი წარმატებით დამთავრების შემდეგ აკადემიის საბჭოს დადგენილების თანახმად კ. კეკელიძე დატოვეს პროფესორობისათვის მოსამზადებლად ახლობელ აღმოსავლეთში (ათონი, იერუსალიმი, სინის მთა) მივლინებით იქაური ქართული ხელნაწერების შესასწავლად.

კიევის აკადემიის მხრივ საქართველოს წარსულისადმი ყურადღების გამახვილება მეფის რუსეთის სინოდმა არ მოიწონა და პროფესორთა საბჭოს დადგენილება არ დაამტკიცა. სინოდის მიერ შექმნილმა დაბრკოლებამ გული ვერ გაუტეხა ახალგაზრდა კანდიდატს. საკუთარი თაოსნობით ის გულმოდგინედ შეუდგა ჯერ კიდევ პირველი დაგროვების სტადიაში მყოფი ძველი ქართული წერილობითი წყაროების სისტემურ შესწავლას, გაათავსოვდა და გააღრმავა თავისი სადისერტაციო შრომა.

1904 წლის ზაფხული და შემოდგომა კ. კეკელიძემ გაატარა მოსკოვსა და პეტერბურგში. აქ იგი ეცნობოდა ქართულ ხელნაწერთა ფონდებს. პეტერბურგში გაიცნო ნ. მარი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი მისი მომავალი მუშაობის ხასიათის გარკვევასა და განსაზღვრას. ამ დროიდან დამყარდა მჭიდრო მეცნიერული კავშირი სახელმძღვანელო ქართველოლოგსა და დამწყებ მკვლევარს შორის.

1905 წელს კ. კეკელიძე იწყებს მასწავლებლობას ქუთაისის ქალთა ეპარქიულ სასწავლებელში. ქუთაისში ყოფნას ის იყენებს გელათის მდიდარი ხელნაწერი კოლექციის შესასწავლად, ადგენს ამ კოლექციის მეცნიერულ აღწერილობას. კ. კეკელიძეს მალე შეუსრულდა ნატივსა და 1906 წლის დამდეგს გადმოვიდა თბილისში, სადაც აქტიურად ჩაება საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ახლად დაარსებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში. სწავლობს ხელნაწერებს, ადგენს კატალოგებსა და აღწერილობებს, აქვეყნებს საყურადღებო დოკუმენტებს, კითხულობს მოხსენებებს. არქივებისა და მუზეუმების სპეციფიკური სურნელებისადმი სიყვარული კ. კეკელიძეს შემდეგ თუ გაუორკეცდა, თორემ აროდეს განელებია. ხელნაწერთა აღწერილობების შედგენას ის ეწეოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე.

1907 წელს კ. კეკელიძემ დაასრულა თავისი საკანდიდატო შრომის გადამუშავება და წარუდგინა იგი კიევის აკადემიას მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ბეჭდურად გამოქვეყნდა ეს შრომა 1908 წელს აკადემიის ხარჯით. მნიშვნელოვნად გაფართოებულსა და გაღრმავებულ სამაგისტრო შრომას ისეთივე წარმატება ხვდა წილად, როგორც ამავე შრომის საკანდიდატოდ დაწერილ ვარიანტს. ეს იყო პირველი შემთხვევა რუსეთის აკადემიათა პრაქტიკაში, როდესაც სამაგისტრო დისერტაციას იცავდა ქართველი კაცი ქართულ თემაზე. შრომის საჯაროდ დაცვის წინ კ. კეკელიძემ წარმოთქვა მხურვალე მეცნიერულ-პატრიოტული სიტყვა. ამ სიტყვაში მან მკაცრად გააკრიტიკა სასულიერო აკადემიების ნიჰილისტური დამოკიდებულება ძველი ქართული კულტურის საკითხებისადმი და ხმამაღლა განაცხადა: „ქარ-

თული ეკლესია აღმოცენდა ქრისტიანობის გარიჟრაჟზე. მან ჯერ კიდევ IV—V სს. შეიმუშავა თავისი საკუთარი სალიტერატურო ენა, რომლის საშუალებითაც დაიწყო ბერძნულ-ბიზანტიური საქრისტიანო ცივილიზაციის ათვისება და ეროვნული გენიის ძალით გარდაქმნა იგი ივერიზმის ცხადად გამოკვეთილი ნიშნების მქონე თავისებურ კულტურულ სისტემად“.

დისერტანტი აღნიშნავდა, რომ ქართული. კულტურა ზეგავლენას ახდენდა თვით განათლებულ ბერძნებზე, რომ ქართულმა მწერლობამ კაცობრიობას გადაუჩინა საქრისტიანო ცივილიზაციის დიდი საგანძური და რომ ამიერიდან „არცერთ ნაშრომს, რომელიც კი ძველი საქრისტიანო-საეკლესიო მწერლობის ამა თუ იმ საკითხის შესწავლას ეძღვნება, სათანადო საკითხის ყოველმხრივად გაშუქებისა და გამოკვლევის თვალსაზრისით არ შეიძლება ჰქონდეს სამეცნიერო პრეტენზია ქართული ხელნაწერი საგანძურებით შემონახული ცნობების გარეშე“.

კ. კეკელიძემ ბრწყინვალედ დაიცვა თავისი შრომა და დამსახურებულად მოიპოვა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი. მისმა თამამმა, პრინციპულმა, ღრმად მეცნიერულმა და პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულმა სიტყვამ კიევისა და პეტერბურგის საზოგადოებისა და პრესის საგანგებო ყურადღება მიიპყრო.

კ. კეკელიძის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლას დიდი კმაყოფილებით შეხვდა პეტერბურგის სახელოვან ორიენტალისტთა წრე, კერძოდ ქართველოლოგთა ჯგუფი. განსაკუთრებით მოხარული იყო ნ. მარი. იგი ამხნევებდა ახალგაზრდა მკვლევარს, ურჩევდა წარმატებით წამოწყებული საქმის შეუფერხებლევ გაგრძელებას. ნ. მარმა კ. კეკელიძე მიიწვია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალური ორგანოს „Христианский Восток“-ის მუდმივ თანამშრომლად. 1912—1917 წლების მანძილზე ამ ორგანოში დაიბეჭდა კ. კეკელიძის არაერთი ნაშრომი.

თავისი გამოკვლევებითა და გამოკვლევებით კ. კეკელიძემ მალე მოიხვეჭა მოწინავე მეცნიერის სახელი. მასთან ცხოველი საქმიანი მიმოწერა გააჩაღა რუსეთისა და საზღვარგარეთის მრავალმა მეცნიერმა.

კ. კეკელიძის ნაშრომებმა ბევრ საზღვარგარეთელ მეცნიერს აღუძრა ინტერესი ქართული მწიგნობრული წყაროებისადმი.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციიდან იწყება კ. კეკელიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ახალი პერიოდი. შემაჯამებელი ხასიათის ერთ წერილში ის ამბობდა: „ნამდვილი პირობები ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლისათ-

ვის შეიქმნა მხოლოდ ცარიზმის დამხობის შემდეგ, განსაკუთრებით კი ოქტომბრის დიდი რევოლუციის მეოხებით“.²

1918 წელს ი. ჯავახიშვილის მეთაურობით საფუძველი ჩაეყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. კ. კეკელიძე თბილისიდან მხურვალედ გამოეხმაურა პეტერბურგის ქართულ მეცნიერ-ენტუზიასტთა იმ ჯგუფს, რომელსაც ქართული უნივერსიტეტის გახსნა გადაეწყვიტა. კ. კეკელიძეც ერთი იმ მთავარი ბურჟუაზია, რომელზედაც დაეფუძნა პირველი უმაღლესი სასწავლებელი განახლებულ საქართველოში. კ. კეკელიძე სათავეში ჩაუდგა და სიკვდილამდე უცვლელად განაგებდა თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. იგი იყო პირველი პროფესორი იმ სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინისა, რომელსაც თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სამოცი ნაყოფიერი წელი შესწირა. პროფესორობასთან ერთად კ. კეკელიძე წლების მანძილზე ეწეოდა უნივერსიტეტში სამეცნიერო-ადმინისტრაციულ მოღვაწეობას.

არაჩვეულებრივად გაფართოვდა და გაღრმავდა თბილისის უნივერსიტეტის მუშაობა საბჭოთა პერიოდში. კ. კეკელიძე უნივერსიტეტის წინსვლისა და ზრდის ერთი ხელმძღვანელი მონაწილეა. მან ბევრი გააყეთა საუნივერსიტეტო ცხოვრების ახალ სამეცნიერო ნიადაგზე გადასაყვანად. ფრთები გაშალა კ. კეკელიძის სამეცნიერო-კვლევითმა და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ. არაჩვეულებრივი ნაყოფიერებით განაგრძობდა იგი თავის საყვარელ საქმეს — კვლევაძიებითს მუშაობას. ზედიზედ ბეჭდავს დიდი შეცნიერული ღირებულების მქონე არა ერთსა და ორ გამოკვლევას. მცირე დროის განმავლობაში აქვეყნებს „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ორ ვებერთელა ტომს (1923—1924 წწ.)

ღვაწლმოსილი მეცნიერი 1941 წელს აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის ნამდვილ წევრად. 1942—1949 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წიაღში დაარსებულ რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. შემდეგ წლებში განაგებდა იმავე ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებას. ერთხანს სათავეში ედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას.

კ. კეკელიძე თვლიდა, რომ მან ხელი აიღო „ყოვლისმცოდნეობაზე“, რომელიც ერთ დროს გაბატონებული იყო ჰუმანიტარულ ქართველოლოგიაში (ერთი და იგივე პირი მუშაობდა ლინგვისტიკაშიც, ის-

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი, ოსუ შრომები, XIX (1941), გვ. 142.

ტორიაშიც, არქეოლოგიაშიც, ლიტერატურათმცოდნეობაშიც და ა. შ.) და სპეციალურად შეუდგა ძველი ქართული მწერლობის საკითხების შესწავლას. ძირითადად ეს ასეა, ოღონდ იგი არ შემოფარგლულა ვიწრო სპეციალობის პრობლემატიკით და დროდადრო საყურადღებო ნაშრომებს ბეჭდავდა ენათმეცნიერებისა და საკუთრივ ისტორიის საკითხებზე. კ. კეკელიძე ფართო ინტერესების მკვლევარია. მას გამოქვეყნებული აქვს ორასორმოცდაათზე მეტი ნაშრომი, აქედან ბევრი ცალკე წიგნად. მისი წერილები გაბხეულია სხვადასხვა სამეცნიერო ორგანოებში და ჟურნალ-გაზეთებში. გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია კრებულებში — „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, რომლებიც სისტემატურად ქვეყნდება 1945 წლიდან (დაბეჭდილია „ეტიუდების“ ცამეტი ტომი).

1889 წელს ა. ცაგარელი აღნიშნავდა: „ქართული ლიტერატურის ისტორიის დამუშავება ახლა იმყოფება, ასე ვთქვათ, ბიბლიოგრაფიულს ანუ სტატისტიკურ პერიოდში“. ამ სტრიქონების დაწერის შემდეგ კ. კეკელიძის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლამდის ბევრი გაკეთდა ძველი ქართული მწერლობის შესასწავლად, მაგრამ არსებითად მაინც დაუძლეველი რჩებოდა ქართული სამწერლობო ძეგლების პირველი დაგროვებისა და რეგისტრაციის, ან — ა. ცაგარლის ტერმინით — სტატისტიკური პერიოდი. კ. კეკელიძე იმთავითვე გულმოდგინედ დაეწაფა ძველი ქართული მწერლობის პირველ წყაროებს. საკვლევ ობიექტებს იგი უშუალოდ ეცნობოდა სიძველეთსაცავებში, არქივებში, ეკლესია-მონასტრებში, კერძო შეპატრონეთა კოლექციებში.

დიდი მეცნიერული ღირებულებისაა კ. კეკელიძის მიერ იშვიათი მეცნიერული სკრუპულოზობით შედგენილი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობარი, უკეთ, საძიებელი-კატალოგი — „უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში“ და „ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია“. აქ აღრიცხულია სათანადო წყაროების დამოწმებით ქართულ ენაზე არსებული ყველა ნათარგმნი ძეგლი, მათი ავტორი და მთარგმნელი.³ ცნობარის შედგენამ მოითხოვა კოლოსალური შრომა. მისი შექმნა შესაძლებელი გახდა თვითონ კ. კეკელიძის მიერ გაწეულმა ხანგრძლივმა საკვლევადიებო მუშაობამ.

კ. კეკელიძე დახელოვნებული ტექსტოლოგია. როგორც ტექსტების მეცნიერმა გამომცემელმა, მან ადრევე გაითქვა სახელი.

კ. კეკელიძის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის დროს ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი ჯერ სრულიად ხელშეუხებელი იყო. მოიპოვებოდა მხოლოდ მცირეოდენი უკ-

³ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957, გვ. 5—211.

რიტიკო გამოცემანი. კ. კეკელიძე დიდი ცოდნით, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობითა და სიფრთხილით შეუდგა ქართული ლიტერატურული ძეგლების გამოქვეყნებას.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1915 წ. კ. კეკელიძეს დაავალა წამოეწყო ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტების სისტემური გამოცემა. „ჰაგიოგრაფიული ჟანრი მწერლობისა ერთ-ერთი უძველესი და პოპულარული ჟანრია ძველი ქართული ლიტერატურისა. მისი პოპულარობა იმითაც აიხსნება, რომ ჰაგიოგრაფია წარმოადგენდა არა მარტო „სულთა მარგებელი“ რომანის ჟანრს, არამედ ისტორიული მწერლობის ერთ-ერთ დარგსაც, იმდენადვე მნიშვნელოვანს, რამდენადაც საკუთრივ ისტორიული მწერლობა. ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, რომელნიც „წმიდათა“ „ცხოვრება-მარტვილობას“ შეიცავენ, ავტორებს ისეთი დეტალები და რეალიები დაუტოვებიათ, რაც ნაფიც ქრონისტებსა და მემპტიანებს უყურადღებოდ რჩებოდათ ხოლმე“⁴. კ. კეკელიძემ შეადგინა ჰაგიოგრაფიული ტექსტების გამოცემის გეგმა, რომელიც დაამტკიცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ. ამ გეგმის მიხედვით, უნდა დაარსებულიყო ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების სერია: Monumenta hagiographica Georgica. მთელი გამოცემა უნდა გაყოფილიყო სამ ნაწილად: პირველ ნაწილში შევიდოდა ე. წ. კიმენური ტექსტები (უძველესი; „ლიტონად“, ანუ უბრალოდ აღწერილი და შეუსწორებელი რედაქციის მქონე ტექსტები), მეორე ნაწილში — მეტაფრასული, ანუ შესწორებულ-აღკაშმული რედაქციის მერმინდელი ტექსტები, მესამე ნაწილში — ქართველ წმინდანთა „ცხოვრებანი“ (ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ძეგლები). კ. კეკელიძეს განზრახული ჰქონდა 8 ტომად დაებეჭდა „ქართული ჰაგიოგრაფიის ისეთი ტექსტები, რომელთა ბერძნული თუ სხვა დედანი დღეს უკვე დაკარგულია“.

ამ გრანდიოზულ წამოწყებას მხოლოდ საფუძველი ჩაეყარა. 1918 წელს გამოვიდა ჰაგიოგრაფიული სერიის პირველი მონუმენტური ტომი (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი I, გამოცემა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა, პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქტორობით, თბილისი, 1918, XVIII + 350 გვ.). „კიმენის“ მეორე ტომის გამოცემა განხორციელდა მხოლოდ 1946 წელს (ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი II, 239 გვ.).

„კიმენის“ გამოცემამ იმდენი ყურადღება დაიმსახურა საზღვარგარეთულ სამეცნიერო წრეებში, რომ იმაში მოთავსებული მასალა ნაწილ-ნაწილ ითარგმნებოდა ლათინურ ენაზე ცნობილი ორიენტალის-

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი, თსუ შრომები, XIX (1941), გვ. 150.

ტისა და ჰაგიოლოგის პ. პეტერსის მიერ. პ. პეტერსმა სპეციალური რეცენზია უძღვნა „კიმენის“ პირველი ტომის გამოცემას.⁵ რეცენზია მთავრდებოდა საგულისხმო სიტყვებით: „ჩვენ გვინდა ვიჭონიოთ იმედი, რომ დადგება ის დრო, როდესაც ამ დიდი საქმის ინიციატორები შეძლებენ მის გაგრძელებას და დამთავრებას ყველა იმათთან კავშირში, რომელთაც (დიდი წამოწყების) საფუძველი ჩაჰყარეს“. თვითონ კ. კეკელიძე „კიმენის“ პირველი ტომის შესავალ წერილში საგანგებოდ აღნიშნავდა: „დღეს მხოლოდ საფუძველი ედება ამ დიად საქმეს და იმედია... თანდათანობით გამოჩნდებიან, ჩვენი წინაპართა ერთი რომ ვთქვათ, „სწავლისმოყუარენი“, რომელნიც დაწყებულ საქმეს სასურველად დააგვირგვინებენ“.

კ. კეკელიძეს დამზადებული ჰქონდა მასალები ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების არა ერთი ტომის გამოსაცემად. აქედან 1940 წელს ვრცელი გამოკვლევით დაბეჭდა „ცხოვრება და მოქალაქობა ტიმოთე ანტიოქელისა“ (ენიმკის მოამბე, VII, 1940).

კ. კეკელიძე შემდეგაც განაგრძობდა ისეთი ჰაგიოგრაფიული ძეგლების ქართულ თარგმანთა გამოცემას, რომელთა დედნები დაკარგულია, ან ქართული რედაქციულ თავისებურებას ამჟღავნებს.

საგანგებო ყურადღების ღირსია ის ღვაწლი, რაც კ. კეკელიძეს მიუძღვის ორიგინალური ქართული ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის მხრივ. 1935 წელს კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით გამოქვეყნდა იოანე საბანისძის „მარტვილობა აბო ტფილელისა“ და ბასილ ზარზმელის „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“.

„აბო ტფილელის მარტვილობისა“ და „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა“ კეკელიძისეულ გამოცემას (როგორც წესი, აგრეთვე მის სხვა გამოცემებსაც) ახლავს სრული მეცნიერული აპარატი: ვარიანტები, შენიშვნები, ლექსიკონი, გამოკვლევა.

კ. კეკელიძემ რუსულად გადათარგმნა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადა მის მიერვე მეცნიერულად გამოცემული ჰაგიოგრაფიული ტექსტები — „აბო ტფილელის მარტვილობა“ და „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, აგრეთვე იაკობ ცურტაველის „მარტვილობა შუშანიკისი“ (1956 წ.). ეს თარგმანები შესრულებულია დიდი ცოდნითა და ოსტატობით.

ბევრი აქვს კ. კეკელიძეს გაკეთებული ძველი ქართული საერო მწერლობის ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკულად გამოცემის მხრითაც. 1930 წელს მისი ხელმძღვანელობით გამოვიდა „შვიდი მთიები“ ანუ „ბარამგურიანი“. კ. კეკელიძემ მონაწილეობა მიიღო „როსტომიანის“ ქართული ვერსიის მეორე ვებერთელა ტომის გამოცემაში (1934 წ.).

⁵ AB, XLIII (1925), გვ. 379—381.

1938 წელს კ. კეკელიძის, ა. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას მეცნიერული რედაქტორობით დაიბეჭდა „ვისრამიანი“. კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით გამოქვეყნდა ი. ბაგრატიონის „კალმასობის“ ორი ტომი (1936—1948 წწ.). კ. კეკელიძის თანამშრომლობით მომზადდა დ. გურამიშვილის თხზულებათა საიუბილეო გამოცემა 1955 წლისა (ამ გამოცემას თან ახლავს კ. კეკელიძის მიერ შედგენილი კომენტარები). კ. კეკელიძის საერთო რედაქციით გამოქვეყნდა „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ (1947 წ.) და „ჩვენი საუნჯის“ პირველი ტომი (1960 წ.). ა. შანიძესთან ერთად კ. კეკელიძე თავმჯდომარეობდა რუსთველოლოგთა იმ კომისიას, რომელმაც მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა (1937 წ.). კ. კეკელიძის თანარედაქტორობით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ 1951, 1957, 1960 წლების გამოცემები. კ. კეკელიძის ხელმძღვანელობით მომზადდა გამოსაცემად სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულის მესამე ტომი. კ. კეკელიძის მეთაურობით განხორციელდა ნ. ბარათაშვილის ნაწერების საიუბილეო გამოცემა (1945 წ.).

კ. კეკელიძე ძველი ქართული მწერლობის დიდი მკვლევარია, განსაკუთრებით დაუფასებელია ის ღვაწლი, რაც მას მიუძღვის ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის მხრივ.

კ. კეკელიძეს იმთავითვე კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის ორმაგი მნიშვნელობა: ერთი კერძო, საკუთრივ ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით და მეორე, ზოგადი — მსოფლიო საქრისტიანო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. კ. კეკელიძე ამბობდა: „ქართულ ლიტერატურას მტკიცე, განუყრელი კავშირი ჰქონდა წინააზიის და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურასთან, სახელდობრ: სპარსულთან, სომხურთან, სირიულთან, არაბულთან, ბერძნულთან, რუსულთან და (დასავლეთ) ევროპულთან. ამიტომ მან შემოგვიჩინა უძველესი პერიოდის თარგმანებში ისეთი ძეგლები, რომელთა ორიგინალი დროთა მსვლელობაში დაკარგულა და მეცნიერებაში საძიებელი გამხდარა“⁶.

ბუნებრივად ძლიერი იყო საქართველოს სულიერი კავშირი საქრისტიანო მსოფლიოსთან, უმთავრესად ბიზანტიასთან, რამდენადაც „ბიზანტიური კულტურა ერთ დროს მსოფლიო კულტურის როლში გამოდიოდა. საშუალო საუკუნეებში მის ნიადაგზე იფურჩქნებოდა არა მარტო ბიზანტიისა და რუსეთის ქრისტიანული კულტურა, არამედ დასავლეთ ევროპისაც“⁷.

⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი, ოსუ შრომები, XIX (1941), გვ. 141.

⁷ იქვე, გვ. 143.

ქ. კეკელიძე წლების განმავლობაში სისტემატურად აქვეყნებდა ძველი ქართული მწერლობის ისეთ პირველხარისხოვან ძეგლებს, რომლებითაც, ერთი მხრივ, შუქი შეჰქონდა ჩვენი ისტორიული წარსულის ბუნდოვანი საკითხების გარკვევაში, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად ავსებდა მსოფლიო საქრისტიანო ლიტერატურის ისტორიის ხარვეზებს. საკმარისი იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ ბიზანტიური და მსოფლიო საქრისტიანო ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის სვიმეონ ლოლოთეტის მოღვაწეობის ხასიათის, დროისა და შრომების მოცულობის „ამდენხანს მეცნიერებაში საცილობელი და გაურკვეველი (საკითხები) საბოლოოდ გაირკვა ქართული მასალების საშუალებით“⁸. ქ. კეკელიძემ იზოვა და გამოაქვეყნა ეფრემ მცირის „მოსახსენებელი მცირე სვიმეონისათვის ლოლოთეტისა“⁹ რომლითაც ნათელი გახადა X ს. გამოჩენილი ბიზანტიელი მწერლის მთელი სალიტერატურო მოღვაწეობა. მაგრამ ეს ცოტაა. სვიმეონ ლოლოთეტს ვაღამეტაფრასებული ჰქონია სექტემბერ-იანვრის თვეების ჰაგიოგრაფიული ტექსტები. მეცნიერებამ არაფერი იცოდა დანარჩენი შვიდი თვის, თებერვალ-აგვისტოს, ტექსტების შესახებ. ქ. კეკელიძეს ბედნიერი შემთხვევა მიეცა ქართულ მასალებში აღმოეჩინა სვიმეონ ლოლოთეტის გამგრძელებლის, მანამდის უცნობი ნაყოფიერი მწერლის, იოანე ქსიფილინოსის ანდრძი, რომლითაც ერთბაშად გადაწყდა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანი. გამოირკვა, რომ XI საუკუნის მოღვაწეს „პალატისა მწიგნობართა უადრესს, ყოვლად ბრძენ ფილოსოფოს“ ქსიფილინოსს გაუგრძელებია და დაუსრულებია სვიმეონ ლოლოთეტის საქმიანობა. ქსიფილინოსს გადაუმეტაფრასებია თებერვალ-აგვისტოს თვეების ჰაგიოგრაფიული ტექსტები. საყურადღებოა, რომ „ქსიფილინოსის შრომა, რომელიც ბერძნულ ენაზე არ შენახულა, ქართულად თითქმის მთლიანადაა დაცული, ასე რომ შესაძლებელი ხდება საშუალო საუკუნეთა ბიზანტიური მწერლობის ერთი მსხვილი ხარვეზის ამოვსება“. ქ. კეკელიძის ნარკვევმა და პუბლიკაციამ „Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста“¹⁰ დიდი სენსაცია გამოიწვია როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. აკადემიკოსი ვ. ლატიშევი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სპეციალურად მუშაობდა ბერძნულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებზე, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ქ. კეკელიძის აღმოჩენას საგანგებო წერილით.¹¹ ქ. კეკელიძის მიერ

⁸ იქვე, გვ. 151.

⁹ ТКДА, 1910, № 2, გვ. 1—10 (ეტიუდები, V, გვ. 212—226).

¹⁰ ХВ, ტ. I, ნაკვ. III (1912), გვ. 325—346 (ეტიუდები, V, გვ. 229—247).

¹¹ ИАН (1918), გვ. 231—240.

მოპოვებულ ტექსტს (იოანე ქსიფილინოსის ანდერძის თარგმანს) ვ. ლატიშევი უწოდებს „უაღრესად საინტერესოსა და მნიშვნელოვან დოკუმენტს“. ვ. ლატიშევი აღნიშნავს, რომ იოანე ქსიფილინოსის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ დღემდის არაერთი ცნობები არ მოგვეპოვებოდა, ამიტომაც კ. კეკელიძეს სრული უფლება ჰქონდაო მის მიერ გამოცემული დოკუმენტით ჩაეთვალა „своего рода открытием в истории средневековой византийской письменности“ (გვ. 237). სხვათა შორის, ვ. ლატიშევა ანონიმურად მიჩნეული და მის მიერვე გამოცემული ჰაგიოგრაფიული ტექსტები სწორედ იოანე ქსიფილინოსს მიაწერა. 1947 წელს კ. კეკელიძემ კიდევ ერთი ახალი ღირსშესანიშნავი ნაშრომი მიუძღვნა ბიზანტიური მეტაფრასტული მწერლობის საკითხს.¹²

აღნიშნულ აღმოჩენებთან დაკავშირებით კ. კეკელიძემ გაარკვია საცილობელი ლიტერატურული ტერმინის „კიმენის“ აზრი და მნიშვნელობა. კიმენი ჰრქმევია არა მწერალს, არა მთარგმნელს (როგორც ფიქრობდა, მაგალ., თ. ჟორდანიას), არამედ იმ პირველად, ლიტონად ნათარგმნ ტექსტს, რომელიც გამხდარა წყაროდ ლიტერატურული გადამუშავებისა (გადამეტაფრასებისა).

თავისი გამოკვლევებითა და პუბლიკაციებით კ. კეკელიძე ავსებს ბიზანტიური (და მსოფლიო საქრისტიანო) ლიტერატურის ისტორიის ხარვეზებს. ყველაზე მეტი სამსახური მან გაუწია ჰაგიოგრაფიას. ბევრი შესძინა კ. კეკელიძემ სასულიერო მწერლობის სხვა სპეციფიკური დარგების (ბიბლიოლოგიის, თეოლოგიის, ლიტურგიკის, სასულიერო პოეზიისა და სხვა) შესწავლასაც. საკმარისია, თუ მოვიგონებთ, რომ მან აღმოაჩინა და ვრცელი გამოკვლევით გამოსცა არისტოტელეს მიმდევრის მიტროფანე სმირნელის ფილოსოფიური შინაარსის თხზულება, რომლის კვალი ბერძნულ ენაზე არ შენახულა. ცალკე აღსანიშნავია, რომ ქართულმა მასალებმა გადაარჩინა ბიზანტიის გამოჩენილი ფილოსოფოსის მიქაელ ფსელოსის თხზულება „პირმშოფასათუს“. ერთი სიტყვით, „ქართული მასალების საშუალებითა და დახმარებით სულ ახალ-ახალი ჰორიზონტები იშლება ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში“¹³. სრულიად უდავო, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე კ. კეკელიძემ ნათელყო, თუ რა წვლილი შეაქვს ძველ ქართულ მწერლობას მსოფლიო საქრისტიანო ლიტერატურის ისტორიაში.

კ. კეკელიძე საბუთიანად ამტკიცებდა, რომ ნათარგმნი ლიტერატურ-

¹² კ. კეკელიძე, ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია, თსუ შრომები, XXX—XIX XI (1947), გვ. 19—95 (ეტიუდები, V, გვ. 140—211).

¹³ კ. კეკელიძე, ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში, ეტიუდები, III, თბ., 1955, გვ. 4.

რა ქართული ეროვნული მწერლობის ისტორიის ორგანული ნაწილია. გარდა ცალკეული მრავალრიცხოვანი შენიშვნებისა, ამ საკითხს მან მიუძღვნა განმარტავადებული ხასიათის სპეციალური ნარკვევი „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“.¹⁴

უდავოა, რომ უცხოეთიდან შემოსული თხზულებები ამდიდრებდნენ ჩვენს ლიტერატურას, ამდიდრებდნენ როგორც რაოდენობრივად, ისე თვისობრივადაც. მკვლევარი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურულ კავშირს უცხოეთთან, კერძოდ, ბიზანტიასთან, საურთიერთო ხასიათი ჰქონდა. ჯერ ერთი, ქართველები „ბიზანტიელებს გვერდში ამოუდგნენ კულტურულად“, ისინი ამ კულტურას ითვისებდნენ „კრიტიკულად, ატარებდნენ მას თავისი ეროვნული გენიის ბრძმედში“. მეორე მხრივ, ბერძნებს საქართველოდანაც ბევრი კულტურული განძი გაუტანიათ და იმით გაუმდიდრებიათ როგორც თავიანთი, ისე მსოფლიო კულტურის საგანძური. ასე, მაგალითად, თავის დროზე ბერძნულად გადაუთარგმნიათ ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლები „ცხოვრება ექვთიმე მთაწმიდელისა“ და „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა“. კ. კეკელიძემ სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნა ქართული ენიდან ბერძნულად ნათარგმნ ისეთ თხზულებებს, რომელთაც მსოფლიო რეზონანსი ჰქონდათ. ასეთებია სახელგანთქმული „სიბრძნე ბალავარისა“¹⁵ და „აბუკურა“¹⁶. ორივე ეს ძეგლი ქართულიდან ბერძნულად გადაულია ექვთიმე ათონელს. კ. კეკელიძემ გამოარკვია, რომ ექვთიმე ათონელს პირდაპირ ბერძნულ ენაზე დაუწერია ორიგინალური თხზულება სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ხასიათისა „წესი შუენიერი და პატიოსანი, თუ ვითარ ჯერ-არს ცხორებაჲ დაყუდებულისაჲ გინა მართოდმოყვისაჲ“. მკვლევარი ასაბუთებს, რომ თუმცა ამ თემაზე ბიზანტიაში „მთელი ტომები დაუწერიათ სხვადასხვა პირთ“, ექვთიმეს ორიგინალობა გამოუჩენია და საკითხი საკუთარი მიდგომით განუხილავს. წინააღმდეგ ბერძნული პრაქტიკის „უსასტიკესი რიგორიზმისა“, ექვთიმე „დიდ ჰუმანიზმს ამჟღავნებს“. კიდევ მეტი. „ჰუმანიზმის იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ჩვენს ავტორს ვხედავთ, არ ასულა არც ერთი წარმომადგენელი ბერძნულ-ბიზანტიური პრაქტიკისა“. მკვლევარი ასკვნის: „ექვთიმეს სახით ქართველებს მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ ბიზანტიური კულტურის და მწერლობის საღაროში“.

¹⁴ „ლიტერატურული ძიებანი“, VII (1951), გვ. 169—183 (ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 183—197).

¹⁵ „ლიტერატურული ძიებანი“, XI (1958), გვ. 145—172 (ეტიუდები, VI, თბ., 1960, გვ. 41—71).

¹⁶ კ. კეკელიძე, ეტიუდები, VI, გვ. 18—46.

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ე. წ. ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა ქართული ელემენტები. ჯერ კიდევ IV საუკუნეში ბერძნული მწერლობის ასპარეზზე სახელი გაუთქვამს მისტიკურ-ასკეტიკური მიმართულების გამოჩენილ წარმომადგენელს ევაგრე ქართველს. V საუკუნეში მოღვაწეობდა კიდევ უფრო სახელგანთქმული პეტრე ქართველი (იბერიელი), შემდეგ საუკუნეებში — ანტონ სელევკიელი, თეოფილე ტარსელი, იოანე პეტრიწი, პატრიარქი გერასიმე მესამე და სხვ. ბოლოს ანთიმოზ ივერიელი (რუმინული მწერლობის ფუძემდებელი).

ქართველები დიდად აფასებდნენ ბიზანტიურ კულტურას, მაგრამ მათ კარგად იცოდნენ თავიანთი ეროვნული კულტურის ფასი და არათუ ქედს იხრიდნენ ბიზანტიზმის წინაშე, არამედ მეტოქეობას უწევდნენ. „ჩვენი პატარა სამშობლო უდავო მეტოქეობას უწევს ისეთ დიდ ქვეყანას, როგორც იყო ბიზანტია“, აცხადებს კ. კეკელიძე და ამისი დამამტკიცებელი მრავალი ფაქტი მოჰყავს.¹⁷

ქართველები სცნობდნენ და აღიარებდნენ ბიზანტიური კულტურის დიდ მნიშვნელობას მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე. მათ მეტად მწვავედ განიცადეს ბიზანტიური სახელმწიფოს ციტადელის — კონსტანტინოპოლის დაცემა XV საუკუნეში, შეეცადნენ კიდევაც მის დახსნას თურქების ბატონობისაგან; მაგრამ ქართველები არასოდეს არ ურიგდებოდნენ ბერძნების ქედმაღლობასა და გულზვიადობას, ამხილებდნენ მათ დიდმპყრობელურ შოვინიზმს, მათ მტაცებლობას.

ქართველობის წარმატებამ და „საერთაშორისო ასპარეზზე დაწინაურებამ“ შეაშფოთა გულზვიადი ბერძნები, ისინი აშკარა შემოტევაზე გადმოვიდნენ, მოიწადინეს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის შელახვა, საზღვარგარეთული ქართული ეკლესია-მონასტრების მიტაცება და დასაკუთრება. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ: „ამით აიხსნება წყევლა-კრულვა ათონის ქართველებისა“ იმათ მიმართ, ვინც ანგარებით თუ სხვა მოსაზრებით ხელს უწყობდნენ ბერძნების ძალმომრეობას. ამითვე აიხსნება გრიგოლ ბაკურიანისძის ანდერძი, რომ მის მიერ დაარსებულ პეტრიწონის ქართულ მონასტერში არ იქნენ დაშვებული „ძალადობას, მტაცებლობას და ანგარებას მიჩვეული ბერძნები“.

როგორც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი, კ. კეკელიძე საგანგებოდ იხილავს ამ მწერლობის პერიოდის პირობებს. ცალკეულ შენიშვნებთან ერთად, ამ საკითხს ეძღვნება მონოგრაფიული გამოკვლევა „ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია“ (1933 წ.). კ. კეკელიძემ წამოაყენა საკუთარი თეორია ძვე-

¹⁷ კ. კეკელიძე, კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარქული ძველ ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1949 (ცრულები, IV, თბ., 1957, გვ. 110—133).

ლი ქართული საერო მწერლობის აღმოცენებისა და განვითარების თაობაზე. გარდა დასახელებული ნაშრომისა („ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია“) ამ პრობლემას განეკუთვნება წერილების სერია „ქართული საერო მწერლობის წარმოშობის პრობლემისათვის“ („წმინდა მხედარი“ ძველ ქართულ მწერლობაში, „სამიჯნურო ცთუნების“ პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში, რომანი „ტავრომენიანი“. ძველ ქართულ ლიტერატურაში, ძველი ქართული ავანტურული რომანი და მისი წინამორბედი ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში“).¹⁸ კ. კეკელიძე ამტკიცებს, რომ საერო ლიტერატურა წარმოიშვა „სასულიერო მწერლობის მომდევნოდ და მის შედეგად“, რომ საერო მწერლობის აღმოცენება მოამზადა სასულიერო მწერლობის განვითარებამ, რომ საერო მწერლობა „დიალექტიკური განვითარებაა სასულიერო მწერლობისა და კანონზომიერად წარმოიშობა მისგან“.

კ. კეკელიძის თვალსაზრისის თანახმად, ძველმა ქართულმა სასულიერო მწერლობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერო ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესში: „ეს როლი იყო, ერთი მხრით, ფორმალური ხასიათისა: საერო მწერლობამ სასულიეროსაგან დაიმკვიდრა სავსებით დამუშავებული ლიტერატურული ენა, მან გაიმეორა მისი მთავარი უნარები (ეპოსი, ლირიკა) და კომპოზიციური ხერხები; მეორე მხრით, შინაარსობრივი: სატრფიალო-სამიჯნურო და სადევემირო მოტივები, რომელნიც წარმოდგენილი არიან კლასიკური პერიოდის საერო ლიტერატურაში. უკანასკნელმა, ელემენტების სახით, ჰაგიოგრაფიული და აპოკრიფული ბელეტრისტიკიდანაც მიიღო“. კ. კეკელიძე ასაბუთებს, რომ ჰაგიოგრაფიული მწერლობისათვის უცხო არ იყო არც სატრფიალო-სამიჯნურო მოტივები („სამიჯნურო ცთუნებანი“) და არც საგმირო-სათავგადასავლო ამბები. მოჰყავს მისი მრავალი კონკრეტული მაგალითი. თავის მხრივ, ჰაგიოგრაფიული რომანის გმირი, გარკვეულს სოციალურ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ-კულტურულ პირობებში საერო ლიტერატურის ამქვეყნიურ გმირად ქცეულა. სასულიერო მწერლობის წიაღში ჩაისახა საერო მწერლობის ცალკეული მოტივები, ხოლო „ჰაგიოგრაფიულმა ბელეტრისტიკამ და შესხმაქებითმა ენკომიებმა ქართველი მკითხველი მისთვის შეუმჩნევლად მიიყვანეს საერო რომანებისა და ხოტბების საღარომდე“. ერთი სიტყვით, გარკვეული შინაარსისა და ფორმის „თხზულებები სასულიერო მწერლობისა ნიადაგს ამზადებდა ჩვენში საერო-მხატვრული ლიტერატურის წარმოსაშობად და მასთან მკითხველთა შესაგუებლად“. ასე გადაიზარდა, კ. კეკელიძის შეხედულებით, ძველი ქართული სასულიერო მწერლობა საეროში, როდესაც კი საამისო საზოგადოებრივ-

¹⁸ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 1—33.

ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული პირობები მომწიფდა. ესაა დაახლოებით XI—XII საუკუნეთა მიჯნა, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ხანა.

მისთვის დამახასიათებელი გულმოდგინებითა და სიღრმით იკვლევდა კ. კეკელიძე ძველი ქართული საერო პოეზიის საჭირბოროტო, საკანძო პრობლემებს. პირველ ყოვლისა მისი ყურადღების ცენტრშია ქართული პოეზიის დიდება და მშვეება — შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“. სხვადასხვა დროს დაწერილ ნაშრომებში მას გაშუქებული აქვს რუსთველოლოგიური პრობლემატიკის სხვადასხვა საკითხი. კ. კეკელიძეს უფრო იზიდავდა რუსთველის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, თუმცა უყურადღებოდ არ დაუტოვებია „ვეფხისტყაოსნის“ არც იდეურ-შინაარსობრივი და არც ლიტერატურულ-მხატვრული მხარეები. კ. კეკელიძის უმთავრესი რუსთველოლოგიური ნაშრომების უბრალოდ დასახელებაც კი საკმაო წარმოდგენას ქმნის მკვლევრის ინტერესთა ნაირსახეობაზე (კ. კეკელიძის ძირითადი რუსთველოლოგიური ნაშრომები თავმოყრილია „ეტიუდების“ მეოთხე წიგნში*, ავტორის რუსთველოლოგიური ნააზრევი შეჯამებულია მისი ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში): 1. რუსთველოლოგიური შტუდიები (პერსონალური აღევგორიები: ნესტან-ტარიელი და თამარ-სოსლანი. თინათინი და თამარი. ზაზასეული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“); 2. რუსთველოლოგიის საკითხები: ა. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა; ბ. რუსთველის სადაურობისა და სახელისათვის; 3. პოეტი შოთაძე; 4. ახალი ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ; 5. რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი; 6. დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანისტი საშუალო საუკუნეებისა; 7. კ. ჰიჭინაძის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“; 8. Грузинское Возрождение; 9. რეცენზია პ. ინგოროყვას „რუსთველიანაზე“; 10. კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო; 11. „ვეფხისტყაოსანი“ როგორც წყარო საბას ლექსიკონისა; „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სიტყვა საბას ლექსიკონში; 12. რუსთველოლოგიური შენიშვნები: ა. რუსთაველის „მზიანი ღამე“, ბ. პოემის ერთი სტროფისათვის; 13. Отчет о работах Комиссии по установлению критического текста поэмы Вепхистгаосани для юбилейного (1937 г.) издания. კ. კეკელიძის მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანი“ არის მსოფლიო მნიშვნელობის მქონე დიდი ეროვნული ნაწარმოები, რომელიც გვხიბლავს თავისი მშვენიერი, მიმზიდველი ამბით, ღრმააზროვანი ბრძნული ფილოსოფიური შეგონებებით, პროგრესული აზროვნებით, ხალასი პოეტური ენით, ცოცხალი ხალხური მეტყველებით, დაადი ეპიკური სტილით, „რომელიც დინჯია და ნაზი, როგორც საქართველოს ვე-

* აგრეთვე კრებულში — რუსთველოლოგიური ნარკვევები, თბ., 1971.

ლები, ხან კი ქუხს ლამაზად შეკინძული ფრაზეებით, როგორც პოეტის სამშობლოს მთებიდან მოვარდნილი ჩანჩქერი“. „ვეფხისტყაოსანმა“ — ქ. კეკელიძის სიტყვებით რომ ვთქვათ — რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე ასახა, ვიდრე დასავლეთის რენესანსმა, ჰუმანისტური იდეები და კეთილშობილი მისწრაფებანი ადამიანისა.

ქ. კეკელიძის მოსაზრებით, ქართული რენესანსის წარმოშობა შეაპირობა ქართული კულტურის ისტორიული განვითარების ვითარებამ. რუსთველი კანონზომიერი მოვლენაა და ბუნებრივად მაღალი საფეხური ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და პოეტური კულტურის განვითარების ისტორიულ გზაზე. ქ. კეკელიძე აკრიტიკებს „ვეფხისტყაოსნის“ მეტორივით მოვლინების მცდარ თეორიას. რუსთველს ჰყავდაო თავისი ღირსეული წინამორბედნი, მას გაუჩნდა ბევრი მიმდევარიც. თუმცა იმთავითვე „აუშხედრდნენ ბნელეთის მოციქულები: კლერიკალურ-კონსერვატული წრის წარმომადგენლები, რომელნიც ებრძოდნენ მას სარწმუნოებრივ-მორალური პოზიციებიდან იმიტომ, რომ ის „არ ახსენებს სამებასა ერთარსულად“ და როგორც „სამეძაო“ ვითომცდა წიგნი, ოჯახურ მორალს ბღალავსო. ამის გამო ზოგი თავისი უილაჯო ინტერპოლაციით და ინკრუსტაციით შეუბრალებლად სჯიჯენიდა და ამახინჯებდა პოემის ნატიფ აღნაგობას, ზოგი კიდევ უღმობლად სდევნიდა მას და პირდაპირ აუტოდაფეს უმართავდა“.

ქ. კეკელიძემ ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ მცდარია დებულება რუსთველის მანიჭეველობაზე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის აღმსარებლობა არის ქრისტიანობა, მაგრამ არა დოგმატიკური. რელიგიური საკითხებისადმი რუსთველი „მეტად თავდაპერილია“, იგი ცდილობს მაღლა იდგეს ყოველგვარ საეკლესიო-კონფესიურ პარტიკულარიზმზე. კლერიკალური წრეების ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ „იყო წარმოებული იმდენად არა რელიგიურ ნიადაგზე, რამდენადაც მორალურზე“.

ქ. კეკელიძის რუსთველოლოგიურ ნაკვეთებში საჭირო სისრულით არის განხილული „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლაციებისა და პოემის პირველი გამოცემის საკითხები.

ჩვენ აღარ ვეხებით ქ. კეკელიძის გამოკვლევებს ძველი ქართული საერო მწერლობის სხვა საკითხებზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თავისი კომენტარებით ქ. კეკელიძემ დიდად შეუწყო ხელი რიგი ძეგლების შინაარსობრივ-აზრობრივი მხარეების ნათელყოფას. ასეთებია, მაგალითად: 1. კომენტარები „თამარიანის“ ზოგიერთი ტაუპისა; 2. კომენტარები „აბდულმესიანის“ ზოგიერთი ტაუპისა; 3. ერთი მომენტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა კლასიკური ხანის ლიტერატურაში; 4. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო; 5. ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის

ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან. კ. კეკელიძეს ეკუთვნის აგრეთვე „დავითიანის“ საიუბილეო გამოცემის (1955 წ.) მთელი ტექსტის კომენტარი.

დაუცხრომელი მკვლევარი ოდნავაც არ დაკმაყოფილებულა მართოდენ ფაქტობრივი მასალების დაგროვებით, მათი ავკარგიანობის შემოწმებით, აღწერით, პუბლიკაციითა და ისტორიულ-ლიტერატურული თუ ფილოლოგიური ხასიათის ანალიზით, ე. ი. ლიტერატურული ფაქტების მეცნიერული ფიქსაციით.

კ. კეკელიძის ფართო განათლებამ, კოლოსალურმა ერუდიციამ, ძველი ქართული მწერლობის სპეციფიკურსა და ვიწრო სპეციალურ საკითხებში განსწავლულობამ, დიდმა გამოცდილებამ, ნათელმა გონებამ, შრომისმოყვარეობამ და გულმოდგინებამ შეაპირობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მაღალხარისხოვანი მონუმენტური ორტომეული კურსის შექმნა. ორტომეულის პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1923—1924 წლებში. 1941 წელს დაიბეჭდა ორტომეულის მეორე, შესწორებული და საფუძვლიანად გადაშუშავებული გამოცემა. 1951—1952 წლებში გამოვიდა მესამე გამოცემა, 1958—1960 წლებში — მეოთხე (1958 წელს მეორე ტომი, 1960 წელს პირველი ტომი), 1980 წელს მეხუთედ დაიბეჭდა პირველი ტომი, 1981 წელს მეორე ტომი.

კ. კეკელიძისეული ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ყოველი ახალი გამოცემა წინა გამოცემასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია, გამდიდრებულია მასალებით და დახვეწილია. ავტორის ახალ-ახალი გამოკვლევები შესაფერისად ექსოვებოდა მისეულ კურსს.

კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომი მოიცავს სასულიერო მწერლობას უძველესი პერიოდიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე. გარდა შესავლისა, წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. შესავლის თავებია: 1. ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელობა და მისი შესწავლის მდგომარეობა; 2. ქართული ლიტერატურული ენა და დასაწყისი ქართული ლიტერატურისა; 3. პერიოდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა; 4. სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები ძველ საქართველოში. წიგნის პირველ ნაწილში მიმოხილულია 76 ცნობილი ქართველი მწერლის ცხოვრება და სალიტერატურო მოღვაწეობა. მეორე ნაწილში განხილულია ძველი ქართული მწერლობა დარგების მიხედვით (ბიბლიოლოგია, აპოკრიფები, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა; ჰაგიოგრაფია, ასკეტიკა და მისტიკა, ჰომილეტიკა, კანონიკა, ლიტურგიკა, სასულიერო პოეზია). მეორე ნაწილში ავტორი განმარტავდად აშუქებს სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგისა და სხვადასხვა ჟანრის საერთო საკითხებს,

აგრეთვე განსახილველი დარგის ფარგლებში აანალიზებს ისეთ ძეგლებს, რომელთა ავტორები ცნობილი არ არიან და ამიტომ წიგნის პირველ ნაწილში ვერ მოხვდნენ. ავტორი, რასაკვირველია, განსაკუთრებული გულისხმეობით ეპყრობა ქართულ ორიგინალურ „გამომეტყველთ“, მაგრამ ყურადღებას არ აკლებს არც „თარგმანთ“ და ნათარგმნ თხზულებებს. როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, კ. კეკელიძე თარგმანებს სრულიად სამართლიანად თვლის ქართული ლიტერატურის ორგანულ ნაწილად.

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომი მოიცავს საერთო მწერლობას მეთერთმეტე საუკუნიდან მეცხრამეტემდე. ამასაც უძღვის. ვრცელი შესავალი (ქართული საერო მწერლობის ჩასახვისა და მისი აღმოცენების პირობები. საერო მწერლობის დასაწყისი. ძველ ქართულ საეკლესიო და საერო მწერლობათა ურთიერთობა. ძველი ქართული საერო მწერლობის შესწავლის საქმე. ძველი ქართული საერო მწერლობის ისტორიის პერიოდები); შედგება სამი ნაწილისაგან: პირველი — კლასიკური პერიოდის ლიტერატურა, მეორე — დაცემის პერიოდის ლიტერატურა, მესამე — აღორძინების პერიოდის ლიტერატურა. ლიტერატურული მასალები აქ დალაგებული და განხილულია თემატიკურ-ჟანრობრივი პრინციპის კვალობაზე.

„ქართული ლიტერატურის ისტორია“ დავერგვინებაა მისი ავტორის მიერ ათეული წლების მანძილზე წარმოებული დაუცხრომელი კვლევებიტითი მუშაობისა. კ. კეკელიძემ შეაჯამა, დაასისტემა და ერთიან სამეცნიერო კურსად ჩამოაყალიბა მრავალფეროვანი ძველი ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. კ. კეკელიძის კურსი ახალი სიტყვაა ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისა. ავტორი, რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერად ითვალისწინებს სხვების ნამოღვაწარს, მაგრამ „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ძირითადად კ. კეკელიძის საკუთარი, დამოუკიდებელი კვლევათი და შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს. ორივე ტომი, უპირატესად პირველი, ემყარება უშუალოდ პირველწყაროებს, სპარქივო-სამუზეუმო ხელნაწერ მასალებს:

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსი მოფიქრებულია და დაწერილია უაღრესად ორიგინალურად. მასალის სიმდიდრითა და სიანხლით, მაქსიმალურად შესაძლებელი სისრულით, ანალიზის სიღრმით, სიმახვილითა და სინათლით. კ. კეკელიძის ორტომეული დიდ მეცნიერულ ღონეზე დგას და ღირსეულად უპასუხებს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მოთხოვნილებებს. იგი ნამდვილი სამაგიდო წიგნია და სახელმძღვანელო ყველასთვის, ვისაც რაიმე ინტერესი აქვს ძველი ქართული მწერლობისადმი.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ის სრული, მწყობრი

და სისტემური კურსი, რომელზეც ოცნებობდა ა. ცაგარელი, შექმნა კ. კეკელიძემ. შეიძლება ავტორს არ დაეთანხმოთ თავისი კურსის კონსტრუქციულ პრინციპებში, შეიძლება სადავო გახადოთ ცალკეული საკითხების გაშუქება, მაგრამ ყოველგვარი ცილობის გარეშეა კ. კეკელიძის მონუმენტური კურსის ორიგინალობა, სისრულე და სხვა მეცნიერული ღირსებანი. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ გამოირჩევა უხვი ფაქტობრივი მასალების ზუსტი მიმოხილვითა და ღრმა მეცნიერული ანალიზით, უჩვენებს ლიტერატურული ცხოვრების განვითარების რთული პროცესის ვითარებას. კ. კეკელიძეს მოუხდა უზარმაზარი შრომის გაწევა, რომ გამოეკვლია, შეემოწმებინა, წესრიგში მოეყვანა, აეწონ-დაეწონა, განეზოგადებინა და დაესისტემებინა უამრავი მასალა.

კ. კეკელიძე არღვევს ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში მიღებულ არაერთ შეხედულებას და ახალ ჰორიზონტებს შლის სამერმისო კვლევითი მუშაობისათვის. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ დიდი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა კარგად შეაფასეს საზღვარგარეთაც. ცნობილი ბელგიელი ორიენტალისტი და ქართველოლოგი პ. პეტერსი აღნიშნავს, რომ კ. კეკელიძის დიდი ორტომეულის ჩამოყალიბება იმ პერიოდში მოხდაო, როდესაც „ქართველი ხალხი შევიდა თავისი (ეროვნული) განვითარების გადამწყვეტ ფაზაში“. პ. პეტერსი ხმამაღლა აცხადებდა ევროპელი მკითხველის საყურადღებოდ, რომ კ. კეკელიძის „ათას ორას გვერდიანი ქართული ლიტერატურის ისტორია არის დასაბუთება საქართველოს ინტელექტუალურ ღირსებათა და იმის უფლებისა, რომ იცხოვროს თავისი საკუთარი ცხოვრებით. ღირსებანი ბრწყინვალეა და უფლება უცილობელი“.¹⁹

ვრცელი რეცენზიით აღნიშნა კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ გამოცემა ამერიკელმა ქართველოლოგმა რ. ბლეიკმა.²⁰

იმდენად დიდია კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მნიშვნელობა, რომ იმის საფუძველზე ევროპულ ქვეყნებში შეიქმნა ახალი შრომები, კურსის ცალკეული ნაწილები დრო და დრო იბეჭდებოდა საცნობაროდ სხვადასხვა პერიოდულსა თუ არაპერიოდულ გამოცემებში.

კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომი გადაამუშავეს და 1955 წელს რომში გერმანულ ენაზე გამოაქვეყნეს მ. თარხნიშვილმა და ი. ასფალგმა.

¹⁹ AB, XLIV (1926), გვ. 151.

²⁰ JIS, XXVI, № 101 (1924), გვ. 50—64 (ცალკე ამონაბეჭდი); HSNPL, XV (1933), გვ. 25—48.

„ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ორტომეულზე ქართველი ფილოლოგების თაობები აღიზარდა: იგი საყოველთაოდ აღიარებული ჩინებული სახელმძღვანელოა უმაღლესი სკოლის მოსწავლეთათვის, თუმცა უნდა დავძინო, რომ ორტომეული არ არის სახელმძღვანელოდ დაწერილი ნაშრომი, იგი გაცილებით უფრო დიდია და ფართო, ვიდრე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. თვითონ ავტორი ამის თაობაზე ამბობდა: „მართალია, ამ შრომას სკოლებშიაც იყენებენ, რადგან მასში მოცემულია ის მასალა, რაც გათვალისწინებულია სკოლის, განსაკუთრებით უმაღლესის, სასწავლო პროგრამით, მაგრამ ის არაა სახელმძღვანელო ამ სიტყვის ჩვეულებრივი, ვიწრო გაგებით, — მას რომ ასეთი დანიშნულება ჰქონოდა, სხვა გეგმითა და მოცულობით დაიწერებოდა. მას ისეთი მიზნები აქვს დასახული და ისეთი ფარგლები მოხაზული, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოსათვის სავალდებულო არაა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მასალის შერჩევასა და დალაგებაში თავისი საკუთარი მიზნებიდან გამოდის. ეს კურსი არის ფართოდ წამოწყებული ისტორიულ-ლიტერატურული, უშუალოდ პირველ წყაროებზე დამყარებული კვლევებიტითი ხასიათის ნაშრომი, რომელმაც, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა გაარკვიოს და დააზუსტოს ჯერ კიდევ გაურკვეველი საკითხები და მოამზადოს სასკოლო სახელმძღვანელოს შესადგენად ბაზა და საიმედო მასალა, ამასთან ერთად დაამყოფილოს მოთხოვნილებანი უმაღლესი და საშუალო სკოლის მასწავლებლებისა, ასპირანტებისა, მეცნიერების სხვა დარგის მუშაკებისა და საბჭოთა ინტელიგენციის დაინტერესებული წრეებისა.“²¹

აქ გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად კ. კეკელიძემ თავისი ნაშრომის საფუძველზე დაამუშავა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოდ და ფართო საზოგადოების საკითხავ წიგნად ძველი ქართული მწერლობის ისტორიის პირველი ნაწილი.²²

თავისი დიდი ორტომეულის საფუძველზე კ. კეკელიძემ დაამუშავა და რუსულ ენაზე გამოსცა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კონსპექტური კურსი (1939 წ.), რომელიც სახელმძღვანელო წიგნად იხმარება ფილოლოგიის ფაკულტეტების რუსულ სექტორებზე.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ როგორც ძველი ქართული მწერლობის, ნამეტნავად და განსაკუთრებით კი, ძველი ქართული

²¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 5.

²² იგი დაბეჭდილია რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომად (კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა, თბ., 1954). ამის საფუძველზე შეიქმნა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსი. (თბ., 1969).

სასულიერო მწერლობის, მკვლევარსა და ამ მწერლობის ისტორიის სისტემატიზატორს, კ. კეკელიძეს ტოლი არ ჰყავს. ამ მხრივ ერთგვარად შესაძლებელია გავიმეოროთ გიორგი ათონელის მიერ ექვთიმე ათონელის მისამართით თქმული სიტყვები: მკვლევარ-მეცნიერი „ეგვითარი... არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა და ვგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“.

კ. კეკელიძე გარდაიცვალა 1962 წლის 7 ივნისს. დასაფლავებულია თბილისის უნივერსიტეტის ეზოში.²³

²³ ერკლად იხ. ა. ბ. არამიძე, ჩვენი დიდი მეცნიერი, თბ., 1979.

უკოლ ბერიძე დაიბადა 1883 წელს დ. ხონში (წულუკიძე). მომავალმა მეცნიერმა ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1908—1912 წლებში, სეროზული მეცნიერული წრთობა გაიარა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ნ. მარის ხელმძღვანელობით. იქ შეასრულა მან გამოკვლევა — „სიტყვის კონაიმერულ და რაქულ თქმათა“. ეს ნაშრომი 1912 წელს გამოიცა პეტერბურგში და ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქართულ დიალექტოლოგიაში. ვ. ბერიძე დიდ ღვაწლს სდებს ქართველური ენების შესწავლას, დიალექტოლოგიას, ტერმინოლოგიას, რუსთველოლოგიას, რომლითაც იგი საგანგებოდ იყო დაინტერესებული. ნ. მარი უაღრესად აფასებდა ვ. ბერიძის მოღვაწეობას რუსთველოლოგიაშიც, აღნიშნავდა მეცნიერის განსწავლულობას, გონებაბაზვილობას, იყენებდა მის მიერ მიღწეულ შედეგებს. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მკვლევარი უფრო აქტიურად იწყებს რუსთველოლოგიაში მუშაობას.

ვ. ბერიძის მემკვიდრეობაში სათანადო ადგილი უჭირავს ისეთ გამოკვლევებს, რომლებიც ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებს და კერძოდ „ვეფხისტყაოსანს“ ეხება. გენიალური ეპოსის მრავალი პრობლემა აღძრავდა ცხოველ ინტერესს. ვ. ბერიძეს ბევრ მათგანზე გამოთქმული აქვს მრავალმხრივ საყურადღებო მოსაზრებანი, რომელთაც კუთვნილი ადგილი მიეჩინათ რუსთველოლოგიაში. ვ. ბერიძის რუსთველოლოგიური ნაზრევი დიდი რუდუნებით შეაგროვა, აკიმა და კრებულად გამოსცა ი. მეგრელიძემ. ნარკვევებში: „ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურება“, „რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“, „რუსთველოლოგიის ისტორიისათვის“, „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების შესახებ“, „ტირილი და მისი აზრი „ვეფხისტყაოსანში“, „შოთას პოეტისათვის“, „რუსთაველის შაირისათვის“, „სიკვიდილისა და თვითმკვლევლობის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, „ილია და „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა. ვ. ბერიძე ეხება როგორც პოემის კარდინალურ საკითხებს, ისე ცალკეული სტროფებისა და სიტყვების შინაარსსაც. მეცნიერი საგანგებოდ ინტერესდება როგორც პოემის მხატვრული სამყაროთი, ისე იმ მსოფლმხედველობით, რომელიც განფენილია რუსთველის თხზულებაში. მკვლევარი ღრმა საბუთიანობით აკრიტიკებს ერთხანს რუსთველოლოგიაში ფეხმოკიდებულ მცდარ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც პოემის გმირთა მოქმედება და საქციელი განსაზღვრული იყო ბედისწერით (ფატალიზმით). მკვლევარი მიმოიხი-

ლავს იმ ეპოქის კულტურულ გარემოს, როდესაც პოემა შეიქმნა, ქართული ქრისტიანობის თავისებურებებს და დიდძალი ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე მიდის იმ სწორ დასკვნამდე, რომ პოემაში იცნობა ნეოპლატონიკოსთა ზოგიერთი შეხედულება. სწორედ ნეოპლატონიზმით ჩანს, მეცნიერის დასკვნით, განსაზღვრული პოემის გმირთა შეხედულებანი საიქიო ცხოვრებაზე. განსაკუთრებით საინტერესოა მეცნიერის დასკვნა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ნეოპლატონიზმით უნდა იყოს განსაზღვრული ის შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც მეფისა და ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოსთვის დაღუპული თვით წმინდანის ტოლია. როგორც ცხადი ხდება, მკვლევარს ღრმად აქვს გააზრებული ის პროგრესული ნაკადი, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართულმა ნეოპლატონიზმმა“ შეიტანა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. ეს თვალსაზრისი უაღრესად საინტერესოა, რადგან სათანადო მასალის შესწავლა გვარწმუნებს, რომ რუსთველის პერიოდში მეფის, პატრონჟმური სოციალური სისტემის სამსახური, მართლაც, გაიზარებოდა ღვთისადმი გაწეულ სამსახურად, სიკეთისათვის მებრძოლი კი ღვთის მფარველობით სარგებლობდა, რითაც იგი აღწევდა გამარჯვებას „მიწივ ავისა მქმნელ სოფელზე“.

ვ. ბერიძემ პოემის ტექსტისა და სხვა მასალის ანალიზის საფუძველზე ასევე საკვებით სწორი პოზიცია დაიჭირა პოემის დაბოლოების საკითხის მიმართ — მეცნიერი ადგა იმ აზრს, რომ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ პოემის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთი მონაკვეთის დაკარგვის გამო მომხდარა მისი შევსება. აღსანიშნავია ის მეცნიერული სიფრთხილე, რომელსაც მკვლევარი იჩენს დასკვნების გამოტანისას. სწორედ ამ გამართლებული სიფრთხილით არის განსაზღვრული მოსაზრებაც, რომ „ინდო-ხატაელთა ამბის“ იმ ნაწილშიც, რომელიც დღეს რუსთველისად მიგვაჩნია, სავსებით შესაძლებელია, შერჩენილი იყოს სხვათა მიერ ჩამატებული ფსევდორუსთველური სტროფები. როგორც ცნობილია, ასეთი თვალსაზრისი დღეს გაზიარებულია რუსთველოლოგიაში.

მრავალმხრივი განსწავლა ვ. ბერიძეს პოემის სხვადასხვა კუთხით, მრავალწახანაგოვანი კვლევის საშუალებას აძლევდა. მეცნიერის სტილიც უაღრესად ლაპიდარულია. ხშირად მოცულობით მცირე ნარკვევში ხერხდება საგულისხმო დასკვნის დაუნჯება, როგორც ეს შეიძლება ითქვას იმ ნარკვევის მიმართ, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობის მომენტთა წარმოჩენას ისახავს მიზნად. მკვლევარი ქართველი ხალხის ფსიქოლოგიის ბევრ შტრიხს „იქერს“ პოემაში, შემდეგ კი გამოყოფს რამდენიმე ძირითად მომენტს, რომელიც ხალხური ეპოსიდან უნდა იყოს შესული რუსთველის თხზულებაში. ეს არის დავალების, მოწყალების, გაცემის, გლოვისა და ბნელში ჯდომის, ქაჯთა,

დასასრულ, ტირილის მოტივები, ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების ხალხური რწმენა და სხვა. ყოველივე ამით მკლევარი ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს, რომ პოემა ორიგინალური, ქართული ფენომენია. საყურადღებოა მკვლევრის შეხედულებანი პოემაში ხშირად დადასტურებული ტირილის შესახებ. გამოტანილია სავსებით მისაღები დასკვნა, რომ ტირილი პოემაში არ არის გმირთა სისუსტის და სულიერი სიძაბუნის მაჩვენებელი და მხოლოდ მათ წუთიერ განწყობილებას თუ გამოხატავს.

ვ. ბერიძის ინტერესს აღძრავდა „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ისტორიაც — ამ მხრივ იგი შეეხო ვახტანგ VI-ის, დ. ჩუბინაშვილისა და ი. ჭავჭავაძის დამსახურებას რუსთველოლოგიის წინაშე. მკვლევარი აღფრთოვანებით გამოეხმაურა ა. შანიძის მიერ აღდგენილი ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას, რომელმაც დაადასტურა, რომ სწავლულ მეფეს და მის თანამოკალმეებს გამოუციათ „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული, ანუ „ხელოვნურად შემოკლებული“ ტექსტი და უცვლელად არ დაუბეჭდავთ „რომელიღაც ძველი ხელნაწერი“, როგორც მკვლევართა ერთი ნაწილი შეცდომით ფიქრობდა. მკვლევარი დ. ჩუბინაშვილის მემკვიდრეობას ქართველი ხალხის სულიერი კულტურის დიდ შენაძენად თვლის, ეხება მის ქართველოლოგიურსა და განსაკუთრებით ლექსიკოლოგიურ მუშაობას, ადგენს, რომ დ. ჩუბინაშვილის ზოგიერთი რეცენზენტი მცდარ პოზიციაზე იდგა, როდესაც დაუსაბუთებლად აკრიტიკებდა მის ზოგიერთ ნაშრომს (მაგ. ი. შოპენი). მკვლევარი მოიხსენიებს იმ მრავალრიცხოვან შრომებს მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, რომლითაც სარგებლობდა დიდი ლექსიკოლოგი. რა თქმა უნდა, ამ შრომებს შორის ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშებს სათანადო ადგილი უჭირავთ.

განსაკუთრებული სიღრმითა და სისრულით მიმოიხილავს მეცნიერი ი. ჭავჭავაძის რუსთველოლოგიურ ღვაწლს, წარმოაჩენს ილიას დამსახურებას, კონკრეტულ შემთხვევაში, „ვეფხისტყაოსნის“ დაცვის მამულიშვილურ საქმეში. მკვლევარი სავსებით იზიარებს ილიას თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც „ვეფხისტყაოსანს“ ვიწრო ნაციონალური ასპექტით კი არ სჭირდებოდა მიდგომა, არამედ მისი განხილვა საჭირო იყო ფართო, ზოგადსაქაობრივ პლანში. როგორც ცნობილია, სწორედ ამ ღერძზე ტრიალებდა ილიასა და აკაკის კამათი „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი საკითხის გარშემო. სათანადოდ აქვს მკვლევარს მიმოხილული ილიას დამოკიდებულება ნ. მარისა და ი. ჭაბადარის ზოგიერთი მოსაზრების მიმართ. აღნიშნული და ხაზგასმულია ილიას დამსახურება პოემის ორიგინალობის საკითხის სწორად გადაწყვეტაში.

ვ. ბერიძე რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერების, ყოველდღიური განვითარების კურსში იყო და თავისი ნაშრომებით თვითონვე

ქმნიდა ამ განვითარების პროცესს, ამიტომ მისთვის არ არსებობდა „წვრილმანი“, როცა საქმე პოემას შეეხებოდა. მკვლევარი პრინციპულად და დაინებით იცავდა ხოლმე თავის პოზიციას კამათში, რადგან დარწმუნებული იყო საკუთარი თვალსაზრისის სრულ სისწორეში. ასეთთა რიგს მიეკუთვნება, მაგალითად, მისი პოლემიკა მწერალ გ. შატბერაშვილთან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაგვეგო პროლოგში მოხსენიებული შესიტყვება „ამხანაგთა სათრეველად“ (გ. შატბერაშვილი) თუ „ამხანაგთა სართეველად“ (გ. ბერიძე). თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად მეცნიერს საგულისხმო და ანგარიშგასაწევი მასალა მოაქვს პოემიდან. ეგვევ შეიძლება ითქვას „და“ კავშირის ფუნქციაზეც. სათანადო მასალის ანალიზის შემდეგ მკვლევარი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „და“ კავშირი უთუოდ კონსტრუქციულია, ლექსის არსებითი ნაწილია“. „და“ კავშირის გამოყენებისას შოთა ქართული ხალხური ლექსის პოზიციაზე დგას და არავითარ უცნაურობაზე აქ არ შეიძლება ლაპარაკი. ასეთივე მეცნიერული გულისხმიერებით არის გაანალიზებული პროლოგის საინტერესო ტაეპი: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“. როგორც ცნობილია, ამ ტაეპზე მთელი თეორია იქნა აგებული შოთას უცნობი სახობტო ნაწარმოებთა არსებობის, თუ თვით „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ-იდეური სამყაროს გაგებასთან დაკავშირებით. მკვლევარი ადგენს, რომ აქ ადგილი აქვს უბრალო გამეორებას, რომელიც მხატვრული ეფექტის გამოკვეთას ემსახურება და ამ ხერხს ხშირად მიმართავს ხოლმე პოეტი თხზულების სხვა ადგილებშიც. სხვა საკითხია ის, დღეს გავიზიარებთ თუ არა ასეთ მოსაზრებას, მაგრამ ისეთი ლოგიკით არის შეკრული იგი და იმნაირი მასალით დადასტურებული, რომ რუსთველოლოგია მას, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლიდა.

ვ. ბერიძის ინტერესთა სფეროში მოექცა პოემის პოეტიკისა და ვერსიფიკაციის საკითხებიც. როგორც ცნობილია, ამ მხრივ მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა თვით სალექსო საზომი — შაირი, რომელსაც რუსთველი იყენებს. მკვლევარი ფართო ნარკვევს უძღვნის მის შესწავლას, დაწვრილებით მიმოიხილავს „მალალი“ და „დაბალი“ შაირის ისტორიას, მის როლს პოემაში და გამოაქვს უაღრესად ყურადსაღები დასკვნა, რომ მალალი და დაბალი შაირის შენაცვლების კანონზომიერებას რუსთველი სათანადო შინაარსით, შესაფერი მოტივით განსაზღვრავს. რა თქმა უნდა, ეს დასკვნა არაა ერთადერთი, რომელიც შესწავლილი მასალიდან გამომდინარეობს, მაგრამ ერთ-ერთი კი არის. მკვლევარი სამართლიანად მიიჩნევდა შოთა რუსთველის გენიალურ თხზულებას ისეთ ნაწარმოებად, რომლისთვისაც უცხოა პესიმიზმი. პოემა ქადაგებს პროგრესს, ხალხთა ურთიერთმეგობრობას, სიკეთის გამარჯვებას, ჰუმანიზმს, ადამიანის გონების უძლეველობას. მისთვის

უცხოა ბედთან შერიგების, პასიურობის აპოლოგია — რუსთველს სწამს, რომ მოძრაობა არის სიცოცხლის მარადიული არსებობის ფორმა. ვ. ბერიძე ამის ნათელსაყოფად სხვა ფაქტებთან ერთად ანალიზებს პოემის იმ ეპიზოდს, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ ევედრება ავთანდილი წუთიერი უსასოობით შეპყრობილ ტარიელს — ცხენზე შეჭდეს. მართლაც, ამოძრავებამ ააჩქეფა გმირის სულში მიძინებული სიცოცხლის ტალღები. ასეთივე პლანში აქვს პოეტს გადაწყვეტილი „სიკვდილისა“ და „თვითმკვლელობის“ მომენტი პოემაში. მკვლევარი პოემის სათანადო ადგილების, გმირთა ფსიქოლოგიისა და ქვეყნის ნორმების ანალიზით მიდის იმ დასკვნამდე, რომ პოემაში მთავარია ბრძოლა სიცოცხლისათვის, რომელიც „სიკვდილისადმი უარყოფით განწყობას“, მისადმი ზიზღსა და უშიშრობას გულისხმობს. თუ ადამიანი დარწმუნდება, რომ სიკვდილი „გარდუვალა და საყოველთაო“, იგი თავიდან მოიშორებს მის შიშს და, რაც შეიძლება, გაიხანგრძლივებს სიცოცხლეს. ეს აზრი დასაბუთებულია უხვი მასალის ანალიზით. პოემა უარყოფს თვითმკვლელობას. ეს ექვს არ იწვევს. რუსთველი ვერ დადგებოდა სხვა პოზიციაზე ვერც როგორც მოაზროვნე, მაგრამ არის ადგილი პოემაში, სადაც ნესტანი მკვლელებს ეუბნება: „უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიციემ დანასა“. აქ თითქოს წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ მეცნიერი განმარტავს, რომ ამით ნესტანი მკვლელთა დაშინებას ესწრაფვოდა.

ვ. ბერიძემ მიმოიხილა რუსთველოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის, ერთი უმნიშვნელოვანესი ფურცელი, რომელიც უდიდესი ქართველი მეცნიერის ნ. მარის სახელს უკავშირდება. გარდა იმისა, რომ მკვლევარი უაღრესად კომპაქტურად წარმოაჩენს ნ. მარის, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის, სახეს, ობიექტურად მიმოიხილავს კიდევ მის შეხედულებებს პოემის ზოგი საკითხის გარშემო, რომელთა შორის ძირითადია სიუჟეტის წარმომავლობის პრობლემა. როგორც ცნობილია, ნ. მარი ადგა პოემის სიუჟეტის (ამბის) სპარსული წარმომავლობის პოზიციას. ვ. ბერიძე დაწვრილებით მიმოიხილავს ნ. მარის მოსაზრებებს პოემის დაწერის თარიღის, ავტორის მსოფლმხედველობის, ქალის კულტის ასახვის, კულტურულ-სოციალური გარემოს და სხვათა შესახებ. მკვლევარი, ნ. მარის ზოგი მიუღებელი დასკვნის აღნიშვნის პარალელურად, გამოყოფს იმ რაციონალურს, რაც ნ. მარის რუსთველოლოგიური ნაზრების ქვაკუთხედს წარმოადგენს და რამაც უდავოდ ძალიან წინ წასწია პოემის კვლევა — წამოკრა ახალი საკითხები, ორიგინალური ახსნა მოუძებნა ზოგ ადგილს. ნარკვევიდან გამომდინარეობს ის აზრი, რომ ნ. მარის რუსთველოლოგიური შრომების გარეშე მეცნიერების ეს დარგი დიდი ხნით მოკლებუ-

ლი აღმოჩნდებოდა კვლევის იმ მასშტაბურობასა და სიღრმეს, რომლითაც იგი ათეული წლებია იპყრობს ყურადღებას.

ვ. ბერიძეს არც პოემის ტექსტოლოგიური საკითხები გამოჩენია ყურადღებიდან. ამ მხრივ საგულისხმოა მისი ნარკვევი „ახალი ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც ეხება რ. დათეშიძის მიერ შეძენილ ხელნაწერს, რომელიც ნანუჩა ციციშვილის გაგრძელებებსაც მოიცავს. მკვლევარს დაწვრილებით, ყველა ასპექტში არ შეუსწავლია ხელნაწერი, მაგრამ ნარკვევში ცხადად არის ნაჩვენები ის ძირითადი, რითაც ეს ხელნაწერი ხასიათდება. ვ. ბერიძე სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ როგორც პოემის კრიტიკული ტექსტის დასადგენად, ისე ზოგი სადავო საკითხის გადასაქრელად უცილობელი პირობაა ყველა ცნობილი ხელნაწერის მონაცემთა გათვალისწინება და ახალთა ძებნა-აღმოჩენა. მეცნიერი მკირე ნარკვევებს უძღვნის „საყენ“, „საგან“ სიტყვათა ეტიმოლოგიის ახსნას. პირველი, მისი თვალსაზრისით, სინონიმია წარბებისა და წვერ-ულვაშისა, ხოლო მეორეს პოემაში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს — „მიზანი“, „სანიშნებელი“, „ობიექტი საერთოდ“.

ვ. ბერიძე იყო „ვეფხისტყაოსნის“ დაუღალავი პოპულარიზატორიც. მისი გამოკვლევები: „რითაა ძვირფასი რუსთაველი“ და რუსულ ენაზე დაწერილი „დიდი მესხი“ სწორედ ასეთი მიზანდასახულობის შრომებია. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ, ღრმა ენათმეცნიერული ცოდნის წყალობით, ვ. ბერიძე ნაყოფიერად იკვლევდა „ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურებასაც.

ვ. ბერიძემ დიდი ამაგი დასდო რუსთველოლოგიას როგორც კომენტატორმაც. ცნობილი რუსთველოლოგი ამ რიგის მუშაობის შესრულებით ერთგვარად აჯამებს ერთ გარკვეულ პერიოდში რუსთველოლოგიის დარგში მიღწეულ წარმატებებს. ტექსტის სხვადასხვა შესიტყვების შინაარსის დადგენა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საერთოდ პოემასთან დაკავშირებული რიგი საკითხების მაღალმეცნიერულ დონეზე კვლევისა. აღსანიშნავი ისიც არის, რომ მკვლევარი თითქმის ყველა შემთხვევაში შშრალ კომენტარს კი არ გვთავაზობს, არამედ წარმოაჩენს ამა თუ იმ მხატვრული სახის თავისებურებებს, მისი აგების ზოგ პრინციპს, რაც კომენტარებს უაღრესად საამო საკითხავად ხდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ბერიძის ნარკვევები გამოირჩევა ლოგიკით, დარწმუნების ძალით, პირველივე ფრაზებიდან ამყარებს კონტაქტს მკითხველთან და საკუთარი ნააზრებისადმი ნდობით განაწყობს მსჯელობის ობიექტურობით, მასალის სიუხვით, ღრმა ანალიზითა და ლალი სტილით. რადგან იტყვიან ხოლმე — სტილი თვითონ ადამიანიაო, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ამ ნარკვევებში „გადმოღვრილა“ ცნობილი მეცნიერის ადამიანური მომნიშვნელობა და სითბო.

ვეიქრობთ, არ არის ეს უმნიშვნელო რამ და იმსახურებს საგანგებო აღნიშვნას თუნდაც წინამდებარე წერილში. რადგან ლიტერატურა ერთიანი პროცესია, მას ადამიანის ხასიათებთან აქვს საქმე — მხატვრული შემოქმედების პროცესი მას ქმნის, ლიტერატურათმცოდნეობა — იკვლევს და ავტორიც, ასე თუ ისე, „აირეკლება“ ხოლმე ერთშიც და მეორეშიც. როგორც ითქვა, ცხოველ ყურადღებას იმსახურებს „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარი, სადაც მეცნიერი პოემის სტროფების, ტაქებისა და ცალკეული გამოთქმების არა მხოლოდ განმარტება-ინტერპრეტაციით კმაყოფილდება, არამედ ფართო მეცნიერულ პლანში მიმოიხილავს კიდევ ამა თუ იმ საკითხს და გამოაქვს ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნები. საგულისხმოა, რომ ასეთი რიგის სამუშაოს შესრულება მეცნიერისაგან მოითხოვდა ღრმა განსწავლულობას არა მხოლოდ ფილოლოგიაში, არამედ მის მომიჯნავე და ზოგ შემთხვევაში არამომიჯნავე დარგებშიც. აღტაცებას იწვევს საღი მეცნიერული ინტუიცია, მოტანილი მასალის სიუხვე და მისი ანალიზის, როგორც ნ. მარი იტყოდა, „ეუკოლისეული“ სიმახვილე. საყურადღებოა ისიც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ვ. ბერიძისეული კომენტარი ისეთი სიამოვნებით იკითხება, როგორც მხატვრული ნაწარმოები. ნაშრომი რეზიუმირებულია, შეჯამებულია ყველაფერი, რაც რუსთველოლოგიის ამ სფეროში მანამდე იყო გაკეთებული. რა თქმა უნდა, მეცნიერი-კომენტატორის მიერ წამოყენებული ყველა დებულება არ არის გასაზიარებელი, მით უმეტეს დღეს, მაგრამ ნაშრომმა დიდი ამაგი დასდო პოემის ტექსტოლოგიური კვლევის კეთილშობილურ საქმეს და არა მარტო ტექსტოლოგიურ კვლევას.

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს იმის განცხადების საშუალებას, რომ ვ. ბერიძე იყო ფართო დიაპაზონის მეცნიერი-ფილოლოგი, რუსთველოლოგი, ენათმეცნიერი და მან თავისი მეცნიერული შემკვიდრობით სათანადო კვალი დააჩნია რუსთველოლოგიას, როგორც მეცნიერების დარგს. ვერც მომავალი თაობები აუვლიან დუმილით გვერდს მის ორიგინალურ, ნათელი აზრით, ღრმა ჰუმანურობით აღბეჭდილ ნარკვევებს.

პროფესორ ს. კაკაბაძის მეცნიერულ მემკვიდრეობას ამდიდრებს შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ორი გამოცემა (1913, 1927 წწ.), შერჩევით გამოქვეყნებული ძველი ქართული მწერლობის უძველესი პერიოდისა და შემდგომი ხანის ლიტერატურული და საისტორიო ძეგლები, მათზე დართული თუ ცალკე დაბეჭდილი ნარკვევები და კრიტიკული წერილები, რომელთა საერთო რაოდენობა სამასს აჭარბებს.

ს. კაკაბაძის ლიტერატურული სტილი და მანერა კარგადაა ცნობილი სამეცნიერო წრეებისათვის. იგი პირდაპირი და უკომპრომისო იყო მეცნიერულ კრიტიკაში, რუსთველის სტრიქონებთან ერთად მარად ჩაპკირკიტებდა მტვერმიყრილ, მაგრამ მრავლისმეტყველ სიგელ-გუჯრებსა თუ ნარატიულ ძეგლებს და პროფესიულ მოვალეობად მიაჩნდა არა მხოლოდ ეძიებია ქართული ისტორიული დოკუმენტები, არამედ დალუპვისაგან გადაერჩინა ისინი.

სარგის ნესტორის ძე კაკაბაძე დაიბადა 1886 წელს ქუთაისის გუბერნიის დაბა ხონის (აწინდელი წულუკიძე) ახლოს, სოფელ კუხში, მუშის ოჯახში.

1905 წელს ს. კაკაბაძე სწავლობდა ვუნს უნივერსიტეტში, 1907 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში გადავიდა და იქ ქართველოლოგიურ დისციპლინებს დაეწაფა. გამოჩენილ რუს და უცხოელ მეცნიერებთან ერთად, მას ლექციებს უკითხავდნენ ნ. მარი, ა. ცაგარელი, ი. ჭავჭავაძე და სხვები.

1910 წელს ს. კაკაბაძემ ვერცხლის მედალზე დაამთავრა უნივერსიტეტი და გამოემგზავრა საქართველოსაკენ.

1911—1918 წწ. ს. კაკაბაძე იყო თბილისის ქალთა უმაღლესი კურსების ლექტორი საქართველოს ისტორიაში, მაგრამ მისი მოწოდება მხოლოდ ლექციების კითხვა როდი იყო. 1911—1914 წლებში მან ერთბაშად გამოაქვეყნა 40-მდე დიდი თუ პატარა ზომის სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის შოთა რუსთველის პოემის მის მიერ რედაქტირებული, ვრცელი რედაქციის ტექსტი (1913 წ.).

1914 წლიდან ს. კაკაბაძე სავალდებულო სამხედრო სამსახურში იყო და მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო შტაბში. მიუხედავად ომიანობის შიშვე პირობებისა, ის ინტენსიურად თანამშრომლობდა პრესაში. თავიდანვე გულშემატკივარი იყო საქართველოს არქივების საქმისა, ფეხით მოიარა კრასნოდარის მიდამოები და დალუპვას გადაარჩინა ბევრი ქართული უნიკალური დოკუმენტი. 1922—1933 წწ.

იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, ერთხანს (1930—1933 წწ.) თბილისის უნივერსიტეტის ბაზაზე აღმოცენებული პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორადაც მუშაობდა. 1933 წლიდან 1952 წლამდე ლექციებს კითხულობდა ქუთაისის, ბათუმის, გორის, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. ბოლოს დიდხანს იმუშავა საქართველოს საისტორიო არქივში. 1924—1925 წლებში რედაქტორობდა „საისტორიო მოამბეს“, ხოლო 1928—1929 წლებში „საისტორიო კრებულს“.

ს. კაკაბაძეს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კალამი ხელიდან არ გაუგდია. 1966 წელს დაბეჭდა „რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი“. გარდაიცვალა 1967 წლის 2 აპრილს. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

ს. კაკაბაძე ძირითადად საქართველოს ისტორიის პრობლემებზე მუშაობდა, მაგრამ გვერდს არ უვლიდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს, მის ლინგვისტურ-ფილოლოგიურ პრობლემათიკას და, როგორც ითქვა, მრავალი ფრიად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლი დაბეჭდა.

ს. კაკაბაძემ გამოსცა ქართული ლიტერატურის შემდეგი ძეგლები: „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, ასურულ მამათა „ცხოვრების“ არქეტიპები, „ამირანდარეჯანიანი“ მოსე ხონელისა, იოანე შავთელის „აბღულმესიანი“, ჩახრუხაძის „თამარიანი“, რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ.

ს. კაკაბაძის ნაშრომებში მტკიცედაა გატარებული კატალოგიზაციის პრინციპი. ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ ს. კაკაბაძისეულ პირველ გამოცემას წამძღვარებული აქვს ხელნაწერებისა და იმ გამონათქვამების მიმოხილვა, რომელიც რუსთველის გარშემო შეიქმნა აღორძინების ხანაში. 1949 წელს დაიბეჭდა საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ ორ წიგნად (შემდგენელნი ს. კაკაბაძე, პ. გაგოშიძე). ამ ორტომეულში ხელნაწერები პირველი ნომრიდან 250-მდე და ხუთასიდან ბოლომდე აღწერა ს. კაკაბაძემ.

ს. კაკაბაძეს უცდია საქართველოს ისტორიის კურსების შექმნა ქართულ და რუსულ ენებზე („შემოკლებული ისტორია საქართველოსი“, «Краткий обзор истории Грузии» და სხვ.).

ყველა ეს განმაზოგადებელი შრომა რომელიმე კონკრეტულ გამოკვლევას ემყარება. ამ კონკრეტულ ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევებში ბევრი ისეთი მასალაა, რომელიც ჩვენს ცოდნას ავსებს და ამდიდრებს.

ვერ ვიტყვი, რომ ს. კაკაბაძე თანამიმდევრული იყო საერთოდ და კერძოდ რუსთველოლოგიური პრობლემების გაშუქებისას. მის

ნაშრომებში ბევრია „ვარაუდების სფერო“, გამოთქმები „თითქოს“ „ვეიქრობთ“ და სხვ. ს. კაკაბაძე თავის უკანასკნელ მონოგრაფიაში — „რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი“, აგრეთვე სხვა ნაშრომებში, აცხადებდა: „ყველაფერს ზემოთ და ქვემოთ თქმულს, ჯერჯერობით მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის ხასიათი აქვს“.

ს. კაკაბაძეს ნაბეჭდი ნაშრომები ადრეც ჰქონდა, მაგრამ რუსთველოლოგიის ასპარეზზე ის 1911—1913 წლებში გამოჩნდა. მისმა მოხსენებამ „როდის ცხოვრობდა რუსთველი?“, რომელიც წაიკითხა ქალთა უმაღლესი სკოლის კურსებზე, ბევრი რეცენზია და მითქმამოთქმა გამოიწვია. ს. კაკაბაძე თავიდანვე იმ თვალსაზრისს იცავდა, რომ ჯერ უნდა გამოიკვევს, თუ როდის და რა პირობებში გაჩნდა ეს შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურული ფენომენი — „ვეფხისტყაოსანი“ და მხოლოდ შემდეგ შეიძლება მისი გამოყენება ქართული კულტურის ფართო მიზნებით. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია თათარ-მონგოლთა ხანის მოლვაწე (XIV—XV სს.) სარგის თმოგველი.

ერთ დროს ს. კაკაბაძე ფიქრობდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია XIII—XIV საუკუნეების მიჯნაზე და მიძღვნილია თამარისადმი, რომელიც იყო აფხაზთა მეფის კონსტანტინეს ასული და გიორგი მცირის მეუღლე. „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემაში (1927 წ.) ისევ XII—XIII საუკუნეებს დაუბრუნა დიდებული პოემა და 1188—1200 წლებში აღმოცენებულად მიიჩნია. „ვეფხისტყაოსანი“, მისი აზრით, შოთას ხელიდან 1201 წელს გამოვიდა (პირველი ვარიანტი), ხოლო მეორე ვარიანტი უფრო გვიან 1210—1215 წლებში დაწერაო. მოკლედ რომ მოვქვათ, 35 წლისამ დაამთავრა „ვეფხისტყაოსანი“ და წარუდგინა თამარ მეფეს.

„საბჭოთა ხელოვნებაში“ (1961, № 1) დაბეჭდილ ნარკვევსა და თავის უკანასკნელ რუსთველოლოგიურ ნაშრომში (1966 წ.) ს. კაკაბაძემ მოგვცა, მისი სიტყვით, უკანასკნელ მონაპოვართა გამოყენების საფუძველზე შოთას ბიოგრაფიის აღდგენის კიდევ ერთი ცდა. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ თავდაპირველი ქარგა სპარსულად შეუთხზავს 1180 წ. ახლოს ისო ჩახრუხაძეს; იგი დაწერილი იყო თამარის პატივსაცემად და ალეგორიულად შეიცავდა მის ქებას. ეს სპარსულად დაწერილი „ამბავი“ უთარგმნია ქართულ ენაზე (1188 წ.) სარგის თმოგველს—ქვაბულის ძეს. ეს თარგმანი პროზად უპოვნია შოთა რუსთველს და გაუწყვია ლექსად 1188—1200 წლებში. ამგვარად, ასკვნის ს. კაკაბაძე, „სავსებით ცხადი ხდება, თუ რას წარმოადგენდა „ამბავი სპარსული“, რომელიც საფუძველად დაუდო შოთა რუსთველმა „ვეფხისტყაოსანს“. ეს იყო ქართულ ორიგინალურ სიუჟეტზე სპარსულად დაწერილი თხრობა. მისი თავდაპირველი ავტორი უნდა ყოფილიყო

ჩახრუხადის უფროსი ძმა. ს. კაკაბაძემ აქ მოგვცა მისებური ახსნა იმისა, თუ რას ნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები — „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“, მაგრამ, სამწუხაროდ, სულ დღევინა ლიტერატურული მისტიფიკაცია, რომლითაც რუსთველოლოგიაში ამოხსნილია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის „გაუცხოურებისა“ და „გასხვისების“ მეთოდი.

რასაკვირველია, ეს და სხვა მსგავსი მინუსები რამდენადმე ჩრდილავენ იმ დიდ მუშაობას, რომელიც ს. კაკაბაძემ საერთოდ ქართველოლოგიაში, კერძოდ კი რუსთველოლოგიაში ჩაატარა. მას საყურადღებო დაკვირვებები აქვს ვახტანგ შვექვისის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე“. მასვე ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციულ ტიპებად დაყოფა (ორი რედაქციული ტიპი ჯერ კიდევ რუსთველის სიცოცხლეში გაჩენილათ) და ა. შ.

გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის შალვა ნუცუბიძის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ფილოსოფიის ისტორიის, როგორც ქართველოლოგიის საგანგებო დარგის, ჩამოყალიბება და მეცნიერული საფუძვლების შექმნა. შ. ნუცუბიძის, როგორც ქართული ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევრის, ინტერესის სფეროში, ბუნებრივია, განუწყვეტლივ იდგა ძველი ქართული მწერლობის საკითხები. შ. ნუცუბიძემ თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობით უალრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

შალვა ისაკის ძე ნუცუბიძე დაიბადა 1888 წელს. 1906 წელს მან დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სწავლა გააგრძელა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1910 წელს. აქვე ჩააბარა მან სამაგისტრო გამოცდები და დაიწყო საცდელი ლექციების კითხვა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1911 წელს იგი გააგზავნეს გერმანიაში, სადაც მუშაობდა ცნობილი ფილოსოფოსების ვუნდტის, ფოლკელტისა და ბარტის ხელმძღვანელობით.

1917 წლიდან შ. ნუცუბიძე ებმება ქართული უნივერსიტეტის შექმნის საქმეში. იგი იყო უნივერსიტეტის დამაარსებელთა ჯგუფის აქტიური წევრი. 1925 წელს იგი თბილისის უნივერსიტეტიდან სამეცნიერო მივლინებით ბერლინში მიემგზავრება, სადაც 1926 წელს გერმანულ ენაზე აქვეყნებს წიგნს „ქეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“, რომელზედაც 1927 წელს თბილისის უნივერსიტეტში იცავს სადოქტორო დისერტაციას.

შ. ნუცუბიძის გამოქვეყნებულ მეცნიერულ ნაშრომთა დიდი უმრავლესობა ძველი ქართული მწერლობის საკითხებს ეხება¹; ისინი გაერთიანდა შ. ნუცუბიძის „კრიტიკული ნარკვევების“ სამ ტომში: კრიტიკული ნარკვევები. ფილოსოფია და კულტურა, თბ., 1965; კრიტიკული ნარკვევები. აზროვნება და შემოქმედება, თბ., 1966; კრიტიკული ნარკვევები. ლიტერატურა და ფილოსოფია, თბ., 1969.

შ. ნუცუბიძემ დიდი ენერგია მოახმარა ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების რუსულ ენაზე თარგმნას. განსაკუთრებით აღსა-

¹ იხ. ე. სვანიძე-თოხაძის მიერ შედგენილი შ. ნუცუბიძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია. გამოქვეყნებულია წიგნში: შ. ხიდაშელი, შალვა ნუცუბიძე, თბ., 1969, გვ. 66—79.

ნიშნავია რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძისეული თარგმანი, რომელიც პირველად 1941 წელს გამოქვეყნდა (Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре. Пер. с грузинского Ш. Нуцубидзе, М., 1941). ამ თარგმანის დახვეწაზე შ. ნუცუბიძე განუწყვეტილად, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა და პოემის მისეული რუსული თარგმანიც არაერთგზის გამოიცა, რომელთა შორის სიცოცხლისდროინდელი უკანასკნელი გამოცემა 1966 წლისა (Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре. Пер. с грузинского Ш. Нуцубидзе, Тб., 1966).

„ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძისეული თარგმანი აღიარებულია ერთ-ერთ საუკეთესოდ ამ პოემის დღეისათვის არსებულ თარგმანთა შორის. შ. ნუცუბიძის თარგმანი გამოირჩევა როგორც დედანთან სიახლოვით, ისე პოეტური სრულყოფის თვალსაზრისით. ამიტომ იყო, რომ ამ თარგმანს უდიდესი შეფასება მისცა რუსული საბჭოთა ლიტერატურის გამოჩენილმა წარმომადგენელმა ა. ტოლსტოიმ².

შ. ნუცუბიძემ თარგმნა რუსულად XII საუკუნის ქართველ მეხოტბეთა თხზულებანი — „აბდულმესიანი“ და „თამარიანი“ (Иоанн Шавтели, Абдул Мессия. Перевод с груз. Ш. Нуцубидзе, Тб., 1942; Чахухадзе, Тамариани. Перевод с груз. Ш. Нуцубидзе, Тб., 1942).

შ. ნუცუბიძემ აღადგინა, ერთ მთლიან მითოლოგიურ პოემად ჩამოაყალიბა და რუსულ ენაზე თარგმნა ხალხური თქმულება ამირანზე (ამირანი. მითოლოგიური პოემა. განახლებული და რესტავრირებული შ. ნუცუბიძის მიერ, თბ., 1945; Амрани. Грузинская мифологическая поэма. Реставрировал и перевел Шалва Нуцубидзе, Тб., 1946).

შ. ნუცუბიძის მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში ძველი ქართული მწერლობა და კულტურა მთელი თავისი მთლიანობით შემოდიოდა. მკვლევარმა ძირითადად სწორედ ძველი ქართული მწერლობის პრობლემატიკის სერიოზულ დამუშავებაზე დააფუძნა თავისი „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ ორტომეული. ამიტომაც ეს ფუნდამენტალური ნაშრომი შენაქენია არა მხოლოდ ფილოსოფიის ზოგადი ისტორიის როგორც მეცნიერებისათვის, არამედ უპირატესად, ქართველოლოგიისათვის. ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას შ. ნუცუბიძე არ განიხილავს მოწყვეტილ, თავის თავში ჩაკეტილ მოვლენად. მკვლევარის სამართლიანი შენიშვნით, მართალია, ქართული აზროვნების განვითარების არე აღმოსავლეთს ეკუთვნის, მაგრამ არც აღმოსავლეთის აზროვნება და მით უმეტეს არც ქართული აზროვნება, არ წარმოდგენს დასავლეთთან დაპირისპირებულ ან მისგან მოწყვეტილ მოვლენ-

² А. Толстой, Ближкое, свое, «Огонёк», 1968, № 38, стр. 9.

ნას³. ქართულ აზროვნებას შ. ნუცუბიძე განიხილავს ბიზანტიურ, სირიულ, სომხურ, არაბულ და რუსულ კულტურასთან კავშირში. ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში მკვლევარი თავდაპირველად ეხება ანტიკურ ხანას: კოლხეთის რიტორიკული სკოლიდან (ჩვ. წ. აღრიცხვის IV საუკუნე), ასურელ მამათა მოღვაწეობის ჩათვლით (VI საუკუნე), შემდეგ იგი გამოყოფს „საეკლესიო-დოგმატური აზროვნების პერიოდს“, შემდეგ — ქართული რენესანსის ხანას (XI—XII საუკუნეები). XIII საუკუნის შემდგომი პერიოდის ქართულ აზროვნებას მკვლევარი უწოდებს „განახლებულ სქოლასტიკას“. შ. ნუცუბიძის დაკვირვებით, XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში სქოლასტიკური აზროვნება თანდათანობით უთმობს ადგილს აღორძინებულ ფილოსოფიას.

ამრიგად, ქართული ფილოსოფიის ისტორიაში მკვლევარმა თავისი ადგილი მისცა ძველი ქართული აზროვნების ყოველ დიდ გამოვლინებას ქართული მითოლოგიით დაწყებული და იოანე ბატონიშვილის „კალმასობით“ დამთავრებული, მაგრამ შ. ნუცუბიძის შემოქმედებითი წვდომა მთელი თავისი სიღრმით მხოლოდ რამდენიმე პრობლემას შეეხო, რომელთა მისეული გადაწყვეტა ტონს აძლევს ქართველოლოგიის განვითარებას ჩვენს საუკუნეში.

შ. ნუცუბიძის მეცნიერული კვლევა-ძიების ცენტრში დგას აღმოსავლური რენესანსის პრობლემა. რენესანსის საკითხს მკვლევარი პირველად შეეხო 1937 წელს იოანე პეტრიწის შრომების II ტომზე ს. ყაუხჩიშვილთან თანაავტორობით დართულ გამოკვლევაში⁴. ამ ნაშრომში გატარებული თვალსაზრისით, XI საუკუნეში ბიზანტიის საეკლესიო აზროვნება რენესანსამდე მივიდა, რომელმაც, თავის მხრივ, შემდგომი განვითარება დასავლეთ ევროპის კულტურაში პოვა. თვით ბიზანტიის რენესანსი აღმოსავლეთის ხალხთა დასავლეთის კულტურასთან თანამშრომლობით ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს კულტურული პროცესი ბიზანტიაში შეჩერდა. გაგრძელდა და გაღრმავდა იგი XII საუკუნის საქართველოში. ამ საუკუნის საქართველოს პოლიტიკურმა და კულტურულმა პროგრესმა ქართული რენესანსი განაპირობა, რომელმაც თვალნათლივ გამოვლენა პოვა პეტრიწის ფილოსოფიასა და რუსთველის შემოქმედებაში.

იოანე პეტრიწის და არსენ იყალთოელის ფილოსოფიურ აზროვნებას ეხება შ. ნუცუბიძის კიდევ ერთი საგანგებო გამოკვლევა: „იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა ახალი ძეგლი XII ს. საქართველოში“

³ ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, 1956, გვ. 6.

⁴ ამ ორი მეცნიერის შემოქმედებითი თანამშრომლობა, რომელიც ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა, ძალზე ნაყოფიერი იყო ქართული მეცნიერების განვითარებისათვის.

(ოსტუ შრომები, ტ. VII, 1938). სტატიაში განხილულია არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ შეტანილი ერთი ტრაქტატი — „პირმშობსათს“. შ. ნუცუბიძე კატეგორიულად იცავს იმ აზრს, რომ ეს ტრაქტატი არსენ იყალთოელის ხელიდანაა გამოსული⁵. ამის საბუთი, მკვლევრის აზრით, არის ის, რომ ტრაქტატში ჩანს პაექრობა იოანე პეტრიწის დებულებებთან. ამაზე დაყრდნობით შ. ნუცუბიძემ წამოაყენა თვალსაზრისი ქართულ აზროვნებაში ორი ნაკადის — „საერო ფილოსოფიისა“ და „თეოლოგიურ-ფილოსოფიურის“ არსებობის შესახებ. მკვლევრის აზრით, ამ ტრაქტატში არ არის გატარებული საერო ფილოსოფიურ წრეში გავრცელებული მრწამსი; პირიქით, იგი სწორედ ამ საერო ფილოსოფიური სკოლის და, კერძოდ, პეტრიწის წინააღმდეგ არის მიმართული. შ. ნუცუბიძის აქ გატარებული თვალსაზრისი ქართული აზროვნების ამ ორი ნაკადის შესახებ შემდგომ განვითარებას და გაღრმავებას პოულობს შ. ხიდაშელის ნაშრომებში⁶.

პეტრიწის მსოფლმხედველობის შესწავლასთან დაკავშირებით დასმულმა ქართული რენესანსის პრობლემის კვლევამ შ. ნუცუბიძე აღმოსავლური რენესანსის იდეამდე მიიყვანა. მისი აზრით, დასავლეთის კულტურის აღმოსავლური ძირები აშკარა და თვალნათლივია, დასავლეთის მეცნიერება კი, რომელიც „ევროპოცენტრიზმის“ ნიადაგზე დგას, ევროპული კულტურის წყაროებს თვით ევროპაში ეძებს. მკვლევრის დაკვირვებით, რენესანსის თავისებურებანი, რომელმაც დასავლეთ ევროპაში იჩინა თავი, მხოლოდ დასავლური კულტურისათვის დამახასიათებელი მოვლენა არ იყო: იგი აღმოსავლეთში ადრე დაიწყო და შემდეგ დასავლეთში განვითარდა.

ეს თვალსაზრისი, რომელიც პირველად მოხსენების სახით გამოითქვა 1940 წელს მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში და დაიბეჭდა სათაურით «Восточный Ренессанс и критика европоцентризма» (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 8, 1941) დაედო საფუძვლად შ. ნუცუბიძის მონოგრაფიას «Руставели и Восточный Ренессанс» (1947). ამ ნაშრომში შემდეგი გაღრმავება პოვა აღმოსავლური რენესანსის თეორიამ. XI—XII საუკუნეების ქართული კულტურა და კონკრეტულად რუსთველის აზროვნება

⁵ უკანასკნელი ხანის სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ტრაქტატი არსენ იყალთოელის სახელთანაა დაკავშირებული. იგი მიჩნეულია არსენ იყალთოელის მიერ ქართულად გადმოღებულ მიქელ ფსელოსის თხზულებად (ი. ლოლაშვილი, მიქელ ფსელოსის ფილოსოფიურ-ეგზეგეტიკური ტრაქტატი „პირმშობსათის“, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II (1964), გვ. 71—93; ს. ყაუხჩიანი, გეორგიკა, VI, თბ., 1966, გვ. 8).

⁶ საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმართულებანი ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1952; Основные мировоззренческие направления в феодальной Грузии, Тб., 1962.

მკვლევარს ქართულ რენესანსად მიაჩნია, რომელიც საუკუნეებით უსწრებს ევროპულ რენესანსს. მკვლევრის მტკიცებით, დასავლური რენესანსის სათავე აღმოსავლური რენესანსია, რომლის მწვერვალი ქართული რენესანსი და კერძოდ რუსთველის შემოქმედებაა.

შ. ნუცუბიძის მტკიცებით, როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური რენესანსის საფუძველი არის არეოპაგიტული მოძღვრება, ხოლო ეს მოძღვრება თავისი შინაარსით მისტიკური და ერეტიკულია. ეს არის შ. ნუცუბიძის კონცეფციის მთავარი ღერძი.

ქართული რენესანსის თეორია გაიზიარა ი. ჯავახიშვილმა და შემდეგ იგი თანდათანობით პოპულარული გახდა ქართულ მეცნიერებაში.

შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორიას მხარს უჭერს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა (ნ. კონრადი, ვ. ჟირმუნსკი, ვ. ჩალოიანი, ა. ტოლსტოი). ნ. კონრადისა და ვ. ჟირმუნსკის მიერ აღმოსავლური რენესანსის თეორია გაფართოვდა. ამ ახალი თვალსაზრისით რენესანსი საზოგადო მოვლენაა, რომელიც იწყება აღმოსავლეთში, კერძოდ, ჩინეთში VII—IX საუკუნეებში, მას აგრძელებს IX საუკუნიდან შუა აზია, ირანი და ინდოეთის მოსაზღვრე ნაწილი და ამთავრებს დასავლეთი ევროპა XIV—XVI საუკუნეებში. რუსთველი ამ მსოფლიო რენესანსის ხაზზე თავსდება ფირდოუსის, ნიზამისა და ნავოსის წრეში.

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ წერილებში შ. ნუცუბიძე არ ეთანხმება აღმოსავლური რენესანსის საწყისებისა და გავრცელების გზების ამგვარად გააზრებას. მისი აზრით, საკითხის ამგვარი დასმა არაა სწორი, რამდენადაც რენესანსი მარტო აღმოსავლეთმა კი არ დაიწყო, არამედ აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხვედრამ („აღმოსავლეთის რენესანსი და ანალოგიების მოსაზრებანი“; „რუსთველი და რენესანსის ფარგლების პრობლემა“ და სხვ.).

ქართული რენესანსის თეორიის ჩამოყალიბებაში შ. ნუცუბიძისათვის ძირითადი არგუმენტი არის რუსთველის შემოქმედება, რომლის შესწავლის საქმეს იგი ემსახურებოდა ათეული წლების მანძილზე. შ. ნუცუბიძის მრავალრიცხოვანი გამოკვლევებიდან რუსთველზე, რომლებიც ეხებოდა „ვეფხისტყაოსნის“ როგორც ცალკეულ დეტალებს, ასევე ზოგად საკითხებს, შემაჯამებელი ხასიათისაა მონოგრაფია — «Творчество Руставели» (1958). მკვლევრის თვალსაზრისით, რუსთველის შემოქმედება სამი ძირითადი წყაროთი საზრდოობდა: ხალხური შემოქმედებით, ლიტერატურული წინამორბედებით და ქართული ფილოსოფიით⁷. პოემის ხალხურობა უპირატესად ვლინდება სიუ-

⁷ Творчество Руставели, გვ. 47—48.

უეტის აგებაში⁸, მის დასაწყისშიც, დასასრულშიც და ცალკეულ დეტალებშიც. პოემაში აშკარადაა დატული ქართული ზღაპრის ობტივიზმი. „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ წინამორბედთაგან მკვლევარი სამი სხვადასხვა კატეგორიის ძეგლებს გამოყოფს: რუსთველის წინამორბედები, რომლებიც დასახელებულია თვითონ პოეტის მიერ; მხატვრული სახეები და ლიტერატურული პერსონაჟები სხვა ლიტერატურული ძეგლებიდან და თხზულებანი, რომელთა გავლენაც ეტყობა პოემის კომპოზიციას ცალკეულ დეტალებში.

პოემის შესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო ქართული ფილოსოფიაა, რამდენადაც, შ. ნუცუბიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ ეკუთვნის მსოფლიო ლიტერატურის ფილოსოფიურ პრემათა რიცხვს⁹. მკვლევრის კონცეფციაში პოემის ფილოსოფიური წყაროების საკითხი ბუნებრივად დაკავშირებული რუსთველის მსოფლმხედველობასთან, რომლის კვლევაც ძიებაც ერთ-ერთი ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი მომენტია შ. ნუცუბიძის შემოქმედებაში. მკვლევარი იცავს თეორიას, რომლის მიხედვითაც რუსთველის ფილოსოფიური წყარო ნეოპლატონიზმია. მის წინამორბედ მეცნიერთაგან საკითხის ამგვარად დასმით შ. ნუცუბიძე ყველაზე ახლოს ნ. მარის პოზიციასთან დგას, მაგრამ შ. ნუცუბიძემ საკითხის გადაწყვეტაში არსებითი კორექტივი შეიტანა: 1. თუ აქამდე ნეოპლატონიზმის გავლენაზე მსჯელობდნენ პოემის ცალკეული ეპიზოდებისა თუ დებულებების მიხედვით, შ. ნუცუბიძემ ნეოპლატონიზმში დაინახა რუსთველის მსოფლმხედველობის, როგორც მთლიანი სისტემის, საყრდენი. 2. თუ აქამდე პარალელს ავლებდნენ რუსთველის პოემის ცალკეულ დებულებებსა და ზოგადად წარმოდგენილ ნეოპლატონურ ფილოსოფიას შორის, შ. ნუცუბიძემ რუსთველის მსოფლმხედველობის საყრდენად ქართული ნეოპლატონიზმი გამოაცხადა.

ქართულ ნეოპლატონიზმს შ. ნუცუბიძე ხედავს ქრისტიანული ნეოპლატონიზმის უდიდესი წარმომადგენლის ფსევდოდოონისე არეოპაგელის ნაზრევში. შ. ნუცუბიძის კონცეფციით, ფსევდოდოონისე არეოპაგელის ანუ, მისი აზრით, პეტრე იბერიელის აზროვნება, რომელიც საქართველოში შემოიტანეს ცამეტმა სირიელმა მოღვაწემ (დავით გარეჯელი, იოანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, აბიბოს ნეკრესელი და სხვა), ქართული ფილოსოფიური აზროვნების ანტიკურ ხანას განეკუთვნება. XI—XII საუკუნეების ქართული კულტურა და ფილოსოფია სწორედ იმიტომაც ქართული რენესანსი, რომ მასში აღორძინდა ქართული ანტიკურობა — პეტრე იბერიელის ნეოპლატონიზმი და

⁸ Творчество Руставели, т. III, стр. 49.

⁹ იქვე, გვ. 45.

ეს აღორძინება ფილოსოფიაში განხორციელდა ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის და, განსაკუთრებით, რუსთველის შემოქმედებაში.

შ. ნუცუბიძემ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ რუსთველს პოემაში დამოწმებული ჰყავს დიონისე არეოპაგელი. პოეტი მსჯელობს სიკეთისა და ბოროტების ურთიერთობის შესახებ, იცავს სიკეთის სუბსტანციულობის თეზისს და ამ დებულების ავტორად ასახელებს „ბრძენ დივნოსს“. შ. ნუცუბიძის სამართლიანი დასკვნით, პოემის ამ სტროფში გატარებული თვალსაზრისი სავსებით ემთხვევა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრების ერთ-ერთ ძირითად თეზისს და, ამიტომაც, რუსთველის „ბრძენი დივნოსი“ ფსევდოდიონისე არეოპაგელია.

შ. ნუცუბიძე ამ გარემოებას პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი აზრით, დიონისე არეოპაგელის სახელით პოემაში ჩამოყალიბებული დებულება არის სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი იდეა. ესაა ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების იდეა და იგი განსაზღვრავს როგორც პოემის სიუჟეტის განვითარებას, ისე პოეტის მიზანს. ბოროტებას არა აქვს საკუთარი არსი — სუბსტანცია. იგი მხოლოდ სიკეთის კლებას წარმოადგენს. შ. ნუცუბიძის აზრით, აი, ეს ნეოპლატონური აზროვნება მისი პირველი ქრისტიანი გადამმუშავებლის ქართველი მოაზროვნის ფსევდოდიონისე არეოპაგელის გზით რუსთველამდე მოტანილი არის „ვეფხისტყაოსნის“ მამოძრავებელი ღერძი: იგი თავიდანვე მამოძრავებელ საწყისად არსებობს პოემაში, იგი წარმართავს მთელ სიუჟეტს და განაპირობებს ფინალსაც¹⁰. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ უკანასკნელ რუსთველოლოგიურ სტატი-აში შ. ნუცუბიძე რევიზიას უკეთებს ამ თვალსაზრისს. მას აქცენტი გადააქვს პოემის ფინალურ დებულებაზე — „ბოროტსა სძლია კეთილ-მან არსება მისი გრძელია“ — და ხედავს მასში ბოროტების სუბსტანციის დადასტურებას¹¹. საუბედუროდ, მკვლევარს არ დასცალდა თავისი ახლებური პოზიციის უფრო ნათლად გამოკვეთა, მისგან დასკვნების გაკეთება და თავის შეხედულებათა სისტემაში ჩასმა.

რუსთველის მსოფლმხედველობის, როგორც რენესანსული აზროვნების, ერთ-ერთ ძირითად მომენტს შ. ნუცუბიძე რუსთველურ ჰუმანიზმში ხედავს. მკვლევრის თვალსაზრისით, შუა საუკუნეების აზროვნებაში პირველად რუსთველთან მოხდა ზეციერისა და მიწიერის ერთმანეთთან დაკავშირება¹² და ამდენად ადამიანის ამქვეყნიურ გრძნობათა და მისწრაფებათა გამართლება.

¹⁰ Творчество Руставели, გვ. 95.

¹¹ შ. ნუცუბიძე, აზრი და საუკუნე, „კომუნისტი“, 1966, 28. IX.

¹² Руставели и Восточный Ренессанс, 1947, გვ. 244.

შ. ნუცუბიძის თვალსაზრისით, რუსთველის ჰუმანისტური მსოფლმხედველობა ნეოპლატონურ ძირებზე შენდება. ამ დებულების დასაცავად მკვლევარს დასჭირდა იმ შეხედულების კრიტიკა, რომელიც ნეოპლატონიზმს განიხილავს როგორც ეკლექტიკას, მისტიკასა და სოფისტიკაზე დამყარებულ მოძღვრებას, რომელიც არის უკანასკნელი პროლუქტი ანტიკური ფილოსოფიის დაშლისა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური წყარო შუა საუკუნეების თეოლოგიისა. შ. ნუცუბიძის თვალსაზრისით, ნეოპლატონიზმი და, კერძოდ, ქართული ნეოპლატონიზმი შეიცავს პროგრესულ იდეებს. ამ დებულების ფაქტიურ საბუთს შ. ნუცუბიძე იმაში ხედავს, რომ, მისი აზრით, სწორედ არეოპაგიტული მოძღვრება იყო შუა საუკუნეების აზროვნების პროგრესული მიმართულება, რომელიც დაუპირისპირდა რელიგიურ დოგმატიზმს და, ითარგმნა რა IX საუკუნეში იოანე სკოტერიგენას მიერ ლათინურ ენაზე, კათოლიკური ეკლესიის იდეოლოგიის ოპტიზაციად იქცა.

ამგვარად, შ. ნუცუბიძის კონცეფციით, როგორც დასავლურ, ასევე ქართულ რენესანსს ერთი ფილოსოფიური წყარო უდევს საფუძვლად — არეოპაგიტია და, რაც მთავარია, ეს წყარო ქართული აზროვნებაა. შ. ნუცუბიძის თვალსაზრისით, არეოპაგიტული მოძღვრების ავტორი დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი V საუკუნის მოღვაწე ფსევდოდონისე არეოპაგელი ქართველი უფლისწული პეტრე იბერიელია.

ფსევდოდონისე არეოპაგელის და პეტრე იბერიელის იდენტიფიკაციის საკითხის დასმით შ. ნუცუბიძემ ახალი სიტყვა თქვა როგორც ქართველოლოგიის და ბიზანტინისტიკის, ასევე შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის თვალსაზრისით.

შ. ნუცუბიძე პეტრე იბერიელისა და ფსევდოდონისე არეოპაგელის იდენტიფიკაციის დასასაბუთებლად სამ არგუმენტს აყენებს:

1. პეტრეს პიროვნება თავისი მოღვაწეობის ქრონოლოგიით, ადგილით, მიზნებით, ინტერესებით და ფართო ინტელექტით არეოპაგიტული კორპუსის ავტორობის სრულიად შესაძლებელი კანდიდატია.

2. პეტრე იბერის შეხედულებანი, რომლებიც შემონახულია მისი ბიოგრაფების იოანე რუფუსის და ზაქარია რიტორის ნაწერებში, ემთხვევა არეოპაგიტულ იდეებს. შ. ნუცუბიძე დამთხვევებს ხედავს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში, როგორცაა: სიკეთისა და ბოროტის, ერთისა და მრავლის საკითხები, სინათლის მისტიკა, ღუმილისა და სიჩუმის მისტიკა, ადამიანის დეიფიკაციის, იდეა, ცოდვის ცნება, ზეციური იერარქიის სისტემა.

3. შ. ნუცუბიძე თვლის, რომ ამ ორი პიროვნების იგივეობა იცინავს ქართველმა მოღვაწეებმა: იოანე პეტრიწმა, ჩახრუხაძემ და შოთა რუს-

თველმა. მკვლევრის აზრით, ამის დამადასტურებელი ცნობები შეფარვით იკითხება ამ უკანასკნელთა ნაწერებში.

ამ არგუმენტთაგან შ. ნუცუბიძეს აქცენტი ძირითადად გადააქვს ფილოსოფიურ-თეოლოგიურ დეტალებზე — პეტრე იბერიისა და არეოპაგიტული კორპუსის შეხედულებათა დამთხვევაზე¹³.

პეტრე იბერიელის და ფსევდოდოღონისე არეოპაგელის იგივეობის აღიარებამდე დამოუკიდებელი გზით მივიდა ბელგიელი აკადემიკოსი, ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი ერნესტ ჰონიგმანი. მან 1952 წელს გამოსცა მონოგრაფია: „პეტრე იბერიელი და ფსევდოდოღონისე არეოპაგელის თხზულებანი“, რომლის რუსული თარგმანი 1955 წელს გამოაქვეყნა შ. ნუცუბიძემ¹⁴.

ნუცუბიძე — ჰონიგმანის თეორია თავდაპირველად გაიზიარეს როგორც საზღვარგარეთელმა მეცნიერებმა (ფ. დელგერი, ვ. გრიუმელი, ე. ივანკა, ხ. ვარდი), ასევე საპქოთა მეცნიერებმაც (ს. ყაუხჩი-შვილი, ლ. მელიქიეთ-ბეგი, ვლ. ორლოვი, ნ. სიდოროვა, ვ. ჩალოიანი, შ. ხიდაშელი, ს. ენუქაშვილი). ცნობილმა ფრანგმა ბიზანტინოლოგმა ფ. გრიუმელმა ე. ჰონიგმანის მიგნებას „განსაკუთრებული აღმოჩენა უწოდა“. ბიზანტინოლოგთა და ფილოსოფიის ისტორიკოსთა ერთი ნაწილი კი თავიდანვე უარყოფითად შეხვდა ამ ჰიპოთეზას (ი. ჰაუსპერი, კიპრიანი, პ. ენგბერდინგი, კ. კეკელიძე, ს. დანელია).

შ. ნუცუბიძე სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ შრომებში ეკამათება ამ თეორიის მოწინააღმდეგეებს და თავის თვალსაზრისს ახალი საბუთებით ამყარებს.

შ. ნუცუბიძე პეტრე იბერის ბიოგრაფიის ყოველი დეტალით იყო დაინტერესებული. მან რამდენიმე წერილი მიუძღვნა ბეთლემში (იერუსალიმის მახლობლად) აღმოჩენილი ქართული მონასტრის წარწერებს (პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები, „მნათობი“, 1959, № 1; იერუსალიმის ახალი გათხრების ზოგიერთი საკითხი, „დროშა“, 1959, № 2; ქართული წარწერები იერუსალიმში, „კომუნისტი“, 1959, 4. I). შ. ნუცუბიძე ვარაუდობდა, რომ ამ წარწერებში მოხსენიებული „მურვანი“ პეტრე იბერია და რომ მის მოღვაწეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული ამ მონასტრის მშენებლობა. საკითხის სპეციალურმა შესწავლამ ეს ვარაუდი დაადასტურა და დააზუსტა¹⁵.

შ. ნუცუბიძე კიდევ უფრო აფართოებს პეტრე იბერიელის შემოქ-

¹³ Ш. Нуцубидзе, Петр Ивер и проблемы археопагитики, Тб., 1957,

¹⁴ თსუ შრომები, 59 (1955), გვ. 19—69.

¹⁵ გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.

მედების ფარგლებს. გარდა არეოპაგიტული კორპუსისა მას მიაწერს ე. წ. „მიზეზთა წიგნის“ ავტორობის პატივსაც¹⁶. „მიზეზთა წიგნმა“ XI—XII საუკუნეებიდან დაწყებული უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპულ აზროვნებაზე. თავდაპირველად მის ავტორად არისტოტელეს თვლიდნენ. მაგრამ თომა აკვინელმა შენიშნა, რომ „მიზეზთა წიგნი“ პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნის“ მოკლე და თავისუფალი თარგმანი უნდა იყოს, შესრულებული, როგორც შემდეგ გამოირკვა, არაბული ენიდან.

შ. ნუცუბიძე კი ვარაუდობს, რომ „მიზეზთა წიგნი“ შექმნა პეტრე იბერიელმა. მისი აზრით, პროკლეს თხზულება „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ ქრისტიანულ ყაიდაზე გადაამუშავა იოანე ლაზმა და მისი გარდაცვალების შემდეგ ამ შრომის საფუძველზე პეტრე იბერმა დაწერა „მიზეზთა წიგნი“. დღეისათვის ფილოლოგიური მეცნიერება იცნობს, აგრეთვე, სერგიოს რეშაინელის წიგნს მიზეზების შესახებ, რომელიც სირიულ ენაზეა დაწერილი. ეყრდნობა რა ამ ფაქტს, შ. ნუცუბიძე ფიქრობს, რომ „მიზეზთა წიგნი“ პეტრე იბერიელმა ქართულ ენაზე დაწერა, ამიტომაც დაშორდა იგი არეოპაგიტულ კორპუსს. სერგიოს რეშაინელმა თარგმნა არეოპაგიტული კორპუსი სირიულ ენაზე ბერძნულიდან (პეტრემ ეს კორპუსი ბერძნულად დაწერა), მაგრამ, რამდენადაც არ იცოდა ქართული ენა, „მიზეზთა წიგნს“ იგი ვერ თარგმნიდა. ამიტომაც პეტრე იბერიელის შემოქმედების სრული წარმოდგენისათვის ამ კორპუსის დამატებად თვითონ შეადგინა სირიულ ენაზე „მიზეზების წიგნი“ ფსევდოდიონისე არეოპაგელის შეხედულებებზე დაყრდნობით.

შ. ნუცუბიძის ინტერესების სფეროში ძველი ქართული მწერლობის კიდევ ბევრი პრობლემა იდგა. მათგან საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ „ბალავარიანის“ საკითხზე.

ამ პრობლემას შ. ნუცუბიძემ მიუძღვნა საგანგებო მონოგრაფია — «К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасаф» (1956 წ.), რომელშიც ვრცლად და საფუძვლიანადაა განხილული „ბალავარიანის“ ავტორობის საკითხი. მკვლევარი დეტალურად აკრიტიკებს ფ. დელგერის თვალსაზრისს (ფ. დელგერი „ვარლაამ და იოასაფის“ ავტორად იოანე დამასკელს თვლიდა). იძლევა „ბალავარიანის“ ბერძნული და ქართული ტექსტების შედარებით ანალიზს და დამატებლად ასაბუთებს ექვთიმე ათონელის ავტორობას. მაგრამ ყველაფერი ეს შ. ნუცუბიძის გამოკვლევის ერთი მხარეა. მონოგრაფიის მეორე ნაწილი ეხება იმ საკითხს, თუ ვინაა ამ რომანის თავდაპირველი რედაქციის ავტორი.

¹⁶ „მიზეზთა წიგნის“ ავტორია პეტრე იბერი, „მნათობი“, 1959, № 7; Петр Ивер и античное философское наследие, გვ. 279—417.

შ. ნუცუბიძის აზრით, „ბალავარიანის“ თავდაპირველი რედაქციის ავტორი უნდა იყოს VII საუკუნის ბიზანტიელი ნოველისტი იოანე მოსხი.

ამ თვალსაზრისის დასასაბუთებლად შ. ნუცუბიძე მიმართავს „ბალავარიანის“ და იოანე მოსხის თხზულების „ლიმონარის“ იდეურ-მხატვრულ შედარებით ანალიზს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ მათი ავტორი ერთი და იგივე პირი უნდა ყოფილიყო. ამრიგად, „ბალავარიანის“ რომელიღაც რედაქცია ჩამოყალიბებულია იოანე მოსხის წრეში და სათავეს თვით იოანესაგან უნდა იღებდეს. შ. ნუცუბიძის თვალსაზრისით, იოანე მოსხის ხელიდან გამოსულია „ბალავარიანის“ ქართული (კერძოდ მოკლე — თბილისური) რედაქცია, რამდენადაც შ. ნუცუბიძის აზრით, იოანე მოსხი ეროვნებით ქართველი მწერალია, რომელიც წერდა ბერძნულადაც და ქართულადაც.

იოანეს ზედწოდება მოსხი ორგვარად შეიძლება განიმარტოს. იგი ნიშნავს ან ნორჩს — ყლორტს, ნორჩ ცხოველს, ხბოს; ან ეროვნებით მესხს. შ. ნუცუბიძემ წამოაყენა თვალსაზრისი, რომ იგი მესხი, ანუ ეროვნებით ქართველი უნდა ყოფილიყო და მიიჩნია ორენოვან მწერლად¹⁷. ეს მოსაზრება გაიზიარა და ახალი საბუთებით განამტკიცა ს. ყაუხჩიშვილმა¹⁸. მკვლევრები, გარდა იოანე მოსხის ზედწოდებისა და „ბალავარიანის“ ავტორობის შესახებ ზემოთ ჩამოყალიბებული თვალსაზრისისა, ეყრდნობიან კიდევ შემდეგ გარემოებას: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოანე მოსხი ავტორია ძალზე პოპულარული ნოველების კრებულის — „ლიმონარისა“. ეს კრებული შედარებით სრული სახით ჩვენამდე მოღწეულია ბერძნულ, ქართულ, ლათინურ და ძველ რუსულ ენებზე, ცალკეული ნოველების სახით არაბულ ენაზედაც. ლათინური და ძველი რუსული ვერსიები აშკარად ბერძნული დედნიდანაა თარგმნილი. ქართულ ენაზე „ლიმონარი“, ანუ, ქართული სახელწოდებით, „სამოთხე“ დაცულია სამ ხელნაწერში, რომელთაგან უძველესია 925 წლისა. X საუკუნისაა ამ თხზულების ჩვენამდე მოღწეული უძველესი ბერძნული ხელნაწერებიც. ქართული და ბერძნული რედაქციების ერთმანეთთან შედარება შ. ნუცუბიძესა და ს. ყაუხჩიშვილს აფიქრებინებს, რომ ქართული არ არის თარგმნილი ბერძნულიდან. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნოველათა ერთ ნაწილს, რომელიც ქართულში აშკარად ბერძნულიდანაა თარგმნილი და, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, გვიან ჩართული, ქართული, მკვლევართა ფიქრით,

¹⁷ К происхождению греческого романа «Варлаам и Иоасоф», გვ. 94—142: ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, გვ. 217—220, 290—312.

¹⁸ ს. ყაუხჩიშვილი, მეშვიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი, «ცისკარი», 1958, № 2; მისივე, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1963, გვ. 238—247.

სავსებით დამოუკიდებელი რედაქციაა. უფრო მეტიც, ქართული არტოვებს საზოგადოდ თარგმანის შთაბეჭდილებას. ტექსტების ერთმანეთთან შედარება იმასაც ადასტურებს, რომ არც ბერძნულია თარგმნილი ქართულიდან. ამაზე დაყრდნობით შ. ნუცუბიძე აკეთებს დასკვნას, რომ „ლიმონარის“ ბერძნული და ქართული რედაქციები ორავენი დაწერილია იოანე მოსხის მიერ ერთი ბერძნულ და მეორე ქართულ ენაზე¹⁹.

შ. ნუცუბიძეს თავისი მოსაზრებები აქვს განვითარებული ძველი ქართული მწერლობის კიდევ მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე: ათცამეტ ასურულ მამასა და ეფრემ მცირეზე, „აბდულმესიანსა“ და „თამარიანზე“, „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობასა თუ ცალკეული სტროფების განმარტებაზე, რუსთველის ბიოგრაფიასა თუ სულხან-საბას იგაე-არაკთა კრებულზე და სხვა მრავალი.

შ. ნუცუბიძის სამეცნიერო მოღვაწეობა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ქართველოლოგთა და ბიზანტინისტთა ყურადღების საგანია. მრავალი რეცენზია და ნარკვევი მიეძღვნა შ. ნუცუბიძის თეორიებს და ჰიპოთეზებს, თუ ცალკეულ გამოსვლებს; რეცენზიის ავტორებია გ. დეიტერსი, კ. კეკელიძე, ს. დანელია, ა. ბარამიძე, ლ. მელიქსეთბეგი, ა. ქუთელია, ს. წერეთელი, შ. ხიდაშელი და სხვ.

1969 წელს შ. ნუცუბიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საგანგებო მონოგრაფია გამოქვეყნდა: შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, შალვა ნუცუბიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა)²⁰.

მკვლევრის მიერ დასმული პრობლემების დამუშავებას ქართველ მეცნიერთა მთელმა თაობებმა მოჰკიდეს ხელი. ბევრი მომხრე და გამგრძელებელი გამოუჩნდა შ. ნუცუბიძის თითოეულ თეორიასა თუ ჰიპოთეზას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შ. ნუცუბიძის გამოკვლევებმა ქართველ მეცნიერებში კრიტიკული გამოსმაურებაც მრავალგზის გამოიწვიეს. ამ კრიტიკული შენიშვნებიდან ამჯერად, ვფიქრობ, ერთი გარემოება მოითხოვს ყურადღების მიქცევას: როგორც სათანადო ლიტერატურაში აღინიშნა, ზოგიერთ შემთხვევაში შ. ნუცუბიძის დამოკიდებულება ლიტერატურულ-ისტორიული ფაქტებისადმი თავისუფა-

¹⁹ დღეისათვის უკვე წამოყენებული და გაზიარებულია მოსაზრება, რომ „ლიმონარის“ ქართული რედაქცია არაბულზეა დამოკიდებული — რ. გ ვ ა რ ა მ ი ა, ქართული „სამოთხისა“ და არაბული „ალ-ბუსთანის“ სინური ნუსხის მიმართებისათვის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის „შოამზე“, IV (1962), გვ. 97—109. G. Garitte, La version géorgienne du „Pré spirituel“, „Studi e Testi“, 232, 1964, გვ. 171—185. იხ. ალ-ბუსთანი (არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა რ. გ ვ ა რ ა მ ი ა მ), თბ., 1965, გვ. 40—52.

²⁰ წინამდებარე ნარკვევი ხშირ შემთხვევაში ემყარება დასახელებულ მონოგრაფიას.

ლია, მკაცრად მოტივირებული არ არის. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

პეტრე იბერისა და ფსევდოდონისე არეოპაგელის იდენტიფიკაციისას შ. ნუცუბიძის ერთ-ერთი არგუმენტი ის გარემოება იყო, რომ, მისი აზრით, არეოპაგიტული-კორპუსის საიდუმლო ნათელი იყო ქართველი მოაზროვნეების იოანე პეტრიწის, ჩახრუხაძისა და რუსთაველისათვის. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამ მხრივ ავტორი ანიჭებს იოანე პეტრიწს. იოანე პეტრიწმა თარგმნა ქართულად და განმარტა რა პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, თავის მოღვაწეობას უწოდა „კჳალად გარდამოღება“.

შ. ნუცუბიძე ფიქრობს, რომ პეტრიწი პირველად მოღვაწეობდა თვლის „მიზეზთა წიგნს“, რომელიც ქართულად დაწერა პეტრე იბერმა იოანე ლაზის მიერ ქრისტიანულ ყაიდაზე გადამუშავებულ პროკლეს „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნის“ საფუძველზე. ამ არგუმენტზე აფუძნებს მკვლევარი პეტრე იბერის, როგორც „მიზეზთა წიგნის“ ავტორის მთელ თეორიას²¹ და, მეორე მხრივ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას არეოპაგიტული პრობლემატიკის კვლევაშიც²². ფაქტია, რომ იოანე პეტრიწის „კჳალად გარდმოღებიდან“ ასეთი შორს მიმავალი დასკვნების გამოტანა ნაძალადეგია²³.

შ. ნუცუბიძის აზრით, პეტრე იბერიელის საიდუმლოება იცის ჩახრუხაძემაც. ამის საბუთს მკვლევარს შემდეგი გარემოებანი აძლევს: 1) ხოტბის დასაწყისში მეხოტბე მოუწოდებს ფილოსოფოსებს, მოვიდნენ თამარის ქებად. მაგრამ ფილოსოფოსებს იგი ჩამოთვლის არა მათი მნიშვნელობის მიხედვით, არამედ სხვაგვარად: ფილოსოფოსთა რიგს იწყებს დიონისე არეოპაგელით.

შ. ნუცუბიძის აზრით, ეს გამოწვეული შეიძლება იყოს მხოლოდ იმით, რომ ჩახრუხაძემ იცის, დიონისე არეოპაგელს რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდა საქართველოსთან²⁴. 2) სხვა ადგილას ჩახრუხაძე მიმართავს თამარს: „შენთვის ხმდა არისტოტელი, დიონოს წიგნთა შესხმანი“. შ. ნუცუბიძის ინტერპრეტაციით, აქ აშკარად ჩანს, რომ ჩახრუხაძე ლაპარაკობს არა დიონისე არეოპაგელზე, არამედ დიონისური წიგნების შემდგენელზე. ე. ი. მან იცის პეტრე იბერის საიდუმლო²⁵.

²¹ „მიზეზთა წიგნის“ ავტორია პეტრე იბერი, „მნათობი“, 1959, № 7, გვ. 72.

²² Петр Ивер и проблемы ареопагитики, გვ. 7.

²³ შ. დ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 47—48.

²⁴ Руставели и Восточный Ренессанс, გვ. 226—227.

²⁵ იქვე, გვ. 228.

ადინიშნა რომ შ. ნუცუბიძის არგუმენტაცია ამ "შეძახვევა"ში სუბიექტურია და კრიტიკას ვერ უძლებს²⁶.

შ. ნუცუბიძის აზრით, ჩახრუხადე სხვა ადგილასაც ახსენებს პეტრე იბერიელს. პოეტი ასე მიმართავს ქების ობიექტს: „ახალო პირო, მძლეო ნოსრ ვითა, ბრძენმა მასახა ასურმა ისუ“. შ. ნუცუბიძე ფიქრობს, რომ აქ მოხსენებული „ბრძენი ასური“ პეტრე იბერიელია და ჩახრუხადემ ეკლესიის შიშით მოიხსენია იგი შეფარვით²⁷. ფაქტია, რომ ეს ინტერპრეტაციაც თვითნებურია²⁸.

შ. ნუცუბიძის აზრით, ქართული რენესანსის გასაღები მოსე ხონელის შემოქმედებაა. მოსე ხონელმა შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში შაირის მეტრი და ამით იგი დაუპირისპირდა სასულიერო მწიგნობრობას²⁹. მოსე ხონელმა ჩაუყარა საფუძველი „ქება-ნის“ პოეტურ ჟანრს, რომელიც გააგრძელეს შემდეგ შავთელმა, თმოგველმა, ჩახრუხადემ, რუსთველმა³⁰. არც ამ კონცეფციას ამართლებს ისტორიულ-ფილოლოგიური მონაცემები: ჯერ ერთი, ძალზე სუბიექტური და უკიდურესად ჰიპოთეზურია მოსე ხონელის პოეტად აღიარება. მეორეც, შაირის მეტრი ქართულ პოეზიაში დასტურდება მოსე ხონელზე ადრე და ისიც სწორედ სასულიერო მწერლობის წარმომადგენლებთან³¹.

მეორე მხრივ, ყურადღებას იმსახურებს შემდეგი თავისებურებაც: ის გარემოება, რომ შ. ნუცუბიძის ამა თუ იმ თეორიისა თუ ჰიპოთეზის სამტკიცებლად მოხმობილი ზოგიერთი არგუმენტი მცდარია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თვით ეს თეორიები და ჰიპოთეზები უკვე მოხსნილია. შ. ნუცუბიძის ჰიპოთეზა საინტერესო, საყურადღებო, დასაკვირვებელი და საკვლევეა ზოგჯერ მაშინაც კი, როდესაც მკვლევრის მიერ ამ თეორიის დასამტკიცებლად მოტანილი ზოგი არგუმენტი მცდარია. შ. ნუცუბიძის, როგორც მკვლევრის, სიდიადე მის ღრმა ჰერეტიკაში და დიად ფანტაზიაშია. ამიტომ არის, რომ შ. ნუცუბიძის ჰიპოთეზებმა ორგზის აალაპარაკა მსოფლიო მეცნიერება (აღმოსავლური რენესანსის საკითხი; არეომაგიტიკის ავტორობის საკითხი); ამიტომ არის, რომ შ. ნუცუბიძის მიერ წამოყენებული თეორიები დღესაც ითვლებიან ქართველოლოგიის ძირითად საკვლევ პრობლემებად.

²⁶ იხ. ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1952, გვ. 413—415; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, გვ. 53.

²⁷ Руставели и Восточный Ренессанс, გვ. 197.

²⁸ იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 53.

²⁹ Руставели и Восточный Ренессанс, გვ. 161..

³⁰ იქვე, გვ. 167.

³¹ იხ. ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, გვ. 402—409.

იოსებ გრიგოლის ძე გრიშაშვილი (მამულაიშვილი) დაიბადა 1889 წლის 11 აპრილს თბილისში. 1897 წ. იგი ქართულ გიმნაზიაში მიიღბარეს. უსახსრობის გამო იძულებული გახდა სწავლა მესამე განყოფილებიდან მიეტოვებინა. ამის შემდეგ მისი აღმზრდელი შეიქნა ძველი თბილისი.

ქაბუჯი პოეტი 1906—1910 წლებში აქვეყნებს ლექსების რამდენიმე წიგნაკს. მალე ი. გრიშაშვილი ქართულ თეატრს დაუახლოვდა, 1907—1913 წლებში ხან მოკარნახედ, ხან მსახიობად, ხან რეჟისორად მუშაობდა. 1921 წლიდან ი. გრიშაშვილი ნაყოფიერად მუშაობს როგორც პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატურის მკვლევარი; 1947 წ. ი. გრიშაშვილი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ლექსების ერთტომეულისათვის ი. გრიშაშვილს 1950 წ. სახელმწიფო პრემია მიენიჭა. გარდაიცვალა 1965 წ.

ძველი ქართული მწერლობის ისტორიისათვის სრულიად განსაკუთრებული ფასეულობისაა პოეტი-მკვლევრის მონოგრაფია „საიათნოვა“ (1918 წ.)¹. „მთელის ორი თუ სამის წლის განმავლობაში, — ამბობს მკვლევარი, — ვაკვირდებოდი საიათნოვას სულს, ჭირისუფლურის თავგამოდებით ვეცნობოდი ყველა იმათ, ვისაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა მგოსანთან და ესწავლობდი როგორც მის ღრობინდელ თბილისს, ისე მის მემკვიდრე ბილან ყარაჩოღელებს. აქ ხშირად ვერ ვითმენდი, ცნობისმოყვარეობა წამძლევდა და როდესაც ზოგიერთ ცნობებს ყარაჩოღელთა შესახებ წიგნებში ვერა ვპოვებდი, მივმართავდი ცოცხალ მატთან. ამ ჭარმაგოსანთაგან ნახსოვნი ამბებს ვკრებდი აზიზად და დიდის სიფრთხილით ვატარებდი ჩემი დაკვირვების საცერში“ და ეს „ქაშნიკაულებელი საგანი“ ჭირისუფალმა მკვლევრის რუდუნებით და პოეტის პათოსით „შეისწავლა, შეიმეცნა, შეიერდომა“.

1918 წლამდე ცნობილი იყო აშუღის მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოები. ამ წელს კი მონოგრაფიასთან ერთად მგოსანმა დასტამბა საიათნოვას 28 ლექსი. ათი გადმოწერილია ყოფილ წერა-კითხვისა და ყოფილ საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ხელნაწერებიდან, სამი გადმობეჭდილია ი. ჭავჭავაძის „ივერიიდან“, ხოლო თხუთმეტი ლექსი ლენინგრადის ყოფილ სააზიო მუზეუმის ხელნაწერებიდან გადმოწე-

¹ ესარგებლობთ ამ მონოგრაფიის იმ გამოცემით, რომელიც შესულია ი. გრიშაშვილის თხზულებათა ხუთტომეულში (III, თბ., 1963).

რა და მგოსანს გამოუგზავნა ნ. მარმა. შეკრება-გამოწვლილის გარდა, ი. გრიშაშვილმა გამართა ტექსტი ამ ლექსთა უმრავლესობისა, შეაჩერა ხელნაწერთა ჩვენებანი.

მონოგრაფიაში ყურადღება პირველ რიგში მიექცა აშუღის ბიოგრაფიას. მგოსნის სახელს, ფსევდონიმს მისი თანამედროვენიც და XIX საუკუნის მოღვაწენიც სხვადასხვანაირად გამოთქვამდნენ. ი. გრიშაშვილმა მიუთითა, რომ ყველაზე სწორი ფორმა შეიძლება იყოს „საიათნოვა“ და ახსნა მისი წარმოშობა; უკანასკნელი საბუთების მიხედვით, „საიათნოვა“ უნდა ნიშნავდეს „ახალ სეიდს“ ანუ ახალ მოძღვარს. ჩვენი წარმოდგენა კი საიათნოვას დაბადებისა და გარდაცვალების დროზე, ზოგიერთ ბიოგრაფიულ დეტალზე 1918 წ. შემდგომ შეიცვალა და უფრო დაზუსტდა ახალი მასალების მიხედვით.

ი. გრიშაშვილმა ხოჯივანქის სასაფლაოზე ნაპოვნი საფლავის ქვის წარწერის მიხედვით მიუთითა, რომ საიათნოვას ცოლს რქმევი მარმარა და გარდაცვლილა 1768 წ.

ბატონიშვილების თხოვრებებისა და მინაწერების მიხედვით, ისტორიული საბუთების, აშუღის ლექსთა დაეთრების საფუძველზე მკვლევარი აღადგენს უმთავრეს მომენტებს მგოსნის ცხოვრებისა: ურთიერთობა ერეკლე და გიორგი მეფეებთან, ბატონიშვილებთან, ფეოდალურ არისტოკრატიასა და თბილისის საზოგადოებასთან, შეილებთან. საგულისხმოა ის დეტალებიც, რაც „ქარმაგოსანთაგან ნახსოვნ ამბებს“ შემოენახა და ამ წიგნმა გადაგვიჩინა: აშუღის ბავშვობა და ხელოსნობა, სპარსეთის გამოჩენილი აშუღის ჩამოსვლა საიათნოვასთან „მარაქის შესაკვრელად“, ნორაშნისუბნელი ტალითასადმი ტრფობა, სპარსთაგან სიკვდილი ეკლესიის კარიბჭეში და სხვა. მაშინაც; როცა საეკვო ხდება ამ გადმოცემების ქეშმარიტება, ისინი საყურადღებოა როგორც სამყარო ლეგენდებისა, რომელთაც ხალხი ყოველთვის ქმნის საყვარელ მწერალზე. „შეიძლება ეს ამბავი ზღაპარიც იყოს! — შენიშნავს ზოგჯერ პოეტი-მკვლევარი, — მაგრამ მასში თვალხმირად გამოკრთისო ესა და ეს აზრი, განწყობილება ან დამოკიდებულება“.

ნაშრომის დასაწყისი ფურცლები ეძღვნება აშუღთა ცხოვრების ელფერის. წესის, რიგისა და თავისებურებათა დახასიათებას. აქ სხვადასხვა წყაროებიდან (ბევრი რამის თვითმხილველი ავტორია) გამოწვლილული და განხილულია ფრიად საინტერესო მასალა ჩვენი ისტორიის ერთი საინტერესო უბნისა. ეს არის ერთგვარი ფონი, რაიც გვიადვილებს ძირითადი საკითხის — აშუღური პოეზიისა და საიათნოვას შემოქმედების შემეცნებას.

აშუღის რაობის, აშუღური პოეზიის არსისა და სპეციფიკის შესახებ ი. გრიშაშვილის დაკვირვებები ძირითადად ასე შეიძლება ჩამოყალიბოთ:

„აშულებების მოვალეობა ის იყო, რომ მათ უნდა ექსპრომტად დაემღერათ ქამანჩაზედ თუ დაირაზედ ლექსი. აშული ძველად დამკვრელიც იყო, მომღერალიც და ავტორიც“ (თანადროული აშულებები კი უფრო ამსრულებელნი არიან). ამრიგად, აშულის საქმიანობაში ერთმანეთს ერწყმის სხვადასხვაგვარი ხელოვნება.

აშულთა ჰანგი სპარსეთიდან შემოვიდა ჩვენში XVII საუკუნიდან. მაგრამ აშულებმა სპარსული ჰანგები მრავალ ხმად აახმიანეს, თბილისმა კი „თავისებური ეშხი და მზეონსობა მისცა“. ისეთი სიმღერები, როგორცაა: „ორთავ თვალის სინათლევ“, „ვაი, რა დავკარგე“, „მშვენიერთა ხელმწიფავ“ და მრავალი სხვა იმდენად „შუშტაკადანსმული და გაელფერებულა“, რომ „თვით დამკვრელისთვისაც შეუძლო ხდება მიაგნოს მის პირველ ნაკადს და იგი წარმოუდგება ქართული მუსიკის მრავალტოტიან მდინარედ“.

არსებობის ფორმაც თავისებური ჰქონდა აშულურ პოეზიას. აშულები „ზეპირად სწერდნენ ლექსებს გონების ფირფიტაზედ, ზეპირადვე აშალაშინებდნენ, ჰქლიბავდნენ, აკობტავებდნენ, ამუსიკალებდნენ ლექსის ზომა-წყობილებას და ზეპირადვე ჰფანტავდნენ ხალხში „თესლსა კეთილსა“ — ჰმღეროდნენ და სიმღერის საშუალებით ავრცელებდნენ ჰკვიანურ სიტყვა-აზროვნებას“.

აშულური პოეზია განსაკუთრებით XVIII ს-ში მომძლავრდა. ამ საუკუნის აშულები („ნამდვილი აშულები“) მღეროდნენ სამ ენაზე: ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად.

ი. გრიშაშვილი გამოჰყოფს მეორე ჯგუფს აშულებისა, რომლებიც „სწერდნენ აშულურ ლექსებს, მაგრამ კი არ მღეროდნენ“. მათი უმრავლესობა XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში მოღვაწეობდა. შემდგომ გამოყოფილია კიდევ ორი ჯგუფი: სპარსული პოეზიის (განსაკუთრებით აშულთა) მიმდევარ-წამბაძველნი და ის მომღერალ-საზანდარები, რომლებიც საუცხოოდ მღეროდნენ აშულთა ლექსებს. საყურადღებოა, რომ მკვლევარმა ძველი წიგნსაცავების შემოწმებისა თუ ზეპირი გამოკითხვის გზით აღნუსხა და დავიწყებას გადაარჩინა ამ ჯგუფებში შემავალ მოღვაწეთა ათეულობით სახელი.

XVIII საუკუნეშივე იჩენს თავს სიახლე აშულურ პოეზიაში — აშული (რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა წერა-კითხვა არ იცოდა) მწიგნობრადაც გადაიქცევა. ინტერესმა წარსულისადმი, მკითხველთა მოთხოვნილების (ორიგინალობა, ფორმის სიფაქიზე, შინაარსის სიღრმე) გაზრდამ განაპირობა ეს. ამ დროს გაჩნდნენ სასახლის აშულები, პოეტი მგოსნები. ნარკვევი საიათნოვას მაგალითზე ცხადყოფს, როგორ შენივთდა ამ გზით სახალხო მომღერლის ხელობა და პოეტის მოწოდება.

განსაკუთრებით ფასეულია ი. გრიშაშვილისეული დაკვირვებანი

სილამაზე. ...მან იცის „სიყვარულის ენა“, „სამიჯნურო მუსაფი“. სიყვარული ზვარაკს მოითხოვს, საიათნოვაც ზვარაკია მიჯნურობისა: „ღმერთმან შეუნდოს იარისაგან (სიყვარულისაგან) მოკლულ არუთინასაო!“ თუ ერთხელ გაიღიმებს, ათი ათასჯერ კენესა უნდა აღმოხდეს. „საიათნოვა თუ ოდესმე დამწუხრებული ყოფილა, ალბათ მისი აუადობა — სიყვარული იქნებოდა, ხოლო ამ სიყვარულის სალბუნე კი — სატრფო“.

მაგრამ საიათნოვას ნაფიქრ-ნასიტყვეს ყოველთვის ადგას მოქალაქეობრივი გრძნობის სხივი. „საიათნოვა პირველ ყოვლისა მოქალაქე მგოსანია“. სწორედ „მან სახალხო მომღერლის ხელობა გადააქცია პოეტის უმაღლეს მოწოდებად“. „მან ხალხისათვის აიღო ხელში ჭიანჭური... გავიდა ხალხში, რომ კეთილაზროვნება და ზნეობის სიფაქიზე დაეთესა“.

აშუღის სულსა და გულისთქმასთან სასურველი სიფაქიზითაა მიახლოებული ი. გრიშაშვილი, როცა იგი საიათნოვას პატრიოტულ პროფილზე მსჯელობს. ნაჩვენებია, რა ასაზრდოებდა ეროვნებით სომხის, პალეხელი მამისა და ავლაბრელი დედის ნაშიერს, როცა იგი სიამაყით, მოუჩვენებელი სიყვარულითა და გულგახსნილობით აცხადებდა (ერთს სომხურსა და ერთს აზერბაიჯანულ ლექსში): „ჩემი სამშობლო თბილისია, საქართველოს გული...“; „ჩემი ბატონი და ჩემი მეფე ირაკლი მეფეაო!“

თბილისის ტრფიალი და უერთგულესი მოქალაქის შეგნება ხელს არ უშლიდა დიდსულოვან აშუღს, თავისი ერის მოყვარული და პატივისცემელი ყოფილიყო. „მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ იგი დაიბადა, აღიზარდა და აიფურჩქნა მხოლოდ ქართველი მუზის წიაღში: იგი ქართულად ესიმღერებოდა ქართველ მეფეებს, ქართულად სწერდა, ქართულად გრძნობდა და ქართულად სტიროდა თუ იცინოდა! საიათნოვა იმდენად არის სომხის პოეტი, ქართველი პოეტი და აზერბაიჯანელთა პოეტი, რამდენადაც ის სწერდა სომხურად, ქართულად და აზერბაიჯანულად, მაგრამ თავისის არსებობით, თავისის ხელოსნობით და მგოსნობით ის იყო ერეკლე მეფის კარის მგოსანი“.

შემდგომ მითითებულია იმ ერთფეროვნებაზე, რასაც ქმნის აშუღის მიერ ზოგიერთ მხატვრულ სახეთა ხშირი მოხმარება, აღნიშნულია, რომ ეს „მუხამბაზური ყაიდის ლექსები“ ზოგჯერ სცოდავს როგორც თემატიკურად, ისე პოეტური კეთილზმოვანების მხრივ. განმარტებულია სპეციფიკა იმ სტრიქონებისა, რომლებიც სუსტია პროფესიული პოეტური ხელოვნების პოზიციიდან, მაგრამ რომელთაც „თავისი თქმა აქეთ“, ე. ი. გარკვეულ მიდგომას საჭიროებენ (ამაზე უკვე ზევით ვთქვით კონკრეტულად). უნდა გვახსოვდეს, რომ საიათნოვას „როგორც მგოსანს, როგორც მომღერალს, დღემდე ბადალი არა

ჰყავს საქართველოში და, დამერწმუნეთ, სულ სხვა იქნებოდა, როცა ის ქამანჩას მოიმარჯვებდა ხელში და, სიმების ლაპარაკის დროს, ექსპრომტად დაამღერებდა თავისსავე ლექსებს“.

ნარკვევის ამ მონაკვეთებში, რომლებიც აშულთა ცხოვრების იერს აღწესნავს ზოგადად, აღნიშნულია, რომ „ყველა აშულს თავისი ხელობა ჰქონდა, ხოლო აშულთა მათი შესაქცევარი საგანი იყო“. საიათნოვას შემოქმედებითს თვისებებზე საუბრიდან საცნაური ხდება, რომ მგოსნობა — „ხალხის ნოქრობა“ იყო მისთვის ყველაფერი და სხვა ყველა კი — შესაქცევარი. იგი სულ შემართული იყო და იშვიათად გამოთიშული შემოქმედებითი თრთოლიდან. „ის იყო ნამდვილი აშული, აშიკი, მგოსანი, მომღერალი, მოტრფიალე, ხელი, შმაგი, ველად გავარდნილი მიჯნური...“ ამ მდგომარეობაში აშულისათვის არ შეიძლებოდა არსებულიყო არაერთარი მატერიალური საზღაური. „ის მღეროდა გულისთვის! სულისთვის! სიყვარულისთვის!“

აშულის ლიტერატურულ პორტრეტს ასრულებს საიათნოვასა და ბესიკის პოეტურ პროფილთა რელიეფურად გამოკვეთილი შედარება. შედარებას ბიძგს აძლევს ის გარემოება, რომ ისინი „მარად და მარად ერთს მოტივს დაჰმღეროდნენ“, და სრულდება დასკვნით, რომ ისინი მაინც „სხვადასხვა ჯურის მგოსნებად უნდა მივიჩნიოთ“. გარეგნული მსგავსების მიღმა მიფარული სოლიდური შინაგანი სხვაობა აღზრდის, განსწავლისა და ცხოვრებისეული გაკვეთილების სხვადასხვაგვარობიდან მომდინარეობს. „ბესიკი ინტელიგენტი მწერალია! ის მაშინდელი სემინარიის პირველი სტუდენტი იქნებოდა. ალბათ!“ ბესიკი ლიტერატურულ გარემოში (ოჯახი, სამეფო კარი) აღიზარდა. ნალბანდის შვილის საიათნოვას განვითარება კი საფეიქრო დაზგასა და კარის ეკლესიას არ გასცილებია. „იგი მეცადინეობდა თავისთვის. ყოველს გაგონილ აზრს ხავსს აპყრიდა, ყაირათობდა და ნელინელ იფანტებოდა თოვლის სხივებივით“. რასაც ბესიკს ოჯახი და სკოლა აძლევდა, საიათნოვა იმას ქუჩაში იძენდა. ის, რაც ბესიკს „მისცეს“, აშულთა თავისი ცხოვრებით, მკლავით, სულითა და გულით გამოკვანდა. შემოქმედებით წყაროსაც ასე თავისით დაეწაფა იგი. „მართალია, ის თავის ლექსებში „ყველა ქვეყანას უელის“, მაგრამ ეს უფრო პოეტური კოთხვითი ნიშანია, ვიდრე მრავალწერტილი“. ეს უფრო ძიების წყურვილს მიგვანიშნებს, ვიდრე განსწავლულობით დაღლილის ექსტს, — კიდევ ბევრი მაქვს სათქმელიო.

„საიათნოვა“ ფართო კულტურულ ფონზე გაშლილი გამოკვლევაა. საიათნოვას პიროვნებისა და შემოქმედების გამოსაკვეთად ი. გრიშაშვილი გზადაგზა გაკვრით ეხება სხვა აშულების — სტეფანოსის, შამჩიმელქოს, ჰაზირას, სკანდარნოვას — ქმნილებებს. გამოკვლევაში გაფანტულია მახვილი ლიტერატურული შენიშვნები და რემარკები ძველი

ქართული ლიტერატურის ზოგიერთ საკითხზე, ძველ ქართველ მწერლებზე. პოეტი-მკვლევარი მიუთითებს, რომ „აშული იგივე მგოსანია, მომღერალი, მეხოტბე და შემამკობელი“. სულხან-საბას განმარტებიდან (მგოსანი არის „მომღერალი ხმითა სამუსიკოთა ებანთა და საკრავთა ზედა“) მომდინარე, სახარების ქართული ტექსტის, „ვეფხისტყაოსნის“, „ქართლის ცხოვრების“, ე. წ. „აბღულმესიანის“ ჩვენებათა მოხმობით გამართლებულია ასეთი გაგება.

ი. გრიშაშვილის დაკვირვებათაგან დასტურდება, რომ „ბაძვა“ ძველ ქართველ შემოქმედთა წრეებში ლიტერატურული საქმიანობის დამახასიათებელ ნიშნად იყო მიჩნეული და, ამდენად, ლიტერატურათმცოდნეობითს ტერმინს წარმოადგენდა.

ი. გრიშაშვილმა „პირველად მიაქცია ყურადღება რუსთველური ალიტერაციის პრობლემას“ (ა. ბარამიძე). მას მოჰყავს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპი: „ზახილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამაყად ჰყიოდა“. სტრიქონის მეორე ნახევართან დაკავშირებით მკვლევარი წერს: „ასო ყარის შემწეობით ჰკრძნობთ, რომ თითქოს უღალ მთების შორეთიდან ყვილი ომანიანად და მკვეთრად მოისმისო“. ყურადღება მახვილდება ამავე მომენტზე ბესიკის ლექსებში.

ანგარიშგასაწევი ჩანს პოეტის შენიშვნა, რომ „დავითიანს“ ეტყობა ებრაული პოეზიის გავლენა და ზოგიერთი ლექსი კი იერემიას გოდების მსგავსად არის დაწერილი“. სამართლიანი აღმოჩნდა ის ეჭვი, რაც ი. გრიშაშვილმა შეიტანა იმ აზრის სისწორეში, რომ თითქოს „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“ ეკუთვნოდა თეიმურაზ ბატონიშვილს. გამოკვლევაში არის შენიშვნები ნანუჩა ციციშვილის, არჩილ მეფის, ზაქარია გაბაშვილის, სულხან-საბას, მზეჭაბუკ ორბელიანის, იესე ტლაშაძის, პეტრე ლარაძისა და სხვათა შესახებ; წარმოჩენილია საიათნოვას გავლენა გ. ორბელიანის რამდენიმე ლექსზე.

ი. გრიშაშვილის ყურადღება მიპყრობილია ძველი ქართული ლექსთწყობის საკითხებზე, საგანგებოდ — მუხამბაზურ ლექსზე. დახასიათება ამ ლექსის ბუნებისა და მისი ვარიაციებისა გაკეთებულია საფუძვლიანად, ილუსტრირებულია.

ასე წარმოგვიდგება ი. გრიშაშვილის ნაფიქრ-ნააზრევი საიათნოვას შესახებ. ეს წიგნი მონოგრაფიულად გვაცნობს ჩვენი კულტურული წარსულის ერთ მეტად თავისებურ მოღვაწეს. თუმცა იგი არც მონოგრაფიაა ჩვეულებრივი გაგებით. აკადემიური ძიება აქ განაყოფიერებულია მოსიყვარულე მზერით. ეს არის წიგნი პოეტისა პოეტის შესახებ.

„ი. გრიშაშვილმა — წერს ა. ბარამიძე, — აღადგინა საიათნოვას მგოსნური სახე... საიათნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის მხრით თუმცა შემდეგაც ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ქართული

ლიტერატურის ისტორიაში საიათნოვამ არსებითად ის ადგილი დაიმკვიდრა, რაც მას ი. გრიშაშვილმა მიუჩინა². ამ წიგნმა „ქართულ საზოგადოებაში გააღვიძა ინტერესი მგოსნისადმი, რომელიც მანამდის საკმაოდ მივიწყებული იყო“³.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართ თვალსაჩინო სამსახურს უწევს ის შენიშვნები, რომლებიც ი. გრიშაშვილმა დაურთო ი. ჭავჭავაძის მიერ შეკრებილი საანდაზო ლექსების გამოცემას (1935 წ.). შენიშვნები შეეხება „ვეფხისტყაოსნის“, „ქილილა და დამანას“, „დავითიანის“ იმ ბრძნულ თქმებს, რომელთაც ილია სხვადასხვა დროს აქვეყნებდა. ი. გრიშაშვილის დაკვირვებათაგან ცხადი შეიქნა, რომ „ქილილა და დამანას“ აფორიზმთა უმრავლესობა „ილიას თავისი გუნების მიხედვით შეუცვლია“. ნაკლებ შეხებია მისი ხელი შოთასა და დავითის ქმნილებებს. მკვლევარი აჩვენებს ამ ცვლილებათა აზრს, მიზეზს და ლიტერატურულ საფუძვლიანობას (ან პირიქით). გარკვეულ იქნა, რომ ცნობილი აფორიზმი — „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა!“ — რომელიც ილიამ რუსთველისეულად მიიჩნია, მომდინარეობს ნანუჩა ციციშვილისგან „განგრძელებულ“ „ვეფხისტყაოსნიდან“ და უცნობი ინტერპოლატორის მიერ რუსთველური თქმით, ლექსიკითაა შეკეთებულა.

ი. გრიშაშვილმა გაარკვია, რომ ილიას პოემის („მეფე დიმიტრი თავდადებული“) ერთი ადგილი — „მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“, — მომდინარეობს „ქილილა და დამანადან“.

აქვე არის საყურადღებო შენიშვნები ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე. რომ ხალხური თხზულება არ შეიძლება უსწრებდეს ლიტერატურულს, ი. გრიშაშვილმა ამის ნათელსაყოფად მანგილი მეცნიერული საბუთები მოიტანა: „ხალხურ ვეფხისტყაოსანში მე-12 საუკუნისათვის უჩვეულო სიტყვა „ყ ი ზ ი ლ ბ ა შ ი ა“ ნახმარი... ხოლო ავთანდილსა და ტარიელს, სხვა საჭურველთა შორის თოფიც აქვთ“.

წერილში „ბუღბუღლის ყეფა ქართულ პოეზიაში“ ნაჩვენებია, რა ნაირსახეობით მეორდება ეს პოეტური ფიგურა რუსთველიდან მოყოლებული გრიგოლ ცეცხლაძის ლექსებამდე. ვარდ-ბუღბუღლიანური თემის მკვლევარისათვის უცილობლად გასათვალისწინებელია წერილი — „ვარდი და ბუღბუღლის“ ჭავჭავაძისეული თარგმანი“ (ორივე წერილი შესულია ი. გრიშაშვილის თხზულებათა უკვე დასახელებული გამოცემის მეოთხე ტომში).

ხოლო პოეტი-მკვლევრის იმ ნაშრომთაგან, რომლებიც ჩვენი სი-

² ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1964, გვ. 282.

³ გ. ლეონიძე, ძიებანი ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1949, გვ. 295.

ტყვიერების ძველ პერიოდს ეხება, ღრმა ცოდნასთან ერთად ყოველთვის გამოკრთის დიდი კრძალვა ყურადღების საგნისადმი, თავმოდრეკილი მუშაკის რუდუნება. ის გარემოება კი, რომ ი. გრიშაშვილის მეცნიერული დაკვირვებები ხშირად ზელოვანის პათოსითაა გაცხოველებული, იმის თავმდებია, რომ მათ არასოდეს მოაკლდება ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება.

ლეონ მელიქსეთ-ბეგის სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოში ფრიალ აღიარებულ იქნა. იგი იყო სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, არმენოლოგიის კათედრის გამგე. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა თითქმის ნახევარ საუკუნეს მოიცავს (ამ საუკუნის ათიანი წლებიდან 60-იან წლებამდე) და მეცნიერული პროდუქტიულობით გამოირჩევა.

დაიბადა ქ. თბილისში 1890 წელს (26. IX). თბილისის ვაჟთა რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტში, რომელიც 1909 წელს დაასრულა.

სტუდენტობის დროსვე აღძრული მთარგმნელობითი ინტერესები მას ბოლომდე გაჰყვა. ამისი ნაყოფი იყო მისი მრავალრიცხოვანი თარგმანები, რომელთაგან ძველი ქართული მწერლობის ისტორიის თვალსაზრისით გამოსაყოფია: „საიათნოვას სომხურ ლექსთა სრული კრებული“ (თარგმნილი ვარიანტებით, წინასიტყვაობა-შესავლით, შენიშვნებით და ლექსიკონ-საძიებლით პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ, თბ., 1935).

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი თბილისში მოღვაწეობს. იყო სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრი. 1918 წლის სექტემბრიდან კი არჩეულ იქნა თბილისის უნივერსიტეტის სომხური ენის ლექტორად. აქვე დაიცვა მან სადოქტორო დისერტაცია სომხურ-ქართულ ფილოლოგიაში. შემდეგ, 1930 წლიდან, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორია, 1935 წლიდან კი — არმენოლოგიის კათედრის გამგე.

ლ. მელიქსეთ-ბეგი 1963 წელს გარდაიცვალა.

ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით მეტნაკლებად საყურადღებოა შემდეგი პრობლემების დამუშავება ლ. მელიქსეთ-ბეგის შრომებში:

1. სომხურ თხზულებათა ქართული ვერსიების პუბლიკაცია და მასთან დაკავშირებული საკითხები;
2. ძველ ქართულ მწერლობაში მოღვაწე სომხები;
3. საკუთრივ სომხურ-ქართული ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები;
4. ძველი ქართული წყაროები სომხეთზე;
5. ძველ ქართულ თხზულებათა სომხური წყაროები;

6. საკუთრივ ძველი სომხური ლიტერატურის საკითხები.

ლ. მელიქსეთ-ბეგის ყურადღებას იქცევდა ძველ ქართულ მწერლობაში შემონახული მრავალი მნიშვნელოვანი სომხური თხზულების ვერსია. ეს ვერსიები საშუალებას ქმნიან, ერთი მხრივ, თვით დედნის ტექსტის უკეთ აღდგენისა, რამდენადაც ისინი ხშირად უფრო ძველი ხელნაწერებითაა შემონახული, ვიდრე თვით სომხური დედნები. მეორე მხრივ, ქართული ვერსიების ენობრივი და ისტორიულ-ლიტერატურული მონაცემების ანალიზით მრავალი საკითხი ნათელით იმოსება თვით სომხურ ფილოლოგიაში. ამიტომ ლ. მელიქსეთ-ბეგი გულისყურით ეძიებდა ასეთ თხზულებებს, აქვეყნებდა სათანადო თარგმანებითა და მეცნიერული კომენტარებით.

ამ თვალსაზრისით, იგი არაერთ ნაშრომში ეხება იმ მასალებს, რომლებიც ჩვენ მწერლობაში მოიპოვება სომეხთა განმანათლებლის გრიგოლ ფარაბეცის შესახებ. მაგალითად, ქართულ მწერლობაში მოიპოვება მასალა — ჰომილია გრიგოლ ფარაბეცზე, რომელიც შესულია ანტონ I-ის „მარტირიკაში“ და მიეწერება იოანე ოქროპირს (იოანეს სახელით მისი ბერძნული ვერსია შესულია ე.-პ. მინის პატროლოგიაში). ფსევდოავტორობა, თვით ლ. მელიქსეთ-ბეგის შენიშვნით, უნდა მომდინარეობდეს სომეხ ქალკედონიტთა წრიდან, რათა გამოჩენილ სომეხ პიროვნებაზე თხზულება „post factum იოანესათვის მიეწერათო“ („ლიტ. ძიებანი“, II (1944), გვ. 40). მაგრამ ჩვენის ფიქრით, შეიძლება სხვაგვარი ვარაუდიც, კერძოდ, რომ დასაშვებია გრიგოლზე დაწერილი ჰომილია გამოჩენილი ბერძენი მწერლისა და უდიდესი საეკლესიო ავტორიტეტისათვის თვით ანტიქალკედონიტ სომეხებს მიეწერათ. ეს უნდა მომხდარიყო გვიან, საეკლესიო განხეთქილების კარგახნის შემდეგ. ამით სომეხთა დამძრახავ ბერძენებს იოანე ოქროპირის ავტორიტეტზე ამოფარებით საკუთარ განმანათლებელს განუდიდებდნენ. საფიქრებელია, რომ ეს მოხდა XII ს-ში, ან მის შემდეგ, რადგან ნ. მარის თანახმად, დასახლებული ნაწარმოები 1141 წელს თარგმნა სომხურად აბრაამ გრამატიკოსმა¹.

ლ. მელიქსეთ-ბეგი იძლევა ამ თხზულების ქართული ვერსიის პუბლიკაციასაც.

ამავე საკითხებს უკავშირდება მისი ნაშრომი, სათაურით „ცხოვრება გრიგოლ პართელისა“ (თბ., 1920). აქ გამოქვეყნებული ტექსტი ემყარება ერთ ქართულ ხელნაწერს (წერა-კითხვის გამავრც. საზ. № 384), რომელიც მანამდე ცნობილი იყო თ. ყორღანის „ქრონიკე-

¹ Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазцев и алапов святым Григорием (Арабская версия), ЗВОРАО, XVI, 2—3 (1905), гв. 153.

ბიდან“ (ტ. I, 1893, გვ. 19—27). ლ. მელიქსეთ-ბეგმა მას ადრევე მიუძღვნა სპეციალური გამოკვლევა².

ლ. მელიქსეთ-ბეგი აღნიშნავს, რომ ამ თხზულების თარგმანი შესრულებულია 1081 წელს კონსტანტინოპოლში თეოფილე ხუცესონაზუნის მიერ X ს-ის სვიმონ მეტაფრასტიკისეული რედაქციიდან. ბერძნული კი თავის მხრივ თარგმნილია IX საუკუნეში VIII საუკუნის სომხური რედაქციიდან. მკვლევარმა მხოლოდ ქართული ვერსიის პუბლიკაცია მოგვცა და არ უჩვენებია, თუ რა ხასიათისაა იგი, როგორია მისი მიმართება ბერძნულ ან სომხურ რედაქციებთან.

ათონის ხელნაწერში (№ 57) შესულია ქართული თარგმანი ცხოვრებისა იმ სომეხ მოღვაწეთა, რომლებიც ცნობილი იყვნენ „მესუქეველთა“ (მესუქეველნი, სუქაველნი) სახელწოდებით. ამ ცხოვრებას ვპოულობთ აგრეთვე ანტონის „მარტირიკაში“. სუქაველნი, გადმოცემის თანახმად, იყვნენ ქრისტიანები, I საუკუნის დასასრულს თუ II-ის დამდეგს მოსულან სომხეთში და იქ უმოღვაწენიათ. მალაქია ორმანიანი, კონსტანტინოპოლის სომეხთა მთავარეპისკოპოსი მათ სახელწოდებას უკავშირებს ბერძნულ სატყვას ἱσχυροί (მშვიდი, წყნარი).

ქართულ რედაქციას მნიშვნელობა ენიჭება თხზულების სომხური დედნის აღსადგენად. ზემოაღნიშნული საკითხები განხილულია ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ ძეგლის პუბლიკაციასთან დაკავშირებით (იხ. თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI (1926), გვ. 123—135).

ლ. მელიქსეთ-ბეგმა გამოსცა ქართული ვერსია საპაპ პართელის წინასწარმეტყველებისა (თუმ, II (1922—23), გვ. 200—223). აქვე წარმოდგენილია ნაწარმოებთან დაკავშირებული საკითხები, ნაჩვენებია მისი გავრცელება ძველ ქართულ მწერლობაში. ეს ნაწარმოები წარმოდგენს აპოკრიფულ „ხილვას“. მას იცნობს არსენ დიდი საფარელი, რაც ჩანს მისი პოლემიკური ტრაქტატიდან — „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“.

დასახელებულ ნაწარმოებს იცნობს ძველი ქართული მწერლობის სხვა თხზულებანიც: „მოთხრობაჲ პატიმოთინისგან“ და „მეფობა სომეხთა ნოეს შვილითგან, ესე არს პოვნილ პატიმოთინისგან წიგნსა ამას შინა გამოკრებით ნახარათა და ნათესავთა“ (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერი № 735, 10r—11r; ფ. Жордания, Описание, II, გვ. 195); აგრეთვე: პოლემიკური თხზულება — „სიტყესგება ბერისა ეფთჳმე გრძელისა სოსთენის მიმართ სომეხთა მოკლუარისა“ და ბოლოს, ანტონის „მზამეტყუელება“ (გვ. 202—205). ეს თხზულება ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია ერთი ნუსხით, რომელიც შედის ანტისომხური ნაწარმოებების შემცველ კრებულში.

² Грузинская версия Агафангела и ее значение для грузинской историографии, ХВ, IV, ნაკვ. 2 (1915), გვ. 155—170.

აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ პუბლიკაციები იმ თხზულებათა, რომლებიც სიტყვაკაზმულ მწერლობას არ განეკუთვნება, მაგრამ მაინც სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ამსახველი არიან. მხედველობაში გვაქვს ლ. მელიქსეთ-ბეგის გამოკვლევანი: 1. სტეფანე სივნიელის „ორბელთა ისტორიის“ ქართული ვერსია („საინტორიო მოამბე“, VI, 1952) და 2. სამართალი სომხური. ქართული ვერსია, შესრულებული ვახტანგ VI-ის ბრძანებით (თბ., 1927).

ამრიგად, ქართულად ნათარგმნ სომხური თხზულებების პუბლიკაციასთან დაკავშირებით ლ. მელიქსეთ-ბეგი ძირითადად არკვევს იმ საკითხებს, რომლებსაც მნიშვნელობა ეძლევა შესაბამის ძეგლთა სომხური ორიგინალის ტექსტის დასაზუსტებლად.

განსაკუთრებული ყურადღებით ავლენდა და იკვლევდა ლ. მელიქსეთ-ბეგი იმ სომხური წარმოშობის ავტორთა ცხოვრება-შემოქმედებას, რომლებიც ქართულ მწერლობაში მოღვაწეობდნენ.

ამ მხრივ უპირველესად უნდა გამოიყოს ლ. მელიქსეთ-ბეგის საიათნოვასადმი მიძღვნილი შრომები. ესენია: „საიათნოვას ვინაობა“ (თბ., 1930), „საიათნოვას შემოქმედების ლიტერატურულ-ხალხური წყაროები“ („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წიგნი I, 1935, გვ. 232—256); ზემოთ უკვე დასახელებული — „საიათნოვას სომხურ ლექსთა სრული კრებული“ (1935 წ.) და ნაწილობრივ — „იოსებ გრიშაშვილი და სომხური ლიტერატურა“ (თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI (1957), გვ. 249—277).

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ლ. მელიქსეთ-ბეგის დასახელებული შრომები საფუძველდამდებია საიათნოვას ცხოვრება-შემოქმედების შესწავლაში.

ლ. მელიქსეთ-ბეგმა დაადგინა, რომ საიათნოვას გარდაცვალების შესახებ არსებული გადმოცემა, რომლის მიხედვით იგი დაიღუპა 1795 წელს თბილისის კედლებთან, აღა-მამკაღ-ხანის შემოსევის დროს, ლეგენდაა და წყაროთა ჩვენებას ეწინააღმდეგება.

როგორც აღვნიშნეთ, იგი შეეხო საიათნოვას შემოქმედების წყაროთა საკითხს. საიათნოვა იყენებდა „ლეილმაცხუნიანის“, „როსტომიანის“, „ვარდბულბულიანის“ პასაეებს თუ ცალკეულ ამბებს. ეს ნაწარმოებები ძველ ქართულ მწერლობაში კარგადაა ცნობილი, მაგრამ ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს, რომ ისინი პოეტს უნდა გამოეყენებინა სომხური ხალხური ზეპირმეტყველების მიხედვით, რადგანაც საიათნოვას მოღვაწეობის დროისათვის არსებობდა ამ თხზულებათა სომხური ფოლკლორული ვერსიები. მკვლევარი მიუთითებდა კონკრეტული შეხვედრების მაგალითებს. მაგალითად, ლექსში „ბალი ბულბულით აღესილა“ იგი ხედავდა „ლეილმაცხუნიანის“ გავლენას; „ფარჰადში-

რინიანის“ კვალს იგი ხედავდა საიათნოვას ლექსში „მტკვარო ამღვრე-ულო“.

ამდენად, ლ. მელიქსეთ-ბეგის დასკვნით, ქართულ და სომხურ მწერ-ლობაში საერთოდ ცნობილი თხზულებანი საიათნოვას უმთავრესად გამოყენებული აქვს სომხური გზით. თუ სომხურ მწერლობაში არ ჩანს ეს თხზულებანი, მაშინ მკვლევარი საგულეებლად ხდის ფოლკ-ლორული სომხური ვერსიების გამოყენებას.

ამავე რიგის საკითხები განიხილება შრომებში: „გიორგი გორე-ლი — უცნობი ქართველი და სომეხი მწერალი XVIII ს-ის მეორე ნახევრისა“ (საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, X-B, 1940) და „ნაკვეთი მე-XVIII-ე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ფილიპე ყაითმაზაშვილი“ („ლომისი“, 1923, № 16). ძველი ქართული ლიტე-რატურის ისტორიის თვალსაზრისით უფრო საინტერესოა ეს უკანასკ-ნელი. მასში რამდენიმე ბიოგრაფიული საკითხია აღძრული და გარ-კვეული, თუმცა კ. კეკელიძე მათთან დაკავშირებით შენიშნავდა, რომ „სამწუხაროდ ვინაობა მისი (ფილიპე ყაითმაზაშვილისა — რ. ს.); გა-ურკვეველიაო“. საზოგადოდ, ამ მხრივ ლ. მელიქსეთ-ბეგის ძიებანი უდავოდ ანგარიშგასაწევია, რამდენადაც გასათვალისწინებელია მნი-შვნელობა ფ. ყაითმაზაშვილისა XVIII საუკუნის ქართულ ლიტერა-ტურულ ცხოვრებაში. საკმარისია ითქვას, რომ ეს იყო ერთგული ხელ-შემწყობი ანტონ პირველისა ლიტერატურულ მოღვაწეობაში.

ლ. მელიქსეთ-ბეგის შრომებიდან გამოსაყოფია საკუთრივ ლიტე-რატურული ურთიერთობისადმი მიძღვნილი გამოკვლევანი.

აქ ჩვენ განვიხილავთ მის ნაშრომს, მიძღვნილს დავით უძლეველისა და დავით გარეჯელის იდენტიფიკაციისადმი (იხ. კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1959).

ავტორისავე შენიშვნით, აღნიშნული საკითხის დაყენება სამკვა-რად შეიძლება: 1. ისინი (დავით უძლეველი და დავით გარეჯელი) ერთი და იგივე პიროვნებანია, 2. ისინი თანამედროვენი არიან და 3. ერთი მეორის მოწაფე ან მიმდევარია. მაგრამ რატომ დაისვა საერ-თოდ ეს საკითხები? პასუხი ასეთია: დავით უძლეველი, არაქელ სიე-ნიელის (XV ს.) ცნობით, სომხეთიდან გამოაქვევს ქართლში (სხვა სომ-ხური გადმოცემით, — ე. ლალაიანის ჩანაწერი, — დავითი კახეთიდან იყო). მეორეც: ლ. მელიქსეთ-ბეგის თქმით, დავით გარეჯელის პიროვ-ნებას ისეთი რეალიები ახლავს, რომლებიც სომხური მონოფიზიტობის ნიშნებს ატარებდნენ (გვ. 198). ჩვენის მხრით შევნიშნავთ, რომ აქ კონკ-რეტულად არ ჩანს, თუ რაში გამოიხატება ეს „ნიშნები“.

აღნიშნული იდენტიფიკაცია არ ითვალისწინებს სამართლიან კითხ-ვას, — ნუთუ არ შეიძლება VI საუკუნეში ორი ფილოსოფოსი დავითი ყოფილიყო. თუ მაინცდამაინც ლ. მელიქსეთ-ბეგის კვალობაზე დავუ-

შვებთ, რომ გარეჯა ჰერეთში შედიოდა, ხოლო ჰერეთი სომხეთს ეკუთვნოდა, ეს მაინც ვერ დაამტკიცებს აღნიშნულ იდენტიფიკაციას. საქმე ისაა, რომ არონ სივნიელის ცნობით, დავითი (ანჰალთი) ქართლში გააძევეს და არა ჰერეთში. როგორც ვხედავთ, აქ მრავალი წინაუკმობაა.

ლ. მელიქსეთ-ბეგს მოჰყავს კ. ტერ-მკრტიჩიანის აზრი, რომ VI ს-ში სომხეთში ისახებოდა ახალი ორიენტაცია, მიმართული საბერძნეთისაკენ „გარეთი ზემსჯელობის (გარესჯათა) მეცნიერებათა შესათვისებლად“ (გვ. 202 — ხაზგასმა ავტორისაა). ამ ტერმინით, ჩანს, აღნიშნულია „გარეშე სიბრძნის“ ათვისება, ანუ წარმართული სიბრძნისა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მისი წარმომადგენელია დავით გარეჯელი ან თუნდაც დავით ანჰალთი. გადასაჭრელია საკითხი: „გარესჯელობა“ ფილოსოფიური შინაარსის შემცველია, თუ გეოგრაფიულია, ე. ი. გარესჯელობა „გარეშე სიბრძნეზე“ მსჯელობას ნიშნავს, თუ დავითის მიერ თბილისის გარეთ „სჯას“, ქადაგებას.

მკვლევარი წერს: „ბიოგრაფიული ცნობები VI საუკუნის მოღვაწე დავით უძლეველის შესახებ სომხურ მწერლობაში ჩვენ გვხვდება საერთოდ მხოლოდ X ს-ის შემდეგ და უმეტეს შემთხვევაში ისინი ან ლეგენდარული ხასიათისაა, ანდა... მოსმენილი ამბების უნიფიკაცია-„მონტაჟის“ ცდად გამოიყურებიანო“ (გვ. 204). ამიტომ ვფიქრობთ, „ლეგენდარული ხასიათის“ ცნობების მიხედვით დავით უძლეველის ბიოგრაფიის საკითხების დაზუსტება და მეტადრე სხვა პიროვნებასთან იდენტიფიკაცია, გაუმართლებელი უნდა იყოს (შდრ. რ. სირაძე, დავით ანჰალთი და „აზრის სილამაზის“ პრობლემა, „საბჭოთა ხელოვნება“, 1980, № 8, გვ. 46—47).

საინტერესოა ერთი დეტალი: ჯერ კიდევ ნ. მარი მიაქცევდა ჩვენს ყურადღებას, რომ დავით ანჰალთს არისტოტელის სომხურ თარგმანში ერთი გარკვეული აზრის საილუსტრაციოდ, ე. ი. მასში მეტი სინათლის შესატანად მოჰყავს სიტყვა „თაკნ“. ეს სიტყვა, ნ. მარის შენიშვნით, ფაქტიურად უცნობია სომეხი მკითხველისთვის, მაგრამ ცნობილია ქართულში — „თავი“. ამის მიხედვით, ნ. მარი ვარაუდობდა დავით ანჰალთის სიახლოვეს ქართულ სამყაროსთან (იხ. Иоанн Петрицкий — грузинский неоплатоник, ЗВОРАО, XIX, 1909). მაშასადამე, აქ საკითხი შებრუნებულად დგას: საყურადღებო ხდება დავით ანჰალთის მიერ ქართული სიტყვის ცოდნა.

ლ. მელიქსეთ-ბეგი წერს, რომ ჰერეთ-კახეთი დიდხანს იყო მონოფიზიტობის ორბიტაში (გვ. 209) და ასეთი გავლენა თვით XI—XII სს-ს აღწევსო (იქვე). მისი აზრით, თვით 607 წლის შემდეგ, მცხეთის ეკლესია რომ მიემხრო დიოფიზიტობას, ჰერეთ-კახეთი კვლავ მხარს უჭერდა ანტიქალკედონიზმს.

მკვლევარი ძირითადად იზიარებს კ. კეკელიძის მოსაზრებებს ე. წ. სირიელ მოღვაწეთა შესახებ, ოღონდ ერთი შენიშვნით, რომ ისინი ყველანი ქართველები არ უნდა იყვნენ, „არამედ — ზოგი ქართველი, ზოგი კი მეზობელ ხალხთა შვილები“ („პერეთ-ალბანელები, სომხები, ბერძნები, სირიელებიც კი — გვ. 211). „პერეთ-ალბანელები, ბერძნები და სირიელები“ აქ ზოგადი თვალსაზრისის შესამუშავებლად ნახსენები. შედარებით მეტი ყურადღება ექცევა კითხვას, ხომ შეიძლება ამ მოღვაწეებში სომხებიც ყოფილიყვნენ. ამ საკითხს მკვლევარი დადებითად წყვეტს.

ამას მოჰყვება მკვლევრის მოსაზრება, რომ დავით გარეჯელს „შეძლო სირიიდან პირდაპირ ქართლში არ წამოსულიყო, არამედ რამდენიმე ხნით გაჩერებულიყო სომხეთში და იქ ემოქმედა“ (გვ. 211—212). „შეძლო“, — ნათქვამია მეცნიერული სიტყვით ნიშნით; თუმცა შემდეგ ხსენებულ საკითხსაც მკვლევარი დადებითად წყვეტს. მაგრამ, ვფიქრობთ, არაა გათვალისწინებული მეორე შესაძლებლობა, რომ დავით გარეჯელს ასევე შეეძლო პირდაპირ წამოსულიყო ქართლში და სომხეთში არ შეეხვია.

მარტყოფის „ხატობის“ დღესასწაულზე სომეხთა დასწრებას მკვლევარი ანტონ მარტყოფელის (მარტყოფის სავანის დამაარსებლის) სომხურ სამყაროსთან კავშირით ხსნის (გვ. 215). ჩვენის ფიქრით, ქრისტიანული „ხატობის“ დღესასწაულებზე თუ ვინ ესწრება, ამის მიხედვით შორსგამიზნული დასკვნების გამოტანა გაუმართლებელი იქნება. მაგალითად, გერგეტის სამების დღესასწაულზე ან ალავერდობაზე მომსვლელთა მიხედვით ამ სავანეთა დამაარსებლის სადაურობა არ გაირკვევა.

მკვლევრის შენიშვნით, „დამაფიქრებელია დავით უძლეველის სადაურობის აღმნიშვნელი სახელწოდება „პერტანელი“: თითქოს ტომობრივი სახელიდან „პერ“ არის წარმოებული გეოგრაფიული სახელწოდებები როგორც სომხეთში („პერ და ზარევანი“), ისე საქართველოში („პერეთი და კახეთი“) და ეგვიპტის „პერტანელი“ შეიცავდა „პერთა სახლის“, resp. „პერთა ქვეყნის ცნებას“ (გვ. 213). თუკი ეს ეტიმოლოგია აქ საეგვიპტოს არის მოტანილი, ქვემოთ იგი უკვე კატეგორიული საბუთის სახით გამოიყენება, ვითარცა დამადასტურებელი აღნიშნული იდენტიფიკაციისა. ასევე სომხური ეტიმოლოგიით ხსნიდა ლ. მელიქსეთ-ბეგი ცურტავის სახელწოდებას, — ცურტ(ცივი) და ავ(resp. ავან — საცხოვრებელი), ცურტავის ადგილმდებარეობისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნარკვევში.

დავით გარეჯელის ლავრაში კედელზე გამოსახული არის სომეხთა წმინდანი რიფსიმე ქართველთა განმანათლებლის ნინოს გვერდით. ეს, ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, „ერთხელ კიდევ ადასტურებს პერეთის

ანუ გარეჯის მრავალმთის უდაბნოთა სიახლოვეს სომხურ სამყაროს-თან მას შემდეგაც, რაც უდაბნოთა კომპლექსი დიოფიზიტურ-ქალ-კედონისტური ეკლესიის იდეოლოგიურ-ქრისტოლოგიურ პოზიციებს მიემხრო“ (გვ. 221). აქ უკვე საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ, რომ აშკარად ხელოვნურია მკვლევრის მსჯელობა. ნინოსთან ერთად რომელიმე მონასტერში რიფსიმეს გამოსახვა სრულიადაც არ ნიშნავს, თუკი, რასაკვირველია, სხვა საბუთიც არ გვაქვს, ამ მონასტრის სომხურ სამყაროსთან სიახლოვეს. საქმე ისაა, რომ რიფსიმეანნი შონსენიებული არიან თვით ნინოს „ცხოვრებაში“, მის უძველეს რედაქცი-აშიც კი და ამიტომ სავესებით ბუნებრივია ფრესკულ კომპოზიციაში ნინოს გვერდით რიფსიმეს გამოსახვა. ეს იქნებოდა თავისებური ილუსტრაცია ნინოს ცხოვრებისა (რასაც ხშირად მიმართავს კედლის მხატვრობა) და მეტი არაფერი. ასეთივე შინაარსით უნდა გვესმოდეს ნოე-გოროდის ნერედიცაში ნინოსა და რიფსიმეს გვერდისგვერდ გამოსახვა. ესეც ქართული ელემენტის შეჭრის შედეგია. წინააღმდეგ შემთხვე-ვაში, ე. ი. რომ რიფსიმესა და ნინოს გამოსახვა სომხურ კვალზე მიგვი-თითებდეს, გაუგებრობას წავაწყდებოდით, რადგან სომხურ აღმსარებ-ლობაში, სომხურსავე მწერლობაში ნინო იგნორირებულია. ამიტომ აქედან მომდინარე თვალსაზრისით მხატვრობაში რიფსიმეს გვერდით ნინოს არ წარმოადგენდნენ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ზემოაღნიშნული ნაშრომის ცალკეული თავების ბოლოს, სადაც ცალკეული საკითხები ჯამდება, მკვლევრის დასკვნები სავარაუდო სახითაა მოწოდებული. ნაშრომის საერთო დასკვნა კი, წინააღმდეგ ამისა, გაცილებით კატეგორიულია და თითქმის გადაწყვეტილადაა ჩათვლილი დავით გარეჯელისა და სომეხი ფილოსოფოსის დავით ანჰალთის იდენტიფიკაცია. ჩვენ ამ საკითხზე პოზიტიურს არაფერს ვიტყვით, რამდენადაც ამჟერად ეს ჩვენს მიზანს არ შეადგენს, ოღონდ უნდა ითქვას შემდეგი: იმ საბუთებით, კვლევის იმ მეთოდებით, რომლებიც ამ ნაშრომშია წარმოდგენილი, არათუ არ დასტურდება დავით გარეჯელისა და დავით უძლეველის იდენტიფიკა-ცია, არამედ საერთოდ გამორიცხულიც ჩანს. ამიტომ მართებული უნდა იყოს სომხურ გაზეთში „სოვეტაკან ჰაიასტან“ („საბჭოთა სომ-ხეთი“) გამოთქმული აზრი ლ. მელიქსეთ-ბეგის ამ ნაშრომის შესახებ, რომლის მიხედვით, მკვლევარმა „გულდასმით კვლევაძიების გზით მოპოვებული ფაქტების საფუძველზე ცხადყო, რომ დავით უძლეველის საქართველოში ყოფნის და იქ გარკვეულ ხანაში მოღვაწეობის გარე-მოება არაფრითაა დამტკიცებული“ (1945, 15. X, № 244).

როგორი სასხვათაშორისოც არ უნდა იყოს ეს შენიშვნა ფაქტი-ურად იგი მართებულია.

როგორც ცნობილია, ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერ-

თობათა ისტორიის თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ საკითხების გარკვევას, რომლებიც დაკავშირებულია დიოფიზიტობასა და მონოფიზიტობას შორის ბრძოლასთან და რომელიც განსაჯუთრებით მწვეველ VII—VIII საუკუნეებში მიმდინარეობდა.

უმთავრესი წყარო ამ საკითხთა გასათვალისწინებლად არის ე. წ. ეპისტოლეთა წიგნი (გიორქ თოლოც) — Liber epistolarum. ეს წიგნი პირველად 1901 წელს იქნა გამოცემული თბილისში კონსტანტინოპოლის სომეხთა ანტონიანთა ძმობის წიგნსაცავის ხელნაწერის მიხედვით.

როგორც ლ. მელიქსეთ-ბეგი მიუთითებს, თბილისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში აღმოჩნდა ერთი 1316 წლის სომხური ხელნაწერი. ის წარმოადგენს სხვადასხვა სომხურ თხზულებათა კრებულს. სპეციალურ წერილში (სომხური „ეპისტოლეთა წიგნის“ ახალი ვარიანტი და პეტრე იბერიელის მოწაფე იოანე მაიუმელი, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XI—B (1941), გვ. 41—81) ლ. მელიქსეთ-ბეგი ზემოაღნიშნული კრებულიდან ყურადღებას აქცევს ერთ თხზულებას: „(თქმული) იოანე მარტყოფელის, მხილველის, პეტრე ეპისკოპოსის იბერიელის მოწაფის მიერ, რომ უსჯულო და ამპარტ-ვანი კრება ქალკედონისა ღვთის რისხვითა და დაუღვევრობით მოხდა არა სულიწმინდით, როგორც (კრებანი) ნიკიისა, კონსტანტინეპოლესი და ეფესოსის, ვითარცა მოწმობენ გამკრიახობანი წმინდათანი, რომელიც იქმნენ როგორც (ქალკედონის) კრებამდე; ისე ამ კრების შემდეგაც“ (გვ. 53—54). თხზულების მხატვრის მიხედვით; ეს თხზულება ნათარგმნია ასურულიდან (აქვე, გვ. 54). სათაურიდან ჩანს მისი საერთო ხასიათი. ჩვენთვის კი საყურადღებო შეიძლება გახადეს პეტრე იბერიელის ბიოგრაფიისა თუ სარწმუნოებრივი მრწამსის შესახებ ამ თხზულებაში არსებული ცნობები, რომლებიც მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი გახადა ლ. მელიქსეთ-ბეგმა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს შემდეგი ცნობა: „ამ მწველებლობის დასაწყისი ნესტორი იყო, — როგორც მოგვითხრო მამამან ჩვენმა და მამამთავარმა წმინდა პეტრემ, — კონსტანტინეპოლში ვიყავი და ორმოცთასა წმიდათა ღვთისაწაულის ღღეს შეხედა ნესტორმა ღვთაღვთის ხატს, რომელიც ეკლესიაში იყო და თქვა: „ნუ ამყობო მარიაშო, რომ ღმერთი შობე, რადგან ღმერთი არ შობე.“ და იმწამსვე ენა ჩაუწყდა ეშმაკისაგან და მიწას დაეცა. ხოლო დიაკონებმა აიყვანეს და თავის სახლში (ჰერქვეშ) წაიყვანეს; და ეს იყო დასაწყისი წმინდა ეკლესიის ამღვრევისა და ამბოხებისა“ (გვ. 66).

საყურადღებოა ავტორის შენიშვნაც, რომ სომხურ მწერლობაში ქალკედონიტ-დიოფიზიტებს ნესტორიანებს უწოდებდნენ (გვ. 50). აქვე მოცემულია ცნობები პეტრე იბერიელის მოწაფის იოანე მაიუმელის შესახებ (გვ. 62).

ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს ეხება წერილი „უცნობი მასალები გაიოზ რექტორის შესახებ“ (თუშ, 69 (1958), გვ. 385—391). აქ „კალმასობის“ II ტომში არსებულ ცნობებზე მითითებით აღნიშნულია, რომ გაიოზმა იცოდა სომხური. სათანადო წყაროების ანალიზით ნაჩვენებია, რომ სომეხ პედაგოგსა და პოეტს სერობე პატკანიანს მისთვის უძღვნია კიდურწერილობითი ლექსი (გაფი-ო-ს). მოყვანილია გაიოზის სამისიონერო მოღვაწეობის მაჩვენებელი ფაქტები, როცა იგი 1793—1799 წლებში მოზდოკის ეპარქიის გამგებელი იყო.

მასალების სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე მასვე ნაჩვენები აქვს, რომ ქართული უნდა სცოდნოდა სომეხთა „ორქივატერს“ (კათალიკოსს), რომელიც შეხვდა იონა ხელაშვილს ეჩმიადინში მოგზაურობის დროს (იონა ხელაშვილი და საიათნოვა — საქ. სახ. მუზეუმის თარგმანი, IX—B, 1936). აქვე მკვლევარი გადაჭრით უარყოფს სომეხი ლიტერატორის ლევონიანის აზრს, რომ საიათნოვა მოკლულ იქნა 1795 წელს.

ლ. მელიქსეთ-ბეგის არაერთი გამოკვლევა თუ პუბლიკაცია ეძღვნება სომხურ მასალებს საქართველოსა თუ ქართულ ლიტერატურაზე და პირუტყუ, ქართულ მასალებს სომეხთზე.

ჩვენ უპირველესად ამ უკანასკნელს გამოვყოფთ.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღნიშნავია 1955 წელს გრევანში სომხურ ენაზე გამოცემული: „ქართული წყაროები სომხეთსა და სომხებზე“. აქ იგი უმთავრესად XVIII—XIX საუკუნეების ქართულ საისტორიო თხზულებებს ეხება. დამატების სახით მოცემულია მასალები ძველი ქართული მხატვრული ლიტერატურიდან. კერძოდ, სომხეთისა და სომეხთა ხსენებანი ამოკრფილია „ვისრამიანიდან“, „თამარიანიდან“, „რუსუდანიანიდან“ და „სიბრძნე სიკრუისაგან“ (გვ. 291—307). ეს მასალები მკვლევარს აინტერესებს უმთავრესად ფაქტოლოგიის თვალსაზრისით, ამიტომ მათ ლიტერატურული ანალიზი არ ახლავს.

თავისი კვლევა-ძიების ძირითადი მიზანდასახულების შესაბამისად, რათა ნაჩვენები ყოფილიყო სომხური კვალი ქართულ მწერლობაში, ლ. მელიქსეთ-ბეგს გამოაქიბებული აქვს ქართულ თხზულებათა სომხური ლიტერატურული წყაროები (ანტონის I-ის „მზამეტყველების“ ლათინურ-სომხური წყაროები, თუშ, XXX, 1947). ამასთანავე, მან მოგვაწოდა ბიბლიოგრაფიული თუ ფილოლოგიური ძიებანი სომხურ ლიტერატურაში რუსთაველის პოპულარობის შესახებ. სპეციალურ წერილში (რუსთაველი და სომხური ლიტერატურა. კრ.: „შოთა რუსთაველი სკოლაში“, თბ., 1937, გვ. 281—291). მკვლევარი ეხება ძველ ქართულ და ძველ სომხურ ლიტერატურათა განვითარების ისტორიის

კარდინალურ საკითხებს და მათი შედარებითი ანალიზის ცდას გვაწვდის. რუსთველის ხანის სომხური მწერლობა, მკვლევრის აზრით, მაღალგანვითარებული იყო. თუ სომხურ ლიტერატურაში ვერ ვპოვებთ რუსთველისა და ჩახრუხადის ბადალ სახელებს, ამას ხსნის სომეხთა იძულებითი გადახვეწით თავისი სამშობლოდან. მაღალგანვითარებულობას სომხური ლიტერატურისა ის ადასტურებს იმდროინდელი მდიდარი სომხური ფოლკლორით (გვ. 286). აქვე მკვლევარი, ისევე როგორც სხვა სპეციალურ ნარკვევებში, აღნიშნავს ქართულენოვან სომეხთა დიდ ღვაწლს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა გავრცელების საქმეში (გვ. 287). დაბოლოს ეხება „ვეფხისტყაოსნის“ სომეხ მთარგმნელებს: ს. ბასტამიანი იქნება ეს თუ გ. ასატური, ვ. ტერიანი თუ გ. მელოიანი, ა. აუშტრიანი, ო. კარაპეტიანი და სხვ.

ჩვენ ამჟერად სპეციალურად არ მიმოვიხილავთ, მაგრამ აღენიშნავთ კი, რომ ძველი ქართული მწერლობის ისტორიის თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არაა ლ. მელიქსეთ-ბეგის ის შრომები, რომლებიც საკუთრივ სომხური მწერლობისადრე მიძღვნილი. ასევე ძველი ქართული მწერლობის მკვლევრისთვის საყურადღებო უნდა იყოს ლ. მელიქსეთ-ბეგის მრავალრიცხოვანი ისტორიოგრაფიული ხასიათის გამოკვლევანი, რომლებშიც შემაჯავლი საკითხები ხშირად უშუალოდ უკავშირდება ძველი ქართული მწერლობის ისტორიის პრობლემატიკას.

თავისი მეცნიერული პროფილით ლ. მელიქსეთ-ბეგი არსებითად XIX საუკუნის იმ მკვლევართა კვალს მიჰყვება, რომლებიც ერთნაირი ინტერესით იძიებდნენ როგორც წმინდა ლიტერატურულ, ისე საენათმეცნიერო თუ ისტორიოგრაფიულ პრობლემებს. ძველი ქართული მწერლობის ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებოა ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობათა სფეროში ჩატარებული ძიებანი, რომლებიც უმთავრესად წარმართულია ძველ ქართულ მწერლობაში სომხური მწერლობის კვალის წარმოჩინების ნიშნით. ამ მხრივ ყველაზე ფასეულია ლ. მელიქსეთ-ბეგის პუბლიკაციები და მის მიერ გამოძიებული მდიდარი ბიბლიოგრაფიული მასალა.

წინამდებარე წერილის შინაარსში წინდაწინ დასაკვალიანებლად განვმარტავთ: მასში განხილულია კ. ჭიჭინაძის ლიტერატურული ძიებანი და არა მისი მხატვრული მემკვიდრეობა. და მაინც ამ ფაქტს არ შეეძლო ჩვენთვის ხელი შეეშალა, რომ იგი დაგვესათაურებინა თუნდაც ასე: „პოეტის გახსენება“. ეგ ამიტომ: თავად ჩინებული პოეტი და მთარგმნელი, ვინც ევროპულ კლასიკას აზიარა ქართველი მკითხველი, „მწერლისა და მეცნიერის შეერთებული ალლოთი გრძნობდა და განიცდიდა ლექსს“¹. მისი აზროვნების სტილი ყოველთვის იყო დამშვენებული პოეტური აღმაფრენით; იგი მეცნიერებაშიც „სახეებით“ აზროვნებდა, რაც არაა მხატვრული გამოთქმა: მასში საკითხის არსი და მისი გადმოცემის ფორმა ძირითადად ერთხვევა ერთმანეთს, თუმცა ზოგი მკვლევარი არ იზიარებს ასეთ თვალსაზრისს.

ორიოდე შტრიხი პოეტის ბიოგრაფიიდან: დაიბადა იგი 1891 წ. ხიმშიში (ამბროლაურის რაიონი). სწავლობდა ონში, ქუთაისში, ბაქოში, თბილისის სამხედრო და რეალურ სასწავლებლებში, თბილისის უნივერსიტეტში. პირველი ლექსი დაბეჭდა 1908 წ. გაზ. „ივერიაში“-სხვადასხვა დროს იყო საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის წევრი, პოეზიის სექციის თავმჯდომარე, სახელგამისა და „ზარია ვოსტოკას“ სარედაქციო საბჭოების თავმჯდომარე და ა. შ.

გარდაიცვალა 1960 წელს.

კ. ჭიჭინაძეს, როგორც პოეტსა და მკვლევარს, უწინარესად „ვეფხისტყაოსანი“ იზიდავდა, რადგანაც, მისივე განმარტებით, ქართული პოეტური გენია ყველაზე მეტად მასში გაცხადდა და მისი კვლევაც მეტწილად იმ პირთა საქმეა, „რომლებიც პოეტურ შემოქმედებას პირადი გამოცდილებით იცნობენ“². მან რუსთველოლოგიურ პრობლემათა კვლევა რუსთველის პოეტიკის განხილვით დაიწყო, მაგრამ დროთა ვითარებაში იგი დაინტერესდა სხვა ძირითადი პრობლემებითაც, როგორცაა: 1. „ვეფხისტყაოსნის“ თარიღი და ავტორი; 2. პოემის ეპიტანგისეული გამოცემის რაობა; 3. „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოება; 4. რუსთველი და სპარსული პოეტური სამყარო; 5. რუსთველი და ჰუმანიზმი; 6. რუსთველი და რენესანსი; 7. „ვეფხისტყაოსნის“ ხელ-

¹ კ. ჭიჭინაძე, ალიტერაცია ქართულ შაირში, წინასიტყვაობა დაურთო და რედაქცია გაუკეთა ა. ხინთიბიძემ, თბ., 1979, გვ. 10.

² კ. ჭიჭინაძე, რუსთველის გარემო, თბ., 1928, გვ. 13.

ნაწერთა ვარიანტები და ა. შ. კ. ჭიჭინაძე ცნობილია აგრეთვე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელი (1934 წ.), რომელმაც, გარკვეული აზრით, დაძლია ორასწლოვანი ტრადიცია და პოემის ძირითად ტექსტში გზა გაუხსნა „ინდოხატაელთა ამბავს“. მას შეუფასებლად არ დარჩენია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები და ქართული გამოცემანი, აგრეთვე ცალკეული რუსთველოლოგიური ნაშრომები.

ამასთანავე — ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს — კ. ჭიჭინაძის მეცნიერულ ნააზრევში რუსთველოლოგიური პრობლემატიკის კვლევადიება ხასიათდება არა მხოლოდ განსახილველ საკითხთა მრავალფეროვნებით, არამედ მასშტაბურობითაც. იგი ფართო თვალსაწიერის მკვლევარია, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებს თამამად იკვლევს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიასთან მიმართებაში (ამის ნიმუშია, ვთქვათ, მისი „ანალოგიები“); მასთან რუსთველს პოემის ტექსტოლოგიურ-პოეტიკური განსჯანი დაფუძნებულია თანამედროვე რუსული და ევროპული მეცნიერების მიღწევათა ცოდნაზე ამ დარგებში. ამიტომაცაა, რომ კ. ჭიჭინაძის რუსთველოლოგიურ ნარკვევებში მეტოწილი პრობლემებისა მისი ავტორის ინტელექტისათვის საკადრის დონეზეა გადაწყვეტილი (აღნიშნული, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ მას შეეცდომები არ მოსელოდეს). მეტის თქმაც შეიძლება; კ. ჭიჭინაძის თეორიული განსწავლულობა მაშინაც იჩენს თავს, როცა ამის გარდუვალობას, ერთი შეხედვით, საკითხი იმ დროისათვის თითქოს არც მოითხოვდა, როგორცაა, მაგალითად „ვეფხისტყაოსნის“ თარიღი და ავტორი.

ცნობილია, რომ ერთ დროს გამოითქვა მოსაზრება, თითქოს რუსთველი აღორძინების ხანის მოღვაწე ყოფილიყოს, რომელსაც დაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ დამატება, ხოლო საკუთრივ პოემის ავტორად მონღოლთა ბატონობის ხანის მოღვაწე სარგის თმოგველი იქნა მიჩნეული. ეს თვალსაზრისი დასაბუთდა. სხვათა შორის, „ვეფხისტყაოსანში“ პესიმოზმისა და ფატალიზმის პრიმატის. აგრეთვე ავტორისაგან ზოგი მუსლიმანური სექტის ცოდნის აღიარებით. კ. ჭიჭინაძე ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული მოწინააღმდეგე იყო ამგვარი თვალსაზრისისა, რომელთანაც კამათში მან გამოავლინა ფართო განსწავლულობა და მგზნებარე ნიჭი. კ. ჭიჭინაძემ ბოლომდე დაიცვა იმდროისათვის, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დასასაბუთებელი აზრი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთველია, მოღვაწე თამარის ეპოქისა, და მას აახლა მეთოდოლოგიურად გამართლებული კითხვა, რომელზედაც რუსთველის ავტორობის უარყოფელთ არსებითად პასუხის გაცემა არ შეეძლოთ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავისი თვალსაზრისის განსამტკიცებლად კ. ჭიჭინაძე ეპოქათა მხატვრული ფორმისა და საზოგადოების

სტილთა დიალექტიკურ ურთიერთობასაც ითვალისწინებდა (რაც უფრო ღრმად თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში მუშავდება, რისი დასტურია დ. ლიხაჩოვის გამოკვლევანი). კერძოდ, იგი ეყრდნობოდა ჰაუზენშტიინის აზრს იმის შესახებ, რომ „ყოველი ეპოქა მხატვრულ ფორმათა სტილში აკონცენტრირებს საზოგადოების სტილს“, და დაასკვნინდა: „თამარის ეპოქისა და განსაკუთრებით მონგოლების შემოსევის შემდეგ საქართველოს არ პყოლია ისეთი საზოგადოება და ხელისუფლება, რომლის სტილის კონცენტრაცია პოემის ამგვარ სტილს მოგვეცემდა“³. ეს იყო პოემის თარიღისა და ატრიბუციის საკითხთა დასამა აქამდე ნაკლებად ცნობილ ასპექტში.

კ. ჭიჭინაძის დამსახურებაზე მსჯელობისას ამ ფაქტის მნიშვნელობის გადაფასება შეცდომა იქნებოდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას სრულ ნდობას არ გამოუუცხადებდით.

„ვეფხისტყაოსნის“ ატრიბუციაზე დაფიქრებამ კ. ჭიჭინაძე ბუნებრივად მიიყვანა პოემის ფაბულის კვლევის აუცილებლობამდე, ხოლო ამ უკანასკნელის გავლით მის წინაშე დაისვა საკითხი რუსთველის მიმართების შესახებ სპარსულ ლიტერატურასთან. მკვლევარი იცავს „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ორიგინალობის თეორიას, ამასთანავე არ გამორიცხავს რუსთველზე სპარსული ლიტერატურის გავლენასაც. საინტერესოა, რომ აქ იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს პოეტის მსოფლმხედველობასა და მსოფლშეგრძნებას და, მისი აზრით, რუსთველი „მსოფლმხედველობით განსხვავდება მუსლიმანური აღმოსავლეთის პოეტებისაგან, მაგრამ მსოფლშეგრძნებით მათთან უეჭველად ბევრი საერთო აქვს“. მსოფლშეგრძნებაში იგულისხმება უწინარესად წერის მანერა, ფერადოვანი და მოზაიკური სტილი, არქიტექტონიკა, მეტაფორულობა და ა. შ. კ. ჭიჭინაძე იმასაც აქცევს ყურადღებას, რომ „რუსთველი იხსენიებს ირანული ლიტერატურის მარტოოდენ მხატვრულ ნაწარმოებთ, ხოლო აღმოსავლეთის სამეცნიერო და რელიგიური აზრის არც ერთ წარმომადგენელზე არაფერს ამბობს. სამაგიეროდ პოემაში ვხვდებით ელინელ ფილოსოფოსთა სახელებს, მაგრამ არ არის ხსენებული ამ ქვეყნის პოეტთა რომელიმე ნაწარმოები“. ეს დაკვირვება პერსპექტიულია; შესაძლოა, იგი მომავალში გარკვეული დასკვნის საფუძველი გახდეს.

კ. ჭიჭინაძე „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული პოეზისაგან განასხვავებს იმით, რომ რუსთველი გაცილებით უფრო რთულ სიუჟეტსა და რომანის სიტუაციებს ქმნის, ვიდრე აღმოსავლელი პოეტები. მასთანაცაა სევდა საწუთროს დაუდგრომლობის გამო, მაგრამ ამ მიზეზით რუსთველი ხობტას არ ასხამს წუთიერ სიყვარულს, ღვინოსა და თავ-

³ კ. ჭიჭინაძე, რუსთველის გარშემო, გვ. 30.

დავიწყებას; იგი „მხოლოდ მაღალი საერთო-საკაცობრიო სევდით არის შეპყრობილი, ამ სევდაში მას სიკეთის საბოლოო გამარჯვების იმედი ანუგეშებს“. რუსთველი განსწავებულა აღმოსავლელი პოეტებისაგან იმითაც, რომ ის მიჯნურობის აღწერისას „ერიდება ფუქსავატ ტონს, უხეში ფიზიკური ზრახვების გამომჟღავნებას“.

კ. ჭიჭინაძემ „ანტიპატრიოტულ მოსაზრებად“ მიიჩნია შეხედულება, რომლის თანახმადაც „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი ირანულ პოემათა გარდაქმმას, თანაც გვიანდელი. იგი წინ აღუდგა იმ მკვლევართაც, რომლებმაც, მართალია, პროლოგ-ეპილოგი ერთნულ ნიადაგზე აღმოცენებულად მიიჩნიეს, მაგრამ მეტი წილი სტროფებისა არარუსთველურად, მეტიც — „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობისათვის დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ მიიჩნიეს.

რაკი სიტყვა უცხოურ მწერლობასთან რუსთველის მიმართებაზე ჩამოვარდა, აქვე აღვნიშნავთ, რომ მკვლევარმა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური სტილი ანტიკურ და ევროპულ ლიტერატურასთან მიმართებაშიც განიხილა. მისი დაკვირვებით, „ილიადის“, „ნიბელუნგებისა“ და თვით მისტიკური „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორისგან განსხვავებით, რუსთველი არ მიმართავს ყოველდღიურ და ჩვეულებრივ მოვლენათა დეტალურ აღწერას (ფარი, შუბი, ჩაცმულობა...); იგი მუდამ ცდილობს ხაზგასმით გვიჩვენოს მხოლოდ მთავარი მხარე მის მიერ ასახული მოვლენებისა.

როცა ვმსჯელობთ კ. ჭიჭინაძის თვალსაზრისზე რუსთველის მსოფლმხედველობა-მსოფლშეგრძნებას შორის სხვაობის შესახებ, უინტერესო არ იქნება „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის მისეული ინტერპრეტაცია. იგი რუსთველს თვლის ჰუმანიზმის წინამორბედად. ამას ადასტურებს, მისი აზრით, ის ფაქტი, რომ პოემაში გამოხატულია სიყვარულის ამაღლებული გრძნობა, დიადი მეგობრობის კულტი, ადამიანური ღირსებისა და სახელისათვის თავგანწირული ბრძოლა, ცხოვრების მოვლენათა რეალისტური შეფასება, მიმართული მეტწილად თანამედროვეობის ცრუმორწმუნეობისა და ფანატიზმის წინააღმდეგ.

კ. ჭიჭინაძისაგან რუსთველის ჰუმანიზმის წინამორბედად აღიარება ოდნავადაც არ გულისხმობდა რენესანსული იდეებისადმი რუსთველის მიმდევრობის აღიარებას. მკვლევარმა ერთმანეთისაგან გამოიჯნა ჰუმანიზმი და რენესანსი და რუსთველის სახელი ამ უკანასკნელს ჩამოაცლა. ეს გამომდინარეობდა საკუთრივ რენესანსის მისეული გაგებიდან. კ. ჭიჭინაძის აზრით, „რენესანსი“ ნიშნავს „აღორძინებას“ (ასეა ჩვეულებრივ იგი განმარტებული). „ამ უდიდესი იდეურ-კულტურულ-პოლიტიკური მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ თვისებად მიჩნეულია ძველ დროთა ვითარების გამო დავიწყებული საკუთარი ნაციონალური კულტურის აღდგენა, აღორძინება. იტალია მარ-

თებულად სთვლიდა თავს ანტიკური, რომაულ-ბერძნული კულტურის მემკვიდრედ. შემდეგ ეს მოძრაობა მიმბაძველობით სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა“.

ამ აზრით კ. ჭიჭინაძე ქართული ლიტერატურის კლასიკურ პერიოდს (XI—XIII სს.) რენესანსის ეპოქად არ თვლის. ასეთად მას აღორძიების ხანა მიაჩნია იმიტომ, რომ XVI საუკუნეში, სხვადასხვა ველური ურდოების ოთხასწლოვანი თარეშისა და ბატონობის შემდეგ, ისევ აღორძინდა ჩვენში¹ ის მწერლობა და საერთოდ ის კულტურა, რომლის უმაღლეს საფეხურს XII საუკუნეში მივალწიეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული რენესანსი ანტიკაზე ან ადრეულ შუასაუკუნეებზე კი არაა დაფუძნებული, არამედ თამარის ეპოქაზე; დასახელებული ეპოქა წარმოადგენდა მისთვის იმას, რასაც ევროპელთათვის ანტიკური კულტურული სამყარო, რადგანაც თავისთავად თამარის ეპოქის კულტურა წარსულის მემკვიდრეობის აღდგენა-განმეორება კი არ იყო, არამედ მაშინ მხოლოდ პირველქმნილი. ცხადია, ასეთი თვალსაზრისის მიმდევრისათვის მიუღებელი იყო აზრი იმის შესახებ, რომ გელათის აკადემია კოლხეთის აკადემიის აღორძინებას წარმოადგენს. კ. ჭიჭინაძის განმარტებით, „ეს აკადემია დავითმა დააარსა არა ძველი კულტურის აღსადგენად, არამედ თავისი ახალი კულტურულ-პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად“. მართალია, ქართული (აღმოსავლური) რენესანსის თეორია დღეს არსებითად გაზიარებულია, მაგრამ ზემოდასახელებული მოსაზრების იგნორირება გაუმართლებელი იქნებოდა თუნდაც საკითხის ისტორიის გათვალისწინებისას, იქნებ საზოგადოდაც.

კ. ჭიჭინაძემ ყველაზე დიდი ენერჯია მიანიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ საკითხთა კვლევას შეაღია. ამ მხრივ მის ყურადღებას განსაკუთრებით სამი პრობლემა იქცევა: 1. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ შედგენილობა; 2. პოემის დაბოლოება; 3. „ვეფხისტყაოსნის“ იკითხვისთა უნიფიცირება. დასმულ პრობლემათა განხილვას მან ჯერ კიდევ 1928 წელს მიუძღვნა ვრცელი მონოგრაფია (კ. ჭიჭინაძე, რუსთაველის გარშემო, ტფილისი, 1928). შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველოლოგიაში თვით მის პოეტიკურ განსჯათა საზრისიც რამდენადმე „ვეფხისტყაოსნის“ ატრიბუციისა და ტექსტის დეფინიციის სურვილითაც იყო განსაზღვრული.

კ. ჭიჭინაძის ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური ძიებანი ფართო პლანშია მოაზრებული. მასთან გათვალისწინებულია მსოფლიო მეცნიერების მიღწევები ამ დარგში, დაწყებული ალექსანდრიული სკოლითა და დამთავრებული თანამედროვე ევროპული მეცნიერების მიღწევებით. სწორი მეთოდოლოგიური პოზიციის შესამუშავებლად გაანალიზებულია სეპარატისტული, უნიტარული თეორიები, აგრეთვე პოე-

ტური შემოქმედების ფსიქოლოგია, საკუთრივ „ვეფხისტყაოსნის“ ათეტიზატორთა ქმედების იმპულსები და ა. შ.

დასახელებულ სფეროში კ. ჭიჭინაძის გამოკვლევათა ძირითადი შედეგები ასეთია: 1. ვახტანგისეული რედაქცია კრიტიკულად დადგენილი ტექსტია და არა რომელიმე უძველესი ხელნაწერის განმეორება; 2. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ დასასრული უთუოდ გულისხმობს „ინდონატაელთა ამბავს“; 3. რუსთველს გამოუშვია თავისი პოემა რამდენიმე ვარიანტით. პირველი ორი დებულება თვით ავტორს არსებითად დასაბუთებულად მიაჩნია მისივე გამოკვლევათა ფარგლებში, ხოლო მესამე — მისგანვე სახელდებულია „ჰიპოტეტურ მოსაზრებად“. უნდა ითქვას, რომ მკვლევარმა პირველი ორი საკითხი მართლაც ძირითადად სწორად გადაჭრა, რასაც მათ შესახებ სხვა ავტორთა, განსაკუთრებით ალ. ბარამიძის, გამოკვლევებიც ადასტურებს. რაც შეეხება მესამე საკითხს, იგი ღღემდგ „ჰიპოტეტურ მოსაზრებად“ დარჩა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას მიმდევრებიც აღმოუჩინდნენ (გარკვეული ვარიაციით), მათ შორის ზოგი ცნობილი რუსთველოლოგიც.

კ. ჭიჭინაძე პოემის ვახტანგისეული გამოცემის კრიტიკულ ხასიათს იმთავითვე ადასტურებს ზოგადი დებულებით, რომელიც ამგვარადაა ფორმირებული: ჩვენში „დაცულია პოემის მრავალი ძველი ხელნაწერი. ვახტანგისეულ რედაქციაზე უმაღლესი შესრულებული ყველა ხელნაწერი შეიცავს ყველა ზედმეტ თავს, როგორ მოხდა, რომ საქართველოში, სადაც „ვეფხისტყაოსანი“ მეორე სახარებად იყო გადაქცეული, ყალბისმქნელების მიერ ბოლოწამატებული ტექსტისაგან დარჩა რამდენიმე ათეული ასლი, ხოლო ნამდვილისაგან კი არც ერთი“. საეხებით სწორად დასმულ ამ კითხვას ავტორი აახლებს ფილოლოგიურ დაკვირვებათა რიგს, რაც ააშკარაებს ვახტანგისეული გამოცემის „ხელოვნურ“, კრიტიკულ ხასიათს. ამ მხრივ შეიძლებოდა მოგვეტანა მისი თვალსაზრისი, რომელიც ხელნაწერში დაცულ პოემის პირველსავე სტროფს ეხება („პირველ თავი დასაწყისი...“). მისი სწორი შენიშვნით, შეუძლებელია დაშვება აზრისა, რომ ვახტანგს (ან მბეჭდავებს) პირველივე სტროფი „შემთხვევით“ გამორჩენოდათ, როგორც ეს ზოგ მკვლევარს ეგონა; ვახტანგს „შემთხვევით“ შესაძლებელია გამორჩენოდა სხვა რომელიმე ტაეპი ტექსტში, მაგრამ პირველი კი არასოდეს; ვახტანგმა სრულიად შეგნებულად არ შეიტანა ის თავის გამოცემაში და კარგადაც მოიქცა, ვინაიდან ეს ტაეპი... არის ვიღაც გადამწერის მიერ შეთხზული... წინა-მინაწერა“.

ახსნა რა ხელნაწერებთან შედარებით ვახტანგისეული გამოცემის პოპულარობა ფსიქოლოგიური ფაქტორით, კ. ჭიჭინაძე შეეცადა და არსებითად დაამტკიცა კიდევაც აზრი, რომ განსაკუთრებით ვახტან-

ზისეული „ვეფხისტყაოსნის“ დასასრული წარმოადგენს რუსთველური ტექსტის ხელოვნურ შემოკლებას და მისი შეფასება უნდა მოხდეს ხელნაწერთა საფუძველზე (თავის თეორიულ ნააზრევს მან პრაქტიკულად შეასხა ხორცი „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ გამოცემაში). ამ თვალსაზრისის მტკიცებისას იგი დაეყრდნო უწინარესად რუსთველის კმნილების „სიუჟეტური კომპოზიციის“ თავისებურებას, ე. წ. ინდივიდუალურ კრიტიკას და ალექსანდრიული სკოლის მონაპოვარს „ოდისეას“ ატრიბუციის დატვირთვით. კერძოდ, ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენელმა არისტრახმა „ოდისეას“ ავტორობის კვლევისას „ილიადაში“ აღმოაჩინა ისეთი ადგილები, რომლებიც წინასწარ გულისხმობდნენ „ოდისეას“ დაწერას. მართალია, რუსთველის მხოლოდ ერთადერთმა ნაწარმოებმა მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ ამ გარემოებას მკვლევარისათვის არ შეუშლია ხელი დაესვა კითხვა: „ხომ არ არის „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად, უდაო ნაწილში ისეთი ნიშნები, რომლებიც უთუოდ გულისხმობენ ბოლო სამი თავის (1. „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“; 2. „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატელთა დამორჩილება“; 3. „ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა“ — ბ. კ.) დაწერას მთლიანად ან ნაწილობრივ?“ და იქვე განმარტავს, რომ „ასეთი ნიშნები უეჭველად არსებობს“, რასაც აახლებს პოემის „უდაო ნაწილის“ ზოგ ისეთ ჩვენებას, რომლებიც მართლაც გარდუვალად გულისხმობენ „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოებას. ზემოდასახელებული თავებით. ესენია: „ნესტანის წერილი ქაჯეთის ციხიდან, რომელშიც ტარიელს მოუწოდებს „მტერთაგან შეიწრებული“ ინდოეთის განთავისუფლებისაკენ; ფრიდონის კარზე ქორწილის გარდახდისას ავთანდილის შემონათვალი ტარიელთან: „ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე: ინდოეთს განახო მორკმული, საჯდომთა ზედა მჯდომარე... მებრძოლნი თქვენი მოგესრნეს, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე“, ტარიელის შენათვალრ როსტევანთან: „მტერთა აქვს ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძოველად, წავიდე, ავი არ მიყოს მე აქა დაყოვნებაჲ“; როსტევანის პასუხი: „ავთანდილ თანა წამოგყვეს, წადით ლაშქრითა დიდითა, თქვენთა მტერთა და ორგულთა დაჰფრიწდით, დაცასკრიდითა“. როსტევანი ტარიელს ავთანდილთან ერთად ატანს 80 000-იან საომრად აკაზმულ ლაშქარს, მსგავსად იმისა, რომ „ილიადა“ წინასწარ გულისხმობს „ოდისეას“ შექმნას, ცხადია, „ვეფხისტყაოსნის“ „უდაო ნაწილის“. ამგვარი წანამძღვრები უთუოდ გულისხმობენ ე. წ. „ინდოხატელთა ამბის“ რუსთველისადმი კუთვნილებას. ამ თვალსაზრისის მხარს უჭერს პოემის სიუჟეტური კომპოზიციაც, რომლის თანახმადაც „ვეფხისტყაოსანში“ ამბავი იწყება არა არაბეთში, როგორც ეს მკითხველს ერთი შეხედვით ეგონება, არამედ ინდოეთში... არაფერს არ ნიშნავს ის გარემოება, რომ „პოემა არაბეთის

ამბით იხსნება, — მწერალს შეუძლია თავისი ნაწარმოებისათვის აღებული ამბის მოთხრობა დაიწყოს შუაგულიდან და, ასე გასინჯეთ, ბოლოდანაც კი; ეს დამოკიდებულია ნაწარმოების იმ კომპოზიციაზე, რომელიც ავტორს უფრო მიზანშეწონილად მიუჩნევია. „რაკი „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი ინდოეთისაა და ინდოეთში იწყება, ის არაბეთშიც კი არა, ინდოეთში უნდა გათავდეს“. რაც შეეხება არაბეთის ამბავს, მას პოემის სიუჟეტის კომპოზიციაში მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტის ადგილი უჭირავს.

როგორც აღინიშნა, კ. ჭიჭინაძემ თავისი თვალსაზრისი განმტკიცება ე. წ. ინდივიდუალური კრიტიკის მომარჯვებითაც სცადა, რაც უწინარესად ტექსტის სტატისტიკურ კვლევას ეფუძნება. ამ მხრივ მისი შტუდიები უადრესად საინტერესოა და, შეიძლება ითქვას, თანადროულადაც ჟღერს, თუმცა თვით ავტორი მას ოდენ დამატებით არგუმენტად იყენებს. კ. ჭიჭინაძემ თავისი თვალსაზრისი პოემის დაბოლოებაზე საბოლოოდ ასე ჩამოაყალიბა: „ეს ნაწილი პოემისა დაწერილია დიდი ტემპერამენტით, იგი აზვირთებული სისწრაფით მიჰქანებს „ვეფხისტყაოსნის“ ამბავს თავისი ბუნებრივი ფინალისაკენ“⁴.

აქვე ისიც უნდა ითქვას: მართალია, კ. ჭიჭინაძემ არსებითად დასაბუთა „ინდოხატელთა ამბის“ რუსთველისადმი კუთვნილება, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში ზედმეტი ნდობა გამოუცხადა ხელნაწერ მემკვიდრეობას და ზოგი ამკარად გვიანდელი სტროფი რუსთველს მიაწერა.

და ბოლოს, რუსთველოლოგიაში კ. ჭიჭინაძის დამსახურებაზე მსჯელობა უნდა დავასრულოთ იმით, რითაც შეიძლებოდა წინამდებარე ნარკვევი დაგვეწყოს. ესაა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის კვლევა. თვითონ კ. ჭიჭინაძე განმარტავს: „მე მოვედი რუსთველის საკითხთან... სრულიად მოულოდნელად... ეს ის დრო იყო, როდესაც... შავკიტზე რუსთველის თეატრში, დიდი აუდიტორიის წინაშე, ჩემი პირველი მოხსენება: „ალიტერაცია ქართულ შირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა“. ეს იყო 1925 წლის 25 მაისს. დასახელებული მოხსენება იმავე წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა. მას მოჰყვა „ვეფხისტყაოსნის“ მისეულ (1934 წ.) გამოცემაზე დართული პოეტიკური გამოკვლევანი: „ვეფხისტყაოსნის“ მეტრი და რიტმი; რითმები; მაცამები; მეტაფორები.

მართალია, თვით კ. ჭიჭინაძე ზოგ თავის პოეტიკურ გამოკვლევას „ელემენტარულს“ უწოდებს, მაგრამ ეს მხოლოდ მისაბაძი ეტიკეტით

⁴ საინტერესოა, რომ „ინდოხატელთა ამბავი“ ბოლო ხანებში სპეციალური მონოგრაფია უჭიკნა შ. ონიანმა (შ. ონიანი, ინდო-საქალთა ამბავი ვეფხისტყაოსანში, თბილისი, 1982), რომელშიც კუთვნილი ადგილი დაეთმო კ. ჭიჭინაძის ნააზრევს.

შეიძლება აიხსნას. სინამდვილეში მისი ნაშრომი „ნამდვილ აღმოჩენას წარმოადგენდა“ რუსთველოლოგიაში, „რომელმაც თვალწინ გადაგვიშალა რუსთველის ლექსის საოცარა კანონზომიერებები“⁵. ამასთანავე სწორადაა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ, სამწუხაროდ, „ფართო ლიტერატურული საზოგადოებისათვის უცნობია კ. ჭიჭინაძის დამსახურება ქართული პოეტიკის წინაშე“⁶.

კ. ჭიჭინაძის პოეტიკური განსჯანი რუსთველოლოგიაში დაფუძნებული იყო ე. წ. ფორმალიზმზე, რამაც ერთ დროს მის მიმართ რეაქცია გამოიწვია. ამიტომაც დასჭირდა მკვლევარს განემარტა, რომ მასთან ფორმალიზმი ვულგარულ სოციოლოგიურ გაგებას არ შეიცავს და არ გულისხმობს ფორმისა და შინაარსის გათიშვას ფორმის სასარგებლოდ. პირიქით, სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე მასვე აქვს ნათქვამი: „ვეფხისტყაოსანში“ ძირითადია აზრი. მაგრამ იგი არაა იმათი მომხრე, რომლებიც „უმეტეს შემთხვევაში ავიწროებენ ფორმის გაგებას, რის გამო შეუფერებლად ფართოვდება შინაარსის მნიშვნელობა“. მართალია, კ. ჭიჭინაძეს გამონაკლის შემთხვევაში: ახასიათებს „ფორმალისტური ცდუნებანი“, მაგრამ არსებითად სწორია მისი აზრი ფორმისა და შინაარსის თანაფარდობის დაცვის აუცილებლობაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის კვლევაში კ. ჭიჭინაძის უპირველეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს რუსთველის ლექსის ალიტერაციულობის, როგორც მხატვრული სისტემის, მიგნება, რაც შემოქმედებით პროცესში წინასწარ გაცნობიერებული კი არ ყოფილა, არამედ წარმოადგენდა პოეტის „შინაგანი მუსიკალური ბუნების“ ბედნიერ გამოვლენას. მან რუსთველის პოეტიკის კვლევა დაიწყო უახლესი ლიტერატურიდან და, თუმცა „ჩქარი ნაბიჯით წავიდა უკან“ — ახალ და ძველ ლიტერატურათა გავლით რუსთველამდე, მაინც შეძლო მათთან მიმართებაში რელიეფურად, მეტწილად სტატისტიკურ-დიაგრამულადაც კი ეჩვენებინა რუსთველის უზადლობა ამ მხრივ. მისი შენიშვნით, „რუსთველი პოემას თხზავს „თითქმის კომპოზიტორის თვალსაზრისით“ და, ამიტომაც, მასთან ბგერწერა ისეა მოწესრიგებული, რომ რაც არ უნდა შეეცადოს, თვით „ღმერთიც ვერ შესძლებს სიტყვებს გადაადგილებას“. იგი იმ დროისათვის უჩვეულო სითამამითა და ხშირად საჭირო სიღრმითაც იკვლევს რუსთველის შემოქმედებას პროცესს, რომელიც არ ყოფილა ნორმატიული პოეტიკით განაზღვრული, და პოეტური

⁵ გ. იმედაშვილი, ს. ცაიშვილი, დაუღალავი მკვლევარი, „ლიტერატურული გაზეთი“, 24. VI. 1960, № 26 (1196).

⁶ ა. ხინთიბიძის შესავალი წერილი წიგნში: კ. ჭიჭინაძე, ალიტერაციის ქართულ შაირში, აბილისი, 1979, გვ. 3.

ფსიქოლოგიის ისეთი ნიუანსების წვდომას ლამობს (მაგალითად, საიდან დაიწყო პოეტმა, რომ არაფერი ვთქვათ თვით პოემანზე, ცალკეულ სტროფთა და ცალკეულ ტაეპთა წერაც კი!), რასაც განხორციელება მომავალში თუ უწერია.

ამგვარ პერსპექტიულობაშიცაა კ. ჰიქინაძის რუსთველოლოგიურ ძიებათა მნიშვნელობა, რისი სრულად წარმოდგენის პრეტენზია წინამდებარე წერილს, ცხადია, არ ჰქონდა, ისევე, როგორც არ ჰქონდა მას მიზნად ამ ძიებათა ნაკლის საგანგებო წარმოჩენა.

ბიორგი ჯაკობია

გ. ჯაკობია იყო ძველი ქართული მწერლობის ნაყოფიერი მკვლევარი. მან დიდი ამაგი დასდო აღორძინების ხანის ქართული მწერლობის ძეგლების გამოცემის საქმეს. ყველა მისი გამოცემა წარმოადგენს ძეგლის პირველ პუბლიკაციას, რომელსაც წინ უძღვის მეცნიერული ნარკვევი, სადაც მკვლევარი ენება ძეგლთან დაკავშირებულ ტექსტოლოგიურ, ლიტერატურულ, თუ ისტორიულ საკითხებს.

ძველი მწერლობის ნიმუშების მისეულ გამოცემებში ჩანს მეცნიერის კეთილსინდისიერება, შრომისმოყვარეობა, განათლება, ნიჭი და კვლევა-ძიების უნარი, რაც სამართლიანად აკუთვნებს მას ქართული მწერლობის იმ მკვლევართა რიგს, რომლებიც კვლევა-ძიების მეთოდებით მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დგანან.

გ. ჯაკობიამ სამეცნიერო ასპარეზზე გამოჩენის პირველი წლებიდანვე ქართველ მეცნიერთა ყურადღება დაიმსახურა. მისგან, როგორც ნიჭიერი მკვლევრისაგან, ბევრ საინტერესო ნაშრომს მოელოდა ქართული ფილოლოგია, მაგრამ მისი ცხოვრება მეცნიერულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის წარმატების პერიოდში შეწყდა. „გ. ჯაკობიას სახით ქართულმა მეცნიერებამ დაკარგა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის დამსახურებული, საიმედო მკვლევარი. უფრო საგრძნობია ის დანაკლისი, რომ გ. ჯაკობია გარდაიცვალა მეცნიერული მოღვაწეობისა და შემოქმედებითი ენერჯის გაფურჩქნის პერიოდში“¹.

გიორგი პავლეს ძე ჯაკობია დაიბადა 1895 წ. ღარიბი გლეხის ოჯახში, დაბა ახალ სენაკში (ქ. ცხაკაია)².

პირველდაწყებითი განათლება მან მშობლიური სოფლის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო. შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1914 წ. დაამთავრა.

გ. ჯაკობია სწავლობდა მოსკოვისა და ხარკოვის უნივერსიტეტებში, მაგრამ საბოლოოდ დაასრულა მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სიტყვიერების დარგი (1922 წ.), პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1917-20 წწ. გ. ჯაკობია ახალსენაკის ვაჟთა გიმნაზიაში მუშაობდა მასწავლებლად, 1922-30 წწ. კი — თბილისის რკინიგზის X საშუალო სკოლის დირექტორი იყო. 3 წლის განმავლობაში (1931-34 წწ.) ლექ-

¹ „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944, № 19.

² გ. ჯაკობიას პირადი საქმე დაცულია საქ. სახელმწიფო მუზეუმში (№ 180).

ციებს კითხულობდა ქართულ ენაში ამიერკავკასიის საამშენებლო ფაკულტეტზე, ხოლო ერთი წლის განმავლობაში (1930 წ.) თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

მეცნიერული მუშაობის პერიოდში გ. ჯაკობია ითვლებოდა სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრად და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების თანამშრომლად (საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, საენათმეცნიერო საზოგადოება, კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი).

გ. ჯაკობია ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. 1922-25 წწ. არჩეულ იქნა უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებლთა კოლეგიის წარმომადგენლად, 1925 წ. სრულიად საქავეშირო მასწავლებლთა პირველი ყრილობის პრეზიდიუმის წევრად, 1929-34 წწ. კი — თბილისის VII მოწვევის საბჭოს დეპუტატად.

1936 წლიდან გ. ჯაკობია მუშაობდა უფროს მეცნიერ მუშაკად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, წიგნისა და დამწერლობის კაბინეტის გამგედ, ხოლო 1937 წლიდან გადაყვანილ იქნა მეცნიერი მცველის თანამდებობაზე. ამ პერიოდში იგი კითხულობდა ლექციებს ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1941 წ. გ. ჯაკობია განათლების სახალხო კომისარიატმა დანიშნა დაწყებითი და საშუალო სკოლების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მშობლიური ენისა და ლიტერატურის კაბინეტის გამგედ. აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის იგი არაერთხელ იქნა დაჯილდოებული ფულადი პრემიითა და მადლობით.

გ. ჯაკობია გარდაიცვალა 1944 წ. დასაფლავებულია კუყიის სასაფლაოზე.

მეცნიერული კვლევის ინტერესი გ. ჯაკობიამ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გამოამჟღავნა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი დატოვებულ იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მისი პირველი მეცნიერული ნაბიჯები სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება.

1923 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იგი კითხულობს საინტერესო მოხსენებას იოანე შავთელზე³. მის მიერ შედგენილ სახელთა საძიებლები დაერთო 1923 წ. გამოცემულ კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომს.

1923-24 წწ. გ. ჯაკობია განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ორჯერ იყო მივლინებული ლეჩხუმში სიძველეების ასაწერად. ამ მივლინების დროს ჩამოიტანა მან მოსახსენებლები, რომლებიც ამჟამად დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში

³ „ომონისტი“, 1923, № 63.

(A № 1579). მისი სიყვარული და პატივისცემა წინაპართა მემკვიდრეობისადმი განსაკუთრებით საქართველოს სახელმწიფო ზუზუქში მუშაობის პერიოდში გამოჩნდა. მან დიდი ღვაწლი დასდო ამ მუზეუმში დაცული ხელნაწერი ფონდების შესწავლისა და აღწერილობის საქმეს.

გ. ჯაკობიას პირველი მეცნიერული გამოკვლევა „ლეილმაჯნუნიანის ქართული ვერსიისათვის“ დაიბეჭდა 1925 წ. ი. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში „არილი“.

ნაშრომში მკვლევარი მიზნად ისახავს პოემის ქართული თარგმანის შესწავლას, რომელიც XVIII—XIX საუკუნეების ნუსხებითაა შემონახული. იგი ხელნაწერებისა და იმ ცნობების საფუძველზე, რომლებიც დაცულია არჩილ მეფის „არჩილიანისა“ და ნოდარ ციციშვილის „ბარამგურიანში“, პოემის ქართული თარგმანის ავტორად თეიმურაზ I აცხადებს, მისი გადმოთარგმნის დროდ კი მიიჩნევს 1628-34 წწ.

გ. ჯაკობია მთელი ნაშრომის მანძილზე აწარმოებს საინტერესო დაკვირვებას პოემის სიუჟეტზე, მოქმედ პირებზე, თარგმანის ენაზე და სხვა ზოგადი ხასიათის მომენტებზე. ამ დაკვირვების შემდეგ გამოაქვს მას ფრიად საგულისხმო დასკვნა, რომ სპარსელი პოეტის ფანტაზია ღარიბია, მას არ შესწევს უნარი ამოიკითხოს ადამიანის სულის სიღრმეში ფსიქოლოგიური განცდები, რომ ეს პოემა საკმაოდ უბადრუკია, რუსთველის პოემასთან, „ვისრამიანთან“ და „ბარამგულიჯანიანთან“ შედარებით.⁴ სამაგიეროდ მას ხიბლავს პოემის სიუჟეტის მიმზიდველობა და სილამაზე. გ. ჯაკობიას არც პოემის ქართული თარგმანის ენა მოსწონს. მისი აზრით, „ენა თარგმანისა გაცილებით უფრო ღარიბია, ვიდრე კლასიკური ხანისა, ვერც ლექსი არის ისე ნარნარი და მუსიკალური, როგორც შოთასი და ჩახრუხაძისა“, ამიტომ განუხორციელებლად მიაჩნია მას თეიმურაზის სურვილი: „მე სპარსთა ენის სიტკბომან მასურვა მუსიკობანიო“.⁵

გ. ჯაკობია ამ პირველ ნაშრომში არ ითვალისწინებს პოემის ქართული თარგმანის სპარსული წყაროს ძიებას, ამიტომ ვერაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ ქართულ თარგმანში რომელი სპარსული რედაქციაა გამოყენებული, თუმცა იგი არც კ. კეკელიძის მოსაზრებას იწყნარებს პოემის ნიჰამისეულობის შესახებ. შეიძლება ასეც იყოს, წერს იგი, მაგრამ მას ამ ეტაპზე ამის თქმა ნაადრევად ეჩვენება, ვინაიდან სპარსული წყაროს დადგენა ქართული თარგმანის სპარსულ რედაქციებთან შედარების გარეშე მას შეუძლებლად მიაჩნია.

გ. ჯაკობიას ინტერესი თეიმურაზ I, ნათარგმნი პოემებისადმი ამ

⁴ გ. ჯაკობია, „ლეილმაჯნუნიანის“ ქართული ვერსიისათვის, „არილი“ 1925, გვ. 158.

⁵ იქვე, გვ. 166.

პირველი გამოცვლევით არ ამოწურულა. მან ამ კუთხით კვლავ გააგრძელა მუშაობა და თეიმურაზის პოემების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა გადაწყვიტა. პირველად არჩევანი „იოსებზილიხანიანზე“ შეაჩერა, ვინაიდან, მისი აზრით, „მასში ყველაზე მკაფიოდ აისახა ავტორის პოეტური ნიჭი“.⁶

როგორც თვითონ აღნიშნავს. „იოსებზილიხანიანის“ თარგმანი მოიპოვებოდა უფრო ადრინდელი, ვიდრე 'თეიმურაზ პირველისა. იგი განსხვავდებოდა მისგან, როგორც ენით, სტილით, ლექსიკით და სიუჟეტის დეტალებით, ამიტომ მკვლევარმა პარალელური ტექსტები გამოსცა, რათა „თვალნათლივ დასაინახი გამხდარიყო ლიტერატურული გემოვნების განვითარების ერთ-ერთი ეტაპი აღორძინების ხანისა ჩვენში“.⁷

„იოსებზილიხანიანის“ ქართული ვერსიების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა 1927 წ. გამოვიდა (წინასიტყვაობით, ლექსიკონით და საძიებლებით).

გამოცემის წინასიტყვაობაში განხილულია თეიმურაზის ვარიანტის თითქმის ყველა ხელნაწერი, ასევე უცნობი ავტორის ერთადერთი ნუსხით შემონახული ტექსტიც.

განსაკუთრებით საინტერესოა გ. ჯაკობიას ვრცელი გამოცვლევა „თეიმურაზის თარგმანები“, რომელიც დაერთვის 1934 წ. ა. ბარამიძესთან ერთად გამოცემულ თეიმურაზ I თხზულებათა სრულ კრებულს.⁸ ამ ნაშრომში გამოჩნდა მისი დიდი ინტერესი თეიმურაზ I ნათარგმნი თუ გადმოქართულებული პოემების: „იოსებზილიხანიანის“, „ლეილმაჯუნიაანის“, „შამიფარვანიანის“ და „ვარდბულბულიანის“ მიმართ, რომელთა შესახებ იგი წერდა: „მათი ხვედრითი წონა, უდავოდ. დიდი და საპატიოა მის პოეტურ შემოქმედებით არეშიო“.⁹

გ. ჯაკობიამ ნაშრომში მართებულად შენიშნა საერთოდ ქართველი მთარგმნელის ინდივიდუალობა, რომელიც მან ორი ძირითადი მომენტით ახსნა: 1) „სათარგმნი მასალა იდეოლოგიურად უცხოა, მიუღებელია, მას გათავისებურება სჭირია: 2) აღმოსავლური ვრცელი, ხშირად გაჭიანურებულ-გაზვიადებულ გადმოცემას ვერ ეგუებოდა ვერც ქართველი მკითხველი, ვერც მთარგმნელი“.¹⁰

„თეიმურაზის თარგმანებში“ პირველად სცადა მკვლევარმა ქარ-

⁶ გ. ჯაკობია „იოსებზილიხანიანის“ ქართული ვერსიები, წინასიტყვაობა, თბ., 1927, გვ. 01.

⁷ იქვე, გვ. 01.

⁸ ამ გამოცემის შესახებ რეცენზია იხ. „კომუნისტი“, 1935, № 109; „მნათობი“, 1935, № 3.

⁹ თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1934, გვ. 221.

¹⁰ იქვე, გვ. 221.

თულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის მნიშვნელოვანი პრობლემის — ქართული თარგმანის სპარსული წყაროს დადგენა, რა-შიც მას სპარსული ენის საფუძვლიანი ცოდნა დაეხმარა. მან „ლეილ-მაჯნუნიანის“ ქართული თარგმანი შეუდარა ნიჰამი განჯელისა და ჯამის რედაქციებს და შეიმუშავა საინტერესო თვალსაზრისი: „თეიმურაზის ვარიანტი ან სხვა დედნიდან მომდინარეობს ან დამოუკიდებელი დამუშავებაა ცნობილი არაბულ-სპარსული ლეგენდისა“¹¹.

ასევე საგულისხმოა „იოსებზილიხანიანის“ ქართული ვერსიების ფირდოუსისა და ჯამის სპარსულ რედაქციებთან შედარების შემდეგ გამოტანილი დასკვნებიც: „თეიმურაზის „იოსებზილიხანიანი“ ჯერჯერობით უნდა ჩაითვალოს ცნობილი ბიბლიური გადმოცემის დამოუკიდებელ რედაქციად, თავისებურ ვარიანტად“¹². ანდა „უცნობ ავტორს უთარგმნია, სახელობრ, ჯამის ვარიანტი „იოსებზილიხანიანისა“¹³.

გ. ჯაკობიას შეუმჩნეველი არ დარჩა ის გარემოებაც, რომ „იოსებზილიხანიანის“ თარგმანში თეიმურაზის მთავარი ყურადღება რომანტიულ ურთიერთობებზეა შეჩერებული, რომ პოეტი გატაცებულია სპარსული პოეზიის ეროტიკით, მაგრამ ღვთის საამებლად ყველგან ცდილობს ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამომჟღავნებას. მან ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ თეიმურაზის ნათარგმნი პოემები კარგად უპასუხებენ ეპოქის მოთხოვნილებებს; რომ მისდროინდელ საზოგადოებას მოსწყინდა წმინდა მამათა კალმის ნამოღვაწარი და გაიტაცა ვნებათა ღელვამ, მიჯნურობამ.

გ. ჯაკობიამ „ვარდბულბულიანისა“ და „შამიფარვანიანის“ ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა გარკვეული თვალსაზრისი თეიმურაზის პოეტურ ღირსებებზე. იგი ამის შესახებ წერდა: „უწინარეს ყოვლისა, „ვარდბულბულიანში“ გამოსკვივის ავტორის უტყუარი ნიჭი მგოსნისა, რომელსაც უშუალოდ შეუძლია ეზიაროს ბუნების ამოუწურავ სილამაზეთა წყაროებს, განიცადოს მისი მაცოცხლებელი ბალზამი და მკითხველშიც გამოიწვიოს ლაღი, საღი და ნაზი ესთეტიკური ემოციები. ამ მხრივ თეიმურაზი ჩვენს ძველ მწერლობაში შეუდარებელი პოეტია, ისეთი მგოსანია, რომელსაც მეტოქე არა ჰყავს“¹⁴.

1937 წ. რუსთველის იუბილესთან დაკავშირებით გ. ჯაკობიამ გამოსცა რომანტიკული პოემის „ომანიანის“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, რომელსაც დაურთო საფუძვლიანი ნარკვევი, ძეგლიდან ამოკრეფილი აფორიზმები, შენიშვნები, ვარიანტები, საძიებლები და ლექსიკონი.

¹¹ თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1934. გვ. 264.

¹² იქვე, გვ. 243.

¹³ იქვე.

¹⁴ იქვე, გვ. 268.

გ. ჯაკობია საჭიროდ თვლიდა ამ ლიტერატურული ნაწარმოების გამოქვეყნებას, ვინაიდან, მისი აზრით, ეს პოემა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო XVII საუკუნის I ნახევარში, როგორც ორიგინალური ძეგლი. ქართველი მკითხველისათვის კი საინტერესო იყო იმ მხრივ, რომ იგი გავეცნობოდა „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებელს და იმ დიდ ინტერესს, რომელსაც აღორძინების ხანაში იჩენდნენ რუსთველის პოემისადმი.

ნარკვევში, რომელიც წინ უძღვის ტექსტს, გ. ჯაკობია იხილავს ლიტერატურულ-ისტორიულ საკითხებს, აყალიბებს თავის შეხედულებებს პოემის დაწერის თარიღზე, ავტორის ვინაობაზე და იმ ლიტერატურულ გავლენაზე, რომელიც განუცდია პოემის ავტორს. მკვლევარი პოემაში დატულ ბიბლიოგრაფიულ ცნობასაც არ ტოვებს უყურადღებოდ, რომელიც იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მასში დატულია „ოქროს ხანის“ პოეტების მოსე ხონელის, შავთელის, თმოგველის, რუსთველის სახელები იმავე კონტექსტში, როგორც ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ბოლომინაწერში. აქ დასახელებულია აგრეთვე კედელაური — „შაჰანამეს“ ქართულად მთქმელი. ეს კი, მკვლევრის აზრით, „იშეიათი ბიბლიოგრაფიული ცნობაა, ვინაიდან სხვაგან ამისი მსგავსი არაფერი მოგვეპოვებაო“¹⁵. ასევე საინტერესოა, მისი აზრით, პოემაში დატული ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ მოცულობის შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ XVII საუკუნის I ნახევარში რუსთველის პოემას იცნობდნენ ინდოხატაელთა და ჯვარაზმელთა ამბებით.

გ. ჯაკობიასეულ გამოცემებიდან ერთ-ერთ საუკეთესო გამოცემად ითვლება თეიმურაზ II თხზულებათა კრებული, რომელიც 1939 წ. გამოქვეყნდა.¹⁶

გამოცემაზე დართულ მეცნიერულ-კრიტიკულ ნარკვევში გ. ჯაკობია მოკლედ იხილავს თეიმურაზ II ბიოგრაფიას და მის ლიტერატურულ შემოქმედებას. როგორც სამართლიანად წერს მკვლევარი, თეიმურაზ II ტიპური წარმომადგენელია XVIII საუკუნის მწერლობისა, ის რეალისტი მწერალია და მიეკუთვნება არჩილის ლიტერატურულ სკოლას.

განსაკუთრებით ინტერესს იწვევს „ტექსტისათვის“, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი ხელნაწერებზე ჩატარებული მუშაობა და მიმოხილულია ტექსტთან დაკავშირებული ყველა საკითხი. აქ ჩანს ის დიდი შრომა, რომელიც გასწია მკვლევარმა ჩვენს სიძველეთსაცავებში დატული 39 ხელნაწერის შესწავლისას, რომლის შეჭერების საფუძველზე დაადგინა ტექსტი. გ. ჯაკობია გულდასმით განიხილავს ისეთ ხელნაწერებს, რომელთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში

¹⁵ ომინიანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1937, გვ. XIX.

¹⁶ ამ გამოცემის შესახებ რეცენზია იხ. „მნათობი“, 1941, № 1, გვ. 153—156.

არაფერი იყო თქმული, იგი სპეციალურად სწავლობს ხელნაწერებზე დართულ მინაწერებს, რომლებიც საინტერესოა როგორც ხელნაწერის ისტორიისათვის, ასევე თეიმურაზის ბიოგრაფიისთვისაც.

გ. ჯაკობიამ თეიმურაზ II გამოცემაში „განზრახვანი და ვედრება-ნის“ გარდა შეიტანა პოეტის თითქმის ყველა სხვა ნაწარმოები. უსათაურო ძეგლები დაასათურა, პოეტის მიერ მოცემული ვრცელი სათაურებიდან მოგვცა მოკლე სათაურები, ტრადიციულად მიღებულ ზოგიერთ ნაწარმოებს სახელწოდება შეუცვალა.

მკვლევარმა განსხვავებული შეხედულება გამოთქვა „სარკე თქმულთას“ ეპილოგის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება კ. კეკელიძისა და ე. თაყაიშვილის შეხედულებებს. მისი აზრით, დასახელებულ მკვლევართა მიერ „სარკე თქმულთას“ ეპილოგად მიჩნეული 14 სტროფი წარმოადგენს დამოუკიდებელ ნაწარმოებს, რომელსაც იგი გამოცემაში ცალკე გამოყოფს და „თავგადასავალს“ უწოდებს.

გ. ჯაკობიამ სამართლიანად მიუთითა ნარკვევში, რომ ანბანთქება, როგორც ლიტერატურული უანრი, პირველად თეიმურაზ II. გამოიყენა ძველ ქართულ ლიტერატურაში საერო მოტივებისათვის.

1940 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მომამბის“ მეათე ტომში გ. ჯაკობიამ დაბეჭდა საინტერესო გამოკვლევა „ონანა მდივნისათვის“, რომელშიაც იგი ეხება ონანას ჩვენამდე მოღწეულ 17 ანბანთქებას.

ონანას ანბანთქებები, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან მოცულობით, თემატიკითა და აღნაგობის პრინციპით. მან აღნაგობის მიხედვით ანბანთქებები 7 ჯგუფად დაყო და მათი ანალიზის საფუძველზე შემდეგი თვალსაზრისი განავითარა: „ონანა ანბანთქების შექმნაში დიდ თავისებურებებს და ოსტატობას იჩენს. შინაარსობრივად (და ფორმითაც) სუსტია მისი სასულიერო ქებანი, მაგრამ რაც შეეხება დანარჩენებს შეიძლება თამამად ითქვას, რომ ონანა არამცთუ არ ჩამოუვარდება აღორძინების ხანის ანბანთქების დამწერ პოეტებს, არამედ ბევრს კიდევაც სჯობნის“¹⁷.

გ. ჯაკობია ეხება ონანა მდივნის ვინაობის საკითხსაც. მას ეჭვი შეაქვს დავით რექტორიდან მომდინარე ცნობაში ონანას ქობულაშვილობის შესახებ. ნ. მარის მიერ გამოცემულ იერუსალიმის მონასტრის აღაპებში შემონახული ცნობის საფუძველზე იგი ონანას გვარად ჯანდიერაშვილს ვარაუდობს.¹⁸

1941 წ. გ. ჯაკობიას რედაქტორობით გამოქვეყნდა აღორძინების ხანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი „ამირანდარეჯანიანი“ (გალექ-

¹⁷ გ. ჯაკობია, ონანა მდივნისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X—B (1940), გვ. 136.

¹⁸ იქვე, გვ. 137.

სილი რედაქცია). რომელსაც წინ უძღვის მის მიერ მეცნიერული ცოდნით დაწერილი ნარკვევი, ვარიანტები, საძიებლები და ლექსიკონი.

გ. ჯაკობიამ დიდი მუშაობა გასწია გალექსილი „ამირანდარეჯანიანის“ ავტორის ვინაობის დასადგენად. მან დამოუკიდებელი თვალსაზრისი ჩამოაყალიბა, რომელიც ეწინააღმდეგება სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე მიღებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც გალექსილი რედაქციის ავტორია ორი პიროვნება—ბეგთაბეგ და სულხან თანიაშვილები. გ. ჯაკობიამ ტექსტის კომპოზიციურ-ენობრივი და სტილისტური ანალიზის საფუძველზე აღადგინა არჩილის მიერ „გაბასე-ბაში“ დამოწმებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ნაწარმოების გამლექსავია ერთი პირი — სულხან თანიაშვილი.

გ. ჯაკობიამ გ. ბარამიძესთან ერთად დიდი შრომა გასწია ძველი ქართული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოს შესადგენად. ამ სახელმძღვანელოს გამოცემამდე მოსწავლეები ძველ ქართულ ლიტერატურას სკოლაში მხოლოდ ქრესტომათიით ეცნობოდნენ.

გ. ჯაკობიასა და გ. ბარამიძის მიერ შედგენილმა სახელმძღვანელომ გააადვილა ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმე სკოლაში.

ეს სახელმძღვანელო მოსწავლეებს აძლევდა მწერლის, ეპოქის დახასიათებას, ნაწარმოების შინაარსობრივ, იდეურ და მხატვრულ ანალიზს, პერსონაჟთა დახასიათებას, ბიოგრაფიულ ცნობებს.

ძველი ქართული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელო პირველად 1944 წ. გამოქვეყნდა, მას შემდეგ იგი თითქმის ყოველ წელს გამოდის და გარკვეულ დახმარებას უწევს მოსწავლე-ახალგაზრდობას ჩვენი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში.

ამრიგად, გ. ჯაკობიამ თავისი ხანმოკლე მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე დიდი მუშაობა ჩაატარა ძველი ტექსტების დადგენისა და მომზადებისათვის, გარკვეული წვლილი შეიტანა აღორძინების ხანის ლიტერატურული ძეგლების გამოცემისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ასევე დასაფასებელია გ. ჯაკობიას მუშაობა ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის მნიშვნელოვან საკითხებზე. ითვალისწინებს რა მის მნიშვნელობას, დ. კობიძე წერს: „პირველი მკვლევარი, რომელმაც სპარსული ტექსტები გადაშალა და აღნიშნული ქართული თხზულებების წყაროების მეცნიერულ შესწავლას გამოუდგა, გახლდათ გ. ჯაკობია. რა შეუსაბამოებანიც არ უნდა ახასიათებდეს მის ნარკვევს („თეიმურაზის თარგმანები“), მისი მუშაობა თავისთავად საგულისხმოა და დასაფასებელი“.¹⁹

¹⁹ დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969, გვ. 168.

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი მოსე გოგიბერიძე (1897—1949) იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა მეცნიერების შექმნისა და განვითარების საქმეში. იგი სპეციალობით ფილოსოფიის ისტორიკოსია. 1919—1922 წლებში ფილოსოფიას სწავლობდა ბერლინისა და მარბურგის უნივერსიტეტებში XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიის დიდ წარმომადგენლებთან (ლიბმანი, როლი, გუნოვი, ნ. ჰარტმანი, პ. ჰაიმზოეთი, პ. ნატორპი); მას წილად ხვდა მოესმინა ა. აინშტაინის უკანასკნელი ლექცია ბერლინის უნივერსიტეტში. 1922 წელს მ. გოგიბერიძე მარბურგში იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „სალომონ მიმონის აზროვნების თეორია კანტის ფილოსოფიასა და გერმანული იდეალიზმის შემდგომ განვითარებასთან მიმართებაში“. 1922 წლის დასასრულიდან იგი უკვე თბილისშია. 1926 წლიდან იგი მოღვაწეობს ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში, 1930 წლიდან არის თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, 1939 წლიდან — თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე.

მისი ფილოსოფიური ხასიათის შრომებიდან, გარდა დასახელებული სადოქტორო დისერტაციისა, აღსანიშნავია: „აინშტაინის რელატივობის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“ (1924 წ.), „მატერიალიზმისა და დიალექტიკის საკითხები მარქსამდე“ (1928 წ.), „სპინოზა“ (1927 წ.), „ლენინი როგორც ფილოსოფოსი“ (1930 წ.), „მეცნიერება და რელიგია“ (1929 წ.), „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი“ (1932 წ.); „ფილოსოფიის ისტორია“, ტ. I (1941 წ.).

მ. გოგიბერიძის, როგორც ფილოსოფიის ისტორიკოსის კვლევის სფეროში შეზოდიოდა ძველი ქართული ფილოსოფიური აზროვნების საკითხებიც.

ამ პრობლემატიკაზე მან მუშაობა დაიწყო 1940 წლიდან იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლით², თუმცა უფრო ადრე, რუსთველის საიუბილეო წლებშიც, ქვეყნდება მისი სტატი-

¹ გ. თევზაძე, მოსე გოგიბერიძე; მ. გოგიბერიძე, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, I, თბ., 1970, გვ. 4,9.

² იქვე, გვ. 26.

ები პოეტის მსოფლმხედველობის საკითხებზე. მ. გოგიბერიძის გამოქვეყნებულ შრომათაგან ძველი ქართული მწერლობის საკითხებს ეხება შემდეგი:

1. რუსთაველის მსოფლმხედველობის სათავეები, „ლიტერატურული საქართველო“, 20. III, 1937, გვ. 3-4.

2. შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი, „კომუნისტი“, 12. II. 1938, გვ. 3-4.

3. იოანე პეტრიწის მოძღვრება „ერთის“ შესახებ (თეზისები), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1940, მოხსენებათა თეზისები, გვ. 92-93.

4. იოანე პეტრიწის მიერ ტრინიტეტის მოძღვრების დაფუძნება რიცხვთა სპეკულატიური ხერხით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1940, ტ. I, № 5.

5. იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა, იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, თბ., 1940, გვ. XI—XCIV.

6. უზენაესი არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში“, „მნათობი“, 1941, № 5, გვ. 97-121.

7. ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბ., 1941 (ნაშრომში საგანგებოდაა მიმოხილული ძველი ქართული ფილოსოფიური აზროვნების საკითხები: იოანე პეტრიწი და შოთა რუსთაველი).

8. რუსთაველის ლექსის ენაშვება, მუსიკალური ფერი და მხატვრობა, „მნათობი“, 1956, № 10, გვ. 120-128.

9. რუსთაველის ესთეტიკა, „მნათობი“, 1957, № 8, გვ. 143-152.

10. რუსთაველის ესთეტიკა, „მნათობი“, 1958, № 1, გვ. 145-155.

11. რუსთაველის ესთეტიკა, მოსე გოგიბერიძე, რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, თბ., 1961, გვ. 60-128 (ამ ნაშრომში შედის 1956-58 წლებში გამოცემული ზემოდასახელებული სამივე სტატია).

მ. გოგიბერიძის გამოუქვეყნებელი შრომებიდან ძველი ქართული მწერლობის ისტორიის თვალსაზრისით საგულისხმოა „რუსთაველი და პომეროსი“, 1947 წელს დაწერილი 105 გვერდიანი სტატია, რომელიც დღეისათვის დაკარგულია.

მ. გოგიბერიძის ფილოლოგიური ხასიათის ნაშრომები ერთ კრებულად შეკრიბა და წინასიტყვაობით, შენიშვნებით, ავტორის ბიოგრაფიისა და ნაწერების სიის დართვით გამოაქვეყნა ი. მეგრელიძემ (მ. გოგიბერიძე, რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, თბ., 1961 წ.)³. მოსკ. გოგიბერიძის რუსთველოლოგიურ ნაწერებს, სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ს. ცაიშვილმა (მოსე გოგიბერიძე — „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარი, „მნათობი“, 1961, № 3, გვ. 102-111).

მ. გოგიბერიძის ინტერესის სფეროში ძველი ქართული მწერლო-

³ ქვემოთ გვერდები მითითებულია ამ გამოცემით.

ბიდან XI-XII საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზროვნება დგას. იგი XII საუკუნემდელი ქართული კულტურის განვითარებაში ორ ისტორიულ გზას ხედავს. ქართული კულტურის პირველ გზას იგი ქრისტიანულ-ბერძნულს უწოდებს; ხოლო მეორე გზას — საერო ნწერლობის გზას, რომელიც აღმოსავლეთიდან მოდიოდა. მკვლევრის აზრით, ჩვენი კულტურის ამ ორმა გზამ ქართული აზროვნების განვითარება ორ მწვერვალამდე — იოანე პეტრიწამდე და შოთა რუსთველამდე მიიყვანა: „იოანე პეტრიწი და რუსთაველი ჩვენი ისტორიული წარსულის ორი დიდი გზაა“, — წერს იგი (გვ. 134).

ქართული კულტურის პირველი გზიდან მკვლევარმა სპეციალურად შეისწავლა იოანე პეტრიწის ფილოსოფია. „ხუთი გამოჩენილი ქართველი სქოლასტიკოსი და თეოლოგი მეთაურობს ქართული კულტურის ამ ისტორიულ გზას, — წერს მკვლევარი, — ექვთიმე მთაწმინდელი, გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი. რასაკვირველია, მათ დაამთავრეს ის, რაც წინაპრებმა წამოიწყეს“ (გვ. 137). პეტრიწის ამ დიდი წინამორბედებიდან მ. გოგიბერიძემ მოკლედ მიმოიხილა მხოლოდ ეფრემ მცირის მსოფლმხედველობა. მკვლევრის დასკვნით, ეფრემ მცირე არის „ორთოდოქსალურ-ქრისტიანული თეოლოგიისა და სქოლასტიკის ადრინდელი ეტაპის წარმომადგენელი. მისი ფილოსოფია ქრისტიანული ფილოსოფიაა, ე. წ. კაპადოკიელი მამებიდან გამომდინარე, და მერვე საუკუნის ბოლოს საბოლოოდ გაფორმებული იოანე დამასკელის მიერ“ (გვ. 143).

იოანე პეტრიწი კი, მ. გოგიბერიძის თვალსაზრისით, ქართული ფილოსოფიური აზროვნების შემდგომ ეტაპს ქმნის, იგი უკვე უპირისპირდება პირველ თაობას. იოანე პეტრიწი განვითარებული სქოლასტიკის წარმომადგენელია. მართალია, იოანე პეტრიწიც „ქრისტიანობის იდეოლოგია, დამკველი ყველა მისი დოგმატური ატრიბუტისა და ტრადიციისა“ (გვ. 145), მაგრამ, მკვლევრის დასკვნით, მისი სიახლე აზროვნების ისტორიაში იმაში მდგომარეობს, რომ „იგი ქრისტიანული სქოლასტიკის ისტორიაში დამწყებია იმ ახალი მიწართულებისა, რომელმაც გადაწყვიტა ფილოსოფია პოზიტიურად გამოეყენებია, რომელიც ფიქრობდა, რომ რელიგია „გონების არგუმენტებითა“ და „თეორიით“ დასაბუთდებოდა... მას პლატონით, არისტოტელის და „პლატონური ფილოსოფოსების“ დახმარებით ქრისტიანობა უნდა გონიერი და დასაჯერებელი გახადოს და, რასაკვირველია, არ გრძნობს, რომ მომავალში არისტოტელე ქრისტეს დაჩრდილავს და ადამიანს სარწმუნოების სამართლიანობაში დააეჭვებს“ (გვ. 146).

მ. გოგიბერიძე ცალკე გამოჰყოფს პეტრიწის განათლებისა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის წყაროების საკითხს. შენიშნულია, რომ პეტრიწი ღრმად იცნობს და ეყრდნობა ანტიკურ ფილოსოფიასა

და პოეზიას; ყველა გამოჩენილ ნეოპლატონიკოსს: სირიისა და საბერძნეთის ყველა გამოჩენილ ღმრთისმეტყველს. მკვლევარი ვარაუდობს, რომ მისთვის არ უნდა იყოს უცნობი არც არაბული ფილოსოფია. მ. გოგიბერიძე თვლის, რომ ეს ფილოსოფიური განათლება იოანე პეტრიწს მიღებული უნდა ჰქონდეს მანგანის აკადემიაში იოანე იტალის ხელმძღვანელობით. მკვლევარი იოანე პეტრიწს ბიზანციის სწორედ იმ ტიპის აზროვნების გამგრძელებლად, რომელიც მიქელ ფსელოსმა და იოანე იტალმა წამოიწყეს.

მ. გოგიბერიძის თვალსაზრისით, იოანე პეტრიწს სქოლასტიკური აზროვნება მიჰყავს იმ გზით, რა გზითაც წავიდა იგი დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ დასავლეთ ევროპაში. მისი ძირითადი ნიშანია ქრისტიანული დოგმატიკა დაასაბუთოს ფილოსოფიურად. ამ საკითხებისათვის იგი ყველაზე ფართოდ ეყრდნობა პლატონის, არისტოტელეს და ნეოპლატონიკოსთა (როგორც მისი ქრისტიანული ფრთის წარმომადგენლის ნემესიოს ემესელის, ასევე წარმართი ნეოპლატონიკოსის პროკლე დიადოხოსის) ფილოსოფიურ მემკვიდრეობას. პეტრიწი უშუალოდ ბერძნულ ღმრთისმეტყველებში უნდა იცნობდეს როგორც პლატონის დიალოგებს (ყოველ შემთხვევაში „პარმენიდეს“ და „ტიმოქოსს“ უთუოდ), ასევე არისტოტელეს თხზულებებს. ნეოპლატონიკოსებს კი იგი ქართულად სიტყვასიტყვით თარგმნის და განშარტავს. ღმერთის არსებობის დასაბუთების საკითხში იგი ემხრობა ღმრთების ექსტაზის საშუალებით ხატვის ნეოპლატონურ თეორიას. პეტრიწის ლოგიკა და ბუნებისმეტყველება კი თავიდან ბოლომდე არისტოტელეზეა დამყარებული. „დანამდელებით შეიძლება ითქვას, — წერს მ. გოგიბერიძე, — რომ XII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთელ არც ერთ სკოლასტიკოსს არისტოტელე იმ მოცულობით არ სცოდნია, როგორც ეს პეტრიწთან გვაქვს მოცემული, თვით პეტრე აბელარსაც კი“ (გვ. 163). ნემესიოს ემესელის და პროკლე დიადოხოსის თარგმანითაც იოანე პეტრიწი თავისი ეპოქის მოწინავე აზროვნების სათავეში დგას. პეტრიწის მიერ თარგმნილი ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, მ. გოგიბერიძის შენიშვნით, ის წიგნი იყო, რომელზედაც „ააშენა თავის დოგმატიკის ფილოსოფიური საფუძველი იოანე დამასკელმა. იგი ფართოდ გავრცელებული იყო XI საუკუნის ბიზანტიაში. მისი პირველი ლათინური თარგმანი გამოვიდა 1159 წელს, ქართული კი 50 წლით ადრე“ (გვ. 165). მკვლევარის შენიშვნით, ასევე ძალზე პოპულარული იყო XI-XII საუკუნეების აზროვნების ისტორიაში იოანე პეტრიწის თარგმნილი მეორე წიგნი—პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“; იგი არაბულად ითარგმნა შემოკლებული რედაქციით IX საუკუნეში; შემდეგ, მ. გოგიბერიძის მითითებით, არაბულიდან „XII საუკუნეში გადავიდა და დასავლეთში სახელწოდებით

Liber de causis და დიდი გავლენა მოახდინა სქოლასტიკაზე. ამიერიდან სქოლასტიკურ აზროვნებაში პროკლემ დაიჭირა საპატიო ადგილი არისტოტელეს გვერდით“ (გვ. 167). პროკლეს ამ ნაშრომის გავლენა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ალბერტ დიდსა და თომა აქვინელზე. მ. გოგიბერიძის აზრით, „აი, ეს წიგნი იყო, რომელიც აირჩია თავისი მუშაობის საგნად ქართველმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწმა ასორმოცდაათი წლით ადრე თომა აქვინელამდე და გამოიყენა იგი დაახლოებით ისე და იმ მიზნებისათვის, როგორც დასავლური სქოლასტიკის მწვერვალმა თომა აქვინელმა“ (გვ. 168).

მკვლევარი ავითარებს აზრს, რომ იოანე პეტრიწი წარმოადგენს ბიზანტიაში, კერძოდ მანგანის აკადემიაში, დაწყებული სქოლასტიკის გამგრძელებელსა და დამამთავრებელს.

პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური აზროვნება ძირითადად პროკლე დიდოქსოსის დასახელებული თხზულების ქართულ თარგმანზე დართულ წინასიტყვაობასა, კომენტარებსა და ბოლოსიტყვაობაში იშლება. XII საუკუნის ქართველი ფილოსოფოსის მიზანი იყო „ღმრთისმეტყუელება ნივთისაგან მიუხებელი წამოეყენა“, ე. ი. მ. გოგიბერიძის ინტერპრეტაციით, „შექმნა თეოლოგია ამაღლებული ყოველივე ნივთიერისაგან და ქვეყნიერისაგან“ (გვ. 170). რადგანაც სარწმუნოებას აზის გაკეთება საკუთარი ძალით არ შეუძლია, პეტრიწი მიჰართავს ფილოსოფიას და უპირატესად ეყრდნობა პლატონს, არისტოტელეს და პროკლეს; მაგრამ, მკვლევრის შენიშვნით, „მთლიანად არც ერთ ამთვანს პეტრიწი არ ღებულობს, თითოეულისაგან იგი იმას იყენებს, რაც მისი საკუთარი მსოფლმხედველობისათვისაა საჭირო“ (გვ. 171). პეტრიწი მთელი თავისი შემოქმედებით ადასტურებს, რომ ფილოსოფიის გზობა უაზრობაა. ფილოსოფიას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს სარწმუნოებას, შეიძლება ლოგიკური გზით ნათელყოს იგი, რაც რელიგიაში მხოლოდ რწმენაზეა დამყარებული. მოსე გოგიბერიძის დაკვირვებით პროკლეს პეტრიწი იყენებს სამი ძირითადი ასპექტით: „1) ერთისა და მისგან გამომდინარე სიმრავლის დიალექტიკურობის დადგენისათვის. 2) სიკეთისა და ბოროტის სუბსტანციონალური დუალიზმის დაძლევისათვის და სიკეთის მონიზმის დადგენისათვის... 3) ღვთის მტერ და მგომბელ ფილოსოფოსთა, ე. ი. ეპიკურეელთა... განადგურებისათვის“ (გვ. 172). არისტოტელეს პეტრიწი აფუძნებს: 1) ე. წ. „მდაბიურ ცოდნას“, ანუ ღღევანდელი გაგებით, მეცნიერებას: ცისა და მიწის ნივთთა წარმოშობისა და ხრწნის ფილოსოფიას; 2) ლოგიკას: „პეტრიწმა იცის, რომ არისტოტელეს ლოგიკის გარეშე უღონო არს რისავე გაგონება სულისა მიერ სიტყვიერისა?“, რადგან თვით ღმერთს არ შეუძლია ლოგიკას ეწინააღმდეგოს, ვინაიდან თვითონ არის ლოგოსი“ (გვ. 172); 3). არისტოტელეს მეცნიერე-

ბა ღვთისმეტყველებამდე მიდის და იმას ადასტურებს, რომ „ერთი არის მეუფე ყოველთა“. „რაც შეეხება პლატონს... — წერს მკვლევარი, — „ღვთაებრივი“ პლატონის მიერ იგი უფრო აღფრთოვანებულია, ვიდრე დარწმუნებული; პლატონი მას უფრო ხიბლავს, ვიდრე ასწავლის. პლატონს იგი აღიღებს, როგორც პირველ სათავეს იმ სიბრძნისა, რომელიც პავლე მოციქულში გამოცხადდა“ (გვ. 173). მ. გოგიბერიძის დასკვნით, ის მსოფლმხედველობა, რომლის წარმოსადგენადაც პეტრიწს ანტიკური ფილოსოფია გამოუყენებია, არის მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანობა: „პეტრიწთან მოცემულია განვითარებული სქოლასტიკის თვალსაზრისი; ამ თვალსაზრისის გამოუმუშავება ქართული თეოლოგიური და საეკლესიო აზროვნების დამთავრება იყო, მისი განვითარების იმ წერტილთან მიყვანა, როცა განვითარების პროცესში მყოფი თითოეული მოვლენა თავისთავთან უცხო გახდება და თავის საწინააღმდეგოში გადავა“ (გვ. 175).

პეტრიწის მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპით, ყველაფრის საფუძვლად გამოცხადებულია ერთი. ეს პრინციპი სარწმუნოებამ აღმოაჩინა. პერიპატოელ ფილოსოფოსთა სილოგიზმის უძლიერესი კანონი მას ვერ წვდება. მას ვერ ჩაწვდა ვერც პლატონი; თუმცა, როგორც პროკლემ გვიჩვენა, პლატონი გრძნობდა, რომ არსებობდა რაღაც ასეთი. ფილოსოფოსთაგან ყველაზე მეტად ერთის საიდუმლოს პროკლე ჩაწვდა. პეტრიწის დაკვირვებით, არისტოტელეს ლაპარაკობს „ხედვით ცოდნაზე, ე. წ. წმინდა თეორიაზე, ანუ აზროვნების აზროვნებაზე... ეს სავესებით ისეთივე გზაა სიბრძნისა, რაც პლატონის დიალოგებიდან პროკლემ „განაცხადა“ (გვ. 178).

მ. გოგიბერიძის დაკვირვებით, პეტრიწი ცდილობს პლატონიზმი მისალეზი გახადოს ქრისტიანობისათვის. მკვლევრის ვარაუდით, ამ გზით უნდა განვითარებულიყო იოანე იტალის აზროვნება მისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდში.

პროკლესა და არისტოტელეს დიალექტიკურ მეთოდებზე დაყრდნობით პეტრიწი იწყებს შემეცნების წყაროების გამოკვლევას და წარმოადგენს ორიგინალურ თეორიას შემეცნების ორ ნაქადს — სულსა და გონებას შორის განსხვავებაზე. აქვე პეტრიწი გვთავაზობს ღმერთის არსებობის რაციონალური ხერხით დამტკიცების ორიგინალურ ცდას: „აღამიანს შემეცნების ორი წყარო აქვს, სული და გონება. შემეცნების მიზანია ნამდვილ მყოფ არსებათა შემეცნება; ეს მიზანი სუბიექტობიექტივის მიმართებაში სახიერდება. ობიექტი, პეტრიწის აზრით, უფრო მალა დგას გონებაზე, ამ შემთხვევაში გონება სუბიექტია, ნამდვილ-მყოფი-ობიექტი; მაგრამ ნამდვილ-მყოფ არსებაზე მალა „ერთებრივი რიცხვი“ დგას“ (გვ. 202). რიცხვზე მალა უსაზღვრობა დგას, ხოლო როცა უსაზღვრობა იქნება სუბიექტი, მისი ობიექტი შე-

იძლება იყოს მხოლოდ ერთი ანუ ღმერთი. ასეთი დიალექტიკის გზით მალდება პეტრიწი ღმერთამდე.

ეს ერთი ღმერთი თანახმად ქრისტიანული თეოლოგიისა არის სამება. პეტრიწი ცდილობს დაასაბუთოს სამების ერთარსების დოგმა. იგი იყენებს გეომეტრიის, არითმეტიკის, მუსიკის არგუმენტებს ამ დებულების დასამტკიცებლად. გეომეტრია ამგვარად შედის პეტრიწის სამსახურში: წერტილისაგან, რომელიც არის ერთი, გამოდის ხაზი ანუ „ძე პირმო მისი“. ხაზის გავრცობა მოგვცემს სიბრტყეს. სიბრტყის უმარტივესი ფორმა არის სამკუთხედი. ასე რომ, წერტილი გადადის სამკუთხედში. თავის მხრივ, სამკუთხედიდან წარმოიქმნება მრავალკუთხედი და ბოლოს წრე, ანუ უსასრულობა. რამდენადაც წრის უმარტივესი საწყისი არის სამკუთხედი და წერტილი, უსასრულობის საწყისი ყოფილა სამი და ერთი. რიცხვის თეორიაშიც იგივე დიალექტიკას ეძებს პეტრიწი: ყოველი რიცხვი ერთისაგან იწარმოება. იგი მხოლობითია. მაგრამ ორმა დაარღვია რიცხვის მხოლობითობის ბუნება. ამდენად იგი არ არის რიცხვი, იგი მხოლოდ ერთის ანტითეზია. მხოლოდ სამი ადასტურებს რიცხვის ბუნების თავისებურებას, იბრუნებს მხოლობითობას და ამიტომაც იგი არის საწყისი სხვა რიცხვთა შრომისათვის. რამდენადაც სამი რიცხვთა ქეშმარიტი საწყისია, იგი არის იგივე ერთი. სამების ერთარსებობის დოგმის დასაბუთებას ცდილობს პეტრიწი ქართული მუსიკის მაგალითზედაც. ხმა სამია: „მზახრ“, „უირ“ და „ბამ“, მაგრამ მათი შეერთება ერთ ჰარმონიას ქმნის. ე. ი. სამება არის ერთარსება.

მაშასადამე, პეტრიწის მეტაფიზიკით მარადიული დასაბამი არის ერთი, მაგრამ ერთის დასაბამად არსებობა გულისხმობს სამის თანარსებობას. პეტრიწი ცდილობს ერთმანეთთან მოარიგოს ქრისტიანობა და ბერძნული ფილოსოფია, კერძოდ ნეოპლატონიზმი. მაგრამ „მას ერთი მხრივ სჭირდება იყოს გაცილებით უფრო მკაცრი მონისტი, ვიდრე ეს ქრისტიანობისათვის შესაწყნარებელია. აქ იგი იხრება ბერძნებისაკენ, კერძოდ ნეოპლატონიზმისაკენ; მეორე მხრივ, გამოყავს რა პირველი რიცხვის, ე. ი. სამის არსებობა უშუალოდ ერთისაგან, უარყოფს შინაგან განვითარებას და შორდება ნეოპლატონურ დიალექტიკას“ (გვ. 195).

მ. გოგიბერიძის დაკვირვებით, პეტრიწის სჭოლასტიკის ორიგინალური ხაზი ყველაზე მეტად გამოჩნდა ერთის, როგორც დასაბამის დადგენის საკითხში. „იგი ეთანხმება ბერძნებს იმაში, რომ ყოველივე სიმრავლე ერთისაგან უნდა ამოდიოდეს, ამიტომ ხედავს იგი ბერძნებში ქრისტიანობის წინაპრებს; მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს ამოსვლა? აქ იწყება გაიჭვნა“ (გვ. 196). ამ შემთხვევაში პეტრიწი არ მიჰყვება ღმერთის არსებობის რაციონალური გზით დასაბუთების

არისტოტელესეულ მეტაფიზიკას. ეს გზა მიუღებელი იყო როგორც ნეოპლატონიზმისათვის, ასევე ფსევდოდიონისე არეოპაგელისაგან გამომდინარე ქრისტიანული თეოლოგიისათვისაც. პეტრიწი არ მიჰყვება არც ღმერთის რაობის განსაზღვრების პროცესს თეორიას: ნეგაციას—ღმერთის განმარტებას იმით, თუ რა არ არის ღმერთი. პეტრიწის საბოლოო დასკვნით ერთი არის „ის, რომელსაც ნათელი შეაქვს ყოველსავე სინათლეში, რომელიც კეთილობით აკეთებს ყოველივეს“ (გვ. 200); „ხოლო, ის რაც იქმნა ერთის მიერ, არის ხატება ერთისა“ (გვ. 201).

„ერთის ანუ აბსოლუტის, გინდ ღმერთის საკითხში პეტრიწი, უდავოა, ნეოპლატონიზმიდან ამოდის, მაგრამ თავიდან იშორებს რა იმ ნეგატიურს, მაგრამ მაინც ლოგიკურსა და რაციონალურ გზას, რომლითაც ნეოპლატონიზმში ერთი მოდიოდა, დგება სავევებით ახალ პოზიციასზე და თავის სიტყვას ამბობს იმ მეტაფიზიკური ინტუიციონიზმისათვის, იმ შინაგანი ხილვის თვალსაზრისისათვის, რომლის ამბავი ავგუსტინესთან დაიწყო და რომლითაც ასე მდიდარია ქრისტიანული ეპოქის სპეკულაცია“ (გვ. 201).

მ. გოგიბერიძის დაკვირვებით, იოანე პეტრიწი თავის თანამედროვეებს უმტიციებს, „რომ პირველად ლოგოსის სინათლე პლატონის ფილოსოფიაში ამობრწყინდა, რომ ქრისტიანობამ ლოგოსი ღმერთად აქცია და რაც პლატონთან ბუნდოვანი ზმანების სახით იყო მოცემული, რაც არისტოტელესთან ლოგიკურ თეორიაში იყო განხორციელებული, იგი ქრისტიანობაში გონების სინათლედ და ქვეშაირიტად არის გამოცხადებული“ (გვ. 205).

მ. გოგიბერიძე არ იწყნარებს პეტრიწის ფილოსოფიაზე გამოთქმულ მოსაზრებებს. მისი დასკვნით, პეტრიწი არ იწყებს ქართული რენესანსის ეპოქას; პეტრიწი არ არის ქართული წარმართობის აპოლოგეტი; პეტრიწი არ არის თანმიმდევრული ნეოპლატონიკოსი. ნეოპლატონიზმში პეტრიწის ფილოსოფიის მხოლოდ ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

პეტრიწი სქოლასტიკოსი და ქრისტიანობის ფილოსოფოსია. მხოლოდ იგი წარმომადგენელია იმ განვითარებული სქოლასტიკისა, რომელიც ქრისტიანული ფილოსოფიის დასაბუთებისათვის იყენებს მთელ ანტიკურ კულტურასა და აზროვნებას. პეტრიწის აზროვნების სიდიადე იმითაა განპირობებული, რომ იგი იკვლევს მისი თანამედროვე ეპოქის იმ საკითხებს, „რომლებიც იმდროინდელი მოწინავე კაცობრიობის კვლევისა და ძიების საგანს შეადგენდა. იგი შეეცადა განახლების სინათლე შეეტანა ქრისტიანობაში“ (გვ. 215). მისი მსოფლმხედველობის კვლევის მეთოდი იყო არისტოტელურ-ნეოპლატონური წარმოშობის დიალექტიკა; ხოლო თვითონ მსოფლმხედველობა—იდეალიზმი.

„იოანე პეტრიწმა ერთი და ერთ-ნახევარი საუკუნით დაასწრო დასავლეთს, ეპოქის აზროვნება იმავე მიმართულებით წაყვანა, რა მიმართულებითაც იგი შემდეგ დასავლეთში განვითარდა“ (გვ. 215). ესაა პეტრიწის ფილოსოფიის მნიშვნელობა შუა საუკუნეების აზროვნების განვითარების ისტორიაში. ქართულ აზროვნების განვითარების ისტორიაში კი „იოანე პეტრიწი სრულმქმნელი და დამამთავრებელია ქართული კულტურის იმ ისტორიული გზის, რომელიც ქრისტიანობიდან მოდიოდა“ (გვ. 203). მან „ნიადაგი მოამზადა ქართული კულტურის იმ დიდი აღორძინებისათვის, რომელიც ასი წლის შემდეგ რუსთველმა განახორციელა“ (გვ. 215).

რუსთველის მსოფლმხედველობას მ. გოგიბერიძემ ჯერ კიდევ იოანე პეტრიწზე მუშაობამდე მიუძღვნა ორი საგაზეთო წერილი „შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი“ და „რუსთაველის მსოფლმხედველობის სათავეები“, რომლებიც პოლემიკური ხასიათისაა და მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, რუსთველის მსოფლმხედველობაზე გამოთქმული რამდენიმე მოსაზრების კრიტიკას და, მეორე მხრივ, საკითხის ახლებურად დასმას. მკვლევრის აზრით, არ შეიძლება რუსთველის მსოფლმხედველობის საფუძვლად ნეოპლატონიზმის მიჩნევა. მისი სიტყვით „ნეოპლატონიზმი იყო სიკვდილის გზაზე დამდგარი მონათმფლობელური რომის გაბატონებული კლასის ოფიციალური იდეოლოგია. ეს კლასი აღარ გრძნობდა სიცოცხლის დენას თავის ძარღვებში. ამიტომ ნეოპლატონიზმი სიკვდილის სიღიადეს ქადაგებდა; სიკვდილს განთავისუფლებად და არსებობის უმაღლეს მიზნად სახავდა... რაა საერთო სიკვდილის ამ ფილოსოფიასა და რუსთაველის მიერ მოცემულ სიცოცხლის დაუშრეტელ ჰიმნს შორის? არაფერი! რა საერთოა ხორცისა და სისხლის დამორგუნველ ნეოპლატონურ ასკეტიზმსა და რუსთაველის ხორცისა და სისხლის ადამიანებს შორის? არაფერი! რუსთაველის გენიალურ პოემაში არავითარი კვალიც კი არაა ნეოპლატონიზმისა“ (გვ. 18). მკვლევარი უარყოფს პოეტის დამოკიდებულებას მისი ეპოქის მძლავრ ფილოსოფიურ მოძრაობასთან—ქრისტიანულ სქოლასტიკასთან. მაგრამ რუსთველის ეპოქის მეორე დიდ ფილოსოფიურ მოძრაობასთან—არაბულ ფილოსოფიასთან რუსთველის კავშირი აშკარად სარწმუნოდ ესახება. მკვლევრის თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ასტრონომიული განსწავლულობა რუსთაველისა უსათუოდ არაბული საბუნებისმეტყველო განათლების შედეგია“ (გვ. 25). მ. გოგიბერიძე ფიქრობს, რომ რუსთველი ერთგვარად დამოკიდებული უნდა იყოს არაბულ არისტოტელიზმზე. მკვლევრის აზრით, „ნამდვილ“ არისტოტელეს გაცნობას რუსთაველში შეეძლო მოეხდინა მხოლოდ გარდატეხა ქრისტიანულ-პლატონური ორთოდოქსიის წინააღმდეგ. ეს იყო რუსთა-

ველის გზა რენესანსისა და ამქვეყნიური მსოფლმხედველობასთან ისევე, როგორც თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ავეროეს-არისტოტელემ ამავე გზაზე დააყენა დანტე“ (გვ. 26). არისტოტელიზმის კვალს „ვეფხისტყაოსანში“ მკვლევარი ხედავს პოემის მეორე სტროფის პირველ სტრიქონში („ჰე, ღმერთო ერთო;...“); პოემისეულ მეგობრობის კონცეფციაში და რუსთველის ღმერთში: „რუსთაველის მკაცრი მონოთეისტური ღმერთი პირდაპირ სურათს წარმოადგენს არაბული ფილოსოფოსების მიერ არისტოტელეს მეტაფიზიკის მიხედვით პანთეისტურად ინტერპრეტირებული ღმერთის ცნებისა. ორი-სა-ში საუკუნის შემდეგ ასეთ სამოსელში გამოეწყო დასავლეთის რენესანსის ღმერთი“ (გვ. 26).

მ. გოგიბერიძის თვალსაზრისით არაბული არისტოტელიზმი რუსთველისათვის მხოლოდ განათლების ელემენტი იყო. „იგი ორთოდოქსალური არისტოტელელი ისევე არ ყოფილა, როგორც არ ყოფილა ნეოპლატონელი“ (გვ. 26). მკვლევარი ასკვნის, რომ „მსოფლმხედველობა რუსთაველისა უპირველესად ყოვლისა რუსთველური იყო“ (გვ. 27) და მისი თავისთავადობა იმაში მდგომარეობს, რომ „ასიოდე წლით ადრე ევროპის ცივილიზაციამდე დიდი ქართველი გენიოსი ქმნის ადამიანურსა და ამქვეყნიურ მსოფლმხედველობას, უარს ამბობს იმქვეყნიური ბედნიერებით დაკმაყოფილებულ იმედზე, უარს ამბობს პლატონურ იდეალიზმზე სიყვარულისა და მეგობრობის გაგებაში, ქმნის სიყვარულისა და მეგობრობის იმ მაღალ კულტს, რომელიც რელიგიის დანგრევას მოასწავებდა“ (გვ. 23).

ნაშრომში უზენაესი არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში“, არის ცდა ახლებურად იქნეს გადაწყვეტილი რუსთველის ღმერთის პრობლემა. მკვლევარს ამოსავალ პოზიციად მიაჩნია შემდეგი დებულება: „რუსთაველს არც ქრისტიანული ღმერთისათვის უცია თაყვანი და არც მაჰმადიანურისათვის, მაგრამ რუსთაველი არც ათეისტი ყოფილა და არც წარმართი. მის შემოქმედებაში ოფიციალური ღმერთი არ არის, ღმერთზე კი საერთოდ ძალიან ბევრი ლაპარაკია“ (გვ. 28). რა ფილოსოფიურ-რელიგიურ წარმოდგენებზე დაყრდნობით უნდა შექმნილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთის ცნება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ერთი მხრივ, მკვლევარი აკრიტიკებს რუსთველის მაჰმადიანობის, მანიქეიზმის, ნეოპლატონიკოსობის, სოლარიზმისა და პაგანიზმის თეორიებს; მეორე მხრივ კი, ცდილობს პოზიტიური აზრის ფორმირებას პოემის უზენაეს არსებაზე. მკვლევარის თვალსაზრისით, რუსთველი კარგად იცნობს ქრისტიანულ ორთოდოქსიას, ქართულ სასულიერო მწერლობას, მაგრამ იგი მაინც არ არის ორთოდოქსი ქრისტიანი, რამდენადაც „ყოველი ქრისტიანული აზრისა და შემოქმედების იმდროინდელი გვირგვინი-ღმერთი სამპიროვანი და ერთარსებიანი,

ქრისტიანული მესიანიზმი, ღმერთი კაცად ქცეული და სხვა — არსად არ გვხვდება რუსთაველთან“ (გვ. 29). ქრისტიანული ღმერთი, მკვლევარის აზრით, პოემაში იგნორირებულია, რამდენადაც რუსთველი ღმერთის ძიებაშიც განახლების გზას დაადგა. „ნათელია, რომ რუსთაველის ამოსავალი ქრისტიანობაა, მაგრამ ქრისტიანობა არ არის რუსთაველის მსოფლმხედველობის ნაცსაყუდელი“ (გვ. 38). მკვლევარის აზრით, „რუსთაველის მიერ იგნორირება თავისი დროის ქრისტიანობისა... გამოწვეულია... ქრისტიანობაზე უფრო მაღალი მსოფლმხედველობის გზების ინტელიციური ხედვითა და წინაგზნებით“ (გვ. 51). მკვლევარის დაკვირვებით, „რუსთაველის ღმერთი განგებისა და გონების სინთეზია“ (გვ. 57). ამ თვალსაზრისით რუსთაველის ღმერთი პრინციპულად უახლოვდება ღმერთის იმგვარ გაგებას, რომელიც XV საუკუნის დასავლეთმა წამოაყენა. მკვლევარის დასკვნით, „რუსთაველის ღმერთი რენესანსის ეპოქის ღმერთია“ (გვ. 58). მ. გოგიბერიძის თვალსაზრისით, „ღმერთის ცნებაში ასეთი რევოლუციის მოხდენისათვის რუსთაველის განკარგულებაშიც თითქმის იგივე წყაროები იყო, რაც რენესანსის ეპოქას მოუპოვებოდა. ეს იყო ე. წ. მაღალ სქოლასტიკაში გაერთიანებული არისტოტელურ-ნეოპლატონური ინტერპრეტაცია სარწმუნოების დოგმისა, ამავე დროს ვაცნობა არისტოტელესთან უშუალოდ, ერთი მხრივ, და არაბული ფილოსოფია, მეორე მხრივ. პირველი წყარო რუსთაველს იოანე პეტრიწის ფილოსოფიამ მისცა, მეორე, ე. ი. არაბული ფილოსოფია, იმდროინდელ საქართველოს კულტურულ-ისტორიულმა მდგომარეობამ“ (გვ. 58). ამგვარად, მ. გოგიბერიძის სიტყვით, „ქრისტიანობის გადამუშავების ნიადაგზე რუსთაველმა შექმნა ახალი ცნება უზენაესი არსების“; ხოლო ქრისტიანული ღვთაებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ძირითადი წყარო არაბული ფილოსოფია და მეცნიერება იყო (გვ. 59).

მ. გოგიბერიძის ნარკვევი „რუსთაველის ესთეტიკა“ გამოირჩევა რუსთაველის პოეტური ხელოვნების თაობაზე საკითხთა ახლებურად დასმით და კვლევა-ძიების ფართო მასშტაბით. მკვლევარი ღრმა შთაგონებით მსჯელობს რუსთაველის ლექსის მუსიკალობაზე, ფერთა სიმბოლიკაზე, ფერწერულ ნიუანსზე პოეტურ ხედვაში. რუსთაველის, როგორც ხელოვანის თავისებურებებს მკვლევარი ხედავს სიმეტრიის დიდ განცდაში, ზომიერების პრინციპში, წმენიერებისა და გონიერების შენამებაში, თუ რაციონალიზმში. საგანგებოდ მსჯელობს ტირილსა, მუსიკასა და ლოცვაზე, როგორც ესთეტიკურ ფენომენებზე, განიხილავს რუსთაველის სიყვარულისა და შაირობის თეორიას.

მ. გოგიბერიძე „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკური პრობლემათიკის კვლევას პოეტის მსოფლმხედველობრივ ძიებას უკავშირებს. მკვლევარის აზრით, „რუსთაველის შემოქმედებას სამი ძირითადი მსოფლმხედ-

ველობრივი მოტივი უძვეეს საფუძვლად: ცნება ღმერთისა-თეოლოგია, მშვენიერებისა-ესთეტიკა, ზნეობისა-ეთიკა“ (გვ. 61-62) და მ. გოგიბერიძის განცხადებით, პოეტის მსოფლმხედველობის ეს სამივე არსებითი მომენტი არისტოტელურ ნიადაგზე, კერძოდ, არაბულად განმარტებულ არისტოტელეზეა დაფუძნებული. „ჩვენი გაგებით,—წერს მკვლევარი,— რუსთაველის სიტყვისა და სიბრძნის ორიგინალობა და გენიალობა არის ბერძნული აპოლონური კულტის აღორძინება, დასავლური თავისი სულით, ჰომეროსისებური თავისი ლექსითა და მუსიკით, არისტოტელური თავისი სიბრძნით“ (გვ. 65). რუსთაველის არისტოტელეზე დაყრდნობის ძირითად არგუმენტად მკვლევარს მიაჩნია ის გარემოება, რომ პოეტის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ძირითადი მოტივი რეალისტური და რაციონალისტურია. კონკრეტულად კი, მისი დაკვირვებით, რუსთაველის ძირითადი თეზისი-ხელოვნება არის ფილოსოფიის ერთ-ერთი დარგი—არისტოტელური დებულებაა. მკვლევარს თავისი დასკვნა პრინციპულ და კატეგორიულ სიმაღლემდე აჰყავს. იგი ხაზგასმით წერს: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ რუსთაველი არაბული სკოლის არისტოტელეს იცნობდა და ამ სკოლის ნატურალისტურ ინტერპრეტაციას იზიარებდა“ (გვ. 104). მიუხედავად ამისა, მ. გოგიბერიძის აზრით, რუსთაველის მსოფლმხედველობა არ წყდება მის თანამედროვე ეპოქას, პირიქით, წინ უსწრებს მას. მკვლევარის აზრით, „რუსთაველი არის რენესანსი, როგორც ასეთი, მაგრამ არა მაინცდამაინც ქართული რენესანსი“ (გვ. 63). „ეს იყო ის,— განმარტავს მკვლევარი,— რაც შეადგენდა სულსა და აზრს რენესანსისა, ბერძნული გაგება ადამიანურისა და მშვენიერის, ზნეობისა და სიბრძნის. ბერძნული კლასიციზმი ჰომეროსისა და არისტოტელეს სულისა, აღორძინებული ქართულს კოლორიტზე და გაფორმებული ქართული სიტყვით“ (გვ. 63).

ამრიგად, მ. გოგიბერიძის ნაწერები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე, მიუხედავად მათი ეპიზოდური ხასიათისა, ძალზე მდიდარი, ღრმა და მნიშვნელოვანია. მკვლევარს საკითხები გააქვს ფართო პორიზონტზე; იგი ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებას განიხილავს მსოფლიო ფილოსოფიური პრობლემემატიკის ფონზე და, რაც მთავარია, ახლებურად სვამს პრობლემებს.

შეინიშნება, რომ მკვლევარის მიერ ერთსა და იმავე პრობლემემაზე სხვადასხვა პერიოდში განვითარებულ შეხედულებაში არის წინააღმდეგობანი, თუ აზრთა სხვადასხვაობანი. ასე, მაგალითად: სტატიაში „რუსთაველის მსოფლმხედველობის სათავეები“ მკვლევარი გამოორიცხავს რუსთაველის მსოფლმხედველობის რაიმე მიმართებას იმ პერიოდის სქოლასტიკურ აზროვნებასთან; ხოლო სტატიაში „უზენაესი არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში“ ე. წ. განვითარებულ სქოლას-

ტიკას, რომლის წარმომადგენელი იოანე პეტრიწი იყო, მკვლევარი უკვე რუსთველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნევს. ასევე პრინციპულადაა 1937 და 1938 წლებში გამოქვეყნებულ სტატიებში უარყოფილი რუსთველის მიმართება ნეოპლატონიზმთან მაშინ, როდესაც შემდგომი პერიოდის ნაწერებში მკვლევარი ამ დასკვნაში უფრო თავშეკავებულია. რაც შეეხება, არისტოტელიზმთან რუსთველის დამოკიდებულებას, ამ საკითხში სურათი იცვლება. პირველ ორ სტატიაში მკვლევარს რუსთველის მიმართება არისტოტელიზმთან ესახება როგორც დამოკიდებულება ერთ-ერთ წყაროსთან, იგი უარს ამბობს რუსთველის არისტოტელიანობაზე. შემდგომ პერიოდში კი მკვლევარი პოეტის მიმართების საკითხს არისტოტელეს და, კონკრეტულად, არაბულად განმარტებულ არისტოტელეს აზროვნებასთან აშკარად უფრო კატეგორიული ფორმით სვამს. ეფექტობთ, გადამწყვეტი როლი მ. გოგიბერიძის შეხედულებათა ერთგვარ ცვლილებაში შეასრულა პეტრიწის მსოფლმხედველობის შესწავლამ, რამდენადაც უშუალოდ ამ საკითხზე მუშაობდა მკვლევარი რუსთველის მსოფლმხედველობის გარშემო 1937-38 წლებში გამოქვეყნებული სტატიების შემდეგ.

რა თქმა უნდა, ყველა პრობლემა, რომლებსაც მკვლევარი განიხილავს, ერთნაირი სისრულითა და სიღრმით დამუშავებული არ არის. განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც საკითხისადმი მიდგომის სტრუქტურით, ასევე არგუმენტირების ფორმითა და სიღრმით, ერთი მხრივ, გამოკვლევა პეტრიწზე და, მეორე მხრივ, სტატიები რუსთველზე. თუ პირველ შემთხვევაში მკვლევარი საკითხს მთელი დატვირთულობით, ტექსტის თანმიმდევრული განხილვით იკვლევს და საგანგებო ფილოლოგიურ და ფილოსოფიურ ექსკურსებს მიმართავს; მეორე შემთხვევაში, უპირატესად ადრინდელ სტატიებში, შეინიშნება, თავისუფალი წერა, პუბლიცისტური ტონი. თუმცა არც ერთ შემთხვევაში მკვლევარს არ დალატობს ღრმა ფილოსოფიური ალღო. იგი არსებითად სწორად გრძნობს ორივე ქართველი მოაზროვნის ადგილს ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიაში და ახალ სამუშაო ჰიპოთეზებს უსახავს ძველი ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნების მომავალ მკვლევარებს.

ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის წინსვლას დიდად შეუწყო ხელი ფართოდ განათლებული მკვლევრის სოლომონ იორდანიშვილის მრავალმხრივმა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ. მისი ენათმეცნიერული, ლიტერატურული თუ მთარგმნელობითი საქმიანობა, რომელიც აღბეჭდილია პროფესიული სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით, უთუოდ საიმედო დასაყრდენია მეცნიერული აზრის შემდგომი განვითარებისათვის.

ს. იორდანიშვილი დაიბადა 1898 წლის 24 ოქტომბერს თელავში. მისი მამა გიორგი იორდანიშვილი სახალხო მასწავლებელი იყო. სოლომონმა პირველდაწყებითი განათლება მიიღო თელავისა და გორის სასულიერო სასწავლებლებში, სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაშიც, სადაც მისი ერთ-ერთი მასწავლებელი კ. კეკელიძე იყო. 1926 წ. მან დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საენათმეცნიერო დარგი.

1916 წლიდან ს. იორდანიშვილი თანამშრომლობს ქართულ პერიოდულ გამოცემებში როგორც მთარგმნელი. 1919 წელს იგი დაინიშნა ახლად დაარსებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კანცელარიის გამგედ და სამეცნიერო საბჭოს მდივნად. 1933 წლიდან მუშაობს ცენტრალური სატერმინოლოგო კომიტეტის მეცნიერ თანამშრომლად. 1933 წელსვე მიენიჭა დოცენტის წოდება. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ცალკე დაარსების შემდეგ მას უკავია ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობა. 1938 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე და კითხულობს ლექციებს რუსთველოლოგიაში, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიასა და ქართულ ენაში. 1946 წ. ს. იორდანიშვილი მიიწვიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში (ლექციოლოგიის განყოფილების გამგედ). 1945 წელსვე დაიცვა მან საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ვეფხისტყაოსნის“ ზალმონტისეული თარგმანი“.

გარდაიცვალა ს. იორდანიშვილი 1953 წელს.

ს. იორდანიშვილის პროფილს ძველი ქართული მწერლობის დარგში უმთავრესად მისი რუსთველოლოგიური ნაღვაწი განსაზღვრავს. იგი მზად იყო ამ დარგის ყველა ფრონტზე ერთგული ჯარისკაცის თავდადებით შეესრულებინა მასზე დაკისრებული ნებისმიერი საქმე.

მისი პირველი რუსთველოლოგიური ნაბიჯები სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გამოცემის უაღრესად დაძაბულ და მძიმე სამუშაოს დაუკავშირდა, რაზეც ჩვენ ამთავითვე მოგვიხდება ყურადღების გაზიარება.

ცნობილია, რომ ქართველ საზოგადოებას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა ყოველთვის უპირველეს ამოცანად ესახებოდა. საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეით დაისვა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლის აღსანიშნავი იუბილეს წინამოსამზადებელ პერიოდში. დადგინდა შექმნილიყო სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე და კ. ჭიქინაძე. კომისიას საკმაოდ მოკლე დროში უნდა მოემზადებინა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულად გამართული ტექსტი. მდივნობა ს. იორდანიშვილს დაევალა. კომისიამ ნუშაობა დაიწყო 1935 წლის აპრილში და ყოველდღიური დაძაბული შრომის შედეგად დაასრულა 1936 წლის აპრილს. კომისია აწარმოებდა სხდომების დაწვრილებითი სტენოგრაფიული ხასიათის ოქმებს, სადაც შედიოდა კომისიის წევრთა აზრები, დებატები, მთელი რეფერატები და მოხსენებები. მხოლოდ ასეთი გზით შეიძლებოდა შექმნილიყო დოკუმენტი, რომელიც რუსთველოლოგიის ძვირფას მონაპოვრად იქნა მიჩნეული. „ამ ოქმების წაკითხვით, — წერს ს. კეკელიძე, — გადიხარ ნამდვილ სკოლას რუსთველოლოგიაში, ეცნობი მეცნიერული აზრის უკანასკნელ მიღწევებს „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებში“.¹ ამ ოქმების გამოქვეყნებას კ. კეკელიძე გადაუდებელ საქმედ მიიჩნევდა.² ნათელი უნდა იყოს, როგორი სპასუხისმგებლო და შრომატევადი იქნებოდა მდივნის მოვალეობანი, რისთვისაც წარმატებით გაურთმევია თავი ს. იორდანიშვილს.

კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ 1937 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ (№ 22, 23) გამოქვეყნდა ს. იორდანიშვილის წერილი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისათვის“, რომელიც თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით სცილდება კონკრეტულ საკითხს. ს. იორდანიშვილმა მიღწეული შედეგების წარმოსაჩენად მოგვცა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის საერთო დონის ერთგვარი დახასიათება. მან მიმოიხილა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი განოცემა „ვეფხისტყაოსნისა“ და ფაქტიურად წარმოადგინა ტექსტის მოკლე მეცნიერული ისტორია. არსებითია იმის აღნიშვნა, რომ

¹ კ. კეკელიძე, О работах Комиссии по установлению критического текста поэмы «Вепхисткаосани» для юбилейного (1937) издания, ეტრუდები, VII, თბ., 1961, გვ. 282.

² ეს მასალები დღეს ძირითადად გამოცემულია (1973—1975 წწ.).

ს. იორდანიშვილმა პრინციპულად სწორი შეფასება მისცა XIX საუკუნის ტექსტოლოგიურ ნაღვას.

კომისია მიზნად ისახავდა ხელნაწერთა ვარიანტების სრული ნუსხის გამოცემას. ეს განზრახვა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა განხორციელებული: 1948 წელს გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი და დანართი“, რომელიც გამოსცემად მოამზადა და წინასიტყვაობა შენიშვნებით დაურთო ს. იორდანიშვილმა. მართალია, ეს გამოცემა არ იყო სრული, მაგრამ მან კიდევ უფრო ნათელი გახადა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიური საკითხების აქტუალობა რუსთველოლოგიის განვითარების ამ ეტაპზე.

ს. იორდანიშვილი კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ აგრძელებს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შესწავლას. იგი 1940 წ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის სხდომაზე გამოდის საინტერესო მოხსენებით „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა აღწერილობების შესახებ. საყურადღებოა მისი გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ დაუთარიღებელ ხელნაწერზე (H № 2074), რომელიც ძეგლის უძველეს ხელნაწერად ითვლებოდა. ს. იორდანიშვილმა მიზნად დაისახა, შეესწავლა ამ ხელნაწერის სტროფული მოცულობა, ერთი მხრივ, და შეედარებინა ეს ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ სხვა დაუთარიღებელი ხელნაწერებისათვის — მეორე მხრივ, რაც ხელნაწერის თარიღის დასადგენად მეთოდოლოგიურად გამართული გზა იყო. მართლაც, ს. იორდანიშვილმა დაარღვია ხელნაწერის თარიღზე შემუშავებული მცდარი აზრი, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგი შეცდომის გამო ვერ მივიდა ზუსტ დასკვნამდე. მისი მოსაზრებით, H № 2074 გადაწერილი უნდა იყოს XVII ს. II ნახევარში. სინამდვილეში კი, როგორც ეს უკანასკნელი კვლევა-ძიებით გაიჩვენა, ხელნაწერის თარიღი XVII საუკუნის 30-იანი, 40-იანი წლებით უნდა განისაზღვროს³.

ს. იორდანიშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებზე მუშაობისას დაინტერესდა ნაკლებად შესწავლილი ქართული საერო მინიატურის საკითხითაც. მან შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ სამი მნიშვნელოვანი ხელნაწერის (H № 2074, H № 5006, H № 5099) ბორდიურები და მინიატურები და საინტერესო დაკვირვებები გამოთქვა მათ შემსრულებლებზე. ნაშრომი — „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა დამსურათებლები“ — წაკითხული იყო მოხსენებად რუსთველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში 1941 წ., ხოლო ბეჭდურად გამოქვეყნდა 1964 წ. მისსავე წიგნში „ნარკვევები“.

„ვეფხისტყაოსნის“ წიგნიერულ შესწავლაში ერთ-ერთი ყველაზე

³ ს. იორდანიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, I, თბ., 1970, გვ. 254.

მნიშვნელოვანი საქმე ტექსტის კომენტირებაა. არსებითად ტექსტის შესწავლის დონეს სწორედ ეს განსაზღვრავს.

ს. იორდანიშვილს შეგნებული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარების აუცილებლობა და მის შესრულებას გადაუდებელ საქმედ მიიჩნევდა. იგი მეცნიერული თავმდაბლობით დასძენდა: „ჩემი მცირედი ცდა („ვეფხისტყაოსნის“ კომენტარების საქმეში — ლ. გ.) გამოწვეულია ამ დიდი მოვალეობის შეგნებით, თუმცა ვგრძნობ, რომ ეს საქმიანობა ერთი კაცის ძალდონეს უსათუოდ აღემატება, და მით უმეტეს ჩემს ძალ-ღონეს, როგორც ცოდნისა, ისე მოცალეობის მხრივ. მაგრამ ამისდა მიუხედავად, თუ ყველა ჩვენგანი ამ საქმისათვის შეძლებისამებრ თავის წვლილს არ გაიღებს, ისე ამ საქმეს არა ეშველება რა და „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისა და მისი გაგების საქმეში ჩვენ მუდამ ჩამორჩენილი ვიქნებით“⁴.

ს. იორდანიშვილი წერილში — „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი შესწორება-კომენტარისათვის“ ტექსტის 5 ადგილის განმარტებას ისახავს მიზნად. ეს ადგილებია: 1. „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“; 2. „ამ საქმესა მემოწმების დიონისი ბრძენი ეზროს“; 3. „ქალმან მისცა მარგალიტი, სრულ ქმნა მისი საწაღელი“; 4. „ჯერ უწვევრულო, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა“; 5. „შენ თუ უშმაგო მგონიხარ, ვარმცა ურია მე ლევი“. ამ კომენტარებში მკვლევარმა ღრმა ცოდნა და ტექსტის მხატვრული წვდომის უნარი გამოავლინა.

ს. იორდანიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა რუსთველის მსოფლმხედველობრივი საკითხების კვლევაშიც. ცნობილია, რომ ერთ დროს რუსთველოლოგიაში ფეხი მოიკიდა რუსთველის მანიქველობის თეორიამ. პ. ინგოროყვამ ეპოქის ისტორიაში თითქოს აღმოაჩინა ისეთი ცნობა, რომელიც შოთას მანიქველობაზე მიუთითებდა. უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელმა პრესამ პ. ინგოროყვას მოხსენებას საისტორიო წყაროს ტექსტუალური ანალიზის შედეგების შესახებ მიანიჭა ეპოქალური მნიშვნელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. პ. ინგოროყვას მოსაზრებებში თავიდანვე ეჭვი შეიტანა კ. კეკელიძემ, ოღონდ მას ეპოქალური ისტორიის სათანადო ადგილის პ. ინგოროყვასეული წაკითხვის დარღვევა, ან ახალი გააზრება არ მოუცია. ს. იორდანიშვილი ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, რომელმაც პ. ინგოროყვას მოსაზრების საფუძვლიანი გაკრიტიკება სცადა. მან 1935 წელს რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის რუსთაველის სექციის სხდომაზე წაიკითხა მოხსენება: ეპოქალური ისტორიის ერთი ცნობის შესახებ, რომელიც 1936 წ. თბილისის უნივერსიტეტის შრომების III

⁴ ს. იორდანიშვილი, ნარკვევები, შ. ძიძიგურის რედაქციითა და შესავალი წერილით, თბ., 1964, გვ. 85.

ტომში გამოქვეყნდა კიდევ. როგორია დასახელებულ გამოკვლევაში წარმოდგენილი დაკვირვებები და დასკვნები? 1. პ. ინგოროყვას ეპოქალური გასაღების (ასე უწოდებდა პ. ინგოროყვა თავის მიგნებას) წყარო თეიმურაზ ბატონიშვილის კომენტარები უნდა იყოს; 2. „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხა, რომელსაც პ. ინგოროყვა ემყარება, შეცდომებითაა საესე და ამიტომ მას არ შეიძლება მკვლევარი უკრიტიკოდ ენდოს (ს. იორდანიშვილს აქვე შენიშნული აქვს ისიც, რომ პ. ინგოროყვას ტექსტში ცვლილება შეუტანია: დედანში წერია „მანისი“ და არა „მანისა“); 3. ყველა სხვა შემთხვევაში, სადაც კი ეამთა-აღმწერელს შოთა ჰყავს მოხსენიებული, მეტსახელად კუპარი კი არ დაერთვის, არამედ კუპრი. ამ გარემოებას უსათუოდ ანგარიში უნდა გასწვოდა, იმიტომაც რომ „ქართლის ცხოვრების“ მ. ჯანაშვილისეულ ხელნაწერშიც სადავო ადგილი სხვაგვარად იკითხება და აქ შოთა ყოველთვის კუპრად იწოდება; 4. „ქართლის ცხოვრებათა“ ორი რედაქციის (მარიამ დედოფლისეული და მ. ჯანაშვილისეული) ურთიერთშედარებით ირკვევა მხოლოდ ერთი რამ: აქ მოხსენებულია ვინმე შოთა, რომელსაც სიშავისათვის მეტსახელად კუპრი რქმევია; 5. ეამთა-აღმწერლის „ფერი“ კიდევ რომ სუფიურ ორდენებში ხმარებული ტექნიკური ტერმინიდან. „ფირ“-იდან იყოს წარმომდგარი, არ შეიძლება უცვლელად მიუყენოთ მანიქეველთა ორდენსაც, მით უმეტეს, რომ სუფიზმსა და მანიქეველობას შორის არსებითი სხვაობაა: სუფიზმი არის ფილოსოფიურ-მისტიკური მოძრაობა მონოთეისტური ისლამის ნიადაგზე აღმოცენებული, მანიქეიზმი კი წარმოადგენს ზარათუშტრას დუალისტური მოძღვრების ქრისტიანულ ასეკტიზმთან შერევას (სინკრეტიზმს); 6. ეამთაღმწერლისათვის დამახასიათებელი არ არის უცხო სიტყვაგამოთქმების სათანადო განმარტების გარეშე მოტანა. შეუძლებელია მას ეხმარა „სეფე“ თუ „ფირი“, როგორც ორდენის უფროსი და არაბული „კუპარი“, როგორც სარწმუნოებიდან განდგომილი და არ განემარტა ისინი, მით უფრო, რომ ირანულ „ფირი“ ნიშნავს ბერსაც (მოხუცს) და შეიხსაც, ასევე არაბული — ქაძარუნ, ქაძარუნ — ურწმუნოს, უღვთოს, უწმინდურს, ურჯულოს და, რაც უმთავრესია, არა მუსლიმს, ქაფირს; 7. ეამთაღმწერლის „ფერობისათვის“ და „კუპრობით“ ნიშნავს ფერსა და კუპრს (შავს) და მათ არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო სპარსულ ფირთან და არაბულ ქაფირთან. მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრებაში“ და ამავე ეპოქის სხვა ძეგლებშიც ეს სიტყვები მხოლოდ საკუთარი ქართული შინაარსით დასტურდება; 8. „მანისი ფერობისათვის“ ტექსტის დამახინჯებული ადგილია და იგი ასეთ კორექტურას საჭიროებს: „მელნის ფერობისათვის“, რომლის ანალოგია მ. ჯანაშვილისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება: რომელსა სიშავისათვის კუპრობით უხმობდეს;

9. სრულიად შეუძლებელია არაბული — ქაჩირუნ — ურწმუნო, უწმინდური (არა მუსლიმი), ისიც მრავლობით რიცხვში (ქუჩქარუნ) ხმარებული ქართულად „კუპარის“ სახით მოგვევლენოდა. არაბულ-ირანული სიტყვები, რომლებიც ქიაჩით იწერებიან, ქართულში კანით კი არ გადმოდიან, არამედ ქანითვე, ასევე, ϕ — ქართულში გადმოდის არა პარით, არამედ ფარით. არაბული ქაჩირუნ ქართულში უნდა გადმოვიდეს ქაფარი, ქაფირი ან ქუფრის ფორმით. „ქაფარი“ არამუსლიმის მნიშვნელობით დასტურდება, მაგალითად, ფარსადან გორგიჯანიძესთან.

უნდა ითქვას, რომ ს. იორდანიშვილის ამ მეტად ანგარიშგასაწევ მოსაზრებებს პ. ინგოროყვასთან აღნიშნული საგნის ირგვლივ შემდგომი კამათისას პრინციპულად ახალი არაფერი დამატებია, ხოლო სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევრის ნააზრევმა აშკარა დადასტურება პოვა.⁵

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ სრულიად აშკარაა ს. იორდანიშვილის დასახელებული გამოკვლევის მნიშვნელობა რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების საქმეში.

ქართული მეცნიერების წინაშე აქტიურად დგას საკითხი რუსთველის ე. წ. არმოდწეული თხზულებების შესახებ. რუსთველისადმი ამა თუ იმ ნაწარმოების მიკუთვნების ტრადიციას დასაყრდენი თვით პოემაში აქვს. გვერდი რომ აუეუაროთ საკითხის ზოგადად დასმას, არ შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს სხვა ნაწარმოებზე არ ჰქონოდა; პოემაში ნათქვამი: „მას ვაქებ, ვინცა მიქია“ და „ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ-ავად გამორჩეული“, უთუოდ იქცევს ყურადღებას, როგორც სხვა „ქებებზე“ მიმათითებელი სტრიქონები. აღნიშნულის საფუძველზე მიაწერა პ. ინგოროყვამ რუსთველს არარსებული პოემა-რომანი „ქებანი“. მანვე რუსთველი დასახა ავტორად რომანისა იოსებ მშვენიერზე. ამ უკანასკნელი მოსაზრების ამოსავალი პ. ინგოროყვასათვის „იოსებზილიხანიანის“ უცნობი ავტორის შემდეგი სიტყვებია:

აწ, რუსთველო, გეთხოვები, რომე მამეც ნება თქმისა,
არ გასწყრე და არ ამიკლო, თხოენა მე მაქეს ამ ჰოქმისა,
რომე გკადრე უკადრობა დაჯრა თქვენის ნასაქმისა,
თქვენეე იცით, სხვაეე არგებს, დასნეულდეს რა აქიმსა.

პ. ინგოროყვას განმარტებით, „დაჯრა“ პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს მიწყობას, ხოლო პოეტიკაში — ლექსად თქმას. „მე-16 საუკუ-

⁵ კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 189; ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 216—217; ძველი ქართველი მებობენი, ჩახრუხაძე, „თამარიანი“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1957, გვ. 124-125 და სხვ.

ნის ქართველი პოეტი, — შენიშნავს პ. ინგოროყვა, — რუსთაველის თავს ადარებს განთქმულ ექიმს, რომელიც დასნეულებულია. რუსთაველი სწეულად იმის გამოა წარმოდგენილი, რომ მისი თხზულება, იოსებ მშვენიერის ამბავი, დაზიანებულად იყო მოღწეული, ნაწყვეტის სახით იყო გადარჩენილი. ხოლო თავის თავს მე-16 საუკუნის ეს ქართველი პოეტი ადარებს უბრალო მკურნალს, რომელსაც უხდება უწამლოს განთქმულ აქიმს რუსთაველს, ე. ი. მოახდინოს რესტავრაცია რუსთაველის დაზიანებული ნაშრომისა“⁶.

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღნიშნული, რომ ს. იორდანიშვილმა თავის წერილში „რუსთაველის ჩვენამდე არმოდწეული პოემა-რომანის შესახებ“ მოგვცა სიტყვა „დაჯრის“ პ. ინგოროყვასეული ახსნის საფუძვლიანი კრიტიკა.⁷ „მან გააჩკვია, — წერს ა. ბარამიძე, — რომ „დაჯრა“ პირდაპირი მნიშვნელობით არ ნიშნავდა მიწყობას და არც პოეტიკაში გულისხმობდა ლექსად თქმას“. ს. იორდანიშვილის მოსაზრების მართებულობა იმ გზითაც დამტკიცდა, რომ უცნობი ქართველი მელექსის ტექსტი, როგორც ამას ა. ბარამიძე აღნიშნავს, რესტავრაციის ნაკვალევს არ ატარებს. პ. ინგოროყვა კი სწორედ ასეთი კვალის არსებობას გულისხმობდა, როცა „დაჯრას“ განმარტავდა, როგორც ლექსად თქმას. ს. იორდანიშვილის დამაჯერებელი ახსნით, „დაჯრა“ ნიშნავდა თავის მოყრას, შეყრას (დიდი სიმჭიდროვით), გახირვას. გაკადნიერებული პოეტი ეუბნება რუსთაველს: „დახურე შენი ნასაქმი (ე. ი. წიჯნი). რადგან ახლა ჩემი დროა და ჩემი პოემისაო“.

ს. იორდანიშვილმა ძველი ქართული მწერლობის საკითხებს სხვა საინტერესო წერილებიც უძღვნა. მათგან აღსანიშნავია: „იაკობ გოგებაშვილი და „ვეფხისტყაოსანი“, „აკაკი და „ვეფხისტყაოსანი“, „სხვადასხვა დროის მწერლები და მოღვაწეები რუსთაველის შესახებ“, „ვისრამიანი“, „მასალები თეიმურაზ ბაგრატიონის ბიოგრაფიისათვის“ და. სხვ.

ს. იორდანიშვილს არ დასცალდა სიცოცხლეში სრულად გამოეყვეყნებინა თავისი ნაშრომები. მხოლოდ მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ 1953 წ. გამოვიდა მისი წერილების კრებული სათაურით: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (შეადგინა და რედაქცია გაუკეთა შ. ძიძიგურმა), ხოლო 1964 წელს რამდენადმე განსხვავებული სახით მეორეჯერ გამოიცა იგივე კრებული. ჩვენთვის ცნობი-

⁶ პ. ინგოროყვა, შოთა რუსთაველი, თბ., 1938, გვ. 11.

⁷ ა. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 487; ი. ლოლაშვილი, ფრაგმენტები, არმოდწეული ძეგლები და უცნობი ავტორები, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1966, II, გვ. 243; ა. გვახარია, ს. იორდანიშვილის „ნარკვევების“ ახალი გამოცემა, „მნათობი“, 1965, № 2, გვ. 189.

ლია, რომ მეცნიერის პირად არქივში დაცულია მისი არაერთი გამო-
უქვეყნებელი სტატია საქართველოს კულტურისა და ისტორიის სა-
კითხებზე. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ს. ჭიჭინაძეც
ს. იორდანიშვილისადმი მიძღვნილ წერილში.⁸ სასურველი იქნებოდა
ამ მასალის შესწავლა და სათანადო სისრულით გამოგზავნა. ეს მით
უფრო საჭიროა, რომ, როგორც აღნიშნავდნენ, ს. იორდანიშვილი არ
ეტანებოდა მეცნიერებაში გარეგნულად ბრჭყვიალა და თვალისმომ-
კრელ თემებსა თუ პრობლემებს, ეფექტურ დასკვნებს და კოლოსა-
ლური მუშაობის მიღმა ავტორის სახელი ხშირად გაუჩინარებულ
ჩნებოდა.

ს. იორდანიშვილმა ამაგი დასდო ძველი ქართული მწერლობის
ძეგლთა პუბლიკაციის საქმესაც. აღსანიშნავია, რომ იგი აქაც უტყუარ
აღლოს იჩენდა და პირველ რიგში ხელს ჰკიდებდა ძველი ქართული
მწერლობის ისტორიის სრული წარმოჩინებისათვის მეტად საჭირო გა-
მოუქვეყნებელ ძეგლებს. ასე, მაგალითად, სპეციალისტებისათვის
უდავოა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავისი დროისათვის თ.
ბაგრატიონის მიერ შედგენილ ქართული ხელნაწერებისა და ძველად
დაბეჭდილი წიგნების კოლექციის აღწერილობას. პირველად მ. ბრო-
სემ, ხოლო შემდეგ ა. ცაგარელმა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გა-
მოაქვეყნეს თვით თეიმურაზის მიერ შედგენილი კატალოგი ამ წიგ-
ნსაცავისა. ს. იორდანიშვილმა ყურადღება მიაქცია დასახელებული
კოლექციის უცნობი ავტორის მიერ შედგენილ აღწერილობას, რომე-
ლიც უფრო სრული და ამომწურავი იყო, ვიდრე თეიმურაზისეული
კატალოგი და 1948 წ. სათანადო წინასიტყვაობითა და შენიშვნებით
გამოსცა კიდევ.

ქართველი მკითხველისათვის მხოლოდ ბოლოდროინდელი გამოკ-
ვლევებისა და პუბლიკაციების საშუალებით გახდა აშკარა პირველი
ქართველი აკადემიკოსის თ. ბაგრატიონის მრავალმხრივი და მნიშვნე-
ლოვანი მოღვაწეობა. ს. იორდანიშვილმა საშუალება მოგვცა გავცნო-
ბოდით სწავლული ბატონიშვილის მხატვრული შემოქმედების ნი-
მუშსაც. ესაა „სამსახეობა რაინდისა“⁹.

ს. იორდანიშვილმა ჩვენს წინაშე გააცოცხლა მემუარული მწერ-
ლობა — ეს უაღრესად საინტერესო ენატი ძველი ქართული მწერლო-
ბისა. მან 1940 წ. გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა
ევროპაში“, 1944 წ. — თეიმურაზ ბატონიშვილის „მოგზაურობა ჩემი
ევროპისა და სხვათა და სხვათა ადგილთა“, ხოლო 1950 წ. რუსული-

⁸ „მნათობი“, 1969, №4, გვ. 149-153.

⁹ გამოქვეყნდა 1947 წ. ს. იორდანიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით.

დან გადმოთარგმნა და გამოაქვეყნა რაფაელ დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“. სამივე გამოცემას ერთვის ს. იორდანიშვილის წინასიტყვაობანი და შენიშვნები. პუბლიკაციათა მნიშვნელობა სრულადაა ვათვალისწინებული ამ გამოცემათა გამო სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ რეცენზიებში.

ს. იორდანიშვილის ყურადღება მიუქცევია აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ერთ ხელნაწერს, რომელიც გამოყენებული არ ჰქონდათ ძეგლის პირველ გამომცემლებს (მანამდე „სიტყვის კონა“ ორჯერ იყო დაბეჭდილი: 1894 წ. რაფიელ ერისთავის რედაქტორობით და 1928 წ. ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქტორობით). ხელნაწერი კი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნა, საყურადღებო იყო იმით, რომ თვით სულხან-საბასა და მისი ძმის ზოსიმეს გადაწერილი ყოფილა 1725 წ.¹⁰ ხელნაწერის დახასიათებასა და საგულისხმო ნარკვევთან ერთად „სიტყვის კონა“ ს. იორდანიშვილის რედაქციით 1949 წ. გამოქვეყნდა.

ს. იორდანიშვილის რედაქციითა და გ. ლეონიძის წინასიტყვაობით სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისა“ ორჯერ გამოიცა: პირველად 1938 წ., მეორედ — 1957 წ. ს. იორდანიშვილმა განახორციელა ამ წიგნის ა. ცაგარლისეული რუსული თარგმანის მეორე გამოცემაც.¹¹

ს. იორდანიშვილმა ა. ბარამიძესთან ერთად 1931 წ. გამოაქვეყნა დ. გურამიშვილის „დავითიანი“, ხოლო 1935 წ. გ. ლეონიძესთან ერთად — ფეშანგის „შაჰნავაზიანი“.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ს. იორდანიშვილისეული გამოცემები შემკულია ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნით შედგენილი ლექსიკონებით. ძნელია ზღვარის გავლება—მკვლევრის მუშაობა ძველი ქართული მწერლობის ლექსიკაზე მას როგორც ენათმეცნიერს უფრო წარმოაჩენს, თუ როგორც ძველი ქართული მწერლობის სპეციალისტს. ერთი კი ცხადია, ეს არის მეცნიერის საპატიო წვლილი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლის საქმეში.

სრულიად ცალკეა გამოსაყოფი ს. იორდანიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. იგი კარგად ფლობდა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, სპარსულ ენებს და თავის ცოდნას დიდი გაცემებით ახმარდა ეროვნული კულტურის აღმავლობას. მან დედნებიდან ქართულ ენაზე სიტყვასიტყვითი თარგმანით გადმოიღო შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის შედევრები: „ნიბელუნგები“ და „სიძლერა როლანდზე“. მასვე ეკუთვნის განთქმული „რამაიანას“

¹⁰ ა. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონი, ენიშვის მოამბე, V—VI (ცალკე ამონაბეჭდი), თბ., 1940.

¹¹ Книга мудрости и лжи. Редакция, предисловие, комментарии С. Иорданшвили, Тб., 1934.

პწკარედიც. სწორედ ს. იორდანიშვილისეული პწკარედები გალექსეს ქართველმა პოეტებმა და ჩვენი მთარგმნელობითი მწერლობა პირველხარისხოვანი ძეგლებით გაამდიდრეს.

განსაკუთრებით დასაფასებელია ის დიდი ამაგი, რომელიც ს. იორდანიშვილმა დასდო „ვეფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე თარგმნის საქმეს. ს. იორდანიშვილმა რაინდული თავგანწირვა გამოიჩინა, როცა „ვეფხისტყაოსნის“ რუსული პწკარედის შექმნას მოჰკიდა ხელი. „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვასიტყვითი თარგმნა ერთგვარად მის კომენტარებასაც ნიშნავდა. შემთხვევითი არ არის, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში თარგმანი და კომენტარი ერთი და იგივე ტერმინებით — „თარგმანი“ და „თარგმანება“ — აღინიშნებოდა, ხოლო მთარგმნელსაც და კომენტატორსაც — „თარგმანი“ ერქვა.

ი. მეგრელიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ს. იორდანიშვილმა რუსული პწკარედის შექმნა ჯერ კიდევ მაშინ შეძლო, როდესაც სათარგმნი პოემის ტექსტში სადავოდ გამხდარი მრავალი სტროფი მოიპოვებოდა, ბევრე გაუგებარი სტრიქონი და სიტყვაც გვხვდებოდა (და გვხვდება კიდევ) და ამდენად პოემის ასეთი ადგილების გაგება ქართულადაც კი ძნელდებოდა.¹² როგორი ხარვეზებიც არ უნდა ჰქონდეს „ვეფხისტყაოსნის“ ს. იორდანიშვილისეულ პწკარედს (ამისგან ის დაზღვეული არ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ რუსთველოლოგიის დონე პწკარედის შექმნის დროიდან ყოველდღიურად იცვლება და კვლავაც შეიცვლება), მან უკვე შეასრულა დიდი ეროვნული მისია. ეს პწკარედი 1933 წელს მანქანაზე გადაბეჭდილი სახით გაეგზავნა მოსკოვის გამომცემლობას — „Academia“-ს და ამ გზით იგი ხელმისაწვდომი გახდა დაინტერესებული პირებისათვის მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ს. იორდანიშვილის პწკარედი „ვეფხისტყაოსნისა“ საფუძვლად დაედო როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე შესრულებულ თარგმანებს, ისე ზოგიერთ უცხოურ თარგმანსაც, რომელთა შემსრულებლებს თუ უშუალოდ ს. იორდანიშვილისეული პწკარედით არ უსარგებლიათ, ამ პწკარედის მიხედვით შესრულებული რომელიმე თარგმანი მაინც ჰქონიათ ხელთ¹³. მეორეც, „ვეფხისტყაოსნის“ ს. იორდანიშვილისეულ პწკარედს, როგორც ძეგლის ერთგვარი ინტერპრეტაციის შემცველს, მნიშვნელობა არ დაუპარგავს დღევანდელი კვლევა-ძიებისათვისაც და ამდენად იგი კიდევ დიდხანს დარჩება ქართველი რუსთველოლოგების სამაგიდო წიგნად.

¹² ი. მეგრელიძე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 304.

¹³ პწკარედი ბეჭდური სახით გამოქვეყნდა 1966 წ. (Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре. Подстрочный перевод с грузинского, Тб., 1966).

„ვეფხისტყაოსნის“ სხვა ენებზე თარგმნის საქმეს გარკვეული სამსახური გაუწია აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის (ისიც ს. იორდანიშვილს ეკუთვნოდა) დაბეჭდვამ რუსულსა და უკრაინულ ენებზე.¹⁴

როგორც ჩანს, „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში მკვლევარი დიდ როლს ანიჭებდა ნაწარმოების სრულ პროზაულ თარგმანს. მის პირად არქივში დაცულია ს. იორდანიშვილისა და დ. შერმანის წერილი «О прозаическом переводе «Витязя», სადაც აღძრულია და დასაბუთებული „ვეფხისტყაოსნის“ პროზად თარგმნის აუცილებლობა. ს. იორდანიშვილს, სხვათა შორის, ქართულ ენაზე გამოსაცემად მოუმიზანდებია კიდევ პროზაული „ვეფხისტყაოსანი“, ოღონდ ყმაწვილთათვის, მაგრამ სამწუხაროდ, ეს წიგნი არ გამოსულა.

დიდად დასათვსებელია ს. იორდანიშვილის აქტიური მონაწილეობა ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე თარგმანსა¹⁵ და „ვეფხისტყაოსნის“ უორდროპისეული თარგმანის შევსება-შესწორებასა და გამოცემაში¹⁶. უნდა შევნიშნოთ, რომ სპეციალისტების აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ დასახელებული ფრანგული თარგმანი შესრულებულია საკმაოდ მაღალ დონეზე და გამოირჩევა აზრობრივი სიზუსტით. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი თარგმნილია თექვსმეტმარცვლიანი, ბევრგან ასონანსითა და რითმით გაწყობილი ლექსით, რომელშიც მკაცრადაა დაცული ცეზურები.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საფუძვლიანი ცოდნა ს. იორდანიშვილს ძეგლის თარგმანთა შეფასების საშუალებასაც აძლევდა. ჟურნალ-გაზეთებში იგი სისტემატურად ათავსებდა ინფორმაციებსა და მოკლე დახასიათებებს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებზე. ბოლოს მან თავი მოუყარა მასალებს და რუსთველის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ კრებულში გამოაქვეყნა წერილი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები ევროპულ ენებზე“. ნაშრომში ძეგლის ევროპულ ენებზე თარგმნის ისტორიასთან ერთად მოცემულია საგულისხმო დაკვირვებები ცალკეულ თარგმანებზე (მაგ., მ. უორდროპის თარგმანზე, კ. ლაპჩინსკის პოლონურ თარგმანზე და სხვ.). ს. იორდანიშვილმა შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინული თარგმანიც. მისი დასკვნით, მ. ბაჟანისე-

¹⁴ «Правда», 1937, № 254; Шота Руставели, статьи и материалы, Упорядкував і редагував П. У. Альтман, Київ, 1938.

¹⁵ Chota Roustaveli, Le Preux a la Peau de Tigre texte français d' E. Orbeliani et de S. Iordanichvili, T., 1977.

¹⁶ The Knight in the Tiger's Skin. Translated by Marjory Scott Wardrop. Supplemented and Revised by E. Orbeliani and S. Iordanishvili: Moscow, 1938.

ული თარგმანი მაქსიმალურად ზუსტია და მხატვრულადაც გამართული.¹⁷

უკვე აღენიშნეთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების პრობლემებს მიეძღვნა ს. იორდანიშვილის სადისერტაციო ნაშრომი: „ვეფხისტყაოსნის ბალმონტისეული თარგმანი“; სადაც განზოგადებულია ავტორის თეორიული შეხედულებები თარგმანის პრინციპებზე და მოცემულია კ. ბალმონტისეული თარგმანის ანალიზი. დისერტაციის წიგნად გამოქვეყნების გამო დაწერილ რეცენზიაში აღნიშნულია, რომ ს. იორდანიშვილის ეს ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს მთარგმნელებს მუშაობაში.¹⁸

ს. იორდანიშვილმა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეს როდი შეუწყო ხელი. მანვე შეასრულა „დავითიანის“ საკმაოდ დიდი ნაწილის რუსული პუბლიკაცი (ხელნაწერის სახით იგი დაცულია მკვლევრის პირად არქივში), რომლის საფუძველზე გამოვიდა დ. გურამიშვილის რჩეული რუსულ ენაზე, ხოლო 1938 წელს გამოქვეყნდა ს. იორდანიშვილის თარგმანი ქართული კლასიკური ძეგლისა — „ვისრამიანი“, რომელიც მეორეჯერაც გამოიცა 1960 წ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საგრძნობია მნიშვნელობა ს. იორდანიშვილის მთარგმნელობითი მოღვაწეობისა, რადგან დღეს თითქოს აღარ არიან ძველი ქართული მწერლობის დარგში მომუშავე ისეთი სპეციალისტები, რომლებიც სასულიერო თუ საერო მწერლობის ძეგლთა რუსულსა და სხვა ენებზე თარგმნის უაღრესად მნიშვნელოვან ტრადიციას გააგრძელებდნენ.

შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ ს. იორდანიშვილმა პირნათლად მოიხადა ვალი. ეროვნული კულტურის წინაშე და საპატიო ადგილიც დაიკავა ძველი ქართული მწერლობის მკვლევართა შორის.

¹⁷ „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინული თარგმანი, „ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 1.

¹⁸ ნ. გურგენიძე, ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის“ ბალმონტისეულ თარგმანზე, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 20. V. 1965.

¹⁹ Д. Гурамышвилл, Избранное. Перевод с грузинского. Под редакцией В. Гольцева, М., 1939.

გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტი გიორგი ლეონიძე ფართოდ არის ცნობილი, როგორც ლიტერატურათმცოდნე, ქართული მწერლობის მკვლევარი. მის ყურადღებას და მეცნიერული კვლევის ინტერესს იწვევდა, უწინარეს ყოვლისა, XVII—XVIII საუკუნეების მხატვრული ლიტერატურა.

გ. ლეონიძემ ჯერ სრულიად ახალგაზრდამ, 1920 წელს, გამოსცა ძველი ქართული ნორმატიული პოეტიკის ღირსშესანიშნავი ძეგლი „ქაშნიკი“ მამუკა ბარათაშვილისა. გამოცემა განხორციელებულია ფაქიზად და სიყვარულით, ტექსტს ახლავს თავისი დროის კვალობაზე საფუძვლიანი ცოდნით დაწერილი ნარკვევი და შენიშვნები. გამომცემელი აღნიშნავდა: „მამუკა ბარათაშვილის პოეტიკას, რასაკვირველია, იმდენი ესთეტიკური ღირებულება არა აქვს, რამდენიც ისტორიული“ (გვ. VI). „ქაშნიკის“ ეს ისტორიული მნიშვნელობა მკვლევარს საერთო ასპექტში მაშინაც სწორად ჰქონდა გათვალისწინებული.

მომწიფებული და ჩამოყალიბებული მკვლევრის ხელი ეტყობა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ 1928 წლის გამოცემას, რომელიც დაიბეჭდა გ. ლეონიძის რედაქციითა და ვრცელი შესავალი წერილით. არსებითად ეს იყო პირველი სერიოზული მონოგრაფიული ნარკვევი სახელგანთქმული ქართველი მეიგავის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.¹ რამდენადმე შევსებული და შესწორებული სახით ეს ნარკვევი დართული აქვს „სიბრძნე სიცრუის“ შემდგომდროინდელ გამოცემებს, მათ შორის საიუბილეო გამოცემასაც (1959 წ.). იგივე ნარკვევი საფუძვლად დაედო აგრეთვე „სიბრძნე სიცრუის“ რუსული გამოცემის შესავალ წერილსაც (Сулхан-Саба Орбелиანი, Мудрость вымысла. Предисловие действительного члена Академии наук Грузинской ССР Г. Н. Леонидзе, Тб., 1959).

გ. ლეონიძის ნარკვევში აღდგენილია ეპოქის სურათი და დაწვრილებით არის განხილული სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხები. აქ სპეციალურადაა გარჩეული „სიბრძნე სიცრუისა“, როგორც მხატვრული ლიტერატურის ძეგლი, გარკვეულია მისი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული მხარე (თარიღი, გენეზისი, წყაროები და სხვ.). გ. ლეონიძემ გამოთქვა საგულისხმოდ მოსაზრებანი „ქილილა და დამანას“ ჰყონიასეული გამოცემით ცნობილი მეორე

¹ ამ გამოცემას რეცენზია ვუძღვენიტ ჯერ კიდევ 1928 წელს („ქართული მწერლობა“, № 10-11, გვ. 187—190).

ანდერძის სულხან-საბა ორბელიანისადმი კუთვნილებაზე (რაც შემდგომდროინდელმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა), მანვე მართებულად გამოიყენა ამ ანდერძის იგავ-არაკები სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიული ფაქტების დასადგენად. საეხებით სწორად გადაწყვიტა გ. ლეონიძემ „სიბრძნე სიცრუის“ იგავ-არაკებისა და ფოლკლორული მასალების ურთიერთობის პრობლემა. მკვლევრის ფიქრით, ძირითადი წყარო, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანი მიმართავდა, უნდა ყოფილიყო არა „წიგნი“, არამედ „ზეპირი სიტყვა“ („სიბრძნე სიცრუის“ 1928 წლის გამოცემის შესავალი წერილი, გვ. XIV). ამ მხრივ მართლაც ხშირად „უხვდებით გასაოცარ ანალოგიებსა და პარალელებს“ (იქვე გვ. XV). გ. ლეონიძემ ისიც დაასაბუთა, რომ ზოგჯერ იგავ-არაკების ფოლკლორულ ვარიანტებს შემოუნახავს მწიგნობრული ელემენტები და, მაშასადამე, სავარაუდებელი ხდება „სიბრძნე სიცრუის“ პირიქითი ზემოქმედება ფოლკლორზე. მაგალითად, გ. ლეონიძის გამოკვლევის თანახმად, ხალხური ზღაპრის „მკაცრი მეფის“ პერსონაჟი შარვანგი სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკის „შირვანშაჰის“ „გადამახინჯებას წარმოადგენს“ (გვ. IV—VI).

გ. ლეონიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება და სწორი შეფასება მისცა სულხან-საბა ორბელიანის ჯერ გამოუცემელ შესანიშნავ თხზულებას „სწავლანი“. „სწავლანის“ ლეონიძისეულ მოკლე, სხარტ ანალიზს ამკობს უხვად მოხმობილი საუცხოო ტექსტობრივი ექსცერპტები (გვ. XX—XXIII). საინტერესო სააჩქივო მასალები გამოაქვეყნა გ. ლეონიძემ სულხან-საბა ორბელიანის რუსეთში გახიზვნასა და ცხოვრების აღსასრულზე (ბოლო ფურცელი სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისა, „ლიტერატურული გაზეთი“, 28. I. 1955).²

დიდად აფასებდა გ. ლეონიძე სულხან-საბას, როგორც პოეტს, მას ხიბლავდა „ქილილა და დამანას“ ტექსტის საბასეული ლექსები. საბას პოეტური ძალა, მისი სიდიადე, განსაკუთრებით გამოჩნდა „ქილილა და დამანას“ პოეტური ნაწილის თარგმანშიო, — ამბობდა ახალი ქართული ლექსის აღიარებული დიდოსტატი.³ „საბა გვევლინება დიდი ჰორიზონტის პოეტად, შესანიშნავ ოსტატად, ქართული ლექსის რეფორმატორადო“, — ასეცნის გ. ლეონიძე.⁴

1930 წელს ცალკე წიგნაკად გამოვიდა გ. ლეონიძის ნაშრომი „მგოსანი საათნავა“ (ბიოგრაფიული ესკიზი). აქ დაბეჭდილია

² საინტერესოა აგრეთვე გ. ლეონიძის წერილი „სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა ახალი ხელნაწერები“ („კომუნისტი“, 14. X. 1959).

³ გ. ლეონიძე, საქართველოს მამა, „კომუნისტი“, 25. X. 1959.

⁴ გ. ლეონიძე, სულხან-საბა ორბელიანი, სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა კრებულის პირველი ტომი, 1959, გვ. 427—428; მისივე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 178—179.

პირველხარისხოვანი ცნობები, რომლებიც მოეპოვებათ თეიმურაზ და იოანე ბაგრატიონებს საიათნოვას შესახებ. ამ, მანამდის უცნობი მასალებით გ. ლეონიძემ გააკრვია საიათნოვას ბიოგრაფიის რამდენიმე ბუნდოვანი საკითხი, კერძოდ, მან დაასაბუთა, რომ საიათნოვა, წინააღმდეგ ტრადიციულად ქცეული შეხედულებისა, უნდა გარდაცვლილიყო არა 1795 წელს, აღამაჰმადხანის შემოსევის დროს, არამედ გიორგი XII-ის მეფობის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, გ. ლეონიძის მტკიცების თანახმად, საიათნოვა ცოცხალი ჩანს გიორგის მეფობის წლებში (ე. ი. 1798—1800 წლებში).

ს. იორდანიშვილთან ერთად გ. ლეონიძემ გამოაქვეყნა XVII საუკუნის მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოები — ფეშანგის პოემა „შაჰნავაზიანი“ (1935). ეს არის ამ პოემის პირველი და ჭერჯერობით უკანასკნელი გამოცემა. ტექსტს უძღვის გ. ლეონიძის ვრცელი გამოკვლევა, სადაც გარკვეულია ფეშანგის ბიოგრაფიის მთავარი მომენტები და გარჩეულია პოემის ლიტერატურული მხარე. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „შაჰნავაზიანი“... სახობო, საკარო პანეგირიკული თხზულებაა“ (გვ. V). ამისდა მიუხედავად მეხოტბე ავტორი „უბედავს შეკამათებას ფეოდალური მწერლობის ოლიმპიელებს (იგულისხმებიან რუსთველი და თეიმურაზ პირველი. — ა. ბ.); იწუნებს რა მათ შემოქმედებაში ფანტასტიკის ელემენტებს, იგი ილაშქრებს ფეოდალური ლიტერატურის ზღაპრულ-ფანტასტიკური ტრადიციების წინააღმდეგ (გვ. III). რამდენადაც ფეშანგის „შაჰნავაზიანი“ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს „არჩილიანს“, გ. ლეონიძის მოსაზრებით, ფეშანგის უნდა მიეცეს პრიორიტეტი (არჩილთან შედარებით) რეალისტური მიმდინარეობის დანერგვის თაოსნობაში (გვ. V). თუმცა მკვლევრის სიტყვით, ეს არის საკითხის მაინც ფორმალური გადაწყვეტა, რადგანაც ფეშანგის ახალი ლიტერატურული შეხედულება უმთავრესად გამომუშავებულია მაშინდელ სალიტერატურო წრეებში, სადაც ჩვენი ავტორიც ტრიალებდა. ფეშანგის მხატვრულ დეკლარაციაში გამოთქმულია იმ დროის ახალი ლიტერატურული პროგრამა, ახალი პრინციპები, რომლის შექმნა ერთ პიროვნებას არ ეკუთვნის და მით უმეტეს „უსწავლელ და უშუერ ფეშანგის“ (გვ. III—IV). საესებით სწორია გ. ლეონიძის მოსაზრება, რომ ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის „ოფიციალური ლიდერი“ (გვ. IV) ანუ ნამდვილი მეთაური და მისი ესთეტიკური პრინციპების კანონმდებელი იყო არჩილი, „XVII საუკუნის მეორე ნახევრის პოეზიის მეტრი“.⁵

იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ ლეონიძისეული გამოცემა (1939 წ.) ამ პოემის საუკეთესო გამოცემაა. ჩვეულებისამებრ, ამ გა-

⁵ იოსებ თბილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით, თბ., 1939, გვ. XXX. იხ. აგრეთვე გვ. XXXI.

მოცემასაც აქვს დართული მისი რედაქტორის საფუძვლიანი ნარკვევი. გ. ლეონიძე საბუთიანად ამბობს, რომ თბილელის „მიზანია გიორგი სააკაძის რეაბილიტაცია და პეროიზაცია“ (გვ. XLVIII), რამაც შეაპირობა პოემის გარკვეული იდეურ-მხატვრული ხასიათი და პოეტური კილო. „უეჭველია, ერთგვარ რომანტიკულ გადახვევას, ერთგვარ ტენდენციურობას ვერ ასცდებოდა პოეტით“ (გვ. LX). გ. ლეონიძე აყენებს საკითხს „დიდმოურავიანის“ დათარიღების თაობაზე ტრადიციული შეხედულების გადასინჯვის სასარგებლოდ (გვ. XXXII).

1942 წელს გ. ლეონიძემ დაბეჭდა ბესიკისადმი მიძღვნილი დიდი მონოგრაფიის პირველი ნაწილი („ლიტერატურული მატრიანე“, № 3—4. გვ. 341—432), რომელიც შემდეგ (1953 წ.) ცალკე წიგნადაც გამოვიდა. მონოგრაფიაში დასმული და გადაჭრილია ბესიკის შემოქმედებითი ცხოვრების რიგი მნიშვნელოვანი საკითხი. სხვათა შორის, ამ მონოგრაფიას ჩვენ უკვე შევეხეთ ერთ სპეციალურ წერილში,⁶ რომელშიც აღვნიშნავდით გ. ლეონიძის გამოკვლევის უდავო ღირსებებს, ოღონდ ყურადღება მაშინ უფრო სადავო საკითხებზე გავამახვილეთ. გ. ლეონიძესა და ჩვენ ერთდროულად მოგვიხდა ბესიკის გარშემო მუშაობა პოეტის ნაწერების ახალი გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით 1930—1931 წლებში. ზოგ შემთხვევაში დასვენაც საერთო გამოგვივიდა. გამოირკვა, რომ ბესიკის განთქმული ლირიკული შედევრების შთამაგონებელია მათი ყულარადასის ქალი (და არა ანა დედოფალი, როგორც ეს საერთოდ იყო მიღებული). კერძოდ, გ. ლეონიძემ დაადგინა, რომ მათი ყულარადასის ქალი ყოფილა გიორგი ქსნის ერისთავის ასული, ელიზბარ ერისთავის დაი, მამუკა ორბელიანის ქვრივი. მათი ყულარადასის ქალის ვინაობის გარკვევა იმ მზრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ უეჭველი გახდა — „სევდის ბალის“ ციკლის ლექსები შეთხზულია თბილისში, ბესიკის ქართლიდან გაძევებამდე (რადგან ამ ლექსის შთამაგონებელია სწორედ მათი).

მზეჭაბუკ ორბელიანსა და ბესიკს შორის გაჩაღებული პოეტური პაექრობის მასალების (აგრეთვე სხვა წყაროების) გულდასმით შესწავლის შედეგად, გ. ლეონიძემ აღადგინა ჩვენი დიდებული პოეტის ცოცხალი სახე.

რუმინეთში მოგზაურობის დროს გ. ლეონიძემ ინახულა ბესიკის საფლავი ქალაქ იასაში (და კიდევაც გამოაქვეყნა საყურადღებო საგანხეთო წერილები). გ. ლეონიძემ ბევრი გააკეთა ბესიკის სახელის უკვლავსაყოფად მოძმე რუმინელ ხალხს შორის.

გ. ლეონიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის რუმინელი და ქართველი ხალხების დაძმობილების, მათი კულტურული ურთიერთობის შესწავ-

⁶ ა. ბარამიძე, ისევ ბესიკის გარშემო (გ. ლეონიძის მონოგრაფიის გამო), თსუ შრომები, 43 (1951), გვ. 247—257 (ნარკვევები, III, 1952, გვ. 359—371).

ლის საქმეში. იგი ავტორია საუცხოო გამოკვლევისა რუმინეთის გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწე ანთიმოზ ივერიელზე და მის კავშირზე ქართულ სინამდვილესთან. რუმინეთში გამოძიებული მასალების ნიადაგზე გ. ლეონიძემ საბოლოოდ და ექვემდებარებულად დაასაბუთა, რომ ანთიმოზი იყო „პირველი ეროვნული ქართული სტამბის ორგანიზატორი ვახტანგ მეექვსესთან ერთად“.⁷ ვახტანგის თხოვნით ანთიმოზს საქართველოში მოუვლენია თავისი საუკეთესო მოწაფე სტეფანე უნგრო-ვლახელი, რომელსაც გაუმართავს თბილისში ქართული სტამბა და შედგომია წიგნების ბეჭდვას. ანთიმოზს არც შემდეგ გაუწყვეტია კავშირი სამშობლოსთან, თავის მხრივ, ვახტანგიც თურმე სისტემატურად უგზავნიდა მას თბილისის სტამბიდან გამოცემულ წიგნებს. ერთ-ერთ ასეთ წიგნში გ. ლეონიძემ აღმოაჩინა შესანიშნავი ქართული ლექსი, რომელსაც მკვლევარი „პატარა პოემას“ უწოდებს. ამ პოემაში მშვენიერი შაირის ენით მოთხრობილია თბილისის სტამბის დაარსების ამბავი. ვინც არ უნდა იყოს ლექსის ავტორი, თვითონ პოემა ქართული კულტურის ისტორიის ჩინებული ცომეპეტიცა.⁸

გ. ლეონიძეს, როგორც პოეტსა და როგორც მკვლევარს, ყოველთვის ხიბლავდა დავით გურამიშვილი. დ. გურამიშვილის გარშემო მას ბევრი უკვლევ-უძიებია და ბევრი უწერია. თავისი ნაკვლევი და ნაფიქრ-ნააზრევი შეჯამებული სახით გამოქვეყნებული აქვს წერილების სერიაში 1954—1955 წლების მანძილზე: 1. „დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1954, № 31; 1955, № 9); 2. „ცხოვრება დავით გურამიშვილისა“ (იქვე, 1955, №№ 40, 41, 42, 43); 3. „დავით გურამიშვილის ბიოგრაფიისათვის“ (იქვე, 1955, №№ 29, 31); 4. „დავით გურამიშვილის პორტრეტისათვის“ (იქვე, 15. VIII. 1955). წერილების ეს სერია შეიცავს ძვირფას მასალებს დ. გურამიშვილის ცხოვრებაზე, მოღვაწეობაზე, შემოქმედებაზე. გ. ლეონიძე აქაც (ისე როგორც ბევრგან სხვაგანაც) სამაგალითო მიხვედრილობითა და გულისხმიერებით არკვევს პოეტის ცხოვრებამოღვაწეობის ღირსშესანიშნავ დეტალებს. სანიმუშოა ამ სერიის ორიგინალური მინიატურული ნარკვევები: „მოსკოვში“, „ერაჯ ქალაშილი“, „პოეტის ნათესავები—კახაბერიძეები“, „დავით გურამიშვილი და გარაყანიძეები“, „დავით გურამიშვილის მიგრაციული მეზობლები“, „სვენწყა“, ანუ „სესენწყა“ — ქართველთა ახალშენი მოსკოვში“. ამ წერილებში ავტორი ძლიერ საინტერესოდ იხილავს დ. გურამიშვილის

⁷ გ. ლეონიძე, ანთიმოზ ივერიელი. ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის, „ღროშა“, 1951, № 2.

⁸ ანთიმოზ ივერიელსა და თბილისის სტამბის 250 წლისთავს მიეძღვნა გ. ლეონიძის წერილები: «Золотая цепь дружбы» „Заря Востока“, 4. X. 1959 და „ქართული სტამბა 250 წლისა“ („კომუნისტი“, 15. X. 1959).

უკვდავ სახელთან დაკავშირებულ ქართული კულტურის ისტორიის საკითხებს.

გ. ლეონიძის შესავალი წერილებით გამოვიდა „დავითიანის“ რუსული თარგმანები (თბილისი, 1954; მოსკოვი, 1955; ლენინგრადი, 1956).

თავისი გამოკვლევებით, წერილებით, სიტყვებით (და, რასაკვირველია, ლექსებით) გ. ლეონიძემ დიდად შეუწყო ხელი დ. გურამიშვილის სახელის უკვდავყოფას როგორც ჩვენში, ისე საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა შორის.

დ. გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლასთან ერთად გ. ლეონიძეს უხდებოდა ქართულ-უკრაინული და ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების ძიებაც.

ცალკე აღსანიშნავია გ. ლეონიძის წერილი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ხელნაწერი“ („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I (1935), გვ. 19—36). ესაა ლენინგრადს, ვორონცოვისეულ არქივში ლეონიძისავე თაოსნობით მიკვლეული ძვირფასი ხელნაწერი რუსთველის პომისა, რომელიც ზაზასეული „ვეფხისტყაოსნის“ სახელწოდებით გახდა ჩვენში ცნობილი. ზაზასეული „ვეფხისტყაოსანი“ უნიკალურია თავისი ხასიათითა და მნიშვნელობით. მას შემოუნახავს ინტერპოლანტების ავტორწარწერილი ტექსტები. ამ მხრივ ზაზასეული ხელნაწერი განსაკუთრებულ როლს ასრულებს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტობრივი შედგენილობის დასადგენად, აგრეთვე პომის პირველი (ვახტანგისეული) გამოცემის რაობის გასარკვევად. გ. ლეონიძემ მოგვცა ზაზასეული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი, ვრცელი მეცნიერული აღწერილობა, მან გაარკვია ხელნაწერის სახე, მისი რთული თავგადასავალი, დაადგინა ხელნაწერის თარიღი. ერთი სიტყვით, გ. ლეონიძემ წარმოგვიდგინა ზაზასეული ხელნაწერის ძირითადად სავსებით სწორი ყოველმხრივი დახასიათება. ამ წერილით მან საპატიო წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიის ისტორიაში.⁹

მოკლედ, სქემატურად ასე გვეხატება ჩვენ გ. ლეონიძის მიერ განვილი კვლევებიებითი გზა. მრავალრიცხოვანი ნარკვევებითა და პუბლიკაციებით მან გაამდიდრა ჩვენი ცოდნა და გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა ძველ-ქართულ მწერლობაზე, კერძოდ და განსაკუთრებით XVII—XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაზე.

გ. ლეონიძემ წინ წასწია ჩვენი წარსული სულიერი კულტურის მეცნიერულად შესწავლის საქმე, ბევრი ახალი საკითხიც აღძრა მომავალი მუშაობისათვის.

⁹ გ. ლეონიძის უმათერესი ნარკვევები თავმოყრილია მის წიგნებში „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (თბ., 1949) და „გამოკვლევები და წერილები“ (თბ., 1958).

ილია აბულაძე

ილია აბულაძის სამეცნიერო ნოღვაწეობა ამ საუკუნის 30 წლებში დაიწყო და შეწყდა 1968 წ. 9 ოქტომბერს, სიცოცხლის 67 წლის თავზე.

ილია აბულაძე მთელი თავისი მოღვაწეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სკოლის წარმატებათა გამომხატველი იყო.

სოფ. ზედა საქარაში, მასწავლებლის ოჯახში დაიბადა ილია აბულაძე. ამ ოჯახმა მეორე ცნობილი ლიტერატორიც გაზარდა — ბიძინა აბულაძე, რუსულ ენაზე „ბალავარიანის“ მთარგმნელი.

ილ. აბულაძე ქუთაისის I გიმნაზიაში სწავლობდა, სადაც არაერთი გამოჩენილი მამულიშვილი აღიზარდა. 1922 წელს ილ. აბულაძე შედის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ იქვე ტოვებენ საპროფესოროდ მოსამზადებლად ძველ ქართულ-სომხურ ფილოლოგიაში. უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა იგი როგორც მრავალმხრივად განსწავლული სპეციალისტი-ფილოლოგი. ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიას ჰყავდა ისეთი გამოჩენილი მკვლევარნი, როგორც იუვენე მ. ბროსე და ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი და ლ. მელიქსეთ-ბეგი. მათ შორის დიდად მნიშვნელოვანია ილ. აბულაძის გამოკვლევებიც.

1930 წლიდან ხელნაწერთა კოლექციები გაერთიანდა საქართველოს მუზეუმის ერთ განყოფილებაში. ილ. აბულაძე იმთავითვე ხელნაწერებთან იყო დაკავშირებული და მათზე დაუცხრომელ მზრუნველობას იჩენდა.

თუ ეს განყოფილება ცალკე ინსტიტუტად გადაიქცა, რომელიც ასე ცნობილი სამეცნიერო დაწესებულება გახდა, ეს უპირველესად ილ. აბულაძის ღვაწლის შედეგია. ქართული ხელნაწერი მისთვის მხოლოდ „მეცნიერული ინტერესების“ საგანი კი არ იყო, არამედ ადამიანური სიყვარულის საგანიც. მასში დავით რექტორისა და ექვთიმე თაყაიშვილის მისწრაფებანი ცოცხლობდა. ცნობილია ბუნების გასულიერება, მაგრამ იგი გვიჩვენებდა, რომ გასულიერებულად წარმოსადგენია ხელნაწერიც, მართლაცდა, სულიერი და ცნობიერი შინაარსის მატარებელი რამ. იგი მოითხოვდა: „არ შეაწუხოთ ხელნაწერიო“ (ა. გამყრელიძე), „ხელნაწერი მისთვის ცოცხალი ფასდაუდებელი არსება იყო, მისი მუდმივი ზრუნვისა და სიყვარულის საგანი“ (ე. მეტრეველი).

ერთ-ერთი პირველი დასტამბული ნაშრომი — სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები (თუშ, III, 1936) — უკვე წარმოაჩენდა მის სამეცნიერო მიდრეკილებას. მანამდე (1934 წ.) ილ. აბულაძე ერთ-ერთი თანაავტორთაგანი იყო საშუალო სკოლისათვის შედგენილი ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის იმ ქრესტომათიისა, რომლის გამოცემა შემდგომ არაერთგზის განმეორდა და რომელსაც დღესაც იყენებს ჩვენი სკოლა.

აქ, ბიოგრაფიის გადმოცემისას, ჩვენ უფრო სამეცნიერო საქმიანობაზე გვიხდება საუბარი. საქმე ისაა, რომ ილ. აბულაძის ბიოგრაფია ვერ გადმოიცემა მეცნიერული მოღვაწეობისაგან გამოცალკევებულად.

1938 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „შუშანიკის წამების“ შესახებ, „რომლის ქართული და სომხური ვერსია მან ჩინებულად გამოსცა სათანადო კომენტარებითა და ლექსიკონითურთ“ (ა. შანიძე).

მანამდე, 1937 წელს, ეჩმიაძინის XV ს-ის სომხურ ხელნაწერში აღმოაჩინა ალბანური (პერული — როგორც ა. შანიძე უწოდებს) ანბანი. ეს იყო მნიშვნელოვანი მიგნება.

ილ. აბულაძის პიროვნება დამადასტურებელი იყო იმ აზრისა, რომ ნიჭიერების რეალურობა შრომისმოყვარეობისაყენ განსაკუთრებულ მიდრეკილებაში მქადავდება.

1945 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი IX—X სს-ში“.

წლების მანძილზე კითხულობდა უნივერსიტეტში კურსს ძველი ქართული პალეოგრაფიისა, ძველი სომხურისა. მისი მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო, ოღონდ ყოველივე ერთ უმთავრესს — ხელნაწერთა სამსახურს ეჭვმდებარებოდა. ამ ღვაწლშიაც გასრულდა მისი სიცოცხლე.

ილ. აბულაძის მეცნიერული ინტერესები მრავალფეროვანია: 1. ხელნაწერთა აღწერა; 2. ქართული პალეოგრაფია; 3. ძველი ქართული ლექსიკა და საკუთრივ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკა; 4. ძეგლთა გამოცემა (ორიგინალური ქართული, ქართულად ნათარგმნი და სომხური); 5. ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები; 6. ლიტერატურულ-ისტორიული ძიებანი. ცალკე აღებული თითოეული მათგანიც კი ერთი მკვლევრის მეცნიერულ ღვაწლს დაამშვენებდა. ყველა მათგანის სპეციალური ანალიზი ჩვენს მიზანს სცილდება. ჩვენ მხოლოდ მისი იმ ღვაწლის საერთო მიმოხილვას წარმოვადგენთ, რომელიც მას ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში მიუძღვის.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა ხელნაწერების ილ. აბულა-

ძისეული აღწერილობანი და პუბლიკაციები თანამედროვე ქართულ ფილოლოგიის უმაღლესი დონის გამომხატველია. მათში წარმოდგენილია დღევანდელი მეცნიერული მეთოდოლოგიის ყველა მიღწევა.

1939 წელს ი. ჭავჭავაძემ ქართულ ხელნაწერთა კომპლექსური, სისტემური აღწერის გეგმა შეიმუშავა. მისი განხორციელების თავკაცი ილ. აბულაძე გახდა. 1946 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოვიდა H ფონდის (ყოფილი საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ფონდის) I ტომი. დღეისათვის აღწერილობათა 20-ზე მეტი ტომია გამოსული. „ეს აღწერილობანი... თავისი სისრულითა და მეცნიერული გამართულობით სასიკეთოდ გამოირჩევა ბევრი სხვა ერის წერილობით ძეგლთა ანალოგიური აღწერილობისაგან და სხვებისათვის მისაბამ ნიმუშს წარმოადგენს“ (ა. გამყრელიძე).

მათგან ილ. აბულაძე ხელმძღვანელობდა H ფონდის II ტომის აღწერასაც (აღწერილობა მოამზადა ლ. ქუთათელაძემ, 1951 წ.); აგრეთვე მისი რედაქტორობით მოამზადდა (ე. მეტრეველისა და ქ. შარაშიძის მიერ) 1957 წელს გამოქვეყნებული საქართველოს მუზეუმის ახალი (Q) ფონდის აღწერილობის პირველი და შემდეგ (1958 წ.)—მეორე ტომი.

1947 წელს ილ. აბულაძის რედაქტორობით გამოვიდა ი. ჭავჭავაძის „სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“.

აღნიშნულის გარდა, მის პუბლიკაციებს ახლავს არაერთი გამოყენებული ხელნაწერის არქეოგრაფიული და პალეოგრაფიული დახასიათებანი.

ილ. აბულაძის პუბლიკაციები მოიცავს ძველი ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს. მათი ზოგადი გაცნობაც კი უკვე ნათელყოფს მეცნიერის ლიტერატურულ ინტერესთა სიფართოვეს და კვლევითი მეთოდოლოგიის მრავალმხრივობას. ილ. აბულაძის პუბლიკაციებიდან გამოსაყოფია: 1. ორიგინალური ქართული ძეგლები; 2. სომხურიდან ნათარგმნი და სომხური ტექსტები; 3. ბერძნულიდან ნათარგმნი ძეგლები; 4. არაბულიდან მომდინარე თხზულებანი; 5. გამოვაცალკეებდით — ბიბლიურ ტექსტებს.

პუბლიკაციათა ასეთ მრავალფეროვნებაში მაინც განსაკუთრებით გამოსაყოფია ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების კორპუსი. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით განხორციელდა ძველი ქართული მწერლობის ამ მნიშვნელოვანი დარგის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა.

ამით დაგვირგვინდა უძველესი ქართული პროზის გამოცემის საშეიღოშეილო საქმე, თავისებურად დაწყებული ჭერ კიდევ მრავალთაგან შედგენით, რომელთა მეცნიერ-გამომცემელი თვით ილ. აბულაძე იყო. შემდეგ ქართული ჰაგიოგრაფიული მემკვიდრეობის შეკრებას მეურვეობდა დომენტი კათალიკოსი (1704—1713). აქვე უნდა გა-

ვიხსენოთ ანტონის „მარტირია“ შემდეგ პ. იოსელიანის შრომები, მაგრამ X.I.X საუკუნიდან ყველაზე იმნიშვნელოვანია ჭაინც მ. საბინგინის „საქარბელოს, სამოთხე“ ჩვენი დროიდან კი — ს. ყუბანეიშვილის მიერ „შედგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ და ბოლოს „ჩვენი საუნჯე“, რს თვარაძის „ძველი ქართული მოთხრობა“ და „ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები“ ი. ლოლაშვილის რედაქციით.

კრებულში თვით ილ. აბულაძეს ეკუთვნის მეცნიერული დამუშავება და აკადემიური გამოცემა რამდენიმე პირველხარისხოვანი, ძეგლისა. ჯერ კიდევ 1938 წელს ილ. აბულაძემ გამოსცა „მუშანიკის წამება“, ქართული და სომხური რედაქციები, შემთხვევითი როდრიკო, რომ უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლის მეცნიერული პუბლიკაცია შესრულდა. სწორედ ილ. აბულაძის მიერ. ეს მისი, როგორც წამყვანი ფილოლოგ-ტექსტოლოგის, აღიარება იყო.

ასევე აკადემიური სახით განახორციელა მან ე. წ. ასურულ მოღვაწეთა ცხოვრებათა წიგნების ძველი რედაქციების გამოცემა (1955 წ.).

ორიგინალურ ძეგლთა პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია თვით ილ. აბულაძის მიერ მიგნებულ ხელნაწერთა გამოცემანი. მაგალითად, ილ. აბულაძემ გამოავლინა ე. წ. გარდამავალი ხანის ცნობილი პოეტის პეტრე ლარაძის პოემა „სახე მგოსანი“ და გამოსცა 1947 წელს (საქ. მუზეუმის მოამბე, XVI).

ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიციის დროს 1962 წელს ახალციხის მუზეუმში მიკვლეულ იქნა „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტები. იგი XVI ს-ით თარიღდება. ამდენად, ესაა უძველესი ფრაგმენტები პოემისა. ილ. აბულაძემ 1964 წელს „მაცნეში“ (№ 3) გამოაქვეყნა ეს ფრაგმენტები.

ამაზე ძველი შეიძლება იყოს მხოლოდ ვანის ქვათა კედელზე მინაწერი „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები (შ. ონიანი) და ბერთის სახარების მინაწერი (ა. შანიძე). 1957 წელს განხორციელდა „რუსუდანიანის“ გამოცემა ილ. აბულაძისა და ი. გვიგენიშვილის მიერ. ძველი ქართული მწერლობის სპეციალისტებმა (ა. ბარამიძე, ს. ცაიშვილი) ამ გამოცემას მაღალი შეფასება მისცეს. ილ. აბულაძის პუბლიკაციები საიმედო მეცნიერულ საყრდენს ქმნიდა, რათა მათზე დაფუძნებით სწორად წარმართულიყო ყოველმხრივი ლიტერატურათმცოდნეობითი ძიებანი.

ბერძნულიდან მომდინარე ძეგლთა პუბლიკაციებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა „ელინთა ზღაპრობანი“ (ენიშკის მოამბე, X, 1941). იგი წარმოადგენს VI ს-ის ბერძენი მწერლის ნონეს მითოლოგიურ კომენტარებს გრიგოლ ნაზიანზელის შრომებზე, რომელიც

ფერემ მცირის მიერაა თარგმნილი. ამ ხასიათის თხზულება ქართულ მწერლობაში ბევრი არაა ცნობილი. თავისი მნიშვნელობით მას მხოლოდ „ფიზიოლოგისი“ („სახისა სტყუაჲ“) შეეფარდება. მეცნიერებისათვის კი ფრიად აქტუალური პრობლემაა ძველი ქართული მწერლობის ბერძნულ მითოლოგიასთან მიმართების საკითხი. განსაკუთრებით ეს ითქმის საერო მწერლობის მიმართ. ამ პრობლემის კვლევადიებისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი შეიქმნა ი. აბულაძის აღნიშნული პუბლიკაციით.

ძველი ქართული ლიტერატურული და, საზოგადოდ, აზროვნების ნებისმიერი ფორმისათვის საფუძველდაძეები იყო ე. წ. მამათა სწავლანი. სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებაც ამოძრავებდა ილ. აბულაძეს, როცა მან გამოაქვეყნა „მამათა სწავლანი“, X—XI სს-ის ხელნაწერების მიხედვით (1955 წ.).

იოანე მოსხის „ლიმონარის“ გამოქვეყნება მრავალმხრივ ყურადღაღებია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით. ცნობილია, რომ უკანასკნელი პერიოდის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გააქტიურდა მასთან დაკავშირებულ პრობლემათა კვლევა, რასაც ქვემოთ კვლავ შევეხებით. თხზულების ქართული ტექსტი კი 1969 წლამდე გამოუქვეყნებელი იყო. მეორეც, ამ პუბლიკაციით შეგვიძლია ძველი ქართული მწერლობის კვლევისას სრულყოფილად გავითვალისწინოთ შუა საუკუნეების ფრიად თავისებური ლიტერატურული ნაწარმოებები: ნოველური მოთხრობანი. გაცილებით მეტი შეიძლება ითქვას ამ მხრივ „სიბრძნე ბალავარისას“ შესახებ, რომელიც ხელნაწერების მიხედვით ჯერ კიდევ 1937 წელს გამოსცა ილ. აბულაძემ, ხოლო მისი ორივე რედაქციის პუბლიკაცია მოგვაწოდა 20 წლის შემდეგ.

ილ. აბულაძემ ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებანი 1964 წ. გამოაქვეყნა.

ბიბლიური წიგნების პუბლიკაციასაც დასდო თავისი ღვაწლი ილ. აბულაძემ. მისი შრომა მიმართული იყო ერთი გადაუღებელი მეცნიერული მიზნისაკენ — გამოეცა ბიბლიის მეცნიერულად დაოგენილი სრული ძველი ქართული ტექსტი. 1941 წელს ილ. აბულაძემ გამოაქვეყნა მონაკვეთი ბიბლიის ძველი ქართული ხელნაწერებიდან (თუმ, XVIII), ხოლო 1950 წელს — „საქმე მოციქულთა“ ა. შანიძის მიერ დაარსებული „ძველი ქართული ენის ძეგლების“ სერიაში.

ილ. აბულაძემ გამოსცა არაერთი სომხურიდან ნათარგმნი ძველი ბევრი მათგანის დედანიც გამოიძია, გამოაქვეყნა და არმენოლოგთათვის ხელმისაწვდომი გახადა.

იგი, იკვლევდა და აქვეყნებდა „მრავალთავის“ წყაროებს და მათ შორის სომხურ წყაროებს. ამ მხრივ, მთელი სერია ტექსტებისა დღეს

მისი წყალობით მეცნიერულად გამოცემულია; მაგალითად: 1. მრავალთავი („ენიმკის მოამბე“, XIV, 1944); 2. რიფსიმიანთა მარტილობა (ხელნაწერთა ინსტ. მოამბე, II, 1960); 3. თეკლას წამება („ენიმკის მოამბე“, VIII, 1940); 4. მარტილობა ორმეოცთა (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, 1962); 5. მარტილობა ანდრიეანესი და ანატოლიესი (კრ.: ძვ. ქართ. მწ. ოთხი ძეგლი) და სხვანი.

მაგრამ ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობათა ამსახველი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცემანი ერთვის მის ცნობილ მონოგრაფიას: „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში. გამოკვლევა და ტექსტები“ (1944 წ.). აქ წარმოდგენილია ძეგლთა ოთხი წყება. პირველი მათგანი დაკავშირებულია სომეხთა პირველი განმანათლებლის თადეოს მოციქულის სამისიონერო მოღვაწეობასთან („სანდუხტის წამება“, ოსკიანთა და მესუქევეთა წამებანი); შემდეგია გრიგოლ პართელის თანამედროვე და მომდევნო ხანის მოღვაწეთა წამებანი (არისტაკეზი, ორთანეზი, ისიკის, გრიგოლის, დანიელის, ნერსეს, სპაკ პართევისა). თხზულებათა მესამე ჯგუფშია სპარსეთისდროინდელ მოღვაწეთა წამებანი (ვარდანისი, ატომისი, იზიდმოზიდისა); დაბოლოს, არაბობის ბატონობის პირველი ხანის მოწამეობა (წ-ბა დავითისა).

ილ. აბულაძის ნარკვევებში ყურადღება ექცევა ქართულ-ბერძნულ და ქართულ-არაბულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებს, მაგრამ მათგან არსებითი არის ქართულ-სომხური თუ სომხურ-ქართული ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემა. მკვლევრის მიერ მიღებული საერთო დასკვნა ასეთია: ქართული და სომხური მწერლობის ურთიერთკავშირის ამ უძველეს ხანაშიც (იგულისხმება ამ ურთიერთობათა დასაწყისი პერიოდები — რ. ს.), ფაქტია, ეს კავშირი ორმხრივია და არა მარტოდენ ცალმხრივი, როგორც ეს ზოგჯერ წარმოუდგენიათ.

ამ ურთიერთობათა ადრინდელ ხანას ილ. აბულაძე სამ ძირითად პერიოდად ყოფს: 1 პერიოდი — V—VIII სს., II პერიოდი — IX—X საუკუნეები და III პერიოდი — XI—XIII სს.

ლიტერატურული ურთიერთობანი მკვლევარს განხილული აქვს საერთო კულტურულ-ისტორიულ ფონზე.

ილ. აბულაძე აღნიშნავს, რომ VIII ს-ის შემდეგ საფუძველი ედება ლიტერატურულ ურთიერთობათა განმსაზღვრელ მოვლენებს: ცენტრალური და ქვემო ქართლიდან ქართული კულტურის ცენტრმა ტაო-კლარჯეთში გადაინაცვლა, რაც გამოწვეული იყო ქართლში არაბთა ძალმომრეობის გამძაფრებით. ქართული კულტურის მოღვაწენი მკუდრო ადგილს ბიზანტიის სამფლობელოებთან მიმდებარე ოლქებში ეძებდნენ, სადაც ნაკლებად იგრძნობოდა არაბთა ხელი; და VIII

საუკუნიდან ტაო-კლარჯეთში იწყება ქართული კულტურის ახალი ცენტრის შენება. ამას უკავშირდება სომხეთის კულტურულ ორიენტაციაში მიმდინარე შემდეგი მოვლენები: VII საუკუნეში სომხეთში ქალკედონობამ გაიმარჯვა და ერთხანს გაბატონდა კიდეც. ამ დროს სომხეთში ქალკედონიტები მომრავლდნენ, მაგრამ VIII საუკუნიდან კვლავ ანტიქალკედონიტობა იმარჯვებს. 726 წლის მანაზკერტის კრებამ ეს საბოლოოდ დაადასტურა. ამ ხანებში, VII—VIII საუკუნეებში, ტაოს სომხობა მოაწყდა. VII საუკუნეში, იმიტომ, რომ ტაო ქალკედონიტური იყო და აქ შეეძლოთ ეპოვათ კონფესიონალურ-საგანმანათლებლო ცენტრები. VIII საუკუნეში კი ტაო გახდა დევნილ ქალკედონიტ სომეხთა თავშესაფარი. ილ. აბულაძეს მიაჩნია, რომ IX—X საუკუნეებში სომხურიდან ნათარგმნი ზემოთ ჩვენს მიერ ნახსენებ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა მომხმარებელნი გაქართველებული სომხები იყვნენ.

ჩვენს მიერ ზემოხსენებული თხზულებანი რომ სომხურიდან ნათარგმნია სომეხთა მიერ, ამას ილ. აბულაძე მრავალი არგუმენტით ადასტურებს.

ამ ძიებათა საფუძველზე IX—X სს-ის სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი სრულიად ახლებური თვალსაზრისით იქნა გაშუქებული. ნ. მარი ფიქრობდა, რომ ზემოდასახელებული ძეგლები ნათარგმნია VII—VIII სს-ში. ნ. მარის აზრით, ამ ძეგლთა თარგმნა უნდა აიხსნას სომეხ-ქართველთა კულტურულ-აღმსარებლობითი სიახლოვით, რასაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ საუკუნეებშიო. ილ. აბულაძის დასკვნებიდან ისიც გამომდინარეობს, რომ ლიტერატურულ ურთიერთობათა სიციხოველე ტაოში სომხური ელემენტის გაძლიერების შედეგი კი არ ჩანს, არამედ აქ არსებულ სომხურ მოსახლეობაზე ქართული ელემენტის ძლიერი ზეგავლენის შედეგია.

ამ პერიოდში სომხურ მწერლობაზე ქართულის გავლენა აღინიშნა ერთი საყურადღებო ფაქტით, რომელსაც ილ. აბულაძემ სპეციალური სტატია მიუძღვნა (ქართულის კვალი ძვ. სომხური მწერლობის ერთ ძეგლში (სომხური პატერიკის წყაროს საკითხისათვის), „ლიტ. ძიებანი“, II, 1944). მისი დასკვნით, სომხური პატერიკის ერთი ნაწილი ქართულიდან მომდინარეა, რასაც ამტკიცებს ქართული კვალის მატარებელი ენობრივი *non sens*-ები. იგი ნათარგმნია IX—X სს-ში.

ასეა წარმოდგენილი ილ. აბულაძის მიერ სომხურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მეორე პერიოდის წარმმართველი მოვლენები.

რაც შეეხება მესამე პერიოდს (XI—XIII სს.), იგი აღინიშნება ქართული მწერლობის დიდი გავლენით სომხურ მწერლობაზე.

ილ. აბულაძემ სპეციალური გამოკვლევებით გვიჩვენა, თუ რამ-

დენად მნიშვნელოვანი როლი უს უკავია „საქმარისიან“ იტქვას, რომ სომხურ მწერლობაში მუდის შუა საუკუნეების საქრისტიანო მწერლობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულება — იოანე დამასკელის (VII ს.) „Περὶ τῆς ὕψους“ (ეს იყო საფუძველი ფილოსოფიური აზროვნებისა (იხ. რუსთაველის წანის ქართ. ფილოსოფიური მწერლობის სერდევ ერთი ძეგლის თარგმანი ძე. „სომხურზე“ ენიმის მოამბე, II, 1938). ამას მოჰყვება იოანე პეტრიწის ნაწარგებით დაინტერესება. სწორედ ქართული მწერლობისადმი ინტერესით აიხსნება, რომ ქართულიდან უთარგმნათ პროკლე დიადოხოზის „კავშირნი დვთისმეტყველებთან“ და მასთან სერთად იოანე პეტრიწის განმარტებანიც. თარგმანი შესრულებულია სვიმონ უღუნძაძანქელის მიერ XI ს-ის პირველ ნახევარში. ასეთი შემოკლითი გზით კარსკლესთან მისვლა ქართული ფილოსოფიური აზროვნების სეროტიტეტზე მეტყველებს. რუსთაველის ეპოქის შემდეგ ქართული მწერლობის მნიშვნელობის მყენებას განსაკუთრებით უნდა გავარდინოთ. მისი მსავე დროს სომეხი მწიგნობრები ქართულიდან თარგმნიან ანატასი სინელის „კლემასს“, იოანე დამასკელის რამდენიმე პროლეგიუტა-დოგმატიკურ სტატიას, ანტიკათოლიკურ ტრაქტატებს უცრათი ინიციელისა, რომელშიც ამოუღინათ არსენი ივლითელის ცნობილი კრებულიდან — „დოგმატიკონი“. ქართულ ენაზე არსებული წყაროების მიხედვით, სომეხი დიოფიზიტე ავტორი ადგენს პროლეგიუტ ტრაქტატს — „სიტყვის გება“ სომეხთა მიმართ (იხ. რუსთაველის წანის ქართულიდან ნათარგმნი ძეგლი სომხური მწერლობის ძეგლები, ენიმის მოამბე, II, 1938). ილ. აბულაძის აზრით, ამ უკანასკნელის საფინანსდებურად უნდა იყოს დაწერილი მნათარგმის ტრაქტატი „ქართულთათვის“ (იხ. თუშ, VII, 1938).

ილ. აბულაძე უყრადღებანს აქცივს „ვენეციის მხითარქლის“ ბარსელის სარქისიანის ცნობას, რომლის თანახმად სომხურ საგლობელთა სერებულნი „მსარკანი“, ანდერძის მიხედვით, ქართულიდან თარგმნილი იქნა. ილ. აბულაძე ფიქრობს, რომ თარგმანი XII-XIII სს-ში უნდა იყოს შესრულებული. ამას მოჰყვება ილ. აბულაძის თქმით, ქართული მწერლობისადმი ინტერესის დამადასტურებელი ის ფაქტიც, რომ სომხურად უთარგმნათ ქართლის ცხოვრება. იგი ქართულ თარგმანთან ერთად გამოსცა ილ. აბულაძემ ქართლის ცხოვრების მუდის სომხურ თარგმანზე, ქართულ-სომხურ ტექსტები გამოკვლევის და ლექსიკონით, თბ., 1953).

ილ. აბულაძე ადგენს, რომ თარგმანი ეკუთვნის მონოფიზიტ სომეხს (XI ს.). ამასთან დაყვებით მკვლევარი საყურადღებო განზოგადებას გვაწოდებს: „ფაქტი მერად საგულისხმოა რაც იმაზე მოწმობს, რომ ელიტერატურულ ინტერესებს ქართული მწერლობისადმი

არა მარტო ქართველობის თანაბრმსარებელი სომხობა ჩვენს, არამედ
 კონფენსიონალურად უცხოც კი“ (გვ. 017). ამ თარგმანს მნიშვნელობა
 ენიჭება თვით „ქართლის ცხოვრების“ ქართული ტექსტის დადგენი-
 საჭვის. მკვლევარმა აღნიშნა აგრეთვე, რომ სომეხ მთარგმნელს ტექ-
 სტში შეაქვს მონოფიზიტური ინტერპოლაციები, შემდეგი ილაპარაკე-
 ლაძე კვლავ დაუბრუნდა ცალკეულ საკითხებს, რომელიც „ქართლის
 ცხოვრების“ ამ თარგმანთან იყო დაკავშირებული, აქცია საბუთიანად.
 ჭარჭო ზოგიერთი მეცნიერ-არამნოლოგის განსხვავებული შეხე-
 დულება (იხ. კრ.: კავკ. ხალხთა ისტ. საქ., 1966). თავის დროზე ამ
 თარგმანის აღმოჩენა სომხურ მწერლობაში მნიშვნელოვან ფაქტად
 ჩაითვა. მას ეხებოდა ჯერ კიდევ მს. ბროსე, რითაც „ქართული
 ცხოვრების“ სიძველეს ამტკიცებდა, წინააღმდეგ ზოგიერთი ნიკიტაძე
 ტი არმენოლოგისა, რომლებიც თვლიდნენ, რომ „ქართლის ცხოვრუ-
 ბა“ გაცილებით გვიან იყო შექმნილი, ასე რომ ამ მხრივ მს. ბროსეს
 კვლევას შემდგომ აღრმავენ ილ. აბულაძე, რომელიც თვლიდა
 რაც შეეხება სომხურიდან მომდინარე ძეგლებთან დაკავშირებულ
 ლიტერატურულ-ისტორიული საუბრების კვლევას, ამ მხრივ, რიგ
 აბულაძის დავალი სრულიად განსაკუთრებულია. ილ. აბულაძის
 „IX—X სს-ში მსათარგმნი ზემოხსენებული თხზულებანი“ (XII
 სს-ის ხელნაწერებთან შენახულ ქართულ მწერლობაში, ამიტომ მათ
 მნიშვნელობა ენიჭებათ სომხური ლიტერატურის ისტორიისათვის, რომ
 რისთვისაც როგორც ილ. აბულაძე აღნიშნავს, ისინი მნიშვნელობა
 არაა მოკლებული დასადგენად მათთანად სომხური ტექსტების, რომ
 ლებიც მკითხოვნენ თარგმნებელს გარდა, უფრო გვიანდელი ნუსხე-
 ბითაა შემონახული (გვ. 072).
 არაბულ-ქართული ლიტერატურულ ურთიერთობათა თვალსაზრ-
 სით შეიძლება გამოყოფილ იქნეს ილ. აბულაძის ელემენტური და-
 კავშირებული შემდეგ ძეგლებთან: „სიბრძნე ბალაქარისი“, ეოანე მოს-
 ხის „ლიმონარი“ და ბასილ დიდისა და გრიგოლ ნოსელიძის ეგზეგეტი-
 კური თხზულებანი შესაქმნათა დღის შესახებ.
 ჩვენ აქედან რამდენიმე საკითხს შევხებით, რაც ბოლგეს ნა
 ენობრივ საფუძველზე აქვდა. ქრონოლოგიისა და მარტო მარტო
 ბის დასადგენად მისთვის ამოცავალი იყო ასეთი თვალსაზრისი, არა-
 ბული ლექსიკა ფენს იკიდებს ქართულში მას შემდეგ, რაც არაბულ
 სამყაროსთან ურთიერთობაში შევიდა ჩვენი ქვეყანა, ეს როგორც
 ცნობილია, VII სს-ის შუა წლებიდან დაწყებული ცნობილი გახდა
 უმთავრესად VIII სს-სა და მომდევნო საუკუნეებში. VIII—IX სს-ზე
 აღრე არაბიზმები ჩვენს ენაში საერთოდ შეუძლებელია, ისე როგორც
 რაიმე ნიშანწყალი ანალი სპარსულიც, რომელიც ამავე არაბობის

ახლო აღმოსავლეთში გამოჩენის შემდეგ არის წარმოქმნილი (VIII—IX სს-დან).“ (გვ. 015).

ამ მეთოდის კვალობაზე მკვლევარი „ლიმონარის“ ქართულ თარგმანში პოულობს რა უშუალოდ არაბულიდან მომდინარე ლექსიკურ არაბიზმებს, ასევე, რომ თარგმანი VIII ს-ის შემდეგდროინდელიაო. ამრიგად, ის არ იზიარებს შ. ნუცუბიძის აზრს, რომლის მიხედვით, „ლიმონარი“ ქართულადაა დაწერილი VII საუკუნეში.

მაგრამ, რაც უფრო საყურადღებოა, ქართულ რედაქციაში ენობრივი არაბიზმების არსებობის საფუძველზე ილ. აბულაძე სვამს საკითხს, რომელიც მანამდე მეცნიერებაში არ დასმულა — საკითხს ქართული რედაქციის არა ბერძნულთან, არამედ არაბულთან მიმართების შესახებ. იგი გამოთქვამს საყურადღებო აზრს, რომ ქართული „ლიმონარი“ („სამოთხე“) არაბულიდან უნდა მომდინარეობდესო.

კარგა ხანია ცნობილი იყო ბასილის „ექუსთა დღეთაჲ“ გიორგი ათონელისეული თარგმანი, რომელიც მ. კახაძემ გამოსცა, ასევე გრიგოლის დასახელებული თხზულების თარგმანიც. ცნობილი იყო გიორგი ათონელის ცნობაც, რომ ბასილის „ექუსთა დღეთაჲ“ ადრევეც ყოფილა თარგმნილი.

როდის უნდა იყოს ნათარგმნი ბასილის დასახელებული თხზულების ეს ვერსია? ამ საკითხს ილ. აბულაძე იმავე, ზემოაღნიშნული მეთოდით წყვეტს. იგი ქართულ თარგმანში პოულობს ენობრივ არაბიზმებს და სპარსიზმებს. აქედან გამომდინარე თარგმნის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარად VIII საუკუნეს თვლის. ზედა ქრონოლოგიურ ზღვარად კი მკვლევრის მიერ IX საუკუნეა დადებული. რა არის ამ უკანასკნელის საფუძველი? თარგმანში ლექსიკური არაბიზმები და სპარსიზმები არაა მრავალრიცხოვანი და გრამატიკული წყობითაც იგი არქაულობისავენაა მიღრეკილი (გვ. 17). ამავე დროს, თარგმანში არსებული არაბიზმების ანალიზი მკვლევარს აფიქრებინებს, რომ ბასილის თხზულების ეს თარგმანი არაბულიდან უნდა მომდინარეობდესო. ამრიგად, ამით არაბულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის კიდევ ერთი ფურცელი გადაიშალა. მანამდე ნ. მარჩი და კ. კეკელიძე ამ ძეგლის თარგმანს სომხურიდან ვარაუდობდნენ და გიორგი ათონელის მიერ მის ხელმეორედ თარგმნას სწორედ ამით ხსნიდნენ. ახლა ცხადია, რომ ხელმეორედ თარგმნის მიზეზი ეს გარემოება არ ყოფილა.

როგორც აღვნიშნეთ, მკვლევართა მიერ ყურადღებული იყო გიორგი ათონელის ცნობა, რომ არსებობდა ბასილის დასახელებული თხზულების ადრეული თარგმანი, ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვთ გიორგისეული ანდერძის სიტყვები, სადაც მოხსენიებულია „პირველი თარგმანნი“. თავის მხრივ, ილ. აბულაძემ უარყო მ. კახა-

ძის მოსაზრება, რომ ამ სიტყვებში ბერძნულ ენაზე არსებული კომენტარები ან მათი ავტორები იგულისხმებოდეს. ეს სიტყვები გულისხმობს ადრეულ მთარგმნელებს და კერძოდ, ბასილის ამ თხზულების ადრეულ მთარგმნელებს. მაშასადამე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გიორგი ათონელამდე ბასილის ამ თხზულების რამდენიმე ქართული თარგმანი არსებულა. ე. ი. გიორგი ათონელამდე, გარდა ილ. აბულაძის აღმოჩენილი თარგმანისა, რომელიც VIII—IX სს-შია შესრულებული, უნდა არსებულიყო სხვაც. ყველაფერთან ერთად ამას გვაფიქრებინებს იმდროინდელი საგანმანათლებლო პრაქტიკაც, სადაც უპირველესი სახელმძღვანელო წიგნი სწორედ ბასილის ეს თხზულება იყო (იხ. რ. სირაძე, ესპანელ ქართველთა უძე. მოხს. ქართ. მწ. და მისი მნიშვნელობა, „მნათობი“, 1971, № 4).

რაც შეეხება გრიგოლის თხზულებას „კაცისა აგებულებისათვის“, ამის თაობაზეც საყურადღებო დასკვნებს გვაწვდის მკვლევარი. ნ. მარი ვარაუდობდა, რომ იგი გადმოღებულია სომხურიდან VIII—IX სს-ში. სომხურიდან იმიტომ, რომ შედის შატბერდულ კრებულში (S № 1141), რომელშიც სწორედ სომხურიდან მომდინარე პატრისტიკული ტექსტებია შეტანილიო. ილ. აბულაძის ენობრივი დაკვირვებანი ვაკილებით სარწმუნოდ ხდის თარგმანის არაბულიდან წარმომავლობას VIII—IX სს-ში.

გარკვეულად ზემოთაც ჩანდა, რომ ძველი ქართული მწერლობის ისტორიის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ილ. აბულაძის ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი.

როგორც ცნობილია, ზედაზნელის „ცხოვრების“ სამი რედაქცია არსებობს: ა) ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული რედაქცია, რომელსაც ილ. აბულაძე არსენ კათალიკოსს მიაწერს; ბ) მოკლე, თ. ჟორდანიას აღწერილობით, A № 199 ხელნაწერისეული და გ) მეტაფრასული (კ. კეკელიძის მიხედვით, XII ს-ისა, გამოცემული მ. საბინინის მიერ, 1882).

ილ. აბულაძის დასკვნით, „მოკლე ცხოვრების წიგნი წათლად შემოკლება ანასეულ ნუსხაში დაცულ ვრცელი ცხოვრების წიგნისა“. მისი აზრით, მოკლე რედაქცია სვინაქსარულ საკითხავს წარმოადგენს და არა არქეტექსს, როგორც ს. კაკაბაძე თვლიდა. ამრიგად, ილ. აბულაძის შეხედულებით, მოკლე რედაქცია არაა კიმენური, არც ანასეულია მეტაფრასული, როგორც ამას კ. კეკელიძე ფიქრობდა, არამედ, პირიქით: ვრცელი რედაქცია პირველადია და მიეწერება არსენ II-ს (955—980 წწ.). კ. კეკელიძე გამოეხმაურა ილ. აბულაძის შენიშვნებს და თავისი აზრი ასურელ მოღვაწეებზე ადრინდელი მონოგრაფიის დამატებად დაბეჭდა ეტიუდების 1 წიგნში. მან არ გაიზიარა ილ. აბულაძის თვალსაზრისი, თუმცა შეფასებებში საერთოდ მეტად თავშეკა-

ლი დროის ქართველი მწერლობა არ იცნობს ამ პეგელს. მელოგიელმა მეცნიერმა პ. პეტერსმა წამოაყენა მეტიდ ბუნდრუწის და თვით თავისი წყობითაც კი, თინქონდა, სხელონურად შავრთულტული შოსაზრებანი, რომ იაკობ მსუცესი და მისი ვრცელ რედაქტორი X-XI საუკუნეების ქართველი მწერლობის მისტიფიკაცია არსებობდა. სხვა, ჩვენამდე მოუღწეველი თავდაპირველი რედაქტორი, რომელიც გვანბეთქილებს ხანაში შეუქმნიან ქართველ მწერლებს შემდეგ ამის საპირისპიროდ შეიქმნა სამხრეთი, რომელიც თარგმნეს ქართველებმა და ა. შ. ილია აბულაძემ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ეს ქართული მწვინტურისაა. იგი განიხილებით ძველნი სამხურთან შედარებით ამის დაშვებულ შემთხვევას: 1. ქართველი მწერლები აღიარებენ დასავლელის მიხედვით; 2. ქართულში სახმურისაგან განსხვავებით ჩანს ავტორის „შე“; 3. ქართველი ანტიანობურ ტენდენციის საშუალებით, უპირატესად, სინამდვილის სურათული ოქსიმორს ადმინისტრაცია, ანტიანობური ტენდენციის გამოყენებით, ქართული VI-X საუკუნეებში იგი კონსტანტინე პოლინიანის მიხედვით, ქართველი მწერლობის განსხვავების მიხედვით, აბულაძემ „განაცხადი“ თვითონ სამხურის რედაქციების შემთხვევითი მართების საკითხებში, ქართველთან მეტი სიხლოვე ვრცელში შეგნის იმ მწერლის, რომელიც მოკლე წამების სახითაა გადარჩენილი, საჭირობის ნაწილში შემოსაქმნებელია, რომ იგი უფროა დამოკიდებული ქართულ ვრცელ წამებაზე და წარმოქმნის თვალსაზრისით იგი უფრო ანტიანობურა, ვიდრე ვრცელ შემონახული წამება. შემდგომდროინდელმა ძიებებმა (ე. ყველიძე, ნ. ჯანაშია, ა. ხუციანი) დაზღვრული ილია აბულაძის დასაყენების მართებულობა, ა. შ. ილია, რომელიც ქართველი მწერლის საჭირობის სტრუქტურული დეტერმინანტი ძიების განაწინდის გმირიოს სტრუქტურული ნობა შოთა რუსთაველის ისტორიულ (ანტიანობურ) შესახებ (ენიმიკის მოამბე, II, 1938) ანუ განხილული ანტიანობური მხარეების წინაშე მისი „ენიმიკის“ რუსთაველის ისტორიული მხარეების შესახებ მისი ციტატირებული ანტონის მომავალი „თავისუფალი რუსთაველი“ და „რუსთაველს მიეწერება. ილია აბულაძემ მიუთითა რომ ეს ციტატირებული ანტიანობური ეპიტაფიკური „ქართლის ცხოვრებაში“ და არა „თავისუფალი ადრინდელ ისტორიებში“ ილია აბულაძის ციტატირებული წყაროს თვითონ ილია აბულაძის სამეცნიერო უკუგება-ძიებითა ერთ-ერთი უპირველესი ნაშრომთაგანი — „სულხან-საბა ორბელიანი“ სომხური წყაროები. (თუშ, 1936) იგი შემდეგ კვლავ ეკ დაუბრუნდა სამხრეთითა წყაროს ძიებას (იხ. კრეველიანი, კორბელიანი, 1959, გვ. 7-10).

ზე. როგორც ცნობილია, „აბოს წამებაში“ ჩართულია ქრისტეს სიმბოლური ატრიბუტები. კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ ამ შემთხვევაში იოანე საბანისძე უნდა იყენებდეს არეოპაგიტულ წიგნებს, კერძოდ, „სადმართოთა სახელათჳს“. ილ. აბულაძე შენიშნავს, რომ არეოპაგიტულ თხზულებაში არსებული „ეს სახელები და მათ შესახებ მოცემული განმარტებანი ახლობელ ანალოგიას ვერ პოულობენ იოანე საბანისძის ნაწარმოების სათანადო ადგილთან“ (თუშ, 1949, XXXV, გვ. 223). ილ. აბულაძე შემდეგ მიუთითებს „აბოს წამების“ წყაროს. ესაა ეპიტანე კვიპრიელის (გარდ. 403 წ.) თხზულება „აღსებებისათჳს“, „რომელშიაც სიმბოლური ეპითეტებით ჩამოთვლილია ქრისტეს სახელები ისეთივე მიზანდასახულებითა და თითქმის ისეთივე განმარტებებით (თუშცა განსხვავებული რიგით), როგორც ეს იოანე საბანისძესთანაა“ (გვ. 223). ეპიტანეს თხზულება სომხურიდან ჩანს ნათარგმნი. მკვლევარს პარალელურად მოჰყავს შემხვედრი ადგილები. თუშცა, — როგორც ამას რ. ბარამიძე მიუთითებს, — არაა გამოორიცხული, რომ ავტორი იყენებდეს ერთ წყაროსაც და მეორესაც.

აქვე, წყაროთა ჩვენების თვალსაზრისით, საყურადღებოა მეცნიერის შემდეგი დაკვირვებაც. იოანე საბანისძის ქალკედონიტობის საჩვენებლად მოყვანილია შემხვედრი ადგილები მის ცალკეულ გამონათქვამებსა და ქალკედონის კრების დადგენილებას შორის (იგულისხმება — „საზღვარი წმიდისა და მსოფლიოჲსა კრებისა... ქალკედონისაჲ“ — H № 985, 144 v—146 r).

ილ. აბულაძემ გვიჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ქართული მწერლობისათვის „იოანე ოქროპირის ცხოვრებას“ (ენიმიკის მოამბე, XIV, 1944). ქართულად მისი ორი რედაქცია არსებობდა: ერთი ძველი, კიმენური, შემკული, სხვათა შორის, ოქროპირის მინიატურით და მეორე — მეტაფრასული, ეფრემ მცირის ნათარგმნი, „რომელიც გარდამკაზმელის მშრალი თხრობითაა შეცვლილი“ (გვ. 64). ქართულ მწერლობაში გავრცელებულა კიმენური რედაქცია. მაგალითად, იგი გამოყენებულია კოსტანტი კახის „მარტვილობის“ შესაქალში. აქ მოცემულია უადრესად საყურადღებო თეორიულ-ლიტერატურული მოსაზრებანი, რომლებიც შეეხება „არა თვალითა ხილულ“ აღწერისა და პაგიოგრაფიაში გავრცელებული თავისებური „რეალიზმის“ ურთიერთობის საკითხებს და მოცემულია თავისებური ისტორიული და თეორიული ექსკურსი ადრეული ხანის მწერლობიდან.

ილ. აბულაძემ გვიჩვენა, რომ „იოანე ოქროპირის ცხოვრებასთან“ დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს გიორგი მერჩულის ნაწარმოები, როგორც აღნაგობრივ-შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისევე ენობრივის მხრივ.

ერთი კერძობითი საკითხიც; ილ. აბულაძემ მიუთითა „ცხოვრების“ ერთ ადგილზე. ნაბრძანები იქნაო: „მოიყვანოს იოვანე პიტონტად, ადგილსა ოკერსა ფრიად, ტოტზანოს შინა, და არს იგი კიდესა თანა ზღვსა მის პონტოქსასა და დასასრული არს პონტოქსა და ბერძენთა კელმწიფებისაჲცა“. ილ. აბულაძემ მახვილგონივრულად განმარტა: „სახელწოდება „ტოტზანო“ რთული სიტყვა ჩანს, მეორე ელემენტი „ტზანოს“ (Τζανος) ჭანთა და მეგრელთა სახელწოდებაა, ხოლო „ტო“ არტიკლი“ (გვ. 72).

ძველი ქართული მწერლობის შესწავლისადმი საფუძველდამდები მნიშვნელობისაა ილ. აბულაძის სხვა მრავალი ნაშრომიც, რომლებიც უშუალოდ ლიტერატურული პრობლემებისადმი არაა მიძღვნილი: იქნება ეს ლექსიკოლოგიური ძიებანი, ისტორიული ხასიათის გამოკვლევანი თუ სხვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ძველი ქართული ენის ლექსიკონი. ასე რომ, ძველი ქართული მწერლობის შესწავლის თვალსაზრისით უახლესი დროის მეცნიერული დონის განმსაზღვრელი იყო ილ. აბულაძის მეცნიერული მოღვაწეობა და მის მიერ მიღებული შედეგები.

გამომცემლობის რედაქტორი მ. ონასარიძე
მხატვარი ს. აჭიაშვილი
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი თ. ფირცხელანი
კორექტორი მ. ვაჩეიშვილი

სბ № 1267

გადაეცა წარმოებას 7.06.82. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. VII. 86.
უე 13672. საბეჭდი ქაღალდი 60×90^{1/16} პირობითი ნაბეჭდი თაბახი 24,5.
საალრ.-საგამომც. თაბახი 22,77, ტირაჟი 4000. შეკვეთის № 2082
ფასი 8 მან. 70 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის
ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственного
комитета Грузинской ССР по делам издательств полиграфии и
книжной торговли, пр. Дружбы № 7.